

114  
1961 / 5

გაიბე.  
საქართველოს  
საბჭოთაო  
საგარეო  
კავშირების  
მინისტროს  
საბიბლიოთეკო

# მეცნიერება



8

| 9 6 |

# გნათობი

ქრისტიანული ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუახალი

წელიწადი 38-ე

№ 8

აგვისტო, 1961 წ.

საპარტიო მუშაკთა საზოგადოებრივი კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პარტიის პროგრამა წვენი შთაბრძნების წყაროა

ირაკლი აბაშიძე — ხალხთა ძმობის და მეგობრობის ნიშნით . . . . .	3
სანდრო შანშიაშვილი — მახელი სახნისად გადავადნოთ . . . . .	6
სუტა ბერუღაია — კომუნისმი — ზვენი ზვალინდელი დღეა . . . . .	8
ირაკლი აბაშიძე — შემოდგომა. ლექსი . . . . .	10
აკაკი ბელიაშვილი — შვიდაცა. გაგრძელება . . . . .	11
არჩილ სულაყური — ლექსები . . . . .	27
მიხეილ ქვლივიძე — ლექსები . . . . .	29
გიორგი ლეონიძე — ანარქისტი. მოთხრობა . . . . .	32
ოთარ ჭელიძე — უფარაჯო ჯარისკაცი. პოემა . . . . .	38
ჯერომ სულიავერი — თამაში ქვაყის უანაში. რომანი. გაგრძელება, თარგმანი ინგლისურ-რიდან ვახტანგ ქვლიციასა . . . . .	56

### შვიდწლადის მოწინააწვენი

სერგო გონჯილაშვილი — XXI უკილობის დღეუვადი . . . . .	74
სულხან ქეთელაური — მწუხრის ქალის სახელი . . . . .	77

### პარიტიპა და კვალისციხისბაა

დ. კალანდია — ე. ი. ლენინი პარტიის პროგრამის შესახებ . . . . .	83
გიორგი ნატროშვილი — კონსტანტინე გამსახურდია . . . . .	91
სერგი ჭილაია — მხატვარი და თანამედროვეობა . . . . .	100
გიორგი მარგველაშვილი — თავისუფლებს, მშვიდობის, ადამიანობის მეზობლებ . . . . .	110

(იხ. მეორე გვ.)

გამომცემლობა „საზოგადოებრივი“



9746



მ. კვებელავა — ვალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების ზოგიერთი საკითხი  
 მიხეილ ჯაფარიანი — ახალი ცხოვრება ახალ წიგნებში . . . . .  
 შოია ბაქრაძე — ექვისტენციალიზმი ფრანგულ ლიტერატურაში . . . . .  
 აბესალომ იმედაშვილი — მოსწავლე ახალგაზრდობის მებრძოლი ორგანო



**ხალკვნება**

ქირილე ზდანევიჩი — ლადო გუდიაშვილი . . . . . 153

**წიგნები და პლაშიანები**

შალვა აფხაიძე — ტიციან ტაბიძე . . . . . 162

**მოსაზარება, მოგონებანი**

ვახტანგ ბერიძე — თურქეთში . . . . . 175

**წიგნების მიმოხილვა**

შალვა ამისულაშვილი — ერთი წლის ლექსები . . . . . 187

ავთ. იოსელიანი — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის . . . . . 188

ახალი წიგნები . . . . . 192



რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ა კ ო ლ ე გ ი ა :

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
- ე. მაღრაძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ჟღენტაი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 10/IX-61 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწილის ზომა 7 $\frac{1}{4}$ ×12 $\frac{1}{2}$   
 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 03209.  
 ტირაჟი 5.600. შეკვეთა № 1303.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამოკვეშლობის  
 ბეჭდვითი სიტვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры  
 Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

იხილეთ

ხალხთა ძობის და მემობრობის  
ნიშნით

ჩვენს ეპოქას შემთხვევით როდი უწოდებენ მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვების ეპოქას. პარტიის ლენინური პროგრამით გახსნილი ახალი პორიზონტები, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა საბჭოთა კავშირში და მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების პერსპექტივები ცხადყოფენ სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეათა უძლეველობას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის, სახელმწიფოებრიობისა და მორალის განუხრამელ უპირატესობას იმპერიალისტურ სამყაროსთან შედარებით. მეტიდ საგულისხმოა, რომ ისეთმა ცნობილმა სკეპტიკოსმაც კი, როგორცაა ოთხმოცდაათ წელიწადს მიახლოებული სომერსეტ მოემი, ამას წინათ განაცხადა „მოგწონს ეს ჩვენ თუ არა, მაინც ვფიქრობთ, რომ მოკლე დროში მთელი მსოფლიო სოციალისტური იქნება“.

დღეს სოციალიზმისა და კომუნიზმის აშკარა მტრებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ საბჭოთა კავშირის უდიდესი წარმატებანი სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში. ამის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური განვითარება, რომლის გზაზე მან სახელოვანი 40 წელი განვლო და არაერთი წარმატება მოიპოვა. თუკი წინათ ილია ჭავჭავაძე რამდენიმე ინჟინერსა და აგრონომზე ოცნებობდა, დღეს ჩვენი სამშობლო უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-საკვლევე მუშაობის მძლავრი კერა, მოწინავე ინდუსტრიალურ-აგარული ქვეყანაა.

საბჭოთა საქართველოსთან ერთად ეს გზა განვლეს მისმა ძმებმა და მეზობლებმა — საბჭოთა სომხეთმა და საბჭოთა აზერბაიჯანმა, რომლებიც საბჭოეთის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, ხელიხელჩაკიდებულნი იბრძვიან კომუნისტური მშენებლობის იმ დიად ამოცანათა განსახორციელებლად, რომელსაც ლენინური პარტია, მისი ახალი პროგრამის პროექტი გვისახავს.

ამიერკავკასიის ხალხები, ისევე როგორც მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხები, მტკიცე და ურღვევი მეგობრობის ძალით არიან შეკავშირებულნი. ამაშია მათი წარმატებების მიზეზი, კომუნიზმის მომავალ გამარჯვებათა ურყევი საწინდარი. ამ ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით იყო გამთბარი სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თბილისის თათბირი, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველყოფელი ძალა, ჩვენი ხალხების დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

„საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე, — ამბობდა თათბირზე წარმოთქმულ მკაფიო სიტყვაში ნ. ს. ხრუშჩოვი, — ამიერკავკასიის ხალხებმა დიდი გარდაქმნები განახორციელეს. მეფის იმპერიის ჩამორჩენილი განაპირა მხარეები ხალხთა ნებით და შრომით გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკებად, რომლებსაც აქვთ მაღალ-განვითარებული მრეწველობა, მსხვილი

მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეურნეობა და კულტურა. ეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის პოლიტიკის დიდი გამარჯვებაა... თვითნებულ ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია სამეცნიერო ცენტრები მეცნიერებათა აკადემიის მეთაურობით, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. დიდი პატივისცემით სარგებლობენ საბჭოთა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, კინოს, სახვითი ხელოვნების ოსტატები. ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და კულტურული მშენებლობისათვის სპეციალისტთა მომზადებაში“.

და არა მარტო ამიერ-კავკასიის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებს შორის გაიდო სოციალიზმის პირობებში ძმობისა და მეგობრობის ხიდი. ქართველი ჰაბუკებიც სტეხანენ ყამირს ყაზახეთში, რუსი და უკრაინელი სპეციალისტების დახმარებით გაიფურჩქნა ქართული მეტალურგია და მანქანათმშენებლობა. რომელი ერთი მოვიგონოთ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად ნ. ს. ხრუშჩოვის მაღალი შეფასება მოითხოვს ჩვენგან შემოქმედებითი ენერჯის შემდგომ დაძაბულობას. ხალხთა ლენინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცება არის ერთ-ერთი საწინდარი კომუნისტური საზოგადოების წინსვლის და განვითარებისა, რაზედაც მკაფიოდ არის ნათქვამი პროგრამის პროექტში, რომ „ორი ათეული წლის მანძილზე სსრ კავშირში ძირითადად აშენდება კომუნისტური საზოგადოება. კომუნისტური საზოგადოების აშენება მთლიანად დამთავრდება შემდგომ პერიოდში.

დიდი და საპატიოა ეს ამოცანები. მაგრამ ამასთანავე პარტია ყოველთვის მიგვითითებდა, რომ არ არსებობს გადა-

უწყვეტელი ამოცანები და აღუბელებელი სიმაგრეები, თუკი სათანადოდ არის დაყენებული კადრების, ადამიანების აღზრდის საქმე, კომუნისტური იდეოლოგიით მათი აღზურვის ამოცანა. საკითხის ამ დიდმნიშვნელოვან მხარეზე ხაზგასმით მიუთითა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანერის პლენუმის მონაწილეთა წინაშე.

„მთავარი ახლა ის არის, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ დავრავმოთ ადამიანები, ყოველდღიურად და ღრმად ვაწარმოთ აღმზრდელობითი მუშაობა მასებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულსკვეთებით“.

თქმა არ უნდა, რომ ეს დიდი და საპატიო ამოცანა საბჭოთა მწერლობასაც აკისრია. კომუნისტური პარტია ყოველთვის აღიარებდა საბჭოთა ლიტერატურის დიდ აღმზრდელობით როლს, თელიდა მას თავის ერთგულ თანაშემწედ მასების კომუნისტური აღზრდის საქმეში.

„საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც გამსჭვალული არიან ოპტიმიზმით, — ნათქვამია პროგრამის პროექტში, — და ცხოველყოფელი კომუნისტური იდეებით, დიდ იდეურ-აღმზრდელობით როლს ასრულებენ, საბჭოთა ადამიანს უვითარებენ ახალი სამყაროს მშენებლის თვისებებს. ისინი მოწოდებულნი არიან იყონ სიხარულისა და შთაგონების წყარო მილიონობით ადამიანისათვის, გამოხატავდნენ მათს ნებას გრძნობებსა და ფიქრებს, იყონ მათი იდეური გამდიდრებისა და ზნეობრივი აღზრდის საშუალება.“.

დღეს საბჭოთა მწერლობის თვალწინ იშლება ახალი გრანდიოზული მოვლენები, თავის საარაკო საქმეებს აკეთებს შეიღწეულად ადამიანი, რომლის მოქმედებაში ვლინდება ჩვენი დროის გვირის ხასიათი, მისი ის მხარეები, რომლებშიც ისახება ახალი ადამიანის მორალი, კომუნისტური საზოგადოების, მომავლის ადამიანის ნიშან-თვისებანი. ღრმად და

ყოველმხრივად ასახო ასეთი ადამიანის პრაქტიკული სულიერი სამყარო, უნდა მისი მოღვაწეობის სიღრმე — განა არსებობს უფრო კეთილშობილური ამოცანა თვითნებურ მხატვრისათვის, სიტყვის რომელიმე ოსტატისათვის? ამ შეგნებით მუშაობენ და იმუშავენენ ქართველი მწერლებიც, რომელთაც ასულდგმულებთ კომუნისში — ჩვენი ნათელი ხვალისდელი დღე.

ჩვენმა მწერლობამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სოციალისტური ერების მეგობრობის განმტკიცებაში, მოქმე ხალხების კიდევ უფრო მტკიცე შეკავშირებაში. ეს ინტერნაციონალისტური სულისკვეთება გასდევს სკკპ პროგრამის პროექტს, სადაც აღნიშნულია:

„გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს რა სსრ კავშირის ხალხთა კულტურების

სოციალისტური შინაარსის განვითარებას, პარტია ხელს შეუწყობს მათ შემდგომ ურთიერთგამდიდრებასა და დაახლოებას, მათი ინტერნაციონალური საფუძვლის განმტკიცებას და ამით კომუნისტური საზოგადოების მომავალი ერთიანი ზოგადსაკაცობრიო კულტურის ჩამოყალიბებას. მხარს უჭერს რა თვითნებური ხალხის პროგრესულ ტრადიციებს, ხდის რა მათ ყველა საბჭოთა ადამიანის კუთვნილებად, პარტია ყოველი ღონისძიებით განავითარებს კომუნისში შესწავლელთა ახალ, ყველა ერისათვის ერთიან რევოლუციურ ტრადიციებს“.

ამ ინტერნაციონალური სულისკვეთების დანერგვისათვის თავის ძალღონეს არ დაიშურებენ საბჭოთა მწერლები — კომუნისტური პარტიის ერთგული თანამემწენი.



## საზოგადოებრივი

# მახვილი სახნისად გადავადნოთ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტმა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ეს ჭეშმარიტად ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტია, რომლის შეუფასებლობა მხოლოდ გონებაშეზღუდულ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს თუ შეუძლიათ. კომუნისტური შრომისა და გარდაქმნების დიადი გეგმა, რომელიც ამ პროგრამაშია გადამღილი, მთელი სიციხადით მეტყველებს იმაზე, თუ რა საარაკო საქმეების ჩამდენი არიან კაპიტალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ადამიანები — კომუნისტების მშენებლები.

კომუნისტები მოასწავებს საკაცობრიო ცივილიზაციის არნახულ გაფურჩქნვას, ადამიანის პიროვნების პარმონიულ განვითარებას, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციას. კომუნისტების — ამ ყველაზე გონივრული და ჰუმანური საზოგადოებრივი წყობილების — სიდიადე იქიდანაც ჩანს, რომ იგი ხმას იმალლებს მძარცველურ-დამპყრობლური ომების წინააღმდეგ, შრომის სუფევა და მშვიდობის დამკვიდრება მოაქვს კაცობრიობისათვის. მაშინ, როდესაც იმპერიალისტურ სამყაროში მმართველი ბურჟუაზიული პარტიების პოლიტიკას შედეგად მოსდევს მოსახლეობის გადატყვება, სახალხო მეურნეობის დაჭვეითება და ანარქია, ახალი ომებისაკენ სწრაფვა და ა. შ. — კომუნისტური პარტიის პროგრამას წითელ ზოლად ვასდევს ზრუნვა ადამიანზე, ხალხზე, კაცობრიობაზე.

„საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გრანდიოზული პროგ-

რამის შესრულებას, — წერია პროგრამაში, — მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ექნება. პარტია მოუწოდებს საბჭოთა ხალხს იშრომოს ბეჯითად, შთაგონებით, ყოველმა მშრომელმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში“.

ვინც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებას ადევნებს თვალყურს, — მას არ შეუძლია არ დაინახოს, რომ მშვიდობის შენარჩუნება, ომისა და მშვიდობის საკითხი თანამედროვეობის ყველაზე საჭირობო რეალური საკითხია. იმპერიალისტები შეთქმულებებს აწყობენ მშვიდობის წინააღმდეგ; მათი აგრესიული ზრახვების გამოხატველია სხვადასხვა სამხედრო კავშირები („ნატო“, „სეატო“), აგრეთვე ისეთი მოვლენები, როგორიცაა გერმანულ რევანშისტთა წაქეზება და გერმანიის რემილიტარიზაცია, აგრესია კუბის წინააღმდეგ, სისხლისმღვრელი ომი ალჟირში, ანტიკოლონიურ მოძრაობათა ჩახშობა იმპერიალისტების მიერ და სხვ. ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური ბურჟუაზია საერთაშორისო რეაქციის მთავარი დასაყრდენია.

ასეთ ვითარებაში საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნები წარმოადგენენ მშვიდობის ბურჯს, მსოფლიოს ხალხთა იმედს. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკა მიმართულია ხალხთა კეთილდღეობისაკენ, ომის გამაჩლეტელთა



ალკემვისაყენ. ამის დაუფარავ დეკლარაციას ვხვდებით სკკპ პროგრამის პროექტში, რომელიც მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის გრძნობას უნერგავს კეთილი ნების ადამიანებს.

„მძლავრი სოციალისტური ბანაკის, მშვიდობისმოყვარე არასოციალისტური სახელმწიფოების, საერთაშორისო მუშათა კლასის გაერთიანებული ძალებით და ყველა იმათი ძალებით, ვინც მშვიდობას იცავს, — ვკითხულობთ პროგრამის პროექტში, — შეიძლება თავიდან ავიცილოთ მსოფლიო ომი. იმპერიალიზმის ძალების წინაშე სოციალიზმის ძალების, ომის ძალების წინაშე მშვიდობის ძალების მზარდი უპირატესობა იმას იწვევს, რომ დედამიწაზე სოციალიზმის ჯერ კიდევ სრულ გამარჯვებამდე, როცა მსოფლიოს ერთ ნაწილში კაპიტალიზმი კიდევ არსებობს, წარმოიშვეება ის რევალური შესაძლებლობა, რომ მსოფლიო ომი გამოირიცხოს საზოგადოების ცხოვრებიდან. მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვება

საბოლოოდ მოსპობს ყოველგვარი ომის წარმოშობის სოციალურ და ეკონომიკურ მიზეზებს. კომუნიზმის ისტორიულმა მისიამ მოსპოს ომები, დაამკვიდროს დედა მიწაზე მარადიული მშვიდობა“.

სკკპ პროგრამა არა მარტო შთავონებული შრომის, არამედ ხალხთა შორის მარადიული მშვიდობის დიდი დეკლარაციაა. იგი უმტკიცებს მსოფლიოს, რომ კომუნიზმი და მშვიდობა განუყრელად უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ „სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ობიექტური აუცილებლობაა. ომი არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს საერთაშორისო დავის გადაჭრის საშუალება“.

ეს კიდევ უფრო შეამჭიდროვებს მშვიდობის ძალებს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, დიად ბრძოლაში ხალხთა შორის მშვიდობის შესანარჩუნებლად.



ხაზა ბეჰლავა

## „კომუნისტი“—ჩვენი ხვალისდელი დღეა

მიმდინარე შეიღწეული იშლება საბჭოთა ხალხის კულტურულ და სამეურნეო წარმატებათა ნიშნით. ჩვენი ადამიანების დიდი შემოქმედებითი ენერჯია ვლინდება ყოველდღიურ შრომასა და ბრძოლაში ახალი შრომითი აღმაშენებლისათვის, ამ მიღწევებში, რომელთა შესახებ ყოველდღიურად გვამცნობს პრესა და რადიო. საბჭოთა ადამიანების ახალი, უმაგალითო შრომითი აღმაშენებლობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის გამოქვეყნებამ, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ხალხთა ბედნიერების დიად პროგრამას. ამ პროექტს განიხილავს სკკპ მორიგი XXII ყრილობა.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობის განუხრებელ ზრდაზე საბჭოთა ადამიანები — კოლმეურნეები, მუშები, ინტელიგენცია ახალი შრომითი მიღწევებითა და წარმატებებით უპასუხებენ, ფართოდ შლიან ყრილობის შესახვედრ სოციალისტურ შეჯიბრებას. პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად ჯერ კიდევ გაზაფხულზე ჩვენი რესპუბლიკის მესამინდებმა მალა აღმართეს შეჯიბრების დროში, ამ შეჯიბრებაში ბევრი, მაღალი კოლექტივისტური შეგნებულობით გამსჭვალული ფურცელი ჩასწერეს. ასეთია, მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის გმირის ს. ჩირინაშვილის წერილი ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ლესკენის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ყამბულათ თარჩაკოვის სა-

ხელზე და ამ უკანასკნელის პასუხი ს. ჩირინაშვილისადმი. ამ წერილებში სოფლის მეურნეობის ეს გამოჩენილი ადამიანები მეგობრულ შეჯიბრებაში იწვევენ ერთმანეთს. ეს უდავოდ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წამოწყებაა, რადგანაც, როგორც ნ. ს. ხრუშჩოვი მიუთითებდა, საქართველოს მშრომელების ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა მარცვლეულის, სიმინდის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლა.

ასეთი მოწინავე ადამიანები დღეს ჩვენ მრავლადა გვყავს არა მარტო სოფლად, არამედ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. დღეს ჩვენს გვერდით მუშაობენ შრომის გამოჩენილი გმირები, მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები და ხელოვანნი, ნოვატორები და რაციონალიზატორები, საინჟინრო-ტექნიკური და მეცნიერული აზრის გზის გამკვლევნი და განმაფითარებელნი. მათი შთაგონებული შრომა არის კომუნისტური მშენებლობის მტკიცე დასაყრდენი. ჩვენს მშრომელთა უმაგალითო გმირობა და თავდადება მანათობელ შუქურად იქცევა მთელი მოწინავე მსოფლიოსათვის. ამიტომ ვლერს ასე შთამაგონებლად პარტიის პროგრამაში სიტყვები მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, თანასწორობა და ბედნიერება, რომლებსაც კეშმარტი მნიშვნელობა მხოლოდ კომუნისტმა მიანიჭა. კომუნისტი დღეს უტოპია თუ ევროპაში მოარული აჩრდილი როდია, რაზედაც წარსულში ოცნებობდნენ როგორც „მზის ქალაქზე“, დღეს უკვე ჩვენს თვალწინ ხორციელდება. როგო-



რი სიამაყით ვიმეორებთ დღეს, რომ ჩვენი თაობა უკვე კომუნისტში იცხოვრებს.

თავის დროზე ვ. ი. ლენინმა გენიალურად სთქვა, რომ კომუნისტი ეს არის საბჭოთა ზელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია. ეს გენიალური ლენინური ფორმულა საფუძვლად დაედო „გოელროს“ ცნობილ გეგმას. მე მაგონდება სახელგანთქმული ინგლისელი მწერლის სოციალ-უტოპისტური რომანების ავტორის ჰერბერტ უელსის წიგნი „რუსეთი წყველიაღმში“, სადაც იგი სკეპტიკურად მოეციდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ლენინურ გეგმას და დიდ ბელადს „კრემლის მეოცნებეც“ კი უწოდა. რას იტყვოდა უელსი დღეს, როცა ლენინის იდეებმა გაიმარჯვეს, უჩვენეს მსოფლიოს სოციალიზმისა და კომუნისტების ძლევაშესილება, როცა ლენინის მეგვიდრენი მტკიცედ აცხადებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროექტში, რომ 1917 — 1980 წლებში ჩვენში უკვე შეიქმნება კომუნისტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა?

სკვპ პროგრამის პროექტში მკაფიოდ არის დახასიათებული კომუნისტი.

„კომუნისტში, — აღნიშნულია პროგრამაში, — არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება, სადაც წარმოების საშუალებათა ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრებაა, საზოგადოების ყველა წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია, ადამიანთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდებიან მუდამ განვითარებადი მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე. საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო სავსე ნაკადად იდენს და განხორციელდება დიდი პრინციპი „თვითთულისაგან უნარის მიხედვით, თვითთულს — მოთხოვნილების მიხედვით“. კომუნისტი თავისუფალ და შეგნებულ მშრომელთა მაღალორგანიზებული ორგანიზაციაა, რომელშიც დამკვიდრდება


საზოგადოებრივი თვითმმართველობა, საზოგადოების საკეთილდღეოდ მშრომელთა ყველასათვის გახდება პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება და შეგნებული აუცილებლობა, თვითთულის უნარი გამოყენებული იქნება უდიდესი სარგებლობით ხალხისათვის“.

რა არის ეს, თუ არა კაცობრიობის საუკუნოვანი იდეალების რეალური ხორცშესხმა, რომლის მოწამენი ჩვენ ვხდებით? განა არის სხვა რაიმე, ამაზე უფრო დიდი და შთამაგონებელი მწერლისათვის, მხატვრისათვის, ყველა ხელოვანისათვის?

ქართული საბჭოთა მწერლობა ყოველთვის ასახავდა საყოველთაო სახალხო მნიშვნელობის პროცესებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, მან შექმნა ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნელთა ბევრი მკაფიო, დასამახსოვრებელი სახე, არაერთი რომანი, მოთხრობა, ნარკვევი, პოემა და ლექსი საბჭოთა ადამიანებზე. კომუნისტური პარტიის დიდი პროგრამა მოგვიწოდებს ჩვენ, ქართველ მწერლებს, კიდევ უფრო დაეუახლოვდეთ ხალხის ცხოვრებას, შეექმნათ შინაარსიანი ნაწარმოებები ჩვენი დროის ადამიანთა შესახებ, რისკენაც მოგვიწოდა გავთმა „პრაგმა“, რანაც ელის ჩვენგან პარტია, ხალხი და რაზედაც ასეთი სიცხადითაა ნათქვამი პროგრამაში:

„ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან, სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მართალი და მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის შთაგონებული და მკაფიო წარმოსახვა და ყოველივე იმის მხილება, რაც უშლის საზოგადოების წინსვლას“.

ეს მოწოდება კეშმარიტად ალაფრთოვანებს სიტყვის ოსტატებს კომუნისტის შუქით განათებულ მხატვრულ ფასეულობათა შესაქმნელად.





ირაკლი აბაშიძე

## შემოდგომა

ღრუბლებმა ზეცა გადააჭრელეს,  
ზაფხულის მზეში ნაკრიალები...

უთუოდ ახლა  
    ომში დაჭრილებს  
ყრუ ტეხვით ტკივათ ნატყვიარები.

ისინი მგოსნებს,  
    დიდ მგოსნებს ძმობენ, —  
მათ ჩვენი ზოტბაც,  
    ჩვენი მადლობაც, —  
მგოსნებიც მათებრ ტკივილით გრძნობენ  
ამინდის ყოველ ცვალებადობას.

1961 წ. ივლისი



## აპაი ბალიაშვილი

# შვიდკაცა\*

კარგახანს ვიყავი ჩაკეტილი საკუქნაოში და გამახვილებული სმენით ყურს ვუგდებდი, რაც ხდებოდა ოთახში. ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმოდა, ჯერ როგორ გაალო წინაყარი ლექტიციამ და შეეგება მოსულს. მგონი, კიდევაც გადაეხვიენენ ერთმანეთს, რადგან რალაც კონცის მაგვარი გავიგონე. შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა, მარტო ასმიკას ფეხისხმა მესმოდა. ის რალაცას ფუსფუსებდა და ხან ოთახებში შეგარდებოდა, ხან სამზარეულოში, ხან სააბაზანოში. მერე სწორედ საკუქნაოს კარებთან მომესმა უცნობი მამაკაცის ხმა:

— სახლი როგორ დაგახვედრეს, მაჩვენე ერთი. სამზარეულოს არა უშავს რა. მოსამსახურეს უთხარი, აბაზანა გაახუროს თორემ ისეთ დღეში ვარ, ჭუჭყმა შემქადა. წამო, სხვა ოთახები მაჩვენე. ეტყობა ეს ახლამოსული ამ სახლისა და ქონების ბატონპატრონი იყო, მაგრამ ნეტავი ვინ? ლექტიციას პირველი ქმარი? არა მგონია, რომ მისი მოსვლით ასე შეშინებულყო. მაშ ვინ? მამა? იგი საიქიოდან ხომ არ დაბრუნდებოდა. მაშ ვინ? მაშ ვინ? ტვინი კინალამ გადამიბრუნდა ფიქრით.

თან ბრახით გულზე ვსკდებოდი, ასე რომ, წამახდინა შიშმა. ვერხვის ფოთოლივით ვთრთოდი. რამ დამაფრთხო მაინც მე უბედური. პიერკვადრატასი არ შემშინებია, ხარისთვის რომ შემოეკრა, წააქევედა. ღონით არც მე ვიყავი ნაკლები, ავრე ვაგლახად ბიჭი ხელს ვერ მომიკიდებდა, მაგრამ ახლა ისე მოვიშალე სახსრებში, ისიც კი მიკვირდა, ფეხ-

ზე როგორ ვიდექი. პატარაობისას სხვის ბალში რომ გადავიპარებოდი და თუ ვინმე მომისწრებდა, გული მისკდებოდა ზოლმე შიშით, ისე დამემართა. ალბათ, იმიტომ, რომ ახლაც, ვატყობ სხვის ბალში ვყოფილვარ შეპარული.

ვიყავი საკუქნაოში ასე საცოდავად აღუზული, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმოდა გაურკვეველი ხმები. ბოლოს, ეტყობოდა, ეს ჩემი თავზარდამცემი მამაკაცი აბაზანაში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ საკუქნაოს კარებიც გაიღო და ლექტიციამ ხელის ფათურით მომქმენა. თავი მკერდზე დამადო და ჩურჩულით მითხრა:

— წადი ახლავე და თავს უშველე.

ვინ არის ეს კაცი? — ვიკითხე მეც ასეთივე ჩურჩულით, თუმცა ხრინწმა ყელი შემიკრა.

— რად გინდა იცოდე. წადი ჩქარა, სანამ დრო გაქვს... — კისერზე ხელი მომხვია, უთოსავით ცხელი ღოყა ღოყაზე მომადო და თრთოლვით მითხრა: — გათავდა ყველაფერი!

— არსადაც არ წავალ, — ოღნავ ავეუძალე ხმას, მაგრამ, დაფეთებულმა ლექტიციამ ხელი ტუჩებზე დამაფარა და მითხრა:

— სსუ... ჩუმად. თუ გინდა, რომ ორივე ცოცხალი გადავრჩეთ, ახლავე წადი. თუ გინდა, რომ მეც ცოცხალი დავრჩე... წადი... თუ ჩემი ოღნავი სიბრალული გაქვს...

ხელი მაჯაში მომიკიდა, საკუქნაოდან დერეფანში გაიხედა და შემდეგ ასე ხელჩაიკიდებულნი წამიყვანა. აბაზანის ოთახიდან დგაფუნი ისმოდა. ჩვენ კი ორთავენი ფეხის წვერებზე გავედით ელამში. ლექტიციამ გაალო კარი და თავა-

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 8.

ლით მანიშნა, გავსულიყავ. შემდეგ ყურში წამჩურჩულა, აქ მოიცა, აქ მოიცა, შენს ნივთებს მოგიტანო, და კარი მომიხურა.

მორჩილად გავჩერდი, რადგან შედარებით უკვე სამშვიდობოს ვიყავ და ცოტა გულიც კი მომეცა. ხუთიოდე წუთის შემდეგ კარი ისევ გაიღო, ასიმიკამ ჩემოდანი გამომიდგა გარეთ და იმ წამშივე მოხურა კარი. სიტყვაც კი არ უთქვამს ჩემთვის.

დავაგლე ხელი ჩემოდანს და დავეშვი კიბეებზე. იმას კი აღარ ვკითხულობდი, სად მივდიოდი ამ ნაშუაღამევს თუ გათენების ხანს. მივრბოდი, რომ ცოტახნით მაინც ვავცლოდი ამ საიდუმლოებით მოცულ სახლკარს, მივრბოდი ბედის მიერ ასე მაგრად პანდურამოკრული, და ქუჩაში, რომ გავედი შევებით ამოვისუნთქე.

მიმოვიხედე. აღამიანის ქაქანება არ ჩანდა. ქალაქს ღრმა ძილით ეძინა. საამოდ გრილოდა. გავყევი გზას და ვერ მოვასწარი მთავარ ქუჩაზე გასვლა, რომ შეუქმნეველად ვიღაც ორი მამაკაცი წამომეწია. გამაჩერეს.

— მოითმინეთ ახალგაზრდა. სად მიბრძანდებით? — მკითხა ერთმა და თავიდან ფეხებამდე გულდასმით შემათავლიერა.

მაშინვე ვიფიქრე, ესენი, ალბათ, ან ქურდებია, ან ავაზაკები და გაძარცვას თუ მიპირებენ-მეთქი. ცოტა უკან დავიხიე და გულმოსულად მივახალე:

— რა თქვენი საქმეა, სადაც მივდივარ? ჩემგან ვერაფერს წაიღებთ, იცოდეთ.

— მოიცა, ბიჭო, — უნებურად გეცინა უცნობს. — მოწმობები მაჩვენე შენი.

ჯიბეებში არავითარი მოწმობა არა მქონდა და რა უნდა მეჩვენებია.

— კაცო, რა გინდათ ჩემგან, გამაგებინეთ?

— რაც გვინდა გეტყვი. შენ გვითხარი, ვინა ხარ და სად მიდიხარ?

— წადით, მომცილდით აქედან. რა თქვენი საქმეა, ვინა ვარ!

უცნობმა ხელი ასწია და სადღაც, რაღაც ანიშნა. იმ წამშივე თეთრს მიწიდან ამომჭვრალიყოს, მოგვრამაღდა წითელზოლიანი მანქანა, რომელზედაც ეწერა „მილიცია“ და ჩემთვის ყველაფერი გასაგები გახდა. გულახდილად უნდა ვითხრათ, რომ წესრიგის ეს დარაჯები არასოდეს არ მყვარებია, თუმცა თვითონ მე წესრიგის დიდი მოყვარული ვარ. მახსოვს, სკოლაში კი მასწავლეს მაიაკოვსკის ლექსი „ჩემი მილიცია მევე მდარაჯობსო“, მაგრამ მილიციელის დანახვა მაინცდამაინც დიდ აღფრთოვანებას არ იწვევდა ჩემს გულში. ალბათ, იმ უხეშობისათვის, რომლითაც ღვთის მადლით ზოგიერთი მათგანი უხედადა დაჯილდოვებული, მიუხედავად იმისა, რომ მათ ყოველდღე უკითხავენ ზრდილობის ლექციებს. მაგრამ ახლა, შიშის ნაცვლად უეცრად დავმშვიდდი და რუსი დიდი პოეტის ეს სტრაქონი დიდი სიმართლით შემეგება.

— კი, მაგრამ, რას მერჩით, გამაგებინეთ, — შევეკითხე მათ საოცრად მშვიდი და გულწრფელი კილოთი. — არ მაქვს ნება ღამე ქუჩაში ვიარო?

— როგორ არ გაქვს, მაგრამ შენ როგორ ფიქრობ, უმიზეზოდ მოგიკიდეთ ხელი?

— რა დავაშავე, გამაგებინეთ მაინც.

— წამოდი, იქ გამოვარკვევთ და თუ არაფერი დავაგვაგებია, ვინ რას გერჩის, შე კაცო.

ჩამსვეს მანქანაში და გამიყენეს გზას. თვითონ არ გამომყოლიან. ეს, ცოტა არ იყოს, არ მომეწონა. მაგრამ გუნებაში ვავიფიქრე, ალბათ, მოვლენ, აბა, რა იქნება მეთქი, და არხეინად მივენდე ჩემი ცხოვრების გზაზე ამ დაღმა დაქანებულ ტალღას, ახლა რომ მილიციისაკენ მიმარბენინებდა.

მორიგეს ჩამაბარეს. მან ამხედ-დამხედა უძილობით გამობლუტილი თვალებით და შეუდგა ჩემს დაკითხვას. ვინ ვარ, სად ვცხოვრობ, რად არ მაქვს საბუთები, სად მივდიოდი, საიდან მოვდიოდი?

ახლა კი მართლა დამასხა ცივმა ოფლ-

მა. ვინ ვარ, ამაზე კი ვუპასუხებ, მაგრამ სად ვცხოვრობდი, ან საიდან მოვედიოდი, რა უნდა მეთქვა, როგორ გამეშხილა. ენა დამება და დავიწყე უმწეოდ ბლუკუნი.

— სოფლიდან ჩამოვედი, გამოცდებისთვის უნდა მოვემზადო.

— ვისთან მიდიოდი? — გამჭვალავი თვალით გამხედა მორიგემ.

— ნათესავთან. — გამახსენდა რომ მართლა მყავდა აქ ნათესავი.

— სახელდობრ?

— დედაშვილი მყავს აქ. იმასთან.

— სად ცხოვრობს ის შენი ნათესავი?

— კლდეკარის ქუჩაზე.

— მერე აღმართის შესახვევეში რალა გინდოდა?

— შემეშალა. სამი საათია დავეძებ და ვერ მივაგენი. იქნება თქვენ მასწავლოთ.

— შეგეშალა? ჰო, ო? — ისე მითხრა, რომ შევატყე არაფერი არ ჯეროდა ჩემი. ჩემოდანში რა გაქვს?

ახლა უფრო დავიბენი. რა ვიცი. რა ჩაყარა დაფეთებულმა ლეტციამ ამ თავის შესანიშნავ ტყავის ჩემოდანში.

— რა მაქვს და პირადი ნივთები.

— სახელი არ ქვია იმ პირად ნივთებს?

— ტანისამოსი და წიგნები.

— ჩამოთვალე ყველაფერი, სიას შევადგენ და შევამოწმოთ.

ჩამოთვალე ზეპირად, რაც შესაძლებელია ყოფილიყო, ჩემოდანში, ჩემის ვარაუდით. გახსნეს ამოალაგეს, ნახევარზე მეტი არ დაემთხვა და რამაც ყველაზე მეტად გამიფუჭა საქმე, ეს იყო ორი დასტა ფული. რამდენი? წარმოადგენა არ მქონდა! ჩამაცივდნენ, ეს რატომღა აღარ თქვიო. სხვაზე აღარ მედავებოდნენ, რადგან ჩემოდანშივე აღმოჩნდა ჩემი პასპორტი და, ცხადია, თუ ჩემი არ იყო ეს ნივთები, პასპორტს შიგ ვინ ჩადებდა. მაგრამ ფული? მერე ამდენი.

გადააქნია თავი მორიგემ და მერე მიბრძანა, ქამარი შემეხსნა. არ ვიცოდი და, თურმე, საკანში მაგზავნიდა. გაეძლიანდი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, სულ ბუნძულ-ბუნძულით გამიგდეს წინ.

საკანში მარტო ვიყავი. რა გავწეობოდა. წამოვწეკი და კერს აებედე: *მეცა* პატარა ელექტრონის *ლამპა* საცოდავად ანათებდა ამ ერთ ციკქნა ოთახს. კედლები დაფხაჭნილი იყო წარწერებით და ოდნავი შმორის სუნი დიოდა.

ესეც შენი ბედნიერების მწვერვალი, ნოდარ! მართალია, თავი სავესებით უღანაშაულოდ მიმანხნდა რადგან არაფერი არ ჩამიდენია ისეთი, რაც შეიძლება ბოროტმოქმედებდალ ჩამთვლოდა, იმედინადაც ვიყავი, რომ დილით ყველაფერი გამოირკვეოდა და გამათავისუფლებდნენ, მაგრამ გული იმაზე მწყდებოდა, ეს ჩემი სანეტარო სვიანობა საპნის ბუშტივით რომ გასკდა და მეც მწვერვალადან უტბად ფსკერზე მოვექეცი.

სად მეძინა და სად მძინავს!

... და მაშინვე წარმომიდგა იგივე საწოლი, სადაც ახლა ის უცნობი მამაკაცი, ალბათ, გულში იხუტებდა ლეტციას. თავში სისხლი ამივარდა. რა მომარბენინებდა მე შტერს! ის ერთი კაცი რაღა მომერეოდა. მომეკიდა ხელი, ერთი მაგრად მიმეყეუა და დამეშვა კისრით კიბეზე. იმას ვითომ რატომ უნდა პქონოდა ჩემზე მეტი უფლებები — დაპატრონებოდა იმ ქალს, რომელსაც ყველაზე მეტად მე ვუყვარდი.

ვინ ვარ ახლა მე? კაცი ვარ? რა კაცი ვარ? გლახა ვარ, ღვთის გლახა! ახ ამართად წამოვყევი ასე თხასავით, რა უფლება მქონდათ, რომ მტაცეს ხელი და წამომართიეს აქ? რა მინდა აქ?..

გიყვივით წამოვევარდი და კარებს მუშტები დავუშინე. თან ხარით ვლრიანლებდი და ვბლაოდი, გამიშვით! რა გინდათ ჩემგან? მე პატიოსანი კაცი ვარ, გამიშვით თორემ კედელზე თავს მივახეტქებ და თავს მოვიკლავ მეთქი.

კარები გაიღო და საკანში მორიგე შემოვიდა.

— რა გაღრიალებს, ბიჭო, შენ?

— გამიშვით, რა გინდათ ჩემგან? — ქვითინი ამივარდა და ამან უფრო გამაცეცხლა. — გამიშვით, მე პატიოსანი კაცი ვარ, არაფერი არ მომიპარავს, გამიშვით თორემ თავს მოვიკლავ.

— მოიცა, ბიჭო, რა მოგივიდა, არ ვრცხენია! — მოულოდნელად დამიყვავა მან. — ერთი დამე არ შეგიძლია მოითმინო? ხვალ დილას მოვა უფროსი და გავიშვებთ. შე უფლება არა მაქვს უიმიოდ, შე კაცო...

— გამიშვი, ბიძია... — გავიმეორე ზღუტუნით.

— ... ჩვენ კი არ შეგვამთ, ბიჭო. შენხელა, სწორეთ შენხელა შეილი მყავს. აბა, რავე გგონია დაწყნარდი ახლა, დაიძინე, რამდენიმე საათში მოვა უფროსი და გავიშვებთ.

მოწყვეტით დავეგდე ლოგინზე და ისე შეუშინველად ჩაძინებოდა ამდენი ღელვისა და გულისხეთქის შემდეგ, სულ არ გამიგია.

დილას მილიციელმა გამაღვიძა და მითხრა:

— წამო, გამომძიებელს ჩვენება მიეცი.

წამოვეარდი ზეზე, გავყევი უკან. გავიარეთ დერეფნები. მიმიყვანა რომელიღაც ოთახთან და გამიღო კარები.

შევედი. მაგიდას ვიღაც ახალგაზრდა კაცი უჯდა და წერდა. აიხედა შემომხედდა და...

ოვალებს არ ვუჯერი, ჩემი ღვიძლი დეიდაშვილი მიცქერის.

— ჯანიკო! — აღმომხდა სიხარულით.

— ნოდარ, შენ ხარ ბიჭო ეს? — გაუყვირდა მას და ფეხზე წამოიჭრა. — შე ღმერთ გამწყრალი, აქ რა გინდა? რომ ამოვიკითხე შენი სახელი და გვარი არ მჯეროდა, სხვა შეგონე.

სულ ერთი წელიწადიც არაა, რაც ჯანიკომ იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და ვიცოდი, რომ სადღაც აქ მუშაობდა, უშიშროების კომიტეტში, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაგრამ არ მეგონა, თუ აქ დამხვდებოდა.

არ ყოფილა ჩემზე მთლად გამწყრალი ბედი! თითქო ხელახლა დაეხადებულყო, ისე გამეხარდა მისი ნახვა.

— შენ რაღაი დაგინახე, აწი აღარაფერი მიჭირს, — აღმომხდა სიხარულით.

— რა გინდა, ბიჭო, შენ აქ? — ისევე გავიმეორა კითხვა დეიდაშვილმა და სა-

ხე საოცრად მოეღრუბლა, — შენ გამოდი წუხელი იმ ბინიდან? *რქენულნი*

— რომელი ბინიდან? *მზღიროთქა*

— რომელი და... — არ ვიცი, მემუქრებოდა თუ დანანებით ამბობდა, ისე დაიქნია რამდენჯერმე თავი ჯანიკომ და სკამზე მიმითთა. — დაჯექი ახლა და დაწვირებებით მიაშვთ თავიდან ბოლომდე ყველაფერი. არაფერი არ დამიძალო, თუ გინდა რომ სამუდამოდ არ დაიღუპო და იქნება გემველოს რამე.

— ასეა საქმე?

— ასეაო? შე უბედურო, რომ იცოდე რანაირ დავიდარაბაში ხარ გახვეული!

— კაი, არ გამაგეო!

— დროს ნუ კარგავ, მოყევი ახლავე თავიდან. შენი ბედი რომ შე დაგიხვდი აქ. მართლა იღბალი გქონია! ვაგებულები კი მქონდა, ნოდარამ ვიღაც უმაღლესი განათლების მდიდარი ქალი შეირთო. დედაჩემმა მომწერა, მიდი, ნახეო. მაგრამ ვერ მოვიცალე მოსასვლელად. მიაშვებ ახლა რაც გადაგხდა.

ჯანიკომ გულდასმით მომისმინა და ერთხელაც არ შევჩერებულვარ. გულახდილად ვუამბე ყველაფერი. ჩემი დეიდაშვილისათვის აბა, რა უნდა დამემალა, თუმცა სხვაც რომ ყოფილიყო, ალბათ, არც იქ დაეფარავდი რამეს, რა მქონდა დასაფარავი.

— მაშ, ასე ვითხრა, მამაჩემი გინეკოლოგი იყო და ამორტებით დააგროვა ამდენი სიმდიდრეო? — მკითხა ფიქრებში წასულმა დეიდაშვილმა.

— როგორ, ვითომ ტყუილი მითხრა?

ჯანიკომ ჩაიციხა და კითხვაზე არ მიბასუხა. ტელეფონს მიწვდა, ვიღაცას დაურეკა და მორიდებულად მკითხა, ესადღეს ახალგაზრდა ჩემი ახლო ნათესავია და როგორ მოვიცქეო. გული სიხარულით ამიჩქროლდა, მეშველა, გამანათავისუფლებენ-მეთქი. მეგონა, მაგრამ მოეტყუედი. უფროსმა რა უთხრა, არ ვიცი. მაგრამ ჯანიკომ დამთავრა თუ არა მასთან საუბარი, ტელეფონის მილი ორკამზე დაავლო და ქაღალდებში დაიწყო ფათური.

— რას შევები ახლა? — მოუთმენლად ვკითხე მე და ამ ჩემს კითხვაში იგულისხმებოდა, რაღას უცდი, თუ მანთავისუფლებ, ბარემ გამანთავისუფლეთ მეოჭი.

— შენ სხვა გამომძიებელი დაგკითხავს. რაც მე მიაჩნებ ასე გულახდილად უთხარი ყველაფერი. მერე ადგილზე შეამაწმებენ ყველაფერს, წაგიყენებენ პირში ორივეს, იმ ქალს და იმ კაცსაც, ვინ იცის, რას იტყვიან შენზე და თუ სუყველაფერი გამართლდა, რასაც შენ ამბობ და მეტი დანაშაული არაფერი მივძიდვის, ჩემის აზრით შეიძლება პირობითი სასჯელი მოგისაჯონ. გასამართლებით კი პასუხისგებაში მიგცემენ სამივეს და...

— სამივეს? ვის სამივეს?

— იმ შენს დულცინეას, იმ კაცს და შენც. არა, თუმცა, სხვებიც იქნებიან თქვენთან, ისე რომ მოწყენილი არ იქნები.



პლაცკარტიანი ვაგონის კუბეში ბნელოდა. ჩემს მეტს მგზავრებს ყველას ეძინა. მე ფანჯარაზე ვიყავი მიკრული და დილის ბინდბუნდში ხარბად ვუცქეროდი შემოდგომის ცივი წვიმით დასველებულ მთაგორებს, ტყეებს, ბუჩქებს, სისხლივით წითელფოთლებიანი თრიმლით დაფარულკლდოვან ფერდობებს. ფანჯრის მინაზე ზანტად მოცურავდნენ წვეთები. შორს კი გორების თხემებზე დაბლოჭილებდნენ ნისლის ქულები. ხანდახან სიბნელეში შეერბოდით და ეს გაუთავებელი გვირაბები ბოზი ხმით დაგვბუბუნებდნენ თავზე.

ჭიათურაში ადრიადად შევედი. თენდებოდა. წვრილად სცრიდა და სიცივე ძვლებში ატანდა. საშვეარდნო კლდეს ღრუბლებში შეეყო თავი.

მგზავრები ზანტად სცილიდნენ მატარებელს, მაგრამ მერე ფუსფუსით გარბოდნენ. ვინ შინისაკენ, ვინ ავტომანქანებისაკენ.

გაჩერდი და მიმოვიხედე. რა გამეზარდა, რომ ეს ჭიბიანი კლდე ისევ და-

ვინახე. თითქო ჩემს საკუთარ სახლში, ქორბუდეში ვიყო უკვე. ასე მგონია მთელი საუკუნე არ ვყოფილვარ აქამდე მიდამოებში. ახლა მალაროში ვაპირებ მისვლას, ჩემს ბრივადაში. თუ მიმიღეს ისევე. სოფელში კი ჯერ ვერ ავალ, ასე თავმოჭრილი და შერცხვენილი.

გაუწყვეი ისევ იმ გზას, რა გზითაც პირველად მოვედი აქ, ჩემს ამხანაგებთან ერთად, გაუწყვეი წვიმით ალაპლაპებულ ასფალტს, ავხედე ხარაჩოებში ჩასმულ უზარმაზარ კულტურის სასახლეს, ფოთოლგაცვენილ ალვის ხეებს, გავედი ზედა ხილზე. ტრესტის სამმართველოს კოშკზე საათი შვიდს უჩვენებდა. მელანივით შავი ყვირილა ხმაურით მოაქანებდა ტალღებს. შხუილით დაპქროდნენ მძიმე საბარგო მანქანები და დაუზოგავად ჰყუბავდნენ თითო-ოროლა გამვლელს გუბებების წყლით.

მივიღიოდი და მიუხედავად ამ წვიმიანი დღისა, ამ ძვლებამდე ჩამძრომი სიცივისა, მე მაინც უდიდეს სითბოსა და სიხარულს განვიცდიდი. უზომოდ მახალისებდა ამ კლდეებზე შესკუპებული შუშაბანდიანი სახლების დანახვა, თითქო ყოველ იმ სახლში ჩემთვის ვინმე ძალზე ახლობელი ადამიანები ყოფილიყვნენ.

მერე ჩავეჯექი საბაგირო გზის ვაგონში და დაორთქილი ფანჯრიდან დავცქეროდი ამ კლდეთა გალაგანში გაშენებულ ქალაქს, თავზე რომ ღრუბლის საბანი გადაფენოდა. მალე ჩვენი ვაგონი ამ ღრუბელში აძვრა. ზემო სადგურში ყველაფერი რძისფერი ნისლით იყო დაფარული. მაგრამ მე თამამად მივაბიჯებდი ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობ გზაზე. ბეუტავდნენ შარავანდედებით შემორკალული ჯერ კიდევ დაუმქარალი ელექტროლამპები. სადღაც ზევით ლანდებივით ზანტად მიცურავდნენ სიერცემი, ბაგირზე დაკიდული მარგანეციით დატვირთული ვაგონეტები, საიდანღაც ისმოდა მოტორების ყრუ ხმაური. ელმავალი ვრიალით მიაგორებდა გვირაბისკენ ცარიელ ვაგონებს. რახრახით ცვიოდა ბუნკერიდან ღარში მადნის გაროხები.

მივდიოდით და ეს ნაცნობი ხმაური აზღვევებულ მუსიკად მესმოდა. პალტო არა მქონდა. წვიმამაც საკმაოდ დამასველა, მაგრამ სიცივეს არ ვგრძნობდი. სიარულში გავხურდი.

მივედი ჩვენი მალაროს უბანში. საერთო საცხოვრებელში, იმ ოთახში, სადაც ჩვენ ვიდევით, გამოირკვა, რომ სხვები ცხოვრობდნენ და უხერხულად შევჩერდით.

— ვინ გნებავთ? — მკითხა ერთმა უცნობმა ახალგაზრდამ და ლოგინიდან თავი წამოწია. ეტყობოდა, მას ღამის ცვლაში ემუშავნა და ახალი ჩაწოლილი იყო ლოგინში.

— პარმენ ნიორაძის ბრიგადა არ ცხოვრობს ამ ოთახში?

— არა ამხანაგო, ისინი ახალ კორპუსში არიან.

მითხრა ეს და ისევ წარგო თავი ბალიშში. მერე ძილ-ღვიძრად მომამახა:

— ისინი ახლა სახლში არ იქნებიან. ცვლაში არიან გასული. ვხაში შემხვდნენ, რო მოვდივდი. მეცხრე ლაგში მუშაობენ.

გასვლა ვერ მოვასწარი ოთახიდან, რომ დაფეთებულ იყო მომამახა:

— ნოდარი ხომ არ ხარ შენ?

— ნოდარი ვარ.

— დეედა, რაფრად მოგელიან, რო იცოდე, — წამოიჭრა ზეზე ახალგაზრდა კაცი და საცვლების ამარა მოტყაპუნდა ჩემთან. — გამარჯობა შენი. მე ვერ მიცანი?

— ჭეც გიცანი და ვერც გიცანი.

— მე ჭუჭულა ვარ, ბრეგვაძე. რას შევები? რა ვა ხარ? შენზე თქვეს, ამერიკელი ქალი შეურთაეს, მილიონერიო, მარა მთავრობამ არ მიცა ნებაო. მართალია?

— კიდე რა თქვეს? — უნებურად მელიმება და თან გუნებაში მიხარია ამისთანა ფანტასტიკური ჭოროი რომ გაუფრცვლებიათ ჩემზე.

გავეშურე მეცხრე კორპუსისაკენ. იგი სრულიად ახალი შენობა აღმოჩნდა და სულ ახლო იყო მთავარ გვირაბთან. როდის დაიწყეს, ან როდის ააშენეს ეს

სამსართულიანი სახლი, წარმოდგენა არა მაქვს.

ერეკნული

სახლიდან ჩანთიანი მანქანები გამოვიდნენ, ორი ბიჭი და ერთი გოგო და მხიარული ჟივილ-ხივილით გაუდგნენ გზას სკოლისაკენ. ერთ აივანზე ვილატორსული ქალი, საოცრად დიდი მუცლით და დაეარცხნილი თმებით, ბრტყელი ცოცხით იატაკსა და კიბეებს გვიდა.

— უკაცრავად, თქვენ გეცოდინებათ, პარმენ ნიორაძის ბრიგადა ამ შენობაში ცხოვრობს? — ვკითხე ამ უცნობ ქალს.

მან ხვეტას თავი ანება, წელში გაიმართა და მხოლოდ მაშინ ვიცანი ანიკო, ჩვენი ჭოკივით გრძელი ანიკო. რას დამგვანებია ეს გოგო! სახე მთლად დაქორფლია, გასუქებულა კიდევაც, თუმცა მკლავები და კანჭები წინანდებურად კალიასავით წერილი აქვს. მუცელი კი, გავიხარიათ, თუ ერთი სამი ბიჭი არ უზის შიგ, კისერს მოვიჭრი.

— უი, ნოდარი ხარ? — მიცნო მანაც, კიბე ჩამოირბინა და ხელი გამომიწოდა. გამარჯობა. როდის ჩამოდი? მოდი სახლში შემოდი.

— მიიღეთ ბინა?

— მოგვეცეს ერთი ოთახი, მერე გვირდებიან...

ოთახში შევედი. უბრალოდ შეთეთრებული კედლები. ერთი იაფფასიანი რკინის საწოლი, ორი ერთმანეთზე შეწყობილი მუცლიანი ბალიშით და ბეწვიანი შალის საბნით. კუთხეში პატარა ოთხკუთხა მაგიდა, ჩვენებურ სასაუზმეებში თუ სამიკიტნოებში რომ ნახავ, ისეთი, ორი ტაბურეტი, ერთი პატარა იაფფასიანი კარადა, ბაზრებზე რომ გამოაქვთ ისეთი, ზედ გადაფარებული გაზეთით. ეს გაზეთი უბრალოდ კი არ იყო დაფენილი; წინა ნაწიბური მას მაკრატლით მქონდა აჭრელებული, ვითომდა ესეც მაქმანით იყო შელამაზებული. კედლებს ამშვენებდა რამდენიმე ბნელი ფოტოსურათი და ძველებური ღია ბარათი წარწერით: „ს ნოვიმ გოდომ“. ერთ კუთხეში ლურსმენებზე ეკიდა მთლიანად დოლბანდში გახვეული ტანსაცმელი.





— მოგიწყვიათ ოჯახი, — ეტყვი დიმილით, ჩემოდანი კუთხეში მივდგი და ტაბურეტზე ჩამოვჯექეი — ნაწევარა როგორა?

— რა მოგიწყვიდა! ოჯახის მოწყობა რომ აგრე ადვილი იყოს! არაფერი არ გაგვანია, ძამია.

— ნუ გეშინია, ყველაფერი იქნება. — ვანუგეშე მე და კიდევ ერთხელ შევათვალურე ეს კუჭუჭბერა ოთახი.

— ეჰ, იმედით ცოცხლობს ადამიანი, ჩემო ნოდარ, თორემ... შენ რას შევბი, როგორა ხარ? რაც შენზე ზმები დადის, ყური რომ დაუგდო. გაგიყდები. მართლა, მდიდარ ოჯახში ჩაესიძაო, მართალია?

— ცოტა კი ჯობდა შესას. მაგრამ ვატყობ განგებას ასე გაუნაწილებია. შენ ქონება არაფერი გაგანია და ბედნიერებით აღვსილი ხარ, იქ კი ქონება ასე იყო, ა! — თავს ზევით ვუჩვენე ხელი, — მაგრამ ბედნიერების ნატამალი არ იყო... საბნის ბუშტივით გასკდა და გაქრა.

— რას მეტუნები! რატომ? ჩვენ აგერ წელში ვწყდებით და არაფერი გვაქვს, შენ მაინც გქონოდა რამე. გაშორდი?

— გამაშორეს.

— ვინ? რას გერჩოდნენ. მამიყვი ერთი, შენ გენაცვალე. დაჯექეი. ნამგზავრი იქნები, ახლავე გასაუხმებ. ჭყინტი ყველი მაქვს და ქალი, თუ არ დამიწუნებ. ჩაის ავიღოლე კიდევ. ღვინოზე ნუ დამემდღურები.

— არა, არაფერზე შეწუხდე. კანტორაში მინდა წავიდე, ინჟინერი უნდა ვნახო.

— აქ აპირებ ისევ მუშაობას?

— აბა რა ვქნა? ისე, დაუსწრებლიდან გამრიცხავენ, თუ უკვე არა ვარ გარიცხული და თუ წარმოებაშიაც არ ვიმუშავებ, ჯარში წამიყვანენ. კი მერჩია ჯარში წასვლა... ისეთი საქმე შემემთხვა, სულ არ მინდოდა გამოჩენილიყავი აქეთ.

— რაზე, შე კაცო, შენს მეტი არავინ ყოფილა დაჭერილი!

— გაიგეთ ყველაფერი, ხომ?

2. „მნათობი“, № 8.

— შენ რომ არაფერ შუაში ყოფილხარ, ეს ვიცით. აქ მოვიდამ და ვთქვით, თუ იდებთ თავზე და დაგვიდასტურებთ, რომ პატიოსანი ბიჭია, გამოვუშვებთო. პარმენმა შეკრიბა ბიჭები, კრება ჰქონდათ დიდი. სუყველა მისი თავდები ვიქნებითო. მამა!

— ჰო, და ეგ რომ გავიგე, იმიტომ გამოვწვიე აქეთ. სახლში კი არ ავსულვარ ვერ.

— ბიჭებიც ისე მოგელიან, ვერ წარმოიგებ.

— ხო კარგად იზუნებთან ქვაში. სინუსა როგორა!

— სინო? ვერ არის კარგად, მარა რას იზამ.

— რა მოუვიდა.

— არაფერი, — გაიღიმა ანიკომ და დამნაშავესავით ფანჯარაში გაიხედა. — დოდო რომ გათხოვდა, არ გაგივია?

— კარგი, ერთი! ვის წაყვა?

— ინჟინერ ქელბაქიანს.

— არ დაუწვამს ეს ჩემი სინუსა! არაფერია! მეც გამითხოვდა ჩემი მშეთუნახვი და არ მომიკლავს თავი.

— დაკრა ფეხი და მიატოვა სამუშაოები. მერე წავიდენ ბიჭები და დააბრუნეს მალაროში. კაი ბიჭი ყოფილა, დედა ნუ მომიყვდება. ხომ იცი, შემეცოდა. დოდომაც უთხრა, ნუ გეწყინება, მე საშენო არ ვიყავი, მე და ქელბაქიანს შორის სხვანაირად იყო საქმე, ახლა არ მრცხვენია, გეუბნები და ცუდად ნუ გამიგებო.

— პატიოსანი გოგო ყოფილა, ღმერთმანი!

— მართლა კი არ ყოფილა მათ შორის რამე, მარა ისე უთხრა, ნამეტანი რომ არ დაწყვეტოდა გული.

— ოჰ, რა ხართ ეს ქალები. ერთმანეთის ტყავს რო არ დახვეთ. ღვთის მადლით ამ ერთ წელიწადში გაგიცანით ყველა...

— ახლა, შენ რავარი ქალი შეგხვდა ვერ გეტყვი და ჩვენზე როცა ლაპარაკობ, ნურას უკაცრავად. ჯერ არ გადაშენებულა ჩვენში პატიოსნება და ნამუსი.

9478





— ო, ისემც! — ვითომ ვჭირქილებ მე, მაგრამ გუნებაში მაინც ვეთანხმები ახლა, ვოგო რომ ბიჭს არ შეეცდინოს, იმისთანა დრო, მგონია, არც ძველად ყოფილა, მაგრამ ჩვენი ქალის პატიოსნება ჩვენს სოფელში, მგონია, მაინც არ უნდა იყოს დაკარგული.

ანიკოს, ვატყობ, სული მისდის, ისე უნდა ჩემი თავგადასავალი ვაიგოს, მაგრამ ახლა მაგისტის მცალია! ძალიან უნდა ცივი ქადით და ჩაით დამაბას, მაგრამ ავკარი ყველაფერს ხელი და კანტორაში წავედი.

რალაც მიღიტინებს გულთან და გული სიამაყით მიჩქროლავს, რადგან სათითაოდ ვამჩნევ ყველას, რომ მათ თვალში გმირად გამოვიყურები. ყოველ ადამიანშია, ალბათ, ჩამალული პატივმოყვარეობის ეს ჭია, და გაიღვიძებს თუ არა, მოსვენებას არ გაძლევს. ოღონდ სახელი გაითქვა და, სულ ერთია თურმე, გინდა კაიკაცობით ყოფილა იგი, გინდა ცუდკაცობით, მაინც ისე გიზიციანებს სულში ეს ჭია, ისე, ისე, რომ შეიძლება კიდევაც ვაგაგიყოს. რას ჩადინხარ მერე, აღარ იცი. უბედურება ისაა, რომ დიდსა და პატარას ერთნაირად ურევს ტვინს. ციხეში რომ ვიჯექი ერთი ტუსალი მოიყვანეს. სამი კაცი მოგვლა ქუჩაში დანით. რატომ მერე? ისე, ხოში მჭონდა და მოვკალიო. ჯერ ტუსალები რანაირად ეპყრობოდნენ და მერე თვითონ რაფერ ეჭირა თავი! თითქოს დიდი სახელმწიფო საკითხი გადაეჭრას, ისე სცემდნენ თავგანს ამ ღეთისპირისაგან გადავარდნილს და ისიც ისე დადიოდა, გეგონებოდათ ამ ქვეყნის მამასახლისი ყოფილიყოს.

მეც ეს ჭია მიზიციანებდა გულში და მაშინ მაინდამაინც ვერ ვხვდებოდი ამას, ცოტა მოგვიანებით, მიგზედი ამ ჩემს სულელურ აფორენებასაც და სხვების ჩემზე უარესად სულელურად აფორიანებდასაც. ახლა კი, რაც უფრო ცქვიტავენ ყურს ჩემი სწულის გახსენებაზე და რაც უფრო მეტი ინტერესით მათვალეობენ, მით უფრო ცაში ავდივარ.

ამ განწყობილებით შევალე მალაროს

მთავარი ინჟინრის კაბინეტის კარი/და თამამად მივესალე დამხდურებს...

მთავარი ინჟინერი მარტო... თანამშრომლებით გარშემოხვეული მალაროს გეგმაზე დახრილიყო და ნახაზზე ფარგალით რალაცას ზომავდა. ყველანი ისე იყვნენ გართული საქმით რომ ჩემთვის არავითარი ყურადღება არ მოუქცევიათ.

— რა ვითხრათ, იცით? — უთხრა მთავარმა ინჟინერმა უბნის ინჟინრებს. — და ფარგალი ნახაზზე დაავდო, — თუ ის ოთხი ბრიგადა არ მილალატებს, ნომბრისთვის დაეურტყამთ წლის გეგმას. შარცხენა უბანი, მართალია, მთლად დაიკალა, მაგრამ უკვე მთავარი გვირაბის მცველ მთელანებს მოვდგებით, ვაგონების გამოგორების მანძილი ყოველდღე დამოკლდება და...

— ეჰ, დამოკლდება და ჩვენი მაღაროც მალე სულს დალევს, — დანანებით თქვა ჩვენი ცვლის უფროსმა იასონ წერეთელმა. — გაისად სხვაგან უნდა ვეძიოთ სამუშაო...

— გაისად დარკვეთში გადავალთ. აბა, ეს მაღანი რომ არ იცლებოდეს, იმისთანა ჯერ არ გამოუგონებია ბუნებას. — მერე მოულოდნელად მე შემნიშნა მთავარმა ინჟინერმა და ცოტა გულმოსულად მკითხა. — ჩემთან გაქვს საქმე?

— დ... დიახ, — დამეხა ენა.

— მოიცადე გარეთ. დაეამთავრებთ და მერე შემოდი.

ის იყო დავაბირე გაბრუნება, რომ იასონ წერეთელმა მომამბა:

— ბიჭო, შენ ნოდარი ხარ?

— მე ვარ, — შევდექი კარებთან.

— მოდი აქ! — გახარებულმა მომამბა და მერე მთავარ ინჟინერს მიუბრუნდა, — ეს ნოდარ ტყემალაძეა.

— რომელი ნოდარ ტყე... უი, შენ ხარ, ბიჭო, ის გმირი? — გაიღიმა მან და ხელი დამიქნა, — მოდი აქ.

იმ წამშივე საქმეც დაავიწყდათ, ნახაზიც და ისე შემომეხვიენ გარშემო, თითქოს მთვარეზე გაფრენილი კოსმონავტი დაბრუნებულიყოს უკან. შემომეხვიენ და ისეთი გაფაციცებით დამა-

ყარეს კითხვები, აღარ ვიცოდი, ვისთვის მებასუხა და საიდან დამეწყო. მალე კანტორა ვაიქედა ახლად მოსული ცნობის-მოყვარეებით და ტევა აღარ იყო.

— მოდი აქ, აგერ დაჯექი, — მითხრა მთავარმა ინჟინერმა და გვერდით მომისვა, — გვიამზე ახლა, რაში იყო შენი საქმე...

— მართლა ამერიკელი მილიონერი ქალი შეირთე? — მესროლა ვილაცამ კითხვა.

— არა, ამერიკელ ქალს რას გავაგებინებდი, კიდევაც რო შემხვედროდა.

— იმას შენი ლაპარაკი კი არ დაჭირდებოდა... — ხუმრობს ვილაცა, მაგრამ დირექტორი აწყვეტინებს:

— დაიკათ, თვითონ გვიამბობს, როგორც იყო. სანატორიუმში გაიცანი? მე თავის დაქნევით ვეთანხმები.

— ვინა ვარო, არ გითხრა?  
— რაეა არ მითხრა.  
— ვინ ვარო?  
— ვინ ვარო და... ერთის სიტყვით, ვინც იყო, იყო.

— შეხედი?  
— შევხედი.  
— თუ ვარგოდა მაინც!

მე ისე გავიღიმე და ისე ავწიე ცხვირი, რომ ვაგრძნობიე, ეგ რა საკითხავია, ვარგოდა, მაგრამ როგორ მეთქი.

— ახალგაზრდა იყო?  
— ჩემზე უფროსი იქნებოდა, ერთი ხუთი წლით.

— მერე, მერე? ხუთი წელი არაფერი არ არი. სტუდენტობის დროს ერთი ქალი გავიჩინე საყვარლად. ერთხელ მეუბნება, ჩვიდმეტი წელია ქმართან ვცხოვრობდი, რვა წელია გაცილებული ვარ, ოცდაორის ვიყავი, რომ გავთხოვდიო. მე კი ოცი წლის ბიჭი ვიყავი.

— კბილები თუ ჰქონდა მაინც! — ეკითხება ვილაც მთავარ ინჟინერს და ამ ხუმრობაზე თოფისწამალივით იფეთქა სიცილმა.

— რა ვიცი, მგონია, პროტეზები ჰქონდა ჩადგმული, — სიცილითვე უპასუხა მთავარმა ინჟინერმა და მერე მე

მომიბრუნდა, — შეხედი და ეცი მაშინათვე!



— არა, ცემით არ ვცემივარ, მართლა — მართლა მდიდარი ქალი იყო, ბიჭო?  
— იცოცხლე, იყო, მარა...

— ხელი მოაწერეთ? — არ მაქლის სიტყვის დამთავრებას მთავარი ინჟინერი.

— არა, არ მოგვიწერია.  
— აბა, რაფერ...

— რად მინდა მმანში წასვლა, აგერ იყავი ჩემთან, დაჯექი, ისწავლე, ჩაგაცმევ, დაგაზურავ, გასმევ, გაქმევ...

— ბიჭო, ანგელოზი ხო არ იყო, ციდან ჩამოსული. ვინ იყო ამისთანა...

— შხითვიანი ქალი ყოფილა, — შენიშნა ვილაცამ.

— მერე, მერე... — მესმის ერთი მხრიდან.

— ე, ბიჭო, ნუ უშლით ხელს... — ისმის მეორე მხრიდან...

— აცალეთ ლაპარაკი. თუ არ აცლით, ისე რას გვეტყვის? — ამბობს მესამე. და ისე მიცქერის ყველა, თითქოს ჩემს პირში აპირებენ ჩაძრომას.



რამდენიმე საათი გავგრძელდა, მგონი, ჩემი ამბის თხრობა. მსმენელები ყოველ წუთს გვემატებოდნენ და მალე მთელი კანტორა სკასავით აზუზუნდა.

მერე ჩემი ბრიგადა მოვიდა. გვირამ-ში გაეგოთ ჩემი ჩამოსვლა და დაემთავრებინათ თუ არა ცვლა, მაშინვე სულ სირბილით წამოსულიყვნენ. მოვიდნენ, შემომხვდნენ, დამბუზუნეს და დამტორეს, თავისი შავქვიანი ხელებით.

უხედავ, პიერკეადრატა დგას უხერხულად და ვერ ბედავს მოკარებას. მას შემდეგ, რაც ის ამბავი შეგვემთხვა, აღარ შევხვედრივარ. მთლად შავქვაშია ამოზუზუნული და სახეც ისე აქვს მოსერილი, გეგონებათ ბუხრის ყელში გამძვრალიო.

— გამარჯობა, შე მხეცო, — ვუბნები ღიმილით და ეს იყო, რომ მომვარდა, მეგონა, მიმისრესს გულზე ეს შარ-

თლა მხეცი მეთქი. მკოცნა და მკოცნა ისე, მეც მომწუნა ამ თავის მარგანეცით.

— ბიჭო, შე რჯულძაღლო, იმ არეულ ტვინზე რას ვშვრებოდი, აღარც კი მახსოვს, ხო არ შემდური, შე უსინდისო, შენ. მე ვირს არ მესმოდა შენი კაი და ხომ აღარაფერი გაქვს გულში ხინჯი ჩემზე?

— არა, ბიჭო, არა, — ვეუბნები და ვცდილობ ხელიდან დავუსხლტე, — არა. გეუბნები, ოღონდ ახლა მეორედ ნუ შემისრისე ხელში.

ერთი სიტყვით, ასე თათარიახნად შევირიგდით. მერე დამავლეს ხელი ბიჭებმა და თავისთან გამაქანეს. ხელად ვააჩინეს პურმარილი. სადღაც ქათმებს წაწყვიტეს თავი, სადღაც ხაჭაპურები დააცხობინეს, საიდანღაც ჩაფით ღვინო მოაძუნძულეს, ვაგვალეთ სუფრა, მაგრამ ვინ გაცალა ქამა, სულ თავიდან დამაწყვიტინეს, რაც ვადამხდა და პირდაპირ ღრანკი მომექცა ლაპარაკით.

— მერე? მერე? ... — შესძის ყოველწუთში, როგორც კი ლუქმას პირში ჩავიდებ: ამ ჭიქას მოვიყუდებ.

— მერე, — ეამბობ მე, — მერე ისაა ყველაზე მწარე ამ ამბავში, თურმე რომ მეტაცა ამ კაცისათვის ხელი, ერთი მიმეყეჟა და გარეთ გამოშვებო, ისიც გადარჩებოდა ხელახლა გასამართლებას და ჩვენც ვერავინ გვახლებდა ხელს. ვერავინ ვაიგებდა, რომ ამდენი ქონება ამ ქალთან ჰქონდა ვადამალული.

— ვაი, სად ვიყავი? — ღრიალებს პიერკვადრატა, — შენ მართლა კი ყოფილხარ ჩემის ხელით მეორედ მოსაკლავი. ბიჭო, ბედმა ამდენი ქონება ხელში ჩავიგდო...

— ნაჭურღალი.

— რას ქვია, ნაჭურღალი! ქურდის ქურდი ცხონდაო, არ ვაგიგონია! ამდენი ქონება ხელში ჩავივარდა და იმას ვეღარ მოუარე? ვაეკაცი მეგონე და თხლე ყოფილხარ.

— არა, ქონებას წაიღებდენ, მარა ქალი რაზე მიატოვე, ბიჭო, — მეუბნება

სინუსა, — ბრიჯიტ ბარლუს თუ გედა... მაგისტანა ქალს...

— მაგისტანა ქალს მოვლა უნდა, — ვადუბრიალა თვალები პიერკვადრატამ, აქ ჩამოეყვანა, წამოყვებოდა კიდეცაც, რომ გამოეშვათ? კი, აქ ჩამოვივილოდა და გირეცხებდა საცულუმს, მეტი არ ადგა შენი გვერდები. აქ, ბიჭო, დოლო კვიტინაძემ არ ვიკადრა და ეგერ წაყვა... პატარა უყეთ მომივლისო...

მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და ხუმრობით თავში ჩააფარა თავის სკოლის ამხანავს. მერე ისევ მე მეცა.

— მერე, მერე?... ერთის სიტყვით, ჩაათხსირე საქმე და მერე გამოიქეცი აქ, ეს ტალახიანი ქიათურა არსა დამეკარგოსო, არა? ქალმა სახლში მივიყვანა მილიონებიანი ქონება ჩავაბარა და იმას ვერ მოუარე? ვაი შენს პატრონს, უბედურს, დაადე ხახა და უცადე... როდის მოვიდოდა წასაღებად.

— აბა, რა ექნა? შენც ერთი!.. — შეუტია პარმენმა.

— რავე რა ექნა! მოვიდებდი, იმ გოგოს ხელს თავის ქონებიანა და იმისთანა ადგილზე წავიდოდი, ეშმაკი ვერ მომავნებდა. ქუთაისში წავიდოდი. ბათუმში, ბოლოსდაბოლოს, სულ წავიდოდი ამ საქართველოდან სადმე ისეთ ქალაქში, რამდენიც უნდა ვეძებნეთ, კაცი ვერ მომავნებდა, ვერც იმის საყვარელი და ვერც მილიცია. იპ, კაი შე კაცი! თუ ვარგისარ ადამიანი...

— ახლა ადვილია აგრე ლაპარაკი. მაგან რა იცოდა, თუ ეს ქონება იმ ქალს საყვარელმა დაუტოვა. ასე უთქვამს, მამაჩემის ქონებაა ყველაფერი, რაც მაქვსო, — ჩაერია ისევ პარმენი.

— ბიჭო, ჩვენში მილიონების ქონება რო პატროსანი შრომით არ იქნებოდა დაგროვილი, ამას რა დიდი ჩიჩინი და ცოდნა უნდოდა.

— მერე, შე ვირო, შენ, სხვისი უპატიოსნების შემევიდრე ვინდოდა გამხდარიყო ეს პატროსანი ბიჭი? — დაკრა მუშტი მავიდან პარმენმა და თვალები ისე დაუბრიალა პიერას, მეგონა ჩხუბი ატყდებოდა, — მაგისტანა გზას შენ



აღქი, მარა აგერ მოგიყვანეს ჩემს გვერდით.

— ნამეტანი მიხარია! — გესლიანად ესროლა პიერკვადრატამ — მომიყვანეს, თვარა, სამოთხეში მოვედი! — მერე ისევ მე მომიბრუნდა: — ერთი სიტყვით, ჰქონდა, ჰქონდა, ჰქონდა.

— როგორი მერე, ან ბინა როგორი, ან ავეჯი, ან ნივთები!..

— კი მარა, ვინ იყო ის კაცი ან საიდან ჰქონდა ეს ჰქონება ვერ გაიგე? — მეკითხება პარმენი.

— ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გაგაგრძელოთ, საქმე ასე უოფილა: ის კაცი ერთი წარმოების ხელმძღვანელი იყო და კომბინატორობა დაუწყია. დაუწყია, მაგრამ თუ რამეს აკეთებდა ფულს, სახლში ერთ კაპეიკს არ აჩენდა და დიდი პატიოსანი კაცის სახელით იცნობდნენ თურმე. მერე ამ კაცს გაუჩენია საყვარლად ამ გოგოს დედა...

— შენი სიდედრი, — მუთუნება სინუსა.

— მოიცა, ნუ მიშლი. გაუჩენია ეს ქალი, მარა, მერე ეს გოგო რო წამოზრდილა, დედიდან შვილზე გადაუნაცვლებია...

— კაი, ერთი, — თითქოს ერთხმად წამოიძახეს ყველამ, ხოლო პარმენმა დასძინა. — მთლად გათახსირებული არ უოფილა!

— წაუყვანია ეს გოგო, აუშენებია მისთვის კოპერატიულ შენობაში შესანიშნავი ბინა მის სახელზე, ცხადია, და მერე, რასაც კი აკეთებდა ფულს მოქონდა და ამ გოგოსთან ინახავდა, თუ ჩავვარდი, შენ იქნები ჩემი თავშესაფარიო, ეუბნებოდა თურმე. რამდენიმე მილიონის სიმდიდრე დაუგროვებია...

— რაფერ, ბიჭო?

— რაფერ და... ერთი სიტყვით, მაგის კურსებს ვერ გაგიხსნით ახლა, რაფერ აკეთებდა? იქ ბევრი ილაპარაკეს ამაზე ექსპერტებმა, მოწმეებმა და პროკურორ ვეტილებმა მარა შე, მართალი ვითბრათ, მაგისი ვერაფერი გავიგე. ერთი სიტყვით, გახსნილა საქმე, ყველა გამოტყდა მაგის მეტი. გაიხრიეს სახლში, შაურის საღირალი ვერაფერი უნახეს. მეზობ-

ლებს უთქვამთ, რაც მაგას ვიცნობთ, არ გვახსოვს, რომ მაგისთვის მისთვის ოდესმე მაქლარი უოფილოცნენ, მაგისთვის ის გვახსოვს, სახლში თუნდაც ერთი სკამი შეეტანოსო. ისე ცხოვრობდა თურმე, იფიქრებდი, ამ კაცმა თავის სიკოცხლეში ჯამაგირის მეტი არაფერი იცის და პატიოსანზე პატიოსანი ადამიანი უნდა იყოსო. დაადგნენ პირზე დანარჩენები, არა და არა, არაფრით არ გატყდა. არაფერ შუაში ვარ, მაგენი მატყუებდნენ, ახლა უნდათ მე ჩამაგდონ და მაპრალებენო. ასე იყო თუ ისე. მაინც გაასამართლეს და ოცდახუთი წელი მიუსაჯეს.

— მერე, მერე...

— მერე, გავიდა ხანი და ერთი სიტყვით, გადასახლებიდან გამოიქცა... თუ გააქციეს განგებ, კაცმა არ იცის. დაკრა ფეხი, როგორ მოაწყოს არ ვიცი, მაგრამ წამოვიდა...

— უყურე შენ, ალბათ განგებ გამოუშვეს, — ამბობს პარმენი.

— ჰო, უნდოდათ გავგოთ, სად მივიდოდა. ჩამოვიდა თბილისში და ცოლ-შვილის მაგივრად საყვარელს მიაშურა. თურმე ესენიც კვალდაკვალ მოსდევენ.

— დაიჭირეს?

— ჯერ მე გამძაგრეს. მერე ის ქალიც და ის კაციც. ლოგინში რომ იწვენ, მაშინ დაადგენ თავზე და, ერთი სიტყვით, ჩემო პიერ, მთელი ჩემი ბედნიერება საპნის ბუშტივით გასკდა.

— ლოგინში რომ იწვენო... — შეიკრა წარბები პიერკვადრატამ.

— მაგისთანა არც ქალი მინდა და არც მისი მილიონები, — წაიდუღუნა სინუსამ.

— შენ ბევრი იცი ცხოვრების, — შეუტია ჩემმა გოლიათმა მეგობარმა, — მე ამაზე მომდის გული, ქალი ხელში ყავდა და სხვას რაღა მიფუშვებდი მასთან. ვაი, რაღა წაგუდავდი კატასავით... იყავი ახლა. ზო გაგეხარდა ამ შეტალახში მოსვლა? მალე მოგათრევიებთ წელს კეტდაკრული ღორივით. მოიცა შენ!

— რატომაც არ გამეხარდა. მართლა გამეხარდა. ასე მგონია, რაღაც ცუდი

სიზმარი ვნახე და ეს საშვევარდნოს კლდე რომ დავინახე, ეს ჩვენებური შუშაბანდიანი სახლები...

— ეს ჩვენებური ჩემები... — დამცინის პიერკვადრატა, — ჩვენი წვირიანი ლოგინი და ქორბუდის ტალახი... წადი, წადი, ვინც მოგიტყუებია, ის მოატყუე!

— მოიცა, მოიცა... — შეაჩერა პარმენა იგი, — ნუ აიწყვიტე ძველებურად. შენ რა გესმის, შე სულელო. ჩიტს ყოველთვის თავის ბუდე ურჩევნია ოქროს გალიას, ეგ არ იცი? შენ თუ გგონია, სადაც დიდი სიმდიდრეა, იქ ყოველთვის ბედნიერებაა! ეს, შენი ოფლით მოპოებული ჭადის ყუა გერჩიოს მაგნაირად ნაშოვნ ქონებას.

— ვინ მიმიშვა არჩევანზე, თორემ რაც ჯობია კი ვიცი, მაგ გერჩიოს! თუ გერჩიოს და კიდევაც მაქვს ცივი ჭადის ყუა...

— ბიჭო, ეგ თავი კი გავსიებია სილიონას ეზოში მოსული მწარე კვახივით, მაგრამ კეჟა, გეტყობა, ნაკლებად მაქვს შიგ. შე სულელო, ეგ როგორ არ იცი, რომ გარედან შემოსული ბედნიერება ქარის მოტანილია. აღარ გახსოვს, დედაენაში ეწერა, ქარმა საბზელს რომ უთხრა — ბზე უნდა შემოგიტანო, კარი გამიღო? რა უბასუხა საბზელმა? ქარის არც შემოტანილი მინდა, არც გატანილი.

— დამიწყო ახლა ამან შეიდწლედში ნასწავლი სიბრძნეები.

— შენ, ბიძია, შეიდწლედში კი არა, აკადემიაში რო დაგაჯინონ, იქაც ვერაფერს ისწავლი. ერთი ეს მითხარი, ნოდარ, რა უქნეს იმ კაცს? რა მიუსაჯეს?

— ისევე დააბრუნეს გადასახლებაში. სამოცდა ხუთი წლის კაცია და ოცდახუთ წელს კაი უნდა რო გაუძლოს და იცოცხლოს. ქონება მთლიანად ჩამოართვეს...

— სახლიც?

— სახლიც.

— იმ ქალს?

— რვა წელიწადი მიუსაჯეს, როგორც თანამონაწილეს.

— შენ ხომ არაფერი მოგედვა?

— არაფერი. არავითარი ბრალდება არ მქონდა. ქალმა ჩვენებს მისცა ჩემს შესახებ, ახლაც ცრემლი მადგება თვალებზე, რომ ვიგონებ. მაგ არაფერი შუაშია, სინამდვილე დავუმალე მეო. თუთმეტი წლის გოგო ვიყავი, ამ ვეშაპმა დედაჩემისაგან ჩემზე რომ გადმოინაცვლა და საყვარლად გამიხადა, ფულით თვალები დამიბრძავა, ოქროს გალიაში დამსვა და ისეთ ფუფუნებაში ჩამავლო, ვერაფერს ვერ ვხედავდი ცხოვრებაში, ჩერებისა, ავეჯისა და სიმდიდრის მეტსო. მერე დავინახე, რომ თურმე ყველაზე ძვირფასი ხარისხი — ადამიანობა და ზნეობრივი სიწმინდე და, რაც მთავარია, თავისუფლება დამიკარგავს, სპეტაკის სიყვარულის უფლება დამიკარგავს და ისე მქონდა მოყირკებული ყველაფერი, ცხოვრების მიზანიც აღარ მქონდაო. მერეო, თქვა, მოულოდნელად წავაწყდი ამ უმანკო, სულიერად გაურყვნელ. — რანაირად ლაპარაკობდა, გაგიუღებოთ პირდაპირ. — სპეტაკ ახალგაზრდას და ჩემში ისევე გაიღვიძა იმ თუთმეტი წლის ასაკმა, როდესაც ცხოვრებას იმედით აღსავსე თვალთ ეუცქეროდი და ასევე იფეთქა ჩემს გულში პირველმა სიყვარულმაო. მე მადლობელი ვარ ჩემი ბედის, რომ ორიოდე თვე ნამდვილი სიცოცხლით ვიცხოვრე და ახლა, როდესაც საბოლოოდ დამემსხვრა მთელი ბედნიერება, რაც გენებოთ, ის მომისაჯეთ, მე არავითარ შეწყნარებას არ მოვიტხოვ, მხოლოდ გთხოვთ, ნოდარი არაფერ შუაშია, მაგას თავი დაანებეთო. ჩემდაუნებურად შეგატყე, რომ მსმენელებში საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ჩემს სიტყვებს ყველა ერთად გაექვაებოდა.

კარგა ხანს სდუმდნენ ასე. მერე უეცრად სინუსამ ამოვიგინა:

— აუჰ, რა ქალი ყოფილა!

— ღირებულა ქალად, — დაეთანხმა მცირე დუმილის შემდეგ პარმენი, — რამდენია ქვეყნად ასეთი ადამიანი, ცხოვრება შედგება და გასრეს თავისი ჩემებით, დაასახიჩრებს, დაჩეხავს, ნაწლავებს გადმოაყრევიანებს, დასერის, გაა-



თხსირებს, მიხვალ, დახედავ, მაინც ადამიანია. მაინც სული უდგას, მაინც ნათელი ადგას. მაინც შეგაბრალებს თავს. მაგ მართლა უნდა შეიბრალო, ის კაცი კი, ის, რო მიმიშვან, ჩემის ხელით დავხვეტდი, იმდენად ციგანი ყოფილა, ქურდობდა, მილიონებში ხელს ატრიალებდა და რისთვის, ცოლშვილი რომ ეშმშოლებოდა და საყვარლებთან ეზიდა ყველაფერი? მერე, სამოცი წლის კაცი ჯერ დედას ყვარობ და მერე მის შვილს.. თფრი, ასე ქართველ კაცს დავასხი ლაფი..

— რა იცი, იქნება კაცი სულაც არ არი დამნაშავე და თვითონ არც მიძალეზბია. ზოგიერთი ქალი, თუ მოინდომა... — შეედავა პიერკვადრატა, მაგრამ პარმენმა შეაწყვეტია.

— დუტუტ! აღარ გამაგონო მეორედ შენი ხმა. ადამიანს იმიტომ გქვია ეს სახელი, რომ პირტუყვი და მხეცი არ უნდა გჯობნიდეს ზნეობაში. შე კაცო, მგელი რომ მგელია, იმასაც კი მიაქვს საკმელი ლეკვებისათვის და იმ მამა-ძალს, მგელი თუ არ დაუნახავს, ლეკვებს რომ აქმევს, ჩიტი მაინც არ უნახავს, ბარტყებს როგორ უვლის? ამის მაგიერად ქურდობ, სახელმწიფოს მილიონებს პარავ და ვისთვის იპარავ... კი მარა, სასამართლოში რა თქვა, რითი იმართლა თავი?

— რა ვიცი, ბუტტურობდა რაღაცას. ქურდობა სხვებმა მასწავლესო... მე არასოდეს გულში ცუდკაცობა არ გამიზრახავსო, მარა ისე დალაგდა საქმე, ისეთი ხალხი შემომიჩნდა, არ მომეპარა არ შეიძლებოდაო.

— ყოველმა ქურდმა აგრე იცის, თხა მე კი არ მომიპარავს, თვითონ მომპარავია თავი, შემაცდინა ეს პატიოსანი კაციო. ეგე, ჩემო ნოდარ, ბედს მადლობა უთხარით შენც და ამ თავბომბორამაც, რომ ისევ აქ, ჩვენთან მალაროში მოგიყვანათ. მართალია, ძნელია და მძიმე აქ მუშაობა, მაგრამ ცხოვრების სწორ გზაზე ბიძიკოები, თუ ძამიებო, აქედან უფრო იოლად გახვალთ. ძილი არ გექნებათ გამერთალი და არც მოსვენება.

ეს ქვეყანა ერთ წუთში დაიშლებოდა წყალდასხმული კირივით, ჩვენთანაა შრომელი ხალხის მხრებზე რომ არ იყოს დაყრდნობილი მისი ბედი.

— დედას გეფიცები, დედას, ამ მალაროში მუშაობას არ დავუტანჯივარ ისე, როგორც ამის სიბრძნეებმა დამტანჯა, — არობრობდა პიერკვადრატა, — მანქანის ტარების უფლება ჩამომართვის, ამ მალაროში სამი წლით იძულებით მუშაობა მომისაჯეს და ბედს მადლობა უთხარო. უკაცრავად, თქვენ ბრძანდებით ჩემი ბედი? დიდი მადლობა, თქვენი ჭირიმე, — წამოხტა ფეხზე, გულზე ხელი მიიდო და თავი დაბლად დაუკრა პარმენს, — ნამეტანი აღსავესე ვარ თქვენგან პატივისცემით.

— შენგან კი მეკუთვინის მადლობა. მე არ ვყოფილიყავი მაშინ, ეს ბიჭი რომ კინაღამ მოგვიკალი, ახლა შენი ძვლებიც აღარ იქნებოდა, — უთხრა ლიმილით პარმენმა, მერე ჭიქას ხელი დასტაცა და დაიძახა, — გაუშარჯოს ჩვენი ნოდარის დაბრუნებას. მოდი, ეს ჩვენი შარჯვენაც და ჩვენი ბიჭობაც ამ მალაროში გამოეაწროთო და, მერე ენახოთ, ბედი ვის მხარეზე იქნება. — მეგონა, პიერკვადრატა ისევე აფეთქდებოდა პარმენის ამ ჭკუისდამარცხებელ სიბრძნის გამო, მაგრამ მან უხმოდ დაავლო ჭიქას ხელი, მოვიდა, გადამეხვია და ჭიქა ჩემთან ერთად დაცალა.



და აი ისევ მივბიჯებ, ჩემი ამხანაგების მწკრივში ჩამდგარი, მოლურჯო ნისლით გაბოლილ გვირგვინში. ოდნავ მოკიფე ლამაზები მრავალწერტილებივით გადაჭიმულა და სადღაც შორს ჯერულში იკარგება. ბიგებზე აბედის სოკოები მერცხლის ბუდეებივით გადმოზრდილან. აქ-იქ ჭერიდან წყალი წვეთავს და დგას ოდნავ შმორის სუნი. მივდივართ, მივბიჯებთ ამ გაუთავებელ გზაზე, მაგრამ მე იგი უკვე აღარ მეჩვენება ისე გრძელი, როგორც მაშინ, როდესაც აქ პირველად მოვედი. არც სული

მეხუთემა ისე, თუმცა პაერი საქმოდ დამძიმებულა. აი სანგრევები. შევი-სვენეთ, პაპიროსები მოვწიეთ, ქურთუ-კები გავიძრეთ და სავენტილაციო შტრეის ტალანში ლურსმნებზე დავეი-დეთ. აქ საქმოდ ცხელა. ვხედავ, მერ-ხზე თავსაფრიანი გოგო ზის და სანდო-მიანად გვიღობს.

— უი, ლია, — აღტაცებით ვიძახი მე და ხელს ვუწვიდი, — გამარჯობა.

— გაგიმარჯოს, — მეუბნება იგი და მის ხმაში სიცივეს ვგრძნობ.

— რას შერებნი? რაა ხარ?

— რაეარც მკითხულობ.

მათრახივით მომხედა ეს სიტყვები. ავიღეწე და, ვატყობ, სახეზე სიწითლე მომაწვია.

— მართალი ხარ, ჩემო ლია, — ვცდი-ლობ. რაც შეიძლება გულთბილი ვიყო, მართალი ხარ, მარა... გლახად ნუ გა-მიგებ. მე შენს პატივისცემას ვერასო-დეს...

— შე კაცო, რა პატივისცემას, რას ლაპარაკობ?

— არა, ნუ იტყვი მაგას. რაც მე ქარ-ცეცხლი გამოვიარე. შენს მეტი ნამდვი-ლი გულშემატივარი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია.

ლია უცხად ფეხზე წამოიჭრა. ლამ-ფით შეკრული კარი გამოაღო და ახუზუ-ნებულ ვენტილატორებს დაუწყო თვა-ლიერება. მე ცოტა ხანს უხერხულად ვიდექი. მერე მერე პაპიროსს მოვუქი-დე და ამხანაგებს დავედევნე.

ისინი უკვე შედგომოდნენ მუშაობას. ლაეში მართავდნენ ბიგებს. სინუსამ ხე-ლი დამიქნია, ბიგა ამაწვეინეო. მივედი, დავეწვიდი, ორჯერ გამისხლტა ხელიდან.

— გადაეჩვიე, ბიჭო მუშაობას? — ღიმილით მითხრა მან.

— მაგ სხვა მუშაობას იყო შეჩვეული. — შენიშნა პიერკვადრატამ, უროს ხელი დაავლო და ჭერში, ბიგის თავში დატა-ნებულ სოლს შემოჰკრა, რომ აღმაცე-რად მდგარი ბიგა გაესწორებია.

აწვიე, როგორც იქნა ტვირთი, მხო-ლოდ ახლა ვიგრძენი ამდენი ავადმყო-ფობის. უმოძრაობისა და ნებივრობის

შედევად რამდენად დავძაბუნებულვარ. მკლავები კინლამ დამეწვინა. მორამ თანდათანობით ვამჩნევ, რომ ამხანაგები მზოგავენ. ჩემს საქმეს უფრო ხშირად ისინი აკეთებენ. ცდილობენ შემისუბუ-ქონ ეს მძიმე ტვირთი.

— შენ მოიცა, — მეუბნება პიერ-კვადრატა, ბიგას ისე მსუბუქად მართ-მევს, თითქოს ასანთის ლერი აედოს ხელში, — შენ მითხარი, ოპერაში თუ იყავი?

— ვიყავი.

— დიდი შენობაა ხომ?

— არც იმდენი, როგორც მეგონა. ჩვენი კულტურის სასახლე, მეგონა, მეტიც იქნეს იმაზე.

— სტადიონზე?

— „დინამოს“ სტადიონს ადიდებენ და იქ არ არი თამაში. „ქარიშხალს“ სტა-დიონზეა.

— ისიც დიდია. ნახული მაქვს. სპორ-ტის სასახლე?

— ვიყავი. მთელი ქიათურის მოსახ-ლეობა დაეტევა შიგ. ათიათასი კაცი.

— დიდია?

— აჰ!

— შენ... — აღარ იცის უკვე რა მკითხოს პიერკვადრატამ. — მოყვები კიდევ რამე, შე რჯულძალდო, ხუთი თვე სა-მოთხეში იყავი და მეტი არაფერი გაქ მოსაყოლი?

— დაანებე თავი, ნუ აცდენ, — შე-ულრინა პარმენმა, — აქ სათამაშოდ კი არ მოვსულვართ. თამაში თუ გინდა. ეგერ წადი და ჩაეწერე სუბიშვილის ანსამბლში.

— ვაი, ვინ მიმიღებს, თორემ...

— შენ თუ გგონია, ისინი ტყვილა და-დიან და მეტი არაფერი! იმდენს აბტუ-ნებს თურმე იმ თავის მოცეკვავეებს დილიდან საღამომდე მუხლის თავებზე და ფეხის ცერებზე, ტყლიბი აქვთ ჩაქ-ცეული თურმე ყველას.

— ამას მაინც ჯობია, — ხენეშის პიერკვადრატა და მძიმე უროთი ბიგას თავს უსწორებს, ფეხზე აყენებს.

იმ დღეს ჩემი მუშაობა, მუშაობას არ ჰგავდა. მიუხედავად იმისა, რომ ამხანა-



გები ყოველმხრივ მიწყობდნენ ხელს, შე მაინც ვერ შევქელი წესიერათ შეკეთებია საქმე, ღონე მთლად გამომლეოდა თურმე და რაც შემქლო იმის მეთდს ველარ ვახერხებდი. თან სულ თავბრუ შეხეოდა და გული შერეოდა. ბიგები ხელიდან მისხლტებოდა, ურო მივარდებოდა, ხერხს ველარ ვწევდი და წამდაწუმ ვისვენებდი. ოფლი თვალს მწვავდა და პირი გამოკალუღივით მქონდა. თან თავს ვეძალებოდი, არ მინდოდა ამსანაგებთან დაძაბუნებულად გამოვჩენილიყავ, მაგრამ ისინი ყველაფერს კარგად ხედავდნენ.

— ბიჭო, ჩემს მეტი, შენი ხელის მოქიდებელი კაცი არ იყო, — მეუბნება პიერკვადრატა, — რამ დაგავდო ასე, იმ ქალმა და ტყბილმა ცხოვრებამ თუ რამ? შითხარი ერთი.

— შე მამაძალო, შენ, — უყვირა პარმენმა, — კაცი კინალამ მოკალი, საზარგო მანქანის ქვეშ მოაყოლე, დაღეწე და ახლა გიკვირს, რატომ დასუსტდა? არ მომავეცვიო თავი ამ გვირაბში!

პიერკვადრატა ჯერ ისე მოიკუნტა ამ სიტყვებზე, თხილის ნაჭუჭში ჩაეტეოდა, მერე გულმოსული დათვივით აბურღულუნდა:

— რა იყო ახლა, რო დამგესლე? ეს არ მეუბნება საყვედურს მიტომ, რომ იცის, ძმაზე უფრო მიყვარს და ისიც იცის, შავისთვის არაფერი გლახა არ მინდოდა. ჩემს მეტი არავენ ყოფილა აფრაკად კუთაზე? მერე, შე არ ვიყავი დაუყვილი? რომ მომდგვით კეტებით...

— ღირსი იყავ და იმიტომ. არ მოგშველებოდი, ნახავდი შენს სეირს.

უქანასკნელ სვეტს გამაგრებდით, როდესაც მნგრეველები მოვიდნენ და ელექტროპერფორატების გამართვა დაიწყეს.

— ცეცხლი ხარ, ცეცხლი, — უთხრა ბრიგადირმა, მუხის ფესვივით ძარღვიანმა ანტიფო ბრეგვაძემ პარმენს, — ჩვენ გვეგონა ჯერ არ იქნება ბიგები გამართული, პატარას დავისვენებთოქო. ეს სტაჟიორები გამოდგენ, მგონია!

— ჯერ სადა ხარ? — სიამაყით უთხ-

რა პარმენმა და იარაღი აიღოთავა, — მენახე, მერე ეს ჩვენი ყოფილუკ მტყუნეჩერიც რომ გამოშენილდგმჯჯ ლიქოთქქა რომელი, მოვიდა ის ბიჭი? რომელია დაგვანახე! — წამოიძახეს თითქმის ერთხმად ახლად მოსულებმა და ახლა ესენი შემოიხევიენ. სათითაოდ ჩამომართვეს დაკოყრილი ხელი და ისე მავირდებოდნენ, თითქოს ჩემს სახეზე უნდოდათ ამოეკითხათ მთელი ჩემი თავგადასავალი. მუშაობა სულ დაავიწყდათ შემომესიენ და აღარ მიშვებენ.

— ბიჭო, მართლა მილიონერი ქალი გყავდა ცოლად? — მეკითხება ანტიფო.

— მართლა.

— ი?

— რო უყავი მერე? — მეკითხება მეორე.

— ჩასვეს.

— ი? — იძახის ისევ ანტიფო.

— რაფერ, ბიჭო? — კითხულობს მესამე.

— რაფერ და ერთ კომბინატორს უკეთებია ფულები და უზიღია ამ ქალთან. იქიდან ჰქონია თურმე ამდენი ქონება.

— ი! უყურე შენ! — ამბობს ანტიფო. ჩასვამდენ, ამა რას უზამდენ, რას ქურდობდა ის უგამჩნეო, ამდენხანს, რო ვერ გაუგეს?

— აჭმევდა, ალბათ, რევიზორებს, — შენიშნა ერთმა.

— ი!

— თვარა ცოტა ქურდობს! — ამბობს იგივე.

— ამა, რავა გგონია! ჭამა უველას უნდა.

— ვაი, ერთი იმისთანა წამალი გამომაგონებია, რაც ქურდი და მამაძალოია ამ ქვეყნად, სუყველა დამაწყვეტია ერთ დღეს, — დაიძახა ვიღაცამ სიბნელიდან.

— ბიჭო, რას ერჩი ამ შენს კეთილებს და ნათესავებს, — სიცილით უთხრა ანტიფომ, — კაცი აღარ ვინდა დადიოდეს ამ ქვეყანაზე?

— გაწყდენ თუ გაწყდებიან, მაგათი პატრონის ცოლი და დედა! შე აგერ მკლავები მაქვს დაწყვეტილი მუშაობით.



თვეში ოც თუმანს ვაკეთებ, არაფერი გამაჩნია. ჩემი დეიდაშვილი ზურაიკო მაღაზიის გამგეა, ხუთი თუმანი აქვს ჯამაგირი, მესამე სახლს იშენებს. ახლა „ვოლგა“ იყიდა...

— ნუ გეშინია, მაგათთვისაც მეიცლის ჩვენი მთავრობა. — ანუგეშა ანტიფომ.

— როდისღა.. — მესმის უკვე შორიდან.

თანდათანობით მოდის ჩემს გონებაში და შეგრძნებამდე მთელი სიმძაფრით მუშების ეს გულისტყვილი. არაფერი თურმე ისე არ ახელებს მშრომელ ადამიანს, როგორც მცონარ ადამიანთა ფრთავამლილი ფარფაში და მწიფე მსხალქვეშ კოტრიალი. კრავს ფეხს ამ დახუნძლულ ზეს, ეს არაკაცი და უცკივა და უცკივა პირში გემრიელი ნაყოფი. მეორეს კი ზვითქი გადადის შრომით რომ ეს ხე გაზარდოს, მოუაროს, დროზე გასხლას და ძირი მოურწყას, ვენახი კირით შეათეთროს, ნაყოფი მოასხმევისნოს, ერთი თვითონ ირგოს, ათი სხვას არგოს. მაგრამ თუ იმ ათის მყლაპელი უქნარაა, მაშინ კი...

— ნოდარ! — მიძახის მეორე ლავიდან პარმენი, — წადი, თუ კაცი ხარ, გაიგე ერთი, რა მოუვიდა ვენტილატორებს. სუნთქვა აღარ შეიძლება პირდაპირ. რას შვება ის რჯულძაღლი. გადამლობი კარი უნდა დაეყენებიათ დურგლებს. მისი ბრალი ხომ არ არი. ან ის გოგო ხომ არ...

გულზე მწარედ დამესო რაღაც კვალავით.

ვითომ ეს ამბავი მეწყინა? მე რა შუაში ვარ. ან რად შევწუხდი ასე? სატრფო გამითხოვდა, ის არ გამხსენებია, ულაშა-

ზესი გოგო, ამასთან რა მქონდა საერთო. რომ ასე შევწუხდი. გულში ვბრტყავი ყელთან მებჯინება და მახსოვს...

რად გაიტეხა სახელი ამ გრძელწინა-ვებიანმა, სანდომიანმა გოგომ, ქართველ ქალს ნაწნავი უნდა ამშვენებდესო, რომ მიმტყიცებდა. აი, ახლა ვხედები, რად მეწყინა მისი გაბახება. ამდენ გოგოებში, იგი, რაღაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი სიწმინდით და სიფაქიზით.

ასე ვფიქრობ და ჩემს თავს არ მინდა გავუშვილო, რომ ამაში იქნებ მეც ვიყო დამანაშავე, რაკი ვხედავდი, რომ ვუყვარდი, არაფრად არ ვთვლიდი მის გულისტყვილს, გოგომ იფიქრა...

არა, რას ვამართლებ. გოგო რო ნამუტს ვერ შეინახავს, იმას... სახეში უნდა შეაფურთხო. წავიდეს აქედან. თურმე ამიტომ მელაციცებოდა და მეფერებოდა მაშინ, ალბათ, ფიქრობდა, ახლად მოსულია და ჩემსას ვერაფერს გაიგებსო.

თფუ, თფუ, თფუ, თქვენი ჯილაგი, ვაფურთხებ ბიგებს და მივაბიჯებ საოცრად დაბნელებულ გვირაბში. მეზობელ მაღაროდან აფეთქების შემდეგ ვაზი გამოსულა და ისე გაუბერავს ჰერი, ლამპები ოდნავ კიაფობენ ციციანთელბივით.

სავენტილაციო კამერაში არავინ იყო და ვენტილატორებიც გამორთული დამიხვდა,

ის იყო დავაპირე ტელეფონს მივწვდომოდი, რომ მოულოდნელად შტრეკის სიღრმეში თვალი მოვკარი ელექტროდენის მსხვილ მავთულზე საკუთარი თმის ყულფზე უმწეოდ ჩამოკიდებულ ლიას.

(ვაგრძელება იქნება).



## პირი სუბიექტი



ორ ნიჟარაში თამბაქო ბოლავს,  
ეს არის ჩვენი ღრუბელიც,  
ნისლიც,  
ჩვენ ორმა მხოლოდ,  
ჩვენ ორმა მხოლოდ  
ვანმარტოება რა არის,  
ვიციოთ.

მწვანე კედლებზე, სურათებს შორის  
შეუმჩნეველად კრთიან ჩრდილები,  
აღმათ, ირხევა თამბაქოს ბოლი,  
გაბრუებული შთაბეჭდილებით.

ბოლი ოთახის ფიქრია იქნებ,  
იზრდება ნელა და გარეთ იწევს,  
მეც ვერ ვერევი საკუთარ ფიქრებს,  
ფიქრსაც ბოლივით სწუხრია სივრცე.

ჩვენ ორმა მხოლოდ,  
ჩვენ ორმა მხოლოდ  
რა ძვირად ფასობს სიმშვიდე,  
ვიციოთ,

ორ ნიჟარაში თამბაქო ბოლავს,  
ეს არის ჩვენი ოთახის ნისლი.

ხოლო ქუჩაში გამველვებს უკვირთ,  
ფანჯრიდან ნისლი რად გადის გარეთ,  
ჩვენს მავიდაზე ანთია შუქი,  
ეს არის ჩვენი ოთახის მთვარე.

გარეთ კი კოშკის საათი რეკავს,  
პატარებლები კვიიან სადღაც,  
თითქოს ქალაქი წასული ჩვენგან  
დღეს ჩვენი სახლის გარშემო დადგა.

და იხედება ფანჯრებში მალვით,  
რომ იგრძნოს ჩვენი სიმშვიდის ძალა,  
მოულოდნელად ივსება კრძალვით,  
რომელსაც ვიწრო ქუჩებში მალავს.

განათებული მწვანე კედლები  
ფიქრით იხვევს ბოლსა და დუმბილს,  
და სდუმს ქალაქიც, როგორც ვედრება-  
ცადაპყრობილი, დიდი და ჩუმი.

## ზღვის საუბარი

ჯერ არ ვიყავი ზღვას შეჩვეული,  
და გავიგონე ფრთხილი შრიალი,  
ზღამ დამიბრუნა შენი სხეული  
სველი, გრილი და მარხილიანი.

ზღვაზე კიოდა ათასი სარკე,  
მაბრმავებდა და მინც მოვედი,  
შენ ის იყავი, რაც მე დავეარგე,  
რასაც უშენოდ ვერ ვიპოვიდი.

და ჩვენ მდუმარედ ნაპირს გავყევით,  
მზეზე გარუჯულ სხეულთა შორის,  
ტალღებზე, როგორც ნისლის ნახვევი,  
გემს დარჩენოდა ცისფერი ბოლი.

და მცირდებოდა ჩვენს შორის სივრცე-  
ქველ სიზმრებს,  
როგორც ქველ ლეჭსებს,  
ცხვედი,  
და მე შენს გვერდით, უცრად ვიგრძენ,  
რომ აღარ მშურდა არავის ბედი.

იქნებ სიბერის მიმწუხრს გადავრჩი,  
როცა დაღლილი ფიქრები ვანდე,  
დადიხარ ცაში, როგორც ტაძარში  
და სანთლებივით ვარსკვლავებს ანთებ.

და სიჭაბუკეს გადაჩვეული  
გამოვიღვიძებ ტალღის მთხარისაში,  
ზღვამ დამიბრუნა შენი ხსენებით  
სველი, გრილი და მარილიანი.

### ნაწვინმარზე

გადაიარა ქალაქზე წვიმამ.  
სველი სიგრილე დატოვა მხოლოდ,  
მაგრამ მე, როგორც ვცხოვრობდი წინათ,  
ისევე მშვიდად და წყნარად ვცხოვრობ.

ოღონდ მაწუხებს სიზმრები ძველი,  
ძველი და მაინც მეტად ძლიერი,  
რომელსაც შენი გადაჰკრავს ფერი  
და უფრო მეტიც, — შენი იერი.

მე არა ვნატრობ:  
კაბუცი ვიყო,  
რაცა ვარ, ესეც არის ნუგეში,  
და ახლა უფრო ძლიერად მიყვარს.  
ვიდრე მიყვარდა სიჭაბუკეში.

არც იმას ვნატრობ,  
იყო პატარა,  
და ფეხშიშველი დარბოდე ველად.  
უკვე იმდენი ხანი ვატარე,  
რომ მარტოობის აღარც კი მჯერა.

მე ვცხოვრობ,  
როგორც ვცხოვრობდი წინათ...  
თამბაქოს ბოლი...  
წიგნი...  
მაგიდა...  
გადაიარა ქალაქზე წვიმამ,  
ჩემს ფანჯარაზე მთვარე დაკიდა.

მიხეილ ქვიციანი

## ღირიკუდი რვეუდიდან

### მომონება

შუადღე იყო და უძრავი, ცხელი ჰაერი  
გაქვნილიყო სურნელებით მინდვრის ყვავილთა.  
წყლის ზედაპირზე არ იქვროდა ტირიფის ჩრდილი.  
აქაფებული მდინარის ტალღა  
ლოღნიდა ნაპირს, როგორც მოზვერი  
რძით სავსე ჯიქანს...

ტოტიდან ტოტზე კრიკინები დააქროლებდნენ  
თავის უხილავ პაწაწინა მოტოციკლეტებს,  
იდგა რახრახი და გაბმული ბზუილი მწერათა...

მე ქვაზე ვიჯექ ტირიფის ჩრდილში.  
ქიაყელებით სავსე ტიქა ჩამედგა იქვე  
მალალ ბალახში და ამღვრეულ მდინარის ტალღებს  
მონუსხულივით დავცქეროდი ანკესით ხელში...  
და უცებ

თითქო გაიღვია რაღაცამ ჩემში:

გაჩნდა სიტყვა და მას იმწამსვე მოჰყვა მეორე  
და დღემდე უცნობ, უჩვეულო სიცხადით ვიგრძენ  
მათი ესოდენ საოცარი აზრი და წყობა!..  
მიმოვიხედე... ასე მშველელს დაეძებს კაცი.  
უმწერო ვიყავ. კაცისშვილი არ ჩანდა ირგვლივ.  
მკვდრული სიჩუმე დასწოლოდა ქალას და რიყეს:  
ალარც მდინარე ხმაურობდა, არცა მწერები  
ბზუოდნენ, არცა კრიკინები... მხოლოდ იმ სიტყვებს,  
ჩემში ჩასახულ სიტყვებს მთელი დაეპყრათ სივრცე  
და რაღაც უცხო ნეტარებით მიცემდა გული.  
ვიმეორებდი დაყინებით, სულ მეშინოდა,  
რომ მათი აზრი და წყობა არ დამვიწყებოდა...  
ვგრძნობდი, რომ სადღაც ამ სიტყვების გადღმმა, იქით,  
იბადებოდნენ სხვა ახალი სიტყვები, მათი  
ქლიერი სუნთქვა შიგ სახეში მცემდა და ვგრძნობდი  
როგორ იწევდნენ ეს სიტყვები ჩემსკენ და მათი  
შეუპოვრობა — მთიდან ზეავის მოხეთქვას გავდა...  
მიმოვიხედე... ასე მშველელს დაეძებს კაცი...  
გადმოვიქექე ჯიბეები, ვეძებდი ფანქარს,  
ვეძებდი ქალღმად, მაგრამ შარვლის ჯიბეში მხოლოდ



მკვახე ვაშლის და ჯაყვის მეტი სხვა არაფერი  
 არ აღმომაჩნდა... მაშინ რიყეს დავადგი თვალი,  
 ამოვარჩიე ქვეები რუხი და თანაც ბრტყელი  
 და ამოვკაწრე დანით ქვებზე მე ის სიტყვები,  
 რომელთა ეშხმა, ასე უცებ დამასწავლა...  
 წამოველ სახლში და რიყეზე დავტოვე იქვე  
 მდინარის პირას ანკესიცი და ჰიაყელებიც  
 და მათთან ერთად უდარდელი ბავშვობაც ჩემი  
 იქვე, რიყეზე დარჩა ხის ქვეშ, მდინარის პირას...  
 წამოველ სახლში. სიარული მიმძიმდა. ოფლში  
 მთლად გავიწურე, რადგან ქვეებით გამოტენილი  
 მქონდა უბე და ჯიბეები... ეზოში შესულს,  
 დედამ შემხედა გაოცებით... და მე ვაჩვენე  
 დედას

ის ჩემი დაწერილი  
 პირველი ლექსი.

## დედა

ვიცი:

შენ არსებობ,  
 მაგრამ რაღაც სულ სხვა,  
 საოცარი ცხოვრებით ცხოვრობ:  
 რომ დაგინახო — უნდა დავხუჭო თვალი.  
 რომ მოგისმინო — უნდა დავიხშო სმენა.  
 და რომ გითხრა რამე — პირი უნდა მოვკეცო...  
 ერთი სიტყვით — უნდა დავიძინო, დედავ...

\* \* \*

როცა სახლიდან კარში გავდივარ, —  
 ასე მგონია

სახლში ვბრუნდები,  
 ვიცილებ უცებ ყველა სატკივარს,  
 ვლამაზდები და ვმხიარულდები.  
 კვლავ მიბრუნდება ახალგაზრდობა,  
 ვარ, როგორც ქარის გამოქროლება...  
 და მაშინ ვფიქრობ:

რა უაზროა  
 შინ ჩაკეტილი კაცის ცხოვრება.

## მამის მოლოცვა

ოპში დაღუპული ძმის ხსოვნას

ჯიბით ყვითელი ქალაღდი დამაქვს,  
 მას ფოთოლივით დაეტყუო ჰქნობა.  
 მე მისი ფასი რა მქონდა, რა მაქვს? —

ეს არი შენი დაღუპვის ცნობა.

შეგ ყველაფერი სწერია...  
 ბოლოს

პეტიტიო: „ფორმა № 4“.

გავშლი ამ ქაღალდს. დავხედავ მხოლოდ.  
 ისევ ჯიბეში ჩავედებ ოხვრით...

მოვხუცდი, შვილო! გავცედი კვერვილით.  
 ცხოვრების აღმართს მივყვები ჩოქვით.  
 შორს არი სადღაც ის დაწყველილი  
 „ბალკა კრუგლიკი... ლუგანსკის ოლქი“...

ნე სხვას არაფერს ვინატრი ქვეყნად —  
 იქ ჩამიყვანა, სადაც მეგულვი...  
 დავადგებოდი მთელ მხარეს ძეგლად  
 კაცი —

დარდისგან გაქვავებული!



მეორე ნაწილი

## „ანარქისტი“

შუადღის სიცხე ანთია სოფელში. სი-  
ჩუმეს მხოლოდ ორღობეში ჭიკინო-  
ბელას დამღვლევი ჭრიჭინი არღვევს...  
გზას სძინავს...

ყოფილი სემინარიელი, ანარქისტი  
იორამ, სოფლის შარაზე მოაბოტებს.

იორამს ლურჯი სატინის „მარქსის-  
ტული ბლუზა“ აცვია აბრეშუმის ფუნ-  
ჯა — ღვედით შემოჭერილი.

ზამთრობით, პალტოს საყულო მუდამ  
აწეული, თავზე აუცილებლად შავი  
„შლაპა“.

ლაპარაკისას ქუდს იხდის და ბუნჭი-  
ვით წამომდგარ შავ ფაფარს უკან გადა-  
იყრის.

ხშირად შეესწრებივარ:

მოპირდაპირე მხრიდან ხანტად მოა-  
ბიჯებს შუახნის მღვდელი, „სანთლი-  
კუდა“ დიაკვნით.

მღვდელი ცერად იყურება და სო-  
ფელში „ცერო“-ს უძახიან ზედსახელად.

ანარქისტი იორამი წინ გადაუდგება  
მღვდელს და თავისი ბოხი ხმით, ისე,  
რომ ქვემო-უბანში ესმით:

— შენ ჰეი, მღვდელო, მითხარ, რამ  
შეჭქმნა ქვეყანა?

— ღმერთმა, უფალმა, — ფიცხად მი-  
უგებს მღვდელი და განაგრძობს: — აბა,  
ვინ შემოსა ცა ღრუბლით, ზღვა ვინ შე-  
მოადგინა მიწას; ქვეყნის სივრცე, სი-  
ღრმე ზღვისა მამ ვინ გაზომა, თუ არა  
ღმერთმა?!

— კარგი და პატიოსანი! მაგრამ ესეც  
მითხარ, მღვდელო, ვინლა შეჭქმნა ეს  
ქონძი, პუშუცი, ქლეჭი, ტალახი, ხომ  
შენმავე ღმერთმა, არა?

— ღმერთსა სცოდავ, ჯოჯოხეთის

ნახეტქო! გეყო ცეცხლთან თამაში, შე  
ხანძრის მოესველო!

— ნახვამდის, მამაო, მალე შენი თმი  
ანი თავი გილიოტინის ცულ ქვეშ მე-  
ნახოს! — და ქუდის მოხდით გესლიანი  
ღიმილით დაემშვიდობება იორამი. შე-  
ნაწყენებული მღვდელიც ბოროტ სიტყ-  
ვას დაადევნებდა...

— ღმერთმა შეგასწროს სოციალიზ-  
მის სამეფოს — რძითა და ერბოთი მჩქე-  
ფარეს!

ანარქისტი ქვემოდან შემოსძახებს:

— ღმერთმა მალე შეგასწროს გილი-  
ოტინას! ფრთხილად იყავი! ხალხის გა-  
მარჯვება მზადღება, მეფენი საფლავში  
ეშვებანი!

— მთავრობისა მინც გეშინოდეს, შე  
ანტიქრისტე, თუ სვინდისისა არა! —  
მიპყვირის მღვდელი.

— მზად ვარ, პირველმა მივიღო  
ბრძოლა კაცობრიობის თავისუფლები-  
სათვის! კლდეზე დაეჩნე თვითმპყრობე-  
ლობას! — მიეწევა უკან დაბრუნებულ  
ანარქისტი მღვდელს.

— რის იმედით, რის იმედით, იუდავ?  
ისკარიოტელო?

— მძლავრ კაცს გული აწონილი  
აქვს, ბნელეთის ნალექო! რწმენით მთის  
დადნობა შემიძლია! — და ისევე გამოს-  
ცილდება იორამი, ზვეითყენ წამოვა.

— სულმოკლე მანიაკო! — შესძახებს  
მღვდელი მით უფრო თამამ სიტყვებს,  
რამდენადაც მანძილით შორდება ქვე-  
მოთ მიმავალი ანარქისტი.

ხშირად გზის ყურეში იორამი დაი-  
ჭერს ბავშვებს და თავისი კარნახით  
ამეორებინებს:

— „ძირს მეფე, ბატონი, მღვდელი, პოლიციელი!“

მღვდელს არ ესმოდა, მაგრამ ტანით ჰგონებდა და გულში ბურღულუნებდა:

— მოიცა, შენც ნელი-ნელ შეგწოვს ტენის გამლაყებელი სოფლის ცხოვრება, ცოტა დაიცა, ჯერ ახალი ხილი ხარ, შენს ხანში მეც ასე ვიძახდი!

მომხვეჭი მღვდლის ხელში მუდამ დაჩაგრულმა დიაკვანმა, ახლა კი გულში იორამის მიერ მღვდლის დამცირებით დიდად ნასიამოვნებმა, მლიქვნელობით შეუქმია:

— ეჰ, მამო, სადღა არის განკრძალვა ქვეყანაზე! რა უკადრისი სიტყვები გაკადრათ!

— მერმე, რას შემეცილება? — ამბობს დიაკვანთან დარცხენილი და ცეცხლმოკიდებული მღვდელი.

— რასა ბრძანებთ, — მლიქვნელის გემოთი იტყვარუნებს პირს დიაკვანი: — რასა ბრძანებთ, თქვენი სახელი ცამდის არის ამღინარი! ჯერ მე რა ვარ, რომ პირში გიჭვრეტთ და ის ურწმუნო, რა ღირსია თქვენთან ტოლის დადებისა? — აღარ ათაეებს გუნდრუკის კმევას კალთაჩახეული დიაკვანი.

— საშიში კაცია, დიაკვანო, ფარულად ყუმბარებს ამზადებს, ქვეყნის აფეთქებას აპირობს, ხომ იცი, ცოლ-შვილის პატრონი ვარ!

ანარქისტი მართლაც საშიში იყო...

მეტად ფიცხი, ფეთიანი ხასიათისა.

სემინარიის რექტორისთვის სილა გაერტყა და მისთვის გამოეგდოთ „მგლის ბილეთით“ მეზუთე კლასიდან.

— უჰ, თავისუფლების სურვილმა შემომიტიცა! — დიძახებდა ზოგჯერ იორამი და თვალებს ააეღვარებდა.

ერთხელ, მახსოვს, აივანზე წიგნს ვკითხულობდი. გავარგარებული, ჩუმი შუადღე იყო. უცხად აივანზე ამოვარდა აგზნებული, თვალეზგაფართოებული იორამი და შემომყვირა:

— კაცო, არ გესმის?

— რა?

— მიწის ქვეშიდან ხმა ისმის! აბა, ჩა-

მოდით ყური დაადე მიწას! და რაღა ჩამათრია კიბეზე.

— აბა, ყური დაადე, ზოგჯერ ვთქვამს! ნებს! ხომ იცი, რასაც ვნიშნავს?

— რასა?

— იმას, რომ მოდის... მოდის!

— ვინა, ვინ მოდის?

— მოდის, გუგუნით, ქექით, ძლიერებით მოდის — რევოლუცია!

მე გაოგნებული შევეყურებდი...

— განა არ გესმის? — გაცოფებული მღვლეარება, დელგმა, ნიაღვრის როხი, პაერშიც თოფის წამლის სუნი ტრიალებს.

შუადღის სიცხე ანთია სოფელში და სინუშეს მხოლოდ კრიკინობელას დამღლეული კრიკინი არღვევს...

ბორჯნულ და პრისხანე ანარქისტს ყველა ერიდებოდა. მისი „ყუმბარებისა“ ეშინოდათ. ამბობდნენ, საბჭელში ფარულად აკეთებსო და როცა მოინდომებს მთელ სოფელს ააფეთქებსო! დედაკაცები ისე არ ჩაუვლიდნენ შარაზე მიშავალ ანარქისტს, რომ მალულად პირჯვარი არ გადაეწერნათ:

— ღმერთო მაღალო, ღმერთო ძლიერო, შენ დაგვიფარე უბედურებისაგანაო!

მართლაც, საშიში და უცნაური იყო იორამი!

მე მინახავს იორამი ადიდებულ იორთან მდგარი და სწორედ მაშინ შემიცნია მისი ამორგებული და დაუდგარი ბუნება.

— ...მოდის, მოჰყვის ვეფხვის კრჩხილით აღვარებული, გაზაფხულის პირზე განრისხებული, გაგიჟებული, ღვართქაფიანი იორი, თან მოათრევს ძირფესვიანად მოგლეჯილ ხეებს, ხერგებს, წისქვილის დოლაბებს, ორლობის ნამტვრევებს და მოლოკილ მიწას! მოჰყვის ველური ყვილით, განგავით, ჩაშავებული... შესახარი!

იორამი კი ნაპირზე იდგა იორის ცქერაში ჩამტკბარი, მთლად გალურსული, მის ნიაღვრიან სულს მეტად ეთვისებოდა აღვართქაფებული იორი, არწივისა და მერნის ფრთებით რომ მოჰქროდა ნახავთარი.



იორში ჩამჩქეფარე გაცოფებული ხე-  
ვები აძლიერებდნენ ზარსა და ზრიალს,  
მდინარეს ქაფშეტყორცნით ესართებიან,  
ეკვებსებიან, და აღელვებულ მკერდს  
უჩოჩქოლებენ...

როგორ უხაროდა იორამს იორის აღი-  
ღება. ეს იყო მისი ნამდვილი სტიქიონი!

— ფრთა გაუშლია იორს, დახე, რა  
ლაშაზია! როგორ აფეთებს თვალებს,  
როგორ იყრის ფაფარს! — და უხაროდა  
იორის ღვარცოფი, მდინარის დაუტყვე-  
რობა, მისი განიერი ფრთები, დელგმა და  
ხათქი!

მართალი ვითხრათ, გავოცდი, როცა  
ივრის პირად მარტოდ-მარტო მღვარი  
იორამი დავინახე აღიღებულ მდინარე-  
სთან მოლაპარაკე:

— ეგრე, ეგრე, შეაზინე ზვირთი!  
მძულს მდორე და გუბე! ეგრე შეუღეწე  
მტერს გული! ყბები ჩაუმტვრიე! გაწ-  
მინდე შშორი, გაასუფთავე ჰაერი! ვიშ,  
სიცოცხლის სუნი ტრიალებს!

— რა გენაღვლება, რომ წაიღო ჩვენი  
ბოსტნები, სიმინდები, ვენახები, სათი-  
ბები, ნერგი აღარ შეგვარჩინა და ვაზი!  
გაგვძარცვა, გავგლოკა, გავგატიალა! —  
შესჩიოდა მეზობელი გლეხი გორია აღ-  
ტაცებულ იორამს.

იორამს კი თვალი ვერ მოეშორებინა  
აზვირთებული მდინარისათვის.

— ეგრე, ვეფხვო, ეგრე იბობოქრე,  
სიცოცხლე მაგრძნობინე! უჰ, შენი ჭი-  
რიმე!

ხოლო როცა იორი ჩამოიკლებდა,  
დაწყდებოდა, დაწყნდებოდა, დაპატა-  
რავდებოდა, პოეზიის მოძულე იორამი  
ასე ტკბილად, პოეტურად მიუღალერ-  
სებდა:

— კიდევ გამოდი ძოვნად, ირემო,  
კიდევ მიჩვენე ფრთები, ქოჩორა მტრე-  
ლო!

იორამს ის აწუხებდა, რომ მრევლი  
არა ჰყავდა.

თუ სოფლის სახარაზოსა და დუქნის  
წინ დაიჭერდა სათავისოდ ორ-სამ კაცს,  
უფრო შიშით თუ ხათრით ყურისმგდებ-  
ლებს, ავზნებით ჩაპკირკიტებდა:

— რევოლუციის მეტი არა გვიშვე-

ლის რა! საერთმანეთო, სამთელქვეყნო,  
დიდი აზრი, დიდი ცეცხლი უნდა: გავა-  
ღვიოთ. კასპიის ზღვა შავ ზღვას ეკვრება!  
კუქის მრწამსზე უარი უნდა სთქვათ,  
ძველი ქვეყანა უნდა ავაფეთქოთ დაუ-  
ყოვნებლივ, რაღას ვუცდით!..

შიშით ვერავინ უბედავდა შეკამათე-  
ბას, რადგან ყველას სჯეროდა, რომ ანა-  
რქისტს ორივე ჯიბე „ბომბებით“ ჰქონ-  
და გამოტენილი!

— გეყოფა, ძმობას, რა დროს აფეთ-  
ქებაზეა ლაპარაკი, შე დალოცვილო! —  
შეპბედავდა ერთადერთი, ისიც უფროსი  
ძმა ძუნძგლი, — ხანში შესული, დამ-  
კრთალი, შესეტყვილი კაცი, დადუნებუ-  
ლი ხელებით, მომჩვენებელი, თოვლი-  
ვით გაწყალებული გუნებით.

ძმებს ხშირად ჰქონდათ შეხლა-შემო-  
ხლა და კამათი.

ორივენი უცოლშვილონი იყვნენ, შე-  
ძლებული მამის დანატოვარ სამკვიდრო-  
ზე.

იორამი სემინარიიდან დაითხოვეს,  
ძუნძგლიმ ოცდაათი წლის წინათ დაას-  
რულა სემინარია და მას მერე სოფლი-  
დან ფეხი არ მოუცვლია. ერთთავად წი-  
გნებში იყო ჩაფლული, ანარქისტი კი  
ყუმბარებს: ამზადებდა სამყაროს ასა-  
ფეთქებლად.

ყველაზე უმეტეს ძუნძგლის მყუდრო,  
უშფოთველი ძილი უყვარდა, თით-  
ქმის ქათმებთან ერთად იძინებდა,  
ქათქათა ლოგინი უყვარდა, ლოგინს  
თვითონვე გაასწორებდა, ჩაპქუქავდა სა-  
ბნის ნაპირებს, ჩაიგებდა საბნის ყუას  
და სიტკომოციემული, უკვე მწოლიარე,  
ძმას ღიმილით გადმოსძახებდა:

— არ მიყვარს ბეტიალი და აჯანყე-  
ბა! ამას რა სჯობს, რა ტკბილია შენი  
საბლი — შენი საყუდარი, მივეყუდრე-  
ბი მოგონებებში და ვარ ჩემთვის, მზის  
მადლმა!

— ერთხელ, მეც ვკითხულობდი გერ-  
ცენს, სპენსერს, კრაპოტკინს, მაგრამ...  
რა გამოვიდა? ეჰ, ესე სჯობია! ოცდა-  
ხუთი წელიწადია ამ ტახტზე ვწევარ, მე  
და ჩემმა ღმერთმა! ყველას თავისი  
ღმერთი გვყავს! მე ჩემი ღმერთი მწამს!

ახლაგზრდობაში მხოლოდ თავისუფლების ოცნებას ვსდევდი, ქარიშხალთან მინდოდა მეცხოვრა ახლა... ლულუნა ბუხარი! ცა გასკდა, დედამიწა ჩაინგრა, ბუხარი კი დარჩა ბუხარი და ორი კაცი მეტი არა, მესამე მყუდროებას დაგვირღვეს!

მართლაც, მხოლოდ საათის წიკწიკი არღვევდა მის სიმყუდროვეს. ბუხარი მტრდევითა ლულუნებდა, კედელზე გაკრულიყო ცეცხლის ნათელი აჩრდილები...

ძმას გამოსძახებდა მეორე ოთახიდან.

— სიწყნარე მხოლოდ იალბუზზეა! მერე, განა შენ არა ბრდღვინავდი წინად, ფაფარაყრილი? შენ არ იყავი, გიტარაზე რომ დამღეროდი:

„მოკვდეთ ხალხის გულსთვისა,  
ფურცელი ვარ მალის ხისა!“

— რა ვუყოთ მერე, მე ახლა ჩამოცვენილი ფურცელი ვარ! ვინ დამედურება დაცვენილ ფოთოლს, რატომ არ შირიალებ მთვარიან ღამეშიო! მე, ჩემო ძმაო, რაღა მესაქმება რევოლუციასთან? ნეტავი, შენც დროს არ ჰკარგავდე ტყუილად და მყუდროდ იცხოვრო! რევოლუციონერობა კარგია მხოლოდ იც წლამდის, საყმაწვილო სენია, მერე უნდა მოიხადო! რა მესაქმება რევოლუციასთან? მშვიდობა და მყუდროება მიყვარს, ჩემს სახლში, ჩემს კერაზე; ჩემი ეზო და ნამყენი, ჩემი ქოცო! მიყვარს ბოსტნიდან რეჰანის სურნელს რომ შემომაჭროლებს ნიავე; მიყვარს, როცა კოჭობში ჩუხჩუხებს წითელი ლობიო, ქინძითა და შინდის ჩურჩით შეზავებულნი. ზედ ცოტა ნივრის წნილიც... რა სჯობია?

რად მინდა რევოლუცია, — ხმაური, განგაში, აურხაური, ბრძოლა, ყივინა, რბევა, კაცის სისხლი? — იძახოდა ძუნძელი, — ხომ სულ წყალს უნდა მისცეს კაცის შრომა, ოფლი და ამაგი? განა, მიწისთვისაც ადვილია? მიწასაც უმიძის...

— მაშ, ბრძოლა ხალხის თავისუფლე-

ბისათვის არაფერი ყოფილა? — შეეტაკებოდა იორამი.

— დიხაც! მთა და ბარი არასოდეს გასწორდება!

იორამი ჩაიქნევედა ხელს.

— მაგრამ, კანტი, მილოი, სპენსერი, პლენხანოვი. კრაპოტკინი...

— თუ გინდ კიდევაც მიუმატე ისო ზირაქი, სოლომონის ეკლუზიასტი, მაინც ყოველივე „ამაოება — ამაოებათა!“, ჩემო ძმაო.

იორამი კი ბობოქრობდა, მზად იყო თავი შეეკლა თავისი რწმენის გულისათვის! არც თავის უფროსსა და პატივცემულ ძმას ერიდებოდა.

ძმას, ტყბილად, ნეტარყუჩობით მიეძინებოდა. ძილში ცხვებოდა... ცა ქათქათებდა, იასამნის ბუჩქი მთვრალ სურნელეზას გამოსცემდა... იორამი კი, მართლმართო, აივანზე ბოლთასა სცემდა... ირგვლივ მდორე ცხოვრება იშმუშენებოდა...

გულჩაბხრობილ იორამს ჩუმი და ნაზი სიყვარულით შეჰყვარებოდა მამისახლისის ქალი, ძუძუმკერდა მერცია.

მერცია ლალი, ხორციელი, საღერღელ-აშლილი ქალი იყო, კალმახივით დახტოდა, უყვარდა სიმღერა, ჩაღეკურება.

იორამი უწმინდესი სინაზით და „აღსურვებით“ ეტრფოდა!

„ენებათა ქვემდებარე კაცი — ვერ განმხედველი გონებისაო“ — ძველი ნათქვამია!

მუდამ ამრეზილი, ქვეყნის მემუქრე, მყუდრო იორამს, მერცია დასცინოდა, „ქვაფქვია“-ს ეძახდა.

იორამის თვალი კი საგანგებოდ ეძებდა დასამზერად, შარაგზაზე თუ ეზოებში. გული ეპინუქრებოდა, თუ ვერ ხედავდა, და თუ თვალს შეჰკრავდა, შინაგანი თრთოლა აიტანდა, გახარებული მემუვიდე ცას დაეწყოდა.

ლალ მერციას კი ისე ეშინოდა იორამისა, რომ მის დანახვაზე ერთი ლიტრა წყალი სჭირდებოდა მოსაბრუნებლად.

— შენ გემთვარება! — ერთხელ, იორამს ამბავი მიუტანა ცულლუტმა გო-

გომ ტატლამამ. გახარებულმა იორამმა იმავე დღეს ხელის მძივი უყიდა. მერციას კი, ფათერაკი ეანუა უყვარდა, — ბოქაულის ჩაფარი, — შელაღებული ვაჟაკი, ჩასისხლებული თვალებით, რომელმაც ერთხელ მერციას მამას მათრახი ზედ აწყვიტა.

მასხოვს, მკათათვის მთვარიან ღამეს ჩვენი სოფლის ახალგაზრდობას ორლობეში წინ მიგვიძღოდა იორამი და გვამღერებდა:

„აღსდგე, მშვიტო, მუშათა კლასო!“

კალოებზე იღვიძებდნენ მთელი დღის ნამამურალები, ძილგატეხილები, მაინც სიამოვნებით ყურს უგდებდნენ ჩვენს სიმღერას.

ახლა მოვაყოლებდით „თამარის დროშა გაშალეს!“ ეს სიმღერა იორამისაგან აკრძალული გვექონდა. მეფეზეაო, არ შეიძლებაო! მაგრამ ჩვენს რიგებში ჩამდგარი მერცია რომ ხმას დააწკრივებდა, იორამი სულ იბნეოდა, ლამის თავისი „ყუმბარები“ გასცივიწოდა ჯიბეებიდან!

იორამის ერთადერთი თავშესაფარი გარსიას სახარაზო მისი ერთგული დასამხრისი იყო. სახარაზო — იორამის კლუბი იყო, მისი ფორუმი. აქ ქადაგებდა, აქ მშენებარებდა. თბილისის გაფიცვებში გემოაღებული გარსია იორამის ერთადერთი და უკანასკნელი მოწაფე, აღტაცებით უსმენდა მასწავლებელს.

გარსიას ცალი ფეხი იაპონიის ომში დაეკარგა. მერე ხარაზობა შეესწავლა, ადელხანოვთან ემუშავნა თბილისში; იქ 1905 წლის გაფიცვისათვის გაეციმბირებინათ და ციმბირიდან გამოქცეულს ჩვენი სოფლისთვის შეეფარებინა თავი. პირბადრი კაცი იყო გარსია, ზრდილი. სოფელში უქებდნენ უანგარობასა და სიმართლეს. ხუმრობა უყვარდა, შეკითხვაზე, როდის იქნება მზად ჩემი ფეხსაცმელიო, მიუგებდა:

— გოჭის ხუთშაბათსაო!

სწორედ გარსიას სახარაზოში ვუკითხავდი ხოლმე ჩემს ბალღობაში, ილიას,

აკაკის, ვაჟას, ყაზბეგსა და ეგნატე წინოშვილს.

— აი, გასძეხ კარგი მზითა! — მეტყოდნენ ხოლმე წაკითხვისას გლეხები ისეთი მაღლიერებით, თითქოს თავად დამეწეროს ეს წიგნები!

მაგრამ, ერთხელ, „ელგუჯას“ კითხვარომ ჩავათავე, მოწონებითი სიჩუმის შემდეგ, გარსიამ თავი მაღლა აიღო, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, აგვათვალა — ჩავათვალა, მერე თითბრის-ყვითელი მუშტა საძირე ტყავს დაჰკრა და მითხრა:

— ვის ათბობს მზე და მთვარე, რატომ იმაზე არ გვეტყვი! აბა, თუ ბიჭი ხარ, „გილიოტინას“ წიგნი წავეკითხე!

მე განვცვიფრდი. თუმცა სიტყვა „გილიოტინა“ გაგებულნი მქონდა! სწორედ იმ ხანებში წავიკითხე ფელიქს გროს „მარსელელი“, — მოთხრობა საფრანგეთის რევოლუციის დროიდან, — მაგრამ, მაინც ვერ მიგვხვდი, რომელი იყო „გილიოტინას“ წიგნი...

ამის შემდეგ „მარსელელებთან“ ერთად, ზოგი რამ სხვაც, — საფრანგეთის რევოლუციიდან წავუკითხე და აღფრთოვანებული გარსია მოწონებით იმეორებდა რევოლუციის დროინდელ ზოგ გამონათქვამს:

— როცა მეფე სცოცხლობს, ჩვენ ეიღრჩებებით!

— თავისუფლების ხე ტირანის სისხლით ირწყვება, ისე ვერ გაიდგამს ფესვებს, ვერც აყვავდება!

გაუგონარი სიძულვილით სძულდა გარსია ხარაზს ნიკოლოზ მეორე, ერთი პატარა ლაქუცა ძალი ჰყავდა, „ნიკალას“ ეძახოდა.

მერცია გათხოვდა ჩაფარზე...

იორამი გამწარდა, მაგრამ მთლად მოღუნდა. ღონე და მოთმენა გამოეღია.

ქვეყანა მისთვის ჯოჯოხეთად იქცა.

ფათერაკი ეანუა ახლა ორგვარად ჰხვერავედა იორამს, — როგორც „ბუნტისთავს“ და როგორც მეტოქეს.

მთლად გულაცრუებული შეიქნა იორამი ცხოვრებაზე. წინათ გაზეთებით მა-

ინც ერთობოდა სოფელში, ახლა ისიც აკვეთა.

ანარქისტმა ერთხელ, ჩემთან, გაზეთი გვერდზე გადასდო, გადაისროლა, როცა შიგ ერთი ჩვენი გამოჩენილი პოეტის ლექსს შეჰკრა თვალი:

— აპოლონის ლილიპუტები! ვის რად უნდა მათი ფეხმოკლე აზრები?

აბა, ნახე, — სიმწარით შემომჩივლა, — რა სიტყვა აქვს, რა ენათქმა, რა აზრი. აზრი კი არა — ლაფიანი წუნწული!

დაითავისეს ნიცშე, შობენძაუერა და თადაფქულ მკითხველს სჯერა ყოველივე!

ან რა ქვეყანა ვართ? — სამგლეთი! ფილისტერების ქვეყანა, მშიერმულელო! ოხ, სად უნდა წავიდე, აქ ყოფნა აღარ შემიძლიან!

...შემოდგომის წვიმა სერის ერთფეროვანი დაქინებით... აივანზე ზინტიანი ძაღლის წუნწლები. ერთ ნაბიჯზედაც არაფერი სჩანს, ყველაფერი დაფარა შემოდგომის ბურუსმა! დედამიწაში ჩამჯდარი მიწურები... ღარიბული ოთახი, ჭუჭყიანი, ჩამომღვარკლული კედლები. უბადრუკი, უნიკო სინამდვილე. წინ — არაფრის სიხარული, არავითარი სიახლის მოლოდინი... ირგვლივ — გუბე და მდორე ცხოვრება, ჩამპალი ჭაობი, დაგუბებული ჰაერი! რა გააღვიძებს, თუ არა ყუმბარა, ამ უჩქეფო-უნალისო, უსიცოცხლო ყოფას?

წვიმა კი სერის... სერის... და სერის... იორამი მზად არი გარედ გავარდეს და თმაში ხელებშეტაცებულმა იყვიროს:

— მიშველეთ, მიშველეთ!  
მოთმენაგამოლეული, ქანცაწყვეტილი ჩაქანდება თავქვე, ქვემო ვენახებში, დაერევა ვაზებს შლეგივით! ამტვრევს, ლეწავს ჭიგოებს! თითქოს ვილაცას ებუღრავება! თვითონაც არ იცის, რას სჩადის, გულს კი იოხებს!

გარშემომდგარი ნისლი კი, შემოდგომის ზღაზნია ნისლი, გველშაპივით მი-

იბარება ვენახში და მცირე ხნის შემდეგ აღარც იორამი ჩანს და აღარც ვენახი! ყოველივე ნაცარა ნისლითაა გარმობვეული!

და... აქეთ — იორამი, იქით — ნისლივით უმოძრაო და უქმი ცხოვრება! არც ერთი თანამგრძობელი! ერთადერთი დიძლი მძა, ისიც მისი აზრების მოწინააღმდეგე!

განა ყუმბარა ცოტა არ არის ასეთი დაგუბებული ცხოვრებისათვის?

— ო, რა საზიზღარია სიღარიბე... ჭაობი... მიბრეცილი ჭოხები... მობრეცილი ტვინი... რამ გააჩინა ასეთი ცხოვრება? ვინ გამოიგონა? — ჰკითხულობდა გულისწყყარობით იორამი და პასუხი არსაიდან...

...აღარც მიწის გუგუნი ისმოდა... იორიც ძალზე ჩამოკლებულიყო...


რა ექნა?  
ხანდახან მოხდებოდა, რომ ანარქისტი და მღვდელი, ასეთ ჟინელთან ამინდში გუნების ჟინელიანობისა გამო, მცირე ხნით „დაზავდებოდნენ“, მაშინ მიპყვებოდნენ „ერთმანეთში სმას“ „დილის არყით“ დაწყებული. სევამდნენ მონდომებით და წადილით.

ჯერ „ყუმბარის“ შიშით მღვდელი უთმენდა, მაგრამ არყის მეოთხე ჭიქის შემდეგ გამხნეებული შეკამათებას უღებდავდა.

მოთმინებიდან გამოსული იორამი ჯერ თვალებს შეუბრიალებდა, მაგრამ გაითვალისწინებდა რა მღვდელთან ბრძოლის უნაყოფობას და უმიზნობას, ულონოდ მიესვენებოდა დუქნის შელაქავებულ კედელს, მზად იყო თმაში ხელი ეტაცნა და ეყვირა:

— მიშველეთ!  
— მიშველეთ!

გარედ კი ისევ ჟინელავდა, ჟინელავდა, უიმედოდ, გულისგამაწვრილებლად. გასაწყალებლად, — ლამის წვიმასა და ღრუბელს მსოფლიო გადაებნელებინა...



მთაბ ჭაღიძე

## უფარატო ჭარისკაცი

პოემა

### შესავლის მაგიერ

წამკითხველო, ნუ გამრისხავ,  
არ გეგონოს დასაძრახი,  
ჯორის პატრონს თუ ხანდისხან  
დაუფიქრებ რასაც ხალხი,  
დღიდან მისი გაჩენისა,  
მთიდან მთაზე ვადასძახის:  
„თო ფი-ლი-კას“ ხან „თო-ფი-ლას“,  
თეოფილე არ თაკილობს...  
რადგან ღმერთიც არ შობილა,  
რომ სოფელმა არ გაკბილოს.

### 1. ტიალი გზა და დარიშხანი

ბუბას მთიდან ეღალას მთამდე  
ჯერ თუ ფეხით არ გივლია,  
დამიჯერე — ჯანდაბამდე  
მისვლა ათჯერ ადვილია.  
კლდე დაგზედება ქანჭახს იქით,  
სადაც ორპირ ჭარიშხალის  
ორწოხებში ჭახან-ჭექით  
ცვივა ქვები დარიშხანის.  
ცვივა ქვები საწამლავის  
და ნამსხვრევებს პაწაწინებს,  
რომ შეავლო წამით თვალი,  
ჯავრი აღარ დაგაძინებს.  
რაკი სიტყვამ მოიტანა,  
არ გეგონოს შხამი შავი,  
ფერით ოქროს ზოდისთანა  
კრთის და ბრწყინავს დარიშხანი.  
ოქროს პეწით, ოქროს ელვით  
გხიბლავს შხამის ზოდი მთაში,  
ხან ციმციმებს, როგორც ცრემლი  
თეოფილეს ჯორის თვალში.  
არ წაგძლიოს ვინძლო სულმა,  
შხამი ოქროდ არ ჩასთვალო,

ყვითელ კლდესთან მისვლის უმაღ  
გაიხსენე სასაფლაო.  
გაიხსენე, რომ შენს ცოლშვილს  
არავინ ჰყავს შენი ფასი,  
რომ არ გიცდის სამშობლოში  
ბედი ნაცარქექიასი.  
გაიხსენე მგზავრი რომ ხარ  
წუთისოფლის მადლით სავეს,  
რომ ხელახლა ვერ ამოხვალ  
სოკოსავით ნაწვიმარზე.  
სად რა განძი ბუდობს მთაში  
იცის წყალმა გამწაფულმა,  
სად ჯერ ოქროს ქურდობაში  
წვრილფეხობა გაწაფულა.  
ზოგი სარცხით ცრიდა სილას,  
წყალს უგებდა გოდორს ზოგი,  
თოფილას ძმას — ქრისტესიას  
იქ უნახავს ოქროს ზოდი.  
დასცვევია ცრემლი დამწვრის —  
შხამი ოქროდ ჩაუთვლია  
და ნაპოვნი მთელი განძი  
ბედლის ახლოს ჩაუფლია...  
ქარის ათას წისქვილნაგებს  
ბიჟს უცდია კარგახანი.  
უცებ თურმე ბედლის თაგვებს  
დარეგია დარიშხანი.  
ვირთებებს გაჰყვა მის ოჯახში  
კატის ჯიშით და სინსილა.  
ქრისტესია იყო ბავშვი —  
მშობლის რისხვა აიცილა,  
თოფილიკას მოხედა ყბაში  
გულმოსული მამის სილა.  
მაგრამ... გავყვეთ მთავარ სათქმელს,  
ნუ გავუხვევთ ნულარსაით,

თორემ შიში ღამენათევს  
 შემოგვივლებს ტურასავით.  
 გაფითრდები, როგორც ჩრდილი,  
 გაგაქვავებს ხმა უფსკრულის,  
 დაიფიწყებ, რომ ხარ შეილი  
 რკინის ძრავთა საუკუნის.  
 დაიფიწყებ მშფოთვარ პროსპექტს —  
 მანქანების ჯოგით სავსეს,  
 მთის სიყრუე გაგაოცებს,  
 კლდის გრუხუნი მოგიტაცებს.  
 გზაა უგზო, გზაა შორი,  
 გზაა უცხო, გზაა ვრცელი,  
 მაგრამ თან თუ გახლავს ჯორი,  
 ვერ დაგჯაბნის განსაცდელი!

**2. ოდა და ხობტა ჯორისა**

თუ დაიწყებს ხრამში ოხვრას  
 დაზურგული სახედარი,  
 გაიხსენებ მაშინ, რომ ხარ  
 მისი ტვირთის ნახევარი.  
 ჩამოხტები გზაზე ჩუმიად,  
 სხვა გზა, არა, არ გექნება,  
 შენი ჩრდილი აბრეშუმად  
 პირუტყვის ფეხქვეშ გაეგება.  
 უფსკრულებთან ისე პიწკად,  
 ისე ფრთხილად გაგატარებს,  
 იტყვი: „მისი სიბრძნე მისცათ  
 ბედაურებს ამპარტაენებს“.  
 ვერის მუხლით, ცხენის ჯანით  
 გზიდავს იგი გზიდან გზაზე...  
 რა ქნას, არ აქვს დედის ტანი  
 და არც მამის სილამაზე.  
 დინჯად გადის ბოგირ ხიდზე,  
 განა შიშით გაფითრდება,  
 არ სჩვევია ჯორს სიკვდილზე  
 მხედარივით ჩაფიქრება.  
 თოფილამაც კარგად იცის  
 უჯილაგოს ყადრი მთაში,  
 ჯორის ტყავში არ გაგიცვლის,  
 რომ მიჰგვარო შავი რაში.  
 ჩვენს ბერიკაცს უკეთ ესმის  
 ჯორის ენა... უგდე ყური:  
 „რაა ჯორზე უკეთესი..  
 რაა ჯორზე უბედურის..  
 ზედ დაადე დედომიწა,  
 მთელი ონი, მთელი რაქა,  
 ჩემს შვილსავე გოგოს ვფიცავ,  
 ქვე წვილებს ჩემი ბაჩა...“

მაგრამ ერთი ნაკლიც ახლავს,  
 სმა და ჭამა უყვარს დიდი,  
 გაჭირვებით შეინახავ,  
 სამოსახლოს თუ გაჰყიდი.  
 სათიფეში ხარკამეჩი  
 შეაჯიბრე ცხრა ყვეარი...  
 ვერ შეჭამონ ცხრა ღამეში  
 ჩემი ბაჩას ნახევარი.  
 ქვე კუჭი აქვს უჩვეულო —  
 ასი ფუთი ქერი ჩავა,  
 მთელი ჩემი ჭურჭლეულის  
 ფული მაგან შემიჭამა“.  
 წყველ ჭურს როცა აიკიდებს  
 მაშინ ნახე სახედარი  
 და იკითხე — არის კიდევ  
 სხვა რამ მასზე საქებარი?  
 ნაპატიებს, ხელით ვაზრდილს  
 არ ამგზავრებს უსმელ-უჭმელს,  
 ჭკვიან პირუტყვს ბერიკაცი  
 დააბაწრავს ზურგზე ჭურჭელს.  
 პატრონს საით სად არ მიჰყავს  
 ჯორი ხატად სალოცავი  
 და მორჩილი, როგორც თიხა —  
 ჭურჭლად ჯერ არ გამომწვარი.  
 დადის თვალბნაღვლიანი,  
 მაძლარია თუ მშოიერი,  
 განა მისი ბრალი არის —  
 არ მრავლდება უშიერი.  
 გაგაქვინებს სევდით სავსე  
 და არ გინდა იყოს სწორი,  
 რომ იტყვიან ხეპრე კაცზე:  
 ბრიყვიო, როგორც ჯორი.

**3. ბაჩას ბატონპატრონი**

...მაგრამ განა სახედარზე,  
 მის მხედარზე ვყვები ამბავს,  
 მოხუცია სახესავსე,  
 უგავს თეთრი წვერი ბამბას...  
 ძმებთან ძმაა ღირსეული,  
 უძეობის სევდა თუთქავს,  
 შეიდ ქალიშვილს ისე უვლის,  
 როგორც ფუტკრის დედა ფუტკარს.  
 სადმე ლხინი ან ქორწილი  
 თუ გაჩაღდა... დალოცვილი  
 იქ გაჩნდება დიდკაცურად,  
 თან შეიდქალა მიჰყავს სტუმრად.  
 სუფრის თავში გუნდი მისი  
 ძველ სიმღერებს აგუგუნებს,

შურისაგან გული მისდით  
 მთის ბულბულებს და გუგულებს.  
 ქელეხებშიც დადის ხათრით  
 ბერეკაცი დიდებული,  
 ენას უგავს (არყის ყლაპვით)  
 ცხვირი წამოწითლებული.  
 ერთ ღროს მართლა თვალი სოფლის,  
 ახლა დადის ხანდაზმული,  
 ვით ჭაბუკი მსახიობი,  
 ბებრის ნილაბგადაცმული.  
 თოფილიკა ყოჩაღდება,  
 ჯეელდება უფრო მაშინ,  
 ჯორზე მჯდარი როცა ჩნდება  
 სოფლის ბალაუჭობაში:  
 — ბაჩა, ბაჩა, — ბერეკაცი  
 ჯორს მიმართავს მოფერებით, —  
 რომ აგვიდონ ასი კასრი  
 მოვერევით?  
 „მოვერევით!“ —  
 თავს დაიქნევს სახედარი,  
 წამოიწყებს გზაზე ფრუტუნს  
 და პატრონი კეზზე მჯდარი  
 არბენინად ახვევს თუთუნს.  
 თეოფილე გარსმოხვეულ  
 ბალებს როცა გააოცებს,  
 გაზეთიდან ამოხეულ  
 ახალ-ახალ ამბავს მოსწევს.

#### 4. თოფილას სამოსახლო

სწორედ სოფლის ყოფილ თვალზე  
 ვიწყებ ამბავს მოკრძალებით,  
 შემოგზვდებათ ჯორით გზაზე  
 მასთან როცა მობრძანდებით.  
 თუ არ დაგზვდათ მასპინძელი,  
 ისეც იცნობთ სამოსახლოს,  
 ძველ მეჭურჭლეს წაბლის ძველი  
 ოდა უდგას წყაროს ახლოს.  
 იქვე, ერთადერთი სოფლად,  
 მოჩანს სვეტი შემართული...  
 ართობს მოხუცს რადიოდან  
 სიმღერები ძველქართული.  
 მოფუსფუსე კაცი დილით  
 საქმეს სანამ დაალაგებს,  
 ადრე, როგორც მამლისყვილის,  
 ისმენს ქვეყნის ახალ ამბებს.  
 პოდა... წყალთან უდგას სახლი,

აი, სწორედ ამის გამოც,  
 მისი ავი კუდა ძალდი შარკუნული  
 ყუფით იკლებს კარმიდამონ...  
 წყალის დამლევს რა გამოლევს,  
 ანდა — შარაგზაზე მგზავრებს?  
 ზის თოფილა და აბოლებს,  
 უქმევს ქათმებს აბეზარებს...  
 თან წყაროსთან მოკისკასე  
 ქალებისკენ ურბის მზერა,  
 ვისლა უწყის ცოდვით სავსე  
 ბერეკაცის გულისძგერა.

#### 5. მცირეოდენი გასამრჯელო

განა ერთი, განა ორი,  
 წყალთან ქალი დგას ორმოცი,  
 ირეცხება წყალში კორი,  
 ხითხითია და ხორხოცი.  
 ჯერ ზომ ომისწინანდელი  
 წუთი სარკედ ბრწყინავს მთაში,  
 ჯერ სიკვდილი ბასრი ცელით  
 არ სწვევია იმათ ქმარშვილს.  
 ნაცვლად კვილ-წივილისა  
 წყაროს წყალთან ისმის ლხენით  
 სოფლელ ქალთა სიცილის და  
 ყრიაშულის ტბილი ხმები.  
 ... ერთს ხელიდან გაუსხლტება,  
 გაუტყდება სველი სურა,  
 ახალ სურით გამოჩნდება  
 თეოფილე ელვის უმაღ.  
 პოდა... ისე, როგორც მუდამ,  
 წყალში მისი ლანდი ჩნდება,  
 გასამრჯელო ცოტა უნდა —  
 ერთხელ გადაპატიყება.

#### 6. მეჭურჭლის ხვედრი

მამა შვიდი ქალიშვილის,  
 შვიდი გვრიტის გასათხოვრის,  
 ხან ხუმრობით, ხან ჩივილით,  
 ხან სუფრაზე — სხვათაშორის,  
 წელიწადში ორჯერ, სამჯერ  
 თავმჯდომარეს თხოვდა: — შვილო,  
 რვა კოლწვერი გავიტანჯეთ  
 იმ ერცახე ოდაშიო.  
 დაუწყებდნენ განქიქებას:  
 — ჩამომკნარა დარდით სავსე!  
 — ურჩევნია ნაცრის ქექვას,  
 იყიალოს. თავის გზაზე!..





— ოქროსხელა ხელოსანმა  
 იცის საქმე სარფიანი!..  
 — შინ შეიტანს შემოსავალს!..  
 ბუბობდა ხალხი საქმიანი.  
 და... თოფილას, დავის შემდეგ,  
 მეშვეობით მოსარჩლეთა,  
 ჯორზე შემჯდარს გაუშვებდნენ  
 მთაში ყავრის მოსაპრელად.  
 გაუშვებდნენ, თან ლიმილით,  
 შაირობით და ლიღინით  
 თავს ირთობდნენ: — თოფილაო  
 ოთხმოცი წლის ყოფილაო,  
 მაინც კოხტა ბიჭიაო,  
 უყვარს ჭრელი ჭინჭილაო,  
 მთაში, ყავრის მაგივრათო,  
 თიხას მოჭრის, რა გინდათო!  
 ბერიკაციც ჭრიდა თიხას,  
 ოქროსხელი დაელოცოს!  
 არ ეძინა დიდხანს, დიდხანს  
 ფაცხად მოწულ სახელოსნოს,  
 — თთბი ფიცრის მიცდის ოდა,  
 ბერიკაცი იცინოდა, —  
 გავათხოვებ შვიდ ქალიშვილს,  
 თიხის ხელას ვინ დამიშლის?..  
 რის ყავარი, რა ყავარი!..  
 სხვა რა სწამდა მიწის მეტი,  
 მიწის ძარღვი და ჯავარი —  
 თიხა იყო მისი ღმერთი.  
 თავის თავსაც ღმერთად თვლიდა  
 და იღწვოდა ყველას ნაცვლად,  
 დოქს ადამის მსგავსად ქმნიდა.  
 სურას თლიდა ევას მსგავსად.  
 ხელოსანი გაოფლილი  
 შეჰყურებდა კმაყოფილი:  
 დოქს და სურას, ვით შვილები,  
 გარს ეხვივნენ ჭინჭილები.

7. თოფილას რომანი

გარეშემო დიდებულად  
 ხენი დგანან ასწლიანი  
 და მთლად გადაყვითლებულა  
 ლეღეები ანწლიანი.  
 სდუმს ხეობა, როგორც ქვევრი  
 მოჩანს გადასახედიდან  
 ბალბასავით მწვანე ფშანი,  
 მარცხნივ კლდეთა თაღებია,  
 სადაც ბუდობს დარიშხანი,  
 სადაც ქვეები ოქროსფერი

ცვივა გზაზე ნაწვიმარზე,  
 სდუმს ხეობა როგორც ქვევრი  
 აურაცხელ განძით სავსე.  
 ბაჩა ჯორი კუდის ქნევით  
 დინჯად მოსდევს ნამთა ბრწყინვას  
 და მის ზურგზე ფუტკრის სკები  
 ოდებს გვანან პაწაწინას.  
 სცემს ორპირი ქარი ბოლთას,  
 სადღაც ხეზე წივის ჩხართვი,  
 სადღაც ხრამში წუხს და მოთქვამს  
 წუხანდელი წვიმის ნაშით.  
 სკების უკან შესკუპებულ  
 მხედარს გულზე გაკრა სევდამ,  
 როგორც წელან, შეცბუნებულს  
 რალაც მწარე გაახსენდა.  
 ეუღად ქონდა მას დაცდილი —  
 ცალი თვალი მოეცრებლა,  
 გაახსენდა გარდაცვლილი,  
 ეპვიანი ცოლის წყევლა.  
 მთაში ერთი ოსის ქვრივი,  
 თეთრი, როგორც თოვლი მთაზე,  
 უბესავსე, თეძომკვრივი  
 ლოცულობდა თოფილაზე.  
 დარდით წვა და დარდით დაგვა  
 ორის გარდა ვინ იცოდა,  
 მთაში მეხად ხმა გავარდა,  
 ვინ დაიდო მისი ცოდვა?!..  
 „ეს თოფილა რა ყოფილა,  
 ერთი ცოლი არ ჰყოფნია,  
 მეორე ჰყავს ოსეთშიო,  
 იბუგება ორ ცეცხლშიო“.  
 თავზე ელდადაცემულმა  
 თქვა: „ამდენხანს კაცი მერქვა,  
 ნაცარქექიასებურად  
 წამოვიწყო ნაცრის ქექვა?!..  
 ჰოდა... აღარ გავაგრძელებ,  
 არ გადავღლით ყოვლისცოდნით,  
 არც დიაცურ აგაცრემლებთ  
 თეოფილეს ცოლის ცოდვით.  
 ვაი, ბერიკაცის ბრალი:  
 გაქრა ჰორი, გაქრა ცილი,  
 მაგრამ გაქრა ოსის ქალიც —  
 ცოლზე აღრე გარდაცვლილი.  
 და მეჭურჭლე დარჩა ქვრივად,  
 ვის შესტირებს, სად იჩივლებს,  
 „გასათხოვრად, გასაწირად“,  
 ვერ იმეტებს ქალიშვილებს.  
 ჰოდა... მოხუცს ამხედრებულს  
 საფიქრალად ესლა ჰქონდა:

მთის თოვლივით გათეთრებულს  
 მთა რიდასთვის ეძახოდა?...  
 შორს, ღრუბლებში რომ გამოჩნდა  
 კლდე პირქუში და ზვიადი,  
 მოხუცს წამსვე გასაოცრად  
 შეეცვალა ხასიათი.  
 დაავიწყდა მხედარს სიმწრის  
 და წუხილის წუთი ყველა,  
 მშობლიურმა ქედმა იცის  
 ბერიაყის გულის ღელვა.

### 8. დავიდარაბის წინა წუთები და ლირია

მოხტუნავე, როგორც ბურთი,  
 მგზავრმა გული დაიმშვიდა,  
 მთების ძირას უცდის გუნდი  
 მეფანდურე ქალიშვილთა.  
 მწარე ფიქრებსგამორთული  
 მამა შეიდგერ შეიღს ვადათვლის,  
 მძიმე ბოხჩად გამოკრული  
 საჩუქრები მიაქვს მათთვის...  
 ძვეს ბოხჩაში ჩაკუმშული  
 შვიდი გვრიტის ასაფრენი  
 ჩითის, შალის, აბრეშუმის  
 შეიდიშის საკაბენი.  
 „სხვა თოფილა ვინ ყოფილა,  
 ვინ შობილა ჩემი მსგავსი,  
 ვის რგებია, ვის ჰქონია  
 ბედი ნაცარქექიასი!“  
 მოლიღინებს ჯგროსანი  
 სველ ბალახზე ნაწვიმარზე,  
 წინ უბრწყინავს ოქროსავით  
 მირიადი პაწია მზე.  
 შუაგზაზე ბერიაყმა  
 სკებს შეავლო თვალი, ჰოდა...  
 ჩაიცინა: „ერთის ნაცვლად  
 მედგმებაო სამი ოდა!“ —  
 თქვა და ფეხი სველ ბალახზე  
 ისე დადგა ჩამომხტარმა,  
 თითქოს მისით ქვეყანაზე  
 კიის ქუპრიც არ მომკვდარა.  
 მიწას ფეხი დააკარა  
 და ახლოდან ხმა მოესმა,  
 თითქოს მოხუცს მთა და ბარმა,  
 როგორც მამას ამოჰკენსა.  
 გზაზე შედგა ჯორი სკებით,  
 ლორთქი ბალახს ლხენით დასწვდა;

სკები ფრთხილად, მოწინებთ  
 ძირს ჩამოდგა ბერიაყმა,  
 ანწლოვანი შეიბრუნდა  
 მწერთა გუნდის დანახვისას,  
 წელმოწყვეტით შეიბრება  
 ღერო ხვართქლაბალახისა.  
 მწვანე ღოღო დაიბრება,  
 ხატისმონამლოცველივით,  
 თავდანექტრილს დაეღვრება  
 სიტკბო რძისფრად მოწველილი.  
 შეარხვევენ სველ გვირგვინებს  
 გალუმპული ღილიღებთ:  
 „ფუ, ფუტკრებმა შეგვიგინეს  
 სადედოფლო გვირგვინები“.  
 ჩაიკენსა ჯგრომა მწარედ:  
 „ალარ მიშვებთ საბალახოდ?...  
 ჩემი ზურგით მოგაბრძანეთ  
 ისევე ჩემდა სავაგლახოდ?“..  
 მწერთა გუნდი დამშეული,  
 მიწის სიტკბოს დასეული,  
 წოვდა შარბათს სანეტაროს,  
 როგორც მგზავრნი სვამენ წყაროს.

### 9. უცნობი მგზავრების გამოჩენა

მიწა ომისწინანდელი  
 ტებილი ძილით გადაღლილა,  
 ჯერ აქ დედის წმინდა ცრემლი,  
 შვილის სისხლი არ დაღვრილა.  
 მხართეძოზე წამოწოლილი,  
 მოლიღინე თეოფილეს  
 ცერისთვალემა, მწვანე მოლი  
 შიგ თვალემაში შეჰფოფინებს.  
 და ჰაერში პიტნის სურნელს,  
 როგორც ლურჯი ნისლი ღრუბელს,  
 ეზავემა, უერთდება  
 ვარდასკილას სურნელემა.  
 მწერებს ისევე პაწაწინებს  
 ცეცხლის ალისფერი ანწლი,  
 წამით მზერას არ აცილებს  
 ფუტკრის ფუსფუსს ბერიაყი.  
 დგანან უხმო დარაჯებად  
 ბერმუხები გარეშემო:  
 „გამარჯევა, გამარჯევა,  
 საყვარელო მხარეე ჩემო!“  
 ბერიაყმა როცა გულში  
 თქვა მშობელი მხარის ლოცვა —  
 „გუტენ მორგენ“ — მოხვდა ყურში,



უცხო სიტყვა გაეოცა.  
ჩაღვა შიშის წუთი ჯანში,  
გადახედა მგზავრმა ტყვეელს:  
„ცნე მოვხვდი პრუსიაში,  
თუ ქანჭახთან დამატყვევეს?“  
ბერიკაცმა როცა მხრები  
ყრუ კრუსუნით წამოსწია,  
თავს დაადგნენ უცხოები:  
— ვერ გვიჩვენებ წყაროს, ძია? —  
გულში ძრწოლა შეეპარა,  
გახდა სხვათა დასაძრახი,  
მოხუცს ტყვეში შეეყარა  
ორი მგზავრი ტანახმახი.  
ერთად იღვა გზაზე წყვილი —  
თვალად საესე, ტანად საესე,  
ერთი უფრო თვალბწვრილი  
ჩანდა თავის თანამგზავრზე.  
უცხო ქონდათ ჩაცმულობა,  
შუბლზე ესხათ ოფლის ცვარი,  
ბებერს თავზე დასკქეროდა  
დაქანცული ორი მგზავრი.  
იღგნენ გაუპარსავეები  
და წყურვილით პირგამშრალეებს,  
ცხრა დღელამის ძილგამერთალეებს,  
ეწებვოდათ წამწამები.  
ერთი პეშვი წყალი მათთვის  
იყო მართლაც უკვდავება.  
მოხუცს სასმელს გამოართმევს  
მგზავრი ჭერა, ლურჯთვალეება.  
მოიყუდებს იგი სურას,  
ყბები აუცახცახდება,  
მას მეორე სულწასულად  
თვალს შეავლებს და წახდება...  
გამოსტაცებს უცებ ქურტელს  
და პირველზე ხარბად მოსვამს,  
თან სიამით უშვერს ტუჩებს  
შემთბარ ნაეურს ცხრაწყაროსას.  
აქვთ ქიშპობა საკვირველი  
და სიხარბით საესე გული:  
წყალს იტაცებს კვლავ პირველი —  
სურაგამოტაცებული.  
მათ შემყურეს ეცინება,  
ფიქრობს ბერიკაცი—მოწმე:  
„მოძმეს როგორ ეცილება  
ამ დურბელა წყალში მოძმე?..  
დღე მაგათი მაშინ ნახეთ,  
დალამდება როგორ ცოდვით,  
ორს რომ ხელში ჩაუვარდეს

გასაყოფი ოქროს ზოდი“.  
მათ ქიშპობას სასაცილოს  
ბერიკაცი შეანელებს,  
შეიმშრალებს შუბლზე ცივ ოფლს  
და შეჰყივლებს გერმანელებს:  
— როგორ?!.. როდის ატყდა ომი?..  
ეს დღე ნეტავ არ მეხილა!..  
ერთი მგზავრი ეტყვის წყრომით:  
— ომი ჯერ არ ატეხილა!  
ეტყვის იგი და თან იტყვით  
გაიფიქრებს: „არა მგონი...  
ქურში ვსხედვართ, განა ვიციტ,  
ეგებ კიდევ ატყდა ომი?..

10. ჯვარცმით ნახვადლი ენა

მოხუცს ცხადის არ სჯეროდა,  
ჯერ ეგონა სიზმარს ხედავს,  
პირი ღია დარჩენოდა,  
როგორც დაუტირალ ცხედარს.  
მოქცეოდა ცალი მხარი,  
თითქოს იყო, აღარც იყო,  
მისი ბაჩა სახედარი  
ზურგზექცევით დამდგარიყო.  
ბალახს ძოვდა ბაჩა ყუჩად,  
მდიანად, ბლუჯაბლუჯად,  
კულს უქნევდა ფუტკარს ურჩად,  
მხარში ეღვა პატრონს ბურჯად,  
თან მზად იყო ჯორი უხმო —  
საჭირო ეამს, როგორც ჯუჯა,  
დაეწიხლა ორი უცხო.  
— მაშ, ჯერ ომი არ ამტყდარა?  
ჩვენ გვეკუთვნის ჩვენი მთები?! —  
მგზავრებს ჯგერად დააყარა  
თოფილიკამ შეკითხვები.  
ცეცხლი აღარ გაღვივდება! —  
უპასუხეს მათ ღიმილით  
და უცნობთა გაღიმება  
ცივი იყო მახვილივით.  
— ატკივდება წელი ჯდომით,  
ბრძენო, კაცურ კაცად ზრდილო,  
ჩვენ მოგყვიდე შენი ჯორი,  
შენ ქვეითად წაბრძანდილო...  
პკადრებს მგზავრი ლურჯთვალეება  
და, ვით ზღვისპირ ტიალ მზისგან,  
მოხუცს სახე უშავდება,  
უჟამდება სიბრაზისგან;  
ჩაფიქრდება ბერიკაცი,

გადახედავს განზე ბაჩას:  
 „დღეს აქეთ ველი აწი  
 მარტოდ მარტო გზაზე ჩანჩალს?  
 კირში, ლხინში სამეგობროდ  
 ვინც თან მახლდა გზად და ხილად  
 ასე უცბად, ასე როგორ  
 გავიმეტო გასაყიდად?..  
 თუმცა ახლავს ნაკლი ჯორსაც:  
 სიბერემდე ცეტად დარჩა,  
 გზისპირ — ყველა სამშველდლოსთან  
 ტყიურით ფრთხება ბაჩა.  
 შიშნაჰში აცრემლდება,  
 როგორც შველი დაქერისას,  
 პირუტყვის მაშინ ახსენდება  
 დღე პირველად დაქედვისა.  
 მაინც მიყვარს ჩემი ჯორი,  
 რა ქნას, დაჰყვა კარგი მადა.  
 ქვეყნად დადის ბევრი მძორი —  
 არა ახსოვს ქამის გარდა.  
 მაგრამ ერთი უნდა ითქვას  
 მისი გულის შესახებაც,  
 რაც შებერდა, ველარ იტანს  
 უკადნიერ შეძახებას.  
 კარგად ვუგებ, კარგად ვიცი —  
 ბოგირ-ხიდზე გადასვლისას  
 ბაჩა-ჯორი არ დაიძვრის  
 ლუქმას თუ არ გადასინსლავს.  
 როცა მარტოდმარტო მოდის,  
 შობიჯებს გზაზე ფრთხილად,  
 არც შეხედავს ავტომობილს,  
 გვერდს აუქცევს არხეინად.  
 თუ ვაზივარ ზურგზე ტვირთად,  
 მაშინ უფრთხის ბაჩა აეტოს,  
 უცოდველი, სულიწმინდა  
 მიფრთხილდება, ალბათ, პატრონს.  
 იცის მიჰყავს თვალი სოფლის  
 და ვით ვაჰარს ყაჩაღების  
 ეშინია მთერალი შოფრის  
 შეფეთების, დაჯახების.  
 ფშატ ჯორებს არსად ხედება  
 დაკოდელი ბაჩა ჯორი,  
 ჩემნაირად არ გახდება  
 ქვეყანაზე გასაჰორი.  
 რომ აედგას დილით ენა,  
 იტყვის იგი საღამომდის,  
 რამდენ სახლში გავათენე  
 ქვრივ-ობერმა სად და როდის.  
 მეგუმანე ქალთა დარდის

სახით ვგეგვარ ალაღმართალს,  
 მაგრამ ქვეყნად ვინმე დადის  
 ჩემი მსგავსი, ჩემი ცალიჭი  
 იცის ჯორმა, აბა, რა ქნას,  
 უგუბია ყბებში წყალი,  
 აიკიდებს ზურჯინივით  
 ბაჩა დოქებს, კრელჰინკილებს.  
 დადის სიკვდილმისჯილივით  
 რა ქნას, ვერსად ვერ იჩივლებს,  
 მოხუცს ფიქრი გაამწარებს  
 ბოლოს განგებ მორიდებით,  
 კრძალვით ეტყვის თანამგზავრებს:  
 — ფასში ხელად მოვრიგდებით.  
 ვინმე ბოშა არ გეგონოთ,  
 დავთმე ჯორი, საიმედო,  
 ეს ოხერი სკები ოღონდ  
 სოფლად მიმატანინეთო.  
 თეოფილემ ჯანში იგრძნო  
 რალაც ცივი, მძიმე, მწველი,  
 იმ ორივე მგზავრში იცნო  
 მტერი დაუძინებელი.  
 თან გულში თქვა ბერიკაცმა:  
 „დღეს ცოცხალი თუ გადავრჩი,  
 თუ მუხთალი ხვედრი ამცდა,  
 სუფრას გაეშლი შუა გზაში.  
 რა ვიღონო მარტოდმარტომ,  
 გული ექვით გამიბზარეს,  
 ცხარე არყით გამოვათრობ  
 მოშიებულ, დაღლილ მგზავრებს“.  
 თოფილიცა ფიქრით, ექვით  
 მოიქანცა, მოითენთა.  
 ეგებ ჯორზე გწყდება გული?  
 — ბერიკაცო, არას გერჩით! —  
 სხარტად ეტყვის ორივე ერთად, —  
 — სცდები, შვილო, როგორც ბავშვი.  
 — სად ისწავლე გერმანული?  
 — სად და თქვენთან ოხრობაში;  
 — რა ოხრობა, რის ოხრობა! —  
 ორმა თვალი დაარისხა,  
 ბერიკაცმა იწყო თხრობა  
 ტყვის თავგადასავალისა.

## 11. ტყვის თავგადასავალი

სამ წელიწადს რუსის ჯარში...  
 ოთხ წელიწადს პრუსიაში...  
 ერთი ფრაუ შემეყვარდა —  
 მივეშველე პურის მკაში,

ჩემად კონა ხვევის გარდა,  
 დაუტოვე ტუპი ვაი,  
 ორიე სახის ფერით მგავდა,  
 არც მე ვიყავ ცული მაშინ.  
 — ქალი აგრე დაათასე?  
 — აგრე დასთმე შენი ნებით?  
 — მისი ქმარი დამხვდა გზაზე,  
 მუშტი-კრივეში შევიბენით.  
 ვერ დავჯაბნე, ვერ დამჯაბნა,  
 მჭონდა რჭიან ვირთან ბრძოლა,  
 ჯოჯოხეთის გვედგა ჯაფა,  
 გაგვაშველა მისმა ცოლმა.  
 ორი ზორბა გერმანელი  
 მოხუცს თავზე დაჰყურებდა:  
 — უქმელები ველარ ვივლით,  
 გვაღირსეო დაპურება! —  
 თქვა და მზერა გააპარა  
 ზურჯინისკენ თვალმწერილმა,  
 ბერიკაცმა არა თქვა რა,  
 გულში მწარედ ჩაიციხა,  
 გაიღიმა მანაც ყალბად,  
 წყენა წყალად გადაყლაპა.  
 — ეპ, რომ გქონდეთ გერმანული  
 ან წერილი, ან გაზეთი,  
 თქვა მან, თითქოს სინაულით,  
 გზაზე თუთუნს გაეხვევდი.  
 მის წინ შედგა ორიე მგზავრი  
 ვერცხლისფერი პორტსიგარით:  
 — რა წერილი, რის გაზეთი?  
 — პა, ინებეთ სიგარეტი!  
 როცა კვამლი არხენიად  
 გაახრჩოლა სკების იქით,  
 მოხუცს ფუტკრად დაეხვია,  
 დაეხუნძლა მწველი ფიჭვი.  
 იდგა ორი უცხო კაცი,  
 მსგავსად მშვიერ-დამაშვრალთა,  
 უცებ, ერთმა ორის თვალწინ  
 ცვრიან ბალახს დააშარდა...  
 და შეჰკივლა უცბად უცხომ,  
 ვის შეჰკივლა, რად შეჰკივლა?  
 შეიგინა უნამუსოდ  
 ფუტკრისაგან დაკბენილმა.  
 მასპინძელი ახარბარდა,  
 როგორც სახლიკაცთა შორის,  
 ეპ, რომ გვერდით არა ყავდა  
 ვინმე მოწმე, გარდა ჯორის...  
 აბოლებდა დიდხანს, დიდხანს,  
 ძლივსლა მოიბრუნა სული.

— პურს არ გვაქმევ?! — ისევე კითხავს  
 წვრილთვალემა გულმოსულმა  
 — პურსაც გაქმევთ, თაფლსაც — უხვად,  
 შვილო, რისთვის გულისდები?  
 ტიალ მთებში რად მოსულხართ,  
 ვინ ხართ, მართლა ტურისტები?  
 მათ დაიძრეს საბუთები  
 ბექდიანი, ტურისტული...  
 წამს გაყუჩდნენ და ფუტკრები  
 აბზულიდნენ: — სტყუი... სტყუი...  
 სტყუი, სტყუი... ტყვიის წივილს  
 წააგავდა ხმა ფუტკრების;  
 დრო დგებოდა ტკბილი ძილის —  
 სკებში მათი დაბუღრების.

12. უოფნა არყოფნის ქაში

დღე ახრჩობდა ბოლო წუთებს,  
 მწუხრის წინა ქაში იწვა,  
 მტრების ჭურვებს, როგორც გუთნებს,  
 ჯერ არ ეხნათ შავი მიწა,  
 ხის ფოთლები, ვით მერცხლები,  
 ქივივებდნენ საგალობლებს,  
 დაუთხრელი ხის ფესვები  
 სვამდნენ წყაროს სამადლობელს.  
 ჯერ ხანძარის და ნაცარის  
 არ ჩაეცვათ ახალუხი,  
 ჯერ არ იყო გადამწვარი  
 ტყე წებულდის და მარუხის.  
 მყინვარწვერის ბრწყინვალემა  
 ჯერ არ იყო გასისხლული,  
 მაგრამ მთებში წრიალებდა  
 ომის ღმერთის შავი სული.  
 ხალხის თრთოლევის, მღელვარების  
 იღუმალი წელი იდგა,  
 მთებს ქსელავდნენ მზვერავები,  
 გზებს ლამბავდნენ ბერლინიდან.  
 რად გამორჩა მთების არწივს —  
 რა მოჰქონდა ქაშთა ტრიალს...  
 და, ვით ჩვენი ბერიკაცი,  
 ენდო ქალაღდს ფარატინას!  
 თელემდნენ გადასასვლელები  
 ჯვრის, ჭანჭახის, სანჩაროსი...  
 ძილს უკრთობდნენ მთასვლელები  
 მიხაკისფერ სამყაროსი.  
 ფეხით თოვლში, ქარწვიმაში  
 მოიკვლევდნენ გზას წვალეებით,  
 რომ მათ შემდეგ ძლევის მარშით

და მათივე ნაკვალევით  
გადმოველოთ ომის ღვარებს  
გაცოფებით, გამხეცებით,  
რომ ვეფხვის და მოყმის მხარეს  
ექვითინა ცხარე ცრემლით.

### 13. დამპყრობელთა შეკვლევები

ერთად იდგნენ ორივენი...  
ერთი ფერის ჰქონდათ ჩანთა,  
ერთი უფრო ღონიერი  
და ტანადაც ზორბა ჩანდა...  
ალბათ იყვნენ ერთწლოვანი,  
ერთურთს გაედნენ, როგორც ძმები,  
ვით შემოდგეს ლერწმოვანი,  
აწეწვოდათ ოქროს თმები.  
თავს საკუთარს შეაზარებს  
ექვი გულში მიმალული,  
მგზავრი უცნობ თანამგზავრებს  
უმზერს განგებ მზიარული;  
მოხუცს გულმა უკარნახა:  
„მოახერხე უცბად ახლა  
მათი გამზიარულება,  
ცხარე არყით გაბრუება.  
— ეგებ ახლა ვიღუპები,  
ცხადად გხედავთ თუ სიზმარში?  
აქ მოხვედით ის ტყუპები,  
რომ დაგტოვეთ პრუსიაში?  
შევრცხვი, ისე დაიზარდეთ —  
ვერ გაღირსეთ ყურისგდება,  
ახლა, ალბათ მამისადმი  
გადასწყვიტეთ შურისგება, —  
ნანა ჯიქურ შებმის ნაცვლად  
სულ სხვა ხერხი, სხვა ცდუნება,  
განიზრახა ბერიკაცმა  
ორი უცხოს გაცრუება,  
სტუმრებს კითხა მასპინძელმა:  
— ტყუპნი არ ხართ? ოპ, ბოდიში! —  
თან კისერი წაიგრძელა  
მკაცრ პასუხის მოლოდინში.  
სხივთა წამწამთ ახამხამებს,  
მზე ეშვება მწვერვალებთან,  
უცებ შესძრავს მრუმე ხრამებს  
მძლე ხარხარი გერმანელთა:  
— ხა-ხა-ხა-ხა... ვიციით ბიძავ,  
რა სახადით იხუთები,  
ხა-ხა-ხა-ხა,—სინდისს ვფიცავთ,  
არ ვართ, არ ვართ ის ტყუპები.

ქუხდნენ გადამთიელები:

— ქურდის თავზე ქუხდნენ წყნარად...  
— ჩვენ ვართ ბავარიელები!!!  
— ჩვენში კარგი ლუდი იცის.  
მოხუცს გული დაუმშვიდდა,  
თითქოს იჯდა სიმამრისას,  
ახლა ვინდა დაუშლიდა  
მოსდებოდა ცისა-ბრისას.  
— ლუდი რაა, — თქვა თოფილამ, —  
კარგი წინწანაქარია...  
თან პასუხით კმაყოფილმა  
დაუმატა, — შექარია!  
ორნი ლამის შეიშალნენ,  
ცხარე არყის ხსენებისას,  
ჭრელ ხურჯინში შენიშნავენ  
ქურქელს ნოეს ცრემლებიანს.  
იტყვის ერთი არამკითხვე:  
— ალბათ ვაჭრობ არაყითვე?  
მას მოხუცი სიტყვას უჭრის:  
— ვასმევ ყველა მწირს და დუხჭირს.  
— ცხვირზე გატყობთ, წმინდა პაპავ,  
საყლაპავის გიყვარს ყლაპვა?  
ვინ მოუგებს თოფილიკას:  
— მხოლოდ დილდილობით მიყვარს...  
— ზერ გუტ! კარგი კაცი ჩანხარ,  
სამხრის საქმე გაიჩარხა! —  
დაიძახა ბოლოს ორმა  
და ფრუტუნე მორთო ჯორმა.  
„მივდივართო“, იგრძნო ბაჩამ,  
დაემსგავსა ამაყ ირემს  
და მგზავრებთან იმ დროს გაჩნდა,  
როცა წასვლა დააპირეს.  
ლურჯთვალემა კითხავს გვიან:  
— ბერიკაცო, ეს გვითხარი,  
გომიშორი იმ მთას ჰქვიან?  
— არა, ის მთა ქვევით არი!  
ვერ ისვენებს, არყის ეშხით,  
ექმუტავს მგზავრი წერილთვალემა,  
თან კითხულობს: — იმ ღრუბლებში  
ბუბა საით იმალება?  
— გეტყვით, ცოტა დამაცალეთ,  
მთებს გაგიშლით ზელის გულზე, —  
თქვა თოფილამ და ბაწარით  
ჯორს დააკრა სკები ზურგზე.  
— უგზო კლდეებს გაგატარებთ,  
იქ გაემართავთ სამთაყრებას,  
დაგაპურებთ, დაგანაყრებთ



უძილობას არ გაკადრებთ,  
არც — უარყოფ წასამხრებას.

**14. ხეტიალი და სამხარის  
მოლოდინი...**

ეშვებოდა თავდამართო  
მოვერცხლილი ცვარცრემლებით,  
თანამგზავრთან მასლაათით  
თავს ირთობდნენ მთასვლელები,  
მოდიოდნენ, ძირს წყდებოდა  
თვალუწვდენელ კლდიდან ქვები,  
ცრუ ცნობებით ივსებოდა  
ორთა უბისწიგნაკები.  
ჩვენს ბერიკაცს საოცარი  
გუმანი და გეში ჰქონდა —  
ვის გაუბა საუბარი,  
მიხვდა, აღარ ეშინოდა.  
ერთს ფიქრობდა ჯოროსანი —  
გაჩენილი ჯარისკაცად:  
„აქ დავრჩებით მთაში სამნი,  
აქ ვივანშვებთ სამხარის ნაცვლად...  
ჩავაცეცნებ არაყს ბლომად,  
ორს დავაბამ ერთგულებით,  
ვერ შესძლებენ წამოდგომას  
არყით გაბრუებულები.  
ბარში ჩუმიად ჩავალ დამით,  
როგორც ძველი ჩალვადარი.  
აღრე, აღრე, დადექ დამევე!  
ჩემო ცაო, მთა და ბარო,  
მომეშველეთ, დამეხმარეთ —  
მტრები სოფელს ჩავაბარო!“  
ეშვებოდნენ დიდხანს თავქვე,  
დადგა წუთი ფუჭი ხვეწნის...  
ერთი იტყვის: — დილას აქეთ  
შემშლისგან კუჭი მეწვის.  
ლურჯთვალემა წყრომით ამბობს:  
— ჩვენში აღრე ვსხდებით სამხრად...  
თეოფილე უქრის: — ძმაო,  
ჩვენში სულ სხვა წესი ვახლავთ!  
გზა თანდათან მოკლდებოდა,  
ორთქლდებოდა მათ წინ ცვარი,  
ჯორს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა  
დაქანცული სამი მგზავრი.  
ორი თანამგზავრის უკან  
ფრთხილად, ჩუმიად გაშლის რუქას,  
კვლავ იკითხავს წვრილთვალემა:  
— ბუბა, ბუბა აღარ მოჩანს?  
— არა, თქვენო ბრწყინვალემავე,

გამოჩნდება სალამოყამს...  
— გლოლა არ ჩანს?..  
თოფილიკა უპასუხებს: **ეროვნული ბიბლიოთეკა**  
— განზე დავგრჩა! —  
... და მოხუცი  
სიტყვაძუნწი  
რთულ შეკითხვებს უცბად უხვევს,  
როგორც ხვეულ გზაზე ბაჩა.  
წვრილთვალემას ლურჯთვალემა  
გზაზე ჩუმიად უჯავრდება:  
კმარა, დიდხანს დავდიოდი  
ამ ტიალი რადიოთი.  
ეგებ ამ ჯორს შემადარე,  
აბა, ახლა შენ ატარე! —  
გზაზე შედგა იგი წუთით  
და ძირს დადო რკინის ყუთი.  
შედგნენ უკან დარჩენილნი,  
შეიმშრალეს მხრებზე ხეითქი,  
— მე ვარ შენზე მეტი ჩინით,  
შენ ხარ ჩემი ხელქვეითი! —  
თვალეზვრილი იტყვის რისხვით,  
და ბერიკაცს ესმის კარგად —  
უცნობ მგზავრებს ყუთი რისთვის,  
რატომ დააქეთ მთებში ბარგად.  
ჰა, გამოჩნდა კლდე პიტალო  
და თავს უთხრა თოფილიკამ:  
„შე ბებერო, ჩემო თავო,  
ერთდროს მთების ორბი იყავ.  
ახლა ძლიელა დახანხალე,  
რამ გაგტეხა, რამ გაგტანჯა?  
ძველებურად დაახალე  
მტერს ბერდენკა ან დამბაჩა.  
ერთი ათზე მიდიოდი,  
გახსოვს?.. ახლა ვახდი ღირსი —  
გულზე გედოს დიდი ლოდი,  
ზედ წარწერით საქარახისით:  
აქ წევს მხლალი ბერიკაცი,  
მსგავსი ნაცარქექიასი“.  
— ეს კლდეკარი რომელია?  
კვლავ აყრიან ორნი კითხვას  
და თან პასუხს მოელოან.  
— ბერიკაციო, სწორი გვითხარ!  
— ჯერ სამხარი გავაჩალოთ...  
ეგ კლდე, ცა, ტყე, მთა — ჩემია,  
ვინც მოსულა საყაჩალოდ,  
ჩვენში ჩონჩხად დარჩენილა!  
— რა ყაჩაღი, რის ყაჩაღი?..  
ჩვენც შენსავით ვლოცავთ სტალინს! —



თქვა და შედგა, ვით ჩახმახი,  
ერთი უფრო ზორბა ტანის.  
როგორც ყინვა ციმბირული,  
ვინ გაულღოს ცივი გული  
მოხუცს ომის ცეცხლში მოვილის,  
თოფის კვამლით თმებშებოლილს!  
სად სცალია თეოფილეს  
ცრემლით თვალთა დასაცლელად,  
სტუმრებს კისერშეოფილიებს  
გადახედავს აღმაცერად...  
და თან გულში იტყვის მშვიდად:  
„ლოცვას როგორ შესძლებთ მისას,  
იკეცებით შიშით შვიდად  
თქვენ სტალინის ხსენებისას.  
— ჰე, ბებერო, უნდა დიდხანს  
გვათახსირო, გვაწინწალო?! —  
— შენ თუ არყის ხუხვა გიყვარს,  
ცოტაც უნდა დამაცალო! —  
თოფილიკა უპასუხებს  
და თან ტუქსავს, — ტიალ გზაზე  
რად იდგამდი უღელს, შვილო?...  
შენ შიმშილი თუ გაწუხებს,  
მე ფეხები მტკივა ძალზე  
ახალნაყიდ წულებშიო.“

### 15. კოცონი კლდის ძირას

ბერიკაცი ცაცხანებდა:  
— ჩქარა, ცეცხლი. . . გაინძერით,  
აქ მოგვიწევს წა! ამხრება  
და ცისკრამდე კასახლება! —  
თოფილიკა — მასპინძელი  
ვახშამს სამხრად ასაღებდა.  
ქცევა მისი მთავლელებმა  
წამით განა გაიოცეს,  
რადგან ყელის ჩასველება  
თავს ერჩიათ და სიცოცხლეს.  
ერთი ვადგა უკან ცალად,  
მას მოხუცმა უხმო: — აქ მო...  
შენთან დიდად უკაცრავად,  
შაგრამ აქ არ მოისაქმო.  
მოგვიხდება აქ სამხარი,  
აქ დაეცალოთ მადლიანი,  
აქ მოსულთა გასახარი,  
თეთრით სავსე კვარტიანი,  
არაყია სატრაბაზო,  
როგორც ტურფა ქალის ცრემლი...  
ჩქარა... ცეცხლი გავაჩალოთ! —

ბრძანებს ფიცხი მასპინძელი  
დააქერდა ღამე ხრამებს,  
მთებს და კლდეებს, გზებს და კორდებს,  
თითქოს ახლა იტყვის რამეს  
ბნელ ღამეს რომ ენა ჰქონდეს.  
გარს მოუსხდნენ კოცონს სამნი.  
სტუმრებს ეტყვის მასპინძელი:  
— რა ვქნა, ნეტა ვიყო სვანი —  
არყითსავსე ყანწის მსმელი...  
მაგრამ, რომ არ ჩამეძინოს,  
ცოტას მოვსვამ ხათრიანი;  
მე წარმოვთქვამ სადღეგრძელოს,  
თქვენ — დაცალეთ კვარტიანი.

### 16. „ღმერთების“ ნადიმი

ძირს გაშანშლა თოფილიკამ  
ლორი, ყველი, ცივი ქაღი.  
— თქვენს მხარეში როცა ვიყავ,  
საკმელს მარტო ძილში ვქამდი.  
ჩვენებურად შეკვამლული  
ნატურად მექცა შავი ლორი,  
თუმც მებარა გერმანული,  
ჯიშიანი ასი ლორი.  
ვსივდებოდი მათი წყევლით,  
მათი ცქერით დამშვეული...  
მებატონე ჰარხლის წვენით  
მკლავდა ოჯახდაქცეული...  
ყოფილ ბატონს მასპინძელი  
როცა მკვახედ აგინებდა,  
თვალწინ ედგა განსაცდელი  
ტყვეთა, მუჯამაგირეთა.  
მოხუცს ცხვირწინ ეჯდა ორი  
დალუქმული სავსე ღამით,  
ორს გაეყოთ ყველი, ლორი  
სწორად, როგორც აფთიაქში...  
ორს გაეყო სარჩო ტოლად,  
ორად, სწორად, თანაბრად,  
მასპინძელი დაეტოვათ  
ხმელაჭადის ანაბარა.  
შესცქეროდნენ ერთურთს პირში,  
ლუქმას ქამდნენ თვალთ სხვისას,  
ერთს მეორის ჰქონდა შიში,  
როგორც წედან — წყალისმისას.  
ისხდნენ ქამარმოშეებულნი,  
კარგად შეზარხოშებულნი,  
წინწანაქარს სვამდნენ არაყს,  
სკამდნენ სავზალს სწრაფად, უხმოდ.



ქერა გულში ამბობს არაკს —  
 ბერიკაცის საპასუხოდ:  
 „ზიხარ ბრძენი, ენამწვერი  
 ჩვენთან, როგორც მეგობრებთან,  
 მაგრამ სხვაა ხვედრი ჩვენი,  
 სხვაა ხვედრი მელორეთა“.  
 წამოიწყებს წამით ხველას,  
 მოხუცს ოხვრაც აღმოხდება,  
 მზათა ფიქრის წამკითხველმა  
 იგრძნო მტრული გამოხედვა...  
 თითქოს კორკოტს შეჰქცეოდა  
 დიდი მარხვის წინა დილით,  
 შემთვრალ სტუმრებს შესცქეროდა  
 წიკარწმინდელ წმინდანავით.  
 შეკირვებულ ბებერს სიმწრით  
 გადაექცა სმენად გული:  
 მგზავრებს კითხავს:—ეგებ იცით  
 სიმღერები გერმანული?  
 ახტა ორივე თანამგზავრი,  
 ერთერთს უხმეს განზე უცხად  
 და რადიოდანადგარი  
 ბერიკაცთან დადგეს ურცხვად.  
 თან მიუგეს: — ახლა ნახავ  
 თმებულარა მთების ღმერთო,  
 ბერლინიდან ახალ ახალ  
 ჰანგებს მოგასმენინებთო.  
 ფართო შუბლი ნამუსის კაცს  
 უფრო დაუნაოჭდება.  
 იგრძნობს იგი, რა მუსიკით  
 უნდათ ყურის გამოჭედვა.  
 წიფლისძირას თავს წამოსწევს,  
 იწყებს ფერთხვას ყურებისას,  
 ბაჩა ჯორსაც გააოცებს  
 ქცევა მთვრალი სტუმრებისა,  
 გადახედავს იგი პატრონს,  
 თითქოს სათქმელს ეძებს ჯორიც:  
 „არ დაგტოვებ მარტოდ მარტო  
 ადამიანს — ღმერთებს შორის“.

17 საგონებელში ჩავარდნა

ერთად ისხდნენ ცეცხლთან დიდხანს,  
 ორი უცხო არაკს სვამდა;  
 თეოფილე სმენად იქცა,  
 სდუმდა, ენას აღარ სძრავდა,  
 როგორც დიდი ნადიმისას  
 უფროსთ შორის — ახალგაზრდა,  
 როგორც ძველად, როგორც მაშინ

გერმანელთა მონობაში...  
 თან ფიქრობდა: „არყის შემდეგ...  
 ვატყობ, კაცად აღარ მთვლიანს,  
 აგრემც ცხვირი დაუმშვენდეთ...  
 წინ ჯერ დიდი აღმართია...  
 უცებ, სამად სამი სიტყვა  
 სულში ჩასწვდა ორ გერმანელს,  
 რადიოდან ხმა დაირხა:  
 „დოიჩლანდ, დოიჩლანდ, უბერ ალეს...  
 დოიჩლანდ, დოიჩლანდ უბერ ალეს“  
 ჰიმნს სიმღერით აპყვა ორი,  
 გერმანია უპირველეს —  
 ყოვლის, უპირველეს ყოვლის.  
 დოიჩლანდ, დოიჩლანდ უბერ ალეს!..  
 და უსმენდნენ ნისლში მთები  
 კვლავ საომრად აღმდგარ არესს,  
 უცხოური ჰიმნის ხმები  
 თოფის კვამლად სძრავდა ჰაერს.  
 — ჰე, ბებერო, რალას უცდი,  
 აბა, ცოცხლად აღექ, ძველო,  
 შენი სიტყვის დადგა წუთი,  
 გვიტხარ რამე საღლეგრძელო! —  
 ბრძანა ერთმა და თოფილას  
 გადულოცა გრძელი ყანწი, —  
 — მოგივიდეს, რაც მოგივა —  
 ჩვენი გამარჯვების ასწი!  
 მასპინძელი არ ამდგარა,  
 ამოოხვრით დაამტენარა,  
 მტრებს შეავლო თვალი მკაცრად,  
 გულმა უთხრა: „გაყოჩაღდი,  
 რომ გაქცია ყმაწვილკაცად,  
 მაგ ორს ერთად გაკოჭავდი“.  
 თოფილიკამ ამაყ სახით  
 ორს მიაპყრო მხერა ცივად,  
 ჩაიციხა და არაყი  
 ფიცხლად ცეცხლში შეაქცია.  
 აბრიალდა ცეცხლის ალი,  
 მოხუცს ლანდი აეწყვილა.  
 — „ახლა, ვაი ჩემი ბრალი“, —  
 თქვა მან სახეელეწილმა.  
 კვლავ მოუჯდა კოცონს იგი,  
 აუჯანყდა ჯანში სისხლი  
 და შეთრთოლდა ფოთოლივით,  
 შიშით არა — მათი ზიზლით.  
 მაშინ იგრძნეს შემთვრალეგმა,  
 მოხუცს რომ არ ძრავდა შიში.  
 იჯდა იგი, თითქოს თვლემდა,  
 ძლივსლა სძლეებდა გასაჭირში.  
 ივსებოდა გესლით, ღვარძლით

ორი უცხო — არყით მთვრალი,  
 ოცნებობდა ბერიკაცია:  
 „ეჰ, რომ მომცა ნატვრისთვალი...  
 მოვეუხმობდი სოფელს, მაშველს,  
 წმინდანივით წამებული,  
 მტრებთან ტყეში როგორ დავრჩე  
 მუხლებმობანცალბებული.  
 მოვეუხმობდი საბლიკაცებს,  
 შველა არის მათი ვალი“. —  
 თეოფილემ დარდით საესემ  
 კვლავ ინატრა ნატვრისთვალი...  
 და თან იწყო ნაცრის ქექვა,  
 უცებ შეკრთა, ბერიკაცია.  
 რაღა ეთქვა, თვალწინ ედგა  
 ბედი ნაცარქექიასი.

### 18. ნატვრისთვალზე ოცნება და ჩაშხამებული ვახშამი

ოქროსფერი ზოდის ბრჭყვიას,  
 შხამით საესე ზოდის ციმციმს  
 განა ერთხელ მოუჭრია  
 თვალი ჩვენი მოხუცისთვის?..  
 ერთი ზრახვით განიწმინდა  
 თოფილიკა, როგორც ბერი,  
 მის წინ როცა აციმციმდა  
 დარიშხანი ოქროსფერი...  
 თვლემდა წიფლის ნაკვერჩხლებთან  
 შხამი, როგორც მორიელი.  
 ჩემს გმირს ცოდეად ჩათვლება  
 რომ მოწამლოს ორივენი?..  
 იცის გლეხმა თმჰაღარამ,  
 არ გეგონოთ უკუათხელი,  
 იმ ზოდისკენ გააპარა  
 თოფილიკამ ჩემად ხელი.  
 წამკითხველო, შეგასვენებ.  
 (დიდათ გმადლობ, თუ არ გძინავს),  
 ერთხელ კიდევ შეგახსენებ  
 შხამის უცნაურად ბზინვას.  
 მიდევს საწერ მაგიდაზე  
 დარიშხანი ოქროსფერი,  
 მზის ელვარით არის საესე,  
 როგორც მთაში ოქტომბერი.  
 ბრწყინავს რაჟის სახსოვარი,  
 მის მშვენიებას დახარბდება  
 განა მარტო უცხო მგზავრი —  
 კელოგიც ახალბედა.  
 წამკითხველო, ერთი წამით

იცან შენად ჩემი განცდა —  
 ლეინო რაა, წვეთი წყალიც  
 არ შემისცამს ბერიკაცთან,  
 მაგრამ... ვიცნობ თანასოფელს,  
 ეინც ჩემს წიგნში სხივოსნდება,  
 გულით მინდა დავახსომდეს  
 მისი გამსახობება.  
 და... ამ ამბის ხსენებაზე  
 მომდის ფიქრი სანუკვარი;  
 მინდა მკითხველს ჩვენს სცენაზე  
 ჩამოგიგდო საუბარი:  
 ზოგი თეატრს შერჩა წლობით,  
 განა ცოცხლად-გარდაცვლილად...  
 და არ არის ძნელსაცნობი  
 „გმირის“ ოხვრა ყალბად, ცივად.  
 არ გწამს მისი განცდის, დარდის,  
 სიყვარულის, ნატვრის, შვების...  
 უმზერ, გინდა მალე დადგეს  
 წამი ფარდის ჩამოშვების.  
 ჩემი გმირი ბრძენი ვახლავთ —  
 კაცის ფიქრთა კარგი მცნობი...  
 ახლაც უცბად აცახცახდა,  
 როგორც დიდი მსახიობი.  
 განა შეკრთა, განა წახდა,  
 როცა წუთი დადგა ძნელი,  
 მან უცხოთა დასანახად  
 ოქროსფერ ზოდს სტაცა ხელი.  
 თითქოს მოხუცს ქვეყნის განძი  
 მოველინა ნატვრისთვალად,  
 ბედი ნაცარქექიასი  
 შეეფეთა თავისთავად.  
 ზოდი შუქზე ელვარებდა,  
 ისე, როგორც ბოროტზრახვით  
 თვალნი შემთვრალ გერმანელთა  
 ანთებული ოქროს ნახვით.  
 ეცნენ მოხუცს მორკინალნი  
 და კოცონის ახლოს დასცეს,  
 ოქროსფერი, ხორკლიანი  
 ზოდი ცემით გამოსტაცეს.  
 უილაჯოდ გადახედა  
 ჯორმა თავის ბატონპატრონს,  
 თითქოს სცადა დაძახება:  
 „არ გაგწირავ მარტოდ მარტოს“.  
 ცალკე გული დაეტანჯა,  
 ღვარა შიშის ოფლი ცალკე  
 და დაეშვა თავქვე ბაჩა  
 შურო-შურო-სოფლისკენ.



**19. დაგებული მახე და ვედრება მთვარისადმი**

თოფილიკა იწვა ცეცხლთან,  
 თაეზე ნაცარვადაყრილი  
 და მის მზერას იტაცებდა  
 მთვარე მარცხნივ გადაბრილი.  
 „მთვარეე, ჩემი სოფლის მთვარეე,  
 ნუ დამაგდებ მგლოვიარედ,  
 ოთხივ კუთხე, ოთხივ მხარე  
 ორმა ერთად მოვიარეთ.  
 თან დამდეგდი ბალღობიდან,  
 გადმომაღლე თვალი ნაცემს,  
 შენი შეეღა ახლა მინდა,  
 წადი, უხმე სახლიკაცებს.“  
 ჩვენს თოფილას ცალი თვალი  
 იქით ურბის, სადაც ცეცხლთან  
 ლანდებს გვანან არყით მთვარლნი, —  
 არცა დგანან, არცა სხედან,  
 ერთმანეთის დასახრჩობად  
 გულში რისხვა შენთებით,  
 ოქროს ზოდი გასაყოფად  
 ვეღარ გაუმეტებიათ.  
 ერთს მეორე უბღვერს შურით,  
 ერთი მიზნით წრიალებდა —  
 აქეთ თვალეზბუდეშური,  
 იქით უცხო წვრილთვალეზბა.  
 ზღვად გუბდება მათში მტრობა,  
 დიდხანს ვეღარ მოიციდიან...  
 ბოლოს, შური და ქიშპობა  
 ერთმა მუშტში მოიმწყვდია  
 — შე მურდალო, ჭადის გლახავ,  
 ოქრო ცეცხლთან დადე ახლავ,  
 თორე ცხვირპირს დაგინაყავ! —  
 გამწარებით დაიძახა  
 და კბილები ჩაუღლეწა  
 ლურჯთვალეზბას თვალეზწვრილმა,  
 დიღმუღლა, როგორც მხეცმა  
 მუშტით კბილებჩალეწილმა.  
 მოწმე იყო ორთა დავის  
 ძირს თოფილა, მალღით — ზეცა:  
 ერთს ცხვირპირში მოხვდა თავი  
 და კოცონთან ჩაიკეცა.  
 შედგა კბილებჩალეწილი  
 გერმანელი სისხლის რწყევით  
 და მოქიშპე ჩაკეცილი  
 გასია წიხლის ცემით.  
 ცეცხლისპირას იწვა მარჯვნივ

თოფილიკა, როგორც კუტი  
 და ითვლიდა, „ღმერთთა“ მსაჯი-  
 ვის რამდენჯერ მოხვდა მუშტი.  
 იწვა იგი თბილ თექაზე,  
 ფუჭად რისთვის ევაგლახა,  
 თავის მომკვდარუნებაზე  
 სანდო ზერხი ვეღარ ნახა.  
 ხელით, ფეხით, თავით, ქვეებით,  
 ორი პირქვე დასამხობი  
 ერთურთს ცემდნენ განრისხებით,  
 ვერ გაეყოთ გასაყოფი.  
 იქცა შუღლის, მტრობის ვაშლად  
 დარიშხანის ზოდი მათთვის,  
 ბერიკაცი განზე დარჩათ,  
 სად ეცალათ თოფილასთვის!

**20. ფუტკრის გაარწივება**

თოფილიკა იწვა ჩუმად,  
 მწარე კვამლი აცრემლებდა,  
 წრფელი გულით დიდხანს სურდა  
 ორთაბრძოლის ვაგრძელება...  
 თან ფიქრობდა ჭკვიან ჯორზე:  
 „გულთმისანი ბაჩა ჩემი  
 თუ მაშველთან მივა დროზე,  
 გადავრჩები, გადავრჩები!“  
 გრძელდებოდა მთელი ღამე  
 ორთა შეხლა, შეჯახება,  
 მაგრამ მინდა ერთი რამე  
 გითხრათ ფუტკრის შესახებაც:  
 თეთრი თაფლის წმინდა წკვარი  
 წანწკარებდა ქვებში მიძვიად,  
 დაღწილი, წიხლნაკრავი  
 ძირს ეყარა, სკები წყვილად.  
 რიბირაზოს დაკრა ზარმა,  
 აჭახუახდა სადღაც შაშვი,  
 ფუტკრის გუნდმაც ფრთა გაშალა,  
 ყრუ ბზუილი ატყდა მთაში.  
 ბინდის აყრის დადგა წუთი  
 და სკებიდან მუჭფერინისლად  
 ტყეში კი არ გაქრა გუნდი  
 გამწარებულ ფუტკრებისა...  
 დაესიენ სიტკბოს დაღვრილს  
 და მწერებმა ბაწიებმა  
 ბერიკაცს და მთვარეებს დაღლილს  
 შეუტყის არწივებად...  
 დაფაცურდნენ გახელებით,  
 შურისგებად, გულისწყრომად,

მოჩხუბართა სახეები  
 აფუეს პურის ცომად.  
 თოფილიკამ ფუტკრებს წამსვე  
 დაულოცა მადლი, ჯიში  
 და თან თბილი ქურჭი თავზე  
 წაიფარა მათი შიშით,  
 მაგრამ ერთი — სიმწრითსავსე  
 შეუფრინდა წითელ ცხვირში,  
 ცხარედ დამცხვიკების ხმაზე  
 შეწყდა ფუტკრის იერიში.  
 ლოყებაფუებულები,  
 ჩხუბით ჩამოქანცულები,  
 არყით გაბრუებულები,  
 ცხვირპირ ჩამოკაწრულები,  
 ძირს განერთხენ მზვერაგები —  
 სამოსმეოფლეთილები,  
 თავს რძისფერი მწვერვალების  
 დაეფინათ სველი ფრთები.  
 დაჭის თავი და მიზეზი,  
 დავის ნაშთი და ნიშანი,  
 როგორც ოქრო უნახესი,  
 კვლავ აენთო დარიშხანი,  
 კვლავ გაჩაღდა, კვლავ გაბრწყინდა,  
 როცა შუქი მოხვდა მზისა...  
 თოფილიკამ გადასწყვიტა  
 ჩუმად, ფრთხილად ორთან მისვლა.

## 21. ბანას დაღანდვა

რა ამბავიც მოხდა დილით,  
 აღბათ, ყველას როდი ახსოვს,  
 ბანა მთიდან მოვარდნილი  
 ნახეს სოფლის შორი ახლოს.  
 პირუტყვის ბეწვზე დაცვენილი  
 უელავდა ჭირხლი თეთრად...  
 ხან ვირივით, ხან ცხენივით  
 ყროყინებდა, ჭიხვინებდა,  
 ფრუტუნებდა, ცოფილობდა,  
 რალაცის თქმა სურდა დადლილს;  
 შეუერთდა ჯორის მოთქმას  
 შეყმუელება კვდა ძაღლის.  
 რა იხილეს ბანა მარტო,  
 რაღა იყო საკამათო!  
 ზღვა ხალხისა მოდგა ბჭობად  
 და ქურანით უხედნელით  
 გამოკენდა სოფელსაშუოდან  
 თავმჯდომარე გულზეთქებით.  
 თოფილიკას ქალიშვილთა

ხშირ ნაწნავეებს ქარი შლიდა.  
 როგორც სოფლის კლდეზე  
 მკვირცხლად

წამოკივლდნენ ერთად შვიდნი.  
 „ვთი მამამ“ დაავიწყათ  
 საკაბენი ფერად შინდი.  
 დიდ გოდებას ჯორის ბანით,  
 კვდა ძაღლის მოძახილით  
 გუგუნებდნენ ერთად ცხრანი,  
 ხმაშეწყობილ ოჯახივით.  
 წინ გაიგდო ხალხმა ბანა  
 ისევე იმ გზით, ისევე აღმა,  
 თოფილიკა სადაც დარჩა...  
 დენა იწყებ მთისკენ ხალხმა.  
 მაგრამ უცებ მთელი ძალით  
 ვილაც უტხომ დიამბა:  
 — აღარ მოვა ღმერთგამწყრალი,  
 ამათა წყალის ნაყვამ...  
 მისი ძებნა ამათა,  
 თოფილუ აღარ მოვა.  
 ჰკითხეთ ჩემსავ თანასოფლელს...  
 მე გამოიბრის, შემალეზა...  
 არ მოხდება არასოდეს  
 მისი ჩემგან შებრალება!

## 22. უხედურება.

წყალვარდნილი ხომ გინახავს —  
 თავქვე მიაქვს ნიაქქარი.  
 სწორედ ასე მისდევს აღმართს,  
 ცხენოსანთა ნიაღვარი.  
 ბანაც მიჰქრის, მიქლოშინებს.  
 ზურგზე კეხით და ზურჯინით,  
 ღრუბლებს მთაში მიმოშლილებს  
 მკერდით აპობს ფასკუნჯივით.  
 ძირს ოდები მოჩანს სოფლის,  
 როგორც ქამასოკოები,  
 შინწოფესვლელ მამას მოთქმით  
 დასტორიან ვოგოები.  
 ციფყაროსთან დგას ქოთქოთი,  
 გაბმით, რალაც ცუდის ნიშნად.  
 ყმუის, ყმუის მაცეფარი,  
 ტანვასესა, როგორც დოგი,  
 უთრთის კულის ნახევარი...  
 გადალია გული შიშმა,  
 უცებ, საღლაც გატყდა დოჭი —  
 თოფილეს ნახელარი.  
 დედაბერის შავმა ლანდმა,

მოვლენილმა ამორძალად,  
გადახედა წყაროს მწყრალად,  
რა ენიშნა ლაწვებმომკნარს?...  
ლოქი მაშინ დაუვარდა,  
თოფილიყას სალოცავად  
რომ იწერდა გზაზე პირჯვარს.  
უჭურჭელოდ დარჩა მარტო,  
ჭიშკრის უკან მიმალული  
ბერიყაცის ძველი სატრფო  
და პირველი სიყვარული.  
საღღაც ჩუმად გაჭრა ჯუჯა  
გათათხელი, დარცხვენილი;  
უცებ, რა ხმამ დაამუნჯა  
ხალხი სახტად დარჩენილი!  
ზოგს თვალები მოეცრემლა,  
ზოგს სულისტყმა მიეზნიდა;  
ვანშეორდა, როგორც წყევლა,  
ხმა რადიომიმღებებიდან.

ცხარე ქეითინს, ტირილს, მოთქმას  
შეწყვეტს შეიდიე ქალიშვილი;  
ყრუ გუგუნით ბინდი მოდგა,  
თუ სიკვდილის შავი ჩრდილი!..  
შედგა ხალხი თავდახრილი,  
ზოგი სვეტთან, ზოგი განზე,  
თითქოს ცხედარს ბალდახინით  
ასვენებდნენ სოფლის გზაზე.  
სდუმდნენ ბრძენი ჭილაჩანი —  
წუთისოფლის ცოდნით სავსე  
და იმ წამში აღარავინ  
არ ფიქრობდა თოფილაზე.  
ელდა ძრწოდა ჰაერშიაც  
გაფანტული საფანტებად,  
ერთზე დარდი დაეჩრდილა  
დიდი დარდის დაბადებას.  
ზღავედებოდა ხალხი სვეტთან...  
და გულეებში ჩადიოდა  
დგამიწის შავი სევდა  
გადმოღვრილი რადიოდან.

23. ფლოქვათა თქარუნი

მზე ჩამქრალა, აღარ ბრწყინავს  
და მორუხო ღრუბლის ჯარი  
საღღაც შთაში ფანტავს წვიმას,  
გაავდრებას უცდის ბარი.  
დაბლა დაფრენს ყველა ჩიტი —  
ცის სიმძიმე თითქოს ფრთებზე  
დასწოლიათ, როგორც ტვირთი,

როგორც მღვრიე წყალი თევზებს.  
და მერცხლები, ხალხის თვალებში,  
ძირს დაფრენენ დაფეთხებით,  
თითქოს ქარში შავი ძაძის  
აფრენილან ნაფლეთები.  
და ბავშვები, როგორც მაშინ  
ჩვენს ყრმობაში—მხრების გაშლით  
ხან ისვრიან კენჭებს ცაში,  
ხან დაჭრიან ჯოხის რაშით,  
რბიან, ზტიან ჩვეულებრივ  
აყრიაშულებულელები...  
არცერთს უჩანს თვალში ცრემლი.  
სიმწერის წუთის არა სჯერათ..  
ერთი ბიჭი თბილისელი  
მერცხალს დასდევს დასაჭერად.  
მისი ბედი ბევრს რგებია —  
სოფლად გყავდა ჩვენც ბებია,  
ჩვენც სამი თვით, ზაფხულობით  
მშობელ კუთხეს ენახულობდით.  
ღარბის ბიჭი, მან არ იცის —  
მოსდევს წვიმა მერცხლის წრიალს,  
როგორც ელდა—მამამისის  
წუხილს განსაცდელისწინას...  
დასდევს მკვირცხლი ბიჭი ფრინველს,  
აი, ლამის შესწვდა ხელით,  
ბოლოს შედგა ხელჩაქნევით,  
შეიმშრალა გაოფილი  
შუბლი წითელ ყელსახვევით.  
უცებ, ბავშვი ჩამოღლილი,  
ვით საქვერცხოდ ვალმობდილი,  
ხალხს შეაკრთობს შეძახებით:  
— ჰე გამოჩნდნენ, ჰე, მოდიან! —  
ხმა დაიჩხა მახარობლად.  
ემეებოდა ზემო მთიდან  
ცხენოსანთა ტალღა სოფლად.  
გზა ფლოქვებით ათქარუნდა,  
ღრუბლებს ღრუბლად მტვერი ასწვდა  
და ბალები, რათქმაუნდა,  
აჯგრილდნენ ბერიყაცთან.  
ბიჭუკები — მონატრულნი  
მისი ნახვის, მისი ხილვის,  
მაგემარნი მოპარულნი  
მისი ბაღის ტყბილი ხილის,  
მისი გულით მოყვარულნი,  
დააყრიან ყივილხვივებს.  
უფროსთაგან მას არავინ  
არ შემოხედა ჰაიპარა...  
აბა სოფლად

ვინ იცოდა —  
ბერიკაცმა რა ვარაში,  
რა ვაგლაბი გაიარა!...  
უკან გუნდი ცხენოსანთა,  
წინ მოხუცი ცხენზე მჯდარი,  
სოფლად დინჯად შემობრძანდა,  
როგორც ბრძოლის შემდეგ — ჯარი.

#### 24. ჯორკიდებული

ჯორის ზურგზე უჩვეულოდ  
აშმაშურდა რაღაც ტვირთი,  
ხალხს ეგონა: „პურტლეული  
თუ დარჩათო გასასყიდი...“  
უცებ, ელდით შეკრთა ყველა...  
აუვარდათ თავში სისხლი,  
როცა ორმა გერმანელმა  
გადმოქაჩა თვალი რისხვით.  
ბაჩას ზურგზე, როგორც ჩრდილი,  
ირხეოდა ბარგი შავი  
და ნაბდიდან გამოჩრდილი  
ჩანდა წყვილი კაცის თავი.  
გახვეულნი ერთ ნაბადში,  
ვით საბანში ტყუპი ბავშვი.  
დაყურსულნი მწარე ფიქრით,  
ქანაობდნენ აქეთ იქით,  
იწურავდნენ თვალებს ცრემლით,  
იწვენენ მჭიდროდ, თავშეშტყევით,  
სწორედ ისე, როგორც კარტში  
ჩატყუპული ყვავის ვაჟი.  
იწვენენ წყვილად, იწვენენ ერთად,  
გუშინ — გმირნი უშიშარნი,  
დღეს — გამშრალნი, გაფიცრულნი...  
ზედ ეხურათ, როგორც შალი,  
ნაბდის კალთა მუქიშავი,  
როგორც დროშა შეკობრეთა,  
როგორც დროშა ნაცისტური...  
და ორთაქვეშ, ვით სასწორი,  
ირწყოდა ბაჩა ჯორი.  
იწვენენ სახედაკაწრულნი,  
დათეთქვილნი, გაბაწრულნი,  
ერთმანეთის ცემით ქონდათ  
დაბევილი საფეთქლები,  
ორს ეჩარა პირში ბურთად  
ჩვრები, ნაბდის ნაფლეთები.  
მოდიოდა გზაზე ბაჩა,  
დანამვოდა ნისლი რძისფერად,  
დრუნჩი, ყბები დაელრანჭა

მძიმე ტვირთის სიმძიმისგან,  
იყო მართლაც საოცრება...  
სოფლსაბჰოსთან ცხადად, დილით  
თოფილიკას გამოჩენა,  
ძღვევამოსილ სარდალივით.  
რაშზე იჯდა იგი დინჯად,  
შეჩვეული ჯორით ჩანჩალს.  
უმიმეხი ტვირთის ზიღვა  
მინდობილი ჰქონდა ბაჩას.

#### 25. დასახრული

თოფილიკას თავაწეულს  
შეახსენეს ალბათ დროზე,  
რომ შეშვენის გამარჯვებულს  
ჯდომა რაშზე, ვანა ჯორზე.  
ჰოდა... ისიც ზვიად სახით  
იჯდა დინჯად, გაურყველად,  
მხედართმთავრის სიამაყით  
ხალხს ზემოდან დაჰყურებდა...  
ვულმა უგრანო რაღაც ცუდი,  
იგი განზე გადაგა ურჩად:  
— გამარჯვებით დაგიბრუნდით,  
რა ჯანდაბამ დაგამუნჯათ?! —  
ხალხს გასძახა ბერიკაცმა,  
დღესვე სტუმრად დაგვატყეებთ,  
წინ დავიდგამთ საცივს გობით,  
პირს დავთუთქავთ ღომის ღომით,  
დაუთრობლად არ ვაგვიშვებთ,  
მოდიოთ, ვინც ხართ ღვინისმსმელი —  
თქვა და ცხენზე შეიტაცა  
მკვირცხლი ბიჭი თბილისელი.  
მოხუცის ხმამ შესძრა ხალხი.  
როგორც ელდამ საშინელმა.  
ძირს დაიძრა ბნელი ჯანდი,  
დაიგრიხა ცაში ელვა.  
დაყრდნობილმა თოხის ტარზე,  
ჩამთლლილმა ფეხზე დგომით,  
ერთმა გლეხმა თოფილასკენ  
გაიხედა და თქვა წყრომით:  
— ვისლა ახსოვს ახლა ღომი,  
ძმაო, ომი ატყდა, ომი!..  
შეცბა კაცი ნირშეცვლილი,  
ძირს ჩამოხტა, შებარბაცდა,  
სიმწრის წყვილი ცრემლი დასცდა.  
რამის ნაცვლად ტვირთშესხნილი  
ჯორი დარჩა ბერიკაცთან.  
სამშობლოსგან გაყიდული





ის ორი ტყვეც შესძრა ელდამ,  
 ბაჩა-გზაზე გახიდული —  
 პატრონს თვალში შეაღებდა,  
 ბოლოს გაჰყვა გზას ფორხილით  
 ჯორი ყურებჩამოყრილი.  
 ზვეს ბერეკაცს მხრებში მოხრილს,  
 ვარამნახულს და ვალმოხდილს  
 ვერ გაუგეს ფეხქვეშ ნოხი,  
 ვერ თქვეს ქება საკადრისი,  
 შინისაკენ ყველას ოხვრით  
 წაჰყვა დარდი თავთავისი.  
 მოხუცს განა ჰკითხა ხალხმა:  
 „ეგებ რამე გიქირს, თოფილ“...  
 ხელფეხშეხსნილ ორ ტყვეს გაჰყვა  
 ორი ჯირკა ბიჭი თოფით.  
 ცას გაეკრო ფარდა შავი,

თითქოს მწუხრის დადგა ეამი,  
 გაიკრიფა ხალხი სოფლად...  
 გულმოკლული და გამშრალი,  
 როგორც მწირი და მაშვრალი  
 იდგა ბერეკაცი ობლად.  
 უსველებდა წვიმა თმაწვერს,  
 მოხუცს შხეფებს თავში სცემდა  
 და წუხანდელ სიმამაცეს  
 ავიწყებდა შავი სევდა.  
 წვიმდა ბარში, წვიმდა მთაში,  
 წვიმდა სულში გადუღებლად,  
 შხამით საესე წუთი ჯანში  
 სინხლს თუხთუხით აღუღებდა.  
 იდგა მარტოდ, ობლად გზაზე,  
 გასწეწვოდა თმები ხშირი  
 და სამშობლოს მომავალზე  
 ფიქრს წაეღო ჩემი გმირი.



ჯაგრო სპინჯარი

## თავაზი ჰვამის ყანაში\*

20.

ვიჯექი და ვსვამდი, ვთვრებოდი, ჟანინისა და თინას გამოსვლას ველოდებოდი, მაგრამ ისინი უკვე წასულიყვნენ იქიდან. ერთი თმდახვეული მოსირისტიანო ტიპი მიუჯდა როიას და ახალი მომღერალი გამოვიდა — ვილაც ვალენსია. არც ეს ექნა ღმერთს, მაგრამ თინას და ჟანინს კი ჯობდა, სხვა რო არ იყოს რა, უფრო კარგ რამეებს მღეროდა. როიალი ზედ დახლთან მიედგათ, საცა მე ვიჯექი და ვალენსია იქვე იდგა, ჩემს გვერდით. თვალი ჩაუჯარი, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ არც მხედავს. ისე დავითვე-რი, რომ სულ გამოვლენიდი, თორემ თვალს რას ჩაუჯერავდი! სიმღერა რომ დაამთავრა, ისე ზელად გაიძურწა, რომ ვისკიზე მოპატივებაც ველარ მოვასწარი. მეტრდოტელს დაუძახებ ისევ. ვუთხარი, ვალენსიას სთხოვე ერთ ჭიქა ვისკიზე დამეწვიოს-მეთქი. შემპირდა, ვეტყვიო, მაგრამ გამიგონია! როდის მომხდარა, რომ დანაბარები ვინმეს გადაეცეს.

ჰოი ბიჭო, ღამის პირველ საათამდე ვეგდე იმ ოხერ ბარში. ისე გავილეშე, რომ ფეხზე ვერა ვდგებოდი. თვლებში ვერ ვიყურებოდი. ოღონდ ამას კი არ ვიფიქრებდი, რომ ჩხუბი და აყალ-მაყალი არ შეიძლებოდა. ვერიდებოდი, ვინმემ არ დამინახოს, ან არ მკითხოს, რამდენი წლისა ხარო. მაგრამ, რად გინდა, თვლებში ვერ ვიყურებოდი. სულ რომ გავილეშე და მომელო ბოლო, ისევ ის სულელური ფიქრი ამეკვიატა —

თითქოს ნაწლავებში ტყვია მქონოდეს გაკედელი. ვზივარ მარტომარტო ბარში და ნაწლავებში ტყვია მაქვს გარკობილი. ხელი მუცელზე მიდევს, რომ როგორმე სისხლი შევაჩერო. არ მინდა იატაკი მოისვაროს და ვინმემ გაიგოს ჩემი დაპრის ამბავი. ვმაღავ ჩემს დაქრილობას. უცებ ისევ მომინდა ჯეინთან დარეკვა, აბა თუ დაბრუნდა-მეთქი. ანგარიში გავისტუმრე, ბარიდან გამოვედი და ტელეფონის ჯიხურისკენ გავემართე. ხელი ისევ მუცელზე მიდევს, რომ სისხლმა არ იდინოს. ჰოი, ბიჭო, როგორ დავითვერი!

მაგრამ ჯიხურში რომ შევედი, ჯეინთან დარეკვის სურვილმა გადაშიარა. ალბათ, ძალიან მთვრალი რომ ვიყავი. იმიტომ. ავიღე და სალი ჰეისს დაუჯერეკე.

ერთი ოცჯერ მაინც გადავატრიალე ალბათ ციფერბლატი, მანამ სწორად ავკრეფდი. ჰოი, ბიჭო, სულ ველარ ვიყურებოდი თვლებში.

— ჰელო, — შეეძახე მე, როცა ვილაც გამომეპასუხა იმ ოხერ ტელეფონში. ისე ვიყავი გალეშილი, რომ საშინლად დავიღრიალე.

— ვინ არის? — იკითხა ჭალის გამყივანმა ხმამ.

— მე ვარ. ჰოლდენ კოლფილდი. სალისთან მალაპარაკეთ, გენაცვა.

— სალის სძინავს. ბებია გელაპარაკებით. ამ შუალამისას რა რეკვა აგიტყდა, ჰოლდენ? იცი მაინც, რა დროა?

— ვიცი. სალის უნდა ველაპარაკო. ძალიან საჭირო საქმეა. მოიყვანეთ.

— სალის სძინავს, ყმაწვილო. ხვალ დაურეკეთ. ღამე მშვიდობისა.

\* გავრძელება იხ. „მნათობი“ №№ 4, 5, 6, 7.

— გააღვიძეთ. ეი, გააღვიძეთ-მეთქი. ჩქარა!

მერე სხვა ხმა გამომელაპარაკა.

— მე ვარ ჰოლდენ. — სალი იყო, — რა მოგვლანდა?

— სალი ხარ? შენა ხარ?

— მე ვარ, რა გაღრიალებს? მთვრალი ხომ არა ხარ?

— ჰო. მოიხედე. მოიხედე-მეთქი. შობა-ღამეს მოვალ. კარგი? იმ ოხერ შობისხეს მოვირთავ. კარგი? კარგი, სალი?

— კარგი. სად გაღვიძლხარ? წადი. დაიძინე. სადა ხარ ახლა, ვინ გახლავს?

— სალი, მოვალ და შობის ხეს მოგართვევინებ. კარგი? ჰა, კარგი?

— ჰო, ჰო. წადი და დაიძინე. სადა ხარ ვინ გახლავს?

— არავინ. მე ვარ და ჩემი თავი. — ჰოი ბიჭო, რა მთვრალი ვიყავი! ხელი ისევ მუცელზე მედო. — დამჭრეს!.. როკის ბანდამ დამჭრა. გაიგე? გაიგე, სალი?

— არაფერი არ მესმის. წადი, დაიძინე. მეც უნდა დავიძინო. ხვალ დამირეკე.

— ეი, სალი! არ გინდა, შობის ხე მოგართვევინო? ჰა, არ გინდა? ჰა?

— ჰო, ჰო. კარგად იყავი. შინ წადი და დაიძინე.

მილი დამიკიდა.

— კარქა იყავი. კარქა იყავი, სალი, ჩემო გოგონა. ჩემო საყვარელო სალი, — ვლულულუღებდი მე. ხომ წარმოგიდგენიათ, რა გაღვიძილი ვიქნებოდი. მერე მეც დაეკიდე მილი. უცებ გავიფიქრე, ალბათ პეემანიდან ახალი დაბრუნებული იყო-მეთქი. ან ლანტებთან იქნებოდა ან სხვაგან საღმე, იმ კობტა-პრუწა ენდროვერთან. თითქოს ყველანი ერთ დიდ ჩაიდანში ცურობენ და დამტყპარ-დამაჭრული სიტყვებით მიმართავენ ერთმანეთს, გულისამრევად იმანკებიან და იგრიხებიან. თავებდი ვიწყებლე, ნეტა რას დავურეკე-მეთქი. მაგრამ რომ დავთვრები, ჰკუას ვკარგავ.

კარგა ხანს ვიდექი იმ ოხერ ჯიხურში. ტელეფონზე მქონდა ხელი ჩაჭიდე-

ბული, რომ ფეხი არ გამომშლოდა. მართალი მოგახსენოთ, მაინც ვინაა ჩემი ვარგად ვერა ვერძნობდი თანამშრომლებს როგორც იყო, ჯიხურიდან გამოვედი და მამაკაცების საპირფარეოსაკენ წავედი, კრეტინივით შევბარბაცდი. შევედი, პირსაბანში ცივი წყალი მოვუშვი და შიგ თავი ჩავრგე. გამშრალეებისათვის ვილას ცხელოდა. თავისით ჩამოიწრიტოს ეს ძალიშვილი-მეთქი, ვიფიქრე. მერე ფანჯარასთან მივბარბაცდი და რადიატორზე ჩამოვეჯექი. თბილი და სასიამოვნო იყო. ერთიანად ეძივძივებდი და მეამა. საოცარია: რამდენი არ დავმთვრალეარ, სულ ძივძივი ამიტანს ხოლმე.

საქმე არაფერი მქონია, რადიატორზე ეიჯექი და იატაკის თეთრ პატარა ფილებს ვითვლიდი. სულ გავიწუწუე. წყალი წურწურით ეღინებოდა თავიდან და კისერში ჩამდიოდა. საყვლო, ყელსახვევი, პერანგი გასაწური გამიზდა. მთელი გაღონი წყალი ჩამელვარა. მაგრამ მთვრალი ვიყავი და ყველაფერი ფეხებზე მეკიდა. ცოტა ხანიც. და ის ტიპი არ შემოვიდა, ვალენსიას აკომპანიატორი! აი, თმადახვეული, მოსირისტიანო ვაებატონი. შემოვიდა და თავისი ოქროსფერი თმის ვარცხნას მოჰყვა. მანამ ივარცხნიდა, ერთმანეთს გამოველაპარაკეთ, თუმცა დიდი ხალისი არ გამოუჩენია.

— ჰეი. ბარში რომ შებრუნდები, ვალენსიას ნახავ? — ვკითხე მე.

— სულ ადვილი შესაძლებელია. — მოთხრა მან. ენამახვილობა არ დამიწყო ამ ნაბიჭვარმა! დამებედა — ყოველ ფეხის ნაბიჭვზე ამ ოხუნჯ ნაბიჭვებზე უნდა გადავეყარო.

— მოიხედე. ჩემგან მოკითხვა გადაეცი. ისიც ჰკითხე, მეტროლოტელმა თუ გადასცა ჩემი დანაბარები. კარგი?

— რატომ შინ არ წახვალ. მაკ? რამდენი წლის იქნები?

— ოთხმოცდაექვსისა. მოიხედე. ჩემს მოკითხვას გადასცემ?

— რატომ შინ არ წახვალ, მაკ?

— არ მინდა. და იმიტომ. ჰოი. რას

უკრავ როიალზე! — ვუთხარი მე. ისე მოველაქუციე, თორემ, მართალი თუ გინდათ, საძაგლად უკრავდა. — რადიოში უნდა გამოხვიდე. ამისთანა კობტა ბიჭი ხარ. თანაც რა ოქროსფერი კულულები გაქვს! იმპრესარიო გინდა?

— შინ წადი, მაკ. ნუ გაჯიუტდები. შინ წადი და დაწევი.

— თუ კი შინა არა მაქვს! არ გვებურები, იმპრესარიო არ გინდა?

პასუხიც არ გაუცია. შებრუნდა და გავიდა. თმის ვარცხნა ერთის წუთითაც არ შეუწყვეტია. ივარცხნიდა და ხელებს იტყაპუნებდა. რალა ეგ და რალა სტრედ-ლეიტერი. ეს კობტა ბიჭები სულ ერთ-მანეთსა ჰგვანან. თმას დაივარცხნიან, გაისწორებენ და ზურგს შეგაქცევენ.

ბოლოს, რადიატორიდან რომ ჩამოვედი და გარდერობისკენ გავემართე, გზაში ტირილი ამოვუშვი. არ ვიცი რა მომივიდა, მაგრამ ვტიროდი კი. ალბათ იმიტომ, რომ საშინელი მარტოობა ვიგრძენი და ნაღველი შემომაწვა. შევედი გარდერობში და პალტოს ნომერი ვეღარ ვნახე. თუმცა, მეგარდერობე ქალი ძალიან კეთილი გამოდგა, უნომროდ მომცა პალტო. და ჩემი ფირფიტაც — „პაწაწინა შერლი ბინზი“. ეს ფირფიტაც თან დაქონდა. დოლარიანი გავუწოდე ამ სიყეთისათვის, მაგრამ არასდღეებით არ აიღო. შინ წადი და დაიძინეო, მეხვეწებოდა. პავმანს დავენიშნა ვე-მეთქი, დავაპირე, მუშაობას რომ დაამთავრებდა, მაგრამ არ ქნა. დედად გეკუთვნო. ჩემი ქალარა თანა ვაჩვენე და ორმოცდა ორი წლისა ვარ-მეთქი, ვუთხარი, — სუპრობით, რა თქმა უნდა. ძალიან კეთილი ქალი იყო. წითელი სანადირო ქუდი ვაჩვენე, და მოეწონა. ძალათი დამახურა, რადგან სულ სველი მქონდა თმა. დიდებული ქალი იყო.

გარეთ რომ გამოვედი, ერთბაშად გამოვტყინდი, მაგრამ ისე ციოდა, რომ კბილებმა სულ კაწკაწი დაიწყეს. ვერასდღეებით ვერ გავაჩერე. მედისონ ავენიუმდე ფეხით ვიარე და ავტობუსს დავეწყე ლოდინი, რადგან ფული ცო-

ტადა დამრჩა და ტაქსებში ვეღარ გავფლანგავდი. არადა შორისდღესაგით მეზარებოდა იმ ობერ-ავტობუსში ასე-ლა. თან არც ვიცოდი, საით უნდა წავსულიყავი. ავდექი და პარკამდე ფეხით გავსწიე. ვიფიქრე, ბარემ პატარა ტბასთან მივალ და ვნახავ, იხვეები რას აკეთებენ, იქვე არიან თუ გაფრინდნენ-მეთქი. ვერ იქნა და ვერ გავიგე — აქვე რჩებოდნენ თუ მიფრინავენ. პარკი შორს არ ყოფილა, არსად არ მიმჩქარებოდა — ის კი არა და, არც ვიცოდი დასაძინებლად სად უნდა წავსულიყავი — მეც ავდექი და პარკისკენ გავსწიე. დაღლილობას სულაც არ ვგრძნობდი. ეს იყო, რომ გული საშინლად მეწურებოდა.

შევდგი თუ არა პარკში ფეხი, საშინელება დატრიალდა: ფიბის ფირფიტა დამივარდა და ნაკუწ-ნაკუწად დაიმსხვრა. დიდ კონვერტში იღო, მაგრამ მაინც დაიმსხვრა. ისე დამწყედა გული, რომ ლამის ავღრიალდი. მაგრამ თავი შევიკავე, კონვერტიდან ნამსხვრეები ამოვიღე და პალტოს ჯიბეში ჩავიწყვრილას მაქნისი იყო, მაგრამ გადასაყრელად ვერ გავიმეტე. პარკის სიღრმეში შევედი. პოი, ბიჭო, როგორ ბნელოდა.

რაც დავიბადე, სულ ნიუ-იორკში ეცხოვრობ და ხუთი თითვით ვიცი მთელი ცენტრალური პარკი, რადგან პატარაობისას გორგოლაუბებზედაც იქ დავხრივინებდი და ველოსიპედით სეირნობაც იქ მიყვარდა, მაგრამ ის პატარა გუბურა, ვერა და ვერ ვიბოუნე. ვიცოდი კი სად უნდა ყოფილიყო — ზედ სამხრეთ გასასვლელთან. მაინც ვერ მივაგენი. ალბათ, მე რომ წარმოემედგინა, იმაზე უფრო გაღვივილი ვიყავი. ავღირე თავი და მივდიოდი და მივდიოდი. სულ უფრო ჩამობნელდა და ჩამოსკვარამდა, სულ უფრო და უფრო მეღანდებოდა რალაც საშინელებები. კაციშვილს არ შევხვედრივარ. მით უფრო კარგი, თორემ შიშით ალბათ ერთ მიღზე გადავტებოდი. ბოლოს, როგორც იქნა, მივაგენი. ალაგ-ალაგ გაყინულიყო. იხვეები არსად სჩანდა. სულ შემოვუარე იმ

ოხერ ტბას — ერთგან ლამის შიგ გავა-  
დინე ზღართანი — მაგრამ ერთი გაქუ-  
ცული იხვიც არ შემინიშნავს. ვიფიქრე,  
თუ მართლა აქ არიან, ალბათ ნაპირთან  
ახლოს სძინავთ, ბალახის სიახლოვეს  
არჩევენ-მეთქი. მაშინ იყო, კინალამ  
რომ ჩავევარდი. მაგრამ არ აღმოჩნდა.

ბოლოს ბალის გრძელ სკამზე ჩამოვ-  
ჯექი. შევარჩიე, საცა ნაკლები სიბნელე  
იყო. ჰოი, ბიჭო, რა საცოდავად ვძიებდი-  
გებდი! ხომ ქუდი მეხურა, მაგრამ უკან  
თმები ყინულის პაწაწინა ლოლუები-  
ვით ჩამომეკიდა. დაფეთდი. ფილტვე-  
ბის ანთება გამიჩნდება და მოვკვდები-  
მეთქი. წარმოვიდგინე, როგორ მიაცი-  
ლებენ ჩემს კუბოს მილიონობით თვა-  
ლთმაქცები. აგერ ჩემი დეტროიტელი  
პაპაც, რომელიც სულ ქუჩის სახელ-  
წოდებებს ისერის ხოლმე, აეტობუსით  
რომ მივდივართ სადმე. აქვე არიან მა-  
მილები — ორმოცდაათი მამიდა მაინც  
მეყოლება — და ათასი ბედოვლათი ნა-  
თესავი. ჰო, რა ქედვა იქნება! ელი  
რომ მოკვდა, ყველა მოჩინდრიკდა, უკ-  
ლებლივ. ერთი ბიცოლა მყავს — მუდამ  
პირი უყარს — თურმე დაიყინა: შეხე-  
დეთ, შეხედეთ, რა წყნარად წევსო. ეს  
დ. ბ.-მ მითხრა შემდეგ. მე იქ არ ვყო-  
ფილვარ. ისევ საავადმყოფოში ვიწექი.  
ხელი რომ ვიტყინე, საავადმყოფოში  
წამიყვანეს. ერთი სიტყვით, მაგრად და-  
ვფეთდი, ფილტვების ანთება გამიჩნ-  
დება და მოვკვდები-მეთქი. თმები სულ  
ლოლუებივით ჩამომეკიდა. დედა და  
მამა შემეცოდა. განსაკუთრებით დედა-  
ჩემი. ჯერ ელის სიკვდილიც ვერ მოუხე-  
ლებია. ვხედავ, როგორ საცოდავად  
დგას და არ იცის, ჩემს ტანსაცმელსა  
და სპორტულ მოწყობილობებს რა  
მოუხერხოს. ერთი ფიქრი კი მამშვი-  
დებდა ცოტათი — ფიბს არასდიდებით  
არ მოუშვებდა ჩემს დასაფლავებაზე,  
ჯერ პატარაა. ეს იყო ერთადერთი ნუ-  
გეში. მერე წარმოვიდგინე, როგორ შე-  
ქუჩლებიან ყველანი და როგორ ჩამ-  
ფლავენ სამარეში, მერე ქვეს დამადე-  
ბენ, ზედ ჩემი სახელი იქნება ამოჭრი-  
ლი. ირგვლივ კი სულ მკვდრები არიან.

ჰოი, ბიჭო, მოკვდები თუ არა, მაშინვე  
წაგაჩიქნიქებენ და ჩაგფლავენ. შე-  
ინც იმედს არ ვკარგავ: ვინმე როგორ  
არ გამოიჩენს იმდენ ჰკუპას, რომ, როცა  
მოკვდები მდინარეში გადამაგდონ, ან  
სადმე, საცა უნდა იყოს. ოღონდ იმ  
ოხერ სამარეში არ ჩამფლან. კვირა-  
ობით მოვლენ და მუცელზე ყვავილებს  
დაგაყრიან, და ათასნაირ ამისთანა სი-  
სულელეს. მკვდარს რა ჯანდაბად უნდა  
შენი ყვავილები? არაფრად.

კარგ ამინდში დედაჩემი და მამაჩემი  
ძალიან ხშირად მიდიან ხოლმე ელის  
საფლავზე და გულზე ყვავილებს აწყო-  
ბენ. ერთი-ორჯერ მეც ვახლდი, მაგრამ  
მერე აღარ ვინდომე. ჯერ ერთი, ვერა-  
ფერი სასამოვნოა ამ ოხერი სასაფლა-  
ოს ნახვა. ირგვლივ სულ მკვდრები და  
საფლავის ქვები. როცა მზე ანათებს,  
კიდევ ჰო, მაგრამ ორჯერ — ზედი-  
ზედ — ჩენს იქ ყოფნაში წვიმა დაუ-  
შვა. საშინელება იყო. ზედ იმ ოხერ  
ქვას აწვიმდა, მის მუცელზე ამოსულ  
ბალახს, და ყველაფერს ირგვლივ. მი-  
სული ხალხი — სასაფლაოზე მისული  
ხალხი — მაშინვე დაიძრა და კისრისტე-  
ხით შევარდნენ თავთავიანთ მანქანებში.  
ამან სულმთლად გამაგიჟა. ყველას შე-  
უძლია მანქანაში ჩაჯდეს, რადიო ჩარ-  
ტოს და სადმე კარგ რესტორანისაკენ  
გასწიოს სადილის მისართმევად... ყვე-  
ლას შეუძლია, ელის გარდა. საშინელე-  
ბაა. განა არ ვიცი, რომ სასაფლაოზე  
მისი სხეულია მხოლოდ, სული კი ზე-  
ცაშია, და ათასნაირი ამისთანა სისუ-  
ლელე. მაგრამ მაინც ვერ მითმენდა  
გული. არ მინდოდა, რომ ის იქ ყოფი-  
ლიყო. თქვენ არ იცნობდით, რომ  
გცნობოდათ, მაშინ გამიგებდით. როცა  
მზეა, კიდევ ჰო, მაგრამ რას გაიგებ,  
მზეს როდის მოეხუსტურება ამოსვლა.

უცებ გადავწყვიტე, როგორმე ეს ფი-  
ლტვების ანთება ამომეგდო თავიდან:  
ფული ამოვიღე და ქუჩის ფანრის მბეუ-  
ტავ შუქზე დათვლა ვცადე. სამი დო-  
ლარი, ხუთი ოც-ოც ცენტიანი და  
ორი ათ-ათიანი შემომარჩენოდა. მთე-  
ლი სიმდიდრე გამიფლანგავს. რაც პენ-

სიდან წამოვედი. რა ვქენი, არ იცით-  
ხათ — ტბასთან მივედი და გაუყინავ  
წყალში ჩავეშვი ჩემი ოცენებიანი  
და ათეინებიანი. თვითონვე არ ვიცი,  
რატომ, მაგრამ ასე კი ვქენი. ალბათ,  
ფილტვების ანთებასა და სიკვდილზე  
ფიქრი გავაყოლე. მაინც ვერაფერს  
გავხდი.

ახლა ის წარმოვიდგინე — მე რომ  
ფილტვების ანთება შემეყაროს და მოვ-  
კვდე, ფიზის რა მოუვა-მეთქი. ბავშვობაა  
ასეთი ფიქრი, მაგრამ თუკი ვერ მოვი-  
შორე! ალბათ ცუდად გახდება, ამნაირი  
რამე რომ დამემართოს. ძალიან კარგად  
არის ჩემთან. ესე იგი, ძალიან ვუყვარ-  
ვარ. ნამდვილად. ერთი სიტყვით, ვერას-  
დიდებით ვერ მოვიშორე ეს ფიქრი,  
და ბოლოს გადავწყვიტე, თუკი მარ-  
თლა სიკვდილი მეწერა, ბარემ შინ  
შევაბრუნდები და ფიზი მენახა. სახ-  
ლის გასაღები თან მქონდა და ყველა-  
ფერი. ფეხაკრეფით შევიპარებოდი და  
გამოველაპარაკებოდი. სადარბაზო კა-  
რები მაფიქრებდა ცოტათი. საშინლად  
ჭრიალებს. ძველსძველი სახლია, მნეც  
ერთი უქნარა ნაბიჭვარია, და ყველა-  
ფერს ჭრატუნნი გაუღის. იმის შიშა  
მქონდა, დედამ ან მამამ არ გაიგო-  
ნოს-მეთქი. მაგრამ გადავწყვიტე მაინც  
მეცადა ბედი.

პარკიდან გამოვედი და შინისკენ გავ-  
სწიე. მთელი გზა ფეხით გავიარე.  
შორს არ ვცხოვრობდით მაინცადამაინც,  
დაღლილიც არ ვყოფილვარ და სიმ-  
თვრალემაც გამიარა. ოღონდ საშინლად  
ციოდა და ირგვლივ კაცის ქაქანება არ  
იყო.

## 21.

რამდენი წელია, ბედს ჩემთვის ასე  
არ გაუღიმიან: შინ რომ მივედი, ჩვენი  
ძველი მელიფტე პიტი აღარ დამხვდა.  
ვიღაც ახალი მოსულიყო, პირველად  
ვხვდავდი ჩემს სიცოცხლეში. ასე რომ,  
შესვლისთანავე თუ არ შევეფეთებოდი  
დედაჩემს ან მამაჩემს, დამშვიდებულად  
შემქმლო მენახა ფიზი და მერე ისე

გავძურწულიყავი, რომ კაციშვილს  
აღარ გავგო. მართლაც, მისი გონიერება  
ბედმა: ეს ახალი ბიჭი ცოტა მოსტე-  
როც ჩანდა. დიქსტაინებთან ამიყვანე-  
მეთქი დაუდევრად ვუთხარი. დიქსტაი-  
ნები ჩვენი სართულის მეზობლები  
იყვნენ. სანადირო ქუდი აღრევე მოვი-  
ხადე, რომ ვინმეს საეჭვოდ არ მოვ-  
ჩვენებოდი. ისე შევევარი ლიფტში,  
თითქოს ძალიან მეჩქარებოდა.

ბიჭმა ლიფტის კარები დაკეტა და ის  
იყო უნდა დაეძრულიყავით, რომ უცებ  
მობრუნდა და მითხრა:

— შინ რომ არ არიან დიქსტაინები!  
მეთოთხმეტე სართულზე ავიდნენ სტუმ-  
რად.

— არა უშავს. — ვუთხარი მე, — და-  
ვუციდი. ძმიშვილი ვარ მათი.

გამოლენჩებული თვალები დაეჭვე-  
ბით შემომამატრა.

— არ გირჩენია, დაბლა დაუცადო,  
ძმობილო?

— მართლაც აჯობებდა, — ეთქვი  
მე, — მაგრამ ფეხი მტებს და უმოძ-  
როდ უნდა მედოს. შესასვლელთან  
დაეჯდები საგარძელში და დაეციდი.

არც გაუგონია, რა ეთქვი. „პოო“, ეს-  
ლა მომიგდო და ლიფტი დასძრა. ყოჩაღ,  
ბიჭო, კარგად გამომივიდა. უცნაური  
კია — კაცს რამე გაუგებრად უნდა  
წაუღუღლუნო და უსათუოდ იმას გა-  
აკეთებს, რასაც შენა სთხოვ.

ჩვენს სართულს რომ მივადექით,  
ლიფტიდან გამოვედი — კოკლობით გა-  
მოვედი — და დიქსტაინების კარებისა-  
კენ წავჩლახუნდი. ლიფტის კარების  
დაკეტვის ხმა რომ გავიგონე, ხელადვე  
შემოვბრუნდი და ჩვენი ბინისაკენ გა-  
ვემართე. ყველაფერი კარგად იყო. სიმ-  
თვრალესაც კი აღარა ვგრძნობდი, ჯი-  
ბიდან გასაღები ამოვიღე და ჩუმად  
გავაღე ჩვენი კარები. მერე ფრთხილად,  
ძალიან ფრთხილად შევიპარე და კარი  
მივიხურე, პოი, რა დიდებული ჯიბგი-  
რი გამოვიდოდი.

შესასვლელში, რაღა თქმა უნდა, სა-  
შინლად ბნელოდა, და იმასაც არ უნდა  
თქმა, რომ სინათლეს ვერ ავანთებდი.

ხელის ცეცებით უნდა მევლო, რომ რამეს არ წამოვდებოდი და ხმაური არ ამეტხა. მაგრამ უკვე ვგრძნობდი, რომ შინ ვიყავი. ჩვენს შესასვლელ ოთახში მუდამ თავისებური სუნი დგას, ვერსად ვერ იგრძნობთ ასეთ სუნს. არ ვიცი კი, რისგან უნდა იყოს. კომპოსტოს სუნი ნამდვილად არ არის, არც ნელსაცხებლისა — არ ვიცი, რა ჯანდობაა, მაგრამ მაშინვე იგრძნობ, რომ უკვე შინა ხარ. პალტოს ვახბა დაეპირე, მინდოდა შესასვლელშივე დაემეკიდა, კარადაში, მაგრამ ამ კარადაში იმდენი საყიდია, რომ კარს გამოაღებ თუ არა, ჯოჯოხეთივით აუტყდებათ ტაკუნნი. ამიტომ აღარ გამიხდია პალტო. პირდაპირ ფიბის ოთახისკენ გავეწიე, ოღონდ ძალიან ფრთხილად, ხელის ცეცებით. ვიცოდი, რომ მოსამახუტე გოგო ვერაფერს ვერ გაიგონებდა, ყრუანხალა იყო. ბავშვობაში თურმე ძმამ ჩალის ღერო ატაკა ყურში. თვითონვე მითხრა, თითქმის აღარაფერი ესმოდა. მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემი მშობლები უნდა გენახათ, განსაკუთრებით დედაჩემი — მწვეარივით ცქცეტდა ხოლმე ყურს. ამიტომ ძალიან ფრთხილად ჩაუფარე იმათი ოთახის კარებს. სუნთქვა შევიკარი. მამაჩემს სკამი რომ ჩაარტყა თავში, მაინც ვერ ვაღვიძებ, მაგრამ დედაჩემი სულ სხვაა — ციმბირში რომ დაახველო, შინ გაიგონებს. საშინლად ნერვიულობა. ღამით სანახევროდ არ სძინავს, ზის და სიგარეტსა სწევს.

ბოლოს, როგორც იქნა, მივალწიე ფიბის ოთახს, — მთელი ერთი საათი კი მოვუნდი. მაგრამ ფიბი აქ არ აღმოჩნდა. სულ გადამავიწყდა, რომ დ. ბ.-ს შინ არ ყოფნის დროს — როცა პოლივლდშია ან სხვაგან საღმე — მის ოთახში იძინებს ხოლმე. უყვარს იქ ძილი, რადგან ყველაზე დიდი ოთახია მთელს სახლში. კიდევ იმიტომ უყვარს, რომ, დ. ბ.-ს იქ უსაშველოდ დიდი მაგიდა აქვს, ვიდაც ფილაფელფელი ლოთი ქალისაგან იყიდა. საწოლიც უშველებელი უდგას — ბარე ათი მილი სიგრძე და ათი სიგანე! არ ვიცი, სად იყიდა ეს

საწოლი. ერთი სიტყვით, როცა დ. ბ. შინ არ არის, ფიბი იმ ოთახში იმდენჯერ ხოლმე, და არც დ. ბ. უშლის უნდა განახათ, როგორ მიუჯდება ამ ვეებერთელა მაგიდას და გაკვეთილებს აწახადებს. საწოლის ხელა ის მაგიდაც იქნება, არც კი ჩანს, როცა მაგიდასთან ზის. და ეს უყვარს სწორედ. თავისი ოთახი არ მოსწონს, ერთი ციციქანაო. გაშლილი სივრცე მიყვარსო. ჰკუიდან შეგშლის. ნეტა რად უნდა ამოდენა სივრცე ფიბის? არაფრად.

ერთი სიტყვით, დ. ბ.-ს ოთახში გავედლი — ფრთხილად, რალა თქმა უნდა — და მაგიდის ლამპა ავანთე. ფიბის არც კი გაუღვიძია. ავანთე სინათლე და ერთხანს ასე უხმოდ ვუცქირე ჩემს ფიბის. ლოყა ბალიშზე დაედო და ეძინა. პირი ცოტათი შეღებული ჰქონდა. საოცარია — დიდები რომ ნახო ძილში პირდაბჩენილი, სიცოცხლეს შეგახარებს, ბავშვებს კი ეგეც უხდებათ. დუყითაც რომ დაასველოს ძილში ბალიში, მაინც კარგები არიან.

ფეხაკრფით მივიარ-მოვიარე ოთახი, ყველაფერს დავეხდე, ერთბაშად გამომისწორდა გუნება. ფილტვების ანთების შიშიც გამიქრა და ყველაფერი გამხიარულდი კიდევ. ფიბის სკამი მიედგა საწოლთან და ზედ ტანსაცმელი დაეწყო. ასე პატარა გოგო და ამისთანა ფაქიზი! სხვა ბავშვებივით კი არ მიჰყრი-მოჰყრის თავის ნივთებს. ძალიან ფაქიზი გოგოა. დედამ ერთხელ წითელი კოსტუმი უყიდა კანადაში და იმ კოსტუმის ვაკეტი ახლა სკამის ზურგზე გადაეფინა, ბლუზი და სხვა ჩასაცმელები სკამის დასაჯდომზე ელაგა, წინდები და ფეხსაცმელები კი იატაკზე დაეწყო, სკამქვეშ. ადრე არ მენახა ეს ფეხსაცმელები. ახლები ჩანდა. ჩემებსა ჰგავდა, მუქი წაბლისფერი იყო, და კანადაში ნაყიდ კოსტუმს ძალიან უხდებოდა. კობტად აცმევს ხოლმე დედაჩემი. ნამდვილად. დედაჩემს რომ გემოვნება აქვს ზოგ რამეში, სულ ტყუილია! ციგურები და ამისთანები რა მოგაბსენო. მაგრამ ტანსაცმლის შერჩე-



ვაში ბადალი არ ჰყავს. ისეთი კაბა აცვია ზოგჯერ ფიბის — ჰკუას დაჰკარგავ. აბა სხვა ბავშვები ნახე, მდიდარი მშობლებიცა ჰყავთ და ყველაფერი, მაგრამ იქ საბავშვად აცმევენ, რომ სიცოცხლე შეგეზარება. ნეტა ერთი განახათ, კანადაში ნაყიდ კოსტუმს რომ ჩაიცვამს ფიბი. არ გეხუმრებით.

დ. ბ.-ს მავიდას მივუჯექვი და გადავხედე, სულ ფიბის სასკოლო ნივთები ელაგა. უმთავრესად წიგნები. ზემოდან „სახალისო არითმეტიკა“ იდო. გადავშალე და დავხედე.

ფიბი უეთერფილდ კოლფილდი.

4 ბ — 1

ეწერა პირველივე გვერდზე.

ჰკუა კინალამ დაეკარგე. მისი მეორე სახელი უეთერფილდი კი არ არის, ჟოზეფინა ჰქვია. მაგრამ არ უყვარს. რაც თავი მახსოვს, სულ ახალ და ახალ სახელებს იგონებს.

არითმეტიკის ჰვეშ გეოგრაფიის წიგნი იდო, გეოგრაფიის ჰვეშ კი — ორთოგრაფიის სახელმძღვანელო. საერთოდ, ძალიან კარგად სწავლობს, ორთოგრაფია კი ყველაზე უკეთ იცის. ორთოგრაფიის ჰვეშ ბლოკნოტები ეწყო. ხუთი ათასი ბლოკნოტი მაინც ექნება. ვერ ნახავ ბავშვს, რომ ამდენი ბლოკნოტი ჰქონდეს. ზემოთა ბლოკნოტი გადავშალე და წავიკითხე. პირველივე გვერდზე ასე ეწერა:

**ბერნის დახვეწებაზე არ დამეკარგო ძალიან. ძალიან სერიოზული რაღაც უნდა გითხრა.**

სხვა არაფერი არ ეწერა პირველ გვერდზე. მეორეზე კი აი რა წავიკითხე:

რატომ არის ამდენი საკონსერვო ქარხანა სამხრეთ-აღმოსავლეთ ალიასკაში?

იმიტომ, რომ იქ ბევრი გუჯი იყის.

რატომ ასე კარგად ხარობს ტყე იქ?

იმიტომ, რომ შესაფერი კლიმატი უწყობს ხელს.

რა გააკეთა ჩვენმა მოაზრობამ ალიასკელი ესკიმოზების ცხოვრების გასაუმჯობესებლად?

სახვადილად უნდა ვისწავლო!!!

ფიბი უეთერფილდ კოლფილდი

ფიბი უეთერფილდ კოლფილდი

ფიბი უეთერფილდ კოლფილდი

ფიბი უეთერფილდ კოლფილდი

ქ-ნი ფიბი უეთერფილდ კოლფილდი.

იქნებ რაღორმე შერლის გადასცევი!!!

შერლი შენ ამათ ლიმბს თანავასრყვავდე ვა-რო მაგრამ სანამდეღემი მშვილდოსნის თანავასრყვავდე ხარ ხვალ ჩემთან რომ მოხვალ ყივარებზე გამოიყოფა

ვიჯექვი დ. ბ.-ს მავიდასთან და ვკითხულობდი. მთელი ბლოკნოტი გადავიკითხე. დიდხანს არ მოვლომეზივარ. მაგრამ კიდევ რომ მოვმლომეზივარ, მაინც არ დამეზარებოდა. მთელი დღე და ღამე შემიძლია ვიკითხო ბავშვების ნაწერები — სულერთია, ფიბი იქნება თუ სხვა ვინმე. პირდაპირ ჰკუიდან მშლის ბავშვების ბლოკნოტები. მერე სიგარეტი ამოვიღე და გავაბოლე. მერი არცა მქონდა. სამი კოლოფი მაინც გავათავე იმ დღეს. ბოლოს გავაღვიძე ფიბი. აბა მთელი ჩემი სიცოცხლე იმ მავიდასთან ზომ არ ვიჯდებოდი, თანაც მეშინოდა, უცებ დედაჩემი ან მამაჩემი არ შემოვიდეს-მეთქი, გამარჯობის თქმა მაინც მინდოდა მომესწრო. ერთი სიტყვით, გავაღვიძე.

მის ვაღვიძებასაც რომ ბევრი რამე უნდა! ლოგინზე უნდა ჩამოუჯდეს და უთხრა: „ფიბი, გაიღვიძე!“ მაშინათვე დააჰყეტს თვალებს.

— ჰოლდენ! — თვალის გახელისთანავე იყვირა. კისერზე მომხვია ხელები. ძალიან მოსიყვარულე ბავშვია. საკვირველია, ერთი ციდა ბაღლი და ასეთი მოსიყვარულე! ზოგჯერ მეტისმეტად მოსდის. მე ვაკოცე. როდის ჩამოხვედიო, მკითხა. ზედმე შეატყობდი, რომ საშინლად გაეზარდა ჩემი დანახვა.

— რა გაღრიალებს! ეს წუთია, მოვედი. როგორა ხარ?

— დიდებულად. ჩემი წერილი არ მიიღე? ხუთ გვერდზე გავაქრელე...

— მივიღე... რა გაღრიალებს! მადლობელი ვარ.

წერილი კი მივიღე, მაგრამ პასუხის დაწერა ვეღარ მოვანერგე. სასკოლო წარმოდგენის ამბავსა მწერდა. თვითონაც მონაწილეობდა თურმე იმ წარმოდგენაში. ნურაფერ საქმეს ნუ გაიჩენ პარასკევ საღამოს, მოდი და ნახეო, მწერდა.

— კარგი პიესაა — ვკითხე მე, — რაო, რა ჰქვიაო?

— „საშობაო წარმოდგენა ამერიკელბისათვის“. საძაგელი პიესაა, მაგრამ მე ბენედიქტ არნოლდს ვთამაშობ. ყველაზე დიდი როლი მერგო, — მითხრა მან. ხელად არ გამოფხიზლდა! ერთიანად აენთება ხოლმე, ამისთანა რამეებს რომ ვიამბობს, — მოქმედება როცა იწყება, მე ვკვდები მაშინ. შობის წინა ღამეა, მოჩვენება გამოვეცხადება და მკითხავს, შენაო, არა გრცხვენიაო, და ამისთანა რაღაცეებს. ხომ გაიგე? ვითომ, სამშობლოს რომ უღალატეო, არა გრცხვენიაო. არ მოხვალ? — ლოგინში წამოჯდა, — აკი მოგწერე ყველაფერი. მოხვალ?

— მოვალ, აბა რას ვიზამ. როგორ არ მოვალ!

— მამა ვერ წამოვა. კალიფორნიაში უნდა გაფრინდეს, — თქვა მან. პოი, ბიჭო, რა ხელად გამოფხიზლდა. ორი წამი არც კი უნდა მის გამოფხიზლებას. მუხლებზე წამოიჩოქა ლოგინში და ხელზე ხელი მომკიდა. — მოიხედე. აკი დედამ, ოთხშაბათამდე არ ჩამოვაო. ოთხშაბათს უნდა ჩამოვიდესო.

— ადრე წამოვედი. ნუ ღრიალებ! ნუ დაადვიე ხალხი!

— რა დროა? დედამ თქვა, გვიან დაუბრუნდებითო. ნორჟოლკში არიან დაბატყებულები, კონეკტიკუტში. აბა თუ გამოიცინობ, დღეს რა გავაკეთე? რა კინო ვნახე? გამოიციანი!

— არ ვიცი... დაიცადე, არ ვითხრეს რომელ საათზე..

— „ექიმი“, — შემაწყვეტინა ფიბი, — იცი რა კინოა! მარტო ლისტერების კლუბში ვადიოდა. მხოლოდ ერთი დღით. დღეს გაუშვეს და მორჩა. ერთი კენტუკელი ექიმი. აიღებს და პატარა

ბავშვს საბანს შემოახვევს თავზე. ეს ბავშვი ხეიბარია და სიარულში წყნარდება. მერე იმ ექიმს ციხეში წასვლაზე დაიდებული რამეა.

— ერთი წუთი მომისმინე. არ ვითხრეს, რომელ საათზე..

— ექიმს კიდევ ეცოდება და საბანსაც იმიტომ შემოახვევს თავზე. უნდა რომ დაახრჩოს. სამუდამო ციხეს მიუსჯიან ამ ექიმს, მაგრამ საბნით გაგულდული ბავშვი ხშირად გამოეცხადება ხოლმე ძილში და მადლობას უხდის. ერთი სიტყვით, გულმოწყალე მკვლეელი გამოდის. მაგრამ თვითონვე იცის, რომ მისი ციხეში ჩასმა სამართლიანია, რადგან ღმერთის საქმეებში ჩარევას არავინ ეკითხება. ერთი ჩემი კლასელი გოგოს დედამ წაგვიყვანა. ალის ჰოლმბორგის დედამ. ჩემი ყველაზე კარგი მეგობარია. მთელს კლასში მასავით არავის არ შეუძლია..

— ერთი წამით მომისმინე, — ვუთხარი მე, — რაღაც უნდა ვკითხო. რომელ საათზე დავბრუნდებითო, არ უთქვამთ?

— საათი არ უთქვამთ, მაგრამ ძალიან გვიან დავბრუნდებითო. მამამ მანქანა წაიყვანა, რომ მატარებელზე ჯახირი აღარ დასჭირდეთ. მანქანაში რადიო გვაქვს, იცი! მაგრამ დედა ამბობს, როცა დიდი მოძრაობაა, ნუ ჩართავთო.

ცოტათი დავმწვიდდი. აღარ ვვლავდდი. ჯანდაბას, ვიფიქრე, მომისწრებენ და მომისწრონ!

უნდა გენახათ ჩემი ფიბი. ლურჯი პიეამა ეცვა და საყელოზე წითელი სპილოები ჰქონდა მოხატული. ჰქუას კარგავდა სპილოებზე.

— მაშ, კარგი სურათი ნახე, პა? — ვკითხე მე.

— დიდებული. ოღონდ ალისი ცოტათი გაციებული იყო და დედამისმა მოსვენება აღარ მისცა, ხომ არ გაერჯოლებსო, ზედ შუაგულ კინოს დროს. აგერ გასაგიჟებელი ამბები ხდება გარანზე, ეს კი გადმოსწევს თავს და,

ხომ არ გაეკოლებსო, ჭკითხავს. ნერვები მომიშალა.

ფირფიტის ამბავი ვუთხარი.

— ფირფიტა გიყიდე, იცო. მაგრამ გზაში გამოიტყდა, — პალტოს ჯიბიდან ნამტერევეები ამოვიღე და ვაჩვენე. — გადაკრულში ვიყავი.

— ნატეხები მომეცი, — მითხრა მან, — ვაგროვებ. — ხელიდან გამომტაცა დასადამური მაგიდის უჯრაში ჩააწყო. გამაგიყებს პირდაპირ!

— დ. ბ. არ ჩამოღის საშობაოდ? — ვკითხე მე.

— დედამ თქვა, იქნებ ჩამოვიდეს, იქნებ არაო. გააჩნია, როგორ ექნება სამსახურის საქმე. შეიძლება პოლივულში დასტოვონ და ანაპოლისზე სცენარი დააწერიონ.

— ანაპოლისი საიდან მოიგონე!

— იმიტომ, რომ შიგ სიყვარულიც არის და ყველაფერიც. აბა თუ გამოიცნობ, ვინ უნდა ითამაშოს? რომელმა კინო-ვარსკვლავმა? აბა, გამოიცანი!

— სულაც არ მაინტერესებს. ანაპოლისი! ღმერთო ჩემო, რა დ. ბ.-ს საქმეა ანაპოლისი, რა გაეგება! სად მისი მოთხრობები და სად ანაპოლისი! — ვთქვი მე. ჰოი ბიჭო, ამისთანა ამბები გამაგიყებს პირდაპირ. ეს ოხერი პოლივული! — ხელზე რა მოგივიდა? — ვკითხე მე. ნიდაყვზე კარგა მოზრდილი სალბუნი შეენიშნე. უსახელებო პიეამა ეცვა და იმიტომ შეენიშნე.

— ბალის კიბეზე ჩამოვდიოდი და ჩემმა კლასელმა ბიჭმა მკრა ხელი, კორტის ვაინტრაუბია ერთი, — მითხრა ფიბიმ, — გინდა ვაჩვენო? — და იმ ოხერი სალბუნის მოძრაობა დააპირა.

— ნუ, არ გინდა! რათა გკრა ხელი?

— რა ვიცი. მგონი, უნდა ეძულდე, — თქვა ფიბიმ. — ერთი გოგოა ჩვენს კლასში, სელმა ეტერბორი, მე და იმ გოგომ სულ მეღწით მოვუესვარეთ სეტრი.

— როგორ შეიძლება! პატარა ბალღი ხომ არა ხარ?

— არა, მაგრამ, ბალში რომ გავალთ. საცა არ უნდა წავიდე, უსათუოდ უნდა

გამომყვეს. სულ კულმე დაგდექს, ნერვებს მიშლის.

— იქნებ მოსწონხარ. ამისთვის მელანში ამოსვრა როგორ იქნება...

— სულაც არ მინდა მისი მოწონება, — თქვა ფიბიმ. დაეჭვებით შემომხედა, — პოლდენ, — მითხრა მან, — აკი ოთხშაბათამდე არ უნდა ჩამოსულიყავი?!

— რაო?

გაფაციცებული უნდა იყო. ფიბის რომ ელაპარაკები. ისეთი მახვილი ჭკუა აქვს, რომ სულ ტყუილია!

— აკი ოთხშაბათამდე არ უნდა ჩამოსულიყავი! ხომ არ გამოგაპანდურეს ჰა?

— ხომ გითხარი, ადრე გამოგვიშვეს მეთქი. მთელი კლასი დაგვითხოვეს და...

— არა, გამოგაპანდურეს! ნამდვილად! — თქვა ფიბიმ. მერე ფეხზე მუშტი დამკრა. თუ მოეხუსტურა, იცოცხლე ჩხუბი უყვარს, — ნამდვილად გამოგაპანდურეს! ო, პოლდენ! — ხელი პირზე მიიფარა. საშინელი აღელვება იცის. ღმერთმანი.

— ვინ გითხრა, გამოგაპანდურესო? როდის გითხარი...

— გამოგაპანდურეს! გამოგაპანდურეს! — თქვა მან და ისე დამკრა მუშტი. თუ ფიქრობთ, არ სტკენიაო, ძალიანაც შემცდარხართ. — მამას ვერ გადაურჩები! მითხრა მან, მერე პირქვე დაემხო და ის ოხერი ბალიში თავზე წაიფარა. სულ ასე არ იცის! ნამდვილ გიჟს დამსგავსება ხოლმე.

— კარგი ერთი! — ვუთხარი მე, — როგორ თუ ვერ გადაეურჩები. რატომ ვერ უნდა გადაეურჩე. რა დამიშაგებია... გეყოფა, ფიბი, გადააგდე ეს ოხერი ბალიში. რატომ ვერ უნდა გადაეურჩე?!

მაინც არ მოიშორა ბალიში. გულით თუ არ უნდა, მოკვდება და არ გააყეთებს. დაიქინა, მამას ვერ გადაურჩებო. ისე დუღუნებდა ბალიშქვეშ, რომ ნახევარს ვერ გაიგებდი.

— როგორ თუ ვერ გადაეურჩები!

ნეტა რას ამბობ! ჯერ ერთი, შინ ღარ-  
ჩენას არც ვაპირებ. ვიშოვი სამუშაოს  
სადმე რანჩოში და ვიქნები ჩემთვის.  
ერთ ბიჭს ვიცნობ, ბაბუამისს უშველე-  
ბელი რანჩო აქვს კოლორადოში. წა-  
ვალ და იქ მოვეწყობი, — ვუთხარი  
მე, — წერილებს მუდამ მოგწერ, თუ  
წავიდი. გეყოფა ახლა, გადააგდე ეს  
ახერი ბალიში. ჰე, ფიბი. კარგი, გეყო-  
ფა. თუ ღმერთი გწამს, მოიშორე ეგ  
ბალიში.

თქვენც არ მომიკვდეთ. ისევ ბა-  
ლიშიში აქვს თავი შერგული. ძალათი  
მოგგლეჯ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ რას  
გახდები! შენ დაიღლები და იმას ვერა-  
ფერს დააკლებ. ისეთი ღონიერია!  
თვითონვე თუ არ აიღო, ვერასდიდე-  
ბით ვერ ააგლეჯ ბალიშს.

— გეყოფა, ფიბი, გამოდი, გენაცვა-  
ლე, — ველიჭინები მე, — აბა ჰე...  
უფთერფილდ. გამოდი-მეთქი.

არა და არა. ზოგჯერ ისე გაჯიქდე-  
ბა, რომ ვერაფერს ვერ შეასმენ. ბო-  
ლოს ავდექი და სასტუმრო ოთახში  
გავიდი. მაგიდაზე სიგარეტის ყუთი  
იყო. რამდენიმე სიგარეტი ამოვიღე და  
ჯიბეში ჩავიწყვე. გაბრუნებული ვიყავი.

22.

როცა შეებრუნდი, ბალიში უკვე გა-  
დაეგდო — ვიცოდი, ასე იზამდა — მაგ-  
რამ მე მაინც არ მიყურებდა, მიუხედა-  
ვად იმისა, რომ უკვე გულალმა იწვა  
მივედი და ისევ ჩამოვუჯექი ლოჯინზე.  
გამუსხული სახე გვერდზე მიღრიცა.  
ბოიკოტი გამომიცხადა. რაღა ეს და  
რაღა პენსელი მოფარაკავე ბიჭები,  
ისინიც ასე გამებუტნენ, ის ოხერი მახ-  
ვილები რომ დამარჩა მეტროში.

— შენი ჰაზელ უფთერფილდი რასა  
იქს? — ვეკითხები, — მეტი აღარაფერი  
დავიწერია მაგაზე? შენ რომ გამომი-  
გზავნე, ის ერთი მოთხრობა ჩემოდან-  
ში მაქვს, სადგურზე დავტოვე. ძალიან  
მომეწონა.

— მამას ვერ გადაურჩები.  
პოი ბიჭო, თუ რამე აიჩემა, რაღას  
შეაჩერებ!

— არაფერსაც არ მიზამს. დიდი, დი-  
დი, ძველებურადვე გამჯოროს, და შე-  
რე სამხედრო სასწავლებელში მიმიცემს.  
მეტი რა უნდა მიქნას? მაგრამ, ჯერ ერ-  
თი, მე აქ აღარ დავდგები. უნდა წავი-  
დე. კოლორადოში წავალ ალბათ, იმ  
რანჩოში.

— რატომ მაინებ! ცხენზე ჯდომაც  
კი არ იცი.

— ვინ არ იცის? რას ამბობ. მაგასაც  
რომ ბევრი რამე უნდა! ორ წუთში გა-  
სწავლიან, — ვუთხარი მე, — ხელს ნუ  
ახლებ! — სალბუნს იძრობდა. — თმა  
ვის შეაკრეჭინე? — ახალა შევნიშ-  
ნე — ვილაცას ბითურულად შეეკრიჭა  
თმა. სულ დაემოკლებინა.

— რა შენი საქმეა! — მტრისას, ისე  
შემოგიღრენს ზოგჯერ. თავბედს გა-  
წყევლინებს. — ალბათ, ახლაც ყველა  
საგანში ჩაფლავდი, — რომ აღარ მო-  
ეშვა ამ ღრენას! პირდაპირ — სასაცი-  
ლოა — მასწავლებელივით რომ დაი-  
ქოქება ეს თითისტოლა ღლაპი!

— არა, ყველაფერში არ ჩავეჭრილ-  
ვარ, — ვუთხარი მე, — ინგლისური  
ჩავაბარე. — უცებ ავიღე და ტაკუნე-  
ზე ვუჩქმიტე, გვერდზე გადმობრუნე-  
ბულა და ტაკუნები გარეთ გამოუბზე-  
კია. თუმცა, რაღა გამობზეკა — ხეი-  
რიანად არც ეტყობოდა, მიფსხრიკული  
ჰქონდა. არც კი სტყენია, ისე ვუჩქმიტე.  
მაინც მომიქნია ხელი, ხელზე უნდო-  
და ჩემთვის დაეკრა, მაგრამ ამაცილა.

უცებ მეუბნება.

— ოჰ, რატომ შერები ამას? რატომ  
შერები? — ვითომ, ისევ რატომ გა-  
მოგრიცხესო. მაგრამ ისე მითხრა ეს,  
რომ გული ჩამწყვიტა.

— შენ მაინც ნუ მკითხავ, ფიბი, თუ  
ღმერთი გწამს. გული გამოწყალდა ამ-  
დენი შეკითხვით. რატომ და იმიტომ,  
რომ მილიონი მიზეზია. ამისთანა საქა-  
გელ სკოლაში ჯერაც არ მოვხვედრილ-  
ვარ. საითაც არ გაიხედავ — ცარიელა  
თვალთმაქცობა! სულ არამზადებითაა  
გამოტენილი. ჩემს დღეში არ მინახავა  
ამდენი არამზადა. ვთქვათ, ვინმეს ოთახ-  
ში სხედხართ და ყბედობთ, და უცებ

ვილაყამ კარზე დააკაუნა — შემოსვლა უნდა. არაფრისდიდებით არ შემოუშვებენ, თუ ცოტა მოშტერო და ზღმურდლიანი ვინმე აღმოჩნდა. გადაუქეტავენ კარებს და მორჩა. მერე რალაც ოხერი საიდუმლო საზოგადოება მოიგონეს — ეაკაცობა არ მეყო, რომ უარი მეთქვა და არ შევსულიყავი. ერთი გულისგამაწვრილებელი, ზღმურდლიანი ბიჭია, რობერტ ეკლი, იმანაც მოინდომა შესვლა. ძან გულით უნდოდა, მაგრამ არ მიიღეს. იმიტომ რომ გულისგამაწვრილებელი და ზღმურდლიანი იყო, გახსენებაც კი აღარ მსიამოვნებს. აქოთებული სკოლაა. დამერწმუნე.

ფიბის ხმა არ გაუღია, მაგრამ მისმენდა კი. კეფაზე ვატყობდი, რომ მისმენდა. მუდამ გულისყურით გისმენს ხოლმე, როცა ელაპარაკები. და საოცარი ისაა, რომ ყველაფერს გაიგებს, რაც არ უნდა უთხრა. ნამდვილად.

მე ისევ პენსის ამბებს ვუყვებოდი. ასე მომეხასიათა რატომღაც.

— ორად ორი ხეირიანი მასწავლებელია მთელს სკოლაში და ისინიც თვალთმაქცები არიან. — ვუთხარი მე, — ერთი ბერიკაცი გვასწავლის, მისტერ სპენსერი. როცა არ უნდა ესტუმრო, ცოლი ყოველთვის ცხელ შოკოლადს მოგიზადებს და ყველაფერი. ნამდვილად კარგი ხალხია. მაგრამ უნდა ნახო, რა ემართება, როცა დირექტორი თარმერი შემოვა ისტორიის გაკვეთილზე და უკან ჩამოჯდება. ასე იცის ხოლმე — შემოვა და მთელი ნახევარი საათი ზის, სულ უკან. ვითომ ინკოგნიტოდ დადის, რალა. ზის ასე ერთხანს ბაიყუშივით და უცებ წამოიწყებს — ხან რას ისერის და ხან რას, წარამარა აწყვეტინებს მოხუც სპენსერს თავისი უკბილო ხუმრობებით. საწყალმა სპენსერმა კი რა ქნას აღარ იცის, კვდება კაცი — ქირქილებს, იკრიჭება, იგრიხება; ვითომ დიდი პრინცი მყავდეს ეს ოხერი თარმერი.

— ნუ ილანძღები.

— რომ გენახა, გული აგერეოდა, ღმერთმანი, — ვუთხარი მე, — ახლა ვე-

ტრანების დღე! ასეთი დღე აქვთ დაწესებული, ვეტრანების დღეს უძახიან. 1776 წლიდან მოყოლებული, უისაც კი დაუმთავრებია პენსის სკოლა, ყველა დამთხვეული იქ იყრის თავს, თავიანთი ცოლებით, შვილებით და რა ვიცი. მთელი დღე იქ დაყლყუნობენ. ერთი ბერიკაცი უნდა ნახო, ორმოცდაათი წლისა იქნება, მოვიდა და კარებზე დააკაუნა — სააბაზანოში თუ შეიძლება შევიდეთ. ნეტა ჩვენ რას გვკითხავს, სააბაზანო ეგერაა, დერეფნის ბოლოში. მაგრამ რა მინდაო, აღარ იკითხავ? უნდა ვნახო, ფეხსადგილის კარს ჩემი ინიციალები თუ აჩნიაო. თურმე ოთხმოცდაათი წლის წინ თავისი ოხერი, უბედური და უბადრუკი ინიციალები ამოუპრია ფეხსადგილის კარზე, და ახლა ამოწმებს, კიდევ თუ აჩნიაო. რალას ვიზამდით, ავდექით და გავყვივით მე და ჩემი ამხანაგი. მანამ ყველა ფეხსადგილის კარი არ შეამოწმა, იქვე ვიდექით და ველოდით. ეძებს თავის ოხერ ინიციალებს და თან ენას ერთის წუთითაც არ აჩერებს. პენსიში რომ ვსწავლობდი, ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეები ის იყოო, და ათასნაირ დარიგებას გვაძლევს, ცხოვრებაში როგორ უნდა მოიქცეთო. ჰოი ბიჭო, როგორ გავიწვრილა გული! ცუდი კაცი კი არ იყო — სულაც არა. მაგრამ მარტო ცუდმა ხალხმა როდი იცის გულის გაწვრილება, კარგსაც შეუძლია. განა ბევრი რამე უნდა: შენი ინიციალები უნდა ეძებო ფეხსადგილის კარებზე და თან სულელური დარიგებები აძლიო ხალხს, მორჩა. გულის გაწვრილებას მეტი არაფერი უნდა. რა ვიცი, იქნებ ისე ცუდად არც ემოქმედა ჩემზე, რომ თან სულის ხუთვა არა ჰქონოდა იმ კაცს. სულს ველარ ითქვამდა, კიბეზე რომ ამოვიდა. ეძებს თავის ინიციალებს და საცოდავად ქლოშინებს, ნესტოები ებერება. თან გეცინება და თან გეცოდება. დარიგებებსაც რომ არ ივიწყებს: მე და სტრედლეიტერს გვეჩიხინება — ასე და ასეო, რაც შეიძლება ბევრი რამე უნდა მიიღოთ პენსიდანო. ო, რომ იყო-

დე ფიბი! ყველაფერი როგორ გითხრა. არაფერი არ მომწონდა იმ პენსიში. ყველაფერი როგორ უნდა გითხრა.

ფიბიმ რალაც თქვა, მაგრამ ვერ გავიგონე. ისე ჩაერგო თავი ბალიშში, რომ ვერაფერს ვერ გაიგონებდი.

— რაო? — ვკითხე მე, — თავი ასწიე. ბალიშში რომ ჩაგივარავს, რალას გავიგონებ!

— შენ ხომ არაფერი არ მოგწონს!

ეს რომ მითხრა, კიდევ უფრო მომეწურა გული.

— ვინ გითხრა?! რატომაც არ მომწონს. როგორ თუ არ მომწონს! საიდან მოიგონე?! ასე რატომ შელაპარაკები?! — იმიტომ, რომ არაფერი არ მოგწონს. ერთი სკოლაც არ აღმოჩნდა შენი მოსაწონი. რამდენი რამე არ მოგწონს. არაფერი არ მოგწონს.

— არაფერიც! მომწონს. ცდები შენ — დიახ, ცდები! ასე რატომ შელაპარაკები? — ჰოი ბიჭო, როგორ მომეწურა გული!

იმიტომ, რომ არ მოგწონს, — მითხრა მან, — აბა ერთი რამე დამისახელე, რა მოგწონს.

— დავისახელო? დავისახელო, რა მომწონს? ძალიან კარგი.

მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, უცებ ველარაფერი მომაგონდა. იცის ხოლმე ასე.

— ყველაზე უფრო რა მომწონს? — ჩავეკითხე ფიბის.

მაგრამ პასუხი არ გაუცია. იწვა ზურგშექცეული, მოკუნტული, სადღაც იქით — საწოლის კუთხეში, ათასი მილით ჩემგან დაშორებული.

— მოიხედე, ხმა გამეცო, — ვუთხარი მე, — ძალიან რა მიყვარს, ის გითხრა, თუ რაც უბრალოდ მომწონს?

— ძალიან რა გიყვარს.

— გეტყვი, — ვთქვი, მაგრამ ვერაფერი მოვიგონე. ის მონახუნებდა გამახსენდა, ქეციან ქილის ჩანთებში ფულს რომ ავროვებდნენ. განსაკუთრებით ერთი მათგანი, რკინის ჩარჩოიანი სათვალე რომელსაც ეკეთა. და კიდევ ერთი ბიჭი, რომელიც ელქტონ-ჰილში

იყო ჩემთან ერთად. ჯეიმს კასლი ერქვა იმ ბიჭს, ელქტონ-ჰილში ერთად ვსწავლობდით. იქვე ერთი უსაშველოდ გაბღენძილი ბიჭი გვყავდა — ფილ სტეიბლი. ჯეიმს კასლმა რალაც თქვა იმ ბიჭზე და მერე არასდიდებით უკან არ წაიღო თავისი სიტყვა. დიდი გაბღენძილი ვინმეაო, ჯეიმს კასლმა თქვა, და სტეიბლის ერთ-ერთმა არამზადა ამხანაგმა, არ დააყოვნა, მაშინვე მიუბრუნებინა ენა. სტეიბლმა ხელადვე მოუყარა თავი მასავით ბინძურ ექვს ნაბიჭვარს, ოთახში შეეჭრნენ ჯეიმს კასლს, კარი გადაარახეს და თავზე დაადგნენ — სიტყვა უკანვე წაიღო, მაგრამ არაფრისდიდებით არ წაიღო ჯეიმსმა. მაშინ მისდგნენ. არ გეტყვი, რა უქნეს — გახსენებაც კი გულს მირევს — მაგრამ ჯეიმს კასლმა არასდიდებით უკან არ წაიღო თავისი ნათქვამი: ერთი უნდა შეგეხედათ — გაწლიკული ბიჭი იყო, სუსტი, სუსტი — ფანჭრის სიმსხო მაჯები ჰქონდა. მაგრამ სიტყვა უკან მაინც არ წაიღო. ბოლოს ადგა და ფანჯრიდან გადახტა. მე სააბაზანოში ვიყავი, შხაპის ქვეშ, მაგრამ მაინც გავიგონე, როგორ მოადინა მიწაზე ბრაგვანი. უცებ ვიფიქრე, სკამი ან რალიო, ან ამისთანა რალაც გადააგდეს ეზოშიმეთქი; ბიჭი თუ გადახტებოდა, რას წარმოვიდგენდი. მერე გავიგონე, როგორ გამოჯლიგინდნენ დერეფანში და კბიებზე დაეშენენ. ხელად წამოვიხი ჩემი აბანოს ხალათი და მეც გავიქეცი. ვხედავ — ქვის საფეხურებზე არა გდია ეს ჩვენი ჯეიმს კასლი! უკვე მკვდარი იყო, ირგვლივ სულ სისხლი და ჩამსხვრეული კბილები. ვერაფერს ვერ ბედავდა მიახლოებას. ერთი სვიტრი ვათხოვე, ის სვიტრი ეცვა. იმ ბიჭებისთვის, ოთახში რომ შეუცვივდნენ, არაფერიც არ უქნიათ, გამოირიცხეს მხოლოდ. ციხეშიაც კი არ ჩაუსვამთ.

მეტი ვერაფერი მოვიგონე: მარტო ის მონახონი, საუზმის დროს რომ ვნახე, და ელქტონ-ჰილელი ჯეიმს კასლი. მაგრამ საოცარი ისაა, რომ მართალი თუ გინდათ, იმ ჯეიმს კასლს ხეირა-

ნად არც კი ვიცნობდი. უწყინარი ბიჭი იყო, ერთ კლასში ვსწავლობდით. მაგრამ ის ოთახის მეორე კუთხეში იჯდა და არ მახსოვს, რომ გაცვეთილი ებასუხებინოს, ან დაღვასთან გასულიყოს. არიან ხოლმე ბიჭები — იშვიათად თუ გავლენ დაფასთან, და გაცვეთილის მოყოლაც ძალიან ეზარებათ. მგონი, ერთხელ შეტადაც არ გამოვლავარაკებივარ — სვიტრი რომ მთხოვა, ის იყო ერთადერთი ჩვენი საუბარი. ლამის იქვე მოვეყვდი, ისე სახტად დაერჩი, სვიტრი რომ მთხოვა. მახსოვს, სააბაზანოში კბილებს ვიხეზდი, როცა მთხოვა. ბიძაშვილმა უნდა გამომიაროს და მანქანით გამასეირნოსო. ისიც კი გამოკვირდა — საიდან იცის, რომ ასეთი სვიტრი მაქვს-მეთქი. მე პირადად არაფერი არ ვიცოდი მისი, გარდა იმისა, რომ საკლასო ეურნალში სწორედ ჩემს წინ ეწერა. კაბლ რ., კაბლ ვ., კასლა, კოლფილდი... ჯერაც არ იამეიწყებია. მართალი თუ გინდათ, კიწალამ უარი ვტყვიც სვიტრის თხოვებაზე. იმიტომ რომ ხეირიანად არ ვიცნობდი.

— რაო? — ფიბის ვკითხე. რაღაც მითხრა, მაგრამ ვერ გავიგონე.

— ერთი რამეც კი ვერ მოგიფიქრებია!

— რას ამბობ! როგორ არა. როგორ არა.

— მაშ სთქვი.

— ელი, მაგალითად, — ვუთხარი მე. — ელი მიყვარს. ასე შენთან ჯდომა და ლაპარაკიც მიყვარს, და ყველაფრის მოგონება და...

— ელი ხომ მოკვდა!.. სულ ეს რომ დაგიჩინია! კაცი რომ მოკვდება და ცაში წაეა და ყველაფერი, იმისი ნამღვილი...

— ვიცი, რომ მოკვდა! შენ გგონია, არ ვიცი? მაგრამ მაინც მიყვარს. არ შემძლია თუ რა? რა ვუყოთ, რომ მოკვდა, სიკვდილის გამო ხომ არ გადაიყვარებ ადამიანს?!.. მით უმეტეს, ცოცხლებზე ათასჯერაც უკეთესი თუა ის კაცი.

ფიბის არაფერი უთქვამს, როცა სა-

თქმელი არაფერი აქვს ასე განუქმდება ხოლმე.

— ასე რომ ვსხედვართ, ეგეც მიყვარს. ნამღვილად. შენთან ასე ჯდომა და ათასი რამის გახსენება და ლაპობოა...

— ეგ სულ სხვაა.

— ვითომ რატომ? სწორედ ეგ არის საქმე. მაშ რა ჯანდაბა უნდა იყოს?! ხალხს რომ ჰკითხო, ყველაფერს გაგიბიამბრუებენ. გული გააწყალეს, ჯანდაბას მაგათი თავი!

— ნუ ილანძლები. კარგი, კიდევ დასახელებ რამე. სთქვი, რა გინდა გამოხვიდე — მეცნიერი, ვეჭილი თუ სხვა რამე?

— სადაური მეცნიერი მე ვარ. მეცნიერება რა ჩემი საქმეა!

— მაშ ვეჭილი?.. მამასავით.

— ვეჭილობა კარგია, მაგრამ მე მაინც არ მიმიწვევს გული, — ვუთხარი მე, — იცოცხლე კაი საქმეა უდანაშაულო ხალხის დაცვა და გამოსარჩლება, მაგრამ ვეჭილები ამას თავის დღეში არ აკეთებენ. ვეჭილი თუ ხარ, ფული უნდა ხვეტო, გოლფი ან ბრიჯი ითამაშო, მანქანა იყიდო, მარტინი სეა და გამოწყებილი იარო. ვთქვათ, მართლაც იცავ და ექომაგები უდანაშაულო ხალხს, ეგეც ბევრს არაფერს ნიშნავს, იმიტომ, რომ შენ თვითონვე არ იცი, რატომ აკეთებ. ამას — მართლა გულით გსიამოვნებს ალალი ხალხის დახსნა თუ გინდა გამოჩენილი ვეჭილის სახელი მოიხვეჭო და ყველა ბეჭებზე გითათუნებდეს ზელს და გილოცავდეს, როცა რაიმე ოხერ საქმეს მოიგებ სასამართლოში, სწორედ ისე, როგორც იმ ბინძურ კინოებშია. საიდან უნდა გაიგო, ეს თვალთმაქცობაა თუ სულითა და გულით ეხმარება! მთელი უბედურება ისაა, რომ ამას ვერ მიხვდები.

არა მგონია, რამე გაეგოს ფიბის ჩემი უბედობისა. ჯერ პატარაა, რა ესმის, მაგრამ გულისყურით კი მისმენდა. ხოლო როცა ადამიანი გისმენს, ესეც კარგია.



— მამას ვერ გადაურჩები. იცოდე, მოგვლავს, — თქვა მან.

მაგრამ მე აღარ ვუსმენდი. თავში რაღაცამ გამკრა, რაღაც ვიჭურმა ფიქრში.

— იცი რა მინდა გავხდე? — ვუთხარი მე, — იცი რა? რა თქმა უნდა, ჩემს ნებაზე თუ მიმიშვეს და არაფერი ჯანდაბა არ გადამეღობა.

— რა? სთქვი. ოღონდ ნუ ილანძღები.

— ეს სიმღერა თუ გახსოვს — „ნეტა ვინმეს თუ დაიჭერ ჭვავის ყანაში“... მე მინდა რომ...

— „თუ დაიჭერ“ კი არა, „ნეტა ვინმეს თუ შეხედები ჭვავის ყანაში“ — გამისწორა ფიბიმ. — ეს ლექსია. რობერტ ბერნსის ლექსი.

— მეც ვიცი, რომ რობერტ ბერნსის ლექსია.

ფიბი მართალი იყო. ლექსში მართლაც ასეა — „ნეტა ვინმეს თუ შეხედები ჭვავის ყანაში“, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი.

— მე კი მეგონა, „ვინმეს თუ დაიჭერ“ იყო, -- ვუთხარი ფიბის, — ერთი სიტყვით, თვალწინ მადგას, როგორ თამაშობენ პატარა ბავშვები დიდ ველზე, ჭვავის ყანაში. ათასობით ბავშვია და თან არაფერ ახლავთ — ესე იგი, დიდი არაფერ ახლავთ — ჩემს მეტი. მე კიდევ საშინელი ციციბო კლდის პირას ვდგავარ, და რას ვაკეთებ -- ბავშვებს ვიჭერ, რომ უფსკრულში არ გადაიჩეხონ. თუ გამორბის და წინ არ იყურება, არც იცის, რომ უფსკრულს უახლოვდება, უცებ გამოვყარდები და ხელს ვტაცებ. მთელი დღე მეტს არაფერს ვაკეთებ — ბავშვებს ვიჭერ ჭვავის ყანაში. ვიცი, რომ სიგიჟეა, მაგრამ ეს მინდა, სხვა არაფერი. ისე მეც ვიცი, რომ სიგიჟეა.

ფიბის კარგა ხანს არ გაუღია ხმა. მერე კი, მამას ვერ გადაურჩებიო, ისევ ის მითხრა.

— ჩემი დარდიც ეგ იყოს. თუ ვერ გადაურჩები, — ვუთხარი მე. ბოლოს წამოვდები, გადავწყვიტე ჩემი ელქტონ-პილელი ინგლისურის მასწავლებ-

ლისთვის დამერეკა. მისტერ ანტოლინი იყო ეს კაცი და ახლა ნიუ-იორკში ცხოვრობდა. ელქტონ-პილიდან წამოვდივარ. ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ასწავლიდა ახლა ინგლისურს. ტელეფონზე უნდა დავერეკო-მეთქი, ფიბის ვუთხარი. შენ ნუ დაიძინებ, ახლავე მოვბრუნდები-მეთქი. არ მინდოდა დასძინებოდა, მანამ მე სასტუმროში ვიყავი. ისედაც არ დაიძინებდა, მაგრამ მაინც გავაფრთხილე, უფრო დავიმშვიდე გული.

კარებისკენ რომ გავემართე, ფიბიმ მომამახა — „პოლდენ!“ მივბრუნდი.

ლოგინზე წამომგდარაიყო. ისეთი ლამაზი იყო!

— ერთი გოგო გვყავს სკოლაში, ფილის მარგულინი, ნახე, როგორი სლოკინი მასწავლა.

მე უფრო დავუგდე, მაგრამ ისეთი ვერაფერი გავიგონე.

— კარგია, — ვუთხარი და სასტუმრო ოთახში გავედი, რათა მისტერ ანტოლინისთვის დამერეკა.

23.

ტელეფონზე ლაპარაკს ჩქარა მოვრჩი, მეშინოდა მშობლებმა არ მომიწრონ-მეთქი. მაგრამ გადავრჩი. მისტერ ანტოლინის ძალიან გავხარდა. თუ გინდა ახლავე მოდიო, მითხრა. ეტყობა, ექნათ — ცოლსაც და მასაც — დიდხანს არ მოსულან ტელეფონთან. ხომ არაფერი მომხდარაო, პირველად ესა მკითხა, და არაფერი-მეთქი, მეც ეუბასუხე. ოღონდ პენსიდან გამორიცხვის ამბავი მაინც ვუთხარი. გადავწყვიტე, რომ მისთვის კი შეიძლებოდა ამის თქმა. ღმერთო დიდებულოო, ესლა წამოიძახა. ხუმარა კაცი იყო. თუ გინდა, ახლავე მოდიო, მითხრა.

ამ მისტერ ანტოლინისთანა მასწავლებელს მე არავის შევხვედრივარ. სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი იყო; დ. ბ.-ზე ცოტათი უფროსი. რამდენიც არ უნდა გვხუმრა და გელაზღანდარა მასთან, პატივისცემას ერთი ბე-

წოთი არ დაჰკარგავდი. მე რომ გვიმსკასლი ვახსენე—ფანჯრიდან გადახტამეთქი — პირველად სწორედ ეს ანტოლინი მიიქრა და აიყვანა, მაშინვე მაჯა გაუსინჯა, მერე პალტო გაიხადა, გადაფარა და საავადმყოფოში გააქანა. სულაც არ დაფიქრებულა, პალტო სისხლში არ მოითხვაროსო.

დ. ბ.-ს ოთახში რომ შევბრუნდი, ფიბის უკვე რადიო ჩაერთო, საცეკვაო მუსიკას ჭადმოსცემდნენ. დაბალ ხმაზე დაეყენებინა, რომ მოსამსახურე გოგოს არ გაეგონა. უნდა გენახათ ჩემი ფიბი! ზის ლოგინში — საბანზე, ფეხები იოგოვით მოურთხამს და მუსიკას ისმენს. კინლამ გავვიყდი.

— ადექი, — ვუთხარი მე,—არ გინდა, ვიცეკვოთ?

სულ პატარა იყო, ცეკვა რომ ვასწავლე. დიდებულად ცეკვაეს. მე იმდენი არაფერი მისწავლებია, თვითონვე ისწავლა. ნამდვილი ცეკვის სწავლება, საერთოდ, შეუძლებელია, თვითონვე უნდა ისწავლოს ადამიანმა.

— ფეხსაცმელები რომ გაცვია! — მითხრა ფიბიმ.

— გავიხდი. ადექი!

მაშინვე წამოხტა და დამიციდა, მანამ ფეხსაცმელებს გავიხდიდი. კარგა ხანს ვიცეკვით: მართლაც რომ დიდებულად ცეკვაეს. პატარებთან რომ ცეკვავენ ხოლმე, როდი მიყვარს, საშინელი საყურებელია. რესტორანში, მაგალითად, ან ამისთანა ადგილებში, ადგება ვინმე ბერიკაცი და თავის პატარა გოგონას გამოიყვანს. ისე უხერხულად მოსდებს ხელს ზურგზე, რომ კაბას სულ წამოუჩაჩავს, ბავშვიც ხეირიანად ვერა ცეკვაეს, ერთი სიტყვით, საშინელი საყურებელია. ასეთ ადგილებში არაფრის-დიდებით არ ვიცეკვებ ფიბისთან. ჩვენ მარტო შინ ვცეკვავთ ხოლმე, თავის შესაქცევად. თუმცა ფიბი ისე კარგად ცეკვაეს, რომ ხალხშიც არ შეგარცხენს. რაც არ უნდა იცეკვო, გამოგყვება. ოღონდ მჭიდროდ უნდა მიიქრა და მაშინ, თუნდა გაცილებით გრძელი ფეხები გქონდეს, აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. კობტად მოგყვება. გინდა მიუხვიე, რაც გინდა გააკეთე, ჯიტერბაგსაც კი ისე ვგიწყობს, ვითომც არაფერიო. თუ გინდა ტანგოც აცეკვე.

ოთხი რამე ვიცეკვით. უნდა ნახოთ, რა სასაცილოა ცეკვასა და ცეკვას შუაერთის ამბით დგას გაწყობული და ახალი ცეკვის დაწყებას ელოდება. კრინტსაც კი არა ძრავს. ჩაგქიდებს ხელს და დგახართ ასე, მანამ ორკესტრი ახალ საცეკვაოს დაიწყებდეს. ვგიყვები პირდაპირ, მაგრამ გაცილების ნებას ვინ მოგცემს!

ერთი სიტყვით, ოთხი რამე ვიცეკვით და მერე რადიო გამოვითიშე. ფიბი ისევ ახტა საწოლზე და საბანში შეძვრა.

— ხომ უფრო კარგად ვცეკვაე? — მკითხა მან.

— მერე როგორ! — მე ვუპასუხე. ისევ ლოგინზე ჩამოუჯექი. სულს ძლივს ვითქვამდი. იმდენს ვწევდი იმ ოხერ სიგარეტს, რომ უკვე სუნთქვა აღარ მყოფნიდა. ფიბი კი ვითომც არაფერიო, დამშვიდებით სუნთქავდა.

— აბა შუბლზე დამაღე ტუჩები. — მითხრა უცებ.

— რათა?

— დამაღე, დამაღე!

ვაკოცე, მაგრამ არაფერი არ მიგრძენია.

— დიდი სიციხე მაქვს?

— არა, ვითომ რატომ უნდა გქონდეს?

— მაქვს... მე თვითონ ვიწვევ სიციხეს: აბა კიდევ დამაღე.

კიდევ დავაღე და არც ახლა მიგრძენია რამე, მაგრამ მაინც ვუთხარი:

— ახლა კი, მგონი მართლა ავიწია. არ მინდოდა, რომ ის ოხერი არასრულფასოვნების განცდა განვითარებოდა.

თავი დამიქნია.

— თერმომეტრზედაც კი შემიძლია ავწიო.

— თერმომეტრზე? სად ისწავლე?

— აღის ჰოლმბორგმა მასწავლა. ფეხები უნდა გადააჯვარდინო, სუნთქვა

შეიკრა და ძალიან, ძალიან ცხელ რამეზე უნდა იფიქრო. მაგალითად, რადიატორზე, ან ასეთ რამეზე. ისე გავიხსურდება შებლი, ვინმემ ხელი რომ დაგადოს, დასწვავ კიდევც.

ერთბაშიდ მომსპო კაცი. ისე უცებ აეცალე შებლიდან ხელი, თითქოს დიდ საშიშროებაში ვყოფილიყავი.

— კიდე კარგი, რომ გამაფრთხილე, — ვუთხარი მე.

— ო, შენ კი არ დაგწვავდი. აღრევე შევაჩერებდი, მანამ... ჩნუ! — და ერთბაშიდ გაეკრა ლოგინს. საშინლად დამაფეთა.

— რა მოგივიდა? — ვკითხე მე.

— დერეფნის კარები! — ჩურჩულით მიპასუხა, — მოვიდნენ!

ხელად წამოვხტი, მაგიდასთან მივირბინე და სინათლე ჩავაქრე. მერე სიგარეტი ფეხსაცმელის ლანჩზე მივასარიესე და ჯიბეში ჩავიდე. ჰაერში თამბაქოს კვამლი იდგა და ხელის ქნევას მოვკყევი — იქნებ გავფანტო-მეთქი. პაპიროსი მაინც არ მომეწია! ბოლოს ფეხსაცმელებს დავტაცე ხელი და კარბაში შევქვერი, კარი მივიხსურე. ჰოი ბიჭო, რა ბავა-ბუგი გაქქონდა ჩემს გულს!

გავიგონე, როგორ შემოვიდა დედაჩემი.

— ფიბი! — თქვა მან; — თავს ნუ იმტინარებ, დავინახე, რომ სინათლე გენოთ, ქალბატონო!

— შელო! — ფიბის ხმა გავიგონე. — აღარ დამეძინა. კარგი დრო გაატარეთ?

— დიდებული, — ეს დედაჩემმა თქვა, მაგრამ მაშინვე შეატყობდით, რომ ნამდვილს არ ამბობდა. მაინცადამაინც ვერ ერთობა, როცა სტუმრად დავდის, — რატომ არა გძინავს, ქალბატონო? ხომ არ შეგცივდა?

— სულაც არ შემცივნია. ისე, არ დამეძინა.

— ფიბი, პაპიროსი ხომ არ მოგიწევია? მართალი მითხარი, ქალბატონო..

— რაო? — ფიბი შეეკითხა.

— გავიგონე, რა გითხარი?

— ერთი წუთით მოვეუკიდე და ხე-

ლადვე ჩავაქრე. ერთხელ შეტად არც მომიწევია, მაშინვე ფანჯრიდან გავივადე.

— იმ ერთხელაც რატომ მოსწიე?

— არ დამეძინა.

— ცუდი გიქნია, ფიბი. ძალიან ცუდი გიქნია, — უთხრა დედამ, — მეორე საბანი ხომ არ გინდა?

— არა, მადლობელი ვარ. ღამე მშვიდობით, — თქვა ჩემმა ფიბიმ. უნდოდა, როგორმე ჩქარა მოეშორებინა თავიდან.

— კინო მოგეწონა? — ჰკითხა დედამ.

— მშვენიერი იყო. მაგრამ ალისის დედამ გააწყალა გული. ხომ არ გაეჩოლებსო, რომ დაუყენა ალისს, აღარ მოასვენა — წარამბრა გადმოიხრებოდა და ჰკითხავდა. ტაქსით დავბრუნდი.

— მოდი ერთი, შებლზე გაეკოცო.

— ნუ გეშინია, მე არ გადმომდებია. არც არაფერი სჭირებია. დედამისმა აიკვიატა მხოლოდ.

— კარგი. დაიძინე. სადილი როგორი იყო?

— საძაგელი, — უთხრა ფიბიმ.

— ხომ გახსოვს, მამაშენმა რა გითხრა მაგ სიტყვისთვის?! მაინც რა იყო საძაგელი? მშვენიერი ბატონის კატლეტი მოგართევს. მთელი ლექსინგტონ ავენიუ შემოვიარე მაგის...

— ბატონის კატლეტს არა უშავდა, მაგრამ ჩარლინამ არ იქნება, რომ სახეში არ შემომასუნთქოს, როცა საჭმელს მავწდის. სულ დაორთქლავს ხოლმე კერძს. ყველაფერს უნდა დააორთქლოს.

— კარგი, დაიძინე. დედას აკოცე. ხომ ილოცე?

— საბაზანოში ვილოცე. ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა. დაიძინე ახლა. თავი ისე მტკივა, რომ მისკდება პირდაპირ, — თქვა დედამ. ხშირად იცის თავის ტკივილი. აწამებს.

— ასპირინი დალიე, — უთხრა ფიბიმ, — პოლდენი ალბათ ოთხშაბათს ჩამოვა, არა?

— მე მგონი, აბა, დაიხურე და დაიძინე.

დღეაჩემი ოთახიდან გავიდა და კარი გაიხურა. ორი წუთი კიდევ დავიცადე და კარადიდან გამოვძვერი. უცებ ფიზის დავეჯახე კარგა მაგრად — თურმე იმ სიბნელეში ლოგინიდან წამოხტა და ჩემსკენ გამოიქცა, გამოდიო, უნდა ეთქვა.

— ხომ არაფერი გატყინე? — ვკითხე მე. ჩურჩულზე გადავედი, რადგან დედაც და მამაც ორივენი შინ იყვნენ უკვე. — ახლავე უნდა მოვუსვა. სიბნელეში ლოგინი მოვძებნე და ჩამოვჯექი, ფეხსაცმლის ჩაქმა დავიწყე. ძალიან ვღელავდი, უნდა გამოგიტყდე.

— ჯერ ნუ მიდიხარ, — ფიზიმ წამჩურჩულა, — ბარემ დაიძინონ!

— არა. უნდა წავიდე. ახლა ჯობს, — ვუთხარი მე, — მანამ დედა სააბაზანოშია. მამაც ალბათ ახალ ამბებს ისმენს რადიოში. ახლავე ჯობს, — ისე ვღელავდი, რომ ძლივსძლივობით შევიკარი ფეხსაცმლის თასმები. ვანა მომკლავდნენ ან რამეს მიზამდნენ, კიდევ რომ დავეჭირე, მაგრამ ძალიან არასასიამოვნო იქნებოდა, — შენ სადღა ხარ? — ვკითხე ფიზის. ისე ბნელოდა, რომ ვერაფერს ვერ ვხედავდი.

— აქა ვარ, — თურმე გვერდში მიდგას და მე კი ვერ ვხედავ.

— ჩემოდნები სადგურზე მაქვს დატოვებული, — ვთქვი მე, — მოიხედე, ცოტა ფული ხომ არ გექნება, ფიზი? სულ გამოვიფხიკე.

— საშობაო საჩუქრების ფულიდა მაქვს. ჯერ არაფერი მიყიდი.

— აჰ! — საშობაო საჩუქრების ფულს როგორ წავართმევდი.

— გინდა? — მკითხა ფიზიმ.

— საშობაო საჩუქრების ფულს არ გამოვართმევ.

— ცოტას მოგცემ, — თქვა მან. მე რე გავიგონე, როგორ ფათურობდა დ. ბ-ს შავიდასთან. ათასი უჯრა მინც გამოალო და გადმოქექა. ოთახში ისე ბნელოდა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი, — თუ მართლა წახვედი,

სცენაზე როგორღა მნახავ? — მითხრა ფიზიმ. სასაცილოდ აუბრუნებდა ხმა.

— განახე, როგორ არ განახე. განახე და მერე წავალ. შენ გგონია, წარმოდგენაზე არ მოვალ? — ვუთხარი მე. — ახლა ავდგები და მისტერ ანტოლინისთან მივალ, სამშაბათ საღამომდი იქ დავჩნები. მერე კი შინ მოვალ. თუ მოვახერხებ, დავირეკავ.

— გამომართვი, — მითხრა ჩემმა ფიზიმ. უნდოდა მოეცა, მაგრამ ვერ მომავნო. — სადა ხარ? — ხელში ჩამიდო ფული.

— დაცა, ამდენი არ მინდა, — ვუთხარი მე, — ორი დოლარი მეყოფა. არ გეხუმრები... აბა, — ვცადე უკანვე დამებრუნებინა, მაგრამ არ გამომართვა.

— სულ წაილე. და მერე გადამიხადე. წარმოდგენაზე რომ მოხვალ, იქ მომიტანე.

— მერე, აქ რამდენია?

— რვა დოლარი და ორმოცდახუთი ცენტი... სამოცდაექვსი ცენტი. დანარჩენი დამეხარჯა.

უცებ ტირილი არ წამსკდა! ვერასდღედბით ვერ შევიმაგრე თავი. ვცდილობ არავის გავაგონო, მე კი ცრემლად ვიღვრები. ფიზი საშინლად დაფეთდა, მე რომ ტირილი დავიწყე, მოვიდა და ფერება დამიწყო, ცდილობს დამამშვიდოს, მაგრამ ერთი თუ წაგსკდა ცრემლები, რალა ოხრობა გაგაჩერებს! ლოგინიდან არც ავმდგარვარ. ფიზიმ მხარზე მომხვია ხელე, მეც გადავეხვიე, მაგრამ მინც დიდხანს ვერ დავმშვიდდი. მეგონა, ვიხრჩობოდი. პოი ბიჭო, როგორ დავაფეთე ჩემი საწყალი ფიზი! ის ოხერი ფანჯარაც ღია იყო და ვგრძნობდი, როგორ კანკალეზდა, რადგან პიემას ამარა იყო. ლოგინში ჩაწიქი-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ არ დამიჯერა. ბოლოს, როგორც იყო, დავჩუმდი. მაგრამ ამასობაში დიდი ხანი გავიდა. მერე პალტოს ღილები შევიკარი. უსათუოდ დავიკავშირდები-მეთქი, ფიზის ვუთხარი. დარჩი და ჩემს ოთახში დაიძინეო, ფიზიმ შემომთავაზა, მაგრამ არა-მეთქი, მე ვუპასუხე, მის-

ტერ ანტოლინი მელოდება და ისედაც არ ღირს-მეთქი. მერე ჯიბიდან ჩემი სანადირო ქუდი ამოვიღე და ფიბის მივეცი. ჰკუთას კარგავს ხოლმე ამისთანა სულელურ ქუდებზე. ჯერ უარზე იდგა, არ იღებდა, მაგრამ ძალათი მივეცი. სანაძლეოს ჩამოვალ, რომ იმ ქუდიანად დაიძინებდა. პირდაპირ გიყდება ამისთანა ქუდებზე. ბოლოს კიდევ ვუთხარი, თუ მოვახერხე უსათუოდ დაგირეკავ-მეთქი, და წამოვედი.

წამოსვლა, რატომღაც, გაცილებით ადვილი გამოდგა. მისვლა უფრო გამიძ-

ნელდა. ჯერ ერთი, დიდად უკვე აღარ ვწუხდი, დამიჭერდნენ თუ არა, ისე არადა, სულაც არ შეეწუხებოდი. დამიჭერენ და დამიჭირონ-მეთქი, ვფიქრობდი. გულში ენატრობდი კიდევ, ნეტა დამიჭირონ-მეთქი.

ლიფტში აღარ ჩავმჯდარვარ, ფეხით დავეშვი. ეზოს კიბეებით ჩამოვედი. ათასჯერ კინალამ მოვიტეხე კისერი სანაგვე ყუთებზე, როგორც იქნა ჩამოვედი დაბლა. მელიფტეს აღარც კი დავუნახივარ. აღბათ ახლაც იმ დიქსტაინებთან ვგონივარ.

თარგმანი ინგლისურიდან **მასტანა ბელიძისა**

(გაგრძელება იქნება)

## საგზო მოხატობილი

### XXI ყრილობის ღებვატი

ღამეა. გრიგოლი მარტო დარჩა საყუთარ ფიქრებთან. ფიქრების ქალღღღზე გადატანა უნდა და უქირს. იმდენი მოზღვევდა, რომ კალაპორტში ვერ ჩაუყუენებია. ასეთ განცდებს მწერლის კალამი უნდა. ის კი შეეღმავლეა. ასტონიან მარტარებლებს უფრო იოლად დასძრავს, დააყუებს. სიტყვის პოეია კი უქირს.

გრიგოლ ბოვეერაძე მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრია: მალე კომიტეტის სხდომა შედგება. ის სიტყვით გამოვა სხდომაზე. კარგად უნდა მოეზადოს. კალამი დაღო. ჯერ მოიფიქრებს და მერე დაწერს. სკამის ზურგს გადააწეა. ამას წინათ რადიოთი მოისმინა ნიკიტა სერგის ძის სიტყვა. აი სიტყვა ის იყო. უსმენდა და თითქოს ხედავდა კადეტ ტრიბუნაზე ზელაწედილ ნიკიტა სერგის ძეს, როგორც მაშინ, როდესაც სულ ახლოს ნახა მშვიდობის დაცუბრომელი მებრძოლი, როცა ახლოდან მოესმინა მის მგზნებარე სიტყვებს...

ეს იყო 1959 წელს. კრემლის სვეტებიან დარბაზში მიმდინარებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 21-ე ყრილობა. აქ თავი მოეყარა ჭეყნის რჩეული. საქართველოს წარგზავნილთა შორის გრიგოლიც იყო. სწორედ აქ შეხვდა პირველად ნიკიტა სერგის ძეს. ნიკიტამ ზელი ჩამოართვა, გაუღიმა. ეს იყო დიმილი იმ აღამაინისა, რომელსაც თვითონ უყვარს შრომა, იცის შრომის ფასი... და ის მამუდამოდ დაამაზსოვრდა გრიგოლს. მერე ნიკიტა სერგის ძემ მალაღ ტრიბუნლიდან წარმოთქვა სიტყვა...

გრიგოლმა კალამი აიღო და გაკრული ზელით დაწერა: „ვინც იბრძვის აღამაინათა ბედნიერებისათვის, ის მშვიდობის ჯარისკაცია. ვისთვისაც ძვირფასია სიცოცხლე, მან უყოფმანოდ უნდა შეწიროს იგი მშვიდობისათვის ბრძოლას. ნორჩ თაობას უნდა ავაცილოთ ომის საშიშრელება. ათეული წელი გვაყოლებს იმ მუხამათურ ფაქტიდან, თუშეა მისი შავი ლანდები კვლავ საფრთხილასავით დადიან დედამიწაზე. არა, ჩვენ არ დავუშვებთ ომს! ჩვენი ქვეყნის მომავალმა — ნორჩმა თაობამ არ უნდა გამოსცადოს ომის საშიშრელება. — წუთით სული მოითქვა, შუბლი მოისრისა, რა უნდათ ოკეანის გადაღმელთ ჩვენგან? რატომ აფლარუნებენ

იარაღს? კარგად თქვა ნიკიტა სერგის ძემ: ჩვენმა საარაკო ნახტომმა თავზარი დასცა კაპიტალისტურ სამყაროს. ისინი დიდი ხანი ელოდნენ; სოციალიზმის ბანაკი და, კერძოდ, ამ ბანაკის ლიდერი — საბჭოთა კავშირი, — როდის მოექცეოდა ნიხში... და მწარედ შეცდნენ. სოციალიზმის ბანაკი განმტკიცდა, გაძლიერდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ეს-ესაა გამოაქვეყნა თავისი პროგრამის პროექტი — კომუნისმის აშენების ნათელი გეგმა. მესურნის გული შერმა გახეტია. ეს მხოლოდ სიტყვებია, საქმით ვერ შესძლებენო, თავს ინუგეშებდნენ ისინი. თავს ინუგეშებდნენ თორემ კარგად იყოღენ — კომუნისტური პარტიის სიტყვა და საქმე ერთია. მაშინ საბჭოთა მოქალაქემ კომუნისტმა ვერმანე ტიტოვმა დღე-ღამის განმავლობაში ჩვიდმეტჯერ შემოუთარა დედამიწას და ურწმუნო თომებს ომამიხანდ გადასამა: „ძრწოდეთ! მე შევეუ ვარ კომუნისმისა!“ — ბოლო სიტყვები მოეწონა გრიგოლს. რამდენჯერმე გაიმეორა. მერე კალამი დაღო და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

ფანჯარასთან მივიდა. დატარიელებელთა ფართო ქენა. ტრამვაი და მანქანები ერთიანად გაკრულიან საღლიც. ასფალტზე ნათურების შუქი ლიციციებს. ღამე საღარბაზო შესასვლელებსა და შენობათა კეთხებიდან იყურება. ცა მუქი ღურჯია, ვარსკვლავებიანი. თანაც მალაღია, ძალიან მალაღია. სოფელში არ არის ასე მალაღი ცა. კორტოხზე თუ ღვებარ, გვონია ხელით მოსწვდები ვარსკვლავებს. ღამაზია იმერეთის სოფლები. ქვემო სიმონათის მარცხრომელი შეედრება. თხუთმეტეი წლისამ დატოვა მშობლიური კერა. ასოვს: ცა ბურუსიანი იყო, სტრიდა. შავი ღრუბლები ლოდვიით აწვა მთებს. კავკასიონის მისაღვომებიდან შემზარავი გრგვენვა ისმოდა... ხუნთი ჩამოვიდნენ სიმონთიდან. მემანქანებოა უნდოდად და თბილისის რაინიგზის პირველ სახელოსნო სასწავლებელს მიაშურეს. — შენ იცი, შეილო, — ცრემლებს მალავდა დედა, — უჩილად იყავი, თავს გაუფრთხილდი, მამაშენი რომ დაბრუნდებოდა, რა პასუხი გავცეო. აღქმასნარე აღარ დაბრუნებულა, 1943 წელს ქალაქ ტრელაში გაწირა სიცოცხლე სამშობლოს გადასარჩენად. მეუღლეს

ნუგეშიდ ორი მცირეწლოვანი ვაჟი დაუტოვა-სწავლას თავი არ დაანებო, სწერდა დედა შვილს, არ იღარდო. რა ვუყოთ, მარტო ჩვენ თავს ხომ არ არის ეს უბედურება, წერილი კი ცრემლებს დაესველებინა.

ევგენი ბატაქაძემ გაუწია გრიშას მამობა. ევგენი შემანქანე იყო, გრიშა თანაშემწე, რამდენიმე ბიჭი უაღა თანაშემწედ. დღეღამ მათთან ტრიალებდა. მუშაობდა და ამუშავებდა. ახლა მშხლისსაეროევა წუთითაც კი დანაშაულიაო, ასწავლიდა: ასე კი არა, აი ასეო, ეუბნებოდა. ჩვენ გავიშარჯებთ, მალე მოედება ომს ბოლო. თქვენ, ახალგაზრდობამ უნდა აღადგინოთ დანგრეული, აშენოთ ახალი. მშენებლობათა მთელი სიძიმე ლინდაგებზე გავიღის, კარგი შემანქანებები დასჭირდება სამშობლოსო.

ევგენი ერთნაირი მზრუნველობით ეპყრობოდა ევგენს. თუმცა ის მაინც გამოარჩეული უაღა სტეებისაგან. გრიშასაგან აიღეთ მაგალითიო, ეტყოდა ტოლებს. ხშირად უთქვამს უფროსებთან: ეგ ბიჭი შორს წავაო. პირადად კი არაფერს აგრძნობინებდა. მხოლოდ ერთი შემთხვევა ასხუსვს გრიგოლს: შენი იმედი ყოველთვის მაქვსო, უფრო და მხარზე გადახვია ზელი, არც გაუმტყუნებია ეს იმედი აღმზრდელისათვის...

მას შემდეგ თხუთმეტ წელზე მეტი გავიდა. სიმონეული ბიჭის, გრიშას სახელი დიდი ხანია გასცდა თბილისის საელმწავლო დეპოს ფარგლებს და ოქროს ასოებით ჩაიწერა საბჭოთა კავშირის რკინიგზელთა საპატრო წიგნში: გრიგოლ ალექსანდრეს ძე ბოგვერაძე. აღსანიშნავია ნატრა ევგენის — აღზრდელმა აჯობა აღმზრდელს. გრიგოლმა მას შემდეგ მკერდი ბევრჯერ აიყვავა მედლებითა და ორდენებით. ის ახლა ოქროს ვარსკვლავის კავალერი და უმაღლეს საბჭოს დეპუტატია, საქართველოს კმ ცენტრალური კომიტეტისა და მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი. ევგენის დიდი ხანია თმა გაუთეთრდა, ელმწავლს კი მაინც ვერ შედეგია. გრიგოლი ახლა შემანქანე-ინსტრუქტორია. შემანქანეთა ასეულს ხელმძღვანელობს. ევგენი ბატაქაძე მის ბრიგადაშია. გამორჩეული სიყვარულით უყვარს აღმზრდელი.

ვარსკვლავებით მოიჩითული მრედი ფარდა მეეთრია კიეღლა შეარბია. ეს არ იყო ქარხნის საყვარია. ეს გამოთენისას კიტებში შერთხის სტეენას უფრო ჰგავდა. ეს ხმა ნაცნობია, მახლობელია გრიგოლისათვის. ამ კიეღლს ასიათას ხმში გამოარჩევის. შერბების გადაღმა აღვის ზეები ვარსკვლავების მოსაწყვეტად რომ აშოლტილან, საელმწავლო დეპოა. იქ ყოველ ცისმარე კიეღმ ელმწავლები. კიეღმ დღისით, კიეღმ ღამით. დიდი ვალდებულებები აქვს დეპოს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 22-ე ყრილობა კარზეა მომდგარი და დეპო სულს არ ითქვამს. ბოგვერაძის ბრიგადამ ხომ მოსვენება

დაკარგა. ყოჩალი შემანქანებები უაღს გრიგოლს. შეთანხმდნენ: ღამ-ღამობითაც ვიშუშაოთო! უმშენისტური შრომის ბრიგადის ნახეღის მომავლებისათვის იზრძვიან. არ გატებს სიტყვას გრიგოლი. არასოდეს გაუტებსია და არც ახლა გატებს. თავისი სიტყვისია სწამდა მაშინაც, როდესაც სულ პირველად ებმებოდა სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაშინ ამხანაგების ვიწრო წრე თუ იცნობდა გრიგოლს — ის ახლა „გამომცხევაირი“ შემანქანე იყო...

1948 წელს მოსკოველ რკინიგზელთა თაოსნობით მამიქონიანმა პატარებლების გადაყვანა დაიწყო. ევგენა სარკინიგზო კვანძში დეპუტრია მხარი ამ პატრიოტულ ინიციატივას. თბილისის საელმწავლო დეპოც გამოცხმებურა. პირველი ბოგვერაძე ზაგბა სოციალისტურ შეჯიბრებაში. კარგად დაიბირა გამოცდა გრიგოლმა. 1950 წელს კრემლიდან საკავშირო კონკურსში გამარჯვება დემეშით მიულოცეს... მერე კომკავშირული ელმწაველი ჩააბარეს გრიგოლს. სულ ექვსნი იყვნენ ელმწავლები. ექვსივე ახალგაზრდა. უნდა გენახათ რა ამბავი დაატრიალეს. მალე მათი ელმწავლი დეპოში საქმითაც გამოიტრეოდა, ფერითაც. გარეთ თუ შიგნით კრიალი გაქმონდა მანქანას. წინ გაუკეთეს წარწერა „კომკავშირული“, კაბინაში ხალიჩები დაათინეს. ვალდებულებას არ იყოთხავთ? საქვეყნოდ განაცხადეს: ელმწავლის შეუკეთებლად ახნევიკი მიღობი კილომეტრის გავიბრენთო. წარმოუდგენელი ციფრი იყო მაშინ და არ სჯეროდათ. 250 ათასი კილომეტრის გავლის შემდეგ უკვე ჩერდებოდა ელმწავლი, და არ სჯეროდათ. ისინი კი ახალგაზრდები იყვნენ, გული ერწოდათ. მთელ დეპოში მხოლოდ მათ ელმწავლს ვიქტა „კომკავშირული“, უნდოდათ საქმითაც გამოინილოყვნენ და ხმამაღლა განაცხადეს: 500 ათასი კილომეტრს გავიბრენთო. ქვეყანა ალაპარაკა თბილისის საელმწავლო დეპოს კომკავშირული ბრიგადის გმირულმა საქმემ. მათი ბრიგადირი გრიგოლ ბოგვერაძე მოსკოვში მოწინავე შემანქანეთა თათბირზე მიიწვიეს... ამის შემდეგ ბევრჯერ მთიბრეკეს გრიგოლი მოსკოვში. მოსკოვიდან ბრუნდებოდა მუღამ ახალ-ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლის ეინით.

ბოლო მოწვევა კომუნისტური პარტიის 21-ე ყრილობაზე დელეგატის მოწმობით ხომ დაევიწყარია. გრიგოლი უსმაცა ნიკიტა სერგის ძეს და გულში აღთქმის აძლევდა: მუღამ ღირსი ყოფილიყო იმ დიადი არმიის წევრობისა, რომელსაც ლენინის პარტია ჰქვია...

ვინც სახალხო დოღათასა ჰქმნის, — ამბობდა ნიკიტა სერგის ძე, ვისაც თავისი საქმიანობით წველილი შეაქვს კაცობრიობის ნათელი მომავალი — კომუნისმის მშენებლობაში, ის იბრძვის მშვიდობისათვის, დედამიწაზე სიხარულის, ბედნიერების დამკვიდრებისათვის...

გრიგოლი შავიდასთან მივიდა. გადაიკოთხა



ნაწერი. არ მოეწონა. ვერ გადაეტანა ნაფიქრი ქალაღზე. დახია და გროვას მიუმატა. დაჯდა, დაფიქრდა; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი და ტიტოვის ტრიუმფალური გაფრენა მსოფლიოში იცის. მალე 22-ე ყრილობა შედგება. ის იქნება კომუნისმის აშენების ყრილობა. კომუნისმი — ეს მშვიდობია. უმჯობესია აღაპარაკოს იმზე, თუ რა მიხედვებით ხედება ამ ისტორიულ თარიღს. მისი სამოცაკაციანი მემანქანეთა კოლექტივი იბრძვის კომუნისტური შრომის ბრძოლის სახელის მოპოვებისათვის, კოლექტივმა რომ ატაროს ეს სახელი, უნდა აკეთოს ორჯერ მეტი. საელმწივლო დეპოს ვალდებულება აქვს აღებულ, ყრილობის გახსნისათვის ვალდებული ვადეს 3 მილიონი ტონა მჭიმე მატარებლები. დეპოზიტი გემს ოცეში უკვე 2 მილიონნახევარი ტონა მჭიმე მატარებლები ვადაიყვანა. ამ წარმატებაში კი ყველაზე მეტი დამსახურება სწორედ მის ბრძოლას მიუძღვის. გრიგოლმა უნდა მოამზადოს ათი მემანქანე. იბრძვის მემანქანეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. კვალიფიკაციის მემანქანეთა კადრის ყოლა ნიშნავს იყისრო იმაზე მეტი, რაც ერთი შეხედვით მიუწვდომელია. სიტყვას არასოდეს გაგატყვივინებენ. ისინი საათის შექანიზმით იცნობენ ელმავალს, უფროსილდებთან, უვლიან. ჰოდა, ყრილობას სწორედ ასეთი მემანქანეების ათეულს მოეზადებს.

ლია ფანჯარებში იყურებოდა ვარსკვლავებიანი ცა. საესე მთვარე ლამაზობისა და ვარსკვლავების იისფერ შუქზე გასუდრულიყო. მტკვარსაც ჩაეშურა წუთით. მხოლოდ ოთახში ისმოდა სუნთქვა ნელი, ძალიან ნელი. ეძინათ გრიგოლის ბავშვებს.

დათოს ფუნჯულა მკლავები დაეწყო თხელ საბანზე, ოღონდ გაეხსნა პაწაწინა ტუჩები და ძილში ილიშებოდა. ნანას შავი წარბები გადარკალოდა. მთვარის სხივი ეცემოდა შუბლზე, სხივები გახლართოდა შავ თმებში.

გრიგოლი დაწეა, ყური მსუფლო. ოთახი ერთდროულად საესე იყო სიმშვიდით და ხმაურით.


ეს სიცოცხლე ხმაურობდა, ძაბდა. სიცოცხლე შრიალებდა ქუჩების გასწვრივ ჩაქრებულ ქალაქების ბტოებში. სიცოცხლე დადიოდა ქუჩებზე უჩინრად, იღვწავდა. წუთით გატარულიყო, რომ გამოენიისას მთელი ძალით ახმუჩებულყო, აგუგუნებულყო.

გრიგოლმა თვალები დახუჭა, თუმცა უფრო მკაფიოდ ხედავდა, მთელი სხეულით გრძნობდა სიცოცხლის ძაბვას...

„ისინი მოქმედებენ მძარცველთა პრინციპით, სურთ ისე მოსპონ ადამიანი, რომ სისხლში არ გასეარონ მისი კოსტუმი, რათა ისარგებლონ ამ კოსტუმით“...

„კომუნისტები აფასებენ ადამიანის შრომითა და გენით შექმნილ მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს. მაგრამ ჩვენ ყველაზე უფრო მეტად ვაფასებთ თვითონ ადამიანს, რომლის შრომითაც შექმნილია ყოველი სიკეთე დედამიწაზე. ამიტომ ჩვენ გვინდა დავიცვათ არა მარტო ადამიანის შრომის შედეგები, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თვითონ იგი, დავიცვათ ხალხები. ეს არის ჩვენი ფილოსოფია, ჩვენი მორალი, ეს არის ნამდვილი კომუნისტური პემაინიზმი“.

გრიგოლს თვალები დაუხუჭავს და თითქოს მკაფიოდ ჩაესმის ნაცნობი ხმა. ეს სიტყვები ნიკიტა სერგის ძემ წარმოთქვა საბჭოთა კავშირის რეპრეზენტის მეგობრობის მიტინგზე. ეს სიტყვები გრიგოლმა მოისმინა რადიოთი, მერე გაზეთებში წაიკითხა. ნიკიტა სერგის ძემ თქვა ის, რისი თქმაც სურდა გრიგოლს, თვითველ საბჭოთა მოქალაქეს, მთელი მსოფლიოს კეთილშინების ადამიანებს. ამ სიტყვებით იხელმძღვანელებს ის ყველგან, ყოველდღიურ საქმიანობაში. გრიგოლს ვალდებულებები აქვს აღებული 22-ე ყრილობას შეხედვის წარმატებებით. ყრილობაზე მოწვეული იქნებოდა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები. ნიკიტა სერგის ძე გამოვა სიტყვით. იგი კომუნისმის მშენებლებს მოუწოდებს ახალი შრომის მამაცობისაკენ. გრიგოლი მთელი ენერჯით ჩაებმება 22-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.



## საღიზნო ქართული

# მეცხმისი ქალის სახელი

რეკა ნისლის კოტორი გზაბანუელი დავო-  
რავს ქველბზე, ხან ერთ ფერდის აეტოლება  
მღვირაივით, ხან—მეორეს, ან კლდეებზე ჩამო-  
ტანდება. ბოლოს ღრმა ხევეში ჩაიკრთება და  
მღვმარად ჩაწევება გორებს შუა.

საღიზნო ანცად მღერის ქალწული:

ჩემო, უცეცხლოდ დამწველო,  
უღვინოდ დამათობელო,  
მალმალ თვალეში ნუ დამკვლევ, —  
სიყვარულს შეგვიტყობენო.

ირველივ არაიენ ჩანს. მომღერალი ამ უზარ-  
მზარ გორებს შთაუწმთავს თითქოს. მარტო  
მომზიბლავი ხმა ისმის შორიდან, მწვერვალებს  
ველებს თავზე, იტრება უფსკრულებში, დაქ-  
რის ნივის მსუბუქი ფრთებით.

მოდ და ნუ გაოცდები! საიდან განდა ეს  
სიმღერა აქ, რომელიც ხან ჩანჩქერის ტალ-  
ღასავით ძლიერდება, ხან წყაროს თვალვით  
მოგოგავს და აჯადოვებს ირველივ ყველაფერს?  
ვინ მოიტანა ეს უცნაური ხმა? რა უნდა ქალს  
ამ უდაბურ მთებში?...  
—

ეს ნათელი და მალაღი. ლავარდში თეთრი  
ღრუბლები დაეხრებენ. ვიწრო ბილიკი ზარნი-  
შვით გასდევს გორის ფხას. თვდება ერთი  
მთა, უმაღლე მეორე აისევეტება თვალწინ.

გაღმა, მკერდლიანი ფერდობს ქრულად შე-  
ფენია ნახირი. საქონელი მაღიანად ღონის  
რძინ ბალახს. ბობორა მყვფერები თავ-ბოლოში  
შემოსწოლიან სამწყისოს, წაბლისფერი, შებლ-  
ნაიკორა ბელა ამაყად დაბოტებს, საძოვარის  
გულს არ უღებს, ხშირად განაპირდება და  
ტინიანად გაჟუკირებს. მერე კრებით წაებულრა-  
ვება მთას, — თითქოს მოგლეჯას და უფსკრუ-  
ლში გადავდება უპირებსო.

ქალარამერეული მწვემში წყაროს პირას ჩა-  
მოხჯარა, სამხარს შეეცევა, ჩქარ-ჩქარა იყუ-  
დება პირზე მათარას. მეორე მხარეთაძოზე შე-  
წოქადღებულა და პაპიროსს აბოლებს. ერთი  
თეიანი, ზორბა მწვემში ამირანვით წარმომდ-  
გარა მთის წვერზე და დაეინებით იყურება იმ  
მხარეს, საიდანაც სიმღერა ისმის. დანარჩენი  
მწვემებსეი საღიზნო, მთის იქით ხმაურობენ.

აი მიწენარდა მღერის ხმა, გაწმდა მომღე-  
რალი, ზევივით მოსწყდა ადგილს თექვანი,  
სწრაფად ჩაირბინა ნამზღლევიანი დაღმართი,  
ბეჭეზე გადადგა და ბუბუნით ჩასძახა ქვევით:

— ჰაი, ლარო! ლარო, ქალავ!

პასუხად თითქოს მართლა უხილავმა ლარმა  
გაიწკრილა ცაში:

— ჰო, აქა ვარ! მოვდივარ, მოო!

შენივით ყელმოღერებულმა ამოირბინა აღ-  
მართი, მაგრამ შენივით მფრთხალი როლი-  
თამაჟად, მოხდენილად მოაბიჯებს სწორ, უი-  
შიან მაღალ ფეხებს. კვალუცად მოაქვს გათ-  
ქვირებული ტანი. მარჯვნივ გადაუხვია დაქ-  
ლანოლ ბილიკს. ნავეი კაპის ბოლოს უფრთა-  
ლებს. მალ-მალე დაიხრება ყვავილებზე, ხელს  
შეიკლებს — თითქოს რაღაცას ესაუბრება  
მათ... დედოფალია, ნამღელი ყვავილთა დედო-  
ფალი...  
—

რამ შეგაძლებინა ამ სიმღლეზე ამოსვლა,  
გოგო! ან როგორ გაბედე ამ ზვიად მთებში  
ზინის დაღება?

შენ არაფერი ვესმის, ყურს არ უღებდ არი-  
ვის. ისე ხარ შენი საქმით გართული, რომ ვერც  
კი შენიშნე, როგორ დაგვიარა ვილცამ სათავე,  
გზა ვიყვია და ამოსავალი ფერდა შეგაკრა. არ  
ვარგა, გოგო, ასეთი დაუღვერობა. ცოტა ვაფ-  
რთბილდი, თორემ ქვერდულად წამოგებარება  
ვინმე და ცხენის კისერზე აგიტაცებს უცერად.

— გაამარჯობა და მშვიდობა შენდა, ლარო  
ბურღული!

— გაგიმარჯოთ!

შეატოთ უცნობის უცაბედმა შეყარამ. ცის-  
ფერი თვალეები გაუფაროვდა. ბეჭეც უთრთის  
ნარბენალს, პაწია, თხელი ნესტოები ებერება,  
ძლიერად აუღ-ჩაუღის წინწამოწყეული, ცხვე  
ქუძე-მკერდი. თვალ-წარბზე ოფლის ცვარი  
დისდებია. ბროლისფერ ყელ-კისერს მკრთალი,  
მოღურჯო შუქი გადაჰკრავს ოდნავ, თითქოს  
ცის ლავარდი არეკლიდა ნახ კანში.

ვინა სთქვა შრომა სინახეს ანადგურებსო.  
ტყუილია ამას ნურავინ დაიჯერებს და ნურც  
ვინმე გაიმეორებს. ამა შევეხდეთ ლარის პა-  
ტარა, ლილისფერი ძარღვეებით მოხატულ, მზე-  
დაკრულ ხელებს. რას არ აკეთებენ ეს პაწაწინა  
თითები, მავრამ რა აკლია მათ? სინატი-

ფე, სინაზე, თუ მოხდენილობა? არც ერთი, არც მეორე. — ლარის ოქროს ხელები აქვსო, ვანა ტუელიად ამბობენ მწყემსები.

საქონელმა ყვავილევანი კალთა გადათელა და დასველების მხარეს გადაიჭრიდა. მწყემსები და ნავაზებიც გადასვენენ. თქვიანი, ზორბა მწყემსი კი ისევ მთაზე დგას და თვალს არ ამორებს ლარის, როგორც არწივი თავის სა-  
დაელოს.

— არ გეშინიან, გოგო, ამ უკაცრიელ მთებში რომ მარტოკა დარბობა?

— მთაში საშიში არაფერია, კიდევაც რომ იყოს, არ შეშინებდება, — და უნებურად გაეპარა მზერა გორზე წამომდგარი გოლიათისაკენ. ან მარტო რად ვიქნები? მეგზურად ჩემი ლექსი და სიმღერა დამუყვება... მაგრამ ერთი ეს მიიხზა-რიტ, თუ ქო, ლარი ბურღული ვარ, თქვენ კი თვითონ ვინა ხართ?

— ლარი! ამოდი, ქალავ, დროზე! — მარტოობას ვეღარ ითმენს თქვიანი.

— ქო, მოვდივარ! — თავშლის ტოტი გადაიგდებ მხარზე, წასვლა დააბიჯე. გულისწორი გიშობს და ნებას დასვეცი, მაგრამ ჯერ უნდა გაიგო — ვინ ასწავლა უცხოის მწყემსი ქალის სახელი?

— აქ ყველა შენს სახელს გაიძახის, გოგო!

— ხა, ხა, ხა! — განკისებებს ლარი, მისი სიცოლი მზის ნათელივით ეღინება იალადებს.

— მაინც რამ შეგაყვარა ასე მთებში, გოგო; დაიკარგები ამ ქედებში და სიუფარულიც ვეღარ გაპოვინს.

— მართალი კაცი მთაში კი არა, ჯოჯობეთშიც არ დაიკარგება. სიუფარულიც ხომ მადლიანი გზით დადის. გველის ღობეს გაარღვევს, ზღვას გააპობს, ცხრა მთას გადაივლის და გულის ნანდურის ყველგან მივაგებს. მთები კი, რა ვქნა, მართლაც ძალიან მიყვარს... აი, ერთი ზაფხულია, რაც აქა ვარ და, ბარში თუ კიდევ გაეძლეებ აღარ მგონია. აბა ვახედეთ! — ხელი შემოატარა ირველიც — მარტო ის რაღა ღირს, მუიწვარის სპეტაკ ტანს რომ შევხედავ დილით.

მართლაც დიდებული სანახაობა იმდენა აქედან. ანდუნის დანახვა არც თვთრწყულზედია შეიძლება, არც გომბორის ყელიდან. კაცასიონის ქედის ის აღარ არის, რასაც ჩვეულებრივ ვხედავთ: ერთმანეთს ატოლებული გორები ჩნდება, მთების სიგრეც ორზომად მატულობს — შესაბამისად სიღამაზეც იზრდება. მთების გულისაგან ახილულ მყინვარს მარცხნივ გერგობრ ამოსდგომია, მარჯვნივ — შვიი კლდის ქოუბი, თითქოს ეშინიათ, არ წამოიქცეოს და მხარბით იმაგრებენ ყინულისთავიან ბუმბერაზს. მთელი სიგრძე-სიგანით გადაიშლება შიდა და გარე კახეთი. შეაზე გამყოფი ქედი გაწოლილა. ერთ მხარეს ალხანი ჩაუდის, მეორე მხარეს იორი, ორივე მდინარის კლაპოტს უსასარლობამდე გასდევს სოფლოვანი. სასთვლო ნახსენებები

მკვეთრად ემიჯნება მოღურჯო ზერებსა და რუხ-ყვითელ ნაყინობებს. მწყემსი კორდებს მოტიტლებული სერები მოსდევს. მწყემსის ბუჩქნარიანი გორები, ბორცვები, ნახოვრები, წარადიანი ღელეები. ორივე კახეთი დასერილია გზებით, არხებით და ელექტროანძებით. ზოგან კუპრივით შავი კვამლი ასვეტილა ცისკენ. ალაგ-ალაგ ძველი ნახოვრები და კალთაპირ-გლეჯილი ციხე-გალავნების დაღერებელი ნანგრევები მოჩანს...

შენ თვალწინ უხზოდ ჩაიჭროლებენ საუკუნე-ნი. თეთრულ მთებთან თავისი ანაბეჭდი დაუჩრევია ამ მიწისთვის. ავირდები ძველსა და ახალს. ხალხის მიერ შექმნილ ბარაქს. ზედაე ყველაფერს უკლებლად, ზედაზენიდან ვიდრე საინჯილომდე, ბორბალოს მთიდან შირაქის დასასრულამდე და რაღაც ფარული სიამაყე გიპყრობს, თითქოს შენი ხელიც ურევია საქმეში, თითქოს შენც უშვაროდ მონაწილეობდი ამ სიკეთის შექმნაში. იცი, რომ შენ მარტო არა ხარ, ათასი სხვა შრომობდა შენ გვერდით და ათასს სხვას უდევს წილი... უხსოვარი დროიდან ვიდაცის უჩინარი ხელი აწყობდა ამ ქვესს, უჩინარ მიწას, გადმოჰქონდა ბელტი ბელტზე, იწმენდა ოფდს და უჩრდრად სწნავდა ამ უსასრულო სიკეთის ჯაჭვს. სად იყავი მაშინ შენ? ბევრ ადგილას უხლავ არ დაგადგამს ფეხი, მაგრამ დღეს კი ერთობ ბატონ-პატრონად ითვლები, რაღაცა შენც გვეუბნის აქედან. შენი ცხოვრების უქმად გაუცენილი თვითთელი წუთი გაგონდება და გრცხვენია. შენში იღვიძებს დაუოკებელი ვნება, დაუძლეველი ნებისყოფა შრომისა, ნამდვილი შრომისა, რომელიც მართლა ქმნის რაღაცას. მღავეებში უჩვეულო ღონეს გრძნობ, გინდა ჩაღვ მშრომელით ფერხულში, დაღვდ იმათ გვერდით, რომელთაც მზით გარუჯული მხარ-მკლავები ოფლითა და მტერიით დაუსერია, გინდა შეება საქმეს, შენც დაიღვარო ოფლით და ერთნაირად მოუხადო ვალი ძველსაც და ახალსაც.

ახეთ ფიქრებში გართული, ვეღარ იცვებ, როგორ ჩამოწყება ციდან ბინდი. მზემ უკვე მეორე მხრიდან შემოხედა მყინვარი. მთაში უცხად იცის დაღამება, მწყემსები ნახარის მოვარეებიან ბაკისკენ, მოაჩქარებენ, მოუსტვენენ, მოქვიან. წელი ქმნითა და ზმუილით მოდის საქონელი. ცურსასეც ფურებმა დაიწინაურეს. ბუღა ისევ გორებს ერკინება. მწყემსებიც საწინაველად ტარებენ აელარუნებენ. ჩქარა უნდა მოასწროს დაწველვა, თორემ ღამე უკვე ხეობებში შემოპარტლა. საცაა მთებიც შეე ნახაღ-ში გაუხვევიან. იჩქარე, ლარი, თორემ ვინ იცის, იმ ბნელ ჭალაში იქნება ნისლეზიც გან-ნდა. ამინდის შეცვლაც უცხად იცის მთაში, ბვე-რი კი არ უნდა, ნიავის ერთი წამოჭროლება და ტყვიისფრად შეიღებება, დაქსიოტუბი ღრუბ-

ლები მთის წყარზე შეიკრიბან და დაუდევრად ჩამოიხრტიყავენ კალთებს.

ის გზებია მწყემსი, წელან რომ გორიდან ჩამოჰყურებდა ლარის, რძის საწონ კურკულთან დაუცქველა, მუხლებზე ბრტყელი დაეთარი — ფურების სია გადაეშლია, ხელით ასწორებს თორ ქათვზე მოკლებულ ტიეტისას, დანაყოფებს თელს და წინებს დაეთარიში იწერს. ხანდახან არბად გახედავს მწყევლეებს.

— ლარი, ქალავ! ჩქარა, თორე გაჯობა გოგლამა!

თან თვალს მიკრავს და ეშმაკურად იღიმება.

- რა გქვიან, ძმობილო?
- ბერდია, შენი ჭირიშე.
- აგე, იმ ქალარას?
- იმას მიხა პქვიან?

— გოგლა რომელიდა?

— გოგლას იმ ქორჩას ვეძახით.

ლარიმ სავსე ტაგანი საწონში მოაპირქვეავა.

— რაო, შენ რას მეძახილი?

— ვიხუმრე, ქალავ, რამ გაგაბარაზა.

— ეინ რის ვამეტებელია, შენზე უკეთ ვიცი.

გოგლასთანები ორიც ვერ მაჯობებს, შენ ის მოხარა, ლებილამ რა ქნა დღეს, ხომ არ მიღია-ღია?

- სამასი გრამით გადაჰქარბა გუშინდელს.
- თაფლომ?
- თაფლომაც!
- ღამაზამ?
- ოო, ღამაზამ კი მგონი, ნახევარ კილოსაც აყილა.

— უოჩაღ, ზემი ღამაზო, ტყუილად როდი მაქვს შენი იმედი!

— გეგმა რამდენი გაქვს წელს, ლარი?

— გეგმა?! ზემი ფურები გეგმას არ სჯერდებიან.

— აბა, როგორ?

— თეთველ ძროხაზე სამიათასი ლიტრი რძე, გეგმაღ ეს არის ჩვენი და ვაღმებულებატ.

— მეტრ შესძლებთ კი?

— შეუძლებელი არაფერია. კაცი თუ შონი-ღომებს, კიდევაც შესძლებს.

როგორც საღამურზე, ისე თამაშობს ფურის ძმებებზე ლარის პატარა, მრგვალი თითები, ხან ერთი ძმებ მოჰყვება ცერსა და სალოც შეა, ხან მეორე, რძის თეთრი მხეფები წყრილით ჩაღის ტაგანში. სქელი ქათვი ფუფუბა და ნელა იწვეს ზეით.

საქონელმა გაჯიფტება იცის ზოგის ზელში. ლარის კი უღლებლივ აძლევენ უკანასკნელ ცხარამდე. სავსე ჯიქანი თანდათან კლებულობს, პატარაედება, ბოლოს მთლიანად იჩრტება დამ-ქნარ სოკოსავით. ფურები თავს იწონებენ კარგი პატრონით, როგორც თეთრქაყუდი-ლებით აბლატუნებენ თვალებს. საქონელი იც-

ნობს მზრუნველ ზელს. პირტუყვამო იცის სეკეთის გადახდა.

ბაკს სამი მხრიდან პატარა გორებზე შემოსდგამს. გორებზე ღამის სამორიგო რუხურები მოწყობილი. რძე-კარაქის საწყობს — სქელი ძელებით ნაშენ, ნახევრად მიწურ ქობს — ბაკის მხარეს დიდი დერეფანი აქვს წამოხურული. დერეფანში მწყევსების ნაბადგადაფარებული საწოლები დგას. დერეფნის წინ დიდი კოცონი ანთია.

საქმეს შორჩნენ. ბოსელი შილაგ-შილაგეს კოცონს დიდი, მრგვალი შემები შემოუფიცხეს აქეთ-იქიდან და ხელები გადაიბანეს.

— სტუმარს რით დავხედეთ, ხალხნო? — იკითხა მწყევსთა შორის ფურისმა, ქალარა მიხამ.

- მაწონი გაქვს ჩადედებული.
- რას ამბობ, დილანდელი, მკავე მაწონი დავეღვათ სტუმარსა?
- მაშ, რა უქნათ?
- ხაქო-ერბო გაეაყეთოთ.
- ხაქო-ერბო კარგია, მაგრამ არ გვეყოფა.
- იმდენი გაეაყეთოთ, რომ გვეყოს.
- იი, დათვი, განა მუგას ვამბობ.
- მაშინ, კიდევ რამე მოვახერხოთ.
- შენ რას გვირჩევე, ლარი?
- რა ჩემი რჩევა გინდათ! — ქობიდან ისმის ლარის ხმა, — მეცხვარეები რომ ვიყოთ, თობლს დავკლავდით და ჩობანაყურებით გავუშასანძლდებოდათ. ტაბლა ღარბინი არც ჩვენა ვართ. მეძროხეთა ჯერის თავად რძე-პურა თქმულა და ჩვენც ამით დავხედეთ.

— გაღაწყდა, — ხაქო-ერბო და რძე-პურა! დიასახლისობა თეთით ითავა ლარიმ. ქვამში თბილი რძე ჩაწერა, შიგ ზველი ღავისის უთა ჩამტერია და ცუცხლზე შემოღდა.

მიწურ ბოსელს ერთ მხარეს სახბორე აქვს მიშენებული, მეორე მხარეს კობტა ფიცრული სამკითხველო. სამკითხველოში პატარა, სასკოლო მაგიდა დგას, ზედ ნახმარი, დაძინძილი ეურნალ-გაზეთები აწევი. უკანა კედელზე წიგნების თაროა აკრული. იქვე — შიფლითის პოლიტიკური რუკაც. ახალგაზრდები რუკასთან ჩამოღვნენ. ძია მიხამ გაზეთი გადაფურცლა ისევ მაგიდაზე დააგლო, ეთხეში სკამზე ჩამოჯდა. გულის ჯიბიდან „პრიმის“ დაჭკუქნილი კოლოფი ამოიღო, კოლოფიდან მოხრილი, დაჭულტილი პაპირისი ამოაცოცა ორი თითით, ცუცხლზე მოტეფა და რამდენიმე ნიუბანი დააკრა ზედონდა.

— გაზეთებს კვირაში ერთხელ ძლივს გვიგზავნიან — სთქვა საყვედურით, — აღარაფერი ვიციოთ რა ზდება ქვეყანად. მოწყვეტილი ვართ ჭვალაფერს.

— შე კი კაცო, — შეხებურა ბერდია, — წინათ წლიდან-წლამდე ოჯახის ამბავს ვერ იგებთო და, ეხლა რა მოხდა, რომ ქვეყნის

ამბავი ორი დღით გვიან გაიგო?

— როგორ თუ რა მოხდა? — გაეხარდა მინა, ვერა ხედავ, რეები ხდება ქვეყანაზე, წინათ რა იყო საინტერესო!

— გული არ გაიტეხო, ძია მინა, — ამშვიდებს კორორა გოგლა, — ეს სატელევიზიო კომედი ხო აგეფეს, საცაა დენის ამოყვანასაც შორჩებთან თელავიდან და ბარემ ტელევიზორი დაეიდგათ.

— შენც არ მაშიყვედ, მაგაში ეჭვი არ შეშვპაროს. მშვიდობა იყოს, თორემ მაგისტანები სხვაე ბევრი გაკუთდება.

ლარი სუფრას აწყობს. ხელგამრჯე მწველავე ხელმარჯვედ დიასახლისობს.

ვაჩხშის შემდეგ კოცონის ირგვლივ ჯარდუბიან მწვემები.

საუბრობენ წლევეანდელ მიღწევებზე, გაზრდილ ვაღდებულებასა და შვიდწლიან გვეგაზე, საერთო საქმეში თავის ღვაწლს ვარაუდობენ, პურ-ღვინის წლევეანდელ მოსაგალს ანგარიშობენ, შრომადღებების ღირებულებას ითვალისწინებენ. ყველაფერზე თავისებურად, გლახურად მსჯელობენ, — მარტივად, სწორად და შეუძმცდარად.

მერე ერთერთი წამოაწყვეს — იყო და არა იყო რა, — და დგება ნამდვილი მწყემსური, რომანტიული ღამე. ერთმანეთს მოსდევს ოცი ძმის ამბავი, მზეკეპტვისა და ცხრაათვიანის ომი, მწყემსის გასაქირი და ერთგულება, ნაბოლარას გმირობა, ამირანის ხმალი და ავი დედაბრის მზაკერობა. ათასი უცნაური ამბავი იშლება კოცონის პირას, მოთები და ლევენდები რიგრიგობით გაღაღის ხელიდან ხელში და ბოლოს ამ უცნაური რეფრენით თავდება:

ქირი-იქა, ლხინი-იქა,  
ქატო-იქა, ფქვილი-იქა.

კამკამა ცა ცახცახებს, თბთას. ვარსკვლავები ცვარ-ნამად ცევიან დაბლა, პირდაპირ კავასიონის შავი სილუეტი გამოტილა-ღამეს მწვერვალები წაუშლია, წაუკეთია უველა თავი და ერთ სწორ ღარზე დაუღვებია — ერთი მყინვარი არ ეხუება სიბნელეს, ნაერისფრად აზიდულა მუქ ცაში, კენტი ვარსკვლავი გვირგვინად დაუღვამს თავზე და ჯიუტად ეურჩება ღამეს.

შეაში კოცონი ვიზგინებს. ლურჯი ალი ირჩვეა და გარშემო მსხდომთა ჩრდილებსაც ათამაშებს. მუგუზლები ტკაცუნობენ გაბმით, შიშინებენ, წვიანი — თავისებურ ზღაბარს თუ უამბობენ ერთმანეთს? გარს შემომდგარი ტყე საესვა უჩინარი, ცოცხალი არსებები. თოვზე გასული ძალი დროდადრო უწადინოდ შეუყვებს მათ, როცა ნამეტან მოაბურცებენ თავს გაუთავებელი ჩერჩულით. ფრთების ტყალაშნით გადაფრენს ღამის ფრინველი. ოლოლები, — დედინაცლის დაწიოკებული

იოთამის ბალები, ისევ დაქმებენ დაკარგულს და გორიდან გორზე გულწრფელად გასძახიან ერთმანეთს.

— ვერ იპოვნე, ვეფხვიაო?

— ვერა, მზიავე, ვერა!

ქვევით უფრო მკვრივდება ღამე, თითქოს კუპრის ზღვა ჩამდგარა უძირო ორმოში. მის უძრავ სიღრმეში ეყვითა ელნათობები ცინციმებენ. შავ ფსკერზე მანათობელი თევზებივით დაეურავენ აეტომობილების სინათლები. ყვითელი შებუბით სერავენ მკედარ უსასრულობას.

შეღამემ მოატანა.

კოცონი ოდნავა ბეუტავს. ცხელი ღაღარი ფერფლებია. ციდან ნაშმა დაიწყო ჩამოდენა. შუა ცაზე წამომდგარმა ვარსკვლავებმა ვადაიარეს. ნიავე ფოთლებში დაიძინა. ტყის ბინადარნიც დაუჩნდნენ. მარტო იოთამის ბალები გასძახიან ისევ ერთმანეთს. ჯერაც ამაოდ დაეძებენ დედინაცლის გადაშალულ საქონელს.

მორიგები თოფსასწრაფოებს სინჯავენ და საგუშავებო გასასეულად ეშხადებიან. ღარილოვინებს უსწორებს დამარჩომებს. უცხად, ბაკის ბოლოში ძლიერად აუფლდა ძალი ნადირის ხმაზე. თოვზე გასული ძალები წამოიშალნენ, ჩანგლები ფლარნით გაეკიდნენ ტყის ნაპირს.

საქონელი შემოერთხვა. ხმოები აქვთა ღობებს აეტოლნენ ცახცახით. მწყემსებმა მყეფრებს ხმა მისცეს — აბა, ჰა, არიქა ბასარი მიდი ქედან, ჩობანა! არ გაუშვათ ეგ წუველი! — თოფები წამომდგარეს და ძალებს აედევნენ უცან.

ღარიმ ნაბადი საწოლზე მოადლო, სწრაფად მისწვდა შეუ ბოძე მათეკიდებულ ცალღლას, მარცვნივ აუბრინა ბოსელს, ბაყებს სათავე დაუარა, მალე მთლიანად გაუჩინარდა სიბნელეში.

უქამო კაცი ხომ ყველგან ბარგია, მაგრამ ასეთ დროს ვანსაკუთრებით იბნევი. როგორღაც ზედმეტად გადაიქცევი. თვითონვე გრძნობ ამას, უზერბულ მდგომარეობაში ვარღები. გინდა მოიმოქმედო არაღაც, შენც გაერო მარაქეში, მაგრამ ხელს არაფერი მოგდევს და ყველგან უადგილოდ რჩები.

ტყიდან ორი ანთებული ნაპერწკალი გამოგლივდა ზევით.

„იქივე, იქ, ღარი მარტოა... ქალია...“

სიტუვა გრძნობია, ამბავი კი ფიქრზე უმაღლესად ხდება. ბნელაში მკვეთრი ალი გაიძაბა. ცეცხლის ორი ნაპერწკალი მალდა ავარდა და ჩაქრა. მერე თოფის ხმა და ნადირის ღმუღი ერთად ჩავიარდნენ ხეში.

— უქეი! — მწყემსების კვილი გორებს აზანზარებს. ორჯერ ქვევითაც იქეიკა თოფმა. ქუხილი კლდეებს შესასკა. მალე ისევ კოცონთან შეგროვდნენ ყველანი. გამარჯვებას ულოცავენ ღარის.

— ქალი კი არა, ქარი ხარ, გოგო!

— შეგარგოს მშობარის რძე-ამავი!



— ბერი ვაჟაყვი ნუ დაიკვებინს შენთან!  
 — კარგი ერთი და, — მორცხვობს ლარი.  
 ჯმუხა ბერდია უხერხულად ატრიალებს  
 თოფს ხელში. ცალკერძ სწყინს დიაცის ჯობნი,  
 ცალკერძ ეამება.

— დაჰკიდე, ბიჭო, ე შენი დედგულა, —  
 ეუბნება ქოჩორა, — ჯერჯერობით აღარ გჭირ-  
 დება, დრო წელან იყო, თუ კი მოხმარების შნო  
 გჭონდა.

მწყემსები იციანაინ:

— თქვენ რაღა დიდად მოჰყარეთ ხელი! და-  
 საცილი თაფი ყველას ზედ გაბაათ. — ჩაბურ-  
 ტყენა ბერდიათა ზღაპრებით წაგიდა საგუ-  
 შაგო ჯიხურისაყენ. უკან ბიჭების ხარხარი  
 გაიყოლა.

ამორჩალების ლეგენდა ვაცოცხლდა. მართლა  
 ქარ-ნაივი უოფილხარ, ლარი ბურღულთ, გუ-  
 ლე ქარბზაღვიით უშოშარი გქონია.

— ყველაფერი ამ მთებში ვისწავლე. დამკვი-  
 რდა და ვისწავლე. თოფის ხელში აღუბაც არ  
 შემძლო წინათ. ეხლაც სიკვდილივით მძულს,  
 მაშინებს, ეშმაკის მოგონილია თოფი, მაგრამ  
 რა უნდა ჰქნა. მოძალადეს სხვა ვერაფრით გა-  
 აბრუნებ. ნეტავი ერთ დღეს ვასწყვტია ყველა  
 მოძალე და მტაცებელი, მაშინ თოფიც აღარ  
 იქნება საჭირო.

ძილის დროა.

მწყემსთა ბანაკმა დილის ნიავს უნდა დაასწ-  
 როს გამოღვიძება, ფრინველებს — ზეზე აღ-  
 გობა.

ვისაც ცოზე ღამე გაუთვია, ვინც მწყემსებ-  
 თან ერთად ამდგარა ცისკარზე, დასწრებია  
 განთიადს, ვისაც თავისი თვალით უხილავს  
 რიერაყის ბინდმა ჩაძირული ალაზნის ველი —  
 ბუნების ეს უდიდესი, გრანდიოზული ეკრანი,  
 სადაც კადრი კადრს მოსდევს, სურათი —  
 სურათს და სანახაობა წამით წამს იცვლება,  
 მარტო იმის შეუძლიან გაიგოს კაბური დილის  
 სილამაზე.

ჯერ ისევ ღილისფერია ღამე. აღმოსავლე-  
 თით სინისფრად იღება ცის კარი. ალაზნის  
 ველზე ისევ გაუნძრევლად წეებს გაუმკვირვალ  
 ბურუსი... სურათი თანდათან იცვლება: მთის  
 წვერებზე მეწამული ზოლი წვება. თორღება  
 აღმოსავლეთი. ვარსკვლავები ერთმანეთის მი-  
 ყოლებით ქრებიან. ჩნდება ღელმანი და ფრია-  
 ლებია... ფრინველებმა დასციეს დაფიონი. მწყემ-  
 სებმა საწველ საქონელს გაუდილაურეს. იზმო-  
 რებიან ნამძინარევი ფურები. ლარი საწველებს  
 აფარუნებს ბოსიელში... ლეკვარდი ნელ-ნელა  
 ფრტავს ჩრდილებს. სქელი ბურუსი იცრთება  
 მკვეთი. შიშვლდება ალაზნის ქალა. ახლამა-  
 ლო გორები ლეგა სამოსით ირთებოიან...

შვალობლებს შაშვი გამოეყო. პირდაპირ,  
 წევრგამხმარ წიფლზე შემოჯდა, ყვითელი ნის-  
 კარტი ცისყენ ასწია და სამაოდ ააყენესა თაფისი  
 გდობსურა სალამერი.

რას უკალობს შაშვი მთის პრინცარნი? რას  
 უკაობს? ბედნიერ დღეს უღრუცესი ცაღმამაჰ—  
 დიდხანს იცოცხლოთ, ქვეყნის მშობლებს მტრ-  
 დამ მშვიდობით გაეთუნებოდესთ დილა. ნურც  
 მოსწრებოდეთ აეს ნურასოდეს! — და ცას ემუ-  
 ღარება ყელგადაგდებთ — ცაო, ცაო, შენი  
 ღურჯი კალთით დაფარე ხალხი, ნათელი მოკ-  
 ფინე დედამიწას. პირი შეუკარ ყველა ბნელ  
 ფიქრს კაცისას. შენ აარიდე მშრომელ ხალხს  
 სისხლის ღერა და დაუმკვიდრე ადამიანებს  
 მშვიდობა მარადიული...

შის პირველი სხივი მყინვარს დაეცა შუბლ-  
 ზე. მალე ცივის მთასაც გაბაა პირი. ნელა ჩა-  
 მოჰყავა ქვეყნით, ცახცახით გადმოობოჯა ნაპრა-  
 ლებზე. ჩამოცოცდა კლდეებზე... ისევ შეიყვალა  
 სურათი: ახალი კადრი ჩამოდგა: ალაზნის ველი  
 ოქროსფერ პირსაბურავში გაეხვია. ხეებში  
 ჩაბერტილმა ნისლებმაუ გაიღვიძეს, იშმუშნე-  
 ბიან და ხანტიად მოიზღაზნებთან ზევით, მაგრამ  
 მხესთან შეყარისას ქრებიან და მღორთ პაერში  
 უგზო-უგლოდ იყარებოიან. მერც ამოდის უჩვე-  
 ულოდ ნათელი მზე. ეფრტვევა ნამნაბურებ  
 ხეებს. თვალს გვრის, გააჩრლებს მხედველობას.  
 ველარაფერს ხედავ შენს ირგვლივ, მარტო ყვა-  
 ვილია მათრ სურნელს გრძობ, ითვრები. ჰყარ-  
 გაე ყოველგვარი აღქმის უნარს. რაღაც ძილ-  
 ქმში გაცემა. იძირები ყვითელ, თბილ ბერან-  
 ში. უნებურად ეთიშები სინამდვილეს. გიჩ-  
 ლუნგდება შეგრანება და გარე სამყაროსთან  
 ერთად საქუთარი არსებობაც გაიწყუდება.

მწყემსებმა საოჟარზე გაირეკეს საქონელი.  
 დგასალისს აფრთხილებენ:

— უსადილოდ არ გავშეა სტუმარი, ქალო!  
 ხორდიას ბოსლისაყენ რჩება თვლი, ფხტე-  
 ბით მოჰყვება ნახირს.

— წადი, საქონელს მიხედე — ბრანობს ლა-  
 რი — შენი მწყემსობა არ მჭირდება მე! — თან  
 პირი უციინს, გულს უღალბებს უტრადლება.

საქონელი ისევ ფერდას შეეფინა. მწყემსებმა  
 გორაზე გაეიდნენ. მებზორე ბიჭმა წყაროსთან  
 გადაქეჩა ბზოები. თვითონ წყაროს ზევით  
 ძღლის თავზე წამოჯდა და სალამურს ჩააბერა.  
 ღარის დაეიწყდა სტუმრის აქ ყოფნა. სალა-  
 მურის ხმას ღიღინით დაადგენა თაფისი საყე-  
 რელი ლექსი:

ჩემო უცეცხლოდ დამწველო, —  
 უღვინოდ დამაბრთბელო...

ეს ნახი სიმღერა და სალამურის წყაროლი ამ  
 მღუმარე კლდეებში, გორაში მთები და ცის-  
 ფერთვალება, ცქრიალა ღარი, გულჩაბვედი  
 უფსკრულები და წყაროს ციმციმი, დილის ნახი  
 და ბუღის მუხლას კერით გალათული ყვავი-  
 ლები, რაღაც საოცრად აესებენ ერთმანეთს და  
 ერთ უღამაზეს, პარმონიულ სურათს ზატავენ.  
 აქ იხსნება ერთი სიუღელო კვანძი პოეზიისა—  
 ძველი ბერანები ტყუილად რთვი უმღეროდნენ

მწყემსურ ცხოვრებას და მწყემსი ქალის სილა-  
მაზეს.

ვიწრო ბილიკი მარჯენივ უელის გორას,  
კლდის თავზე გადადის და კლანილ ზოლად  
ჩასდევს დაქანებულ ფერდას.

მოგწყენდება ამ მუნჯი კლდეების ცქერა,  
ვოგო, მალე ჩამოდი ბარად!

— აქური მარწყვი ურძენზე ტკბილია.  
მუშხუნა მაქარსაც ჩვენი დედოფლის ანკარა  
წყაროს წყალი მირჩვენია ბეკრად.

— მაშ მშვიდობით და ბედნიერად, ლარი.

— მშვიდობით, ოღონდ მე ნაწყენი ვარ  
ოქვენზე.

— მიზეზი?

— რად არ მეტყვი, ვინ გასწავლათ ჩემი  
სახელი?


ვინ აღარ იცის შენი სახელი, ლარი ბერდუ-  
ლო! შენ თეითონ ვერ იცნობ შენს თავს, თო-  
რემ სხვები კარგად გიცნობენ. შენი სამუარო  
ამ მთებში იწყება და აქვე თავდება. ქვეყანა  
ქი დიდია, ისეთი დიდი, რომ მზის თვალიც  
ვერ გადასწვდება. ხალხის თვალი და ყური  
უჩინარი სასწორი და უხილავი საზომია ავ-  
არგის. იმას არაფერი გამოეპარება, არც რაიმე

დაემალება, ის შორით ხედავს ყველაფერს.  
შენც ერთი მელერი ლარი ხარ სწინათყლის ცის  
ქვეშ. ხალხის ყურს არც იმისი ზგერა დაბრუნია  
შეუმჩნეველი. შენი საქმეც იმ იდუმალ სასწო-  
რზე აწონა და მზეს დაანახა... რად დღეიქრდი?  
შენ ასეთ რამეს არც იფიქრებდი? რაო, ახლაც  
არ გჯერა? დამიჯერე, ვოგო, ასეა, ნამდვილად.  
შენ ყველგან გიცნობენ, ჩვენი ქვეყნის ყველა  
კუთხეში და შენი სახელიც ყველგან იცინა.

ბუნა ვნებიანად გაყვიარის ქედებს. ღრუბ-  
ლები ველარ ბედავენ გამოჩინას. აღაზნის ველი  
მზის სხივებს იბრტებს ვულში. თვალს ატკბობს  
ლაყვარდი ცისა და მადლიანი მთა-ბარის ცქე-  
რა. შორით გესმის სალამურის ღღღენი და  
გული გწყდება, რომ სტოვებ ამ მთებს.

ცხვიარმობვეული მთა თანდათან ზევით იწევს,  
იბრტება. ადის მალა და ცის ებჯინება  
თავით.

ლარი ხელსახოცს აფრიალებს კლდის თავზე.  
ლარიც იზრდება, დიდდება, მთას უტოლდება  
სიმაღლით. საცალფეხო ბილიკის თეთრი ზოლი  
ბუნჩნარიანში მიიკლავება, წყაროსთან სწორ-  
დება, ლარივით გაქიმული მიდის ქვევით და  
ტყის პირას წყდება.





რ. კადნიძე

3. ი. ლენინი პარტიის პროგრამის შესახებ

საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ბედისათვის, კომუნისტური საზოგადოების აგებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგ XXII ყრილობას. სკკპ XXII ყრილობა გრანდიოზული ნიშანსვეტი იქნება ჩვენი ქვეყნისა და პარტიის ცხოვრებაში, კომუნისტური მშენებლობის ისტორიაში. იგი შეაჯამებს ტიტანური მოღვაწეობის შედეგებს, რომელიც გასწია საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ზეღმძღვანელობით ჩვენი პარტიის XI და XXI ყრილობიდან განვლილ ბერძნულში, დაამტკიცებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამას — სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამას.

ლენინური პარტიული პროგრამის შექმნის ისტორია განუყოფლად დაკავშირებულია სახელგანთქანი კომუნისტური პარტიის ისტორიასთან. ჩვენი ქვეყანაში სოციალიზმის სტრუქტურა და საბოლოო გამარჯვება — ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სწორი და ბრძნული ლენინური პროგრამის ცხოვრებაში განუხრებლად გატარების შედეგია.

პარტიული პროგრამის შემოქმედია კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს დიდი ბელადი და დამაარსებელი ვ. ი. ლენინი. ვ. ი. ლენინის გენიასთანა დაკავშირებული როგორც ახალი ტიპის პარტიის — მარქსისტული პარტიის შექმნა, ისე მისი რევოლუციური-ბოლშევიკური პროგრამის შემუშავება. ლენინური კომუნისტური პარტია — ვ. ი. ბოლშევიკში, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 9). ამ დროიდან არსებობს ლენინური პარტიული პროგრამაც. ვ. ი. ლენინი ერთდროულად ქმნიდა რევოლუციურ მარქსისტულ პარტიას და მისი მოქმედების სახელმძღვანელოს — პარტიულ პროგრამას.

ეს იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველი რევოლუციური პროგრამა, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური

პარტიის მანიფესტა“-ს შემდეგ, რომელშიც გამოხატულა ვ. ი. ლენინის გენიალურმა დებულებებმა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ვ. ი. ლენინმა, რევოლუციური პარტიის, მარქსისტული პარტიის პროგრამის შემუშავებით, გაანადგურა მარქსიზმის იდეური მოწინააღმდეგეები და „...ახალი რევოლუციური გეზი II. ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ლიდერებისა, რომლებიც მხარს უჭერდნენ რუს მენშევიკებს. შემოქმედებითად ავითარებდა რა ახალ ისტორიულ პირობებში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრებას, ვ. ი. ლენინი ათარაღებდა არა მარტო რუსეთის, არამედ, აგრეთვე, საერთაშორისო პროლეტარიატს მძლავრი იდეური იარაღით საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლაში" (რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი, თეზისები. გვ. 13).

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა პარტიულ პროგრამას. თავის ბროშურაში „სოფლის დარბეზს“, რომელიც გამოქვეყნდა 1903 წლის მაისში, ვ. ი. ლენინი წერდა: „პროგრამა არის მოკლე, ნათელი და ზუსტი განცხადება ყოველივე იმისა, რისი მოპოვებაც პარტიას სურს და რისათვისაც იგი იბრძვის" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6; გვ. 492). ვ. ი. ლენინი, ავითარებს რა ამ აზრს, 1911 წლის ოქტომბერში დაწერილ სტატიაში „საარჩევნო კამპანიისა და საარჩევნო პლატფორმის შესახებ“, წერს: „უპროგრამოდ შეუძლებელია პარტია, როგორც რამდენადმე მთლიანი პოლიტიკური ორგანიზმი, რომელიც ყოველთვის შეჭლებს შეინარჩუნოს ხაზი მოვლენათა ყველა და ყოველგვარი შემობრუნების დროს". (თხზ., ტ. 17, გვ. 332).

ვ. ი. ლენინმა 1905 წელს პირველად დააყენა საკითხი რსდმპ II ყრილობაზე მიღებული პროგრამის აგრარული ნაწილის შეცვლის შესახებ. 1905 წლის 29 მარტს, ლენინი, წერილში რსდმპ III ყრილობაში „ჩვენი აგრარული პროგრამის შესახებ“, მოითხოვს განიხილოს პარტიის მომავალ ყრილობაზე მისი მოსაზრე-

ბანი პროგრამის აგრარული პუნქტის გაფართოება-შეცვლის შესახებ.

პარტიის III ყრილობამ წამოაყენა შემამუღური, სახანო, საეკლესიო, სამონასტრო და საეკლესიო მიწების კონფისკაციის მოთხოვნა. რსდმპ პირველმა კონფერენციამ, რომელიც შედგა ტამარგორში, 1905 წლის დეკემბერში, მიიღო ვ. ი. ლენინის წინადადება, პარტიის აგრარული პროგრამის შეცვლის შესახებ, იმ თვალსაზრისით, რომ პარტიის აგრარული პროგრამის პუნქტი „ჩამონაკრების“ შესახებ შეცვლილიყო სახელმწიფო, შემამუღური და საეკლესიო მიწების კონფისკაციის მოთხოვნით. 1906 წლის პარტიის ყრილობის შემდეგ ვ. ი. ლენინი წერს ბროშურას „მეშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა“ და მიუთითებს, რომ ეს მომწიფებული საკითხი დასმულია გამართიანებელი ყრილობის დღის წესრიგში.

რსდმპ IV (გამართიანებელმა) ყრილობამ განიხილა აგრარული საკითხი. აგრარული პროგრამის საკითხი მწვავე დისკუსიის საგანი იყო ყრილობაზე. ვ. ი. ლენინმა მთელი სისასტიკით გააკრიტიკა მიწების მუნიციპალიზაციის მენშევიკური პროგრამა. ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა კომისიის პრეპორტი და დაიცვა მიწების ნაციონალიზაციისა და კონფისკაციის შენიღბული პროგრამა. ლენინმა პლენარე-მასლოვტერ, მენშევიკურ მუნიციპალიზაციის ლოზუნგს „შემცდარი და მავნებელი“ უწოდა. IV (გამართიანებელმა) ყრილობამ აგრარულ საკითხში, როგორც ლენინი აღნიშნავდა, მიიღო „დასაპუტისებელი პროგრამა“. „ბოლოს და ბოლოს — აცხადებდა ვ. ი. ლენინი — მივიღეთ ახათ სრულიად გამართული, არამედ მთლიანად კომპროგრამა“. (თხზ., ტ. 10, გვ. 418).

რეაქციის პერიოდში უფსკრული პოლემიკები და მენშევიკებს შორის სულ უფრო ღრმავდებოდა. მენშევიკები უარს ამბობდნენ რსდმპ რევოლუციურ მარქსისტულ პროგრამაზე. პარტიის პროგრამაზე უარის თქმის ფასად მენშევიკ-ლიკვიდატორებმა დაიშახურეს „სტოლიპინის მეშათა პარტიის“ — სახელწოდება. ბუნდულებმა, მენშევიკ-ლიკვიდატორებმა და ტროცისტებმა დაამხინჯეს და შერყვნეს პარტიის პროგრამის მე-9 პარაგრაფი, სადაც ფორმულირებული იყო პარტიის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში. ლიკვიდატორთა 1912 წლის „ავვის-ტოს თათბირმა“, რომლის ორგანიზატორიც იყო ტროცკი იყო, უარყო რსდმპ ნაციონალური პროგრამა ერთა თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნის შესახებ. პუნქტს ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, შთა დუპირის-ბირის აესტრადის სოციალ-დემოკრატიის ბერევაზიულ „ნაციონალურ-კულტურული ავრონომის“ ნაციონალისტური ლოზუნგი.

ბოლშევიკებმა, ვ. ი. ლენინის მეთაურობით, თანმიმდევრული ბრძოლა წარუტყვეპრესის-ტული პროგრამა ერთგულ საკითხებს და სპეციალური გადამწყვეტილებანი მიიღეს ცენტრალური კომიტეტის კრავივისა და პორინის თათბირებში.

1914 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინი კვლევბრუნდება პროგრამის შეცვლის საკითხს. ამჯერად, იგი, წერილში „ერთი გერმანული ხმაოვის შესახებ“, მოითხოვს პარტიის სახელწოდების შეცვლას, უარის თქმას... გასვრილ და დამიკრებულ „სოციალ-დემოკრატიის“ სახელწოდებაზე“ და დაბრუნებას ძველ მარქსისტულ სახელწოდებაზე — კომუნისტების სახელწოდებაზე. ამრიგად, ჯერ კიდევ პრადის კონფერენციამდღე პერიოდში ვ. ი. ლენინი უკვე აყენებდა საკითხს პარტიული პროგრამის გადასინჯვის, მისი ეკლესიის მუხლებისა და პარაგრაფების შეცვლის შესახებ; მიუხედავად ამისა, პროგრამა, მიღებული 1903 წელს, რკ(პ) VIII ყრილობამდღე (1919 წლამდღე), კვლავ რჩებოდა პარტიის სახელმძღვანელო დოკუმენტად.

1917 წლის თებერვლის ბერევაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ განახორციელა პარტიის უახლესი ამოცანა — ცარიზმის დამბობა, შექმნა პირობები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, ცვლილებები მოახდინა რუსეთის მდგომარეობაში, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

გენიალურ ამრილის თვისებებში ვ. ი. ლენინმა, დასაბა რა ბერევაზიულ დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის ეტრსი, პარტიული ცხოვრების დარგში, წამოაყენა წინადადება პარტიის ყრილობის დაუყოვნებლო მოწვევის შესახებ და მთელი სპეკუთრით დააყენა საკითხი პარტიული პროგრამის გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ.

პარტიის პროგრამის შემუშავების უმნიშვნელოვანესი ეტაპი პერიოდში, 1917 წლის აპრილიდან 1919 წლის მარტამდღე. თავის ცნობილ ამრილის თვისებებში ვ. ი. ლენინს აუცილებლად მიაჩნდა:

ა) პარტიის ყრილობის დაუყოვნებლო მოწვევა;

ბ) პარტიის პროგრამის შეცვლა, უმთავრესად:

1. იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომის შესახებ,

2. სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების შესახებ და რევნი მოთხოვნა „სახელმწიფო კომუნისა“.

3. მომველებული პროგრამა — მინიმუმის შესწორება;

გ) პარტიის სახელწოდების გამოცვლა.

(ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 6-7).

სრულიად რუსეთის VII (ამრილის) პარტიულ კონფერენციის, 1917 წელს, განიხილებოდა



ვ. ი. ლენინის მიერ შედგენილი „პროგრამის თეორიული, პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა ნაწილის შეცვლის პროექტი“. ამ პროექტში გადმოცემული იყო 1903 წლის პროგრამის მთელი რიგი შესწორებანი. კონფერენციამ შექმნა საკვლევითი საპროგრამო სექცია. სექციამ დეტალურად განიხილა ლენინის პროექტი. პროგრამის საერთო ნაწილის გადასინჯვის საკითხში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი თვალსაზრისი: ერთის მხრივ — ვ. ი. ლენინის მეცნიერულად დასაბუთებული მარქსისტული შეხედულება, რომელიც ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა სხვა პროგრამის მთელი თეორიული ნაწილის გადამშავება, რომ საკუთრა დაემართოს მის იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმძლავესი საფეხურის, ბრუნდარული რევოლუციის წინააღმდეგ დახასიათება; მეორეს მხრივ სექციის ზოგიერთ წევრთა (ლომოვი, სოკოლნიკოვი, ბოგოლუპოვი) ანტიბოლშევიკური შეხედულება, რომელიც მოითხოვდა თეორიული ნაწილის მთლიანად შეცვლას, კაპიტალიზმის დახასიათების ამოღებას და მხოლოდ იმპერიალიზმის დახასიათების შეტანას.

პარტიული პროგრამის გადასინჯვის შესახებ საკითხი VII (პარილის) კონფერენციაზე, დროის უკმარისობის გამო, ბოლომდე არ გადაწყვეტილა. კონფერენციამ ვ. ი. ლენინის წინადადებით მიიღო რეზოლუცია „პარტიული პროგრამის გადასინჯვის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავდა თუ რა მიმართულებით უნდა წარმართულიყო პროგრამის გადამშავება. კონფერენციამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს, რეზოლუციაში მოცემულ ლენინურ მითითებათა შესაბამისად, შეედგინა ახალი პროგრამის პროექტი და წარედგინა იგი მომავალი ყრილობისათვის დასამტკიცებლად.

1917 წლის ივნისში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაჯგუფებით, ვ. ი. ლენინმა გამოაქვეყნა ბროშურა „მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის“. ამ ბროშურას საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნული, ლენინის მიერ შედგენილი, „პროგრამის“ თეორიული, პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა ნაწილის ცვლილებათა პროექტი“.

საკითხი პარტიის პროგრამის შესახებ განიხილებოდა რ. ს. დ. მ. მ. (ბ) VI ყრილობაზე, მაგრამ საკითხის არა საკმარისად მომზადების გამო, ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს, ეზრუნეფელყო პროგრამის შემშავებამ, ფართო განხილვა და პირობების მომზადება პარტიის საკვლევითი ყრილობაზე მისი მიღებისათვის. VI ყრილობის შემდეგ ვ. ი. ლენინი კვლავ გამოვიდა ახალი სტატიით „პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის“.

VI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრუ-

ლებლად 1917 წლის ზაფხულს და შემოდგომას პარტიის შიგნით გაჩაღდა თეორიული დისკუსია საპროგრამო საკითხებზე. რ. ს. დ. მ. მ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც არაერთხელ განიხილა პარტიის პროგრამის საკითხი, 1917 წლის 5 (18) ოქტომბრის სხდომაზე შექმნა საკვლევითი კომისია ვ. ი. ლენინის მეთაურობით პარტიის პროგრამის შესამშავებლად. ბოლოს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ 1918 წლის 24 იანვრის (6 თებერვლის) დადგენილებით, პროგრამის პროექტის შემშავებმა დაევალა ახალ კომისიას ლენინის ხელმძღვანელობით. ვ. ი. ლენინმა შეადგინა „პროგრამის პროექტის შავად დაწერილი მონასახი“, რომელიც ავსებდა პროგრამის თეორიული, პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა ნაწილის ცვლილებათა პროექტს, დაწერილს 1917 წელს.

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) VII ყრილობა მოწვეული იქნა 1918 წლის 6-8 მარტს, როგორც სასწრაფო, იმპერიალისტური ომიდან საბჭოთა რუსეთის გამოსვლის საკითხის გადასაწყვეტად. ეს საკითხი, ამ მომენტში, რევოლუციის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა. რკმ(ბ) ყრილობას წარედგინა ვ. ი. ლენინის მიერ შედგენილი „პროგრამის პროექტის შავად დაწერილი მონასახი“. „მონასახი“ VII ყრილობის დეკლარაციის დაუროგად, როგორც მასალა დისკუსიისათვის, მაგრამ ყრილობას პროგრამის საკითხი დეტალურად არ განუხილავს. ყრილობამ, 8 მარტის საღამოს სხდომაზე, მოისმინა ვ. ი. ლენინის მოხსენება პარტიის პროგრამის გადასინჯვისა და პარტიის სახელწოდების შეცვლის გამო და ნიიორ რეზოლუცია პარტიის სახელწოდებისა და პარტიული პროგრამის შეცვლის შესახებ, ვ. ი. ლენინის მეცნიერულად დასაბუთებული წინადადების საფუძველზე VII ყრილობამ დაადგინა — ამიერიდან ჩვენს პარტიას (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკების) ეწოდოს რუსეთის კომუნისტური პარტია (ბ) VII ყრილობის განსახილველად წარდგენილ „პროგრამის პროექტის შავად დაწერილ მონასახში“, ვ. ი. ლენინი იძლევა საბჭოთა ხელისუფლების შესახებ თავის ისტორიულ ათ თვისს, რომელშიც მოცემულია იმის მეცნიერული დასაბუთება, თუ რა ისტორიული ამოცანები უნდა შეასრულოს საბჭოთა ხელისუფლებამ, რაშია საბჭოთა ხელისუფლების სპეციფიკურობისა და თავისებურებათა არსი, როგორც სახელმწიფოს ახალი ტიპისა.

ეს ათი თვისი საბჭოთა ხელისუფლების შესახებ არსებული შევიდა პარტიის პროგრამის საბოლოო ტექსტში.

VII ყრილობამდე დიდხნით ადრე, როგორც

ჩვენთვის ცნობილია, პროგრამის შესახებ დისკუსიის დროს, გამოვლინდა სერიოზული უთანხმოება პროგრამულ საკითხებში. იმპერიალიზმისა და სახელმწიფოს საკითხებში ლენინტრემენიერულ თვალსაზრისს დაუპირისპირდა ბუხარინის, პილატაჟის, სოკოლნიკოვის და ვ. სმირონის ანტიმარქსისტული ოპორტუნისტული თვალსაზრისი. ვ. ი. ლენინმა უპირობაზე შეიქმნა გენიალური დასაბუთა პროგრამულ საკითხებში თავისი შეხედულებანი.

ვ. ი. ლენინის თვალსაზრისი მდგომარეობდა იმაში, რომ პროგრამის ძველი თეორიული ნაწილი დარჩენილიყო და დამატებოდა მას:

ა) იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის ენდულეს სტადის დახასიათება და ბ) სოციალური რევოლუციის ეპოქის დახასიათება, რამდენადაც ეს ეპოქა უკვე დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოჩვევით. ლენინის მოწინააღმდეგეები კი აყენებდნენ თეორიულად არასწორ და პოლიტიკურად მავნე წინადადებას: საყენებით ამოღებულყო პროგრამის ძველი თეორიული ნაწილი და შეეცლილიყო ის ახალი ნაწილით, რომელიც გამოირცხვებდა მარტივი სასაქონლო მეტრეზობისა და კაპიტალიზმის განვითარების დახასიათებას. ისინი საკმარისად მიიჩნევდნენ მხოლოდ „წმინდა იმპერიალიზმის“ დახასიათებას.

ვ. ი. ლენინმა, მოხსენებაში პარტიის პროგრამის გადანიჭვისა და სახელწოდების შეცვლის შესახებ, განაცხადა, რომ თეორიულად ერთადერთი სწორი იქნება შევინარჩუნოთ ძველი პროგრამის შესავალი ნაწილი და გაეთვალისწინათ საერთო მსოფლიო-ისტორიული პერსპექტივა. პროგრამამ უნდა იჩვენოს კაპიტალიზმის წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის აუცილებლობა, ვ. ი. მთელი ისტორიული პროცესი, რადგან „წმინდა“ სახით იმპერიალიზმი არ არსებობს ქვეყანაზე.

მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხი იყო პროგრამაში სახელმწიფოს საბჭოთა ტიპის დახასიათების საკითხი. ამიტომ ლენინის მოხსენებაში ამ საკითხმა დიდი ადგილი დაიკავა.

ვ. ი. ლენინი ასაბუთებდა, რომ „საბჭოთა ხელისუფლებაში ჩვენ გვაქვს სახელმწიფოს ახალი ტიპი; შევეცადოთ მოვსახლოთ მისი ამოცანები, კონსტრუქცია, შევეცადოთ ავხსნათ, რატომაა ეს დემოკრატიის ახალი ტიპი... რა შეადგენს მასში ცოცხალ სულს—ძალაუფლების გადასვლა მშრომელთა ხელში, ექსპლუატაციის, დაპყროვის აპარატის მოსპობა“... (ლენინი, თხ. ტ. 27, გვ. 146). ამიტომ მიუთითებდა ლენინი, პროგრამაში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს საბჭოთა ხელისუფლების საკითხს. ეს იქნება პროგრამა საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის, რომლის განხორ-

ცილებამაც საბჭოთა ქვეყანა უნდა მიყვანოს სოციალისტური გამარჯვებამდე.

რკპ (ბ) VII ყრილობამ დაადგინა შეცვლის პარტიის პროგრამა, „...გადამუშავდეს თეორიული ნაწილი, ან შეივსოს იგი იმპერიალიზმის და საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის დაწყებული ერის დახასიათებით“ (სტკმ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში; ნაწ. I, გვ. 516). რეზოლუციაში მიითითებოდა, რომ პროგრამის პოლიტიკური ნაწილის ცვლილება უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ რაც შეიძლება უფრო ზუსტად და ვრცლად იქნას დახასიათებული სახელმწიფოს ახალი ტიპი, საბჭოთა რესპუბლიკა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა და როგორც საერთაშორისო მეშობა რევოლუციის იმ მონაპოვართა გაგრძელება, რომელიც პარტიის კომუნამ დაიწყო. აგრეთვე, თუ რა მიმართულებით უნდა გადაამუშავდეს პროგრამის ეკონომიური, მათ შორის აგრარული, ურბანული და სხვა ნაწილები. მთელი ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებულ ეკონომიურ და სხვა გარდაქმნათა დახასიათებას, იმ უახლოესი ამოცანების კონკრეტული ჩამოთვლით, რომლებიც დასაბუთებული აქვს საბჭოთა ხელისუფლებას.

რკპ(ბ) VII ყრილობის დადგენილებით, საპროგრამო კომისია გადაედებოდა უნდა შედგენა მოდა პარტიის პროგრამის შედგენას, მაგრამ ამჯერადაც რთულმა საშინაო და საგარეო ვითარებამ ამის შესაძლებლობა არ მისცა კომისიას. ყრილობის მიერ არჩეულმა კომისიამ მხოლოდ 1919 წლის დასაწყისს მოახერხა შესდგომოდა მასზე დაკისრებული ამოცანის შესრულებას. ვ. ი. ლენინმა რკპ (ბ) VII ყრილობის საპროგრამო კომისიას წარუდგინა „რკპ პროგრამის შავად მოწახაზი“. რომელიც ვახდა პროგრამის საფუძველი.

პარტიის პროგრამის შემუშავებულმა კომისიამ, რომელიც აირჩია რკპ(ბ) VII ყრილობა ლენინის, სტალინის და სხვათა შემადგენლობით, პარტიის პროგრამის შედგენის მეშობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფუძვლად დაუდო რკპ(ბ) პროგრამის ეს ლენინური პროექტი.

რკპ(ბ) პროგრამის პროექტში, ვ. ი. ლენინმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიული გამოცდილების განხილვებისა და საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის კანონების ღრმა ანალიზის საფუძველზე, მოგვცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის „აკითხის ყოველმხრივი გაშუქება“. წყნობად და ზუსტად გადმოცემულა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში საზოგადოებრივი კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის ბუნებისა და როლის, საზოგადოების ეკონ-

ნომიკისა და ეკონომიკის სტრუქტურის საკითხები. დასაბუთებულია საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ეკონომიკური ღონისძიებანი. ნახევრება თეორიული საფუძვლები და დასაბუთებულია კონკრეტული ამოცანები ეკონომიკური პოლიტიკისა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდისათვის. დასაბუთებულია რუსეთის საეკონომიკური ჩამორჩენილობის აღმოფხვრისა და საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური დამოკიდებულების უზრუნველყოფის საშუალებანი, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტული ამოცანები. ყოველშრივ გაშუქებულია გლეხობის ძირითად მასებთან მეშუათა კლასის კავშირისა და ამ კავშირში მეშუათა კლასის ხელმძღვანელი როლის, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაციისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობის გზები. დაკონკრეტებულია ბოლშევიკური პარტიის ეროვნული და საგარეო პოლიტიკის საკითხები.

პროგრამის პროექტი საპროგრამო კომისიის მიერ არაერთხელ იქნა განხილული. კომისიის მეოთხე მეშუაბა მიმდინარეობდა ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით. კომისიის სხდომებზე გულდასმით და დეტალურად წარმოებდა ყოველი განყოფილებისა და პუნქტის განხილვა. კოლექტიური, შემოქმედებითი მეშუაობის დროს პროგრამის პროექტი მდიდრდებოდა ახალი დებულებებით. პარტიის VII ყრილობის საპროგრამო კომისიამ, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, ჩატარა დიდი, დამამული მეშუაობა და დაახლოებით ერთი თვით ადრე VIII ყრილობის მოწვევამდე, დაამთავრა „რკ(ბ) პროგრამის პროექტის“ საბოლოო მომზადება.

პროგრამის პროექტი გამოქვეყნდა 1919 წლის თებერვალში, გაზეთ „პრადაში“, ამასთან გამოცემა ცალკე პროგრამად. პროგრამის პროექტის წინასიტყვაობაში კომისია აცნობებდა მკითხველებს პროგრამის ცვლილებათა ხასიათის შესახებ და მიმართავდა პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტიის წევრებს მოწოდებით მიეღო აქტიური მონაწილეობა გამოქვეყნებული პროექტის განხილვაში. პრესის ფურცლებზე გაჩაღდა გატყვევებული დისკუსია. რკ(ბ) პროგრამის პროექტის, მისი ცალკეული განყოფილებების, მუხლების და პარაგრაფების შესახებ იბეჭდებოდა სტატიები. პროგრამის პროექტი განიხილებოდა წინასაყრილობო პარტიულ კონფერენციებზე.

რკ(ბ) პროგრამის ლენინური პროექტი, მოწონებული ყრილობისწინა ფართო განხილვაზე, წარედგინა პარტიის VIII ყრილობას (1919 წლის 18—23 მარტი) განსახილველად და დასამტკიცებლად. ყრილობაზე, 19 მარტს, მოხსენებთ პარტიული პროგრამის შესახებ გამოვიდა ვ. ი. ლენინი. საკითხმა პროგრამის შე-

სახებ განსაზღვრა ყრილობის სხვა გადაწყვეტილებათა არსი ისეთ უმნიშვნელურტანტუნს პრინციპებზე, როგორც იყო: საშუალო-საქონლისა-დში დამოკიდებულებს, სამხედრო მდგომარეობისა და სამხედრო პოლიტიკის, პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხები. ეს ინიტობ, რომ პროგრამა განსაზღვრავდა პარტიის გენერალურ კერს მთელ ისტორიულ ეპოქაში — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ ეპოქაში.

ყრილობაზე, პარტიული პროგრამის განხილვისას, გაჩაღდა მწვავე ბრძოლა უმთავრესად ორ ძირითად საკითხში, პირველი, პროგრამის საერთო ნაწილის აგების ხასიათისა (ყოფილიყო თუ არა შეტანილი პროგრამაში მონოპოლისტურ-რამდელი კაპიტალიზმის და მარტივი სასაქონლო მეურნეობის დახასიათება) და მეორე, ეროვნული საკითხის გარშემო. დისკუსია ამ ძირითად, პროგრამულ საკითხებზე გრძელდებოდა თითქმის ორი წლის მანძილზე, ჯერ კიდევ რკ(ბ) VIII ყრილობამდე. ყრილობაზე თავის გენიალურ გამოხატულებში ვ. ი. ლენინმა შეცნირებულად დაასაბუთა მარქსისტული წინადადებანი იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის, განსაზღვრასთან ერთად, აუცილებელია პროგრამაში შეტანილი იქნას მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის და მარტივი სასაქონლო მეურნეობის დახასიათება, ვინაიდან „წმინდა იმპერიალიზმი კაპიტალიზმის ძირითადი ბაზის გარეშე არასოდეს არ არსებობდა, არსად არ არსებობს და არც არასოდეს იარსებებს“. (ვ. ი. ლენინი, თბ. ტ. 29; გვ. 181—182).

ბუბარინი, პატაკოვი და მათი მომხრეები ყრილობაზე გამოდგოდნენ ლენინის პროგრამული დებულებების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ პროგრამის პროექტიდან ამოღებული ყოფილიყო პუნქტები მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის, მარტივი სასაქონლო მეურნეობისა და საშუალო გლეხის მეურნეობის დახასიათების შესახებ. ისინი იმპერიალიზმს სთვლიდნენ, არა როგორც კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადიის, არამედ როგორც განსაკუთრებულ სოციალ-ეკონომიკურ ფორმაციას. ვ. ი. ლენინმა გამოაშკარადა და გააშინველა ბუბარინ-პატაკოვის ანტიმარქსისტული შეხედულების „წმინდა იმპერიალიზმის“ სრული თეორიული უსაფუძვლობა და პოლიტიკური მანეკობა.

ვ. ი. ლენინმა, თავის შეცნირებულ მოხსენებაში პარტიული პროგრამის შესახებ, დავმო რა ოპორტუნისტთა ანტიმარქსისტული შეხედულებანი ძირითად პროგრამულ საკითხებში, მოგვცა ახალი პროგრამის ძირეულ დებულებათა ღრმა თეორიული და პოლიტიკური დასაბუთება. მანათლად გაარკვია საპროგრამო კომისიის თვალსაზრისი მთელ რივ კონკრეტულ და სადავო



პრობლემებზე, როგორცაა: მონაპოლისტრამ-  
დელი კაპიტალიზმის, მარტვი სსაქონლო მე-  
ურნეობის დახასიათების საკითხები და პროგრამის  
პროექტის სხვა ყველაზე არსებითი შეხვე-  
დის. ლენინმა განსაკუთრებული სიღრმით დასა-  
ბუთა პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანე-  
ბი და გლეხობის, როგორც სოციალიზმის მშე-  
ნებლობაში პროლეტარიატის მოკავშირის, უდი-  
დესი როლი. პროგრამაში „უნდა ითქვას ის,  
რაც არის: პროგრამა უნდა შეიცავდეს აბსო-  
ლუტურად უდავო, ფაქტურად დადგენილს,  
მხოლოდ მაშინ არის ის მარქსისტული პროგ-  
რამა“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29; გვ. 184). შე-  
ურიგებული ბრძოლა ბუხარინისა და მისი თა-  
ნამზრახველთა ჯგუფის წინააღმდეგ ვ. ი. ლენინ-  
ის ბრწუნვალუ გამარჯვებით დაკვირვებდა.  
პროგრამის პროექტის მეორე საკითხი, რომ-  
ლის განშემოც ყრილობაზე გამოვლინდა სე-  
რიოზული უთანხმოება, იყო ეროვნული საკით-  
ხი. ვ. ი. ლენინმა მოხსენებაში — პარტიული  
პროგრამის შესახებ — ნაციონალურ საკითხს,  
უფრო ზუსტად, ერთა თვითგამორკვევის სა-  
კითხს დიდი ადგილი დაეთმო. რადგან „ერების  
უფლებათა საკითხი არის არა განკერძოებულ-  
ი და მთავომარი საკითხი, არამედ ის არის  
პროლეტარული რევოლუციის საერთო საკით-  
ხის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება მთელს  
და მოითხოვს მის, ნაწილის, განხილვას მთე-  
ლის თვალსაზრისით“. (ვ. ი. სტალინი, „ლენინი-  
ზმის საკითხები“, 11-ე გამოცემა, გვ. 58). თავის  
გამოხატვაში ვ. ი. ლენინმა არამარტვი დაგმო  
ბუხარინისა და პიატაკოვის ანტიპროლეტარული  
თეორია ნაციონალურ საკითხში, არამედ გაა-  
ფართოვა ერთა თვითგამორკვევის ცნება, გან-  
მარტვა რა იგი, როგორც ჩაგრულ ხალხთა სრუ-  
ლი გამოყოფის უფლება, როგორც ერებს და-  
მოყოფილებული, სუვერენული სახელმწიფოებრივი  
არსებობის უფლება. ლენინმა დაამუშავა ეროვნ-  
ულ-კოლონიური საკითხი და დასაბამისი გადა-  
წყვეტის გზები. მან დამტკიცა, რომ შესაძლე-  
ბელია და აუცილებელიც განვითარებული ქვეყ-  
ნების პროლეტარული მოძრაობისა და კოლონი-  
ების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაო-  
ბის შეერთება საერთო მტრის — იმპერიალიზმის  
წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფრონტად.

ბუხარინი და პიატაკოვი ისე როგორც პროგ-  
რამის შემუშავების მთელს პერიოდში, ყრი-  
ლობაზეც გამოვიდნენ ლენინური ეროვნუ-  
ლი პროგრამული დებულებების წინააღმდეგ-  
ისინი ხელდასხვით უარყოფდნენ პროგრამაში  
ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ  
(სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე) დებულებას  
შეტანის აუცილებლობას, თითქოს როგორც  
სრულიად შეუთავსებელს იმპერიალიზმისა და  
პროლეტარული რევოლუციების ეპოქასთან და  
აქუნებდნენ შეცვლილყო იგი უნიადავო „ულ-

ტრამეარცხენე“ დებულებით — „მშრომელთა  
თვითგამორკვევის“ შესახებ. **ეროვნული**  
ცხადია, ბუხარინის, პიატაკოვის წინააღმდეგ-  
კამათი ცდას წარმატება არ ეწერა. პროგრამაში  
ადიარება პროგრა უფლება — თა-  
ვისუფლად გამოყვას და შექმნას თავისი და-  
მოყოფილებული, სუვერენული სახელმწიფო.  
რტ (ბ) VIII ყრილობამ ვ. ი. ლენინის მიერ  
შემუშავებული პროგრამის პროექტი მიიღო სა-  
ფუძელად და მიიღო ამ ყრილობის მიერ არ-  
ჩეულ ახალ კომისიას ლენინის მეთაურობით  
გაეყვებინა პროგრამის პროექტისთვის საბო-  
ლოო რედაქცია.  
ცნობილია, რომ საპროგრამო კომისიის გან-  
კარგულებაში, გარდა რტ (ბ) VIII ყრილობის  
კომისიის მიერ შემუშავებული ლენინური  
პროგრამის პროექტისა, იყო აგრეთვე პროგრამის  
შესავალი ნაწილის ნ. ე. კრილენკოსა და  
ვ. ნ. პოდბელსკის კონტრპროექტები. კრილენ-  
კოს პროექტის არცერთი დებულება ახალი  
პროგრამის ტექსტში არ შესულა. საპროგრამო  
კომისიამ ასევე სრულიად არადაამკაყოფილებ-  
ლად სცნო პოდბელსკის პროექტიც და ერთბა-  
მად უარყო იგი. კომისიამ დააზუსტა პროგრამის  
პროექტი და შეიტანა ზოგი ახალი პუნქტი.  
ყველა ამ შესწორებათა და დამატებათა, ფორ-  
მულირებებისა და დებულებების დასაზუსტების  
აქტორი ვ. ი. ლენინი იყო. ამგვარად, პროგრამის  
რედაქტირებული პროექტი, 21 მარტის სა-  
ღამის სხდომაზე, წარედგინა ყრილობას და  
მოხსენდა კომისიის მიერ ჩატარებული მუშაო-  
ბის შესახებ.  
1919 წლის 22 მარტს VIII ყრილობამ ერთ-  
ხმად დამტკიცა, თავიდან ბოლომდე ვ. ი.  
ლენინის მიერ შედგენილი რუსეთის კომუნის-  
ტური პარტიის (ბოლშევიკების) პროგრამა. ამის  
შემდეგაც პროგრამის მთელ ტექსტს საბოლოო  
კორექტურა პირადად ლენინმა გაუყვია და  
გადასცა პრესას გამოსაქვეყნებლად, როგორც  
„რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკე-  
ბის) პროგრამა“.  
კომუნისტური პარტიის ლენინურ პროგრამა-  
ში, რომელიც VIII ყრილობამ მიიღო, ხანგას-  
მულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რე-  
ვოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელო-  
ბა, მოცემულია კაპიტალიზმისა და ბურჟუაზი-  
ული საზოგადოების ბუნების მეცნიერული და-  
ხასიათება, შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინი-  
ზმის მთელი სიღრმით დასაბუთებული კაპიტა-  
ლიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის აუცილებ-  
ლობა და ის უმნიშვნელოფენესი დასყვნა, რომ  
სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა გადა-  
წყვეტა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარია-  
ტის დიქტატურის, ვ. ი. მეშათა კლასის მხრივ  
საზოგადოებისადმი პოლიტიკური და სახელ-  
მწიფოებრივი ხელმძღვანელობის საფუძველზე.  
კომუნისტთა პარტიას უნდა წაეყვანა საბჭოთა





ხალხი საზოგადოებრივი განვითარების სრულად ახალი გზით, სოციალისტური გზით. ამიტომ პროგრამა განსაზღვრავდა პარტიის როლსა და ამოცანებს სოციალისტურ მშენებლობაში, საზოგადოებისადმი პოლიტიკურ და იდეურ სელმძღვანელობაში, ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. პროგრამაში მთელი მარქსისტული სილიაღი არის გადმოცემული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის—საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიური წყობის, კლასობრივი სტრუქტურის, სახელმწიფო აპარატის, სამართლის, კულტურული მშენებლობის ამოცანების დახასიათება.

რკ (ბ) VIII ყრილობაზე მიღებული პროგრამა გახდა კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის გენიალური სამოქმედო სახელმძღვანელო დოკუმენტი. პროგრამამ შეაჯამა პროლეტარიატის განმათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის მთელი ეტაპი და გზა გაუნიათა კომუნისტურ პარტიას ხანგრძლივი პერიოდისათვის, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მთელი პერიოდისათვის.

კომუნისტური პარტიის ლენინური პროგრამიდან გამომდინარეობდა რუსეთის ელემტროფიკაციის გაბედული და ზუსტად შეცნიერული გეგმა—„გოგლრო“. ლენინური ფორმულია, „კომუნისზმი—ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელემტროფიკაცია“, გულისხმობდა არა მარტო ელემტროსადგურების მშენებლობას, არამედ უახლეს ტექნიკურ საფუძველზე მთელი საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას. ე. ი. ლენინმა ამ ფორმულით წინა აღწინავე წამოსწია სოციალიზმის მშენებლობის ეკონომიური მხარე, პრაქტიკული მოღვაწეობა. ენაიდან პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ, ახალ პროგრამაში მარქსიზმ-ლენინისთვის თეორია შეერწყა კომუნისზმის მშენებლობის პრაქტიკას.

სკპ ლენინური პროგრამის განხორციელებით მიიღწია საბჭოთა ხალხმა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებას და სსრ კავშირი შევიდა კომუნისზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ლენინური პროგრამა იყო და დღესაც არის მარქსიზმ-ლენინისთვის თეორიული და პრაქტიკული სიბრძნის საფუძველი, რომელიც ამჟამადვე გზას უჩვენებს დღემოდის ასეულ მილიონობით ადამიანს სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ამ პროგრამის საფუძველზე მსოფლიოს 67 ქვეყნის კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა შეიმუშავეს მარქსისტულ ლენინური პროგრამები თავიანთი ქვეყნების კონკრეტულ ისტორიული პირობებისა და თავისებურებათა გათვალისწინებით. პარტიის ლენინურმა პროგრამამ ბრწყინვალედ გაუძღო დროის გამოცდას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ავსტრიის სოციალისტური პარტიის ახალ

პროგრამებში განსახიერებულა მემარჯვენე სოციალისტთა იდეოლოგიების ანტიმარქსისტული შეხედულებანი, ამიტომ ეს პროგრამები პროტრეტია თითქმის ყველა სოციალისტური პარტიების მემარჯვენე ფრთისათვის. სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთამ საბოლოოდ გაწვივა კავშირი მარქსიზმთან, ამიტომ მისი უკანასკნელი წლებში პროგრამული ხასიათის დოკუმენტები მონოპოლიტური კაპიტალის იდეური არსენალის საგანძურია, მათში მიითითებად არ არის მუშათა კლასის საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლის რაიმე კონკრეტულ გზებზე და საშუალებებზე. თანამედროვე თორტენისმის აფგონალური ნაირსახეობის კრეფლის—კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს იფგონალეის კომუნისტთა კავშირის მიერ 1938 წელს, VII ყრილობაზე მიღებული პროგრამა. იფგონალეის კომუნისტთა კავშირის ეს პროგრამა, როგორც ანტიმარქსისტული, ანტილენინური და საესეებით რევიზიონისტული, ერთსულენად დაკვთ მთელი მსოფლიოს კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა.

ყოველივე ამის შემდეგ კვლავ დიდმნიშვნელოვან ამოცანად რჩება ბრძოლა მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში რეფორმისზმის, თორტენისზმის, რევიზიონისზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ...

სოციალისტური საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვლობაზე პარტიის პროგრამაც იცლება, ვითარდება და მდიდრდება. კომუნისტური პარტია, მთელ თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს პროგრამით, ამავე დროს აზუსტებს მას, ცვლის მის ცალკედ დებულებას, პარაფრასს, განყოფილებას, ზოგჯერ მთლიანადაც, შემოქმედებითად ავითარებს ყოველ ისტორიულ მობრუნებათა მომენტში, რამდენადაც პროგრამა მომავლის მეცნიერული განკურება და თავისებური „დროის ტელესკოპია“.

რამ კიდევ 1930 წელს, პარტიის XVI ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს გადაემუშავებინა პარტიის პროგრამა VI მსოფლიო კონგრესის მიერ მიღებული კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამისა და სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობაში მიღწეულ წარტებათა საფუძველზე.

სსრ კავშირში სოციალიზმის აწვენება იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის უდიდესი მონაპოვარი, პარტიის ლენინური პროგრამის განხორციელების კუმარტი ტრიუფი. 1937—1941 წლები სსრ კავშირის ისტორიაში ახალი ხანის, სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნისზმზე თანდათანობით გადასვლის ხანის დასაწყისია.

საკავშირო რკ (ბ) XVIII ყრილობაზე, 1939 წელს, როცა დასახული იქნა სოციალიზმიდან კომუნისზმში თანდათანობით გადასვლის გრან-



ლიზული ამოცანა, დააყენა პარტიამ პროგრამის არსებითად გადამუშავების საკითხი და აირჩია კომისია მასში ცვლილებათა შესატანიად, მაგრამ საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება მალე შეწყვიტა დიდმა სამაშულო ომმა, ხოლო ომის შემდეგ დანგრეული სახალხო მეურნეობის უდიდესმა სამუშაოებმა დროებით შეატერა პარტიის ახალი პროგრამის შემუშავების საქმე.

სკკ XIX ყრილობამ, 1952 წელს, აღნიშნა, რომ მოქმედი პროგრამის მთელი რიგი დებულებები არ შეესაბამებოდა, პარტიის VIII ყრილობიდან განვიღო პერიოდში, სსრ კავშირის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს და აუცილებლად მიიჩნია პარტიის პროგრამის გადამუშავება. ეს ამოცანა, როგორც საკვებით მოწოდებები და გადაუღებელი, კვლავ დაადსტურა 1956 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XX ყრილობამ. ამასთან ყრილობამ მოგვცა უახლეს მოვლენათა მეცნიერული განზოგადება და წამოაყენა საერთაშორისო განვითარების ძირეულ პრობლემათა მთელი რიგი ახალი დებულებანი, რომელთაც პროგრამული ხასიათი აქვთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დადგენილებების შესასრულებლად საპროგრამო კომისიამ გასწია დიდი და ნაყოფიერი მუშაობა. კოლოსალური მოღვაწეობის შედეგად კომისიამ შეადგინა „სკკ პროგრამის პროექტი“, რომელიც განიხილა სკკ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა. 1961 წლის 19 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა იგი. ჩვენი პარტიის ახალი პროგრამის საფუძვლები მოცემულია საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობის პროგრამულ გადაწყვეტილებებში, კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1960 წლის ნოემბრის მოსკოვის თათბირის, ქვეშარტიად მსოფლიო კომუნისტური ფორუმის საპროგრამო დოკუმენტში — განცხადებაში.

კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელთა თათბირის შედეგების გამო, თავის შესანიშნავ მოხსენებაში, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ახალი გამარჯვებისათვის — ნ. ს. ხრუშჩოვი იძლევა საზოგადოებრივი განვითარების ახალი პროცესებისა და მოვლენების ღრმა მეცნიერულ შეფასებას და ანალიზს უკუ-

თებს იმ ახალ დიდმნიშვნელოვან თეორიულ და პოლიტიკურ პრობლემებს, რომლებსაც ამუშავებს ჩვენი პარტია უკანასკნელ წლებში.

„კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობაში — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს განუყოფელ ნაწილს შეადგენს იმ თეორიული საკითხების დამუშავება, რომლებსაც ცხოვრება აყენებს. კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა ჩვენს წინაშე სახავს მრავალ ასეთ საკითხს, რომლებზეც მზა პასუხი არ არის. კომუნისტური მშენებლობაში ჩვენი ჯერ კიდევ გაუკვალავი გზებით მოვლივართ. კატობრიობას ჯერჯერობით არა აქვს კომუნისტური პირობებში საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის სრული თეორიული დასაბუთება და ორგანიზაციის გამოცდილება. რა თქმა უნდა, მარქსისტებმა კარგად იცნან ზოგადი კანონზომიერებანი და პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ცხოვრების წყობას კომუნისტურ დროს. მაგრამ ახლა ზოგადი კანონზომიერებათა მარტო ცოდნა აღარ კმარა. კომუნისტური თეორიის სფეროდან უშუალოდ პრაქტიკის სფეროში გადავიდა. პარტია კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებს სწორად წყვეტს იმის მეოხებით, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი მიიჩნია არა გაუჩინებლად, არამედ შემოქმედებით მომდგრებლად, რომელიც განუწყვეტლოვითარდება“ (გაზეთი „კომუნისტი“, 27 იანვარი, 1961 წ.).

ამ დიდი, ძლევამოსილი მოძღვრების, მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარებისა და გამდიდრების ნიშნულს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში, თანამედროვე ეპოქის ამ უდიდეს მარქსისტულ-ლენინურ დოკუმენტში, კომუნისტური მანიფესტო, ჩამოყალიბებული ახალი მეცნიერული დებულებანი და დასკვნები, პარტიის ორი წინანდელი ლენინური პროგრამის დიდი შედეგდრეობის კანონზომიერი განგრძობაა.

„ახალი პროგრამა — ნათქვამია სკკ პროგრამის პროექტში, — შემოქმედებითად განაზოგადებს სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკას, ითვისაწინებს მთელი მსოფლიოს რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებას და, გამოხატავს რა პარტიის კოლექტიურ აზრს, განსაზღვრავს კომუნისტური მშენებლობის მთავარ ამოცანებსა და ძირითად ეტაპებს“.

## გიორგი ნაგროშვილი კონსტანტინე გამსახურდია

დაბადების 70 წლისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო

„მე დაეხმადე მსოფლიოს უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირად. მას ჰქვია სახელად „ზანა“.

როგორც წინათ მიღებული იყო, მე მომხბდა რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლა, ლენინგრადში, კენიგსბერგში, ლაიპციგში, მიუნხენში, პარიზში, ბოლოს ბერლინში. გამოცდებზე, სემინარებში, ყველგან და ყოველთვის მე მიხდებოდა გაჯიბრება გერმანელებთან, ებრაელებთან, პოლონელებთან, ამერიკელებთან, ფრანგებთან. არავის ვუშებლდი, მაგრამ ჩემ თავს ვუბნებოდა „შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა“.

შწერლობაშიც ასეთი მქონდა ქაღალი, გულს ხადებულდი. თუ როგორ შევძელი მე მისი შესრულება, ამას აქ დამსწრენი თავად განსჯიან“.

ასე განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ თავის სიტყვაში საიუბილეო საღამოზე, 1961 წლის 27 ივნისს. და არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ზემოთმოყვანილ სიტყვებს აქვთ თავისი ქვეტექსტი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიო პარიზონტზე, აზროვნებისა თუ მხატვრული შემოქმედების სფეროში ერთნაირი უფლებით გამოდიან სასამარეზოდ და ახალი მწვერვლების დასაპყრობად ისინიც, ვინც ზანასავით პაწია მდინარეების ნაპირებზე დაბადდნენ და ისინიც, ვინც უზარმაზარი ქვეყნების შეილება არიან. ეს, რა თქმა უნდა, ასეაო, იტყვის მეთხველი და იქნებ ვაუჭირდეს კიდევ, თუ რად დაგვირბდა ჩვენ ამის დასაბუთება, მაგრამ მე მინდა გვაგახსენო მეთხველს, თუ რაოდენ ქედმაღლურად გოგუტრებდნენ ჩვენ დასავლეთში. ევროპის მეცნიერება დიდხანს უგულებელყოფდა ყოველივე იმას, რასაც საკაცობრიო კულტურისათვის აღმოსავლეთი აცუთებდა. ეს ასე იყო ტრადიციულად, ასე მომდინარეობდა ძველი დროიდან და ამ ტენდენციამ ყველაზე მძაფრი გამოხატულება პიოტი ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიაში, სადაც აღმოსავლეთის ხალხები უისტორიო ერებად იყვნენ გამოცხადებულნი.

ამრიგად, იმ ძველი თვალსაზრისის მიხედვით ჩვენ, აღმოსავლეთში მცხოვრები ერები, მსოფლიო ისტორიის გარეშე ვიყავით დარჩენილნი. ეს გადადიოდა ლიტერატურაზეც — იწერებოდა ერთი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისა, რომელიც ანტიკური საბერძნეთით უნდა დაწყებულიყო, შემდგომად ანტიკურ რომს, შუა საუკუნეების ევროპას, რენესანსის იტალიასა და ნიდერლანდებში, შვეიცარიასა და სერვანტესს, გოთესა და ბაირონს და ასე მოდიოდა დღევანდელ დღეებამდე. რა თქმა უნდა, იყოდნენ, რომ ამ ფარგლებს მიღმა რჩებოდა ქვეყნები და ხალხები თავიანთი ლიტერატურის ისტორიებით, აზროვნებით, მაგრამ როგორცად, მათ თითქოს არა სთვლიდნენ ღირსად გვერდში ამოყვენებინათ და ეს ასე იყო ჩვენს საუკუნეშიც.

მე აქ, ცხადია, მთავარ ტენდენციას, გაბატონებულ აზრზე ვლაპარაკობ, თორემ ცალკეულმა მოაზროვნებმა კარგად იყოდნენ, რომ აპოლონის სამსჯავროს წინაშე თანაბარი არიან ელნიც და ებრაელებიც, ყველა ხალხს შეიძლება, სადაც არ უნდა იყოს ის დაბადებული და მისი სიტყვის ძალა, მისი სულის სიდიადე, სიმძავერე მისი ფანტაზიის ფრთებისა არ იზომება იმით, თუ რას უღრბს მისი ქვეყნის მდინარეების საშუალო წლიური ჩამონადენი.

ამ საკითხზე ზმირად დაფიქრებულა ქართველი პოეტი თუ მოაზროვნე, ყველა, ვისაც უგრძენია სიდიადე ჩვენი ისტორიული კულტურისა და ისიც შეუშინევი, რომ მას ზმირად უსამართლოდ მოქცევა ისტორიკოლოგთა თუ ლიტერატურის ისტორიკოსთა.

ახალი არაფერი იქნება იმაში, თუ ვიტყვით, რომ პოეზიაც, შემოქმედებაც, მადლიც სიტყვისა იწეება იმ მიწის სიყვარულიდან, სადაც დაბადე. ამ სიყვარულიდან ყველივით ამოიზრდებან ქმნილებანი ეროვნული ლიტერატურისა და როგორც მაყენი, წავლენ ქვეყნად, დროსა და სივრცეში, აწმყოსა და მომავალში, რათა მოუთხრონ მსოფლიოს თავიანთ ხალხზე. ისევ ანბანური კვშიარიტების განმეო-



რება მიხედვით, მაგრამ არ შემოძლია არა ვთქვა, რომ ყველა ხალხები და ყველა ადამიანები ამ დედამიწაზე — ძმები არიან, თუმცა ამა ქვეყნის ძლიერთ, მჭონებელთა და მჩაგვრელთა კლასებს წინააღმდეგ შეუჯახებით ისინი ერთ-მანეთისათვის და სისხლს ზღვები დაუყენებიათ. ფეოდალისმს და კაპიტალისმს მეტი არაფერი უყვებით, ვარდა ამისა, რომ მტრობა ეთესნათ, მხეტის ინსტიტუტები ჩვენარგათ ადამიანისათვის, ერთი ერთი მეორეზე შალდა დაუყენებიათ, ერთისათვის პირი ავებიათ, ენა ამოეჭო ბიჯნათ, მაგრამ ამ მხეტურ თარეშს კაცთა მოღვაწის მტრობისას მუდამ დასათრეველ წინ დასდგომა მსოფლიო ლიტერატურა, სადაც ყველა ხალხს, როგორც მდინარეებს ზღვაში, თავისი წყლილი ჩაუტანია; მე აქ, ჩა თქმა, უნდა, ქვეშაობილ ლიტერატურაზე ვლაპარაკობ, რომელსაც მუდამ ჰუმანიზმი უქადაგნია, მუდამ რომელიმე ადამიანის ჩაგვრით, მუდამ ზღვი გაუწვდია ბეჩავისათვის, ხოლო დამჩაგრელი — სოციალურ სფეროში იქნება ეს თუ ერთეულში — შეურისხავს და სამარცხვინო ბოძზე გაუტარავს.

ამიტომ არის, რომ ყველა ოსტატი, რომელიც გასდენია ერთეულ ფარგლებს და მსოფლიო ლიტერატურის დიდ ფარგატრში მოქცეულა — მუდამ ადამიანის მოსარწმუნე და ქომავი ყოფილა; ამიტომ ჰუვარებიათ ის არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ ყველგან, სადაც მისი ხმა გაუგონიათ, რა შორსაც არ უნდა ყოფილიყო მისი სამშობლო იმ ქვეყნიდან, სადაც მას ზღვაა, თავის ენაზე წაითხოვდნენ. ამეტყველება ახალ ენაზე მწერლობისათვის ჰგავს ზღვაა დაბადებას; ასე ზღვაა დაბადა შექსპირი საქართველოში, როცა ის მანამდე თარგმნა და მის შემდეგ ჩვენ ქართველი შექსპირი გვყავს, რომლის ყოველი ატრიბუტი ძალზედ ზედება ჩვენს გულს, ასევე გვყავს ჩვენ დანტე და პუშკინი, მიცევიჩი და ლერმონტოვი, სტენდალი და ტოლსტოი, ასევე, მარტო ქართველებს აღარ გვაქვთენის აღარც რუსთაველი, აღარც ბარათაშვილი, აღარც ვაგაფშაველა, აღარც მცხეთის ჯგერაი და აღარც სვეტიცხოველი. და კიდევ რაოდენი სიმდიდრე დაუგროვებია ქართველ ხალხს თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე; და რაც უფრო მეტს წაიღებენ ჩვენგან, მით მეტი იქნება ჩვენი სიხარული, რაც უფრო მეტად „გაგვპარკავებენ“, მით უფრო შიდადარნი ვიქნებით და ჩვენც, რაც უფრო მეტს წაიღებდნენ, მით უფრო ამოღდება მწვერვალები ჩვენი სულიერი კულტურისა.

იგი ეს ფიქრები აღგვიძრა ჩვენ მწერლის სიტყვებმა ზანას ვაშო და ამავე კონტექსტში მინდა გვახსენო მეთხველს გამოსმარება ფრანგული ლიტერატურული გაზეთი —

„ლეტრ ფრანსეზისა“, რომელმაც საქვეყნოდ აღიარა: „კონსტანტინე გამსახურდიას უფროსობის მარჯვენამ“ დასავლეთის სულიერად დაუძღვრებულ და გამოფიტულ ლიტერატურას უჩვენა ენებიანი სიცოცხლისა და დაუცხრომელი ქმედითობის ახალი საწყისები“.

ჩვენ არც უფლება გვაქვს და არც სურვილი არ დავეუგროთ ესოდენ ავტორიტეტულ წყაროს, რომელიც ძალზე ნათლად და გასაგებად მიგვანიშნებს, თუ რა შინაგანი ძალა ჰქონია ქართველი რომანს დღევანდელი მსოფლიო ლიტერატურის ასპარეზზე, მიუხედავად იმისა, რომ ის დაუწერია კაცს, რომელიც ყველასათვის უცნობი ზანას ნაპირებზე დაბადებულა.

ყოველივე ეს ნათელსყოფს, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ ქართული სიტყვა, ქართული აზრი კვლავ გაიტანა მსოფლიო ასპარეზზე, გადაეცლო იმ ბარიერებს, რომლებიც იმანეტრებდა არსებობენ ენისა და ნაციონალური ყოფის ბუნებაში; ამისათვის ნახევარი საუკუნის მანძილზე, თვით მწერლისავე სატყუით რომ ვთქვათ, გვიღებოდა და ებრძოდა იგი ქართულ სიტყვას, როგორც აკოზი თავის მრისხანე ღმერთს. ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე, უმძაფრეს სოციალურ შეფერვათა ეპოქაში, მწერალმა გაიარა უარესად ვერცელი გზა, რომელიც რთული წინააღმდეგობებით და სიძნელეებით, შემოქმედებითი ტყვეობითა და გამარჯვების სიხარულით იყო აღსავსე.

კონსტანტინე გამსახურდიას სამოცდამეტო მებრ წელიწად გადადგა. ძნელი ამ წერილი დაახასიათო შეილი ეს რთული გზა, მაგრამ ვეცდები მოგხაზო მთავარი კონტრებუბა მინდა; ამიტომ ჯერ ორიოდ სიტყვა ამ გზის დასაწყისზე — ბავშვობის წლებზე.



კონსტანტინე გამსახურდიას, ჯერ თავისი შემთარები არ დაუწერია და, როგორც თვითონ საჯაროდ განაცხადა, მხოლოდ ახლა აპირებს შეუდგოს ამ საქმეს და ამ მომავალი წიგნის სათაურიც უკვე გვიხატავს: „ეს სათაური „ლანდების ლაციი“. მაგრამ ზოგი რამ ჩვენ წინც ვიცით მის აღრინდელ წლებზე იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც გაფანტულია მის წერილებსა თუ ესეებში. აქედან შე მინდა გამოვეყო რამდენიმე შთაბეჭდილება ბავშვობის წლებიდან, რომლებსაც, თუ შეილი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მიხედვით ვიმსჯელებთ, წარუშლელი კვალი დაუტოვებიათ მომავალი მწერლის სულში და მუდმივ თანამგზავრებად გაყოლიან ცხოვრების გზაზე.

მომავალი მწერალი ჯერ ისევ პატარაობისას წაუყვანია ფეხშიშველ დედას გელათში. „არის აღვილი, მის მუყენებას ვერ აღწერს ზელი,



როგორც ედემის, მის აღწერა ისეა ძნელი“, წერდა ვახტანგ ორბელიანი გელათზე და ბავშვებზე მართლაც უღრმესი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ მიდამოებს — წაღწითელას ველსა და მთიდან მიჩვენებასავით გადმომდგარ ტაძარს. გოცყელი შესცქეროდა ბავშვი იმ ტაძარში დავითის ფრესკას — მის დიდრონ, ცისფერ თვალებს, ნიკათან ოდნავ გაელაღებულ წვერს, აღმასებით მოოკვილ გვირგვინს, ღვინვით წითელ წაღებსა და ლოობს — ოლარისღარ სამხრეს, რომელიც თურმე — ეს უცყე დიდ ბნის შემდეგ, განსწავლის წლებში გიგო მომავალმა შეწარალმა, — ეცვათ მარტო ბიზანტიის კეისრებსა და საქართველოში კი დავითსა და თამარს. ასე გაიღწო ჯერ ისევ ბავშვმა მთავარი გმირი თავისი უზარმაზარი მომავალი ეპოპისა „დავით აღმაშენებლისა“.

პორტრეტებიდან გაიწო ბავშვმა ილია ქვევიაძეც. როგორც კი მორჩებოდა გაყვეთილების სწავლას, აიღებდა ხელში ფანქარს და ხატებდა ილიას შალასა და ნათელ შუბლს, მის დიდრონ, სევდიან თვალებს. და ოცნებობდა, ოცნებობდა ენახა ეს დიდი „პატერ პატრია“ საქართველოსი. მაშინ არავის ისე არ შეჰნატროდა პატარა, როგორც თავის სოფლის ხუცესს, რომელიც თურმე ხშირად ჩადიოდა თბილისში; როცა ცნობისმოყვარე ბავშვი მას შეეკითხა, ხუცესმა უპასუხა — ილია მრავალჯერს მინახავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანტორაშიო.

მერე ის იყო თითქმისი წლის ბიჭს ხუთიანების წინ მიტანისათვის ხუთი ოქრო „პატრია“ მიამ, შემონახა ეს ფული, დროც შეაჩინა და თბილისისაკენ გაემურა დედაქალაქისა და ილიას სანახავად, ეწადა შორიდან მიინც დაენახა ეს ბუმბერაზი. გული დაეწვა პატარას, როცა თბილისში ჩამოსულმა დაინახა, რომ ქართული ასოები მარტო თონებებისა და სახაშეების აბრებზე იყო წაყვანებული და არც ჩაქნაყნებულნი იყვნენ ტრამეიში, არც ქუჩაში ქართული არ ისმოდა.

„სამინელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ჩვენმა თბილისმა, — იგონებს მწერალი — ჩკონიანის სადგურზე გრძელდღეობიანი ენადარმები დაძრწონდნენ დეუბის ჩხარებით. ჩივის ქვით მოკირწყლულ ქუჩებში ჩაბლაჭიანი კახაკები დაჯგირითებდნენ თავიანთ ნასტკვალ ცხენებს“.

ხანგრძლივი კითხვა-გამოკითხვის შემდეგ სოფლიდან ჩამოსულმა მოსწავლემ მიავნო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანტორის, რომლის კიტრინაში გამოფენილი იყო ილიას, აკაკის და აკობ გოგბეაშვილის ბრძოლებული წიგნები. ლიპდ დარჩენილი კარიდან შეიჭერბა.

კანტორაში იჯდა სათვლიანი, მოღუშული

მოხუცი და რაღაცას წერდა, როცა მან თავისი საქმიანობა მოათავა, სათვალე შეხუტდა და დაჰკვიტა და ჰკითხა:

— შენ რა გინდა, ბიჭიკო?

როცა მოსულმა უთხრა, ილია ქვევიაძის ნახვა მინდაო, გოცყემამ გაიღვლა მოხუცის სახეზე და ჰკითხა: „ვისი ბიჭი ხარო?“

მოსულმა თავისი მამის სახელი და გვარი ახსენა, მაგრამ მოხუცმა თავი გაიჭინა, ასეთი გვარი ჯერ არ გამოვიცნაო.

დავუთმობ სიტყვა ასევე მწერალს:

„მე ისეთ ასაკში ვიყავი იმეამად, როცა ვალებს განსაკუთრებით უყვართ თავიანთი მამები. მანამდის აგრე მეგონა, მთელი ქვეყანა იცნობს-მეთქი მამიჩემს, რადგან ჩემს თვალში ღვი იყო ვაჟკაცობის, სიღარბისილისა და სიმამაცის განსახიერება.“

ახლა ასეთი რამ ჰკითხა ამ მოღუშულმა კაცმა:

„პო, მაგრამ რისთვის გინდოდა ბიჭიკო, ილიკო ქვევიაძის ნახვა? შენ რა საქმე უნდა გქონდეს მასთან?“.

ენა თქვა და ირონიულმა ღიმილმა გადაიჩინა მის მოკუმულ ტუჩ-პირზე.

მე პირდაპირ არ ვუპასუხე, რადგან ვიგრძენი რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავეყარე ანახდად, პირიქით შევეკითხე:

„მიინც სად შეიძლება, ბატონო, ილია ქვევიაძის ნახვა?“

„ილია პეტრებურჯს წაბრძანდა წუხელ“...

მე ვაგუფავ ამ მოღუშულ კაცს, გულდაწყვეტილად გამოვიხუტე კარი“.

მაგრამ მოწაფე ასე ადვილად ვერ გამოეთხოვა თავის ოცნებას — ერთი წლის შემდეგ ქვლავ დააპირა თბილისს გამგზავრება. მაგრამ აგვისტოს ერთ საღამოს თავზარდამცემი ამბავი შეიტყო: ილია ქვევიაძე მოაკვდესო.

„იმ საღამოს ფიცი დავდევდი, — მოგვითბობს მწერალი, — მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მებრძოლა ილიას მკვლელების წინააღმდეგ.“

მეორე დღეს გახეთქებში ვნახე ილიას განგმირული შუბლი და ეს იარა მოუშუშებულ დამლად დაიანდა მის შემდეგ ქართველი ხალხის გულს“.

როგორც უკვდავთ, არც ისე უშფოთველი და უღარდო ყოფილა კონსტანტინეს ბავშვობისა და ყრმობის წლები, უფრო ადრე გაიწო მან თავის სახლში სტუმრად მისული, თუ დასამალვად თავშეფარებულ პარტიზანებს პირველი რევოლუციისა, იმ აღამიანებისა, რომლებიც უმეზრად დგებოდნენ კახაკების შემართულ თოფებსა და ხალხს შორის, რათა ქვეყანა ათბრებისაკენ გადაერჩინათ. მის ყმაწვილურ ფანტაზიაში „ერთობის მოქალაქენი“ მღვეერი აღნაგობითა და შეუძმესკრელი ძალმოსილებით იყვნენ შემკულნი. და თვითონაც ნატრობდა მალე, სულ მალე დაეგაკაცებას, თოფის მოხმა-

რისა და ბრძოლის უნარს.

სოფელში შიშინობა იყო.

და როცა ვინმე ცხენოსანი მოადგებოდა ოდიშური მუხის ქიშკარს, ყველაზე ადრე პატარა კონსტანტინე გაბოლოდა სტუმრის შესახვედრად. და ამ ერთ საღამოს შეიარაღებული, ჩოხიანი ვაჟაკი ესტუმრა მათს სახლს.

მთელი საღამო ყმაწვილა გამალებით ადევნებდა თვალს დასამალავად მოსულ შეგვერემან ქაბუტს, რომელიც მოკრძალებულად ესაუბრებოდა ბუბრის წინ მამას, ხანაც თავის მშვენიერ თეთრ კბილებს მიანათებდა კონსტანტინესს უფროს ძმას — თავის თანამებრძოლსა და მეგობარს.

და მთელ საღამოს უყვირდა ბავშვს, რომ ეს პარტიზანი არც მდევური აღნაგობისა იყო, არც შეუმუსკრელი ძალ-ღონის მქონე ჩანდა. ნაზი და ფაქიზი კაცი იყო, და აქაც მამის მიხედვად უვლადი იყო, როცა რუსთაველის სტრატეგონი წაიკითხა: სიღბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაქედისაო.

ასეთი იყო პირველი გაცვეთილები, რომლებიც მომავალ რომანისტს აჩვენა ცხოვრებამ, ასეთი იყო ყრმის პირველი შთაბეჭდილებანი. ეს საქმიად ნაცნობი გზა იმდროინდელი ახალგაზრდობისა, რომელსაც სიყრმის ტუბილა სიზმრები აღიხანოვის ზარბაზნების ქუჩილში დაუფრთხო და გაუფანტა, ილიას ლექსში და სახელში მის სამშობლოს სიყვარული სამუდამოდ ჩაუნერგა გულში და ასე გაგზავნა იგი მსოფლიოს დიდ გზებზე, დიდ ქალაქებში განსასწავლად და სამოგზაუროდ.

• • •

ვიდრე ამ ვრცელსა და დახლართულ გზებს გადავადლებდეთ თვალს, გვინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა მწერლის პირველ ლიტერატურულ ნაბიჯებზე, პირველ პოეტურ ცდებზე.

კონსტანტინე გამსახურდიამ ვეროპისაკენ რომ გასწია, მამინ უკვე გამოსული იყო სამწერლო ასპარეზზე და მისი ლექსები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში უკვე დაბეჭდილი იყო.

ჩვენ იმდენად მძიმე ამოცანა გვედგას წინ — შეფასება კ. გამსახურდიას შესანიშნავი რომანებისა და ნოველებისა, რომ ამ ქაბუტური ცდების განხილვას ვეღარ გამოვედევნებთ; მხოლოდ იმას აღინიშნავთ, რომ თავის პირველ ლექსებში პოეტურ ერთგულად განაგრძობდა ქართული რეალისტური კლასიკური ლიტერატურის ტრადიციას; კ. გამსახურდიას პირველი ლექსი 1909 წელს დაიბეჭდა, კ. აბაშიძის პირველი ფრეზონი.

1911 წელს კ. გამსახურდიამ ვეროპაში გაემგზავრა. იქ იგი ვაჟიკი გაბატონებული მოდერნისტული სკოლების წარსახეობებს და გაიზიარა მათი შემოქმედებით პრინციპები; და ასე,

მის შემოქმედებაში ყრმობის პერიოდის რეალისტური განწყობილებანი თანდათანობით დაიწინაურდა. მაგრამ აქ საჭიროა უკვე მწერლის განმარტება გავავითოთ: ვინც XX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების გზას დაეყვინდებდა, შეამჩნევს რომ ჩვენი ლიტერატურის მსოფლიო მწერლობის საერთო ორბიტა იყო ჩაბნეული და, მამასადავამე, მონაწილე იყო დიდი ლიტერატურული ბრძოლებისა, რომლებიც საზოგადოდ რეალისტურსა და მოდერნისტულ სკოლებს შორის სწარმოებდა. რეაქციისა და მსოფლიო ომის წლებს სულიერმა განწყობილებებმა ჩვენშიც ერთგვარად ნიდავად მოუშინა და ამ ვაფთრებულ ბრძოლებს. ცნობილია, რომ პირველი რევოლუციის ეპოქამ ახალ ხმაზე ააწყო მწერლობა. ცხრაასხუთის ქარიშხლის დღეებში ყოველი მოწინავე მხატვარი საბრძოლველად წამოშლილ ხალხს გაჰყავდა. ირ. ვედროშელმა და მისი სკოლის საუკეთესო პოეტებმა თავიანთ რევოლუციურ, რეალისტურ ლექსებში ისტორიის ზედიზედ განვითარების მათგრი და გამაყოცლებელი პათოსი გამოხატეს; ამავ დროს, თვით ქართულ პოეზიაში ამ რევოლუციურმა ინტონაციებმა დიდი განახლება შემოიტანეს. XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზია იმ წლებში უმაღლეს საფეხურზე ავიდა; რევოლუციის დამარცხების შემდეგ კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. პოეზიის საბრძოლო ხმა ბნელმა რეაქციამ ერთგვარად ჩაახშო, წინსვლისა და ბრძოლის ამ პათოსის შენელებამ მხატვრული ფორმის სფეროშიც დაქვეითება გამოიწვია. მხატვრული გამოხატვის საშუალებათა ეს ვალირიბება და დაჯინება უკვე მწიველ აყენებდა ლიტერატურაში ახალი ფორმებისა და საშუალებების გამოჩენის საკითხს.

ამ გზაჯვარედინზე გამოჩნდნენ მოდერნისტული სკოლის პოეტებიც. დეკადენტურმა სკოლამ ფორმალისტური ძიება დაუპირისპირა იდრინდელ სქემატურს, მაგრამ ეს მეტად ცალმხრივი ხასიათის ძიება აღმოჩნდა. ცნობილია, რომ ლიტერატურაში ყოველგვარი ძიების გამართლება როდი შეიძლება. დეკადენტების ძიებაც, ვერდნობოდა რა ფორმალურს, ებრძოდა რეალურს, უკუვადებდა წარსულის საუკეთესო ტრადიციებს. ასე გამოდგომდნენ ისინი რეალურის მოპირისპირებად. მეორე მხრივ, ქართულ ლიტერატურაში, პრიმიტივიზმსა და სქემატურს ებრძოდა და გზას იკაფავდა ის ლიტერატურული რევოლუცი, რომელიც კი არ უარყოფდა კრიტიკული რეალურის ტრადიციებს, არამედ მისგან გამოდიოდა და მისი განვითარების გზით ცდილობდა ახალი მხატვრული საშუალებების, ახალი ფორმების ძიებით განახლებინა რეალურს. ასეთ დროს დაბრუნდა კ. გამსახურდიამ უცხოეთიდან და ამ დიდ ბრძოლაში ჩაება.



კ. გამსახურდიამ, ჯერ კიდევ 1916 წელს, გერმანიაში ყოფნის დროს გამოაქვეყნა ორი ნოველა — „ფოტოგრაფი“ და „ნაოლეონი“, ხოლო საქართველოში დაბრუნების შემდეგ თანამშრომლებრულად განაგრძო პროზაში მუშაობა. იმ ხანებში ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მძაფრი ისტორიული ვარდატეხები მოხდა. კ. გამსახურდიას იმდროინდელი ნაწარმოებები — „მკვდართან შეხვედრა“, „ქოსა გახუ“, „ზარები გრიგალში“, „ჭაღის რაე“, „ტაბუ“, „დიდი ოსები“ და სხვანი, იმპრესიონისტული წერის მანერით შესრულებული ნოველებია. მათში ჩანდა უსახურესო სევდა უნიდაგო ინტელიგენტისა; იმ ხანებში, მწერალი განსაკუთრებული ყურადღების საგნად ხდიდა იმ ადამიანების სულიერ სამყაროს გამოხატვას, რომელნიც რევოლუციის მიერ დასაღუბად განწირულ კლასებს ევთონიოდნენ. რასაკვირველია, არ იქნებოდა სწორი გამსახურდიას ყველა ამ აღბრუნებულ ნოველაში გამოსახული ნაკაცარების ფიქრები და განწყობილებანი მწერლისათვის მიუხედავად. ბევრ შემთხვევაში კ. გამსახურდია გამოდიოდა, როგორც მძაფრი მამხილებელი ამ დროგადასული ადამიანებისა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მწერალი დიდხანს განიცდიდა იმავე ტრაგიკული მარტოობისა, რომელიც არაერთხელ სწვევით მისი ნოველების გმირებს; ამასთან, მწერალი ამ უნიდაგო და უსაბარგო ადამიანთა ყოფას, მათ ტრაგიკულ ბედს თავისებურად იყენებდა იმ დეკადენტური ფილოსოფიის გადმოცემისათვის, რომელსაც იგი, როგორც მწერალი, ამ წლებში იზიარებდა. ამრიგად გამსახურდიამ თავისებურად მოარჩია ამ გარდასული დროის ადამიანთა ფსიქოლოგია მოდერნისტული სკოლის ფილოსოფიისთან. ვახსენებ ნოველა „ზარები გრიგალში“. ეცოდნება მწერალს მოხუცი ოქროპირი, რომელმაც ვერ იგრძნო, ვერ დაინახა დიდი სინათლე რევოლუციისა, ეცოდნება მაგრამ, იმასაც შეკარად და შეუბრალებლად გვიჩვენებს, რომ წასულია დრო ოქროპირისა, მისი საყვარელი ზარების თოკებიც კი დამპალან და საერთოდ ამ ადამიანების ცხოვრებას აღარავითარი აზრი არა აქვს. ეს უკვე რეალიზმის ტენდენციაა.

კ. გამსახურდიასათვის ამ ნოველებში უკვე მთელი ძალით ჩანს ვასილი ბრატკოვისა ხატვისა. მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სიტყვას და, რაც მთავარია, აქ სიტყვა შერჩეულია როგორც მუსიკალისის, ისე ხატვის, როგორც სმენის, ისე ხედვის პრინციპით. ამ გარემოებაზე მწერალმა თვითონაც მიუთითა. თავის უკველაზე დეტალურ ნოველაში „ქოსა გახუ“ იგი წერდა:

„ზე იმ ხანებში ახალი მოთხრობის თემას ეეჭვბდი. თქვენ ბედნიერი გვინათა მწერალი? ზღამ დაჰყირვებლის როლშია. მოხრობელი-

ვით უთავალთვალეს ქვეყანას, ბუნებას, იდამიონებს და ყველაზე მეტად თავისი ყველაზე მეტად შენიშნოს, რა დაიჭიროს, რა დეფინირებას მიაღწიოს, რა ლინგვისტიკური რაღას არ შეუძლია თავდაიწყება თვით უაღრესი ტემპისა და ექსტაზის ეამს. საყვარლის სარეცელზე, ხმელზე, ზღვაზე, ბუნების წიაღში, ყველგან, ყოველთვის აყვარდება იგი სამყაროს და თავის თავს“. აქ მათელია, თუ რამდენად აზიარებს კ. გამსახურდია რეალიზმის პრინციპს. ქართული მწერლობის დიდ ტრადიციებზე აღზრდილმა ამ მხატვარმა მაშინაც შემოინახა ამ ტრადიციების ძალა, როდესაც იგი მოდერნისტული სკოლის პრინციპებით იყო გაცდებულა. ამიტომ ეამბობთ ჩვენ, რომ კ. გამსახურდიამ თავისებურად მოარჩია მოდერნიზმი რეალიზმთან. ყველაზე უფრო ეს გამოჩნდა მის ცნობილ რომანში „დიონისოს ღიმილი“.

„დიონისოს ღიმილი“ პირველი რომანი იყო ამ რთულ გზაჯვარედინზე, რეალიზმისა და მოდერნიზმის გზაჯვარედინზე. ეს ნაწარმოები ვრცელად გავცნობს ბერტოლუოვი ევროპის ცხოვრების სურათებს, პირველი მსოფლიო ომის შედეგებს, მწერალი გვიხატავს ომისაგან საშინლად დამახინჯებულ კაცს, რომელიც მას პაროზში, ლექსმებურგის პარკში ხედება. მთელი ეს სურათები ბალებენ მძაფრ სიძულვილს ომის მიმართ.

„დიონისოს ღიმილის“ მთავარი გმირი კონსტანტინე სავარსამიძე ნაჩვენებია როგორც უსაბარგო, უნიდაგო, სულიერად დაცარიელებული ადამიანი. ბურჟუაზიულ სამყაროზე გულაყრილი სავარსამიძე, თავადაზნაურული საქართველოს მოტრფილზე, ქველის, გარდასულის დიდების რომანტიკოსი უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებას გადაწყვეტს, რათა აქ ბუნებისა და პირველყოფილის წიაღში კვლავ აღიღვინოს უგზო-უფლო ხეტილაში დაყარგული ენერგია და მოიპოვოს სულიერი სიმშვიდე, მაგრამ მან იცის, რომ საქართველოში ისტორია ახალი ვხით წაყვიდა და ამ ახალში სავარსამიძეს თავისი ადგილი ვერ უპოვნიდა. „რა გევაკეთო, კიდევ რომ წაიღებ? — ამბობს ის — ჩვენი გზები რახანია გაყარნილია. რაც ეამი გადის, მით უფრო შორავდნიან ისინი ერთმანეთს... იგი მე არ მიცნობს, მას ჩემი არ ეცნის.

კიდევ რომ დავბრუნდებ უძლები შეილივით, მიმიღებს?“. ამაზედ სრულად და ზუსტად ქართულ ლიტერატურაში არავის გამოუხატავს ცხოვრებაში ზღაშოცარული, ზედმეტი ადამიანის ფსიქოლოგია, მისი კონფლიქტი ახალ, რევოლუციურ საქართველოსთან. და იი, კონსტანტინე სავარსამიძეს სამშობლოში თავისი თავი უცხოელი ჰგონია, საქართველოში დაბრუნების შემდეგაც სანუგეშოს ვერას ჰპოვებს, მაგრამ ამ ზღაშოცარულ კაცს ერთგვარი სულიერი სიმშვიდე მაინც მიანიჭა საქართველოს ტუნე-



ბამ, მისმა ცამ და მიწამ და მას გულის ტყეი-  
ლით აღმოხდებდა: „ისევ აქა ვარ, ჩემს მიწაზე.  
როცა უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნდრი,  
მეგონა ხელახლა დავიბადე, მზარებს საქართ-  
ველოს მაღალი ზეცა, მე არსად მინახავს ასე-  
თი თეთრი აქატის ღრუბლები, ასეთი ვამწვირ-  
ვალე პაერს, არც ბალახს, არც ნეწეს ასეთი  
სურნელება არ უღის სხვაგან, ქვეყანას არ  
მოლანდებია ასეთი გათენება... მზეო, მზეო  
ამაშირე ჩემს სახსრებში უცხოეთში შესრტუ-  
ლი წისლი, მასწავლე შენი უშუალო მზერა და  
ღმინიო, რადგან მე არ მინდა ვგავდე იმ მა-  
ხინჯას და სიცოცხლედაჩვეულ ინვალიდს, დედის  
აღერს დანარტებული, შორეთს გაფრწილი,  
საცოდავი მარტოხელა, გულწითელას მართვე,  
შინ მობრუნებულო“.

კ. გამსახურდიამ ეს ადამიანი, ცოტა არ  
იყო, დრამატუზებულად და გარკვეული თანა-  
გრძობით განმოსახა, თუშკა, როდესაც მწერალს  
ამის გამო უსაუვედრებდნენ, იგი შენიშნავდა:  
„მე ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის  
ცოდვებს, რადგან მე ჩემი ცოდვებიც მეყო-  
ფიო“. რასაკვირველია, ჩვენ ავტორს უნდა და-  
ვითანხმებთ იმაში, რომ არ შეიძლება რომანის  
გმირსა და ავტორს შორის რიგვემის ნიშანი  
დავსვათ, მაგრამ საქმე ისია, რომ ამ ახალგაზრ-  
და კაცის სულიერ ტრავმებს, მის პატრიარქა-  
ლურ ფსიქოლოგიას ამ რომანში არავინ არ  
უბრისნიკრდება, არ ჩანს სხვა პოტივი, სხვა  
სახე, როგორც ამას ვხედავთ, მაგალითად,  
„მოვარს მოტაცებამი“, სადაც მწერალმა უკვე  
გამედულად დაუბრისნიკრა ახალი ძველს, და-  
ხავსებულს.

„მთვარის მოტაცება“ პე-იანი წლების ქარ-  
თულ ლიტერატურაში ერთი უბრწყინვალესი  
რომანი იყო, მომცველი დიდი პრობლემებისა  
და გამოშახველი მწვევე ადამიანური უნებები-  
სა. ამ რომანში გამსახურდიამ პირველად გვიჩ-  
ვენა სოფლად საკოლმურნეო ცხოვრების დამ-  
კვიდრებასთან ერთად, ძველის გარდაუქვლი დ-  
ლუბის ისტორიული პროცესი. რომანში ლირი-  
კულ ინტონაციებს თანმიმდევრულად სცელის  
ეპიკური თხრობა. ადამიანების ხასიათების მრავ-  
ალფეროვნად გამოსახვას თან ახლავს ღრმა  
სოციალურ-სამოგადოებრივი განზოგადებანი.  
ორი ეპოქის შეჯახების ფონზე დაუბრისნიკრა  
მწერალმა ერთმანეთს თარამ ეშვარი და არ-  
ზაყან ზეამბაია. თარამი ძველის უკანასკნელი  
მოპიკანია, კონსტანტინე სავარსამიძის მსგავსად  
გულაურილი კაპიტალისტურ სამყაროზე, იგი  
საბჭოთა საქართველოში დაბრუნებული, მოსინ-  
ჯავს გზას, ედილოებს ნიადაგი პპოვოს, ასპა-  
რები მონახოს. კონსტანტინე სავარსამიძესთან  
შედარებით ეს თითქოს უფრო ლოიალური,  
უფრო მოთვინიერებული ადამიანია, მაგრამ  
მაინც იმავე სოციალური წრის ნაწიერია. ამ

ადამიანს გამსახურდიამ დაუბრისნიკრა წითელ  
ჯარში და კომკავშირში ვარსკლავდ სამხატვარ-  
და კაცი, ახალგაზრდა საბჭოთა საზოგადოელოს  
რომანტიკისი არზაყან ზეამბაია. მწერალმა აქ  
საოცარი ძალით გვიჩვენა მძაფრი გარდატეხები  
არა მარტო ყოფაში, არამედ ადამიანის სულ-  
შიც. რომანის სახთა ვრცელი ვაღერეა ნათლად  
წარმოგვიდგენს ოცდათმანი წლების საქართვე-  
ლოს, ძველის, და ახლის სამკედრო-სასოცოცლო  
ბრძოლას. ამ რომანმა ქართულ მწერლობას.  
შემატა ახალი ინტონაციები და ახალი ფერები  
ახლებურ ხასიათთა გამოსახატავად.



შარლ დილი, გამოჩენილი ფრანგი ბიზანტი-  
ნისტი, დიდად აღტაცებული იყო ბიზანტიის  
ანუ აღმოსავლეთ რომის იმპერიის ისტორიითა  
და კულტურით. თავისთავად ამაში ცუდი არა-  
ფერი იყო: ბიზანტიამ, პრავალ შეცოდებასთან  
ერთად, დიდი ღვაწლი დასდო კაცობრიობის  
ისტორიას; ათასი წლის მანძილზე აყვებდა ის  
მუსულმანური ურდოების ყოვლის წამრეცხვ  
ტალღებს. და ამ სტაჭირ მიწოლას ბოლოს  
ვეღარც გაუძლო ბიზანტიამ — 1453 წელს  
თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და იმ დღეს  
შეწყდა ათასი ცოდვითა და მადლით სავსე ის-  
ტორია ბიზანტიისა. ათასოფლის ტამარზე აღმარ-  
თულმა ნამგალა მთვარემ ჩქარა მოანატრა ძვე-  
ლი ბიზანტია იმდროინდელ მსოფლიოს, რომელ-  
საც თურქებმა მძღავარად შეუტრეს და თითქმის  
უნგრეთამდე გააღწიეს.

ცეკლარზაციის ამ ჩამქრალ კერას, როგორც  
უთქვრ, ნიაპყრო თავისი ყურადღება, სხუებთან  
ერთად შარლ დილმაც და მას არაერთი შესა-  
ნიშნავი გამოცვლია უძღვნა. მაგრამ ამ იმპე-  
რიის, თუ მისი კულტურის დიდებასა და  
ბრწყინვალეობას რომ აღწერა, თითქოს იმ  
ბრწყინვალეობამ თვალა მოსკრაო, ფრანგმა  
მკვლევარმა, იმ დროის ისტორიაში ბიზანტიის  
მებრი ვეღარაფერი დაინახა. „X და XI საუკუ-  
ნეებში წერად დილი, — კონსტანტინეპოლი  
იყო უმაღლეს ბრწყინვალე ცენტრი ვეროპული  
კულტურისა, ეს იყო „შუა საუკუნეების პარი-  
ზი“, როგორც მას უფრო გვიან უწოდებდნენ“.   
შემდგ დილი ჩამოთვლის რა აუარებელ ქვე-  
ნებს, რომლებიც ბიზანტიამ დაპყრო მკედრო-  
ნური დინასტიის მეფობის დროს, აღნიშნავს:  
„ბიზანტიის გავლენა ვრცელდებოდა მთელ აღ-  
მოსავლურ მსოფლიოზე, თუთ დასავლეთამდე...  
სომხეთმა და ივერიამ, გადაივლეს ისლამის  
ულელი და მოექცნენ ბიზანტიის გავლენის  
სფეროში... ივერიის დამორჩილებამ დაასრულა  
ეს საზოგადოანი წარმატებანი... კავკასიაში აღ-  
ინთა, აფხაზეთა, აღბანელთა შეფეები ამაყობდნენ  
მით რომ მათ ატარებდნენ ბიზანტიურ ტიტულებს“,   
ივერიის, ტარონის, ვასპურაკანის მმართველ-



ნიც ერთგული კლიენტები და მსახურნი იყვნენ იმპერიისა\*.

აი, თურმე ასე, სიხარულით ესწრაფოდნენ ხალხები გაეყოთ თავი ბიზანტიის უღელში; ვეცოცხლოდა: დესპოტული ევროპის ბიზანტიანობები დიდხანს ამტკიცებდნენ, რომ ამ ხალხების კულტურაც, კერძოდ ხელოვნება იყო მართლმანიტიანი ბიზანტიური კულტურისა, თურმე ტაძრებიც შენდებოდა ბიზანტიური სტილის მხებდეთ; ამრიგად, ჩვენს ხალხებს, კერძოდ საქართველოსა და სომხეთს ართმევდნენ უფლებას ჰქონოდათ საკუთარი ისტორია სახელმწიფოებრიობისა და კულტურისა, ერთი სიტყვით, მათ ისტორიის ვაკრუთ აყენებდნენ — ამა რა ისტორიაა უნდა ჰქონდეს მთრეუბულ პროვინციას, სადაც ყველაფერი ემორჩილება ბიზანტიის იმპერატორს, ან რა საინტერესოა მისი ხელოვნება, თუ ის მართლადენ ასლი და მიმაჰვია კონსტანტინეპოლის ტაძრებისა, თუ მათში არ ჩანს სული იმ ხალხისა, რომელმაც ისინი ააშენა.

ასე წარმოიდგენს შარლ დიდი, და საერთოდ მთელი ევროპული ბურჟუაზიული ბიზანტიოლოგია ბასილი მეორის ეპოქას, იმ ეპოქას, რომელსაც ეხება კონსტანტინე ზამსახურდიანს რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“.

და აი, ვიწყებთ ჩვენ ამ რომანის კითხვას და ჩვენს თვალწინ სრულიად სხვა სურათი იშლება — საცოდავი ევანგელისა და მიმბაძველი ეპიგონების ნაცვლად ჩვენს წინაშე წარმოსდგებაან უბრწყინვალესი სახელმწიფოებრივი ქვეის და შემოქმედებითი გენიის ადამიანები, ერთი მხრივ, მეფე და მეორე მხრივ, შემოქმედელი, რომელნიც არა თუ არ ემორჩილებიან ბიზანტიურ სულს, არამედ ლათ თურმე არც შეუძლიათ ეს, იმდენად მათა და ამაყი მათი სული, იმდენად თავისებურია მათი ერის ისტორია, რომელსაც ისინი განასახიერებენ... და ჩვენ ვხვდებით, რომ საქართველო გამოდის მსოფლიო ისტორიის შარავნაზე, აქ იხადება რენესანსის პირველი ნაბერწილები, აქ იგება სეტიციზმის, ის გენიალური ქმნილება, რომელსაც დაახლოებით საუკუნეაშვერის შემდეგ „ეფესოსტოკოსიანი“ უნდა მოჰყვეს, რომელიც წარმოუდგენელი იყო ბიზანტიის იმპერიაში, სადაც სარწმუნოებრივმა ფანატიზმმა ჩაახშო ყველაფერი ცოცხალი აზრი და საერო ლიტერატურას ფეხქვეშ წიადაგი გამოაცალა. ამ მხრივ „დიდოსტატის მარჯვენა“ საქართველოს უსამართლოდ შეღაბულ და წართმეულ უფლებათა აღდგენა მსოფლიო ისტორიაში, და ავტორიც მთელ ვითარებას ამ კონტექსტში განიხილავს. აი ესაა რომანისტიის მასშტაბი — მას მართო გიორგი პირველი კი არა, მართო კონსტანტინე არსაკიძე კი არა, მთელი ხალხის სული, მისი ისტორია უნდა გამოხატულიყო.

კ. ზამსახურდიანს შემოქმედებებში დიდძალად ეხმარება ისტორიულ რომანებს და ჩვენ ეს ბუნებრივადაც მივაჩინა; საქართველო ისეთი დიდი ისტორიული წარსულის ქვეყანაა, ისე მდიდარია მისი ვეპოეური ისტორია, ამავე დროს, იმდენად ტრაგიკულია იგი, რომ შემოქმედებისათვის დიხავე დაუშვებელ წყაროს წარმოადგენს.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“ ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ერთიანი საქართველოს საქმის ისტორია. ცენტრალისტური, ერთიანი საქართველოსათვის მებრძოლ გიორგი პირველს შიში ჰქონდა არა მართო გარეშე მტრებისა, არამედ შინაური თავეკრმა ფეოდალებისაც. რომანში ჩვენ ვხვდებით, თუ როგორ დათარგუნა გიორგი პირველმა ვანდგომილ ფეოდალთა ბოროტი ენებათაღლეუანი; ამ მხრივ რომანში გიორგი გამობატულია, როგორც უბადლო გმირი და ვეპოეტი, უშიშარი რაინდი, რომელიც თავს არა ზოგავს საქვეყნო საქმისათვის ბრძოლის გზაზე, მაგრამ ეს მანინ ერთი მხარეა გიორგი მეფის ცხოვრებისა. მეორეს მხრივ, მწერალმა გიორგი პირველი გვიჩვენა, როგორც უსახუროდ შეუვარებულ, მოჯნური მეფე, დაგვიხატა შორენასთან მისი გამიჯნულების ისტორია. გიორგის როგორც დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, თითქოს ჩრდილს აყენებს ეს ვადამარბებული ენებანიობა და ერთობიანია, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მეფეც ხომ ადამიანი იყო, და რომანისტმა დაგვიხატა მისი ადამიანური ვნებანი, დაგვიხატა არა ასეკტი, არამედ ცოცხალი ადამიანი.

ამ რომანის მთავარი პათოსის გამომსახველი კონსტანტინე არსაკიძე. ისაა სახე ნამდვილი და ქეშმარიტი ხელოვანისა, დიდი შემოქმედისა. იგი მზად არის სიცოცხლევ და თვით სიყვარულიც, მშვენიერ შორენასადმი სიყვარულიც ანაცვალოს ხელოვნებას, სეტიციზმის უმშვენიერეს ტაძარს. ფეოდალისმის შავბნელ ეპოქაში ამ დიდ ხელოვანს შეჰიღება მოხლდება ბნელეთის მოციქულებთან, რომელთაც როდი ესმით ნამდვილი ფასი დიდი ხელოვნებისა. ამ დიდს, უაქდავ საქმის ისტატს, ჯილდოდ მარჯვენის მოკეეთა არგუნეს და ამ სომინელ, ტრაგიკულ ფონზე კიდევ უფრო მიმზიდველად ჩანს უფდავი ხელოვანის სახე. ხალხის, საშობლოს სამსახური ყველაზე მაღლა დაუყენებია არსაკიძეს და იგი შემოხვევით როდი ამბობს: „თავად უნდა გახლდ შემოქმედი უფლის მტოქე“. და შემდეგ: „არაფერი ამშვენებს ისე ვეპოეც, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაკე-უდიდესი სიამაყე შეუღდება გულს, როდესაც შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებას და მიწას სამკაულად გამოადგება“.

„შხოლოდ ოსტატს ვერ დაეწევა სიყველიო“, ამბობს არსაყიძე და ავტორიც ამ უყვადებზეა წერს, არა მარტო ერთი ოსტატის, არამედ მთელი ხალხის უყვადებზე; მოჰყვითინ არსაყიძეს მარჯვენას, მაგრამ დარჩება სვეტიცხოველი, როგორც მარად უყვადეი გამობრწყინება მარტო ერთი კაცის კი არა, მთელი ერის სულიერი ძალისა. ამავე სულისკვთებითაა გამსკვალელი ვრცელი ეპოპეა „დავით აღმაშენებელი“. მარად გაუთავებელი შფოთიანობაში, ეჭვში, დარღში, სიყვარულში, გაუთავებელ ომებში იფრთხლება დავითი, მაგრამ წარმოქმნება მისი ხელით აშენებული საქართველოს სახელმწიფო, უფრო მაგარი და გამძლე, ვიდრე მანამდე იყო. და სწორედ ამიტომ გამსახურდას წიგნებში ისტორიაა შედარი კი არ არის, ლანდების სახელო კი არ არის, არამედ გაუთავებელი სიერცხლე და წარმოქმნა. ვის არ უწერია საქართველოს ისტორიაზე, მაგრამ ასე ძლიერად არავის არ განუცდია იგი. უმეტეს შემთხვევებში ჩვენ ვადავიყვანდნენ ხოლმე ბურუსიან შორეთში, ვადავიყვანდნენ აზრდითა საყვაროში, სადაც ყველაფერი შედარა იყო, ნაყარწყაროლი, უტო და უჩვეულო. შეიძლება გვეგრძნოთ რაღაც მოწინააღმდეგარამ არ იყო ის განცდა, რომ თქვენ შინ, თქვენს სახლში იმყოფებით. აქ კი, კერძოდ „დიდოსტატსა“ და „დავით აღმაშენებელში“ ჩვენი ცოცხალი სამშობლოა. აქ უკვე ჩვენია ყველაფერი, ჩვენია მიწა, გარდასული კი არა, დღევანდელია ეს განაფხებელი, ლაინისფერი მთებზე ალაგ-ალაგ რომ ელავს ხასხასა სითეთრე, მწვანე რომ შემოსდგომია არაგვის ხეობას, ჰყვავის ნუში და ქედნისფერი და ზღვისფერი ებრძვიან ერთი მეორეს კარდებზე... მზე ეთხოვება მცხეთის ტაძრების მოჭრკოვლი გუმბათებს და კონსტანტინე არსაყიძე წელი ნაბაჯით ჩამოღის ერთსართლიანი ქვეტარის სახლდან. კონსტანტინე გამსახურდას აქვს გასაოცარი უნარი ერთბაშად დაჰფაროს მანძილი ისტორიასა და თანამედროვეობას შორის, მეათე და მეოცე საუკუნეებს შორის და, ჩვენ გგონია, ეს არის თანამედროვე ისტორიული რომანის ყველაზე დიდ თავისებურება როგორც საბჭოთა ლიტერატურაში, ისე მთელი მსოფლიოს პროგრესულ მწერლობაში. ეს მკლავდება არა იმდენად ბუნებისა და ყოფის, რამდენადაც ადამიანის სულის ვადმოცემაში.

რამდენადაც ისტორიულ რომანზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: ჩვენ ყველას გვახსოვს სამამულე ომის წლები. ან როგორ დაიწყო იმ წლებს ჩვენი თაობა. მაშ ისიც გავიხსენოთ, რომ იმ დიდი განსაცდელის დროს, როცა კაცობრიობის ბედი წყდებოდა, როცა წყდებოდა საკითხი იმისა თუ ვის უნდა გაეშარჯენა — შეისაუკუნეების ფაშის-

ტურ ბნელებსა, თუ თავისუფლების მზიან ქვეყანას, ამ ბრძოლაში ჩვენი დიდი წინაპრები გავიხსენეთ და როგორც თანამედროველნი, როგორც ძლიერი დამხმარანი და მფარველნი, ისე გამოვიხსენეთ ისინი შორეულ საუკუნეთა წილიდან. გამოვიხსენეთ, როგორც ცოცხლები, როგორც მარად უყვადეი. ამრიგად, ყოველგვარ პოლემიკურ სტატიებზე უკეთ თვით ეპოქამ განსაზღვრა და გვიჩვენა, თუ რასთვის გვიჩრდება ჩვენ ისტორიული რომანი.

ხოლო წლებში კ. გამსახურდას გამოაქვეყნა თავისი ახალი რომანი „ვანის ყვავილობა“. რომელიც თანამედროვე სოფლის ცხოვრების სურათებს გვიხატავს; ავტორმა აქ დიდების პიში უმღერა ახალ ადამიანებს, სოციალისტური ყოფის გმირებს; და, თუ შევადარებთ „ვანის ყვავილობასა“ და „მთავრის მოტაცებაში“ გამოხატულ დიდებულ პერსონაჟებს, უმალ ვიგრძნობთ რაოდენ წინ წასულან ჩვენს ადამიანებზე და თვით მწერალიც უფრო მეტად გამოხატავს მათ. არხაყანის ტოლი გოდერძი გამოხატულია უფრო მტკიცე პოზიციითაც და ხორციელსმული მხატვრული განსახიერებთაც. გოდერძის საკოლმურელი მშენებლობის მოწინავე ადამიანი, დანაღვლიანი მშრომელი და მამაცი მეომარი ბრძოლის ველზე. კოლმურნე ქალის ძაბულის („მთავრის მოტაცება“) თავისებური ვაგრძელება ნუნუ უკრაული — ქართველი ქალი, რომელმაც ვეაყატრად გადაიტანა ომის ყველა სიმძიმე. დაეაწყარია პროფესორ კორინთელის სახე. ეს შესანიშნავი საბჭოთა სპეციალისტია, ამ თაობიდან გამოსული, რომლის ბიოგრაფია რეკოლუციის წინ დაიწყო. მწერალმა ძველი თაობის ეს სახელმძღვანელო ადამიანი გვერდში ამოუყენა ჩვენს ეპოქაში დაბადებულ ახალ ადამიანებს, სიყვარულით გამოხატა თაობათა ეს ერთიანობა და მათი თავდადება ახალი სოციალისტური საქართველოსათვის.

კ. გამსახურდას წერდა: „ამ ისეთი უკიდურესი ესთეტიკური პედოგოგისტი იდეებით ვიყავი ვატაცებული, საბჭოთა საქართველოს ფარგლებს გარეშე რომ დარჩენილიყავ, ჩემთვის უთოდ მიუწვდომელი იქნებოდა დიდ შემოქმედებასთან წილნაყარობა“. ნამდვილი ქემშიარტებაა გამოთქმული ამ სიტყვებში — ეს სეისმოგრაფიული მგრძობიარე შემოქმედელი, რომელიც უმალ ეხმარებოდა უმეტეს ძვრებსაც სოციალურ საყვაროში — ხელახლად დაბადა საბჭოთა ეპოქამ, აქ იპოვნა მან ნამდვილი გზა, იპოვნა გამოსავალი სულიერი მარტობიდან, დადაც თავისი ხალხის გვერდით, ვაჟეა მის მხარდამხარ ახალი ისტორიის გზებზე. ეს ყველაზე კარვად გამოხატა მან თავის ზემოხსენებულ რომანებში — „მთავრის მოტაცებასა“ და „ვანის ყვავილობაში“.



აქ დახატა მან ძველი საქართველოს გადასვლა ახალ კვაბუკობაში, და ამან ახალი სხივები მოჰდინა მის ისტორიულ რომანებსაც.

კონსტანტინე გამსახურდიას ამ რომანებში გამოიხატა ახალი ეპოქის, სოციალიზმის ეპოქის საქართველო. როგორ ფხიზლად მისდევს მწერალი ყველაფერს, როგორ მუდამ დაეღუპტრონებულა და დამუხტულა მისი ფრაზა, მისი სტიქონი, ნოველა თუ რომანი. აქ ჩანს მთელი სიღრმით გამოხატვა ცხოვრებისა, აქ ჩანს მწერლის გაბედული კვლადკვალ დადევნება არნახული ტემპით დამრული ცხოვრებისადმი.

„ვაზის ყვავილობაში“ მთელი სისრულით გამოჩნდა, თუ რა განუზომელი ძალის შრომითი და მხედრული სიმამაცე შთააგონა ჩვენს ხალხს ახალმა ეპოქამ, სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ. ეს არის მთავარი პათოსი ამ წიგნისა, ამით ითხსნება მის იდეათა და სახეთა ცხოველყოფელობა. ამ რომანის ხალხურობა იმაშია, რომ აქ არის ნამდვილი ახალი კემანიზმი, უღრმესი პატივისცემა და სიყვარული მშრო-

მელი ადამიანისადმი, რომელიც ვწინებს მწვეყანას და კიდევაც იცავს მას მუხტალი შტრეზის შემოსევისაგან.

ადამიანისადმი ამ დიდ სიყვარულში არის მიცოცლებელი ძალა მთელი საბჭოთა ლიტერატურისა და კერძოდ გამსახურდიას შემოქმედებისა. ადამიანისადმი სიყვარულის შუქი აბრწყინებს მთელს ჩვენს ცხოვრებას და ამასვე გამოხატავს დიდი საბჭოთა ლიტერატურა, რომლის პირველხარისხოვან ოსტატთა რიცხვს ეკუთვნის კონსტანტინე გამსახურდია — გამოჩენილი მესიტყვე ახალი საბჭოთა საქართველოსი.

კონსტანტინე გამსახურდია ამჟამად თავისი დიდი მხატვრული ეპოპეის — „დავით აღმაშენებლის“ მეოთხე წიგნზე მუშაობს. მწერალი კვლავ უპატიურო ენერგიით იღწვის ჩვენი კულტურის ასპარეზზე. ვუსურვოთ ქართული სიტყვის დიდოსტატს, უბრწყინვალეს შემოქმედს ხანგრძლივი სიცოცხლე და ახალი წარმატებანი ჩვენი დიდი კულტურის სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ!

## საკმი ჭიანი

# მხატვარი და თანამედროვეობა

(დ. შენგელაიას თხზულებათა ორტომეულის გამოცემის გამო)

სახელმწიფო გამომცემლობამ „საბჭოთა საქართველომ“ 1960 წელს ორ ტომად გამოსცა დემნა შენგელაიას თხზულებანი. ეს ორტომეული მოიცავს და მთელი სისრულით ასახავს მწერლის მიერ განვლილ სამწერლო გზას.

პირველი შობებულება, რომელსაც ამ ტომების უბრალო გადაფურცედიდანვე მიიღებს მკითხველი, ეს არის მეტად ხატოვანი, პროფესიული, მაღალი კულტურა წერისა. ამ კულტურითაა აღბეჭდილი ამ ორ ტომში თავმოყრილი რომანები, მოთხრობები, ნოველები და წერილები. ჩვენ არ გვაგონდება მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში ბევრი მწერალი, რომელიც ისეთი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მხატვრულ სიტყვას, ქართული ენის ტრადიციებს, მისი სინარჩარისა და სიტყვიერების შენახვას და განვითარებას, როგორც დ. შენგელაია. ამ მხრივ იგი ქართული მხატვრული, პოეტური სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატია და ნოვატორიც. ენა კი მწერლობის ყველაზე პირველი და ყველაზე მაღალი ფენომენია.

დ. შენგელაია სამწერლო ასპარეზზე მეოცე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში გამოვიდა. დ. შენგელაიას, როგორც მისი თაობის ბევრ გამოჩენილ წარმომადგენელს, ჩვენმა დრომ მისცა ის ნამდვილი და ჭეშმარიტი შთაგონება შემოქმედით კაცისა, რომლითაც მან პირველხარისხიანი ოსტატის სახელი დაიმკვიდრა. შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილა ჩვენს დროში არც ერთი ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრობლემა და მოვლენა, რომელსაც იგი არ გამოხატებდა თავისი კალმით.

დემნა შენგელაიას პირველი მოთხრობა 1914 წელს გამოქვეყნდა და მანინ მისი პირველი ნაწარმოები, რომლითაც მან ოსტატის სახელი მოიპოვა „სანავარდო“ (1924 წ.).

„სანავარდო“ თავად ჭილაძეების, ამ უძველესი გვარის ერთ-ერთი ნაწილის, მისი უკანასკნელი მოპოვანის, თავად ყარაშინ ჭილაძის ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს, მაგრამ მისში, როგორც ფოკლსში, თავმოყრილია ქართველი

არი ისტორიკატის თავგადასავალი და ისტორია, მათი ცხოვრების მიწერული და მწერლი.

ავტორი „დიდი ოტია“ ჭილაძის შთამომავალი — თავადი ყარაშინი და მთელი მისი ოჯახი ავადმყოფი და სნეულია. ყარაშინი, ბონდო, ციცილო... ყველა, ყველა ერთბაშად ამ ოჯახში გადაშენებისა და გავერაზების გზაზე აღმდგარი. გადაშენების ამ ისტორიას მწერალი ოსტატურად უკავშირებს კოლხეთის ქაობიანი უმურებისა და ციების სევდიან სურათებსა და ეპიზოდებს: „წვიმები, წვიმები, წვიმები, ამღორებული რიონი ზარმაცად, დასველებული ფრინველის მხარმოტვილ ფრთასავით სახლს ყავარზე ხმაერობდა, დაათრედა ფრთას და კენესოდა მომკვდავით. ქარი ზუზუნებდა, ბუზბის თავზე შემჯდარი გაყინული ჭინკა გამზრალ თითებზე სულს იბერავდა და ცნაოდა საყოღავად. დამის ლანდები სულს იღვამდნენ და დაიწყებდნენ ოთახში ბორბებს და ტორტმანს. მწუხარება იყო ყველგან და დეშვილი. ქაობი, ჭინჭვი, ლული და ლაქაში. პატარა, დამალ მდინარის ლიღობა ნაპირები სტეეებითა და ფშანიტ დაბურული და კალათიანი ქალები ეკალს საგრედად შეუენილო, ჩამონგრეული ღობეები, დამალი წყლით სავსე თხრილები, სანავარდო კედებოდა ციებ-ციხელებით. გაჭრილ საფლავებში წყალი ამოდიოდა, არ იყო ხსნა, არ იყო გამოსავალი“. ამ ფონზე აქვს მწერალს გამოხატული ყარაშინის ოჯახის დაღუპვის ისტორია და გადარეული ბონდოს ავადმყოფური ვნებები.

თავდაზნაურობის ფიზიკური გადაშენება, მათი სულიერი დასნეულება, მეტ შემოხვევაში, მწერალს ახსნილი აქვს „ჭილაძეების წამხდარი სისხლით“, მათი გვარულობის ცოდვებით. მაგრამ ეს თავისებურად ხაზს უსვამს და მიგვითითებს სწორედ იმ სოციალურ აზრებზე, რომელთა ფონზე თავდაზნაურობამ უკვე მოქამა თავისი დრო, ლუარსაბ თათქარიძის მსგავსად გადაგვირდა და დაენიდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამ გარემოებას გვანიშნებს ავტორი, როდესაც ჭილაძეების შინამოსამსახურე

ლიზიას გარეგნობას აღწერს. როგორ ვეგო-  
ნებს ეს პორტრეტი ილიას მიერ „კაცია-იდი-  
მინი?!“ დახატულ შინაშინაშისათვის სახეს!

„ლიზია კეთხემი, იატაკზე, თავის დაძმობილ  
ლოგინს გაშლიდა და ძილს მიეცემოდა. მისი  
დასიბუღელი, ძილში ღია დარჩენილი სახე, ჩა-  
წვევბული კბილები და ბინძური თმები, ციცი-  
ნოს სწირად აწინებდნენ. დასიბუღული სხეული,  
მოგრეხილი, დაუბანელი ფეხებით; ბინძურ და-  
მის პერანგის ამარა, ცეცხლის სინათლეზე გუ-  
ლის შემოპყრელად იდგა თქვენს წინ. იგი თვი-  
თონ უხარმზარ წამოწოლილ ვომბეჭის გავს  
და ეს ვომბეჭი ამბობს ვინს მოქცევით ზღა-  
პარს“. ასე დააქნინა და ვადაგვარა ადამიანი  
იმ ვარემომ, რომელსაც ძველი ფეოდალური  
საქართველო ქმნიდა. დ. შენგელისა ღირსება  
ისაა, რომ მან აქ წერტილი არ დასვა. მწერალმა  
კარგად დაინახა, რომ ყარაიმანების ნაშვირთა  
„წამხლარის სისხლის“ მოღვმას, უცმურების, კინ-  
ების, მითებეს ქვეყანას, ძველ ცხოვრებას  
თავისი დასასრული დაუდგა. მოვიდა ახალი  
დრო, იგი ისტორიის სანაგვე უფთში გადასერის  
ვედა ამ უვარგისსა და დრომოქმულს. შარათა-  
ლია, ამ რომანში ეს სოციალური აქცენტები,  
ეს კლასობრივი წიდილი და ბრძოლა, ეს რე-  
ვოლუციური აღტკინება, ახალი ისტორიის  
მიერ, ახალი ცხოვრებას მიერ მოტანილი, არ  
არის სათანადოდ გამახვილებული, მაგრამ მოთ-  
ხრობის ფინალი იმაზე გვანიშნებს, რომ კოლ-  
ხეთის ამ უცმურს, ციების ამ ვეებერთელა სა-  
ბედდარს, რომელიც სიმბოლურად ძველ სამყა-  
როს განსახიერებს, ბოლოს მოუღებს სხვა  
მოღვმის ხალხს, ძარღმეგარი, რევოლუციონე-  
რი ადამიანები:

„ელვამ ვაირბინა ხალხის თვლებში. სადღაც  
ვაისმა ჯერ არგავონილი წიდილი: გამოჩნდა  
პირველი მტარებელი, მიფრინავს იგი ტყეებ-  
ში, ღრეებში, მიკიების, ღრიალოთ არღვევს  
ქვეყნის შეუღროებას, მოფრინავს, მოაქვს ახა-  
ლი ცხოვრება, მოჰყავს ახალი ხალხი. კინკები  
სორობენი მიძერებთან, ქაჯები ეუბებენსა და  
წიფლის დაღრქენილ რუბებში იმალდებიან, ფე-  
მერა, უცმური იგრობება ნარისონალის ქაობებ-  
ში. თვალდაკუსული, გარინდელი ბაყაყები  
გოაცებით გაბარდღულან წყლის ლეუებოზე-  
მატარებლის გრიალი ოდნე მისუჩნდა სადღაც  
სატურის სადგურთან, ამიერიდან სამტრადიის  
სახელს რომ ატარებს.

ღამეა. წვიმა თვალებში აშხაუნებს.  
ისმის ძახილი სობნელში:

— სატურიაში, სატურიაში, სადაც ახალმა  
ცხოვრებამ დაიღო ბინა“.

დ. შენგელისა ამ სტრიქონებს წერდა 1923  
წელს. ამ ფინალის მიხედვით ნათელი ხდებოდა  
მწერლის პოზიცია და დამოკიდებულება ძველ  
სამყაროსთან, რომელსაც ყარაიმან ქილაძის

ოჯახის ისტორია განასახიერებდა, და მისი დე-  
პირისპირებაც, იმ ახალ, ძარღმეგარ ხალხთან,  
ძლიერი ნებისყოფის მქონე მშრომელ ხალხთან,  
რომელმაც სამუდამოდ მოუღო ბოლო ძველ  
სამყაროს და ახალი ცხოვრების მეთაური, სატ-  
რისი და მშენებელი გახდა. მწერლის მთელი  
თანაგრძნობა და სიყვარული ამ ახალი ცხოვ-  
რების მხარეზე იყო.

დ. შენგელისა „სანავარდომ“ გამოქვეყნების-  
თანვე მიიპყრო ყურადღება. მას წილად ზედა  
„მალაო შეფასება. იყო ცალკეული კრიტიკული  
შენიშვნებიც, რომლებიც მის ავტორს ანტირეა-  
ლისტური სკოლების პოზიციებთან აკეშირებ-  
დნენ. მაგრამ, ჩვენი აზრით, მთელი ის მხატვ-  
რული ფაქტორა, რომლითაც ამ ნაწარმოებს  
სიმბოლიზმს უკეშირებდნენ, უფრო ახლა  
ხალხური ზღაპრების საწყისებთან, კოლხეთის  
ლეგენდებთან და წარსულთან, ვიდრე სიმბოლიზ-  
მთან. დ. შენგელისა გასაოცრად ხატუნად,  
ღიღი ლექსიკური მრავალფეროვნებით აცოცხ-  
ლებდა და აღადგენდა ჩვენს მეხსიერებაში ლე-  
გენდებს, ზღაპრებს და სიმბოლურად უკეში-  
რებდა მათ ძველი, თავადაზნაურული საქარ-  
თველის გადაშენების ისტორიას.

დღმნა შენგელისა უფრო ხატვის ოსტატია,  
ვიდრე ობრობის, მოუფლის. მისი ოსტატობა  
ენობრივი ქსოვილის ნახატში ვლინდება ნათ-  
ლად და არა სიუჟეტის გამოშვარებლობაში, ის  
უფრო იმპრესიონისტია, ვიდრე კლასიკური  
რეალიზმის სიუჟეტების ოსტატი. მწერალს მოთ-  
ხრობის სიუჟეტი პირველ საწყისებში აქვს  
ნაწევნები, მისი სიუჟეტი ფაბულის ფარგლებს  
იშვითაოდ სცილდება. სიუჟეტის დიდ გავრცო-  
ბას და რთულ ხლართებს შეგნებულად არ  
მისდევს მწერალი. ლეონიზმი და სიმკვრივე  
სიუჟეტისა, იმპრესიონისტული ჩანახატები მის  
ნაწარმოებებში გაბმულ მოულისა და ობრო-  
ბას ცვლიან. დიდი ტილოებიც კი („ბათა ქე-  
ქია“, „სანავარდო“, „წითელი ყაყაო“) წერის  
ამგვარ კანონს ეფუძნება.

დ. შენგელისა ნაწარმოებებში სიუჟეტი  
თითქოს სტატიკურა და ხასიათების გან-  
ვითარებაც ამ მხრივ ვარკვეულ ჩარჩოებშია  
ჩაყენებული, სამაგეროდ, ისეთი დიდი შინგა-  
ნი ენერგია აქვს მიცემული დ. შენგელისა  
პროზაში ფრაზას, სიტყვას, რომ სპირობა  
მოულისა, კლასიკური სიუჟეტების თვალსაზ-  
რისით თითქოს აუცილებელი არ ხდებდა. მკაცრი  
სიუჟეტური ლეონიზმი და ვრცელი ენობრივი  
მონახაზი ქმნიან ისეთ დიდ შთანქუდილებას,  
რომელიც პოეტური სიტყვას პირველხარისხო-  
ვანი ოსტატებისთვის არის დამახასიათებელი.  
დ. შენგელისა წერის სტიქია მკიცრე ფორმის  
ნაწარმოებების პოეტურ ფორმაში ვლინდება  
ვედაზე უფრო სრულყოფილად და მის შე-  
მოქმედებაში ამ მკიცრე ფორმის მოთხრობებს  
განსაკუთრებული იდგილი უკავია.

საბჭოთა თემბატეაზე შექმნილ მცირე ფორმის ნაწარმოებთა შორის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ნოველა „კაც“.

 იქ დაიმარხოს მვედარია...

ხმოვანთა იარაღის მოხმარებით მოგვარების და იმ ტრადიციული რომანტიკული მითებისა და წინააღმდეგა მიმართული, რომელთა რამდენიმეცაა წესია, ამჟამად სისხლიანი ომების გმირებს:

ჩვენ ვიტყვი, კაცნი ჩვენა ვართ,  
 მართოთ ჩვენ გვზიან დედანი,  
 ჩვენა ვსტეხნდებით, ურჯულთ  
 ებრში მიელის ქმენანი.  
 ამის თემით ეწარა-მარაობთ,  
 ღვთისშვილთ უკეთეს იციან,  
 ყველანი მართალს ამბობენ  
 ვანა, ვინაცა ჰქვიციან?  
 ვერ გაივრტე მუცალი  
 მარჯვენის მოსაქურელადა,  
 გული გამიწურა, არა ჰქნა  
 რაც საქნელია ძნელადა:  
 „დაე დააკლდეს სახელსა,  
 შე გირჩევიან ვერ მრჩეველადა“

ეს სიტყვები — გასაღებია „აღლდა ქეთელაური“ იდეური პრობლემატიკისა. და არა მარტო „აღლდასი“. აგულის მრჩეველობა“, ადამიანობა, სიბრალული და სიყვარული — იი მთავარი მოტივები, რომლებიც აკავშირებენ ვაჟას ქმნილებებს, გამჟღერი ზოლივით გასდევენ მათ, უხმანებთან ერთმანეთს. იი, ნაწვევტი „ბატრიონიდან“, რომელიც პირდაპირ ეხმარება ჩვენს მიერ ციტირებულ „აღლდას“ სტილს:

მეკლავია უგრძობი კაცი,  
 უსახარლესი მეკლარზედა,  
 მით, რომე სიცოცხლე უღვას  
 სალის ყინელის ტაბზედა.  
 არ ებრალუბა მოყვასი,  
 მის წინ რო აცენ ჯვარზედა.  
 ისე მოყვდება, ვერ შედგეს  
 ერთს წაშს ტრფობისა მთაზედა.  
 შორს არის, მეტად შორს არის  
 დამორბეული მაზედა.  
 ვიკობში არის ჩაფლული,  
 ეცინობ მოწამლულს ჰმაზედა,  
 საზარელი დადგომა  
 უგრძობელობის გზაზედა!

განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ „ტრფობის მთებისადმი“ მიძღვნილი ეს საყვირველი პიში აელტრებულა სწორედ „ბატრიონში“ — გმირულ-პატიოტულ ნაწარმოებში, სადაც უღვადესი ძალით არის აღწერილი ქართველი ხალხის სამართლიანი განმათავისუფლებელი ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ. ეს კიდევ ერთხელ აღსტურებს, რომ ვაჟასათვის არ არსებობდა წინააღმდეგობა უშაღლეს კაცთმოყვარეობასა და პატიოტულ საბრძოლო გმირობას შორის, რომ მისი ჰუმანიზმი და მშვიდობისმოყვარეობა არსოდეს არ ღებულობდა თუნდაც ელფერი პატიოტულისას, ზოლო პატიოტულად გმირობა და თავისუფლებისათვის



ბრძოლა მის შეგნებაში ყოველთვის დაკავშირებული იყო ამ ბრძოლის უმაღლეს პემანისტურ მიზანთან, რომელიც მშვიდობასა და ხალხთა შორის შეგობრულ ურთიერთობას გულისხმობდა.

როგორც ვთქვით, ვაქასათვის სრულიად უცხო იყო საზოგადოებრივ შინაარსს გამოყოფილი „კაცთა შორის სათნოების“ ქადაგება. ეს რომ ზვეწთვის უფრო ნათელი გახდეს, მივაქციოთ ყურადღება ამ საკითხის დაყენებას ვაქას ზოგიერთ პებლიცისტურ გამოცხადებაში.

ჯერ კიდევ 1891 წელს ვაქა-ფშაველამ ერთ-ერთ თავის თეორიულ სტატიაში დაიხსნა მიზნად დაეზუსტებინა „ადამიანურობის“, „სიყვარულის“, „სიბრალულის“ თავისი გაგება, და მან მიზანშეწონილად ჩამთვალა გაველო ზღვარი „სიყვარულისა“ და „სიბრალულის“ მცნებებს შორის. აი, რას წერდა ვაქა ამის შესახებ: „უფიქრობ, რომ სიბრალული სიყვარული სჯობია ბევრით სიბრალული ცოტა არ იყოს ბატონყმური გრძნობა... ნუთუ ეს იმას არა პნიშნავს, მე ბატონი ვარ და შენ ბუნავი ჩემი ყმა? ვის ებრალება სხვა? იმას, ვისაც თავისი თავი იმაზე ბედნიერად მიამწია, რომელსაც იბრალებს და იწყალებს. ღმერთმა ჰქმნას, მომავალმა დრომ სიბრალულის ნაცლად სიყვარული გაამეფოს, მომავალმა მოჩანგემ სიყვარულს უმღეროს, ხოლო დღევანდელ დღეს კი ისევ სიბრალული გასულდგმულებს, რადგან შესაბრალეზსა და შესაწყალებს ბევრსა ეხდავთ. — გვეზრალება, და რამდენადღაც გვეზრალება, იმდენად აღარ გვიყვარს“. ზვენ არ შეიძლება არ გავვაოცოს აქ საკითხის პირდაპირ გორკისებურად დაყენებამ. განა თითქმის ამავე პერიოდში გორკი მტკივნეულად არ განიცდიდა ანალოგიურ საკითხებს? განა ცოტა უფრო გვიან, ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში, სადაც ის „შესაბრალებისა და შესაწყალების“ ცხოვრებას აღწერდა, არ დაუპირისპირა მან ლექსისა და სატირის სახით „სიბრალულისა“ და „სიყვარულის“ კონცეფციები? და განა შემდეგ, მომავალში (სწორად იმ მომავალში, რომელსაც ვაქა შენატროდა) არ მოიხსნა მან ზიდი სიბრალულიდან სიყვარული-საყენ შრომისა და ბრძოლის საკითხების დასმის საშუალებით, მშრომელი და მებრძოლი ადამიანების სახეთა შექმნის გზით? ამავე გზით მიდიოდა დიდი ქართული მწერალიც, რომელმაც გადაჭრით განაცხადა, რომ „შრომა და სიყვარული აძლევს ლაზთს ადამიანის სოცობლეს“, რომელმაც სწორედ შრომაში და ბრძოლაში დაიხსნა — გორკიზე ადრე — „სიბრალულის“ დაძლევის გზა და საშუალება, როდესაც ერთ-ერთ თავის ბრწყინვალე ლექსში განაცხადა მშრომლის სახეთა:

ნუ, ნუ მეძახით საწყალებსა,  
მწყინს ამისთანა მკრთოლად...  
მნაბოლით ყანსუცხმყოფით  
ებრუნავდე შემოკალთული...  
შრომისთვის ნუ შემობრალებთ,  
მე იმაში ვარ გართული.  
ის შეობრალეთ, ხელეპი  
ვისაც იქვს გადახლართული...  
დღეს თუ არა ხვალ, ვიქნები  
ბატონი თავის შრომისა,  
მიწის გულისთვის მოკვადები,  
არ მემინიან იმისა,  
არც თოფის, არც ზარბაზნების,  
არც უფროსების წყრომისა...  
ვიწყებ, ემეველია,  
ცხოვრების განაწყალები.  
მიწა მომეცეთ, შრომისთვის  
ნურაიის შეგებრალებით!

ანალოგია, რომელიც ზვენ დაეუწოთ მოითხოვს, რა თქმა უნდა, სპეციალურ გამოკვლევას და უფრო ღრმა არგუმენტაციას (ჩვენ ამ საკითხს სხვა დროს დაეუბრუნდებით). აქ კი ზვენ გვიანტერესებს მხოლოდ ის, თუ რამდენად იქნა განხორციელებული ვაქას „უფიქრობი“ „სიბრალულისა“ და „სიყვარულის“ შესახებ მის პოეტურ პრაქტიკაში.

ქემანიზმის პრობლემას ეხება ვაქა-ფშაველის თავის „ვევლის-შქაშელშიც“, მაგრამ აქ ეს პრობლემა გადაწყვეტილია საკმაოდ თავისებურად. „ვევლის-შქაშელი“ მრავალბუნაინი პოეზიაა, ქემანიზტური თემა აქ სხვადასხვა ასპექტში წყდება. პირაღულისა და საზოგადოებრივის დამოკიდებულება ადამიანის ცხოვრებაში, სიყვარული და სიბრალული, ადამიანის ბუნებისადმი დამოკიდებულება, ბუნებასთან კონტაქტი, გრიობა, მაღალი იდეისთვის თავდადება, ურყევი პრინციპულობა — ყველა ეს საკითხი დასმულია და გადაწყვეტილი ვაქას მიერ თავისი პემანისტური კონცეფციის შესაბამისად.

ვაქას შემოქმედების შესწავლის დღევანდელ ეტაპზე უკვე საკვებით ნათელი უნდა იყოს, რომ დიდი ქართული პოეტი არა მარტო უმაღერესი კრიტიკით ხედვებდა კაპიტალისტური ცოვიზაციის მახინჯ ნაყოფს — საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამდიდრება-განვითარებასთან ერთად თვით ადამიანის ვალატყევის — შრომისაგან, ბუნებისაგან, საყუთარი ტეშპარტიკი ადამიანური არსისაგან განკერძოებულო, ვანდგომილი ადამიანის ვალატყევის, არამედ არავითარ ილუზიას არ იხიარებდა იმის შესახებ, თითქმის ადამიანის ახალი გამდიდრება პირველ-დაწყებით „მოლიანობასთან“ და „სისრულესთან“ დაბრუნების გზით ყოფილიყოს შესაძლებელი. ვაქას ეპოსის ყველა გმირი ხომ სწორედ ამ პირველ-დაწყებითი, პრაპიტორული „მოლიანობის“ შემობრკავ არტახებს გაურბის, ხოლო



თვით ვაჟა კაცობის განვითარების ამ ორი ისტორიულად არსებული შთავარი საფეხურის— „პირველდაწყებითი მთლიანობისა“ და „კაბიტა-ლისტური რღვევის“ დამძლევი, გადამალაბავი ახალი ადამიანური ურთიერთობისა და ადამიანური შეგნების დაუღალავი ძიებაშია.

ეს ახალი შეგნება ისტორიის რკინისებური ლოკის შესაბამისად — შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კომუნისტური საზოგადოება და კომუნისტური შეგნება და თუ ვაჟა (ისე როგორც ტოლსტოი, რომენ როლანი და სხვები) არ იცნობდა ჯერ მარქსის მოაღივებას, რომელიც მენცერულ საფუძველს მისცემდა მის ძიებას, სამკვიდროდ იგი, როგორც დიდი მოაზროვნე და მხატვარი, არ შეიძლება ასცდენოდა თვით იმ სპირიტუალურ პრობლემატიკას, რომლითაც სწავლავდა ახალი საუბრე, იმ ტყველებს, რაც კაცობრიობის მოწინავე მხატვრების მიერ მომავლისავე გზების ძიებას ახლდა თან. თუ რა მთავარ საკითხებზეა ლაპარაკი, ცხადია თუნდაც მარქსის მიერ კომუნისტების ცნობილი განსაზღვრიდან, რომლის თანახმად კომუნისტი არის „დაბრუნება ადამიანისა თავის თავთან, როგორც საზოგადოებრივ ე. ე. კემპარიტად ადამიანურ ადამიანად, წინაურ განვითარების მიუღი სიმადრდის შენარჩუნებით“ და რომ, როგორც ასეთი, კომუნისტი „ეთიარცა დასრულებული ნატურალიზმი (ბუნებრივობა) უტოლდება ჰუმანიზმს (ადამიანობას) და ეითარცა დასრულებული ჰუმანიზმი უტოლდება ნატურალიზმს“; რომ იგი „ადამიანსა და ბუნებას შორის, ადამიანსა და ადამიანს შორის კამათის კემპარიტი გადწყვეტა, არსებობას და არსს შორის... თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის, ინდივიდსა და გუარს შორის კამათის კემპარიტი გადაჭრა“.

ადამიანის ბუნებასთან, ადამიანის ადამიანთან, ადამიანის არსებობასა მის ადამიანურ არსთან, ინდივიდის საზოგადოებასთან, თავისუფლების აუცილებლობასთან კამათი და მათ შორის პარამონის ძიება — ძნელია სხვა სიტუაციით თვით ვაჟა-ფშაველას შემოქმედების იდეური პრობლემატიკის დედაბოძების ზედმიწევნით კონკრეტული დამსახურება. ამ სიტუაციაში უფლადიერი, რაც ვაჟას აწვალედა, რასაც ვაჟა განიცდიდა, რაზედაც ვაჟა დღენიადაც ფიქრობდა, რასაც იგი თავის უკვდავ ქმნილებებში აქსოვდა და ხორცს ასხამდა. სწორედ ესაა ვაჟას პოემების — „აღუდა ქეთელაურის“, „პატრიონის“, „სტუ-მარმასნიძის“, „გველის-მამულის“, მისი ლირიკისა და პოეტური პროზის, მისი წერილების სოციალურ-ფილოსოფიური დედაბოძები. ვაჟა არ იცნობდა მარქსისტული მოაღივების ყველა მხარეს იმდენად, რომ ოთხმოცდაათიან ან ცხრამისიან წლებში მარქსისტი გამხდარიყო, მაგრამ შეუნიერებელი კომუნისტების მივლი ძალა სწორედ

იმაში მდგომარეობს, რომ მის ამოსავალ დებუ-ლებებს, რომლებიც თვით ისტორიულად განმარტ-ზომიერებას გამოხატავენ, ნებისმი თუ უნდა, იზიარებს ყველა კემპარიტების მძაიბელი. ამიტომ იყო ვაჟაც მატერიალისტი, ამიტომ ახა-სიათებდა მის აზროვნებას ღრმა დიალექტიკე-რობის ნიშნები, ამიტომ იყო დარწმუნებული იგი, რომ ეკონომიური უქედმართობა იყო სა-ფუძველი ყველა თანამედროვე ბოროტებისა, რომ კემპარიტი თავისუფლების მოძიება, როგორც ერისათვის, ისე პირთვნებისათვის, მხოლოდ ეკონომიური უთანასწორობის მოსპო-ბის საფუძველზეა შესაძლებელი, ამიტომაც იყო იგი ბუნებით და შემოქმედებით რევოლუციო-ნერი, მუამბოზე და უკომპრომისი პროტესტან-ტი, ამიტომ იცოდა მან, რომ „ეკონომიური უქედმართობის“ მოსპობასთან ერთად აუცი-ლებელი იყო ახალი ადამიანური მსოფლმეგ-რანებისა და მსოფლშეგნების გამოქმდაევა, რომ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას სპირ-დებოდა ახალი ადამიანი, ამიტომ იბრძოდა იგი ახალი რევოლუციური და ჰუმანიტური „გრამო-ზალი შეგნების“ გამოქმდაევისათვის და, აქე-დელ გამოდინარე, ამკედრებდა ახალ ეპიკურ მსოფლმეგრანებას არა გარდასულ ფორმათა და შეგრანებათა გაყოცხლების გზით, არამედ კაცობრიობის მთელი უქედელის ისტორიის მოშ-ველებით ახლის შესამუშაველად. ვაჟა მომავ-ლისავე ისწარფვოდა წარსულზე და თანამედ-როვეობაზე დაურდნობით, იგი მომავლის ადამ-იანს უმიზნებდა, მაგრამ მან იცოდა, რომ მო-მავალი მეტაფიზიკური „მოცემლობა“ კი არ იყო, არამედ წარმოადგენდა ცოცხალ და დინა-მიურ ისტორიულ პროცესს და ვაჟაც ამიტომ ხელგუნური მყობადის თოჯინებს კი არ აყო-წივებდა, არამედ არსებულთან გამოდიოდა და გარდასულ თუ თანამედროვე ადამიანის სულის მოძრაობის მიმართულებით, მთავარი ტენდენ-ციით იყო პირველ რიგში დანიტერესებული. სწორედ ამიტომ, რომ ვაჟას პოემების გადა-კითხვისას, ზვენც პირველ რიგში უზოვრესად იმის კი არ განვიციტო, რომ ვაჟას ზოგირთი გმირი წარსული ეპოქის მკვიდრია, არამედ იმის ვუოვალთვალბით გულისტვრით და ფიქო-მდელვარებით, რომ ყველა ისინი მომავლისავე მიისწრაფიან, წარსულის არტახებს და ჯაჰვებს ამსხვრევენ, მომავლის ამომავალ ვარსკვლავებს ეთამაშებიან. ამასია აუღლასა და გოგოთურის, მინდიასა და ზვიადურის, ჯოყოვლასა და აღა-ზის უქეწობი ძალა და უქედვება, ისევე რო-გორც ამასია იყო და არის მარადღელი თანა-დროულბა აეთანდლისა და თინათონის, ჰამ-ლეტისა და ოტელისი, ლირისა და რომეოსი, ჯულოტასი და ოფელიასი, დონ კიხოტისა და ფლესტის. არაეინ არ გრძნობდა იაის ვარტების ასეთ ბრინებას და მათს არსებობას სწორედ ასეთს მსოფლიო მწკრივში, ისე ცხადად, რა-

გორც თვით ვეა, და მხოლოდ მისასაღმებელია, რომ ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ (მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ალ. ქუთელიას, გ. ჯიბლაძის, მ. კვცელიას, ს. ჩიქოვანის, გ. ნატროშვილის და სხვათა შრომები) სწორედ ასეთი გასაღები მიუყვანა ამ ბოლო ხანს ვაჟას შემოქმედებითს საგანძურს.

...იწურებოდა მეცხრამეტე და იწყებოდა მეოცე საუკუნე. მსოფლიო ლიტერატურაშიც იწყებოდა ახალი მოძრაობა. კლასიკური რეალიზმის ტიტანებიდან ყველაზე მძლავრად მომავლისაკენ ეს ღბოლვა ტოლსტოიმ და უიტმენმა გამოხატეს. ვეაჲმ კი კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ და საქართველოს ტრაგიკულ პირობებში, ე. ი. მსოფლიო რევოლუციის ყოველგვარ საშუალებას მოკლებულმა, მან პირველმა დაიწყო დამკვიდრება იმ ახალი ფილოსოფიური, ეთიკური და ესთეტიკური პრინციპებისა, მან პირველმა შექმნა ახალი ეპიკური მსოფლ-შეგრძნებით გამსჭვალული ახალი ეპიკური

ფორმა, მან პირველმა შეასხა ახალი ფრთები რომანტიზმს არა რეალიზმის საყრდენად, არამედ მისგანვე გამომდინარე. მან პირველმა შეიტანა ახალი ეთიკური პრინციპი ესთეტიკაში და ქმედითი პემანისტური სული შთაბერა მხატვრის ფილოსოფიას, მან პირველმა შეხედა აღამიანს და სამყაროს იმ თვალთ, რა თვალთაი მისთვის ახლო მომავალში უნდა შეეხედათ გორცისა და მიაკოესეის, რათა რევოლუცია მოეხდინათ მსოფლიო ზელოვნებაში. მაგრამ კაცობრიობის კულტურის საგანძურს ერთი იდეალი თვისება გააჩნია. მასში არა მარტო არაფერი იკარგება, არამედ მის ჰიდილში ჟველა, თუნდაც დროებით მიჩქმალული ფენა თავის საქმეს აკეთებს და, აღრე თუ გვიან, არ შეიძლება არ გამოიშვერდეს და ამჟამად, საქვეყნოდ არ განაგრძოს თავისი უკვდავი ქმედება. ვაჟას ზედის ვარსკვლავი უკვე მსოფლიო ციხე-კედლებზე ამობრწყინდა, რათა შემართოს სინათლე მას და ახალი სიამაყით აატრთოლოს პატარა საქართველოს დიდი და მადლიერი გული.

ა. კვიციანი

## გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების ზოგინებით საკითხი

გალაქტიონ ტაბიძეს სამყაროს თავისებური, უღერესად პოეტური გაგება აქვს. იგი არ არის ვატაყბული წმინდა ფილოსოფიური საკითხებით, საგანთა და მოვლენათა მიზეზებისა და შედეგების დადგენით; მას არც თეორიული ხასიათის წერილები აქვს დაწერილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის „მოაზროვნე პოეტი არ არის“. პირიქით, გალაქტიონის ლირიკულ ლექსებში მეტად ღრმა და ვანოვადებული აზრებია ჩაქსოვილი. ამ აზრების დაბაზონი რომ დადგინდეს, წინასწარ მათი ავტორის მსოფლ-გაგების ზოგადი ფარგლები უნდა მოიხაზოს. ამის გარეშე შეუძლებელიცაა უჩვენი ეპოქის ამ ერთ-ერთი უდიდესი პოეტის მრავალფეროვანი შემოქმედების კომპლექსური გააზრება. შთაბეჭდილებაც ისეთი დარჩება, თითქოს გალაქტიონის შემოქმედებით გზა მართლაც წინააღმდეგობებით იყოს აღსავსე. ან თითქოს მას რაღაც „შველი ტერითის“ მოშორება დასჭირებოდა იდეური განვითარების განსაზღვრულ პერიოდში. ეს მაშინ, როდესაც გ. ტაბიძის შემოქმედება მთლიანად თავიდან ბოლომდე, თუ მის ადრინდელ ლექსებში ზოგჯერ ერთმანეთისაღმი დაპირისპირებული მოტივები გვხვდება, ეს მის მსოფლმხედველობაზე წინააღმდეგობებს კი არ ნიშნავს, არამედ თვითონ ცხოვრების წინააღმდეგობრივ ხასიათზე მიუთითებს. არც რველ-ლუციაშვილი და რველუციის შემდეგი პერიოდის ლექსებს შორის არის რამე იდეური წინააღმდეგობა. გალაქტიონის მსოფლგაგება განვითარების ერთ აღმავალ ხაზს მიჰყვება. მის შემოქმედებაში შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავებული საფეხურები იყოს, მაგრამ არა ერთმანეთისაგან დაპირისპირებული ან ურთიერთგამორიცხველი. რა თქმა უნდა, მის ადრინდელ ლექსებში ზოგჯერ ისეთი განწყობილებებიც ჩანს, რაც შექმნე თვითონ გალაქტიონმა უაწყობ, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არც ეს არის მისი მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრივი ხასიათის მამყენებელი.

ზოგჯერ წერენ, რომ გ. ტაბიძე მხოლოდ ლირიკული პოეტი და რომ მის შემოქმედებას „დრამატული საწყისები არ ახასიათებს“. ეს არ არის სწორი. გალაქტიონის ადრინდელი შემოქ-

მედების ძალა სწორედ მის დიდ დრამატულ დამბელობაშია. იგი უღერესად კონტრასტული ფერებით ხატავს 1905 წლის შემდეგი დროის სულიერ დრამას და არა როგორც „შედაბებით პროგრესულად განწყობილი ინტელიგენტური ფენების პროტესტის“ გამოშვანტული, არამედ რეაქციის პერიოდის მკვეთრი შექმნა-რების რეპრეზენტაციის ფერმწერი. გალაქტიონის შემოქმედებაში ენერგიულადაა ხაზგასმული შავი და ცისფერი, კეთილი და ბოროტი. იგი მთელ სამყაროს წარმოიდგენს როგორც „ორი მრისხანე სტიქიის“ ბრძოლას და ამეც ასპექტით განიხილავს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას „ქვეყნის განვიდან დღემდე“, თანაც იმას ცდილობს, რომ გაიხაროს ეს მანძილი, გადახედოს „საუცუნეთა გრეხილს“ და სწავდეს „წარმოშობათა საიდუმლოს“.

გალაქტიონი პოეტური ინსტიქტით ცდილობს ყური მოჰკრას სახეთა პირველშექმნის „წუნარ შრიალს“, გაიგოს მისი სუნთქვა და ჩასწავდეს არსთა ბუნებას. ქვეყანა მისთვის ისაა, რასაც ხედავს. რაც აღამიანის მხედველობის მიღმა იგულისხმება, განუსაზღვრელობაა. გალაქტიონი გოეთეს ფაუსტიკით განიცდის შიშს ამ განუცნაზღვრელობის წინაშე. ამიტომ ცდილობს იგი პოეტური ინტეგრაციებით „განსაზღვროს უსაზღვროება, დააღვინოს ფარგლები, რომელთა იქით შეიძლება რაღაც უცხო და მიშვიდველი იყოს, მაგრამ არა ოპტიკური სახე ან სურათი. მისი აზრით, პოეტის სული და სამყაროს უსაზღვროება ერთი კატეგორიის მოვლენებია, ერთიც და მეორეც განსაზღვრავს ანუ ფარგლებს დადევნებს მოთხოვნს. „სულს სწუხობს საზღვრებო, როგორც უსაზღვროებასი“ — წერს გალაქტიონი და ამით განსხვავდება იგი იმ „შეოცნებე ნიაპორებისაგან“, რომლებიც მხოლოდ ტრანსცენდენტურ განუსაზღვრელობაში ეძებენ სრულყოფას.

უსაზღვროების განსაზღვრის ან უსასრულობის დასასრულის საკითხი მეოცე საუკუნის ფაუსტურ პარადოქსების ავტორების განსაყურებულ ინტერესს იწვევს. შეიძლება თუ არა განზომილებათა განსაზღვრა, დროისა და სივრცის ფარგლების დადგენა, თუ ისეთ შემთხვევაში

\* წინააღმდეგობრივი პარადოქსები



განსაზღვრელობა და უსასრულობა კარგავენ თავიანთ სახეს? თ. შანის აზრით, დროის ცნება პირობითია, რადგან ხანგრძლივობას საზომი არა აქვს. არც „უზომო საზომი“ კმნის მათს განტოლებას. იგი პირდაპირ სევას კითხვას: „რა არის დრო?“ და ასე მსჯელობს: დრო უსხეულოა და უყოლისშემძლე; ის საიდუმლოებაა, მოვლენათა სამყაროს აუცილებელი პირობა, მოძრაობა — დაკავშირებული და შერწყმული სხეულის არსებობასთან სივრცეში. გატყვევებულია, არსებობის თუ არა მოძრაობა დროის გარეშე, ან დრო მოძრაობის გარეშე? არის თუ არა დრო სივრცის ფუნქცია ან სივრცე — დროსა, თუ ეს ერთდაგივეობაა? დრო მოქმედია. მის უველაზე უფრო კარგად განსაზღვრავს ზენა „გატანა“ (durchbringen), მაგრამ რას ნიშნავს ეს გატანა? ცელილება. ერთმანეთისაგან განსხვავებულია, როგორც „ახლა“ და „უწინ“, ისე „აქ“ და „იქ“. მათ უოფს მოძრაობა, მაგრამ თუ მოძრაობა, რომლითაც დრო იზომება, წრისებურია და თავისთავში დასრულებული, ცელილება იგივეა, რაც სიმშვიდე და უძრაობა, რადგან „უწინ“ განუწყვეტლვ მუორდება „ახლაში“, „იქ“ კი „აქ“-ში და ა. შ. რაც არ უნდა ვეცაოთ, დროს შინაც ვერ წარმოვიდგენთ სასრულად, ხოლო სივრცეს — განსაზღვრულად. ჩვეულებრივად დროსა და სივრცეს „გავიანზრებთ“, როგორც უსასრულობასა და მარადიულობას. შეიძლება ეს არ იყოს სრული კეშმარტება, მაგრამ შინაც უკეთესია, ვიდრე არაფერი. იმალება კითხვა — ხომ არ იქნება მარადილისა და უსასრულის დაშვება ყოველივე განსაზღვრულისა და სასრულის ლოგიკურ-მათმატიკური უარყოფა და ნულთან გათანაბრება? შესაძლებელია თუ არა მარადიულობაში ერთი მოვლენა მიჰყვებოდეს მეორეს, ხოლო უსასრულობაში ერთი სხეული მდებარეობდეს მეორის გვერდით? როგორ შევეთანხმებით იძულებითი დაშვება მარადიულობისა და უსასრულობისა ისეთ ცნებებს, როგორცაა შინძილი, მოძრაობა, ცელილება, ან თუნდაც სივრცის თვალსაზრისით განსაზღვრული სხეულების არსებობა სამყაროში? აქ ერთ გადაუწყვეტელ საკითხს მოსდევს მეორე, დროსა და სივრცის ალტერნატივა კი შინაც გადაუწყვეტლვ რჩება: არც მათთან დამოკიდებულებაა გარკვეულთ ერთნი უსასრულობას განსაზღვრელობას ამტკიცებენ, მეორენი მის განსაზღვრას მოითხოვენ. ეს სელიერად „ფრთავაგული“ დასტურარი ადამიანების საერთო ნიშანია. განსხვავება იმაშია, თუ ვინ სად ზედვას იდეალურის განსაზღვრულ სფეროს — ადამიანური წარმოსახვის ფარგლებში თუ მის მიღმა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გ. ტაბიძემ რომანტიკული წარმოსახვის ტრანსცენდენტურ სამყაროს „იდუმალთა შხარე“ უწოლა. ნ. ბარათაშვილმა განაცხადა, რომ იმ ციური ხატების მიღმა შდებარე საღვერს

ადამიანთა ფიქრნი ვერ მისწვდებიან, „გალატიონი თითქმის შეგუებულია ვაჟ კვანთმხედრობის“ სვედასთან და თავის საწვდუმს ვაჟ კვანთმხედრობას, „რად შინაც მოვწვდევ მოუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს“. ბარათაშვილივით შინაც იცის, რომ არის საზღვარი, რომლის იქით „სივრცის გონება და გრძნობა ველარ სწვდება“, ადამიანის „ბედის საშქლარიც“ იქ არის. ბარათაშვილს უნდოდა თავისი ფრთოსანი მერნით ანუ მეოცნებე სულის დემონური კროლეით გადაეღება ეს საზღვარი. ვაოთვს ფაუსტიც ამისთვის წავიდა „ღედღების შხარეში“, მაგრამ ბოლოს შინაც ცხოვრების სინამდვილეს დაუბრუნდა. ვაეოფშაველამაც უარყო აზრდილების შხარე და პორიზონტზე შეჩერებული უოელისშეაოცებულ შხეს მიიპყრო თვალთ.

გ. ტაბიძე აგრძელებს ამ ტრადიციას. შინაც იცის არსებობა იმ შხარისა, სადაც „შხი“ თვის უცნობი, ჩემი და მოთარეშე“ აზრდილება ცხოვრობენ თავისთვის. „უოველი კევეყნის და დროს გარეშე“. მისი შახელი თვალთ ზედავს „სხვისთვის უხილავ-ფარულს“, მაგრამ თავის იდეალს რეალური სამყაროს ტრანსცენდენტიაში კი არ ეძებს, არამედ პოეტური წარმოსახვის გარკვეულ ფორმებში და ისევე უსაზღვროების განსაზღვრას მოითხოვს. იდეალური, მისი აზრით, პოეტური წარმოსახვის სფეროშია და არა იმ სამყაროში, რომელსაც ადამიანთა ფიქრნი ველარ სწვდებიან. წარმოსახვის ძალა კი უველს ერთნაირი როდი აქვს. ამიტომაც, რომ გალატიონი იდეალურის სფეროს იმ ვენისი შწერალთა თვალთ დანახვას ცდილობს, რომელთაც შეძლებს „განსაზღვრელის“ პოეტური წარმოსახვა ასეთები არიან დანტე, პეტრარკა, შელი, ბაიონი, რუსთაველი და ბარათაშვილი. გალატიონი შთაგონების ძალაში ზედავს იდეალურის შესალებლობის გვეგშს.

ნუ დაღონდები... არსებობს შხარე, სად თანავრძნობაც არსებობს შენთვის, იქ დაუდებარ მეოცნებე სულს ბინა ექნება მუღმა, უოველოვის, იქ შალღებოდა პეტრარკის სული, იქ შესიკობდა თვით დანტეს ქნარი, ღედღამ შვლისა და აპარონის შხილიდ იქ შოვა ნავთსაყუდარი. იქ რუსთაველის დატრიალებდა, შემოქმედების დიდი ნადიმი და იქ რეაქცია უცნაურ გრძნებით ბარათაშვილის შწუხარე სიმი.

შემთხვევითი არ არის, რომ გალატიონი აქ ბარათაშვილსაც ასახელებს. იგი შთაგონებელია ამ დიდი ქართული პოეტის შემოქმედებით, განსაკუთრებით მისი „მერანით“, რომელიც უოველგვარ დაბრკოლებას სძლევეს, რათა „ბედის საშქლარის“ მიღმა იპოვოს თავისსაფარი. გალატი



ტიონის ღერჯა ცხენებიც პოეტური წარმოსახვის იმ სამუაროსკენ მიისწრაფვიან, და არა იღუმალებსა და მარადიულობის მხარეში. იგი პირდაპირ წერს, რომ „სამუდამო მხარეში“ მან ვერაფერი პოვა, გარდა „ცივი და მიუსაფარი მღვმარებისა“ იქ, იმ „საოცნებო უბნში“, არც სულ უხარია, რადგან ირგვლივ მხოლოდ „უსულდგმულო დღეები“ და „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებია“. ამიტომაც, რომ ვალაქტიონის ღერჯა ცხენები იღუმალების მხარისაკენ კი არ მიიჩქარებენ, არამედ სიზმარიან ზვეზებზედ „მისკენვე მოესვენებიან“ და ამის დასადასტურებლად წერს კიდევაც: „უველანი აქ არიან“. ღერჯა ცხენები მისივე ფიქრთა „ზღვის ზეტილია“, საერთო ბედის ტრიალი, გამოუცნობი ქიშკრების წრებრუნვა — თვითონ ის და არა სხვა ვინმე, ვინც მის გარეშეა. ამით ვალაქტიონი თვით ადამიანის შინაგანი სრულყოფის საკითხს აყენებს. მას არც საკუთარი ბედი აკმაყოფილებს. იგი ცდილობს იმაზე მეტს, ვიდრე შეუძლია, ღამობს, ბედისწერის რაკლი გაარღვიოს და გავიდეს შესაძლებლის ფარგლებიდან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის სამუაროს მიღმა რაღაც „საიდუმლოების მხარეში“ ეძებდეს იდეალურის განსახიერებას. ვალაქტიონი არა საამყაროს, არამედ საკუთარი ბედის იქით ეძებს იდეალურს. „ბედის სამძვრის“ ბარათაშვილისებური ვადალაზვა მასთან „ბედს იქით“ ნუგეშის ძიებაშია გამოსატრული.

რომ მომცა ფრთები, აფრინდებოდი,  
გადავდებოდი მე ბედის საზღვარსო, —

ამბობს იგი. დაბრკოლებების ვალაქტიონის ისევე არ ეშინია, როგორც ბარათაშვილს.

დაბრკოლებები? — უამისოდ ზომ  
არც ვგირობას აქვს ძვეუნად ადგილი

ამბობს ის. ამ უსასრულო ქროლის მიზანიც ბარათაშვილურია: მოამთა მისთა სავალი გზის გადაღლება.

ო, შეგობრებო, ჩვენი სერობა  
იქნებ მომავალს შევბას მოუტანს.

მაგრამ ყოველივე ეს ჰაბუტური ოცნებებით გატაცებაა, რასაც ჯერ კიდევ არა აქვს ვარკვეული ფორმა. იგი გზას ვერ იკვლევს რეაქციის პერიოდის ბუნდოვანების „ნისლითა ნამჭერში“.

პოეტი გრძნობს ეპოქის სურთქვას და ტრავმულად განიცდის ყველაფერს, რაც მის ირგვლივ ხდება. იგი ამჩნევს თუ როგორია დამახული გარემო და თვითონაც ზედმეტად დამკვიდრ სი-

მებზე უყრავს. მისი პოეტური ჩანგის ელფრაც ნერვიულია. ზოგჯერ პაროქსიზმულია. ვალაქტიონის ფიქრები კონკრეტულია. მისი ცხენების იხინი ღრუბლებით იშლება, ვართიანდებიან, კვლავ იშლებიან და თითქოს რაღაც უფორმოსა და გაურკვეველ სახეებს ქმნიან. ამ ქაოსურ მოძრაობაში სვედაც არის და იმედოც. ავის გრძნობაც და ბრძოლაც. ვალაქტიონის გზა დაუსრულებელი ძიებაა, ძიება ბნელში, ბერუსში, ანარქიულების „ზუმი თარეში“. ვარსკვლავების კრთომა, ან შუალაშის სიკვადე. მაგრამ ეს არ არის ის „კოსმოსური სვედა“, რომელიც სიმბოლისტ-დეკადენტებს ახასიათებთ. იგი განსზღვრავს დროთაა გამოწვეული და არა სივრცით. ვალაქტიონი არსებობის აზრსა და სილამაზეს კი არ უარყოფს, არამედ გარკვეულ კონთარებას. ჩვენ ქვევით ვნახავთ, თუ როგორი ნახი ფერებით ხატავს იგი ბუნების დიდებულ მშენებლებს, როგორ მიიღტვის მზისა და სინათლისაკენ. ადრე კი, რეაქციის პერიოდში, მას არ შეეძლო ასეთი ხალისიანი ფერებით წერა. ვალაქტიონის პოეზიაში ის მტკავნდებოდა, რაც სინამდვილეში იყო, სინამდვილე კი შეჭი ფერებით იყო წარმოდგენილი. 1905 წ. რევოლუციის დამარცხებამ, როგორც ჩანს, მეტად მიიწვე შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ამიტომ ხატავს იგი ასეთი ბნელი ფერებით იმ „უსულდგმულო“ და „შე არშაიშვოვლებულ“ წლების კომმარტულ განცდებს. ვალაქტიონი პირდაპირ მიუთითებს თავისი სვედის კავშირზე პირველი რევოლუციის დამარცხებასთან. იგი წერს:

სქელი ღრუბელი,  
შავი და ბნელი,  
სამშობლო მხარეს გადაეფარა,  
სხვათა მფენელი  
მზისა ნათელი  
ჩვენს სანუგეშოდ სჩანდა აღარა.  
მაგრამ რა გაქრა ელვამ სიერცეზე,  
მეკლან-მოკლანა მისი სხივები,  
სამარადისოდ მე მომეჩვენა  
გარდმოდენილნი ცით ნაპერწყლები.  
ელვა მსწრაფლ გაქრა,  
ისევე დაფარა  
სამშობლო მხარე უყუნა ბნელმა,  
ცას ცრემლები სდის,  
ვტარი მარადის,  
გული წაიღო ისევე ნაღველმა.

ასეთია ვალაქტიონის სვედის საზოგადოებრივი ფონი. ამ ფონზე შლის იგი თავის შეუდარებელ პოეტურ სახეებს. მასში ეპოქის მაჯისცემა ჩანს და ამიტომაც მისი სიკვადე უფრო საზოგადოებრივი ხასიათისაა, ვიდრე ანთოიდულ-ალური. იგი დროის სულისკვეთებას გამოხატავს და სინამდვილის მეტად დამახულ დამატულ სურათებს ქმნის.

რეაქციის პერიოდი გალაკტიონისათვის უდიდესი გლოვის ეამი იყო. ამ დროს ცხოვრება მას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ჩონჩხების ტყეა ამრდილებს ჩუმი თარეში, ბინდის შერი ამ ღამის კვილი. „შეშლილი ქარი“ კივის და იყარება, არაკვი წებს, ხანდახან საღაღ აჯვარზე გაკრული ელა“ გაიღეებს, მაგრამ წყვდაღი ასეე წაშლის სინათლს, შემოღამების ცელი უკანასკნელ იმედებს მოკვეთს და საწუთროების არარაობით შეშფოთებული პოეტი ასეე საკუთარი „სულის ხმოვანებას“ დაუბრუნდება, თუღა მის სულშიც ისეთივე უდაბნოა, როგორც ვრცელსა და განუთხზურელ ჰეირცეში. ამიტომ მიმართავს ის თავის თავს:

ეხლა შენა ვსურს არაფერი, ო, არაფერი!

ეს არაფერი სიციარიელის გრანობაა, ნულებსი ჯამი, ფიქრებისა და აზრების უმიხნობა. იგი მაშინ ჩნდება, როცა „ამოკალიხის ცხენი კლდეზე გადიამსხვრევა“ და უოველგვარ ნუგეშს „სუნოქვა წყარომევა“. ამ დროს გაისმის გალაკტიონის memento mori. იგი მოუხმობს სკედილს და ფიქრობს, გაკვესს მის „დაფნითა და გვირგვინებით“ მოფენილ გზას, რადგან სინამდვილით ჯვარცმული პოეტისათვის „სკედილის გზა არაა არის, ვარდისფერ გზის გარდა“. უოველივე ეს ლოგოტრია, კანონზომიერი, სოციალური გარემოთი განპირობებული და დიდი პოეტის შინაგანი ზედით გაშუქებული.

აქ ერთ გარემოებას უნდა მივქცეს ყურადღება. ლიბოსი პოეტი, სეარტოა, ყველაფერს საკუთარი თვალთხედვის ასპექტში ატარებს. იგი სინამდვილის ენაიერ სურათს კი არ იძლევა, არამედ საკუთარი გრანობებისა და ფიქრების ფრაგმენტებს ქმნის. ამ ფრაგმენტებიდან სინამდვილის მთლიანობა უნდა აღდგეს. ამიტომ ის არ შეიძლება ერთფეროვანი იყოს, — მხოლოდ ცეცხლოვანი რაშის ქროლეა, ან თავჩაქინდრული მოთქმა ბელის უელშმართობაზე. ცხოვრების „პალიტა მრავალფეროვნებას მოითხოვს, შექჩარდილებს თამაშს, სედალსა და სიზარტულს, გამარჯვებისაკენ ლტოლვასაც და მოწყენასაც. შეიძლება ცხოვრება აღდეს ლავარდოვან ფერებში წარმოდგეს მას, მაგრამ ზედი სეეე „შავმა ნისლმა დანისლოს“ პორიზონტი. შეიძლება პოეტმა საღაღ ელვას მოკრას თვალთ ან ასეე წყვდაღს ჩაბედოს თვალბეში. ყველაფერი ეს მისი „სულის ხმოვანება“, მისი ფიქრი და ოცნება. იგი კი არ აღწერს, არამედ განიცდის. მას არ ჰუავს გვირგვინი, რომელთა სხვადასხვაობაშიც შეეძლოს ცხოვრების სხვადასხვა მხარის გადმოკვება. იგი ვერ დაუპირისპირებს ერთმანეთს ხასიათებს, ტიპებს, საბეებს. მან ყველაფერი თვითონ უნდა თქვას, თვითონ გამოხატოს, თვითონვეა საკუთარი ნაწარმოებუ-

ბის ერთადერთი გმირი. ამიტომ პოეტის სხვადასხვაგვარი განწყობილება ან დამოკიდებულება მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობებზე კი არ ტყდა მონათლთო, არამედ ცხოვრების წინააღმდეგობრივი ხასიათის პოეტურ ფორმებში ასახვად. მთავარი აქაც განვითარების ტენდენციაა, მიმართულება, დასკვნა. თუ მწერალი, საერთოდ, გამარჯვებისაკენ მიისწრაფვის და მომავლის სჯერა, მაშინ მის შემოქმედებაში სეედაც თავის ადვილს იმოვის და უმიდლობის გრანობის ცალკეული მოტივებიც. ასეთ შემთხვევებში კონტრასტული განწყობილება კი არ ასურტებს, არამედ აძლიერებს შთაბეჭდილებას. იმპრესიონისტულ სურათში შეიძლება ათასგვარი ფერი იყოს, მაგრამ ფერთა ამ „ქაოსიდან“ ერთი, მეტად გარკვეული ნახატი წარმოვედგება.

ასეთია გალაკტიონის პოეზია. მასში ყველაფერი — იმედი, სედა, ბრძოლის ენიც და სანაწარმეოთე, სიზარტული და წყველიც, შავი და ცისფერი, მაგრამ უოველივე ამისგან წარმოვედგება ბარათაშვილივით „მოფრეველი სული“, რომელიც თავის ლურჯა ცხენით მიისწრაფვის სინათლისაკენ და კიდევაც აღწევს მას. ესაა გალაკტიონის პოეზიის ძალა, მისი შინაგანი პათოსი და მიზანდასახულობა. თითქმის ყოველი პოზიტორი ფაუსტური პარადიგმის პალიტრაც ასევეა გაშლილი. ეთოლისა და ბორტის, თეთრი და შავი ფერების კონტრასტულ მრავალსახეობაში აქაც ასევე ისახება მარადული პროგრესისა და წინსვლის ღრმა რწმენა. რაც შეეხება ფაუსტურის სპეციფიკურ ნიშნებს, არც ესაა უცხო გალაკტიონისათვის. მასაც აქვს თავისი სულიერი კრიზისის მომენტები. ფაუსტურ პარადიგმებში ასეთ დროს სიტყვას ყოველთვის დემონი იღებს. იგი ადაშინათა სანაწარმეოთეში შლის თავის ფანტაზიას. თვალემაღვრულ ქიშკრას ბორტი სულის ამრდილი წაეფინება და პოეტის წინაშე, ცხადდება როგორც უარყოფა. ზოგი მას მოუხმობს, ზოგსაც თვითონ მოველინება. ხან ხელშეკრულება იღება მასთან, ხანაც „განვედ ჩემვანო“, შესძახებენ. მაგრამ მწუხარების დემონს სულიერად ფრთავაშლილი მეოცნებე მაინც შეუავს თავის „შავი წრის ზადემი“.

აქ იწყება ტრადიციული ფაუსტური კავშირი დემონურთან, რასაც გალაკტიონთანაც, ცხადია, აღეგორიული მნიშვნელობა აქვს. ჩვენც ამ ასპექტში განვიხილავთ მის შემოქმედებას. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნ. ბარათაშვილის „სული ბორტოდან“ და „მერანინდან“ გ. ტაბიძის პოეზიაშივე მართლაც ზელის ერთი გიწვდენაა.

ფაუსტურის ცნების სპეციფიკურ ნიშნებთან გალაკტიონის ზოგიერთი ნაწარმოების პირდაპირ კავშირზე თუნდაც მისივე განცხადება მითითებს, რომ მის დემონებთან სისხლით აქვს ხელშე-



კრება დადებული (ჩვენ სისხლით დადეთ ზღაპრულა). შეიძლება ეს მხოლოდ შემთხვევით ან გარეგნულ ნიშნად მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. სრულიად აშკარად ივანთან, რომ გალაკტიონი თავის მსოფლმხედველობრივ დამოკიდებულებას რეაქციის პერიოდის სინამდვილესთან დემონურ ძალებთან ბრძოლის ასპექტში უღის. მას, როგორც აღვნიშნეთ, ყოველივე არსებულის კოსმოსური მთლიანობა „ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლის“ სახით აქვს წარმოდგენილი:

ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლის  
ბეჭეობიდან ვარ მაცურებელი

წერს იგი. თუ ამ ბრძოლის ხასიათს სწორად ვაფიგებთ, გალაკტიონის შემოქმედების მთლიანობასაც ადვილად დავინახავთ. თვითონ გალაკტიონი ორი სტიქიის ბრძოლის ტოტალურ ხასიათს აძლევს. მისი აზრით, ეს ბრძოლა არათუ მოიცავს მთელ სამყაროს, არამედ კიდევ განსაზღვრავს მის რეალობას. ამის არ შემწინევა ისევე ვაუბრებოდა და ვამარტივებს გალაკტიონის მსოფლგაგებას, როგორც ვაგა-ფშაველას აღიარებებს მისი ვიტალური კონცეპციის გამოცხადება მხოლოდ „გამოსახვის საშუალება“. სამყაროს პოეტური განცდა და ინტელექტუალური სიღრმე რომ ერთმანეთს არ გამოირიხება, ეს თუნდაც გერმანელი პოეტის რაინერ მარია რილკეს შემოქმედებიდანაც ჩანს, მიუხედავად მსოფლმხედველობრივი განსხვავებისა გალაკტიონიც ამ პლანში აღიქვამს სამყაროს. ეს მნიშვნელოვანია და ზოგიერთ შემთხვევაში გადაწყვეტიც კაცმა რომ თქვას, ამის გარეშე არც შეიძლება გალაკტიონის მსოფლმხედველობის კონსპექტური წარმოდგენა. პირიქით, მისი პოეტური შედეგები ცალკეულ მარგალიტებად დაჯგუფებითა და დაკარგავენ ერთმანეთთან იმ მივისებურ კავშირს, რაც მათ ახასიათებთ. ამის სავალალო შედეგი კი ისევე მათი ერთმანეთისადმი დაპირისპირება იქნება და არა ერთ კონსპექტულ წარმოდგენა.

გ. ტაბიძის შეხედულებით, მთელი სამყარო მზეების სისტემადაა განაწილებული. მზე არის არა ერთი, არამედ მრავალი:

მზეები მარჯვნივ, მზეები მარცხნივ,  
რამდენი მზეა რამდენი სხვივით.

ეს მზეები ზესჯანელისა და ქვესჯანელის იარუსებზეა განლაგებული. ერთნი უფროდ ქვევით დანათთან ქვევანას, მეორენი კი — ქვევიდან ზევით.

ერთნი დასკვრენ ცის სიმაღლიდან,  
ჯოჯობხეთიდან ცას — მეორენი.

მათი შეხედვის ზონა ქმნის იმ სასაზღვრო სიტუაციას, რომლის განუსაზღვრელობის განსაზღვრის შესახებ გალაკტიონი უაღრესად უფროვეს განსაზღვრო ზონა წარმოდგენილია, როგორც „სიყვარულის შავი უფსკრული“, საიდანაც ბნელა თავლებით იმზირება „სამარადეამოდ დაუნახავი“.

რუსთაველი დაუნახავის ამ სფეროს „უიცი“ უწოდებდა და რადგან მას ასე ადვილად ვერავინ სწვდება, მისი გმირები შავგობდნენ კიდევ „ვერმიხედლობისა წყენითა“; რუსთაველის აზრით, „ცოდნა ხანს მართ უიციისა“ და არა მხოლოდ იმისი, რაც თავისთავად თვალსაჩინოა. ბარათაშვილმა, როგორც აღვნიშნეთ, განაცხადა, რომ იმ სფეროს აღმანიშნა ფიქრნი ვერ მისწვდებიან. ვაგა-ფშაველამ ყოველივე ამას „უნახავის დანახვა“ უწოდა, გალაკტიონმა კი — „სამარადეამოდ დაუნახავი“. უდავილო არ იქნება, თუ ვაფიგებთ, რომ ფაუსტური პარადიგმების გმირები სულ იმ უკრავ შეუცნობისა და მიუწვდომის სფეროსაკენ მიისწრაფვიან. გოეთესთან ის ბუნების ფარულ მშვენიერებას გამოხატავს და მიწიური სულის სიმბინჯად გვევლინება. ფაუსტურის უახლეს პარადიგმებშიც გამოვლენობის ეს სფერო დემონური ხასიათისაა. იგი თავისებური მიწიური სულია, რომელიც არ გვიმხვს თავის საიდუმლოებას. გალაკტიონსაც ასე აქვს ეს „სამარადეამოდ დაუნახავი“ წარმოდგენილი. იგი ზენთვის „მარადის მიწვდომილია“, მაგრამ ისევე, როგორც ვაგა-ფშაველასთან, ეს „მარადის მიწვდომილი“ არ გამოდის რეალური სამყაროს სფეროდან. ის სინამდვილეა და არა რომანტიკული ტრანსცენდენტრობის, ე. წ. „არაფრის სამეფო“ ან „უსიერეო მხარე“. გალაკტიონი ისტორიულ ასპექტში განიხილავს უკრავ კიდევ „დაუნახავისა და მიწვდომილის“ სფეროს. იგი, მისი აზრით, „საუცუნეთა გრეხილთან“ არის დაკავშირებული და სატანის დემონურ სახეში პერსონიფიცირებული. გალაკტიონი წერს:

საუცუნეთა შორი გრეხილი,  
ზენთვის მარადის მიწვდომილი,  
შორით დაგვიცინის, როგორც ხატანა.

ამრიგად, გალაკტიონის განუწყვეტელი კილით თავის შინაგან დემონებთან იგუე გამოუცნობლობისა და მიწვდომლობის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ფართოდაა გაშლილი ფაუსტურ პარადიგმაში. მაგრამ ეს გალაკტიონის მსოფლგაგების ერთი მხარეა. დემონური მისთვის არ არის ტოტალური ცნება. იგი მხოლოდ ჯოჯობხეთის მზეების ამრდილია. ხოლო გალაკტიონის გაგებით, ამის გარდა არსებობენ ზეცის მზეებიც, რომელნიც ასევე ესერიან თავიანთ ჩრდილებს დედამიწას. ჯოჯობხეთისა და ზეცის



მწეების ჩრდილი სხვადასხვა სახით ელინდებიან, ზეცის მწეებისა — ანგელოსების, ხოლო ჯოჯოხეთისა — დემონების. ორივე იარუსის მწეთა ჩრდილები ერთიანდებიან დედამიწაზე და წინააღმდეგობათა ამქვეყნიერ მთლიანობას ქმნიან. ვალაქტიონი პირდაპირ წერს, რომ აქ „ერთია ორივე ჩრდილი“. თუ კი ზეცის ჩრდილი — ანგელოსი აყვანს არწივს, ჯოჯოხეთის ჩრდილი-დემონი სიკვდილით მოადის. სიკოცხლელ და სიკვდილი კი ადამიანური მთლიანობაა, ასევე სიკეთე და ბოროტებაც. თუთონ ადამიანსაც ირი ჩრდილი აქვს: კეთილისა და ბოროტის. რომელიც ებრძვიან ერთმანეთს. სიკეთე ცდილობს დასძლიოს ბოროტება, განდევნოს ბოროტი სული და გამთლიანდეს, როგორც ერთი. ბოროტება კი, პირაქით, სიკეთის დათრევენას ცდილობს. ეს ბრძოლა საბედისწერია. იგი იწყება ადამიანში და იზრდება კოსმოსურ მასშტაბებამდე, რადგან მწეთა ორი იარუსის — ზეცისა და ჯოჯოხეთის ანარეკლს წარმოადგენს.

ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს ვალაქტიონის რეკლუციამდელი პოეზიის გასაგებად. იგი ისევე ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლაში გამოიხატება. ცოდნის ფუნქტური ბრძოლა უცოდინარობასთან, სიკეთისა — ბოროტებასთან, რაც პოეტურ ანტიკტში დანახულია როგორც სინათლისა და სიბნელის, ღვთისა და ღამის დამარისპირება. იმავე პერიოდის საზოგადოებრივ ურთიერთობათა აღგორბულ გამოხატულებას წარმოადგენს. აქ ორი ძალა ებრძვის ერთმანეთს. ერთმა უნდა სძლიოს მეორეს. ვალაქტიონს არ სურს იყოს ის მეორე, რომელიც უცოდინარობის, სიბნელისა და ბოროტების დემონურ გამოხატულებას წარმოადგენს. მისი სურვილია, იყოს ერთი და მთლიანი, რომელსაც წამოშორდება ამ „საშინლად მეორის“ ჩრდილი. ამ იანუსებური ორსახეობის ანუ ერთისა და მისი საშინლად მეორის წინააღმდეგობა მშვენიერად აქვს პოეტს გამოხატული ლექსში „იღუპილა მეორე სახე“:

შუალამისას, მარტობის საშინელ ეპიოდ.  
 შეწყვეა ჩემი იღუპილი მეორე სახე.  
 გამოუტენობი მღელვარებით ეღვევართ  
 პირდაპირ;  
 • მშვიდი სიკოცხლე რა ამაოდ მე განვიზრახე.  
 თვალწინ მემულება დღეთ წარსულთა მწუხარე  
 რიგი.  
 და უნაყოფო ჩემსა ბრძოლას მაგონებ იგი;  
 და მსურს მე ამ დროს, მსურს უსაზღვრო  
 თავისუფლება,  
 რომ ჩემს მახლობლად არ სუფუედეს  
 წამების დემონი,  
 მსურს არ დაშლევდეს იღუპილი სახე  
 მხილების

და ვიყო ერთი, ყველგან  
 მუდამ მსურს ვიყო ერთი  
 მისილი კავშირები

ბარათაშვილმაც ამიტომ შესძახა ბოროტ სულს, „განვედ ჩემგანო“: არც მას უნდოდა „შხალების სულის“ ანუ „საშინლად მეორის“ მუდმივი თანხლება. კარამაზოვიც და ლევერ-კონიცი ასევე დევნიან იმ „სხედას“, რომელიც ასე ხშირად ჩნდება ფაუსტურ პარადიგ-მებში.

დემონურის აუცილებლობასაც თავისებური არითმეტიკა აქვს. იგი შეიძლება ერთში მეორე იყოს ან ორში მესამე. ერთი ყოველთვის ველისსმობს მის მეორეს, ხოლო ორი — მესამეს. სწორედ ერთში მეორე ან ორში მესამეა ის „სამარადგამოდ დაუნახავი“, რომელიც მუდგზას თვალეზით მისჩგრებია ქვეშაობებისა და თვისსრულყოფის ყოველ მახებელს. ერთი რომ მეორეს შეეშებება, შეიძლება ორივე იყოს, მაგრამ, თუ ისინი დაშორდნენ ერთმანეთს, გამოუცნობლობა ისევე იმ ბნელი თვალეზით მოგვანერდება. „ჩვენ ორივესგან რომელი ხარ ახლა შენ?“ — კითხულობს რაინ-წერ მარია ან დეკე. ამ კითხვის პასუხი შეიძლება მხოლოდ ასეთი იყოს: არც ერთი. ერთი და კიდევ ერთი რომ ორივედ იქცევა, ისეთ ახალ მესამეს ქმნის, რომელიც კვლავ ერთად და კიდევ ერთად არ დაიყოფა. ჩრდილების ეს ერთიანობა ქმნის ერთში იმ „საშინლად მეორეს“ ან ორში-მესამეს, რომლის შესახებაც თ. ელიოტი კითხულობდა. „ვინ არის ის მესამე ჩვენ შორისო“. ორში ამ იღუპილი შესაძის არსებობა ვალაქტიონისათვისაც ნათელი იყო:

ჩვენ მივდიოდით ტაძრისაკენ ორი,  
 იყო საღამო. ლოცვები, ზარი.  
 და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა  
 რტობს ტირილით ამტრევედა ქარი.  
 ენატრებოდა ფრთებს სითამამე  
 უზარუნველობის, შენი სიშორის!  
 მაგრამ უეცრად კოლე მესამე,  
 ვილაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის.  
 და ჩვენ ვყვამოდა ერთ საუბარო:  
 საცაა მოვა სიკვდილის წამი!  
 ტირილია ქარი, კვდებოდა ქარი  
 და მივდიოდით ტაძრისკენ სამი.

ვალაქტიონს ყველგან თანდევს მისი ეს მეორე ან ის „ვილაც მესამე“, რომელიც ორთა შორის ჩნდება. ვალაქტიონი მას ხან შეღისტოფელს უწოდებს, ხან ლეციფერს, ხანც ბელზე-ბელს, ან, სხვაგვარად, „ყოფილ სულს“, „ბინ-ღის სტუმარს“, „მწუხარების დემონს“ თუ



„მხილების სახეს“. ერთ დროს მის თვრამ წალკოტში ნორჩი ყვავილის მოწყვეტა სურდა, მაგრამ ეს სურათები შეურღლა მისთვის და ყვავილს ხალთა გადააფარა. ამაზე გულმოსული დემონი გამოირდა ედემს და ბნელეთში იწყო ფრენა. აქ მისი „მეფეადამიანობის“ სულიერი ტანჯვა ვერაფერს გაიგო. არაფერს შეიწყნარა მისი მუდარა. ადამიანი სიკვდილში შაინც აღწევს ტანჯვის დასასრულს, „უსასრულო სულს“ კი სიკვდილიც არ ეღიარსება. გალაკტიონი წერს, რომ დღის ელვარებით ის მარტო ჩრდილადა გადაქცეული. ეს თვით გალაკტიონის გამწყობილებასაც ეხმარება. ასეთ მომენტში ჩნდება „სისხლით დაღებულ ზღაპერულუბებს“ ძალი. „შვილი დემონი“ დამარწის ამქვეყნად და შერისიძებნის გამო ახშობს აღმობირტ სტრეკლებს. მისი შოქმედების სფერო განუსაზღვრელია. მას შეუძლია მრავალჯერო სახე მიიღოს — დიდუბის ან უკუდავების, ღამის სეველისა ან სასაფლაოს სიცივესი. იგი ყველა მოსახვედში დგას, ყველას სასთმალთან სუნთქავს. ის ხან საყოფაში, სხვისი ჩრდილი, ერთის მეორე ან ორის მესამე, ხანაც დაუნდობელი და ბოზობარი. როცა ის მრისხანე ვეფხვივით მჭინვარებს—თვით გალაკტიონის განწყობილებას ეხმარება. მართალია, ლუციფერს მკაცრია, ბნელი და ცოდვილი, მაგრამ ესოდენ ძლიერ სულს გალაკტიონი ადვილად შეუძნობს ყოველგვარ შეცოდებას და სხვასაც მიმართავს:

შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ-ცოდვილს,  
 ლუციფერს, ზემს სულში ავობით მჭინვარებს,  
 ლუციფერს, მრისხანე ვეფხვივით დაკოდელს  
 და ახლა მძინარეს.  
 შეუნდე, შეუნდე, ჯოჯობებს—ჩემს თვალებს,  
 შეუნდე ზემს ხელებს, ბოროტად დაღებულს,  
 მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს,  
 მე ველი სასწაულს.

მაგრამ სასწაული არ ხდება და სეველი მოსილი გალაკტიონი კიდევ უფრო აფართოებს დემონურის პარადოქსალურ პიპერბოლას. იგი ყველგან და ყველადემონი დემონურ მეორეს ხედავს. „ამ ბნელი დამით ვილაც დაღის საქართველოში“, ამბობს იგი და ჩვენ ვგრანობთ, თუ ვინ არის ეს „ვილაც“, ვიციტ ვაჭრეველობა დემონურის ბნელი თვალებით რატომ იყურება უფსკრულიდან, რატომ არის, რომ ასე უჩემრად მიღის ვილაც ვილაცსთან, სად ჩერდება ის და რატომ უკრავს ვილინობზე სეველიან შელოდებებს. გალაკტიონი წერს, რომ საფლავების ქვესაც ლუციფერის ღანღი ვეფხვიან, სარეცელთან ვილაც უცნობის ჩურჩული ასმის, ვილაც „დემონური არე-დარევიტ“ მის სულში იხედება. იგი გრანობს თავის „მახლობელ დემონს“ და „შისის ჩრდილით“ აჯანყალდება.

შემდეგ პიპერბოლა იზრდება. ბელზებელის

დემონური განფენილობა „კიდითიდე წვდება“ და გალაკტიონის თვალწინ გადაიშლება „ქვეყნისა ბნელი დემონებისა“. იგი „სახედას“ „სახედას“ დედამიწას“ და ზოგჯერ თვითონაც უერთდება „დემონების კორინტელს“. აქ ისევ ის ორი მრისხანე სტიქია ხედავა ერთმანეთს. გამოუცნობლობის სატანა ისევ შედუბას ბნელი თვალებით მისწერება ქვეყანას. იგი დედამიწას ახვევებს თვის „ნაშავებულს და უსივრცო ენას“ ან გოეთეს მეფისტოფელავით ცალ თვალს იზრმავებს, რათა მისი ციკლოპური ხედვა უფრო საშინელი გახდეს. გოეთეს მეფისტოფელმა კლასიკური ვალპურგიის დამეს ცალი თვალი იმიტომ დაიბრმავა, რომ ასევე ცალთვალა ფორკიანების „ლაშხი ერთს“ გამოსულიყო; მაგრამ სიმახრეის ორი ნახევრის შეგრთება ისევე არ იძლევა სილამაზეს, როგორც მკედრის ორი ნახევარი არ ქმნის ილიასთან ცოცხალ ერთს. გალაკტიონის ცალთვალა მეფისტოფელიც იმ ერთის ნახევრობას გამოხატავს, რომელსაც ჯოჯობების მზევით დემონურებს ჩრდილებდა ევლინებთან დედამიწას. რაკი გალაკტიონი დემონურს დროის კატეგორიასთან აკავშირებს, ბუნებრივია, რომ მისი ცალთვალა მეფისტოფელიც ამას გამოხატავს. იგი ბოროტებასთან ერთად სიმახრეცაც ასახიერებს და რეაქციის პერიოდის პლასტიკურ გამოხატულებას წარმოადგენს. გალაკტიონი წერს:

მან დაიბრმავა ეს თვალი განგებ  
 და ამნარად გახდა ციბიერი,  
 მეორე თვალში არის განგება:  
 მეტი სიმკაცრე და სიძლიერე.  
 უმარულიან დენათა შორის  
 მწარე დაცივით მათი მგომბელი,  
 იგი ტრიალებს, ვით თვალი ქორის,  
 ეს საუთუნე — მეფისტოფელი.

ამრიგად, გალაკტიონმა საშუარო ორ სფეროდ გაყო, თვითველ სფეროს თავისი მზევების სისტემა მოუქმენა. ეს მზევები ორ კონტრასტულ ძალად ანუ ორ მრისხანე სტიქიად გამოავლინა და ცხოვრების სინამდვილე ამ ერთმანეთის დაპირისპირებული ძალების ბრძოლად წარმოიდგინა, რითაც დროში გამოვლენილი არსებობის წინააღმდეგობრივი ერთიანობის სურათი წარმოვლდგინა როგორც „საუცუვე-მეფისტოფელი“. გალაკტიონ ტაბიძის მთელი რეაქციული ადელი პოეზია მეფისტოფელური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლას წარმოადგენს. მისი ფაუსტური კოდილი დემონურ ძალებთან პოლიტიკური ბრძოლის ანარეცლია და არა ანრდილებების საშეფოში გაქცივის გამოხატულება. რეაქციის პერიოდში მეფისტოფელური ძალები მივლანდენ ფაუსტურს. გალაკტიონმა ამიტომ უწოდა ამ საუთუნეს მეფისტოფელური. დემონურში იგი რეაქციულის გამოვლენას ხედავდა და ასევე

ასახედა თავის შემოქმედებაში. ამითა გამოწვეული მისი აღზინდელი პოეზიის დიდი საზოგადოებრივი პათოსი. იგი ორივე თვლით უყურებდა სინამდვილეს, მისი პოეტური ხედვა მხეთა ორივე სფეროს სწვდებოდა და ასევე კონტრასტულად ასახავდა თავის ნაწარმოებებში. გალაკტიონი ცხოვრების ერთ მხარესაც უჩვენებდა და მეორესაც. ეს ორი მხარე ორგვარ განწყობდა მას: კმინდა მასში. ერთი მხრივ, სევდიანი და უიმედობისა, ხოლო, მეორე მხრივ, ბრძოლისა და იმედისა. პირველს მარცხენა მხეების („მხეები მარცხნივ“) დემონურ შუქში სჭერებდა, ხოლო მეორეს — მარჯვენის ნათელი („მხეები მარჯვნივ“) ამიტომ ის, რასაც მას მარცხენა თვლით უჩვენებს, სრულიადაც არ გამოიჩნავს მარჯვენით დანახულ სურათს. პირიქით, ორივე თვლით დანახული სამყარო მთლიანობის ერთ პანორამას ქმნის, სადაც ღამის ბურუსი ნელ-ნელა იფანტება და განთიადი „შუადღის გულ-ბოდუნებას“ უერთდება. ეს არის გალაკტიონის შემოქმედების საერთო ფონი და მისი აღზინდელი პოეზია იმავ სიბრტყეზე უნდა იქნეს განხილული. რეაქციის პერიოდის მძიმე განწყობილების დასახტავად იგი არ იშურებს შავ და ბნელ ფერებს. ცხოვრების დრამატული წინააღმდეგობანი მას ტრაგიკულს სიმაღლეზე აყავს, რითაც რეაქციის მეტად ბნელ, მაგრამ მართალ სურათს ქმნის, ისევე ბნელსა და მართალს, როგორც თავის დროზე ბოდუნება შექმნა „ბოროტების ყვაილუმში“. მაგრამ ბოდუნური სინამდვილეს მხოლოდ მეფისტოფელის ცალი თვლით უყურებდა. გალაკტიონი კი მარცხენა თვლით დანახულს — რეაქციას, ბოროტებას, სინდულს — აყავს მეორე თვლით დანახულით — ზეცის მზის ანგელოსური ამრდილების სინათლით, სიყვითლით, და მშვენიერებით. მართალია, გალაკტიონის ზოგიერთი უფრო აღზინდელ ნაწარმოებს აქვს ერთგვარი შემზება წერტილები ფრანგი სიმბოლისტებისა და ელვარ პოს შემოქმედებასთან, მაგრამ ეს „მსგავსება“ ცალმხრივია. არც ისაა შემთხვევითი, რომ გალაკტიონის ლექსებში ასე ხშირად გვხვდება შენიეს, ბოდუნურის და ტემბოს, ვერლენის, კლოდელის, ჟამის და სიუარესის სახელები. სამყაროს შეცნობის თვალსაზრისით მათ შორის თითქოს რაღაც არის საერთო. მაგრამ ეს მსგავსება ცხოვრების მხოლოდ ნეგატიურ მხარეებს ეხება, მზეთა იმ ჩრდილებს, რომლებიც დემონურის სფეროს ეკუთვნის. ვიმეორებთ, გ. ტამბის შემოქმედებაში ეს არ არის მთავარი, რადგან, მისი აზრით, არის მზეთა მეორე სისტემა, რომელიც ზეციდან ანათებს და სიყვითის ანგელოსებად გვლინება დედამიწას.

გალაკტიონი ამ ორი სტაქის ტოვალტრობას ცნობს და არა რომელიმე, მათგანისა... ამასთანავე, წამყვანი და პერსპექტიული უყურებ — სინათლე, სიყვითე, სილამაზე და სიყვითელდება, რაც გ. ტამბის აღზინდელ შემოქმედებაშივე ჩნდება და თანდათან იჭერს გაბატონებულ მდგომარეობას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ გალაკტიონის სევდასაც შეიცლება „მისის მწუხრი“ ეწოდოს. იგი ქართული რომანტიკული პოეზიის ტრადიციებს აგრძელებს და არა უცხოური დეკადენტობის და არისტოკრატიული დენდონისა. მისი აღზინდელი ნაწარმოებები, უპირველეს ყოვლისა, ნ. ბარათაშვილს ეხმარება და ახალ ვითარებაში აყენებს მის ცხოველმყოფელ იდეებს. დასავლეთის დეკადენტური პოეზია კი დემონიზმის კულტს ავითარებს, ე. წ. სატანიზმი და არისტოკრატიული დენდონიზმი მისი დამახასიათებელი ნიშანი. ბოდუნური სინამდვილისა და ბოროტების კულტს იცავს, გალაკტიონი კი, პირიქით, ნ. ბარათაშვილივით ებრძვის ბოროტ სულს ვაჟლენას. დეკადენტობი დემონურის სულისკვეთებითაა გაყვნილი, გალაკტიონი კი მის განთავისუფლებას ეცდობს. დემონიზმის სისლბით მოწერილი ხელშეკრულების მიხედვად, გალაკტიონი მტრულადაა განწყობილი დემონურთან, სიმბოლისტურ-დეკადენტური სკოლის წარმომადგენლები კი დაკავობრებულები არიან მასთან. შ. ბოდუნური წერს, ვინც სატანიზმთან დამეგობრებულები არ ხართ, ამ წიგნს „ბოროტების ყვაილუმს“, ხელში ნუ აიღებთო. ცოდვებისაგან თავისუფალი ადამიანები მის ლექსებს, თურმე, ვერ გაიგებენ. ამისათვის, მისი აზრით, საჭიროა მკითხველმა ჯერ უფსკრულში ჩახელოს ისე, რომ არ შეეშინდეს, და მაშინ შეაძლებს, სატანური სიღრმით ჩასწვდეს მის პოეზიას. ბოდუნური თვითონ აღიარებდა, რომ მისი პოეტური ფანტაზიის სფეროა ბოროტება, შეცოდება და სიმამინჯე. რა უნდა ჰქონდეს საერთო ამას გ. ტამბისთან, რომელიც აღრივე წერდა, რომ მისი შთაგონებაა პოეზია, მუსიკა და სილამაზე. ბოდუნურისათვის სილამაზე ხომ „ქვის სიზმარია“, მარად შეუცნობი სენიქსი და ცვი, როგორც „თოელის გულის თვლება გვილის მკერდში“. მას იტყობს ლუდი მაკეტის სისხლიანი ხელები და „ესქილეს ოცნება გაშლილი ყინულთა შორის“. ბოდუნურს ვერც გაუგია, სილამაზე ზეცის ბინადარია თუ უფსკრულისა, რადგან, მართალია, მას თვალში რადიო უბრუნისავეს, მაგრამ განთიადის მოუგადობელი ბედნიერება მისდევს, როგორც ნაგაბი ძალე. სილამაზე ვადაღის გვაშეხე და, როგორც ფარვანი, იწვის ცეცხლის ალში.

ო სილამაზე: ვრუ. უცოდველო და  
სამაგელო მხეცო,—

წერს იგი ლექსში „ქიშინი სილამაზეს“.  
ასევე მოხმამული ბოდუნურის სიყვარულის





ფილა. იგი სიყვარულს სამოთხის შხაშ უწოდებს, ქალს ვეცლს ადარებს, აღწერს მშვენიერ ასულის გახრწნილ სხეულს, რომელსაც მატლები ეხვევა. ზოგჯერ მასაც „უყვარს სიყვარული“, უნდა, რომ საკეთარი ბედი ქალის სევდიან თვალებში ამოიკითხოს ან ზღვის ტალღებად დაიღვაროს მის სხეულში. იგი ოცნებობს ჩაიძიროს ქალის ტრფილის თვალთან სიღრმეში, ჩაუვლოს მის წამწამების ჩრდილში და ასე მიჰყვას საკეთარ ზმანებათა დინებას. მაგრამ სიყვარულის კვარცხლებსაც დემონის შავი აჩრდილი წყევნება. სიკვამლე კვნება. მას თავს აღგება „აჩრვენილების ოქროსფერი ვანთაილი“, საროს-ქობების აბრეშუმებისა და ფარჩის ქვეშ დამადელი გახრწნილება, ოპიუმის ზურესი და *in vino veritas!* ბოდღერის წარმოდგენით, ქალის გამოხედვა „ყოველთვის ნისლს იცემა“. მას სძულს სატანური სიცივე სილამაზისა, მისი თოვლი და ყინვა. სიყვარულით გაბორბტებული ბოდღერი მზადაა, შვიდი ცოდვა შვიდ ხანჯლად გალესოს და შვიდჯერ ჩაქრას გულში შეევენებას — ჯალათს მისი ღამეებისა.

არც ამას აქვს რამე საერთო გალაქტიონის ნახსა და ცისფერ სიყვარულთან, რომლითაც სუნთქავს მისი არსებობა. იგი ვეაქსებურად გრძნობს სიყვარულის ძალის ყოვლადობას:

უსიყვარულოდ  
 მზე არ სუფევს ცის კამარზე,  
 სით არ დაქრის, ტყე არ კრთება  
 სასიხარულოდ—  
 უსიყვარულოდ არ არსებობს  
 არც სილამაზე,  
 არც უკვდავება არ არსებობს  
 უსიყვარულოდ.

ასეთია გალაქტიონის თვალსაზრისი სილამაზისა და სიყვარულზე, რომელიც პრინციპულად განსხვავდება დასავლეთის დეკადენტური პოეზიის წარმომადგენელთა თვალსაზრისისაგან. ასევე განსხვავებულია დეკადენტური პოეზიის წარმომადგენელთა დამოკიდებულება დემონურთან. ბოდღერი წერს, რომ ადამიანთა ბედის აღიერი უპყრათ დემონებს, რომლებიც კაცთა გონებას დაუფლებიან და მატლებივით ირევიან მათ ტყინში. გალაქტიონმა გამოსტაცა დემონებს ეს აღიერი და თვითონ გააქროლა თავისი ღერვა ცხენები. ბოდღერის აზრით, ადამიანი ყოველდღე თითო ნაბიჯით ეშვება ჯოჯოხეთში, გალაქტიონი კი სულ ზვეით მიისწრაფვის ლავარიდისაკენ. ბოდღერის საუკრავლო ფერი იყო შავი, გალაქტიონისა — ღერჯი და ცისფერი. ერთი ჯოჯოხეთის მზის ჩრდილდება ეფინება პოეზიის პარანასს, მეორე როგორც ზეციური მზის ნათელი. ბოდღერი ყვლაფერს შხაშავს და წამლავს. ცხოვრება მას ისეთ წყველიად

იმისა, რომ ადამიანი ყოველგვარ სიძულეს დაძლევს და დიაცებს თავის უფლებებს სიცილებსათვის, სიყვარულისა და შრომისათვის, ვერაფეთარი ძალა ვერ შეაჩერებს ვინაირავეს ქეშმარიტ მსვლელობას, ვერც ომი, ვერც მსხვერპლი, ვერც განსაყველი, რადგან მშვიდობა ისეთი ადამიანების ხელშია, როგორც იყო ლევანის ძმა, როგორებიც არიან თეთონ ლევანი, ნანა; ახალგაზრდა ჯარისკაცები, რომლებიც ქაღაჭის ქუჩებში მიბაიჯებენ; დაპროლეტები, რომლებიც მოსბატონის ფანჯრებიდან იციქრებიან; — ერთი სიტყვით, ხალხი, ჩვენი დროის მიერ ჩვენ ქვეყანაში აღზრდილი ხალხი. და სახის ეს ორმხრივი მნიშვნელობა მოთხრობაში ყოველთვის გამოირჩევა ხან ინტონაციით, ხან დიალოგის განსაკუთრებულ არტიმით, ხან უმნიშვნელო ქვეტექსტებში. ხშირად კი სხვადასხვაგვარი გამომსახველობითი ელემენტები თითქმის ერთდებიან და ერთი მეორეს ეფარებიან. აი უკანასკნელი ამზაცი თავიდან „მეორე კვირა დღისა“, როდესაც ლევანი ძმის დაღუპვის ამბავს იგებს:

„სახურავზე აღარ გაჩერებულა, ვიწრო სარკმლიდან სხეებზე გადავიღწენ. სხეებზე თბილად და აბეჭერი ქროდა. ნანამ ნელა“ ღუღუნი გაიგონა და სამტრედისკენ მიიხედა.

— მტრედეი მოგრენილან... — თითქმის ჩუჩნულით თქვა მან. ნანას უკანასკნელი სიტყვებიდან ვგრძნობთ არა მარტოდენ თანატრძობის, არა მარტო მზადყოფნას მძიმე უბედურების განხიარებისათვის, არამედ რწმენასაც, რომ ადამიანმა მთელი ძალ-ღონე თავისი ცხოვრებისა ტყუილ-უბრალოდ როდი გაიღო, რომ ახლოსაა გამარჯვება, მშვიდობა, ბედნიერება, რომ სიცოცხლე ზეიმობს.

სხვათაშორის, თავიდან ელამარაობდი გამომსახველობის საშუალებებზე, და დავამთავრე შინაარსით და მოთხრობის იდეითაც კი. ეს კანონზომიერია. ყოველგვარი მხატვრული ხერხი კარგია, თუკი ის სასურველ მზანას აღწევს, — ვეუხმარება ნათლად გადავცეთ შეთხველს ავტორის ჩანაფიქრი მთელი სისრულეთა და მრავალმხრივობით ადამიანთა ხასიათების მკაფიო პლასტიკაში. რადგან ნამდვილი თანამედროვე შინაარსის უქონლობის მიუვლავართ მხოლოდ სტილიზაციისაგან, ნათელი ფორმის უქონლობა კი არსებითად წყვეტს ცოცხალ შემოქმედების პროცესს უკვე ჩანაფიქრის ჩასახვის საფეხურში. ცხადია, თანამედროვეობის ქროლვას ჩვენ ვგრძნობთ მხოლოდ მთლიან ნაწარმოებებში, რომლებშიაც შინაარსი თავისი სულიან ნოვატორულია, და გაფორმებულია გამომსახველობის შესაბამისი თანამედროვე საშუალებებით. იზოლირებულად აღებული ნაწარმოების ყოველგვარი მხარე — აზრს კარგავს, „დამატებული“ ერთად შეეკვირებულნი, ისინი ქმნიან ნამდვილ მხატვრულ ღირებულებას.



ზნია ბაქრაძე

ექზისტენციალიზმი ფრანგულ ლიტერატურაში

40-იანი წლების ფრანგული რომანი დღიად განსხვავდება XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი წლების რომანისაგან. ახალი რომანი არ მოგვეთხრობს რომელიმე პერსონაჟის ისტორიას, არ აცოცხლებს მოქმედ პირებს, არ ხატავს ხასიათებს. ახალი რომანი „ცდილობს ღრმა და უნივერსალური მოწმე იყოს ადამიანისა“, — ამბობს ერთ-ერთი უცხოელი კრიტიკოსი. წინათაც დამყარებელი კავშირი ფილოსოფიასა და ლიტერატურას შორის ახალ დროში უფრო აქცენტირებული ხდება. თანამედროვე მწერლებს დევნიდა, იყვნენ უკიდურესად „გულწრფელნი“, „ნათელნი“, ზოლო ამ მიზნით ისინი ადამიანის შინაგანი სამყაროს ყველაზე ბნელ, ყველაზე დაბურთულ მხარეების აღმოჩენას ცდილობენ. ამ ლიტერატურული მიმართულებების ნაწარმოებთა მოქმედი პირნი არ ემორჩილებიან ცხოვრების კანონებსა და შეიღუვრის ინდივიდუალისტები არიან.

მათი შეხედულებით, თანამედროვე ადამიანს დაკარგული აქვს თავისი არსებობის ავთენტულობისა და ღირებულების გრძნობა, ლტოლვა პროგრესისადმი. სამყარო მისთვის აბსურდულია, უაზროა. აქედან მისი სისოწარკვეთილება. ამ მწერლების მიზანია, არ იტყუონ, არც თავისი თავი მოატყუონ, არ გაუბან ილუზიებში, შავრამ, როგორც ქვეშთ დაეინახათ, სინამდვილეში ისანი უკიდურეს სუბიექტივიზმში ვარდებიან. ამ მიმართულებას ექზისტენციალისტებს უწოდებენ. ზოლო ერთ-ერთი კრიტიკოსი ძალიან ზუსტად უწოდებს მას „შეტიფიზიფერ ნატურალიზმს“<sup>1</sup>. თვითონ ტერმინი ექზისტენციალიზმი ფილოსოფიური ტერმინია და, თანაც, ახალი არ არის. ექზისტენციალიზმი არის ფილოსოფია, რომელსაც აღარ აინტერესებს დიდი მასშტაბის საკითხები, სოციალ-ეკონომიური პრობლემები. ექზისტენციალისტები სამყაროს განვითარებისა და შეცნობის საკითხს ინდივიდუალ ცვლიან და სამყაროს განვიციდენ „თავის თავის შიგნიდან“<sup>2</sup>.

1935—40 წწ. საფრანგეთში წარმოშობილმა ახალმა ლიტერატურამ სხვათაგან ვლადიმერ მაისაკა ექზისტენციალიზმს.

ექზისტენციალიზმისათვის ადამიანი არაფრით არ არის დეტერმინირებული. ის გადაგდებულია აბსურდულ სამყაროში, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ კანონს. ადამიანი მოკლებულია რიიმე სავარდენს, ის არაფრისაგან არ მიდის, მას არაფერი ზელმშვეანლობს, ის სრულიად თავისუფალია და მასზეა დამოკიდებული მისცეს თავის ცხოვრებას რაიმე აზრი სიეთისა და ბოროტების ცნებების გარეშე.

ექზისტენციალისტებმა ცალკეული ინდივიდი დააყენეს განვიციდეს ცენტრში და მასთან დაკავშირებით ძირითადი ადგილი დაუთმეს ამ საკითხებს.

ექზისტენციალისტებს აინტერესებთ სწორედ ეს ცალკეული ინდივიდი, მისი არსებობა. ისინი აღწერენ ყოველ შინაგან მოძრაობას, ყოველ ინსტიტუტურ ექსტს, სანამ ჩაერეოდეს გონება, რომელსაც ყოველთვის ლოგიკა შეაქვს მასში. „აბსტრაქტული აზროვნების მიზანია აბსტრაქტულად გაიგოს კონკრეტული, სუბიექტურ მათაროვნეს — ანუ ექზისტენციალისტს, მიზნად აქვს კონკრეტულად გაიგოს აბსტრაქტული“<sup>3</sup>.

ექზისტენციალიზმის მიხედვით, სამყაროსი და თავის თავის განციდის პირველი ეტაპი არის გაყვირება არსებობისა. ე. მარსელი ამბობს, რომ „არსებობა განუყოფელია გაყვირებასთან“. ექზისტენციოლისტების თითქმის ყველა მხატვრულ ნაწარმოებში ამ მომენტს უდიდესი ყურადღება ექცევა. („გულზიდა“ (La Nausée) — სარტრი, „დაცემა“ — (La chute) კამიუ და სხვა). ეს არის მომენტი არსებობის აღმოჩენისა.

ექზისტენცია — არსებობა არის არა მდგომარეობა, არამედ აქტი, გადასვლა შესაძლებლობიდან რეალობაში. არსებობა არის გამოცევა იქიდან, რაც არის და გახდომა იმად, რაც წინათ მხოლოდ შესაძლებელი იყო. ეს არის ადამიანისთვის ძირითადის დამახასიათებელი. ეს არსებობა, ეს გახდომა გულისხმობს თავისუფ-

<sup>1</sup> G. Picon, „Panorama de la Nouvelle litterature Francaise“ გვ. 100.

<sup>2</sup> დწერალებით იხ. კ. ბაქრაძე, ექზისტენციალიზმი, „შინათბი“, 1960, № 11.

<sup>3</sup> R. M. Albères, Jean Paul Sartre



ლებს, გავივრებებსა და არსებობის შეგრძნებას მოსდევს თავისუფლება. რა არის თავისუფლება ექზისტენციალისტების მიხედვით? ექზისტენციალისტური ნაწარმოებების გმირებისათვის არ არსებობს ღმერთი, არ არის რწმენა, რელიგია, ავტორიტეტი, არ არის კანონი, არ არსებობს ცხოვრების აზრი. ადამიანები წარმოადგენენ აბსურდული სამყაროს თაჯინებს, უბალოებსა და სუსტებს. სამყარო თავისი გრანდიოზულობით ჰუმულტს ადამიანს. აქ აღარ არსებობს ადამიანობა, საკეთილ, გამეფებულია ინსტინქტი, მორალტება. გაქურდა იმედი, მიზანი, ოცნება, მომავალი. აქედან — უიმედობა, სასოწარკვეთილება, ტრაგიზმი. ერთადერთი ქვეყნარტება არის სიყვდილი. ადამიანს შეეწობილი აქვს თავის შესაძლებლობათა ზღვარი, იცის სიყვდილის გარდუვალობა. ადამიანი, რომელმაც ეს ყველაფერი იცის, განათვისუფლებულია ყველაფრისგან, და ეს თავისუფლება ტრაგიკულია.

თავისუფლებას მოსდევს შიში — შიში თავისუფლების წინაშე, რადგან თავისუფლება ადამიანზე უნდა არჩეული მოახდინოს. თავისუფლება, პასუხისმგებლობა და შიში თითქმის ერთდროული მოვლენებია ადამიანში. თავისუფლება იწვევს შიშს, თუ რისთვის არის ადამიანი; პასუხისმგებლობას, რადგან მან რაღაც ხომ უნდა გააკეთოს ამ ცხოვრებაში და ამ პესიმიზმით მოცულ ცნებების კულმინაციური პერტილია არჩევანი, როგორც გამოსავალი ამ ტრაგიკულ მდგომარეობიდან და ის, ვინც ახლან არჩევანს, ის უკვე ქვეყნარტად არსებობს. მხარამ ყველა ადამიანს არ შეუძლია ქვეყნარტად არსებობა. სარტრის და პილტვერის ტერმინით, უმეტესი ადამიანებისა არიან „on“<sup>1</sup> რომელთაც არ შეუძლიათ ნამდვილი არჩევანი და არ ახასიათებთ ნამდვილი არსებობა. ნამდვილად არსებობს მხოლოდ ის, ვინც თავისუფლად ირჩევს თავის თავს, რომელიც ქმნის თავის თავს, რომელიც თვითონ არის საქთარი შემოქმედება. ერთ-ერთი ექზისტენციალისტური ნაწარმოების გმირი ქალი აღტაცებაში მოდის თავის ამზანავის გამო: „სწორედ ეს არის ასე ძლიერი თქვენში, რომ თქვენ აქმაყოფილებთ თქვენს თავს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თქვენ თვითონ შექმნილი თქვენი თავი“<sup>2</sup>.

ექზისტენციალისტური ლიტერატურული მიმართულება საფრანგეთში დაიწყო 1935-40 წწ. და ომის შემდგომ პერიოდში მან მოიცვა შთელი ლიტერატურული სფეროები. საზოგადოება იჩინს უდიდეს ინტერესს, მწერლები დგებიან მის პოზიციებზე, ახალგაზრდა თაობები

ამ მიმართულების გავლენის ქვეშ იქცევიან, ამ სკოლის მწერლები მიხეიული უნდა იყოს მიმცემად, ისინი ბეჭდავენ ვრცელ ჟურნალებს გაზეთებში, გამოდიან საჯარო ლექციებით. ფრანგული ექზისტენციალისტური სკოლის ბელმძღვანელი და მამამთავარი სარტრი დიდ პიროვნებადია გამოცხადებული. შეიძლება ითქვას, რომ ექზისტენციალიზმი ომის შემდგომ პერიოდში მოდელ იქცა. საინტერესოა საკითხი, თუ რით მოიპოვა ამ მიმართულებამ ესოდენ დიდი პოპულარობა და როგორ მოახდინა მან გავლენა ახალგაზრდობაზე?

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ დაიწვა საკითხი ინდივიდის სრული თავისუფლებისა.

ანდრე ჟიდი თავისუფლების გაცებაში იქამდე მიდის, რომ ის უმოტიეო, დაუსაბუთებელი საქციელის („l'acte gratuit“) მქადაგებელი ხდება. ეიდი თავის გმირ ლაფკადიოს<sup>1</sup> კიდეც აღწევინებს ამ „თავისუფლებას“ (ლაფკადიოს „თავისუფლება“ მდგომარეობს იმაში, რომ ის ვაქანებულ მატარებლიდან ადგებს მოზულ მამაკაცს მარტო იმიტომ, რომ თავის თავს დაუშვაციოს შინაგანი ძლიერება). ამგვარად გავებულ თავისუფლების ქადაგებით ეიდი პოპულარობა და გავლენა მოიპოვა საფრანგეთში. იმავე პოპულარობას იხვეკს სარტრი 40-იან წლებში. ისევე „თავისუფლებებს“ ქადაგებით. მარტამ ეიდისა და სარტრის შორის დიდი განსხვავებაა.

ეიდი თავის მხატვრულ შემოქმედებაში სვამს თავისუფლების საკითხს. ამასთან მისი თავისუფლება აბსოლუტურად უმიზნოა, ის არაფერს ემსახურება.

ეიდისაგან განსხვავებით, სარტრი ფილოსოფოსია, ის თავის ფილოსოფიურ შრომებში მოცემულ თეორიებს ანსახიერებს ლიტერატურულ ნაწარმოებებში და მხატვრული ნაწარმოებები სწორედ მისი აზრების განსახიერებად სქირდება. ყველაზე გასაგები ფორმა ექზისტენციალისტური თეორიებისა რომანი და დრამაა. „მხოლოდ რომანს ან დრამას აქვთ შესაძლებლობა განსახიეროს სრულ კრეალობაში, დროში, ორიგინალური საზე არსებობისა“, წერს სიმონა ლე ბოუვარი.

შეიძლება ითქვას, რომ სარტრმა და ბოუვარმა, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდობაზე შეძლეს მოეხდინათ გავლენა თავიანი შეურიგებლობით იმდროინდელი ბერკეუზიული სამყაროსადმი ძველი დროშოქმედი, უაზრო კანონებით და ტრადიციებით, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ინდივიდუალობას და გასაქანს არ აძლევენ მას. პირველი ნიშანი ექზისტენცია-

<sup>1</sup> „on“ — უპირო ნაცვალსახელი, გადაკეთებული არსებით სახელად. (მასში იგულისხმება საშუალო ადამიანი).

<sup>2</sup> Simone de Beauvoir, „Le Sang des autres“, გვ. 18.

<sup>1</sup> ა. ეიდის რომანის „ეტიკანის ჯერბმულეების“ მოქმედი პირი.

ლიზმის პოეტულობისა იყო შეუთავსებელი ბრძოლის გამოცხადება ძველსადმი. მაგრამ ძველ ღირებულებების დაკარგვისთან ერთად განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შედეგად, ძველის უარყოფასთან ერთად ექსისტენციალისტები ყველაფერს სპობდნენ. მაგრამ რადგან რწმენა არ ჰქონდათ, რათა ახალი შექმნათ, ამიტომ ამ მიმართულებას თავიდანვე პესიმიზტური ელფერი ჰქონდა. ამ პესიმიზმის ვარძაყებს ხელი შეუწყო სოციალურ-ეკონომიურ პირობებმა.

თანამედროვე ბერტეაზის გამოუვლი მდგომარეობის შესახებ მწვერივად წერს ამავე მიმართულების ერთ-ერთი მწერალი, სიმონა დე ბოვეარი სტატიაში „მემარჯვენეთა აზრი დღეს“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „Temps modernes“: „ყველასათვის ცნობილია, რომ თანამედროვე ბერტეაზია შიშით მოცულია. ევროპის სიკვდილი, დასავლეთის დაცემა, ერთი სამყაროს ბოლო; ბერტეაზია ცხოვრობს კატაკლიზმის გარდევლობის აზრით, რაც მას გაინადგურებს... ბერტეაზიამ დაიწყო საეკლესიო წინააღმდეგობა... მემარჯვენეთა აზრი დღეს იდეალისტურია, ის უგულვებელყოფს ისტორიას, რეალობას, რადგან მის საფუძველში წინააღმდეგობაა მისჯილი კლასის რეალურ ცხოვრებასა და იდეოლოგიას შორის, რომელიც ფარავს და ამახინჯებს ამ რეალობას“.

ამ სოციალურმა პირობებმა განსაზღვრეს წამდვილად პესიმიზტური თეორიის ტენდენციების ვარძაყება და მან მტკიცედ მოიკილა ფეხი არა მარტო საფრანგეთში, არამედ მის საზღვრებს იქითაც. ომის დროს, ზოგიერთი პატივსაცემი და პატიოსნად ჩათვლილი მწერალი შეუროგად დამარცხდა და პატივმოყვარეობამ ისინი ვერმანელთა სამსახურში დააყენა. ოკუპაციის დროს კი საქართველო იყო მტკიცე პოზიციების დამკვირვებელი. ომამდე სარტრის მთელი შემოქმედება მკვეთრი ინდივიდუალიზმის მატარებელია (გერმანელი ფილოსოფოს იდეალისტ ჰაიდეგერის მიმდევარი), ხოლო ოკუპაციის დროს ის შეუერთდა წინააღმდეგობის ჯგუფს, რომელიც ერთადერთი მტკიცე ნებისყოფიანი ჯგუფი აღმოჩნდა (წინააღმდეგობის ბანაკს შეუერთდა აგრეთვე მეორე ექსისტენციალისტი მწერალი ალბერ კამუ, შემდგომ მთლად რეაქციულ პოზიციებზე გადასულ).

ომის შემდეგ სარტრისა და მისი მიმდევრების წინაშე (ომის დროს ისინი იცავენენ სამშობლოს, ჩაერგნენ ტყვედ და ვაჯიანენ სიკვდილს) ახალი პირობებები დაისვა. ისინი დეტალურად გაეცნენ მარქსისტულ ფილოსოფიას და დარწმუნდნენ კომუნისტური პარტიის დადებით როლში. მარქსიზმის ზოგიერთი მხარე მათთვის მისაღები აღმოჩნდა, თანაც ამერიკულ

ლი იმპერიალიზმი მათ გულზე არ ეხატო და ამიტომ ზოგი ექსისტენციალისტები მწვერივად სარტრი მრავალ ცდას უწევდნენ, რათა პროგრესულ ბანაკს მიკედლებოდა და მარქსისტული თეორია ექსისტენციალისტურ თეორიასთან დაეკავშირებოდა.

მაგრამ ექსისტენციალისტებმა ასე იდეალად ვერ დასთმეს თავისი პოზიციები, აგრეთვე ვიწრო ინდივიდუალისტურ ჩარჩოებში ჩაეტილი თეორიები. ამიტომ ზოგი მათგანი ისევ ძველ თეორიებს დაუბრუნდა, ზოგი გაუთავებელ ყოყმანშია და ა. შ. ამ გურჯვეულობაში და ყოყმანში ჩანს, რადგან დაბნეულია თანამედროვე ბერტეაზიული ინტელიგენცია თავის ძიებებშია ხედვას რა კაბიტალისტური სამყაროს უარყოფით მხარეებს, მის უმოქმედებასა და უსუსურობას, მას ვერ გადაწყვეტია ამოქმედდეს, რადგან უშინია დაკარგოს ის ძვირფასი „ინდივიდუუმის თავისუფლება“, რომელიც მან მოიპოვა და რომელიც მას არაფერს აძლევს (სარტრის ბოლო ნაწარმოების გვირთ ამბობს, რომ მას არ უნდა ეს „ამაო თავისუფლება“). სწორედ ამიტომ ზოგი ექსისტენციალისტი თავის თეორიებს არ უარყოფს, ებლაუჭება მათ, მაგრამ მარქსიზმის დადებით მხარეს ხედვას დაცვილობს მათ გავრთიანებას (სარტრი); ზოგი უფრო ღრმად შეიჭრა ექსისტენციალისტურ ანსურდის თეორიაში და უკიდურეს რეაქციულ პოზიციებზე დადგა (კამუ); ზოგი კი სოციალურ საფთხებს აყენებს უკვე წინა პლანზე და შედარებით უახლოვდება რეალიზმის პოზიციებს (სიმონა დე ბოვეარი). ასევე იქცევიან მათი გმირები.

ექსისტენციალისტთა ბანაკს აყუთვნებენ კიდევ მალროს შემოქმედების შუა პერიოდს, აგრეთვე ეორე ბერნანოსის შემოქმედებას და სხვ., მაგრამ ჩვენ მათ არ შეუვებებით. ჩვენ წერაილი ეს არის ცდა იმ მწერლების ძირითადი პროზაული ნაწარმოებების მოკლე მიმოხილვისა და ანალიზისა რომლებიც ნათლად გამოხატავენ ექსისტენციალისტურ პრინციპებს.

#### ენ-პოლ სარტრი

ფრანგულ ლიტერატურულ და ფილოსოფიურ ექსისტენციალიზმს უველაზე ფართოდ წარმოგვიდგენს ენ-პოლ სარტრი. სარტრი ერთი პირველთაგანია საფრანგეთში, რომელმაც გერმანელი ფენომენოლოგები შეისწავლა და ფილოსოფიური ნარკვევები დაწერა ახალგაზრდობაში, ხოლო შემდგომ სქელტანიანი წიგნები. 1938 წელს ის ანებებს თავს პედაგოგიურ მუშაობას და მისდევს სამწერლო მოღვაწეობას. უნდა ითქვას, რომ სარტრმა უშთავრესად

დალაგა და სისტემაში მოიყვანა“ ვ. წ. ფერონ-მენოლოგების — ჰესერლისა და პიდეგერის თეორიები. სარტრი ახალ აზრს არ იძლევა, არამედ, მისივე გამოთქმით, ნათელს ხდის, აფართოებს და კომენტარს უყუთებს მათ ნაშრომებს, მათ მიერ დასმულ პრობლემების გაშუქებას უკლიობს. ექსისტენციალისტების ძირითადი პრინციპები აღამაინათა მარტოობის, თავისუფლების, პასუხისმგებლობისა და შინის საკითხები სარტრთან სისტემაშია მოყვანილი და მისი სიახლე მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ მათი დალაგება, ახსნა და გამოსავლის პოვნა სცადა არა მხოლოდ ფილოსოფოსმა ან და მხოლოდ ლიტერატორმა, არამედ აღამაინმა, რომელიც ერთდროულად ფილოსოფოსიცაა და ლიტერატორიც.

სარტრისათვის, ისევე როგორც სხვა ექსისტენციალისტებისათვის, მთავარი ობიექტი არის აღამაინი. მისი ერთადერთი სამყარო არის სიმწიფეში შესული აღამაინი, რომელსაც აქვს აზროვნების, პრობლემების დასმის უნარი. მის რომანებში ვერ ვხედავთ მოკვლევებს, ასევე არავითარ ნასახს რომანტიული ავანტურისა ან სილამაზისა. აღამაინი სარტრისათვის ჩაყვტილია თავის აღამაინურ ცნობიერებაში და მას არავითარი კავშირი არა აქვს მიწასთან, ბუნებასთან, ვარე სამყაროსთან. უფრო სწორად, სარტრს სხვა ექსისტენციალისტებისაგან განსხვავებით აინტერესებს მხოლოდ აღამაინი და ცნობიერება (მაგალითად, კამიუ ზოგ ნაწარმოებში გამოსავალს პოულობს იმაში, რომ აღამაინს და ბუნებას აერთიანებს, მალრო აღამაინს მარადისობასთან აკავშირებს, კათოლიკე მწერალი ბერნანოსი — ღმერთთან და სატანასთან).

სარტრთან აღამაინს არა აქვს საფუძველი, ვარეუ სამყაროსთან მას არაფერი აკავშირებს, ის ვადგდებულა სამყაროში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღამაინი თვითონ არის თავია საფუძველი, თვითონ არის ღირებულება და რაკ ის არაფერზე და არავისზე არ არის დამოკიდებული, ის თავისუფალია. ის თავისუფალია, რადგან მას არ აწუხებს წარსული, არც მომავალი, არც მოწალი, არც სოციალური მდგომარეობა, არც ცრურწმენები, მას არცინ კარნახობს მოქმედებებს — არც ღმერთი, არც რაიმე ვარეუ კანონი. მაგრამ ეს აღამაინები აბსტრაქტული პიროვნებები არ არიან, ისინი ცხოვრობენ ფსიქოლოგიურ, ისტორიულ და სოციალურ რეალობაში. მაგრამ ეს სიტუაცია განსაზღვრელი არ არის. სიტუაცია ეს არის თავისუფალი არჩევანი ყოველ წუთს. აღამაინი არჩევს და ამ არჩევანშია სწორედ პასუხისმგებელი. რა მოუვათ, რას გადასწყვეტენ რომაინს გმირები, ჩვენ წინასწარ ვერ ვიტყვით, რადგან ისინი ყოველ წამს „თავისუფლად“ მოქმედებენ

და თავის თავს ირჩევენ. აღამაინური ცხოვრების ყოველი წუთი ეს არჩევნება (სარტრის გმირები ტრავისშით არიან მდგომარეობაში) ვარეუო მათთვის აბსტრდულია, ისინი გამოკეტილნი არიან თავის ნაუქუში და არაფერს ხედავენ ვარეუ თავისი სასოწარკვეთილებისა. მათთვის არ არსებობს, არც სიყვარული, არც მეგობრობა, ყოველთვის თან ახლავთ იმედის გაცრუება და სიბუღელი ვარეუოსადმი. საჭიროა გამოსავლის მოძებნა. გამოსავლად არ ჩაითვლება არც ოცნება, არც იმედი, რადგან არც ერთი გონებისა და ცნობიერების მოტანილი არ არის. ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ ნათლად და გონიერად დაეინახოთ სამყაროს აბსტრდულიობა, აღამაინის ზედმეტობა ამ სამყაროში, მარტოობა, რის შემდეგაც შეიძლება რაღაც გამოსავალზე ლაპარაკი. ეს გამოსავალი არის თავისუფლება. ამ თავისუფლების შესახებ სარტრი წერს თავის სტატეებში ენთუზიაზმითა და სიყვარულით. მაგრამ ამ ცნების რეალიზაცია მის რომანებში დამაკერებელი არ არის. სარტრი ფიქრობს, რომ მისი გმირები თავისუფლები არიან; თვით გმირებიც ამას ფიქრობენ, მაგრამ შეთხვევს არ რჩება ეს მოთბეულება. სარტრის გმირები ჩვენ წარმოკვიდეებიან როგორც ნატანჯი, გენწირული და საცოდავი, სასიციოებლო ენერჯიას მოკლებული პიროვნებანი. სარტრის გმირების „ძალა“ მდგომარეობს იმაში, რომ ისინი აბერხებენ სრულიად ვანზე დაღვოპას სამყაროსაგან, უფაროვენ ყველაფერს, მაგრამ ეს თავისუფლება არ არის. მათ არაფერი რჩებათ და ისინი არაარში ვარდებიან. საჭიროა ამ არარას, ამ სიცარიელის შეესება, ზოლო რით და როგორ შევისოს ეს სიცარიელე, რითი ვადილაბოს ეს სასოწარკვეთილება, — ეს საკითხი ღიად რჩება. საჭიროა ეს თავისუფლება აფარისათვის ვადიქმნას თავისუფლებად რიიმესათვის. და სარტრის უკანასკნელი ნაწარმოების გმირი თითქოს ნაბიჯს ღვამს წინ, როცა თავისუფლებას მოქმედებაში ვადიუყვანს. (მატიე დეღარიუ „თავისუფლების ვებუში“).

სარტრის გმირები თითქმის ყოველთვის ინტელიგენტები არიან, ადუოკატი იქნება თუ მასწავლებელი, ლიტერატორი თუ ენციკლოპედიკი. — ყველა ეს გმირი „დაკარგული თაობის“ წარმომადგენელია, რომლებიც ძრწინან შიშით ვეშეულებელ აბსტრდულ სამყაროში, რადგან მათი ყოფიერება უაზრო, უმიზნოა.

სარტრის პერსონაჟები თითქოს აეტორის მიერ კი არ არიან დაბატული, არამედ თვით ბსნიან თავის თავს ცნობიერების შეშეოოთ, ერთი გმირის ხასიათს ჩვენ ვიგებთ თვით ამ გმირის შინაგანი მონფლოგით, თეითანალოზის შედეგად. აგრეთვე სხვა გმირების გამოთქმებით მასზე. მთავარი არის გმირების შინაგანი სამყარო, რომელიც თეითანალოზითა მოკემული.

ობიექტური სამყარო სარტრისათვის, ისევე როგორც სხვა ექსისტენციალისტებისათვის, მყოფადია. ასეთი მანერით წერა აწვევს შთაბეჭდილებას, რომ ცნობიერების ცხოვრება სრულად განცალკევებულია ადამიანის მოქმედებებისაგან, რომ ის არის მამოძრავებელი. ამ მხრივ ექსისტენციალიზმზე დიდი გავლენა მოახდინა ფრეიდიანტლმა თეორიამ ქვეცნობიერის შესახებ. სარტრი უარყოფს თავის რომანებში ცხოვრების რომანტიზაციას, ის არაფერში არ თვლის სპირიტულ დანიშნოს სიღამებზე (უფრო სწორად, დანიშნოს ეს არა, არ ხედავს არც რომანტიკულს, არც ლამაზს.) სიყვარული სარტრის მიერ ვადამკვეთელი უმძაბლეს და ბანალურ ამბად, ის ყველგან უკიდურეს ნატურალიზმამდე მიდის სასიყვარულო სიყვარულში, ცინიკურ დიალოგებში, მის ატიკურ რომანში ნამდვილი დიდი სიყვარული არ არის მოცემული. შწერალი ცდილობს რაც შეიძლება უსიამოვნოდ დახატოს შუყვარებულების შეხვედრა, მათი საუბარი. ზნობად მის რომანებში ვხვდებით ადამიანის ფიზიოლოგიის შიშვლად წარმოდგენას.

სარტრის შემოქმედება მთლიანად ექსისტენციალისტურია. პირობითად მას ორ ეტაპად დავყოფთ, პირველ პერიოდში სარტრს შეიძლება ფსიქოლოგიური და მორალური ნაწარმოებების ავტორი ვუწოდოთ, ხოლო მის შემოქმედებას — ინდივიდუალიზტური. ეს არის პერიოდი, როცა სარტრისათვის ადამიანის საბოლოო მიზნად გამოცხადებულია „თავისუფლება“ (არსებობის აღმოჩენა, პასუხისმგებლობა, შიში და გულზიდვის მდგომარეობა). ეს პერიოდი მეორე მსოფლიო ომის დამყვამდეა. 1940-42 წწ.-დან სარტრის ნაწარმოებებში ჩნდება ახალი ელემენტები. აქამდე მის ნაწარმოებებში ყველა პრობლემა შეზღუდული იყო ერთი პიროვნებით, როგორც ანტუან როკენტენი („La Nausée“), რომელსაც სრულიად არ აინტერესებდა მსოფლიოს ამბავი. მწერლის ომის შემდგომ ნაწარმისებებში იხატება ადამიანები, რომლებიც დაკავშირებული არიან სხვა ადამიანებთან, რომლებიც ებმებიან მოქმედებაში და დანტერესებულნი არიან პოლიტიკური და სოციალური საკითხებით. ამის გამო მათი თავისუფლება ამოა აღარ არის. სარტრის თეორიაში მოქმედების საკითხი გარკვეულ როლს იკავებს.

სანამ სარტრის ძირითად მხატვრულ ნაწარმოებების განხილვაზე გადავიდოდეთ, მოკლედ დავახიზაოთ მის ფილოსოფიურ თვალსაზრისს, რომელიც გამოხატულია ნაწარმოებში „ყოფიერება და არაა“ („L'Être et le Neant“). ეს თვალსაზრისი საფუძვლად უდევს მის მხატვრულ შემოქმედებას. სარტრს ფილოსოფიური თეორიები პირდაპირ გადააქვს მხატვრულ ნაწარმოებებში და ყოველი მოქმედი პირი, აქნე-

ბა ის მთავარი, თუ მეორეხარისხოვანი, გამოყენებულია მწერლის მიერ ექსისტენციალიზმის იდეათა რეპრობად.

ისევე, როგორც პაიდევგორის, სარტრიც თავის მსოფლმხედველობას ცენტრში ათავსებს ადამიანს, ადამიანის არსებობას. სარტრის უპირისპირებს ერთმანეთს ყოფიერების ორ სახეს. ა) ყოფიერება (Être) არის. მას არა აქვს საფუძველი და ამდენად შემთხვევითია, აუხსენელია. ყოფიერება არის ის, რაც არის, თავისთავად არსებული და სარტრი მას უწოდებს ყოფიერებას თავისთავად („en soi“). ეს არის მყარი მასიანი, დახურული თავის თავში. ეს არის გარე სინამდვილე, ნივთები. ეს ნივთები არიან „იქ“ და ქმნიან თავისთავადობას. მაგრამ ცნობიერების გარეშე ისინი არაფერს წარმოადგენენ, რადგან ცნობიერება აძლევს მათ შინაშენადობას, მათ განსაზღვრავს.

ბ) სარტრის აზრით, არსებობს კიდევ ყოფიერების სხვა ტიპიც, რომელიც უპირისპირდება თავისთავად ყოფიერებას, ე. ი. სინამდვილეს. ეს არის ყოფიერება თავისთვის („Le pour soi“), ანუ ადამიანის არსებობა, ე. ი. ცნობიერება. რადგან თავისთავად ყოფიერება არის, სარტრი ყოფიერებას თავისთვის უწოდებს არაარს (ადამიანის სხეული, რომელიც არის ყოფიერება თავისთავად, როგორც ნივთი, ხოლო ის, რაც ადამიანისათვის სპეციფიურია, როგორც ადამიანისათვის ე. ი. ცნობიერება არის არაარს), ე. ი. ადამიანის არსებობა არის არარა. სამყაროში არარა შემოდის ადამიანის საშუალებით. არსებობის სფეროები ასეთია: წარსული, მომავალი და აწმყო. ამ სამივე სფეროში ჩანს არარა. ადამიანის მოქმედება არ განისაზღვრება (არ არის დეტერმინირებული) წარსულით, ამის გარდა ადამიანი უარყოფს თავის წარსულს; მომავალი რო იყო ის, მაშინ არ იქნებოდა მისწრაფება მისკენ. ამიტომ, წარსულიდან და მომავლიდან გვეუფრებს არარა, არსებობის ძირითადი ელემენტი არის არარა.

ეს გარემოება, რომ არსებობა, ე. ი. ადამიანი — ცნობიერება დეტერმინირებული არ არის, ნიშნავს მის თავისუფლებას. ადამიანს არჩევანის უნარი აქვს. ის არჩევს თავის თავს სწორედ თავისუფლებით. რადგანაც ის თავის თავს არჩევს, ის სრული პასუხისმგებელია თავის არსებობისა, ის პასუხისმგებელია იმისა, რომ ის არის ასეთი, რომ ის არის ის, რაც არის. ის არ არის განსაზღვრული რაიმე არსებით, — არც ღმერთით, არც ბუნებით. ყველა სხვა ფილოსოფოსებისაგან განსხვავებით, სარტრის ძირითადი დებულებაა შემდეგი: არსებობა წინ უსწრებს არსობას. არსებობა ქმნის თავის არსობას. ადამიანის არსებობა ემთხვევა მის მოქმედებას. პაიდევგორის მსგავსად სარტრიც ფიქრობს, რომ ადამიანი თავის თავზეა მიწოდებული; უარყოფს რა ღმერთის არსებობას, სარტრი აღიარებს, რომ ადამიანი მიტოვებულია, გადავ-

დებულება სამყაროში. ღმერთი რომ ყოფილიყო, მაშინ ადამიანის არსებობა არსებით იქნებოდა განპირობებული, მაგრამ არ არსებობს, ღმერთი, რომელიც ადამიანის კონსტიტუციას დაადგენდა, ე. ი. ადამიანი უნდა აიხსნას თავის თავიდან, ამქვეყნიურებიდან და არა ღვთაებრივიდან. ამას ბურჟუაზიული კრიტიკოსები უწოდებენ სარტრის ათეიზმსა და ჰუმანიზმს. ადამიანს არსობა არა აქვს, ამიტომ დასაწყისში ადამიანი არის ის, როგორც ის იზადება, ზოლო შეშდევ ის ზდება იმით, რასაც ის თავის თავიდან შექმნის თავისუფლების შედეგად. ადამიანს არჩევანის უნარი აქვს, რადგანაც ის თავისუფალია, რას ეძებს ადამიანი თავისი თავისუფლებით, რისკენ ისწრაფვის იგი? ადამიანი არ უნდა იყოს მხოლოდ არსებობა თავისთვის („Le pour soi“), მას სურს იყოს ყოფიერება თავისთავად („en soi“), მაგრამ როცა ამ ყოფიერებას განიცდის, ის გრძნობს „გულზიდვას“, ის გრძნობს შიშს, რომ ეს ყოფიერება მის ჩიითრევეს. ზოლო ორივეს ერთად ყოფნა (pour soi და en soi) განუზოროციულებელია. ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთი, ე. ი. ადამიანს სურს ვახდეს ღმერთი, რაც შეუძლებელია, რადგანაც ღმერთი არ არსებობს. ასეთი მისწრაფება განუზოციულებელია, უნაყოფოა და სარტრი ამას „უსარგებლო უაზრო ენებას“ (passion inutile) უწოდებს. ცხოვრებას უაზრობას ემატება კიდევ სიცილიც ვარდუვლობა. ამ ფილოსოფიით უაზროა ის, რომ ჩვენ ვიზადებთ, ის, რომ ჩვენ ვკვდებით; არც წახსულს და არც მომავალს აზრი არა აქვს. სიცილი ზღის არსებობას უაზროდ. ერთადერთი მნიშვნელობის მქონეა აწმყო და ამ აწმყოში მომეტეობი ირჩევანისა. თუ ადამიანი არ მოახდენს არჩევანს, ის მუდამ სასოწარკვეთილებაში იქნება, როგორც „გულზიდვის“ გმირი როკენტენი, ამ მდგომარეობას ის შეიძლება გაექცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყველაფერს გაეცნობიერებს, როცა თავის თავისუფლებას ჩააბნის მოქმედებაში. ადამიანი მუდამ თავის თავს უნდა უსკამდეს ყოფიერებას და უნდა მუდამ თავისი თავის შექმნაში იყოს. ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება და ეს თავისუფლება არჩევანით უნდა გახადოს მოქმედი, რასაც მოითხოვს სარტრის ერთ-ერთი ვმირი მტრე დეკარიო.

სარტრი აცხადებს, რომ ადამიანი მუდამ კარგს ირჩევს და არა ცუდს, და თანაც ისეთ კარგს, რომელიც ყველასთვის კარგია (??). ესაა სარტრის „ოპტიმიზმი“, რომლითაც მას სურს სასოწარკვეთილება და ნიჰილიზმი გადალახოს.

ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ეს უსაზღვრო თავისუფლება, რომლითაც ადამიანი ქმნის თავისთავად, თავისუფლება კი არ არის, არამედ ათეიზმობა რადგანაც თავისუფლებით ადამიანში შეიძლება ყოფიერება არჩევანი მოახდინოს. მას შეუძლია აირჩიოს ზნედი და სახიფა-

თო გზა, ქურდობა და სხვა. ფილოსოფიის ასტორიკოსები აღნიშნავენ რომ ეს ყველაფერი ჰევს შტრინგერის სოლიპსისტრუტულიზმს, რომლის მიხედვითაც ვარ მხოლოდ მე, მაგრამ, შტრინგერისაგან განსხვავებით, სარტრს აქვს მოქვლება კომუნიკაციის შესახებ, რომლითაც სურს გადალახოს ეს სოლიპსიზმი: ადამიანის არსებობა თავისთვის არსებობაა („le pour soi“), მაგრამ ის ამვე დროს არის ყოფნა „სხვისათვის“ (გეორგსათვის) და ამით სარტრს გარკვეული სოციოლოგი მომენტით შეაქვს ექსისტენციალიზმში. სარტრი ცდილობს უაზროს სოლიპსიზმი იმ ფაქტით, რომ სხვა ადამიანებიც არსებობენ და რომ ისინი ინდივიდუალ მოქმედებენ. ეს, სარტრის აზრით, დსაბუთებას არ საჭიროებს. მხოლოდ ის ფაქტურ, რომ არსებობს სიტციუაციის გამოება, ამის დამადასტურებელია. რამდენადაც მე ვარ, ჩემს გარშემო ყველაფერი ჩემი ობიექტია. მაგრამ როცა სხვა ადამიანი იჭრება ჩემს სფეროში, სიტუაცია იცვლება, ეს სხვაე ცდილობს შეიტანოს თავის სფეროში არა მხოლოდ მის გარშემო არსებული საგნები, არამედ მეც გამხადოს თავის ობიექტად. ე. ი. ყოველი ადამიანი ცდილობს მეორე თავის ობიექტად გახადოს.

სარტრის მოყვანილი მსჯელობას არსებითად სოლიტური შეიძლება ვუწოდოთ. იმ გარემოებებიდან, რომ არსებობს ყოფიერება თავისთავად („en soi“) და რომ ის ნამდვილი ყოფიერებაა, სარტრი უკანონოდ დაასკნის, რომ ადამიანის არსებობა („le pour soi“) არარაა; ის არგუმენტი, რომ ცნობიერება ყოველთვის მიმართულია სავნისადმი, (ე. წ. ინტენციონალურია) და ამიტომ ამ მიმართობის გარეშე სავანი არარაა, არსებობდა მუდამია. რასაკერძეულია, ცნობიერება სხვა არა არის რა, გარდა ყოფიერებას შეგნებისა (მარქსი), მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ცნობიერებას შეიძლება არარა ვუწოდოთ.

საერთოდ არარას ენება ორბზროვანია. სარტრასათვის ყოფიერებას საგნები უფორმოა, ქაოსურია. მის ცნობიერება აფორმებს, რამდენადაც ცნობიერება მათ გამოყოფს. ამ გამოყოფის გარეშე სავანი არარაა და ეს კი ნამდვილი სუბიექტური იდეალიზმი.

მარქსისტულ-ლენინური თეოსაზრისით, ყოფიერება თავისთავად გარკვეულია, მას ადამიანი კი არ აძლევს გარკვეულობას, არამედ შეიცნობს.

ვერც იმას გამართლებს სარტრი, რომ ადამიანის მიერ არჩევანი ყოველთვის კარგია, რადგან ეს არჩევანი მისი თავისუფლებიდან გამომდინარეობს და არ ჩანს, რატომ უნდა იყოს არჩევანის შედეგი ატოლებლად კარგი, მით უმეტეს, რომ მის მბატერულ ნაწარმოებებში არჩევანით გამართლებულია ყოველგვარი საქციელი, მკვლელობაც კი.

მოკლედ სარტრის ფილოსოფიური ნაშრომის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ადა-

მინის მისწრაფება უაზროა, უსარგებლოა მისწრაფება და ვნება. ამგვარი ფილოსოფია გამოვლენილია მის მხატვრულ ნაწარმოებებში.

1938 წელს გამოვიდა სარტრის რომანი „გულზიდვა“ (La Nausée) ეს წიგნი უფრო მეტად ფილოსოფიური დღეობის წარმოდგენს, ვიდრე რომანს. ეს დღეობა-რომანი პირველ პირობა დაწერილი და წერს მას ინტელიგენტი ისტორიკოსი როკენტენი. რომანის მთავარ გმირად დასახულია სწორედ ეს როკენტენი, მაგრამ მთავარი გმირი, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის თვით „გულზიდვა“ („La Nausée“) ამ რომანში არაერთი სიუჟეტი, ინტრიგა, არა აქვს ადგილი. ცენტრალური მოვლენა არის გულზიდვა. მას შეთხვეული გრძნობს ყოველ ვერადზე, მოქმედი პირის მოძრაობასა თუ გადფრთხაში, ქუჩისა თუ ადამიანთა ჯგუფების აღწერაში (უფრო სწორად აღწერა კი არ არის, არამედ აღნიშვნა). არის ადამიანის ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როცა მან მართლა შეიძლება განიცადოს ეს გრძნობა. ეს არის მხოლოდ გაყვით, როცა ადამიანის წინაშე ისმის კითხვა „არისთვის ვცხოვრობი?“... სარტრთან ეს უკიდურესად გაღრმავებულია. ამ კითხვაზე სარტრის გმირი ვერ პოულობს პასუხს და ავადმყოფურად განიცდის მას.

ანტუან როკენტენი, 35 წლის მამაკაცი, მთელი რიგი სათავგადასავლო ამბების შემდეგ სახლდება ქ. ბუფლოში და გამოკვლევას წერს XVIII საუკუნის ერთ-ერთ ისტორიულ პიროვნებაზე, მეტად ეშმაკ და ინტრიგან როკეტონზე. მის თავგადასავალზე მხოლოდ ერთი წინადადებაა და დაუთვლირებელიც არის, რომ როკენტენს შესაძლებელია ჰქონოდა რაიმე ავანტურა სიკვდილში. ის არის მარტო, მას არ ჰყავს მეგობარი და არც ეჭებს. არც არაფერი აინტერესებს, გარდა თავის გამოკვლევისა (რომელსაც წიგნის ბოლოში თავს აწებებს) „მე მარტო ვარ, უმეტესობა ადამიანებისა ცხოვრობენ თავიანთ ოჯახებში, კოთხულოდ გახეთქებს, ან უსმენენ რადიოს. კვირა თავდება“ და მათ რჩებათ რაღაც გრძნობა თავის აქრამში გატარებულ დღისა და მათი ფიქრები უკვე ორშაბათისაკენ“ მიდის. მაგრამ ჩემთვის არ არის არც კვირა, არც ორშაბათი, არის მხოლოდ დღეები, რომლებიც მისდევენ ერთმანეთს.“<sup>1</sup>

როკენტენის გარშემო არაინაა, გარდა უცნაური, სასაცილო და ტრაგიკული პიროვნებისა, რომელსაც ავტორი ავტოდიდაქტს უწოდებს (მხოლოდ მასთან აქვს როკენტენს რაღაც დამოკიდებულება). ეს პიროვნება მუშაობს მუნიციპალურ ბაბლიოთეკაში და მისი მიზანია, რაც შეიძლება დაუფიქრებელი გახდეს. ამიტომ მას მიზნად იყენებენ ანბანის მიხედვით წიკითხვის მთელი ბიბლიოთეკა. ავტოდიდაქტს არეული აქვს ყველა საკითხი, როგორც ლიტერატურა-

დან, ისე ტექნიკასა და ბუნებისმეტყველებიდან. მას არ გააჩნია საკუთარი აზრი, იგი მარტო პირობებს ვერ სვამს და მისი ყოველი ფრთხილში იგრძნობა ციკატები წაიკითხულ წიგნებიდან. ასეთი არამყარია ადამიანი მარცხდება საერთოდ და სარტრიც ხსენებულ ამარცხებას მას წიგნში (ახალგაზრდა ვაგისათვის ხელის შეხების გამო ის, როგორც ამორალური პიროვნება, გაგდებული იქნა ბიბლიოთეკიდან). რომანში ეს პიროვნება მეტად გროტესკულად ანახებურებს ადამიანთა ინტელექტუალურ ილუზიებს. მას უნდა, მაგრამ არ შეუძლია გადაწყვიტოს ცხოვრების პრობლემები, რადგანაც არასოდეს დაფიქრებულა მათზე. ავტოდიდაქტი არის ინტელიგენტი, რომელსაც არ გააჩნია კრიტიკის უნარი, რომელიც ყველაფერს იღებს ისე, როგორც არის. როკენტენი მის საპირისპიროდ ყველაფერს კრიტიკის თვლით უყურებს, მაგრამ არაერთი სერიული და უნარი შეეცდის არ გააჩნია. ეს ორი პირი ერთი ადამიანის ორ მხარეს წარმოადგენს. რომანის სხვა პერსონაჟები ეპიზოდურნი არიან. პროვინციის ზოგადი წარმომადგენელი, რომლებიც ჩრდილებივით გამოჩნდებიან წიგნში, უაზროდ ატარებენ ცხოვრებას. ბოლოს გამოჩნდება ანი, როკენტენის ახალგაზრდობის მეგობარი, რომელიც თითქოს ცხოვრების აზრის მპოვნელია. მისი თეორიის მიხედვით ცხოვრებას აზრი აქვს, რადგან არსებობს ზოგიერთი „სრულყოფილი მომენტი“, რომელიც ადამიანებს ცხოვრებას და რომელთა გამო ღირს ცხოვრება. მაგრამ წიგნის ბოლოში ეს ერთადერთი მიზეზიც ჰქრება და ანიც სასწრაფვითღებში ჩაყარდება. პროვინციის მცხოვრებლების მიზანი არაფერია, თუ არა კაფეში შესვლა, ხეტიალი ქუჩებში, კვირის ეკლესიაში წასვლა და ურთიერთ სალაშო.

საბოლოო დასკვნა ავტორისა არის ის, რომ ასეთ ჩვეულებრივ პირობებში არაფერი ამართლებს ადამიანის არსებობას. როკენტენი გამოიყოფა ვის ადამიანებისაგან. ის სარტრის ობიექტს წარმოადგენს. სარტრი მას სწავლობს და მოვალეობას აკისრებს გაეცნობიეროს თავისი არსებობა და გაამართლოს თავისი ცხოვრება. სარტრთან ყველაფერი იწყება გაცივრებით, გაცივრებით, როცა შეიგრძნობ შენს გარშემო რაღაც ნივთებს; ამას მოჰყვება იმის შეგრძნება, რომ ეს ნივთები არსებობენ. ყოველ ნივთს ჰქონდა თავის სახელი. გაეცნობიერების შემდეგ ნივთებს ეყარებათ მათი მნიშვნელობა და უსახელონი ვარსებებიან როკენტენს. ისინი „იქ“ არიან. ასე უცქერის როკენტენი წაბლის ხის ძირებს ბაღში. მას აეჩუვდება, რომ ეს ძირებია, მისი სახელი იყარება, მნიშვნელობაც, და მაშინ იგრძნობს იგი, რომ ეს ძირები არსებობენ, „არსებობა ჩვენს გარშემოა, ის ჩვენ ვართ, ორსიტყვასაც ვერ ვიტყვი, ის რომ არ ვახსენაო.

<sup>1</sup> J. P. Sartre, „La Nausée გვ 77-





თუმცა კი ხელს ვერ ვახლებთ.“<sup>1</sup> როცა როკენ-ტენი ხელს ახლებს სკამს, მაშინვე შოაიცილებს, რადგან ის არსებობს. ის ჩერჩულებს, „ეს სკამია“, მაგრამ სიტყვა ტუჩებზე რჩება და უარს ამბობს ნივთს შეეხოს. როკენტენის დრამა ამაშია, რომ ის, სურვილისტების მსგავსად აცდის ნივთს მის ნამდვილ მნიშვნელობას და ნივთი ისეთ რეალობამდე დაიყვანს, რომელსაც ის აბსურდამდე მიჰყავს.

გაოცებას და არსებობის შეგრძნებას მოჰყვება შიში იმისა, თუ რისთვის არსებობს ის. გარეშე სამყარო უპრობა, ცხოვრება ვაჟმართლებულია, არსებობა აუტანელი. შიში და კაეშინა (l'angoisse) არის სარტრის აზრით ადამიანური ცხოვრების სინამდვილე და ამას ის ასე გამოხატავს: „ჩვენ ვართ კაეშინა“.<sup>2</sup> შიში გამორჩეულია უმინოზობით, უმორტივობით, უპრობით, პასუხისმგებლობით თავისთავის წინაშე. ხეები დგანან ამა თუ იმ ქუჩაზე, ასევე წაბლის ხე თავის ძირებით, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ისინი აქ არ იყვნენ? როკენტენი ბაღშია და მათ უყურებს, მაგრამ რატომ უყურებს? ყველაფერი დაესაბუთებელია, უპრობა. ასევე — არსებობა.

როკენტენი ამბობს: „მე ვამბობ, რომ განსაზღვრებით არსებობა არ არის აუცილებლობა. არსებობა ეს არის უბრალოდ ყოფნა „აქ“. არსებობანი ჩნდება, ერთმანეთს ზედადნან, მაგრამ მათ შესახებ დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ყველაფერი უმორტივოა, დაესაბუთებელი: ეს ბაღი, ეს ქალაქი და თვით მეც; და როცა მოხდება ისე, რომ ამის შესახებ თავს აძლევ ანგარიშს, გული გადაგირიბილდება და ყველაფერი გარშემო იწყებს ქაინაბას, როგორც იმ საღამოს — აი ეს არის „გულზიდვა“.<sup>3</sup>

როკენტენი არა მარტო გარეშე ნივთებს უყურებს შიშით, არამედ თავის სხეულს ნაწილებსაც. ის უყურებს თავის ხელებს, როგორც მომავლადი ავადმყოფი, მას ხელები ეჩვენება რაღაც ნივთებად, რომლებიც არსებობენ უცხოდ, შორეულად. როკენტენის „გამოღვიძებას“ თან მოსდევს ერთადერთი ინტერესის უაღრესად, გამოცვლვის წერის უარყოფი. მთელი წიგნი როკენტენის ამ მდგომარეობის სურათია. ის ვერაფერ უხსნის თავის სიტუაციას: „მე მივუტრია ხელ ნელა წელს სიღრმისკენ, შიშისაკენ“.

საინტერესოა, ნეტო ყველა ადამიანი, ვინც უფროდებდა თავის ცხოვრების აზრის და არსებობის საკითხს, იძულებული არის გაიაროს როკენტენის „გულზიდვა“? სარტრი დადებითად უპასუხებს ამ საკითხს. ის დარწმუნებულია ადამიანებს, რომლებიც კმაყოფილნი არიან ამ ცხოვრებით, რომელთა მოთხოვნალებები —

კარგი ცხოვრება, ოჯახი, ტრადიციები, დამაყოფილებელია. ეს ადამიანები, შარტრის მხედრობით, არავითარ კითხვას არ უტყობენ. ისინი უტყობენ, რომ მათი ცხოვრება გამართლებულია. სარტრი მათ არამზადებს უწოდებს; მათ არ ეშინიათ არსებობის, არც თავისთავის და მათ როკენტენის გულზიდვა არ აწუხებთ.

1943 წ. სარტრმა გამოსცა პიესა „ბუზები“, რომელშიც მის შემოქმედებაში ასალი ელემენტები გამოაღვლია. სარტრის პიესებს ჩვენ არ შეეხებოთ; ამჟამად ეს პიესა აღენიშნეთ, როგორც შემოპრეტენის მოპენტის პირველი ნიმუში. ამ პიესაში და მის შემდეგ დაწერილ ნაწარმოებებში სარტრის თეატლსაზრისი თავისუფლებაზე ფართოდება და შედარებით დაღებით ელფერს იღებს. თავისუფლება თავისუფლებისთვის კი აღარ არის, არამედ თავისუფლების აუცილებელი ატრიბუტია მოქმედება; პასუხისმგებლობის გრძნობას უნდა მოჰყვეს მოქმედება, აქტივობა. ამ პიესის შემდეგ ეს აზრი სარტრის შემდგომი შემოქმედების ლიტერატორიულ შეიძლება ჩაითვალოს, რომლის მიხედვით ადამიანური ცხოვრების აზრი ეს არის ადამიანის პასუხისმგებლობა თავისუფლების წინაშე და ამოძრავება, ამოქმედება.

სარტრის ბოლო რომანი „თავისუფლების ვხები“ წინასწარ განზრახული გეგმით 4 ნაწილისაგან უნდა შემდგარიყო. (ზოგჯერ ფრანგი კრიტიკოსი ამ რომანს ტრილოგიას უწოდებს „გონიერების ასაკი“ („L'Age de raison“) „ვადის გადაწყვეა“ („Le Sursis“) და „სიყვლილი სულში“ („Mort dans l'ame“) პირველი და მეორე წიგნი გამოცა ერთდროულად 1945 წ. მესამე კი 1949 წ. პირველი წიგნი მოქმედება 1938 წელს ზდება და ბუკობა, რომ პირველი წიგნი დაწერილია ბევრად ადრე, ვიდრე მეორე. რადგან მათ შორის დიდი განსხვავებაა და სწორედ ეს პერიოდი შეიძლება სარტრის მსოფლმხედველობის ერთგვარი შემოპრეტენების პერიოდად ჩაითვალოს. „გონიერების ასაკი“ ექნისტენციალიზმის ძირითადი პრინციპების ნათელ სურათს წარმოადგენს. პირველი წიგნის მოქმედება ზდება ეიწრო ინტიმურ სფეროში. მთავარი გმირი არის მატე დღარაიუ — ფილოსოფიის მასწავლებელი პარიზის ერთ-ერთ ლიეჟში; შინაარსი ამ წიგნს არ აქვს. პირველი წიგნის მთავარი მოტივად შეიძლება ჩაითვალოს მატეის საყვარლის მარსელის ფეხმძიმობა, მატეის დარღები და ფულის ძებნა, რათა მარსელს ბავშვი მოაშოროს. მეორე ზანი არის მატეის მოწათის ბოროს სერგინისა და მშაბობი ქალის ლოლას ურთიერთობა. სხვა მოქმედი პირებიდან აღსა-

<sup>1</sup> J. P. Sartre „La Nausée“ გვ. 165  
<sup>2</sup> J. P. Sartre „L'Être, et le Néant“ გვ. 81  
<sup>3</sup> J. P. Sartre „La Nausée“ გვ. 167.



ნიშნავია ბორისის და იგიში, კომუნისტი ბრიუ-  
ნე და სხვ.

რას წამოაღდგენენ სარტრის ამ რომანის  
გმირები? რა სურათ მათ, რისკენ ისწრაფიან,  
რითი ცხოვრობენ, რა მიზნები აქვთ ცხოვრება-  
ში? სარტრის გმირები არაფრისთვის არ მიისწრა-  
ფიან მატეისა და ბრიუნეს გარდა არც ერთს  
არ აქვს რაიმე მიზანი ცხოვრებაში. წიგნის ბო-  
ლოს მატეის მიზანიც გაუშვართლებელია. (მატე  
თავისუფლებისაკენ ისწრაფის და როგორც შემ-  
დგომ თვითონ აღნიშნავს, თავისუფლებამ მას  
არაფერი მისცა). მატეე დღეობს ვეღარაღ  
ტრაგიკული გმირია სარტრის რომანებში. ეს  
არის ადამიანი, რომელსაც გონებით შეუფრანია  
თავისუფლება, „შიაღწია“ კიდევ მას. მან იცის,  
რომ ნება აქვს გააყუთოს ვეღარაღ, იფიქ-  
როს რაც უნდა, რომ ის არავის წინაშე არ იქ-  
ნება პასუხისმგებელი, გარდა თავის თავისა.  
მაგრამ ამ თავისუფლებით ის არ არის ბუნე-  
ერი, თავისუფლების აზრი და ღირებულება მას  
ვერ უფრანია. მატეე ეყუთვის ინტელი-  
გენტების იმ ჯგუფს, რომლებიც მთელი სო-  
ციუმის განმავლობაში ფიქრობენ, ყოყმანო-  
ბენ, გამოაქვთ დასკვნები, აკრიტიკებენ სხვების  
ქცევას და თვითონ არ მოქმედებენ. ისინი მთე-  
ლი სოციუმს უღიან რაღაც მომენტს, ვადა-  
მწყვეტს, რომელიც მათ ამოქმედდება. მაგრამ  
არც ერთ მომენტს მატეემ ხელი არ ჩააღო,  
რადგანაც თავისუფლების დაკარგვისა ეშინოდა.  
ესპანეთის ომის დროს მატეე დიდი სიმამრით  
აღედებდა თვალსუფრის ესპანელ რესპუბლიკე-  
თა ბრძოლას, მას სურდა კიდევ ჩამბულიყო  
ამ გამოათვისებულ ბრძოლაში, მაგრამ არ  
ჩავიდა; დღეობს აგრეთვე სურდა ინგლისე-  
რის შესწავლა, მაგრამ თავი არ შეუწვია. მატეე  
ღიბხანს ყოყმანობდა კომუნისტურ პარტიაში  
შესვლაზე, მაგრამ ვერ გაბედა. ერთი ამ  
მოქმედებათაგანი იქნებოდა მისი „არჩევანი“.  
ეს იქნებოდა მოზოგებულ თავისუფლების ჩაბ-  
მა მოქმედებაში, მისი გამოყენება. ეს იქნებოდა  
მიზანი ცხოვრებისა, მაგრამ მატეეს არ შეუძ-  
ლია „არჩევანი“, არ შეუძლია, რადგან ეშინია  
დაკარგოს თავისი „მეორეხანი თავისუფლება“.  
მას ურჩევია იყოს იზოლირებული, აკრიტიკოს  
თანამედროვე სამყარო, რომელიც მას სძავს,  
ჭკონდეს საშუალება ვეღარაღებზე სიქვას აზრ  
და არა. ეიდრე მოახდინოს „არჩევანი“, დაი-  
წყოს ახალი სამყაროს შენება, სადაც მას უარ-  
ყოფის საშუალება არ დარჩება და სადაც ის  
დაიშვავსება ვეღარს.

მატეე დღეობს ვსვავსება როცენტენს, რომ-  
ლის აზრით ზემოთ მოიუფანეთ: „შე თავისუ-  
ფალი ვარ, შე აღარაეთობი აზრი ცხოვრებისა  
აღარ ვამჩნია“. მატეეს ყოყმანი და ვადაუწყვეტ-  
ლობა კარგად სიანს მასთან შეხვედრის სტე-  
ნაში. ეყ დღეობს მღეობა ბურჟუაზიის წარ-  
მომადგენელია, მოხერხებული და საქმიანი კა-  
ეი. მატეეს არ შეუძლია და არც უნდა იყოს

მისი მსვავსი, რადგანაც ეყის სამყარო ვეღის-  
ამრეცია, მატეეს ეზიზდება *ფიქსიონალიზმი* მის  
მიერ მოპოვებული მატეეფიქსიონალიზმი-  
წყობა; მაგრამ მეორეს მხრივ ის არც ბრიუნეს  
უერობება (ბრიუნე მისი ახალგაზრდობის საე-  
კეთესო მეგობარია, რომელიც შემდგომ კომუ-  
ნისტი და მარქსისტი ხდება). დღეობს დავს  
შეშაში და არსით არ იზრება. მატეეს ცხოვრე-  
ბაში არაფერი არა აქვს ზესტად განზრახული,  
გარდა იმისა, რომ მისი თავისუფლება იყოს  
ხელშეუხებელი, მას არ უნდა იყოს „დაღუბელი  
ადამიანი“, შეწუხებულთა ცოლით და „შეშეების  
ხროვით“ (!) მართალია, მას ოჯახი არ აქვს, მა-  
გრამ პირველ წიგნში მატეე არაფერს წამო-  
ადგენს, როგორც პირიქება. ლტკიების შემ-  
დევ იგი მთელ დროს ატარებს იმის ჟიქრში,  
თუ როგორ იზოვირ ფელი და როგორ მოამო-  
როს ბავშვი მარსელ დღეებს. ეს არის ერთი  
ხაზი მატეეს პირადი ცხოვრებისა, ეყანი პირ-  
ველი წიგნისა. მეორე ხაზი — ეს მატეეს სიყ-  
ვარულია (სიყვარული?) თავის მოწყვლის ბო-  
რის სერგინის დღეობს, იგიშისაღმი.

იგიშ სერგინი — არის „დავარული ახალ-  
გაზრდობის“ წამომადგენელი, უმინო, ნერ-  
ეოული, ცივი, ისტერიული ქალიშვილი. მთელ  
პირველ ნაწილში მკითხველი მას ხედავს შუპი-  
ნებულს, ტრგზშით მოცულს ჩასაბარებული  
გამოცდის გამო. ამ შიშს იგიში ჰყავს რესტო-  
რანებში და ბარებში, აღუპოლის სმაში და  
უცნაურ დროსტარებაში. იგიში ერთველ არ  
დაფიქრდება იმაზე, რომ მოეშალოს და ჩაბა-  
როს გამოცდა ქიშიაში, რომ ეს გამოსავალი  
იქნება იმ მღგომარეობიდან, რაშიაც ის ჩაეფ-  
ლო. და ის სასოწარკვეთილებაშია, რადგან ჩაქ-  
რის შემთხვევაში მას მოუხდება წაოვირისა  
პარიზიდან რადაც მიყრუებულ პრაიონიაში  
მშობლებთან, რომლებიც მას არ უყვარს, და  
რომლებთანაც საერთო ენის გამონახვა მას არ  
შეუძლია.

მატეეს საყვარელი მარსელ დღეობს, ოღესაც  
ლამაზი ქალი უნდა ყოფილიყო და მატეისაც  
თითქოს უყვარდა. მარსელის ცხოვრება, რო-  
გორც ის აღწერილია პირველ წიგნში, არის  
უზარბაზთ მოცული არსებობა; მთელი დღეები  
მარსელი გამოეცტილია სახლში, ხანდახან წიგნს  
თუ კითხულობს და მოელის მატეეს, რომელიც  
უყვარს. მაგრამ ამასთან ერთად ეჯავრება. მატეეს  
მოწყვეტ, ბორის სერგინი, არის კონკრეტე-  
რა ექსისტენციალიზტისა, რომელსაც შეუსწავ-  
ლია ექსისტენციალიზმის პრინციპები და ეღი-  
ლობს ცხოვრებაში გამოიყენოს ისინი. მაგრამ  
ეს ცდა შეტად ხელოვნურია და ამიტომ ბორი-  
სი ჩვენ წინ იხატება, როგორც უმწეო, არაფ-  
რის მაქნისი ადამიანი, რომელსაც არ ვააწინია  
საკეთარი ინდივიდუალობა, არც საკეთარი აზ-  
რები და არამც თუ დიდი სიქმე, პატარასაც  
ვერ ვაყუთებს.

სარტრის გმირები ერთმანეთს ჰგეანან იმი-  
თ,

რომ ყველა ისინი „დაჯარგელო“ აღამაინებია. არავითარი მისწრაფება და მიზანი მათ არ ახასიათებს და მოქმედების უნარი ყველას გამჭრალი აქვს. მაგრამ იმის თქმაც არ შეიძლება, რომ მათ არავითარი აღამაინური თვისება არა აქვთ. ზოგიერთი მათგანის დახატვას სარტრი ცდილობს სიმპათიურად. მატეის პიროვნება ჩვენთვის მოუღებელია, მიუღებელია მისი მსოფლმხედველობა, მაგრამ ის არ არის მოკლებული ზოგიერთ დადებით ნიშანს. მატეე ძალიან გულწრფელია. პატიოსანია და, რაც მთავარია, ის მიღწევა ძიებშია. მუხეხდავად იმისა, რომ მისი ძირითადი მიზანი — „თავისუფლება“ — თითქოს უკვე მოპოვებულია, მაგრამ პირველი ნაწილის ბოლოში ის თვითონ გამოცუდება, რომ ეს თავისუფლება მას არაფერს აძლევს. იგივეც თანამედროვე ბედგეგმიელი სამყაროს ეს ტიპური წარმომადგენელი, არაა მოკლებული სიმპატიურ ნიშნებს. იგივე უკმაყოფილოა არსებულთ, სიძვს დახვეწებულ ტრადიციებში, მას დიდი კრიტიკული უნარი აქვს, რომელიც აღშფოთებაში გადადის, მაგრამ ამ აღშფოთებას და პატარა ჯანყსაც არაფერი ასაზრდოებს, უარყოფას არაფერი ავსებს, არავითარი ნათელი იდეალი, არსება ღრმა პესიმოზმითაა მოცული და იგივე მარცხდება კიდევ. ერთადერთი პიროვნება რომელიც სასოწარკვეთლებით არაა შეპყრობილი, არამედ, პირაქით, ოპტიმისტურად განწყობილი, ეს არის ბრიუნე. ბრიუნე ახალგაზრდობაში მატეის უახლოესი მეგობარი იყო. მას გავლელი აქვს ის ეტაბი, რაც მატეის, მაგრამ მან გავლასა ყველაფერი, თავისუფლება წააბა მოქმედებაში და ამიტომ სრულიად გათავისუფლდა ყოყმანისა და შფოთვისაგან. ატორი მატეის სიტყვებით ხატავს თავის აზრს ბრიუნეს შესახებ: „ის ჩაება მოქმედებაში. მან უარი სთქვა თავისუფლებაზე, ის ჯარისკაცად იქცა... და მას ყველაფერი დაუბრუნეს, თავისუფლება კი, ის უფრო თავისუფალია, ვიდრე მე. ის თავის თვითნაც მართალია და პარტიის წინაშე“<sup>1</sup>.

ბრიუნე კუჭმარტ საქმეს ემსახურება და კმაყოფილია. მატეე შერიტ უყურებს მას და თავს გამოცუდება ბრიუნეს მოქმედების სისწორეში. ის ბრიუნეს ეუბნება: „ჩემი თავისუფლება?! ის მე მაწყვება; ჩამდენი წელია უკვე რაც მე თავისუფალი ვარ, მაგრამ რისთვის? რა აქნებოდა იმაზე უკეთესი, რომ თქვენთან ვყოფილიყავ... მე შენსავით ვფიქრობ, რომ აღამაინი არა ხარ.“<sup>2</sup> თუ კი არ იმოცი ისეთ საქმეს, რომლისთვისაც თავს დადებ“<sup>3</sup>.

ეს არის პრივილეგია აღამაინისა რომელმაც თავისი თავისუფლება მოქმედებისა და მიზნის არჩევანით გააღრმავა. არჩევანისათვის საჭიროა რწმენა, რადგან ურწმუნოდ, ბრმად ვერ მოახ-

დენ არჩევანს, როგორც ვერ მოახდინა მატეემ. ასეთ მდგომარეობაში არიან ეს მოქმედებელი მიზნის, როცა იწყება მეორე მსოფლმხედველობის სურათებს სარტრი იძლევა ტრილოგიის მეორე და მესამე ნაწილში.

რამ უნდა აიძულოს აღამაინი, რომ მან ვადაწყვიტოს „არჩევანი“, გაბედოს გადადგას ნაბიჯი, რათა მოპოვებული თავისუფლება წააბას საქმიანობაში (s'engager). ზოგიერთი, როგორც მატეე ვერ ახერხებს თავისუფლების გამოყენებას რაიმე მიზნისათვის. ომის-წინ სარტრსაც ვერ ეპოვა ეს მიზანი. მისთვის მთავარი იყო თავისუფლება, როგორც ასეთი. ამიტომ არის, რომ მატეე ასე ეპოვება ამ მომენტების თავისუფლებას. მაგრამ ომის დროს და მის შემდგომ სარტრის მსოფლმხედველობაში მოხდა ვარდატეხა და ამიტომ ზოგმა მისმა გემრემე მოახერხა ამის მიცემა თავისუფლებისათვის. ეს არჩია ა დამიანთა სოლიდარობა.

სარტრს აღამაინთა სოლიდარობის ცნება რაიმე ღირებულებადაც კი არა აქვს მიჩნეული, არამედ ფაქტად. ის ამტკიცებს, რომ ჰვენ სოლიდარულნი კი არ უნდა ვიყოთ, არამედ ჩვენ ვართ სოლიდარულნი. ამას გარდა, სარტრი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეპოქის, სოციალური მოვლენების ვარჯეუ არ არსებობს აღამაინი, რომ აღამაინი ძირფესვიანად დაეკუთვნებოდა თავის ეპოქასთან. საფრანგეთის ისტორიის 1939 — 44 წწ. მოვლენები ამის მაგალითია, რომ აღამაინებმა ომის დროს ვერ აგერმეს პასუხისმგებლობა, ისინი არ გაერთიანდნენ, რათა შეერყებინათ მოზღვაებული უბედურება ფაშისმის შემოსევის სახით. აღამაინი ეპოქის ნაწილია და რადგანაც ის არსებობს, ის უკვე რაღაც როლს თამაშობს ეპოქაში. მისი პირადი მოქმედებანი სხეულებს ახდენს მოქმედებას. აღამაინი არ არის განცალკევებული ინდივიდი, ის ჩაბმულია კოლექტიურ ნებით თუ უნებლოთ და დამოკიდებულია მისზე. მაგრამ სამყაროს აბსტრუქტულობის საფრთხის იხვევ რჩება სარტრის აზროვნებაში. და ეს აზრი უფრო მეტობად არის გატარებული ტრილოგიის მეორე და მესამე წიგნებში. („ვადის ვადაწყვეა“ და „სიკვდილი სულში“), პირველი წიგნისაგან განსხვავებით, რომლის მოქმედება ინტაქტურ წრეში მიმდინარეობდა, აქ იგი უფრო ფართო არეს მოიცავს. ომი, ომის მსვლელობა, მისი პერიპეტეიები არის ფონი ორივე წიგნისა. მაგრამ აქ ომი მოცემულია, არა როგორც ისტორიული ფაქტი, არამედ როგორც კიდევ ერთი მტკიცება იმისა, თუ როგორი უნაზო და ამბორდულია ეს ცხოვრება. აღამაინის „მტკიცებულობის“, „ვადაცემუბლობის“ აზრი აქ ისევე ელერს; ისევე მეორდება აზრიც, რომ აღამაინი უმწუთა ამ საერთო ბოროტმოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველად. „ვადის ვადაწყვე“-ის მოქმედება ზდება მიფენენს კაპიტულიცის

<sup>1</sup> J. P. Sartre, „L'Age de raison“, გვ. 175  
<sup>2</sup> J. P. Sartre, „L'Age de raison“, გვ. 177

წინა კერაში, პირველი წიგნის მოქმედებიდან ორი თვის შემდეგ. მოქმედი პირნიც იგივე არიან. ავტორი უკვე აღარ კმაყოფილდება „აბსტრაქტული თავისუფლების ძებნით“, არამედ ყველა მისი გმირი ჩათვრულია ომის მჭიდვარე ნაჯღში. აქ არის ცდა, მიეცეს პასუხი მატეის იმას, რომ მისი ცხოვრება და თავისუფლება მხოლოდ მისგან არ არის დამოკიდებული, არამედ იმ გარემოსაგან, რომელშიც ის იმყოფება. ომის აღწერას სარტრი თავისებურ ხასიათს აძლევს: ცალკეული გმირების დიალოგები, გაფიქრებები, „ცნობიერებათა ნაჯაღი“ ყოველგვარი კავშირების გარეშე, პაიროში მცხოვრებ ადამიანების დიალოგს აგრძელებს აღვირვალის მონოლოგი, ცალკეული ეპიზოდები უმზერხოდ სცვლიან ერთმანეთს. ამგვარი კომპოზიციით ცდილობს სარტრი გამოხატოს ის არეული და მშფოთვარე კვირა.

ერთის მხრივ სარტრი ციხავს ომს, ხოლო მეორეს მხრივ მას სურს დამატკიცოს, რომ ადამიანი უჭლურია რაიმე შესცვალის ამ მოვლენებში. ადამიანს მისჯილი აქვს ომის ავადმყოფობა. მისი აზრით, ეს კიდევ ერთი გამოხატულებაა სამყაროს უაზრობისა. წინააღმდეგობით მოცულია სარტრის ეს წიგნი. ომში დამწამავე-რა არიან არა მარტო მისი გამაჩაღებლები, არამედ ყველა ის, ვინც ხელი მას არ შეუშალა, ყველა ის, ვინც ინდიფერენტულად მოეპყრა ამ საკითხს. საჭიროა ერთიანობა, რათა დაითრგუნოს ეს ძალები; ამასთან ერთად სარტრი ცდილობს უჩვენოს, რომ ადამიანი მარტოა, რომ ადამიანებს ურთიერთის არ ესმით და სხვ. მატეი კვლავ გამუდმებით აზროვნებს, როგორც პირველ ნაწილში, მაგრამ მისი აზროვნება ისევე პესიმიზტურია. ის მიდის ომში, მაგრამ წინასწარ განზრახული აქვს დამარცხება. მას არ ესმის სხვა ადამიანებისა, ისევე როგორც სხვებს არ ესმით მისი. ურთიერთუხევებრობა — სარტრის ფილოსოფიის ერთერთი ძირითადი აზრია. — რომანის ამ ბოლო კონ ნაწილში უფრო მკვეთრად არის ნაჩვენები. ადამიანებს აერთიანებთ მხოლოდ შიში ომის წინაშე. ყოველი ადამიანი ვანაგრძობს თავის პირად ცხოვრებას, მაგრამ ყველას წინაშე ომის საკითხი ისმის, ომი ეხება ყველას. მატეი რჩება „თავისუფლი“, მაგრამ ომი მასაც ეხება. მატეია პირადი თავისუფლება ინდივიდისა დამოკიდებულია გარეგანულ სიტუაციაზე, რადგან მათეილის ბედი ეხება ყველას, უჩადურეს ინდივიდუალისტაყ კი. მაგალითად, მატეი და როკენტინი თავისუფლებში არიან (სხვადასხვაანარი ხარისხით), მაგრამ მათ წინ გერკვეველი სიტუაციაა. ადამიანებს სარტრი უფრენს შედეგად მოთხოვნებს: თავისუფლებას, პასუხისმგებლობას, მოქმედებასა და სოლიდარობას.

მატეი მხოლოდ რომანის მესამე ნაწილში („სიყვდილი სტუმარი“) მიღის იმ დამკვიდრედ, რომ საჭიროა მოქმედება. მატეი ომის დროს

ტრავიზშითაა გადმოცემული ომი და სარტრანგეთის დამარცხების პერიოდში. შემქმნელს პირინი შეპყრობილია არიან შიშით. მატეი კვლავ ცდილობენ ერთმანეთს დაეხმარონ ამ საკითხი გასაჭირში, არამედ, პირიქით, მათ შორის გაუგებრობის კვლევა აღმართულია, ისინი შეეხებენ მიმართავე ერთმანეთს, თვითუღს თავისი მწუხარება აქვს. მაგრამ ეს მწუხარება მათ კი არ აერთიანებს, არამედ კიდევ უფრო ანცალკევებს. თავის გმირებს სარტრი ყველაზე საშიშვლ მომენტებზე ხატავს. ეს არის ტყვეობა, ომი, დამარცხება და ყოველი ეპიზოდი ისატება გმირის კომპარტული გამოვლენებით, უჩადურესი სუბიექტივიზით. ყოველი ეპიზოდი გადმოცემულია რომელიმე მოქმედი პირის ავადმყოფური აზროვნებით, იქნება ეს ტყვეობის აქტი, ომის დამთავრებისა და დანებების ფაქტი, გმირობა თუ სხვ. წვეწ წინაშე ისეთი ძლიერი ფსიქოლოგიით ისატება ყოველივე ეს რომ შეიძლება ითქვას, ომის საშანელებების უღირესად შთანბეკვდა სურათს ვიღებთ. გმირული ეპიზოდი, რომელითაც თავდება წინაშე წიგნი, შეიძლება რომანის კლმინაციურ წერტილად ჩავთვალოთ. ეს არის მატეის „ავაილივიძება“, ე. ი. მოქმედების არჩევანი, თუმცა კი ამ მოქმედების გაანალიზების შემდეგ ისევ პესიმიზმსა და უარყოფას ვხედავთ. მატეი ჯარისკაცების ჯგუფშია, რომელიც აგრძელებს ბრძოლას გერმანელებს წინააღმდეგ. თუმცა კი საფრანგეთი უკვე დანებებულია. მატეი შეურაცხყოფილია, იმით, რომ გერმანელებს უნდა დანებდეს, მასში ილიძებს მოქმედების წყურვილი და სოლიდარობის გრძნობა. დედარითს შეუყვარდება ჯარისკაცები, რომლებსაც აღარ სტოვებს და მათთან ერთად სვამს ლეონს, იღონდ მარტო არ იყო. და რაცა გერმანელების მოახლოებისას ჯარისკაცების უმრავლესობა სარდაფში დამალება, რადგან უკვე უაზროა წინააღმდეგობის გაწევა, მატეი და ერთი ჯარისკაცი ავლენ სამრეკლოზე. აქ ხდება მისი „არჩევანი“. ეს ესერის გერმანეთა ბრძობის შეუწყრებელი და პირიქტად; და ეს ერთობადით მოქმედება, ეს საბოლოო „არჩევანი“ მაინც უაზრობაზე მიჰყავს ავტორს. უაზროა იმიტომ, რომ წარმეტებას ვერ მოიტანს, მაგრამ, რაც მთავარია, ეს აქტიც წმინდა ინდივიდუალისტურია. მატეი იმ მომენტში საფრანგეთის გადარჩენაზე კი არ ფიქრობს, არამედ შერს იძიებს მთელი სიცოცხლის უმოქმედობის გამო. ის შერს იძიებს ყველაფერ იმის გამო, რაც უნდოდა და რაც ვერ ვაკეთა. ეს მთავრა მოაჯირს და ზემოგარმა დაიწყო სროლა. ეს იყო რევანში. თვითუღლი გასროლა ძველი ყოყმანის შერისებზე იყო ერთი — იმ გაუხედაობისათვის, როცა მან ლოლასათვის ფედის არიშევა ვერ განებდა, მეორე — მარსელის მოშორება რომ ვერ მოახერხა, მესამე — უნებისყოფობისათვის, წინააზრ რომ ვერ დასწერა და შემდეგ მიჰყავს-

რობის გამო, რომელიც მან ვერ განხორციე-  
ლა...“

ეს იტლებს მატე თავის ცხოვრების ყველა  
სიმბალეს, ყველა გაუბედობას, მაგრამ მისი  
„გამოღობვა“ ინდივიდუალისტურ ხასიათს  
ატარებს.

სარტრმა ვაიარა ფრანგული წინააღმდეგობის  
პერიოდი. მან კარგად იცის, რომ კომუნისტები  
იყვნენ ამ წინააღმდეგობის სელისწამდგმელი  
და ამიტომ იძლევა ის ამ ტრილოგიაში კომუ-  
ნისტ ბრძენებს სახეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ,  
ზოიუნე მატეს მეგობარი იყო და იგივე  
შოთფლმადელობას იცავდა, როგორც მატე.  
ის შემდეგ ხდება კომუნისტი, მაგრამ ეს გმი-  
როც ბოლომდე გამარჯვებული არ გამოჰყავს  
სარტრს, რადგან მისი ფილოსოფიის ქვაკუთხე-  
დი სამყაროს სრული უაზრობაა და მიუხედავად  
გმირული ემოციებისა და გმირული აქტების  
არსებობისა, არაფერს შეუძლია რაიმეს შეცე-  
ლა ამ სამყაროში.

ბრძენებს საბოთ სწანს თვით სარტრის ყოყ-  
მანი. ამიტომ ბრძენებს მან სიმპათიურ ნიშნე-  
ბათ ერთად უსიამოვნო მიაწერა. ბრძენე არის  
მტკიცე ნებისყოფის ადამიანი, პარტიის ერთ-  
გული. წინააღმდეგობის პირველივე დღეებიდან  
ის რაზმავს კომუნისტებს, უხსნის მათ ბრძოლის  
შიზანს, ეხმარება მათ, მაგრამ სარტრის მიერ ის  
დახატულია ადამიანად, რომელიც ვერ ურიგდებ-  
და ადამიანურ სესუსტებს — შიშს, შიშშილს,  
შეცოდებას და სხვა. ის ზიზღით უყურებს  
ვლას, რომელსაც ეწინაა მისი დამაღვა გერ-  
მანელებისაგან, მას სძულს თავისი თანამოძვე-  
ბი, რომლებიც, რამდენიმე დღის შიშშილის  
შემდეგ, გერმანელების მიერ ვადმოგდებულ  
პურს მხეციებით მივარდებიან. და ბოლოს  
სარტრი ამ ერთადერთ მოქმედ გმირშიც ცდი-  
ლობს ბზარი შეიტანოს. ტყვედ მოხვედრილი  
ბრძენე მარტოდ იგრძნობს თავს, ეპვი შეეპა-  
რება თავის დანიშნულებაში.

ეს ტრილოგია, რომელიც სარტრის ფილო-  
სოფიის მხატვრულ გამოხატულებას წარმოად-  
გენს, სავსეა წინააღმდეგობებით, ყოყმანით. სა-  
კითხების უმრავლესობა ვადუწყვეტელი რჩე-  
ბა. მიგალოთად, მატე მკითხველში სიმპათიას  
იწვევს. მისი აზროვნება, მედშივი ძიება, უქმა-  
ყოფილება არსებული სამყაროთი განსავევია  
მკითხველისათვის, ხოლო მისი პასუხობა, და  
გამოხველის ძებნის უნდობლობა სრულად  
გაუგებარია.

მატე დღლარიუ თვით სარტრის წინააღმდე-  
გობების მატარებელია. არსებული სამყაროს  
კრიტიკა, უარყოფა ძალაში რჩება, და მისი  
შეცელა მის არც მოსდის აზრად. ომის სტე-  
ნებში, დამარცხებაში სარტრმა მხოლოდ სამყა-  
როს ანსურდულობის კიდევ ერთი დამამტკი-  
ცებელი საბუთი დაინახა, მაგრამ არ ეცადა, თუ  
არ უნდოდა დაენახა ის სოციალური ძალები,  
რომლებმაც გამოიწვეეს ომი, რომლებმაც აი-

ჭულეს საფრანგეთი დაეხებებულა. სარტრი  
არ ეძებს საშუალებებს ამ ბოროტებისაგან  
ბრძოლველად, ის აღიარებს, რომ არც სარტრ-  
ლებაა. ის მშვიდობისაკენ მოუწოდებს (მეტად-  
რე 1950 წწ. შემდეგ), მაგრამ კონკრეტულ სა-  
შუალებებს არ სახავს. სარტრი კარგად ხედავს  
და კარგად აღწერს გზაბმველი ინტელიგენციის  
წარმომადგენლებს, მაგრამ არც ერთ მათგანს  
არ ამოქმედებს და ყველაფერი ისევ ძველებუ-  
რად მიმდინარეობს.

ყოველ შემთხვევაში ამ ტრილოგიის პოზი-  
ტიური მხარე მდგომარეობს იმაში, რომ თავი-  
სუფლებას სარტრისეული გაგება (საბუნზიდუა-  
ში“ და „გონიერების ასაქში“) თვალყურე უარ-  
ყოფილია, როგორც ამაო და უაზრო, მას ემა-  
ტება მოქმედება, ჩაბმა საქმიანობაში, სოლიდა-  
რობა. შეიძლება ეს ყველაფერი ჯერ დამაჯე-  
რებლად არ არის მოცემული, მაგრამ ფაქტია,  
რომ სარტრი ამისაკენ ისწრაფვის და ამიერიდან  
შეიძლება მისივე სიტყვებით მოუყენოთ მას. „თა-  
ვისუფლება გლიწდება მხოლოდ მოქმედებაში,  
თავისუფლება მოქმედებასთან ერთიანია. ეს  
არის ძალა — ჩაება აქმყოს მოქმედებაში მო-  
მავლის ასაშენებლად“.

1945 წლის 1 ოქტომბერს გამოვიდა სარტრის  
მიერ დაარსებული ჟურნალი „Les temps mo-  
dernes“ ამ ჟურნალს უფრო პოლიტიკური მიზ-  
ნები ჰქონდა, ვიდრე ლიტერატურული. ამ ჟურ-  
ნალის მიზანი იყო მოხედინა ზოგიერთი ცელი-  
ლებანი ბურჟუაზიულ სამყაროში. ის სვამდა  
მთელ რიგ პოლიტიკურ და სოციალურ საკით-  
ხებს, მოეწოდებდა ლიტერატურას ჩამხმულიყო  
ცხოვრებაში, საქმიანობაში. ჟურნალის ერთ-ერთ  
პირველ ნომერში სარტრი ასე განსაზღვრავდა  
მწერლის როლს თანამედროვე სამყაროში:  
„მწერალი თავის ეპოქის სიტუაციაშია. შე  
ზრალს ვღებ ფლობერსა და გონკერს, როგორც  
პასუხისმგებელთ ის რეპრესიებისათვის, რომე-  
ლიც მოყვა კომუნას. მათ ერთი სტრიქონიც  
კი არ დაუწერიათ, რომ ხელი შეეშალოთ —  
მათთვის“<sup>2</sup>. ამ ჟურნალის დაარსება სწორედ  
სარტრის მოღვაწეობის იმ პერიოდს ხედება,  
როცა სარტრა ებმება პოლიტიკაში, როცა ის  
სოციალურ საკითხების როლს აღარ უარ-  
ყოფს. ჟურნალი ეხება თანამედროვეობის ყველა  
პრობლემას, კომენტარებს უყუთებს და თავისე-  
ბურად ამუქებს მათ. თვითონ სარტრი იღებს მო-  
ნიწოლუობას და თითქმის ყველა ნომერში ბეჭ-  
დავს სტატიებს.

1950 წლიდან ექვისიტრეციალისტებთან სარტ-

<sup>1</sup> J. P. Sartre, „Matérialisme et Révolution.“ Situations, III, გვ. 205

<sup>2</sup> P. de Boideffre, „Histoire de la littérature française გვ. 410

რი ფეოდალზე მეტად უახლოვდება პროგრესულ ბანაკს. ის იცავს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, კომუნისტებს, მშვიდობისმოყვარე ხალხს მოძრაობას ომის გამზადებულთა საწინააღმდეგოდ. ის ამბობს: „მე ვეძებ თქვენი ზეთისხილის რტოს და ვხედავ მხოლოდ ბომბებს. თქვენი სამყარო — ეს შიშის სამყაროა. საბჭოთა კავშირს რომ თქვენნი იყავით ვანცეადა, თქვენი სამყარო დიდხანია ომად გადაიქცეოდა. საბჭოთა კავშირს მშვიდობა სერს და ყოველდღე ამას ამტკიცებს, რამდენსაც არ ვეძებ ბოლო სამ ათეულ წლის განმავლობაში, ვერაფერთარ მისწრაფებას რუსებისა აგრესიისადმი მე ვე ვბოვლობ“.

1952 წელს სარტრი მონაწილეობას იღებს ენაში გამართულ მშვიდობის მსოფლიო კონგრესში, სადაც კიდევ ერთხელ აღნიშნავს კომუნისტების დადებით როლს. ამ დროს ხდება მისი განხეთქილება მწერალ ალბერ კამიუსთან. ომის დროს ალბერ კამიუ სარტრის მსოფლმხედველობის გამზიარებელი იყო. ომმა სხვადასხვა გავლენა მოახდინა მწერლებზე, სარტრის პოზიციებზე ზეწოთ ელაპარაკეთ. ომმა აძულა სარტრი ენაო სოციალური და ისტორიული მოვლენების რილი კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. მან სტენ აღმართა კოლექტივის მნიშვნელობა. მართალია, სარტრი წინააღმდეგობებისაგან ვერ გათავისუფლებულა, მისი მოთხოვნა ინდივიდის სრული თავისუფლებისა ძალაში რჩება, მაგრამ ინდივიდის დამოკიდებულებას სოციალურ ფაქტორისაგან ის ვერ უარყოფს. ეს წინააღმდეგობა დაძვლებული იქნება იქამდე, სანამ ის თავის მეტაფიზიკურ მოდერნისტულ თეორიას იქნება დაყრდნობილი.

სარტრის მეგობარმა და თანამოაზრემ კამიუმ სულ სხვა ვნა გააჩნა. კამიუს ნაწარმოებების „იჯანყებული ადამიანი“ გამოსვლის შემდეგ სარტრმა დიდი წერილი გამოაქვეყნა თავის გაზეთში სათაურით „მასხვი ალბერ კამიუს“, რომელშიც ის სასტიკად ილაშქრებს კამიუს რეაქციულ და ფაშისტურ აზრების წინააღმდეგ, ბურჟუაზი კი უწოდდა მას.

1953 — 54 წწ. სარტრი ასევე მკაცრად ილაშქრებს ანტიკომუნისტური პროპაგანდის წინააღმდეგ. 1956 წელს უნგრეთის ამებმა იმპერიალისტთა ბანაკმა გამოიყენა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და სარტრიც მოშორდა პროგრესულ ბანაკს, მაგრამ ის მაინც ურანვე მწერლების ნაიციანალურ კომიტეტში დარჩა.

1960 წელს გამოვიდა სარტრის წიგნი „დიალექტიკური გონების კრიტიკა“, რომელშიც ის ცდილობს შეაერთოს ექსისტენციალური და მარქსიზმი. რასაკვირველია ამ რიგი მსოფლმხედველობის დაკავშირება შეუძლებელია, იმდენად პრინციპულად განსხვავებულნი არიან ასინი. მართალია, სარტრი აღიარებს, რომ „ისტორიული მატერიალიზმი ვეაძლევს ერთადერთ ისტორიის ღირებულ ახსნას“, მაგრამ ამასთანვე ხაზს უსვამს, იმას, თითქოს ექსისტენციალიზმს ახასიათებს სინამდვილისადმი კონკრეტული მიდგომის პრინციპი. სარტრს არ ენაშის მარქსისტული მსოფლმხედველობის ძირითადი და მახასიათებელი ნიშანი: მარქსიზმი გეშეპირტების კონკრეტულობას აღიარებს და ყოველივე მოვლენას მის კონკრეტულ პირობებში განიხილავს; ამიტომ მარქსიზმს სრულადვე არ სჭირდება სარტრისეული კონკრეტულობის პრინციპის გამოყენება. ამას ემატება ის გარემოება, რომ სარტრი მარქსიზმის ჭეპასთან ერთად ცდილობს მის „განვითარებას“ ფსიქოანალიზის საშუალებით. ვასაგებია, რომ ასეთი განვითარება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დამახინჯებას წარმოადგენს. აღმდენად სისეებით სამართლიანია ვერნალ „კომუნისტური“ (1961 წ. № 1) ჟურნალზე მოცემული დასასიათება სარტრის წიგნისა: „*Вся эта книга — от начала до конца — направлена против марксизма. Мы высоко ценим выступления Сартра за мир, его смелые гневные протесты против грязной войны французского империализма в Алжире. Мы воздаем должное его искреннему сочувствию героической борьбе кубинского народа за свободу и независимость. Тем более досадны глубокие теоретические заблуждения, на которых основана вся его критика диалектического и исторического материализма.*“

1961 წელს, როგორც ცნობილია სარტრმა, სიმონა დე ბოუვართან და სხვა მწერლებთან ერთად ხელი მოაწერა 121 მანიფესტს, რომლითაც ის პროტესტს აცხადებდა ალჟირის მდგომარეობის გამო და მოითხოვდა ომის შეწყვეტას. ამ ხელისმოწერის გამო მას აეკრძალა გამოსვლა რადიოთი ან ტელევიზიით და, აგრეთვე, სტატეებისა და ნაწარმოებების გამოცემა; დრო გვიწევს, როგორც გზით წავა მომავალში გ. პ. სარტრი.

## ახასიათებს იმედგაშინი

# მოსწავლე ახადგაზრდობის მებრძოლი (ობრანო)

საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივში დაცულია ფერნალი „Школьная жизнь“-1, გამოცემული ქუთაისის გიმნაზიელთა ჯგუფის მიერ 1908 წლის 13 იანვარს. ეს ფერნალი გადავიწიე მოსწავლე ახადგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ახალ ფურცელს და ნათლად აღნუსხავს იმ მუშაობას, რომელსაც არაღუგაღუგად ეწეოდა საქართველოს ახადგაზრდობა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ახადგაზრდობის ეს ორგანო ორკვირეულია. იგი საშუალო ზომის 8 გვერდს შეიცავს და დაბეჭდილია რუსულ ენაზე. ქუთაისის ყანდარ-მერიის საგუბერნიო სამმართველოს საქმეებიდან ჩანს, რომ ფერნალის მხოლოდ ერთი ნომერი გამოსულა, მაგრამ საქმოდ დიდი ტირაჟით. 13-14 იანვარს ქალაქში ამ ფერნალს ავრცელებდნენ განუთის დამტარებელი ბიჭები. მათ შორის იყო კლასიკური გიმნაზიის მე-4 კლასის მოსწავლე ილია მამულია (მედიკოში ბოლშევიკური პარტიის აქტიური მოღვაწე), რომელსაც უპოვეს რამდენიმე ცალი ფერნალი და დააპატიმრეს<sup>1</sup>. პოლიციამ აღმოაჩინა და დაარბია ფერნალის ტკამბა, რომელიც მოთავსებული იყო კლასიკურ გიმნაზიის პანსიონატის საავადმყოფოს სარდაფში. ამის შემდეგ გიმნაზიელებმა ვერ შეძლეს შორიგი ნომრის გამოშვება.

სარდაქციო წერტილში ფერნალი ახასიათებს მოსწავლეთა განწყობილებას 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. მიუთითებს სასწავლებლებში არსებულ არანორმალურ პირობებზე და დასკვნის, რომ ამის მიზეზი არის მეფის თვითმპყრობელობა: „ამ მდგომარეობიდან გამოსავალი... არ არის და არ იქნება, ვიდრე ფეხზე დგას თვითმპყრობელობა, სანამ რუსეთში არ დამყარდება თავისუფლება, სანამ არ იქნება გაჩაღებული ადამიანისა და მოქალაქის უფლება“<sup>2</sup>.

ფერნალის მეორე გვერდზე დაბეჭდილ წერილში განმარტებულია ფერნალის გამოსვლის

მნიშვნელობა. აღნიშნულია, რომ ფერნალის ამოცანაა შეძლებისდაგვარად, გააშუქოს სასკოლო ცხოვრება. ვაარკვიოს, თუ როგორა უნდა იყოს ურთიერთობა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის, ხელი შეუწყოს ახადგაზრდობის გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას, გაუწიოს მათ იღუერი ხელმძღვანელობა.

„Школьная жизнь“-ის მე-2-3 გვერდებზე მოთავსებული წერილი, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს კარლ ლიბკნეხტის სიტყვები — „ცოდნა — ძალაა. ძალა — ცოდნაა“, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ უპოვო მხარეებს და ურჩევს ახადგაზრდობას გამოიმუშავოს გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რაც დაეხმარება მას არსებული წესწყობილების სწორად შეფასებაში.

როგორც ფერნალში მოთავსებული წერილების უმრავლესობიდან ჩანს, სარდაქციო კლასის მიზნად დაუსახავს იმდროინდელ საშუალო სასწავლებლებში არსებული სწავლების მეთოდის წინააღმდეგ აშკარად გალაშქრება. როგორც ცნობილია, მეფისდროინდელ გიმნაზიებში დიდი პირობით ასწავლიდნენ ე. წ.

„მკვდარ ენებს“. ფერნალში მოყვანილია ფაქტი, თუ როგორ ფორმალურად უფლებოდნენ ლათინური ენის სწავლებას ქუთაისის კლასიკური გიმნაზიაში. ფერნალის მე-4 გვერდზე ვკითხულობთ: „ჩვენი კლასიკური გიმნაზიის ერთ-ერთ მძაღლ კლასში ლათინური ენის მასწავლებელმა მოსწავლეთა საჩივარზე, რომ ისინი ვერ ასწრებენ დაელებული გაკეთილების კარგად ათვისებას, უხასუხა, რომ მის დაელებული აქვს „გეაიროს“ მეოთხედში აშდენი, და იგი ვალდებულია ეს შეასრულოს, მიუხედავად იმისა, ასწრებენ თუ არა მოსწავლეები მის კარგად შეთვისებას... მასწავლებელს ამაში ვერ დაეინაშაულებთ, — დაასკვნის ფერნალი, — დამნაშავენი არიან ის „ძლიერნი ამა სოფლისანი“, რომელთა ხელში მასწავლებლებმა ჯარისკაცები არიან“. ფერნალს მიაჩნია, რომ... „აღსრულის მთავარ პრინციპად უნდა იყოს პრაქტიკული ცხოვრებისათვის, საზოგადოებრივი მუშაობა-

<sup>1</sup> საქ. სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 450, ს. 4279, ფურც 56, 57.

<sup>2</sup> საქ. სსრ ც. ა. ფ. ს. 55. ფურც. 20



სათვის ვარჯისი მოქალაქეთა მომზადება" 1.

ერნალში მოთავსებული მასალებიდან საყურადღებოა მე-3 და მე-5 გვერდებზე მოთავსებული ლექსები. ორთავე ლექსი აშკარა მოწოდებაა არსებელი წყობილების წინააღმდეგ.

1905 — 1907 წლების რევოლუციის დამარცხებამ თავისი დიდი დასავა მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობას. „შესუსტდა მთი მჩქეფარე ცხოვრების მაჯისცემა“. ამაზე ამხეილებს ყურადღებას ერნალში წერილში „ვაკერით“, და ურწევს მოსწავლეებს კარგად ჩაუკვირდნენ სასწავლებლებში გამოფხებულ წესებს, აღმინისტრაციული პერსონალის არაადამიანურ დამოკიდებულებას მათ მიმართ, რომ უკეთ მოემზადონ აშკარა ბრძოლისათვის.

ლექსში „რას გვიქვამის ახალი წელი“ აღწერილია წარსული, 1907 წელი — წელი სისხლიანი, რომელშიც დეტროვა მშრომელ მასებს გლოვა და ცრემლები და „ახალი ცხოვრებისათვის“ მებრძოლთ ციხის ჯურღმულებში წამება მოუტანა. რას გვიქვამის ახალი წელი? აფენებს კითხვას ავტორი, განათავსდნენ თუ არა ხალხს მამე ბატონობის უღლისაგან, მიიღებს თუ არა იგი თავისი სისხლის შრომისა და ოფლის საფასურად პერს, დაინგრევა თუ არა კანუმატების კედლები გამარჯვების ჰიმნის ქვეშ.

მოსწავლე ახალგაზრდობის ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ, რომელიც მთელი სიძლიერით 1905 წლის რევოლუციის პირველ ხანებში დაიწყო, ვრძელდებოდა 1907 წელსაც. ამ წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე ქუთაისის კლასიკური გიმნაზიაში რამდენჯერმე მოეწყო მოსწავლეთა გაფიცვა, შეტყვები, პეტარდების აფეთქება, ქალაქგარეთ შეკრებები, აღმინისტრაციის მიმართ სხვადასხვა მოთხოვნის წყენება და ა. შ. რევოლუციურად განწყობილ მოსწავლეებს თანხერმობდნენ და ხშირად ესმარებოდნენ კადეტ მოწინავე პედაგოგები, რომელთა რიცხვს, ვეუთენოდნენ გ. პეტაროვი, ა. გალინი, ა. პლატონოვი. მათი მოღვაწეობა ფარული არ დარჩენილა ყანდარმერიათათვის და ისინი აღმინისტრაციული წესით გასახლებს ქუთაისიდან.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მთავრობის ოფიციალურმა აგზეთმა „Голос Кавказа“-მ მოათავსა წერილი, სადაც იღინიშნა, რომ „მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული მოსწავლეებისაგან ამ პედაგოგთა ჩამოშორება საჭირო იყო...“  
ერნალ „Школьная жизнь“-მა სასტიკად გაილაშქრა მოწინავე პედაგოგთა მიმართ მიღე-

ბული რებრესიული ღონისძიებებსა და „ვროლს კავახას“ რედაქციის წინააღმდეგ შემტობის სპეციალური წერილი შემტობის წინააღმდეგ „ჯინში“ გამოქვეყნებული წერილებიდან შეიძლება დავასენათ, რომ თემცა ერნალი ვარჯეული პოლიტიკური პარტიის ორგანო არ იყო. მაინც იგი კარგად გამოხატავდა ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურ განწყობილებას და აშკარად იყო მიმართული ცარიზმის წინააღმდეგ.

რაც შეეხება ერნალის სარედაქციო კოლეგიას, შეიძლება შემდეგი აღინიშნოთ: ერნალის პირველ გვერდზე მოთავსებული განცხადებიდან ჩანს, რომ მისი სარედაქციო კოლეგია შედგებოდა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებისაგან.

ერნალში მოთავსებულ ყველა მასალას გასაგებში მიზნების გამო მხოლოდ ავტორთა ფსევდონიმები აქვს მიწერილი. ერნალის სარედაქციო კოლეგიას მასალები შეუკრებია მეორე ნომრისათვის. აკაცი შანიძეს, რომელიც მაშინ კლასიკური გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლე ყოფილა, დაუწერია და რედაქციისათვის გადაუცია წერილი საფთო სჯულის საწინააღმდეგოდ. მაგრამ ამ წერილის დაბეჭდვა ვერ მოხერხებულა.

ქუთაისის ყანდარმერიის საგუბერნიო სიმართველის საქმეებში არის ცნობა იმის შესახებ, რომ 1907 წლის ბოლოს ქალაქგარეთ მოეწყო გიმნაზიელთა შეკრება ს. კომოროვის მეთაურობით. მას შეუტანია წინადადება, მოეწყოთ გაფიცვა, გამოეცათ ქუთაისის გიმნაზიელთა ყოველკვირეული ერნალი, რომელშიც გაკრიტიკებული იქნებოდა იმდროინდელი სკოლის რეაქციონერ პედაგოგთა მოქმედება 1. ამ დოკუმენტთან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე ს. კომოროვი, რომელიც გიმნაზიიდან გარიცხვს რევოლუციური მემოზობისათვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ერნალის გამოცემის მომზადებასა და მის გამოცემაში.

მოსწავლე ახალგაზრდობის არაღვალურა ერნალში „Школьная жизнь“-ის გამოცემა ცარიზმის პირობებში დასტურებს იმ ფაქტს, რომ ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა არსებული წყობილებას წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის აენაერდში იდგა და თავისი წელიწადი შექონდა მეფის თეიმურაზიელთაგან მშრომელი ხალხის გათავისუფლების სასახელო საქმეში.

1 ამსევე დასტურებენ ამევე გიმნაზიის ყოფილი მოსწავლეები აკ. შანიძე, ვრ. საღარაძე და ი. კანდელაკი.

1 საქ. სსრ ც. ს. ო. ა., ტ. 3, ს. 55, ფურც. 22-23



კინო რეჟისორი

ლადო გურიშვილი

ბავშვობიდანვე ლადო გატაცებული იყო მხატვრობით. სკოლაში აცოცებელი ზმირად მიუყვებოდა მაგიდას და დასურათებელი წიგნებიდან გადმოხატავდა ხოლმე რუსთაველის, ერეკლე მეორის, პეტეინის სახეებს. ყოველ პორტრეტს თავისი ფანტაზიით მიუხატავდა მთებს, ცხენებს, ირმებს, შუბითა და ზმლებით შეიარაღებულ მეომრებს, მათ ირგვლივ დაფრინავდნენ ჩიტები და ხეების ფოთლები შრიალეზდნენ.

ზოგჯერ გუდიაშვილების ოჯახს ესტუმრებოდა მეზობელი მხატვარი ზომერი, თბილისში ჩარჩენილი ბერლინელი გერმანელი. ზომერს „არტისტული“ შეხედულება ჰქონდა: უდაბნოთ ზომიერად მუშაობდა ტანსაცმელი, კისერზე ჩამოკიდებული ბანტი, გამალოტებულ თავზე მოწითოთი ამა, მოაისფრო ცხვირი, რემბრანდისებურად ყურზე ჩამოფხატული განიერფრფლუებიანი ქუდი, ასეთი იყო მხატვარი, ფერწერაში ფორტრაფის მოყვარული და ქართული ლენინის დიდი თავანისმცემელი. მაგრამ ზომერს მახვილი თვალი ჰქონდა და იმის თქმა მაინც შეეძლო, ბავშვის მიდრეკილება მხატვრობისადმი საქართველა თუ არა წახალისებს. დედამ უჩვენა მხატვარს შვილის სურათები. ზომერი დიდხანს სინჯავდა, ზოგჯერ გადახედავდა პატარა მხატვრის თავს, რომელიც ძლიერ მოჩანდა მაგიდასთან. ბოლოს პათეტურად განაცხადა: „ო, მისგან ნამდვილი მხატვარი გამოვა! ოღონდ სწავლა და სწავლა, თ რაა სკიპრი!“

გავიდა რამდენიმე წელი. ლადო წამოიზარდა. იგი ბევრს კითხულობდა, ხატავდა, სწავლობდა. ხატვისადმი სიყვარული უფრო გაძლიერდა. სკოლისაგან თავისუფალ დროს ლადო ანდომებდა ხატვას, სურათებიან ავსებდა ათობით ფერცილებს. ახალგაზრდა მხატვარმა სკადა ზეთით ხატვაც. მალე ლადო გაეცნო მხატვარ ალექსანდრე ბავშვუკ-მელიქოვს და ჰაბუტკის — ზიკა ვალიშვილის. ისინი ერთად დადიოდნენ გამოყენებულ, სინჯავდნენ გრაფიკებს, რემპროდუციებს, მსჯელობდნენ ხელნაწერებზე, ვადიოდნენ თბილისის ქუჩებში და მის ვარტუბნებში უტარდების ჩასახატავად.

1910 წლის აგვისტოში ლადო ველის ფანტაზიით მივიდა ხატვისა და ფერწერის სკოლაში საკონკურსო გამოცემის ჩასახატვად. ლადომ გამოკლა წარმატებით ჩააბარა და მიიღეს სკოლაში პირველი კლასის მოწაფედ. მისი ოცნება აღიქმდა. ლადოსთან ერთად სკოლაში მიიღეს კეთო მალაშვილი, მიხეილ ქობულაძე, გოგი ზნაძე და სხვები. გატაცებით შეუდგნენ ახალგაზრდები სკოლაში შეცადნეობას. ლადო კარგად ვეფლება საგნებს. ოღონდ ვერ ეგუებოდა ანტიეტრი ფიგურების გადმოხატვას, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო ფორმები და პროპორციები, კარგადაა დამუშავებული შექმნილიყო; მაგრამ რაღაც გამოურკვეველი ჩანდა მის ნამუშევარში. რაღაც სხვა სიციცხლე ჰქვდა. იგრძნობოდა, რომ გადმოხატავი საქუთარი ინდივიდუალობით დაჯილდოვებულია.

ლადოს მასწავლებელი, გარჩენულად მკაცრი და პირქვეში ოსკარ შმერლინგი გულკეთილი ადამიანი იყო. იგი აცქირებოდა ლადოს მიერ გადმოხატულ ანტიეტრ ფიგურებს და თავს იქნედა.

ხატვის კლასში ასწავლიდნენ ცნობილი და გამოცდილი პედაგოგები: ოსკარ შმერლინგი, პენრიბ გრინეცკი, ელიშე თათევისიანი, ბორის ფოგელი და ნიკოლოზ სკლიფასოვსკი. ლადო ბუჯითი მოწაფე იყო, იგი ცდილობდა არც ერთი შეცდომით არ გამოეტოვებინა. წარმავებით ვეფლებოდა ცოდნას. მაგრამ ახალგაზრდა მხატვრის ნიჭი თავისებურად ელინდებოდა სულ უფრო მეტად და ძლიერად. უკანასკნელ, მეოთხე კურსზე შმერლინგმა ველარ მოთმინა და უთხრა ლადოს: „სამი წელიწადი ბავშვით მოწაფე იყავი, ახლა რა მოგდის? ვინ მოქმედებს შენზე ასე ცუდად? ფუტურისმის სენმა უკვე გადააარა თბილისზე, მისი „დირიტორი“ კირილე (ზდანევიჩი) პარისს გაემგზავრა, შენ კი რაღაცეებს იგონებ. ფრთხილად იყავი, ლადო. შეიძლება ამ გატაცებამ მთლად დაგუბოს!“ მაგრამ, გავიდა რამდენიმე წელი და სკოლაში მუცადინეობაც დამთავრდა. ლადომ სხვებთან ერთად მიიღო საშუალო სკოლის მასწავლებლის დიპლომი.



ახალგაზრდა მხატვრის წინ გადაიშალა ფართო შემოქმედებითი ძიების გზა. ახლა მას შეეძლო თავისი საკუთარი ორიგინალური სურათებისა და ნახატების შექმნა.

ცნობილია, რომ მეფის ბრუსეთის პირობებში ქართულ ხელოვნებას მთავრობა სრულიად არ აქცევდა ყურადღებას. ძველი ტაძრები მოუვლელობისაგან პარტახტდებოდა და ინგრეოდა. ქართული საზოგადოებრიობა მტკივნეულად განიცდიდა მატერიალური კულტურის ბრწყინვალე ძეგლების ძარცვისა და განადგურების მოპყრობის ფაქტებს. ამიტომ გადაწყდა, ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით შემდგარიყო ექსპედიცია ამ ძეგლების აღსარიცხავად, შესასწავლად და ფრესკებიდან ასლების გადმოსაღებად. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ ცნობილი არქეოლოგები, მხატვრები, არქიტექტორები, ფოტოგრაფები, ლაღო გუდიაშვილი დიდი გიტაცებით მონაწილეობდა ამ მისთვის საინტერესო მუშაობაში. ორი წლის მანძილზე ლაღომ და მისმა მეგობრებმა — მიხეილ ჭიათურელმა და ილია ზღაპრუნიძემ — მრავალი უნიკალური და მდიდარი არქიტექტურულ-არქეოლოგიური მასალა დაკრთვეს: უამრავი ასლი, გაზომვა და ფოტოსურათი შესრულდა და ჩამოტანილ იქნა თბილისში. ატენის ტაძარი, ვრეში, დავით — ვარკეთილის მონასტერი, მცხეთა, ნაბახტევი, და თურქეთის შერო ოქუპირებულ მხარეში — ოშკი, იშხანი, ბანა პირველად წარდგინეს ჩვენი საზოგადოების წინაშე მთელი თავისი ბრწყინვალეობით და სიმშვენიერით. ლაღომ შესანიშნავად გადმოიღო ასლები იშვიათი ფრესკებიდან, რომელნიც ძველ ტაძრებს ამშვენებდნენ. ამ ექსპედიციამ მუშაობაში დიდი სარგებლობა მოუტანა ლაღო გუდიაშვილს, აქ დაიწყო იგი გასათქვამი ხალხურ შემოქმედებას, ქართული ხელოვნების საწესებს, რაც მას ადრეც ძლიერ იტაცებდა. ქართული ფრესკებიდან ასლების გადმოღებებს და მათი შესწავლის პროცესში ლაღომ დიდი გამოცდილება და ცოდნა შეიძინა. მის თვალწინ გაიხსნა ფრესკის კომპოზიციის საიდუმლოება, საზოგადოებრივი აღნიშვნა, ზუსტი ნახატი, ფერების ნათელი ვაშა. ამ ექსპედიციამ მუშაობაში დიდი კვალი დააჩინა ლაღოს მთელს შემდგომ შემოქმედებას.

1913-14 წლებში ლაღო გუდიაშვილი ვაეცნო მამინ ჯერ კიდევ უცნობ დიდ მხატვარს ნიკო ფიროსმანიშვილს. მისმა სურათებმა ლაღოც ძლიერ შთაბეჭდილება მოახდინეს. ერთსა და იმავე დროს გაოცება და შიში დაედგინა მას: ლაღო კარგად იცნობდა აკადემიურ ფერწერას, აღორძინების მხატვრობას, ესპანურ, ფრანგულ დარუსულ ფერწერას. გარდა ამისა საუცხოოდ ჰქონდა შესწავლილი ფრესკული ფერწერა და მინიატურები. მაგრამ ნიკოს სურათები არაფერ ამდგევარს არ ჰგავდა. ნიკოს სურათებში სიბერების დიდი სიმართლეა აღ-

ბეჭდილი, ისინი საოცრად ორიგინალური და, ამავე დროს, ტრადიციული კარგად შექმნილი ქართულ ფრესკების ტექნიკით შექმნილი. ლაღომ გაიგო, რომ ნიკო ლარინი და მარტოხელა კაცი იყო, მას არაფერი არ ჰქონდა, საღებავებისა და ფერების შესანახი უბრალო უფლის გარდა. მხოვლადეად იმისა, რომ ნიკო ბრწყინვალე მხატვარი და მონუმენტური ფერწერის (ხალხური ხელოვნების თვისებაა) ოსტატი იყო, რომელსაც კომპოზიციის დიდი გრძობა და დეტორბატივობა ახასიათებდა, მას ბედი არ სწყალობდა, იგი დაეცინის და ზოგჯერ ამუხან ავღების ობიექტი იყო.

ლაღოსთვის საესებით მისაღები იყო ნიკოს შემოქმედება, მან შეიყვარა იგი, რადგან ქართული ფრესკისა და ხალხური ქანდაკების ტრადიციები, რაც ასე მძლავრად ჩანდა ნიკოს მხატვრობაში, ლაღოს ფერწერული აზროვნებისა და სტილისათვის მეტად ახლოდები იყო. ლაღომ შემოქმედებითად აითვისა ნიკოს ეთილისმყოფელი გავლენა და საკუთარი დამოუკიდებელი ხელოვნების შესაქმნელად გამოიყენა იგი.

ნიკოს სურათები გაფანტული იყო თბილისის ძველი უბნების ღუქნებში, სახაშეებში, ტყეის სარდაფებში და ზოგ კერძო ბინაზე. მხატვრებმა ზღაპრუნიძემ პირველად დაიწყო ნიკოს სურათების შეკრება, ლაღოსაც დაეხმარა დაუძლეველი სურელი ენახა მისი სურათები, მხატვრებმა უცნობი შედგურები. 1915 წლის გაზაფხულზე ლაღო, საში ბაგბეგუ-მელქოი და ზოგა ელოშვესკი ერთად წაიყიდნენ თათრის მოედნისკენ ნიკოს სურათების საქებნად. მეგობრები გაიტაცა ძველი თბილისის ამ უბნის თავისებურებამ; მხოველ-მოხვეული კუჩქები, ჩამორბილი სახლები, ნაირ-ნაირი საქონლით გადატვირთული ღუქნები, აღმოსავლური სასაფლაოების საეტიფიკური კერძები. აქეთ-იქით იხებდებოდნენ და აღბრუნს ჩანახატებით აესებდნენ: ნარიყალს ნანგრევები, მეტეხის პანორამა და ზოგ. ფიროსმანიის სურათები კი არსად ჩანდა. მათ ძებნაში მეგობრები ორთაბულაში აღმოჩნდნენ, თითქმის „ელდორადოს“ განთქმულ ბალ-რესტორანამდე მივიდნენ (აქ რამდენიმე ხნის შემდეგ ამ წერილის დაწერისა ფიროსმანიის ცამეტი შესანიშნავი მუშაობა შეიძინა), მხატვრები აქ შეჩერდნენ და დაიწყო მტკერის ეტიუდების ხატვა. ლაღო გზის გვერდით მოეწყო და უკვე უკანასკნელ შტრიხს აეთებდა თავის ეტიუდზე, როდესაც მას „გაოცებულმა“ აქლებმა თავი მოაღვა, თორმე ქარავანი მიდოდა და გზით და ერთ-ერთ აქლებში ისე „დაინტერესდა“ ლაღოს სურათით, რომ ერთი შეხებით მხატვრების ეტიუდები აქეთ-იქით გაფანტა. ლაღოს არ ესიაშვინა ეს აშბავი, ზოგა კი ძლიერ იმაგრებდა სიცილს და აქვე დახატა ესეი „ფერწერის დაამფასებელი აქლებში“.

რამდენიმე დღის შემდეგ ლაღომ გაიცნო



ფიროსმანიშვილი. მისმა მკაცრმა თავდაპირველმა, ღარიბი ადამიანისათვის ჩვეულმა კეთილშობილებამ და ღრმა ინტელექტმა, რომელიც მის მთელ სახეს აშუქებდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა მხატვარზე. სულ სამჯერ მოუხდა ლადოს ფიროსმანიანთან შეხვედრა, მაგრამ ეს შეხვედრები სამუდამოდ დარჩა მის მესიერებაში. ოცო წლის განმავლობაში, დროდადრო უბრუნდებოდა ლადო თავის მხატვრობაში „ფიროსმანის თემს“ და შექმნა სურათებისა და გრაფიკის მალაქმხატვრული ციკლი. ამ თემის პირველი ნახატები 1916 წელს ეკეთენიან. პირველი იყო „ფიროსმანი ლენის სარდაფთან“ (ტუში), რომელიც უფრო ნატურადან ჩანახატის ხასიათს ატარებს, ორი დანარჩენი — „ფიროსმანის ოცნება“ და „ფიროსმანის საღებავები“ (ტუშით შესრულებული) — ფიროსმანის სულიერი სამყაროს გახსნის ცდაა. 1917 წელს შესრულებულია ფანქრით ნახატი „ფიროსმანის მეცენატი ბეგო“ და „ფიროსმანის სახელოსნო“. ტონირებულ ქაღალდზე ტუშით შესრულებული ნახატი „ფიროსმანის შესანლობა“ (1940 წ.) სახედა სვედით აღერ ვარდაცვლილ მხატვარზე. მკვეთრადაა გამოხატული მოულოდნელი რაკურსით საფლავის ქვა, მას ებჯინება დაობლებული შველი, თითქოს ვლადება ნიკოს ამოსვლას საფლავიდან. კინტო არღანს ატრიალებს და საფლავზე ლენის ასხამს. კომპოზიცია და ნახატი მთლიანად მხატვრის უტყუარ გამარჯვებას წარმოადგენს.

ზეითი შესრულებული სურათები სხვადასხვა წლებს ეკუთვნის. ყველა ესენი აღბეჭდილი არიან ნიკოსადმი მხატვრის უდიდესი სიყვარულითა და უსასღერო სინაზლით, რომ იმ ბედკრულ დროში (1918) სახალხო მხატვარი უფროოდ დაიღუბა საერთო გულგრილობისა და ვულჟაობის გამო. „ნიკო ფიროსმანიშვილი“ (1928 წ.) პირველი სურათია, სადაც გუდიაშვილი ნიკოს სულიერი მდგომარეობის ვადმოცემას ცდილობს. ეს სურათი ახლა საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს ამშვენებს. შემდგომდროინდელ მკითვ ზომის სურათში „ნიკო ნიკოლა“ (1936 წ.) მხატვარი აღწევა ნიკოს კაჟრულ პორტრეტს. ათი წლის შემდეგ, 1946 წელს, ლადო გუდიაშვილი ხატავს ნიკოს ტრავგიულ ცხოვრების დასასრულს, მის სიკვდილს მარტობისა და გამოუვლადობის პირობებში. „ნიკო ფიროსმანის სიკვდილი“ ოსტატის მტკიცე ხელოვნებას შესრულებული, ძლიერად, დამაჯერებლად, მკაცრი ყვირთვით და ნატივით ტონებით. მკრთალი შუქი ძლივს ანათებს კიბიქვეშა ხეხულას, მხატვრის უკანასკნელ თავშესაფარს. იატაკზე წევს ზურგით კედელს მიბჯენილი ნიკო, მხრებში ჩაზიდული თავი უფრო აქვს გადაწეული: ტანჯვა, მარტობა, გამოუვლადობა, სიკვდილი. ლადო გუდიაშვილის

ეს სურათი მენშევიცური მთავრობის მკაცრი განაჩენია.

სამხატვრო სკოლის დამოუკიდებელი მუშაობის დასრულების შემდეგ ლადო დაადგა დამოუკიდებელი შემოქმედებით გზას. ამ დროს იგი ემუშავა ხელოვნების სხვა დარგებსა და ლიტერატურაში თავის ახალი მხატვრობის შესაფერის მონათესავე სიახლეს. იგი დაუმეგობრდა ახალგაზრდა ქართველ პოეტებს „ციხურყაწილების“ დაჯგუფებთან. პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალ. ვაფრინდაშვილი გახდნენ მისი თანამეგობრები. ლადო მათი პოეტური საღამოების მუდმივი მონაწილე ხდება. ლადოს წინაშე გაიხსნა ქართული პოეზიის დიდი სამყარო... ქართული ფრესკებისა და ნიკო ფიროსმანიშვილის მხატვრობასთან ერთად პოეზია ამიერიდან განუყოფელ ნაწილად შევიდა ლადოს მხატვრულ შემოქმედებაში. უფრო მოგვიანებით პარიზში ყოფნამ მის მხატვრობას შესძინა თანამედროვე ფერწერის ცოდნა და მოწინავე მხატვრული ტექნიკის დაუფლება, ოსტატობის ის თავისუფლება, რაც ეპოქით მუშაობდა.

1916 წლის გაზაფხულზე ლადო ესტუმრა ტიციან ტაბიძეს. გულუხვმა მასპინძელმა სიხარულით მიიღო ლადო. ფართო ოთახში მრგვალ მაგიდას მიუხსდნენ პაოლო იაშვილი, ნ. მიწისვილი, კოლაჯ ჩერნიავსკი, პოეტებს უყვარდათ ლადო, ახალი ქართული მხატვრობის საძიებლო ძალად მიიჩნდათ იგი. საუბარი ეხებოდა ფერწერას, პოეზიას, მათი ურთიერთობის საკითხებს. ვიღაც აკადემიკოსი აღშფოთებულ იყო, რომ „მღებავ“ ნიკოს ასე მალე აყენებდნენ: კაცო, რომელიც აბრებს ხატავს, რომელიც „საქვეო ავტორიტეტის“ წყალობით გახდა თვალსაჩინო მხატვარი? პოეტები დასტინიოდნენ მას, არ იზიარებდნენ მის აზრს. პაოლოს აზრით, „ფიროსმანი სიკოცლის უკუდავი წყარო“ იყო. ლადომ დაემატა: „ფიროსმანი ფრესკული ფერწერის ძველი ტრადიციების შემკვიდრეთაო“. კოლაჯ კითხვობს ნიკოსადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსს. საუბარი გადადის პოეზიაზე. მოისმის სახელები: გერლენი, რემბო, ბოდლერი, პუშკინი, ბლოკი, პესიკო...

ლადო ვატაცებით უსმენდა პოეტებს, მის თვალწინ ბუნდოვანდ ჩნდება ტრელოზე გადატანილი მათი სახეები. იგი უყურებდა ფესზე მდგომ ტიციანს, რომელსაც ხელში ეჭირა ეტრატის მსგავსი გრძელი ქაღალდი და რბილი ხმით, ოდნავ დაბეჭდილი მანერით, ოდნავი წამლურებით კითხულობდა ლექსს პეტრბურგზე. პოეტი შესტერობდა ის დღეს პირველად კედელზე ჩამოკიდებულ მხატვარ კ. ზდანაიევიჩის მიერ შესრულებულ წინის დიდ პორტრეტს.

ლადო უკვე გონებით ხედავდა პოეტის მომავალ პორტრეტს, მას დაეუფლა დაძლიაველი სურვილი, ახლავე ქაღალდზე გადაიტანოს თა-

ვისი ფერწერული ხილვა და აქვე აღგვის მომავალი პორტრეტის სქემას. შინ მისვლისთანავე ლადო ამაგრებს მოღბერტზე სუფთა ტილოს და ხელში ნახშირს მოიხარკევებს. ამ მომენტიდან მხატვარი უკვე გამოირეულია უველიფერი იმისაგან, რაც არ ეხება მის სამუშაოს, დრო გაჩერებულია მისთვის. გათენებამდე მუშაობდა ლადო. ოთახში შესულმა მისი პირველმა სხივებმა აღინახეს ახალი ფანტასტიკური სურათი. ტიციან ტაბიძის პორტრეტი შესრულებულია მეტი გამოთ (ისე როგორც 1916-1921 წლების თოქის ყველა მისი სურათი). მეტი-მეტიანე ფერი ბატონობს ტილოზე. ასურული შორეულების შორეული რემინისცენციები გამოსკვივის სურათის კომპოზიციაში. პოეტო ერთი ფეხით მუხლმოდრეკილი ღვას მიწაზე, მეორე ფეხი მუხლში მოღრული აქვს. ხელში ჩიტი უკავია, მოხანს მისი თავი, მეორე ხელში ტიციანის გრძელ ღამაზ თითებს უკავია ლექსების გრავირი.

პოეტის შთავგონებული სახე, მიუხედავად ფერწერის პირობითობისა, რეალისტური, ტიციანის ხასიათი ზუსტად არის დაჭერილი. მალალ შეზღუდვებთანაზად ჩამოწეული თმა, შორისმკვერტი თვალები, „პოეზიის წარმოქმნა“ — ასე შეიძლება ვუწოდოთ ამ სურათს. მთების მსუბუქი სილუეტი და ხეების წყრილი ტრატები ამშვენებენ სურათის მეორე პლანს. გახედული კომპოზიცია, შემოქმედებითი ფანტაზია და პოეტური შთავგონება ამ სურათის შთაფარი ღიბსება.

დაქანებული, მაგრამ კმაყოფილი ლადო სურათით ვგებება გაკვირებულ და გახარებულ პოეტს. „აქ ორი ქართული ნიჭიერება გაერთიანდა — პოეზია და ფერწერა“, წამოიძახა ტიციანმა, როდესაც სურათს შეხედა. ამ სურათით ლადო გუდაშვილის შემოქმედებაში ახალი პერიოდი დაიწყო — რეალური ფანტასტიკის პერიოდი, ესე იგი, სხივების რეალური ამბებისა და ფაქტების სხივებზე მხატვარი თავის სურათებს ანიჭებს თავისებურ ფანტასტიკურბასს. ამ პერიოდის ლადოს სურათებმა საერთო აღიარება და მიწონება დაიმსახურეს, ეს იყო მისი ორიგინალური „ხილვა“ რომელიც იგი გამოიჩინებდა სხვა მხატვრებისაგან.

1915-1921 წლებს მანძილზე ლადო გუდაშვილმა შექმნა სურათების ციკლი თბილისის ფოლკლორის თემაზე. ამ სურათების მოქმედი პირებია — ჭალაჭის „დაბალი“ ფენები, მეღვამეები, ორთავიანის ქალები, ხელოსნები, ეგარეთოდებელი „უფაროსილები“. ამ რამდენიმე სურათის სახელწოდება: „სტეპუას დექანი“, „ხაში“, „ჩუღურეთელი თეკლე“ და სხვ. ამ ნამუშევრების კომპოზიცია სასუსვა მოულოდნელობით, ფიგურები სტილიზებულია კეთილფერწერული მანერით. მკვეთრადაა მოხაზული ხასიათები. ამ მეტი ტილოებს ემჩნე-

ვათ „ციციანისწილებს“ გუდაშვილმა შემოქმედებითი მეგობრობის გაფრთხილებების კომპოზიციას ლექსალერე მხატვრული მხედველობით გადასცემული ქართული პეიზაჟი...

1917 წლის გაზაფხულზე ლადო გუდაშვილმა და ღვთა კაკაბაძემ გადაწყვიტეს ინახელონ ფიროსმანიშვილი. დაიბარეს ზიგა ვალიშვილი, რომელმაც ურჩია მხატვრებს ნიკო მოეძენნათ მუსხრანის ხულის მახლობლად. მართლაც ორი დღის შემდეგ ნახეს ნიკო ბეგო იაქივიის ღვამში. იგი ცხოვრობდა ღვინის უკან მიშენებულ პატარა ოთახში, რომელიც იყო მისი „სახელოსნო“ და გასათევი ბინაც. მაგრამ იაქივიე ამ „ოთახსაც“ იყენებდა თავის მიზნებისათვის; იგი სახსე იყო ღვინის კასრებით. იმ იქ ცხოვრობდა და მუშაობდა ფიროსმანიშვილი!

ნახატი „ბეგო ფიროსმანის მეცენატი“ ლადოს მიერ შესრულებულია ციკხალი შთაბეჭდილებების მიხედვით. აგერ, ღვას ბეგო დხლთან და ღვინოს ასხამს. მხატვრები საღამს აძლევენ „ხაზინს“ და ვითხოვნიან, შეიძლება თუ არა ნიკო ფიროსმანიშვილის ნახვაო. ბეგო ქვეის თვლით შესცქერის მხატვრებს: „რა გინდათ? ის თავის ოთახში მუშაობს“, როგორც იქნა. დათანხმდა და მხატვრები შევიდნენ ნიკოს „ოთახში“, სადაც იგი თავისი შესანიშნავი სურათის „თელეთობის“ მეორე ვარიანტს ასრულებდა. გამხდარი, ავადმყოფური სახის, ნიკო ოღნაც იღიშება: „ჩემი სახელოსნო ესაა. მართალია, აქ ქარი არ უბერავს, ოღონდ ღვინის სურნი ღვას და ცოტათი ბნელა. მაგრამ სად წავიდო? დიდებუმი კიბის ქვეშ ცოცა, თანაც, არ ვიცი, მგონი, პატრონმა ელაც მეჩქეშეს ნაქაჩავე კიდევაც“. ღვთა კაკაბაძემ ჰკითხა: ხომ არ ვწყინებოდა ნიკოს, მისი სურათები რომ ეყიდა ბეგოსაგან. „ბეგოს სხვა სურათებს დავუხატავ, კმაყოფილი დარჩება“, — უთხრა ნიკომ. მართლაც რამდენიმე წლის შემდეგ ღვთა კაკაბაძემ შეიძინა ბეგოსაგან ნიკოს რამდენიმე სურათი, რომაც გადაარჩინა ისინი დალუგვას...

1918 წელს მხატვრები სერგეი სედეიკინი, ლადო გუდაშვილი, ღვთა კაკაბაძე, ზიგა ვალიშვილი და სხვ. შეუდგნენ რუსტომიან „ჭიმერიონის“ მოხატვას. ეს რუსტომიანი იმყოფებოდა რუსთაველის პროსპექტზე დრამატული თეატრის (ახლანდელი რუსთაველის თეატრის) ქვეშის სართულში. მხატვრებმა მოხატეს რუსტომიანის კედლები, ჰერი და რუსტომიანის ნახსენებელი კიბე. ლადო გუდაშვილმა შესასრულა ორი დიდი პანო, აქ პირველად გამოხედავდა მხატვრის ნიჭი კედლის დიდ სიბრტეზე მხატვრობის შესრულებისა. სიწმინდობა, რამდენიმე წლის შემდეგ მთელი ეს კედლის მხატვრობა მისობილდ იქნა ისე, რომ სრულიად არაფერი არ დარჩენილა მისგან.



1920 წლის დამდეგს ლადო გუდიაშვილი და დაეთ კაქაბაძე მხატვრული დასტატებისათვის პარიზში გაგზავნეს. თვენახევარი გაატარეს იტალიაში, რომში მიქელ-ანჯელოს, რაფაელისა და ტიციანის სურათები დაათვალიერეს. მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსენი წავიდნენ მხატვრები პარიზში. ისი ითასზე მეტი მხატვარი ცხოვრობს პარიზში, და თითოეული თავისებურია. აკადემიური მხატვრობის წარმომადგენლები შემოაბუნ კუბისტებისა და იმპრესიონისტების გვერდით, ფუტურისტები აბსტრაქციონისტებთან ერთად. შეხედულებების, თეორიებისა და მოძღვრებათა რაობმტრიალში სუსტი ხასიათის კაცი ადვილად კარგავს თავის ინდივიდუალურ თვისებებს და კოსმოპოლიტურ კაობში იხრობა, ძლიერი ტლანტები უძლემენ ყოველგვარ „ცოუნებას“ და არ კარგავენ თავის ნაციონალურ სპესს. ასეთი იყო ლადო გუდიაშვილი, რომელმაც პარიზშიაც კი შეინარჩუნა თავისი თვითმყოფობა. ლადომ დაიწყო მეცადინეობა გამოცდილ პედაგოგთან — პროფ. რონსონთან. ამავე დროს, ლადო ეცნობოდა ქალაქს, მუშაობდა ეტოლუებზე, აგრეთვე არ იყიწყებდა თბილისის თემს, რომელიც პარიზშიაც კი ასე ძლიერ იტაცებდა და აღილვებდა მხატვარს. პარიზის პერიოდის სურათებია მეტი კოლორიტისაა, უმთავრესად შავი და მწვანე ფერითაა შესრულებული. ნატურის აღქმის ინდივიდუალური მანერა, პლასტიკური ფორმა, ინტენსიური კოლორიტი, შექმნილი უქონლობა, სიბრტყითი კომპოზიცია, — ასეთია პარიზის პერიოდის ლადოს სურათების კომპონენტები. სამწუხაროდ, ამ პერიოდის სურათებიდან ძალიან ცოტა დარჩა. მხატვარს დიდი წარმატება ჰქონდა პარიზში, „ლევანდარული ქვეყნიდან, შორეული და საიდუმლოებით მოცული საქართველოდან“ ჩამოსვლის ნახატებს და სურათებს ინდენენ პარიზის, ლონდონის, ბრიუსელის და ნიდ-იორკის მუზეუმებში. „თვენი ცოცხალი“, „სადღევრტელო განთიადზე“, „იდილია“, „ორთაქალის სტუმრები“, „მეტი ხისქვეშ“, „ქალმა თავი მოიშინაჩა“, „ირმის ტბის პირას“, „ცხენის წყლის ტალღებში“ და პარიზის თემებზე შესრულებული სურათები: „პარიზულები“, „ესაჩანელები“, „ხიდი პარიზში“, „ესპანელი მეგობრები“ — თი, არასრული სია იმ ნაწარმოებებისა, რომლებითაც აღტაცებული იყვენენ პარიზული მყურებლებია.

1922 წელს პირველად მოეწყო პარიზში ლადო გუდიაშვილის სურათების გამოფენა. პარიზულმა მყურებლებმა პირველად ნახეს ერთად თვემოტილი ლადოს ფერწერისა და გრაფიკის მრავალი ექსპონატი. სხვათა შორის, აქ იყო გამოფენილი თბილისის ციკლის სურათებიდან „იდილია“. მომდევნო ეტლში,

„სადღევრტელო განთიადზე“, „კინოების ქვიფი ქალთან“ და სხვ. ერთ-ერთ რეკრეტუალურ ასე წერდა გუდიაშვილის გამოფენის შემოქმედმა პარიზში განდდა მეტად საინტერესო და ახალი მხატვარი შორეულ და საიდუმლოებით აღსავსე საქართველოდან. იგი არავის, არც ერთ ჩვენს მხატვარს არა ჰგავს, მაგრამ დიფულუბულია თანამედროვე ტექნიკას, ფანტასტიკური, ორიგინალური და ამალელებელია“. ასეთი ხასიათის რეცენზიები მრავალ იმეკდებოდა სხვადასხვა ეტრნალ-გაზეთებში. ლადოს ნაწარმოებებით დაინტერესდნენ პარიზში მცოვრები გამოჩენილი მხატვრები. განთქმული ესპანელი მხატვარი იგნასიო ზელოაგა მტაცებულ იყო ლადოს ტილოებით. „ეს სრულიად ორიგინალური ოსტატია, არასოდეს, არავისთან ასეთი ნაწარმოებები არ მინახავს“, ამბობდა ზელოაგა, ლადოს პატარა სახელისწო მონარჩანის ბულევარის მხლობლად დღედაღამე საესე იყო ხოლმე სტუმრებით: იაპონელი მხატვარი ფუეტა, ბელგეთი ფრანც მახერელი, ფრანგები — პიკასო, კორე ბრაკო, ალბერ მარე და სხვ.

მრავალი საინტერესო შეხვედრა ჰქონდა ლ. გუდიაშვილს პარიზში, მთჯან რამდენიმე საფედიამოდ შერჩა მის მუხსიერებას. ერთხელ, კაფეში ყოფნის დროს, ლადოს მოესმა მუქხარე ხმა: „გამარჯობა, ამხანაგო ლადო!“ მის წინ იდგა ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელმაც ქართულად მიმართა ლადოს. იმ დღეს ბეერი იმსჯელეს პარიზის მხატვრულ ცხოვრებაზე. ლიტერატურასა და პოეზიაზე, სიბუთოთა საქართველოზე. ვლ. მაიაკოვსკი ამირობდა ამერკავში წისკლას და რამდენიმე დღით განიერდა პარიზში. მეორე საინტერესო შეხვედრა იყო სერგეი ესენინთან და აისელორა დენენთან. ესენინი იცნობდა ლადოს თბილისში ყოფნის დროს და ახლა ხშირად დათარებოდნენ ისინი ლექსმბუტრგის ბაღში. აისელორა დენენი იგონებდა „საოღარ საქართველოს“, სადაც მან რამდენიმე გასტროლი ჩაატარა.

1926 წლამდე ლ. გუდიაშვილმა დახატა რამდენიმე სურათი, რომლებმაც მისი შემოქმედების ახალი ეტაბა შექმნეს: „ქალმა თავი მოიშინაჩა“, „ირმის ტბის პირას“, „მწვანე ფერიები“ და სხვ. ამ პერიოდის ლადოს სურათებს უკვე ახასიათებთ სიღრმე, თბილისური ფოლკლორის პერიოდის სიბრტყითი კომპოზიციებითი საგან განსხვავებით, მეტი საღებავების განსაზღვრული გამა უფერი ნაირიანი, ინტენსიური და ელორალი ფერებით იცელება. მხატვარი გათავისუფლდა სქემატიზმისა და სტილიზატორობისაგან. თბილისური ფოლკლორის პერიოდის სისოწარყვეთილი და სედიანი პრისონაგების მავიერ სურათებში გაბატონდა სიციცხლოთ საესე ფიგურები. მითაოლკარე და შეტმნავლად მოხრილად სხედი ანათეს ქალის შიშ.

ველ ფიგურას, რომელიც ჩაბნელებული ფონიდან უწყნარად მოიხანს. მხატვარი უარყოფს ზედმეტ დეტალებს, გვიჩვენებს მთავარს, მნიშვნელოვანს, თავისებურად ასქელებს ფორმას, ფერს, ფაქტურას, გლუვი, თხელი წისმის მიაგებურ, ფუნჯი უხვად ღებს მკერდს, მჭიდრო ზოდებს, რაც ზოგჯერ თათქმის დივიტორი შეგრძნების შთაბეჭდილებას ტოვებს დახატული ბეწვეულისა ან მატერისისაგან. შეინარჩუნა რა პოეტური ელერადობა, გუდიაშვილის მხატვრობას მიეცა ახალი სიმკვეთრე და შესრულების ოსტატობამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

ფერწერის პარალელურად ლ. გუდიაშვილი ბერის შეშობას გრაფიკაში. ნახატის შესრულების ტექნიკა მრავალნაირია: რბილი და მკვრივი ფანქარი, შავი და ფერადი, სანჯინა, ტუში, გუაში. პარიზის პერიოდამდე მხატვრის გრაფიკული მიღწევების პირველ ნიმუშებთან გვაქვს საქმე. 1914 წელს შესრულებულია ნახატები: „მასხარები“ (ტუში), „ამხანაგების შეხვედრა“ და სხვ. 1915 წელს ხატავს ფანქრით დედისა და მამის პორტრეტებს ცალკე-ცალკე. საქართველოს ძეგლების შემსწავლელ ექსპედიციაში მხატვარმა ვადმოსხატა ნახატების ფრესკა, „დაეთ-გარეჯა“, შემდეგ რამდენიმე ნახატი შეასრულა ციკლიდან „ფიროსშაინი“. 1918 წელს საუცხოო აკვარელი „ოჟის მონასტერი“ და ვადმოსხატა იშხანის ფრესკა (აკვარელი). და ბოლოს საუერადღებო პაროხის პერიოდის (1920—1924 წ. წ.) ფანქრით ნახატები: „ვერ დაარწმუნეს“, „თვალთშეკი შხაი“, „ჩარლი ჩაპლინი და ბატონი იმპრესარიო“ და სხვ, რომელნიც კაბიტალისტური სამყაროს უხადურ სინამდვილეს აწიშლებს. 1924 წ. გუდიაშვილმა შეასრულა მთელი სერია ნახატებისა ტონირებულ ქაღალდზე ტუშით, სეპიით და აკვარელით. ნახატი ოსტატის ხელითაა გოქთებული, ხაზი, თითქმის გრაფიკის სპირით გამოყვანილი იყოს, ისეთი მკვეთრია და ნათელი. ამ ნახატებიდან დავასაზღვრებთ რამდენიმეს: „ბიზნესმენთა კერპები“, „სინამიჯის ტყუობაში“, „თოვანაყოფილი სიმბაზიჯე“, „უდნაშვილის სკეღლით დასჯა“ და სხვ.

როდესაც ლ. გუდიაშვილი 1926 წელს დაბრუნდა საქართველოში, მას დაჰგდა ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც მძლავრი აღმშენებლობისა და აღორძინების გზას დაადგა. გამოცდილი ოსტატი, რომელმაც შეინარჩუნა თავისი ნაციონალური ღირსება, მაშინვე ჩაება საერთო აღმშენებლობის შრომაში, მას იწვევენ თბილისის მხატვრობის აკადემიაში ფერწერის პროფესორად, იწვევენ შეშობას რესპუბლიკის თეატრებში, კინოსტუდიაში, ხატავს სურათებს, პანოს, წიგნების ილუსტრაციებს.

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზ-

ში მოეწყო ლ. გუდიაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა (1927 წ. წ. ჩვენს ქვეყანაში ფერწერისა და გრაფიკის გამოფენის მხარშობებს. ეს იყო მხატვრის თავისებურა შემოქმედებითი ანგარიში 1919 წლიდან 1927 წლამდე. გამოფენას დიდი წარმატება ჰქონდა. თემატურად მრავალნაირი, გამოფენა, ამავე დროს, ხიზდავდა მკურნებელს ფერადიანი ტილოებით. პირველად ასე მიღებულ იყო წარმოდგენილი გრაფიკა, სადაც მხატვარმა გამოაშგლავნა ფანტასტიკის, ლირიკოსისა და მრავალფეროვანი მხატვრის ნიჭი.

პირველი პერსონალური გამოფენის გახსნის დღიდან ოცდაათ წელზე მეტმა დრომ გაწელო. ამ ხნის განმავლობაში ლ. გუდიაშვილის მხატვრული ოსტატობა სულ იზრდებოდა და ვითარდებოდა.

ლ. გუდიაშვილის უოველი სურათი შედგეია დიდი ხნის მოფიქრებისა, შემოქმედებითი ძიებისა, ამიტომ თავისთავად განუწმკრებელია. ზოგჯერ მათ ფანტასტიკურობა ახასიათებს, მაგრამ ასეთ სურათებშიაც კი იგრძნობა ცხოვრებისეული ოპტიმიზმი. მხატვრის შემოქმედება თავისი ძირებით მშობლიურ ნიადაგზე დგას, განუწმკრებელი გამოყვანებლობა და სიუჟეტების მრავალნაირობა საქართველოს ცხოვრების სინამდვილით იკვებება. კომპოზიციურად სურათები ერთმანეთს არა ჰგანან. სურათის აგება, ფორმათა დაწყობა და ხაზობრივი კომპოზიცია ძალიან განსხვავდება ერთი მეორისაგან. „ახალი სურათის სახე, მისი სიუჟეტი მაშინ მებადება, როცა ეხატავ, — ამბობს მხატვარი, სიუჟეტების შეუწყვეტელი მოძრაობა მოითხოვს დიდ შრომას, ეს კი მეტად დამლაღეია... ამიტომ მე „თანარვის ვიცეა“, ვიწვევ გრაფიკული ფურცლების ხატვას, რაც ჩემთვის შესვენებას წარმოადგენს, მაგრამ ასე დიდახსნ პრ გრძელდება, თვითონ ხელი მიიწეებს ტილოსაგან“. ასეთი შადკვეანისებური შეუწყვეტელი შრომა დამახასიათებელია ბევრი გამოჩენილი მხატვრისათვის. მაგრამ, ამავე დროს, დამახული, შეუჩერებელი შეშობა იწვევს ზოგჯერ წარუშარებლობასა და მარტვას, რისგან, საწყუხაროდ, ჩვენი მხატვარიც არ არის დარღვეული, თუმცა ასეთ შემთხვევებს მეტად მეტრე ადგილი უღავია მის შემოქმედებაში. აქ არ შეუძლებით ზოგიერთ ასეთ სურათის აღნიშვნას, ჩვენი წერლის მიზანია შევხებით მას, რაც საუკეთესოა, დამახასიათებელი და წამყვანი მხატვრისათვის.

ლ. გუდიაშვილს დაუმრეტელი ფანტაზია ახასიათებს. ავილით, მაგალითად, სურათი „როფელის დასასრული“ (1947 წ.). საყოფმურნეო სოფლის ჩვეულებრივი რეალური ამბეი გადაქცეულია დიდებულ დღესასწაულად, შრომის ტრიუმფად. ოსტატურად ილაგებს მხატვარი ტილოზე აღმიაწება, სანჯებს, იყენებს





სინათლეს, რომ შექმნას შემოდგომის სიუხვისა და ადამიანის შრომის სიხარულის შეგრძნება. პატარა შველს წინა პლანზე სურათში შეაქვს ზღაპრულობის შტრიხი, მესამე პლანზე პეიზაჟური ფონი იძლევა უმფოთფელი სიმშვიდის შთაბეჭდილებას.

არასაკლები საინტერესოა მხატვრის ისტორიული სურათები. აქ იგი თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტია. სიამოვნებით ხატავს თურქთა თავხედი ელჩის დანარცხებას იატაკზე სურათში „საქადრისი პასუხი“ (1945 წ.) სიამაყე და ხიზლი აღბეჭდილი ქართველების სახეზე, თამარ მეფე შეხვედრის ღირსიადე არ თელის მას. სურათი კომპოზიციურად ქართული ფრესკის ტრადიციის მიხედვითაა შესრულებული. დინამიკურია და მოძრაობით საესე სურათები: „ზაგრატი დიდის ბრძოლა თემურლენგთან“ (1940 წ.), „სვიმონ მეფის ბრძოლა თურქებთან“ (1941 წ.) და „მამაბლის მებრძოლთა რაზმის გმირობა კრწანისის ომში“ (1939 წ.) და სხვა.

საუცხოოა ამ ციკლის გრაფიკა: „თბილისის კარიბჭის დამცველი“ (ფანქარი, 1950 წ.), „ქორწილი არმავში“ (ფანქარი, 1949 წ.), „თბილისის პირველი მკვლანი“ (ფანქარი, 1928 წ.) და სხვა ფერტილები, რომლებიც შეკეთი ნახატით, გრაფიკულ ხაზით და ზუსტი კომპოზიციით გამოირჩევიან.

მეგობართა შორის, პიოლოს შემდეგ, ტიციანს განსაკუთრებით გ. ლეონიძე და ს. კლდიაშვილი უყვარდა. იმ შეხვედრებსა და თავზე დათუნებულ ლამაზებს, როცა ტიციანი სახლამდე მივაცილებდი (ერთი გზა გვეკონდა: ის ცხოვრობდა გრიბოდოის ქ. № 12-ში, მე — არსენას ქ. № 14-ში), ხშირად შესაუბრებოდა სერგოს პიოხაზე, კოლეს ლორიაზე, გოგლაზე, მის პოეზიაზე. უყვარდა გოგლას ძარღვიანი ლექსები, რომლებშიც გრამობდა „რძის ოსწივარს“, ჩვენი ქვეყნის მიწის სიმშტენს, დაკრძებულ სიტყვებს არამატს, ეროვნულ სულს, საშობლოს გაყოცხლებულ წარსულსა და ქარიშხლიან ტემპერამენტს. მრავალი ლექსი ზეპირადაც იცოდა. ათიქმის ყოველდღე ხედებოდნენ ერთმანეთს.

დასტურად იმისა, თუ რა რაინდული და ერთგული გულის პატრონი იყო ტიციანი, მინდა გაიხსენო ერთი ეპიზოდი: ქალაქარეთ წვედით, დიდმოსკენ. ვიჭირავთ ეტლი, რომელზეც ვისხედით ტიციანი, გოგლა, მე და ვანო ნანეიშვილი. ვ. ნანეიშვილი ცეკვა „ქართლის“ შესანიშნავი შემსრულებელი იყო და, მასხოს, ის ხშირად იღებდა მონაწილეობას ცისფერყანწელთა საღამოებზე. ქალაქს რომ გავედით, ვანო ნანეიშვილმა ზემორობით რაღაც შეუფერებელი თქვა ნაცნობ ქალზე, რომელიც ტიციანს მოსწონდა. ტიციანი ეტლის კოფოზე იჯდა. ეანოს ზემორობა ვაიგოდა-გა-ანერა ეტლი. ჩამოხტა კოფოდან და ციმციმ ჩაოთიყვანა ვანოც, წააქცია და ხალაით სულ შემოაჭია. ერთხანს სიერს ვუყურებდით. შემდეგ გოგლა ჩაერა და გააშველა. მალე შერიგდნენ, რაც პერმარითი დასრულდა. ტიციანის წმინდა, ბავშვური, ალალი გული უხამს ზემორობას ვერ იტანდა. ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებთან კი ტიციანი ყოველთვის დიდმოგავი იყო. ბრძოლაში ავარბებდა. თავის ვახუთ „ბარიკადებში“ მან შემოიღო ვიკრეფილდებული „ბახულის ქრონიკა“ და თუ ვინმე არ მოსწონდა (მწერალთაგან), ამ ქრონიკაში მოთავსებდა. ბახული მისთვის კრეტინიზმის სინონიმი იყო.

ზემოთ აღენიშნეთ, რომ ტიციანი არ იყო შემოფარგლული მარტო ლიტერატურით. ის მთელი არსებით დაკავშირებული იყო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ამ მხრივ ტიციანი შტაკედ მისდევდა კლასიკოსთა ტრადიციებს, მოწოდებულად თვლიდა თავს შექლებისდაგვარად სამსახური გაეწია ხალხისთვის, როგორც

არც კი ვიცნობდი, არც კი მენახე,  
 ისე გხვბადა თამარს ვრუბელი.



ამის საჭიროება მოითხოვდა. ტიციანს გარკვეული ამაგი მიუძღვის ლიტერატურული მუშაურობის მოწყობაში; ამ მუშაურობა დიდი დრო, სიყვარული და ენერჯია შეაღია შემდეგ გოგამ. ტიციანის თაოსნობით გაიხსნა ალ. ყაზბეგის მუშაურობა ყაზბეგში და ხელმძღვანელობას უწყვედა მას. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მწერალთა კავშირის მუშაობაში, როგორც ამ კავშირის წარმომადგენელი, ყოველთვის ღირსეულად იცავდა ქართული ლიტერატურის ინტერესებს მწერალთა ურილობებსა თუ კონფერენციებზე. ხშირად იყო მწერალთა იმ დელეგაციების წევრი, რომლებიც სხვადასხვა რესპუბლიკაში იზიარებოდნენ. როგორც უფროსი მწერალი და პედაგოგი, ყოველთვის ქართული კულტურის მოწინავე პოზიციებზე იდგა. განსაკუთრებით იზიარებდა მას გამოცემლობაში მუშაობა.

თუ რა ფართო გაქანებისა და ღრმა იყო ტიციანის ურთიერთობა, ამას ადასტურებს მის არქივში შენახებული ერთი დოკუმენტი. ეს არის კონსპექტი იმ ნაწარმოებისა, რომლის დაწერაც მას განზრახული ჰქონდა და რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო კავკასიის ხალხთა ცხოვრება, მათი წარსული და მომავალი. ამ ნაწარმოების მიზანი იყო ხალხთა ძველი კავშირის პროპაგანდა. აქ ამიერკავკასია წარმოდგენილია, როგორც ხალხთა გაერთიანებული ნაკადი (აქ არიან: ქართველები, სომხები, თურქები, ქურთები, ეზიდები, ავარები, ჩერქეზები, ლეკები და ა. შ.). ტიციანს მიზნად ჰქონდა დასახული, მოეცა ამ ხალხების ცხოვრების მთელი სიმღონი. შეჭრილიყო და გაეშუქებინა როგორც მათი წარსული, ისე აწმყო თუ მომავალი. ეს დოკუმენტი აგებულია კავკასიის ხალხთა ისტორიის შრავალფეროვან მასალაზე, რომელიც აშუქებს მათ კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ ურთიერთ საკითხებს. სამწუხაროა, რომ ფართოდ მოფიქრებულ და დავაგმილ ნაწარმოებზე არ ღირსებია ხორცშესხმა. ჩანს, იგი ამზადებდა სცენარს.

ტიციანის რომანტიკული გატაცების საგანი იყო შამილი. განზრახული ჰქონდა დაეწერა წიგნი მის შესახებ. პირად საუბარში ტიციანს ხშირად გაუტარებია ასეთი აზრი: ქართველი მხედრები იქნებ შერის იძიებდნენ იმ მუდმივი თავდასხმების და დარბევითა გამო, რასაც ლეკები მიმართავდნენ ზოლზე ისტორიულ წარსულში. მაგრამ ვერ ითვალისწინებდნენ შეცვლილ ისტორიულ პირობებს და ცარიელს ამოუღებდნენ გვერდში თავისუფლების მოყვარულ ხალხთან ბრძოლაში. ტიციანს შამილზე წიგნის დაწერაც არ დასცალდა. სამაგიეროდ, მან სიყვარულით თარგმნა ლ. ტოლსტოის „საჯი-მუ-რადი“.

ტიციანი გატაცებული მოაზრებით იყო. ის აღტაცებით ჰყვებოდა დაღესტანზე, რომელიც ცხოვრების ახალ ფერებში ზაბნული ნახა. ეს

სიხარული გამოხატა მან ლექსში „დაღესტნის გაზაფხული“. მას ასაბუძავდა ის, რომელიც იყო:

აღარ ებრძვიან დღეს გიჟურებს,  
ჩამდგარი არი სხალი ქარქაშში:  
მზე ბედნიერი თავზე დაჰყურებს,  
დაღესტნის ველზე გააქვს კაშყაში.

ტიციანისათვის თითქმის ისევე აბოლებელი და მშობლიური იყო ფერწერითი მხატვრობა, მე-სიკა თუ ხეროთომოდლები, როგორც პოეზია. ის ღრმად განიცდიდა ფერებს, ხმებს, ხასხებს, ერთ-ერთი თავყანისმცემელი იყო ფიროსმანის გენიისა და ლ. გუდიაშვილის ჯადოქრული ფანტაზიისა თუ საღებავთა სიბრძნისა. ტიციანს პირდაპირ აბოლებდა ფიროსმანის საშუალო, მისი მიღწეველი, მიწიერი პრიმიტივიზმი, მისი ნატურმორტები, ზატები, ქუქულები, ქათმები, საერთოდ — ცხოველთა საშუალო თუ კანეთისა და თბილისის მკვიდრთა ცხოვრება, რაც ასეთი დაკვირვებულ თვალთ იყო გაყოცლებული ტილოებზე. მასსოვს, როგორ დაეძებდნენ ტიციანი და გოგლა მოლოყის ქუჩაზე სამიკიტროში ფიროსმანის სურათებს. მათ ამ სურათების საკმაოდ მდიდარი კოლექციაც ჰქონდათ. შემდეგ, თუ არ ვცდები, უმრავლესობა მუშაურობს გადასცეს. დღეს ტიციანის ბინას ფიროსმანის ორიონზე ტიო აქობს. სიმართლეს გამოხატავს ტიციანი ფიროსმანისადმი მიძღვნილ ლექსში, როცა ამბობს:

რომ დაეჯდებოდეთ დღეს პურის ქამად,  
მოვიგონებდეთ, ძმებო, ფიროსმანს.  
მისი გული გვაქვს ჩვენ ღენის ჯამად  
და აქამდისინ ქართულ შიროსს ვვბანს.

მართლაც, არ მახსოვს ისეთი სურათი იმ წლებში, რომ პური ღვინოში არ ჩაეღობოთ და „საწყალ ნიკალს“ მოსაგონარა არ დაღუფლიყოს. ტიციანის გულიდან განუვრელი იყო ღაღი გუდიაშვილი, რომლის სურათები მას უყვარდა პეიზაჟი განმყოფილება და ფლოროფორი დაფიქრება საწითლოზე. უყვარდა ნაციონალური კოლორიტი და თავისებური, ნოვატორული აღქმა სინამდვილისა. ღაღის არა მხოლოდ შემოქმედება, არამედ მთელი სიცოცხლეც მკიდროდა დაკავშირებული ცისფერყან-წილებთან, კერძოდ — ტიციანთან. მასსოვს ღაღის შემპარაიი პოეზია და გონივრანხელობა, რომლითაც მას სიბოვრედი შექმონდა მეგობრებში. მის მიერ ოსტატურად შესრულებული „კინტორი“ ზომ აღტაცების გრეჯალს აყენებდა მხილველთა შორის! ტიციანს უყვარდა ღაღის მოკრძალებული, სათეთი, კუშმარტიად პოეტური გული, რაც მისი მადლიანი ფუნჯის ეთენილებას წარმოადგენს.

ტიციანი ასეთვე ნაზი და სათუთი იყო ოჯახში — როგორც მეუღლე, როგორც მამა და როგორც ძმა. ნინო არა მარტო ტიციანის, არამედ თითქმის ყველა ცისფერყანწელის შთავიდეობა იყო, ახლო მონაწილეობას იღებდა მათ პოეტურ, პოპულარულ, არტიტულ ცხოვრებაში. იგი იყო ტიციანის გახატულის დაუღალავი თანამგზავრი, კუშმარიტი შეგობარი, რომელიც ყველაფრით ხელს უწყობდა მეუღლეში პოეტურ ცემბლის ვადღეობას და, როგორც სტუმართმოყვარე დიასახლისი, მეგობართათვის ქარზე ყოველთვის და ჰქონდა. პოეტო მეუღლის ეს სიუყვარული და ადამიანური პატივისცემა ნინომ ჭარბმხლიან წლებში წმინდად გამოატარა და მისი სახელი დრომად მოიტანა დღემდე. ტიციანი დიდ მხარუნელობას იჩენდა დებისა და უმცროსი ძმის მიმართ.

მეგარამ ტიციანი საოცარი ნამა იყო, ისევე როგორც ნინო — კოლომბინა. ნიტაც მან პოეზიის სფეროში შეიყვანა, პარნასზე დასახლა. ხუთი წლის ნიტას, მამა თავს ადგა და ატმის უვავილივით ნაზ, მსუბუქ ლექსს დასწერს უღებდა:

მე ასე ვიწერ, შვილო, ორ აპრილს,  
 არ ვიცო, კიდევ რამდენი დამჩნა.  
 ევგონებ დრომას, კართავესს დაპირის,  
 რომ შეიგინეს ტანიტის ფარჩა.  
 დღეს თბილისში ვარ... მეგარამ ორპირი  
 სტარის ჩემს სულში ვაშლის ხეებად.

ასე მოთქვამდა მამა თითქმის იმის შეგნებით, რომ შვილს „არა ესმოდა“ რა“ და ანდერძად უტოვებდა: „იცოდე, ამ ხმამ უღეთოდ გამსრისაო“. მას ვხევენებოდა „მედღარონის ხმა ოქრობარი“. დაახლოებით ასეთვე განწყობილებითა დაწერდა პაოლოს ლექსი, რომელიც მან ნინო მაყაშვილსა და ტანიტ ტაბიძეს უძღვნა. თუ ტიციანის ლექსში ლაპარაკია „უღეთოდ ვასრესაზე“, პაოლოც რაღაც წინაგონობით მიმართავს ორი თვის ბავშვს: „იქნება მამა სულ გაიპაროს, ტირილეს დედა ფშანის ნაპირზე, მაშინ დაღოცოს, ღმერთმა იფაროს, ღმერთმა დაიხსნას ტანიტ ტაბიძე“. ეს კი: პაოლოს და ტიციანს პატარა ბავშვი წარმოადგენილი ჰყავთ პირველს — როგორც მსუქანი მტრედი ნაზად რომ დაიცივას, ხოლო მეორეს — როგორც „წითელი ფეხით დამბული მტრედი“. მასთვის, ნიტას პაოლომ და ტიციანმა ზუმრობით შეარქმეს შორის მტრედი გემის კაპიტანი. პატარა ნიტა მართლაც ოცნებობდა კაპიტნობაზე.

ტიციან ტაბიძის შემოქმედება ხასიათდება საოცარი ემოციური გულწრფელობით. მას შეეძლო ეწერა იმაზე, რაც გულთ სწამდა, რისიც სჯეროდა. გულწრფელად იყო ის და არ დაღატოვდა თავის თავს შემოქმედების პირველ პერიოდში, როცა დარწმუნებული იყო, რომ ხელეფ-

ნება არსებობდა ხელოვნებისათვის, როცა სჯეროდა, რომ მოდერნისტული ჰუმანიზმის ერთდღერთი კუშმარიტი პოეტად, ანტი-კონსერვატიულად გაწევობა მან კავშირი შემდგომ ლექსდენტურ წარსულთან, თუმცა შესანიშნავად გამოიყენა ის სიხატენი თუ წარმატებები ფორმალში, რაც მას განელილმა სკოლამ მისცა. მისი ლექსი შემდგომშიც ადუნელი იყო რიტორიკასა და დეკლარაციულობას და ემყარებოდა გრძობად საწყობს, შიშველ გულს, ემოციურ საწყისს. მთელ რაც სიძველეთა დაძლევის შედეგად, მან ლექსში მიიღწია სინათლეს, ღრმა აზრის შკაფიო სახეებში ჩამოყალიბებას.

შინაგანი წინაღმდეგობების გაღალატვის შემდეგ, სოციალისტური მშენებლობის გავლენით, ტიციანი საბოლოოდ დადგა სოციალიზმის მხარეზე. ტიციანმა ნამდვილი საბჭოთა პოეტის მოწინავე პოზიციები დაიკავა და მთელი თავისი შემოქმედებითი ენერჯია ახალი საზოგადოებრივი წყობილების შენებას შესწირა, თამაზად დაწვა ყველა უკან დასახევი ხიდი და მთელი გულით ჩაება ბრძოლაში საბჭოთა საშობლოს აღორძინებისათვის. როგორც ლექსებში, ისე პოემებში (თუმცა, უნდა ითქვას, ტიციანი უფრო ლირიკოსი იყო, ვიდრე ეპიკოსი), თუ ნარკვევებში ტიციანი ყოველთვის შეხარის ახალ საქართველოს, საბჭოთა საქართველოს, რომელმაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მოიპოვა ნამდვილი თავისუფლება.

მასთვის 1931 წელი მწერალთა კავშირში ანდუზიტის სამუშაოებზე გაგზავნა მწერალთა ბრძავადა, რომელმაც შედიოლენენ მწერლები: ილო ქიაჩელი, ალიო მამაშვილი, ნიკ. მიწისმეილი, ტიციან ტაბიძე, ირაკლი აბაშიძე, სიმ. ჩიქოვანი, ალ. ქუთათელი, გ. კაკაბიძე, ილო მისაშვილი, ალ. გომიაშვილი და მე. ბრიგადას მეთაურობდა მამაშვილი მწერალთა ფედერაციის მღვანე სიმონ წყვარავა. ბრიგადამ ღამე ფასანურში გაათია. ეს იყო ზღაპრული ღამე. ვახშობისას გაიშართა ლექსების კითხვა, იყო სიტყვები, სიმღერები... ღზინში მონაწილეობა მიიღო ადგილზე გაცნობილმა მოქალაქემ. მისი კარნახით ალ. ქუთათელმა ჩაიწერა მოხუცური ლექსი, რომელიც შესანიშნავად დააძღვრეს სუფრასზე.

სიმღერა ჰერს არღვევდა. ოთახი ღზინით იყო გახურებული. ტიციანა სიმღერა არ ეხერხებოდა. მიიღოდა თავის მეტობრებს შორის თუ წამოიწყებდა, ისიც მამინ, როცა შეხარბოშებული იყო: „რა იქნებოდა, რა იქნებოდა ერთი პატარა (აქ რომელიმე გამოჩენილი პიროვნების გვარს იტყოდა) მეც მუოლებოდა“. მას აქვევებოდა პაოლო, რომელსაც ქარგი ბანი ჰქონდა. ის კი სხვა პიროვნების გვარს დასახელებდა. ამ კი, ფასანურში, ტიციანი სიმღერაში არ მონაწილეობდა, მეგარამ თავის სტიქიაში გტანობდა თავს, როცა სიტყვას ან ლექსს



ამობდა. წუთით ირაკლიმ და მე სუფრა დავტოვეთ. ვარეთ გავედით — არაგვის ნაპირზე. მაღალი, ვარსკვლავებით მოციმციმე ცა დავცურქვროდა. სიოც არ იჭეროდა. მხოლოდ არაგვის ხმაური არღვევდა ღამის წმინდა შეუდრობებს. არაკლი შედგა მაღალ ქვაზე, რომელსაც არაგვის პატარა ზვირთები ვალერსებოდა. ღამის ლექსით მიწათა, რვეოლური ამოიღო „ვარსკვლავებს ესროლა“ და ტყეა თვისი აღტაცებით გააფრინა, როცა ოთახში დაებრუნდით, ღმინი ისევ გრძელდებოდა და ტიციანი საუფარულ ლექსებს „ღნიდავდა“.

შეორე დღეს ბრიგადა ანდუხიტის სამშენობებზე იყო. მწერლები შეხვდნენ შემსებს კლუბში, გამოედინენ სიტყვებით და ლექსების კითხვით. მახსოვს ტიციანის სიტყვა, მან ღამე რეკლებს უწოდა ხეთწლედის პოეტები, რომლებიც ქარხნებსა და ფაბრიკებში ნივთიერ პოემებს ქმნიან. ბრიგადა ეწვია ორჯონიძისძეში არსებულ ქართულ სკოლას. როგორც მახსოვს, ტიციანი ავად გახდა და უახვევში დარჩა. გამოვლისას ამ წამოაყვა ბრიგადებს. გზაში შესაბერებოდა ამერიკელ მწერალზე, თუ არ ევლები, მაიკლ ვოლდზე. გზაში კინაღამ ხიფათს ვადავყარეთ. მძლავრი შეკვიფიანებელიყო და მანქანა საოცარი სისწრაფით მოჰყავდა. თბილისში შემოსვლისას ღორი გაიტანა. მარცხი ამით ამოიწერა.

ოცდაათიანი წლები ტიციანის შემოქმედების ბიოგრაფიაში მეტად მნიშვნელოვანი წლებია. მისი ლექსები საბოლოოდ დაიწმინდა, გამჭვირვალენი გახდნენ. მისი პატრიოტული გული ერთხელ კიდევ გაიშალა ამრლის უვავილივით. მან დაწერა ლექსი „სამშობლოს“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მის პატრიოტულ პოეზიაში. მაშინ ამ ლექსმა საერთო ურდადლება მიიპყრო. ასეთად რჩება იგი ჩვენს ლარკიაში დღემდე და დარჩება მომავალშიაც: ეს არის ამღერება სულისა, რომელიც მოხიბლულია მშობლიური ქვეყნის განახლებით, აღორძინებით. ლექსი ელვარებს უზუნებელი საღებავებით. თავისებური ინტონაციური ელვადობით და ვიტყვოდი, ტიციანისთვის უჩვეულო შინაგანი მლოდორობით, შეუდარებელი მეტაფორებით, პოეტური სახებით, პოეტური ხილვებით, რომლებშიც შერწყმულია რომანტიკული და რეალისტური სული ავტორისა. ლექსი იწყება აწეული ხმით, რომელიც ნათელყოფს, თუ როგორ იყო გაბრუნებული ტიციანი აყვავებული სამშობლოთი. ეს პატრიოტული თემა თანდათან იშლება და თავის სფეროში აყენებს თავისი ქვეყნის როგორც აწევის, ისე წარსულს. და რა ემოციური საღებავებით არის დახატული ქვეყნის ეს სახე, პოეტის რა თავშეუცავებელი მღელვარება იგრძნობა შიგ:

მთაც ღამაში ვაქვს, ბარც ღამაში,  
დიღხანს გადაჩენს მგონსეჭქვეფსლქქ  
გახედავ და თვალს აბრწყვებს: ვარსკვლავს  
ვახედავ, თვალი ვერ ატანს ქვეყნის  
ღამეა — თუთრი ირმის ნაწეული,  
დღე — შეინდის ფერი ვარაყიანი.

ასეთი ფერწერითი ოსტატობითაა შესრულებული ლექსი ბილომდე და პოეტის მოხიბლული სული იძულებულია აღიაროს უძღვრება ხილული სიღამაზის აღწერაში.

არ მახსოვს, წაიკითხა თუ არა ტიციანმა ეს ლექსი დაბეჭდვამდე მეგობართა შორის, თუმცა იმ ხანებში ერთმანეთთან ურთიერთობას ძველებური სიბორო აღარ ჰქონდა. ტიციანი მეტად მძიმედ განიცდიდა სიამის ტყუპის ერთგვარ დაშორებას, წუხდა, ნანობდა, ნაწყენი იყო, თუმცა გულში ისევ იმ ძველ საყვარულს ატარებდა. ხშირად იხსენებდა წარსულს, განმტკიცებულს მეგობრული გრძნობით.

საუერადღებოა, რომ მძიმე ვაწყობილების დროსაც ტიციანს არ შეუდრებია შემოქმედებითი მუშაობა. 1936 და 1937 წლებში მან გამოაქვეყნა მრავალი ლექსი და წერილი, რომლებშიც ჰმინს უმღეროდა სოციალიზმის მშენებელთ, ხალხს ინტერნაციონალურ მეგობრობას, საყვარულს. ტიციანის შემოქმედება ქუმიანობის ნათელით გაშუქდა. იგი სრული შემოქმედებითი სიმწიფის წლებში შევიდა. ის უკვე დაეყვავდა ამ დროისთვის, როგორც პოეტი, როგორც მუშაობისტი, მოაზროვნე და საბჭოთა მოქალაქე.

1937 წლის თებერვალში ტიციანი წავიდა მოსკოვს, სადაც ის, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენელი, დაესწრო სახეიშო სხდომას, მიძღვნილს ა. პუშკინის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი. სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ქართველი ხალხის სახელით. იმავე წლის მარტში იგი ჩავიდა ლენინგრადში, თავის საუერად ქალაქში. გაზეთი „Красная газета“—ში მოთავსებულია ვრცელი ინტერვიუ ტიციანის შემოქმედებაზე, თვითონ ტიციანის წერილი რუსი და ქართველი ხალხის დიდი ხნის მეგობრობაზე და აგრეთვე ლექსი „Вардалисნი небеса“, თარგმნილი ვლ. დეზუაინის მიერ.

მოგზაურობიდან ტიციანი დაბრუნდა იტალიაში და გაბრუნებული სერვილით — ემუშავა კიდევ ერთი ამტორად. რაც შეიძლება მეტი მოესწრო, მიეცა ხალხისთვის, რისი მიცემაც კი შეეძლო. ის უკვე ორმოცდაორი წლისა იყო და სწამდა თავისი ლექსისა: „ვერ შემაჩერებს გათბორილი ორმოც, ვარ ყრმა უცვლი და პირტიტველი, ჩემშიც ვადმოღის, ჩემშიც იღვრება, ჩემი სამშობლოს ფენიქსის ბედი. არ უნდა კვესით გულს ამღერება, ცეცხლმოუღებ-



ლად იწეის აბელი". შემოქმედებითს ილმერში გახვეული, ვერ ხედავდა (თუ არ უნდოდა დაე-  
ნახა) შეეღრბლებს, მისი ცხოვრების ცაზე  
რომ იგრაგნებოდნენ.

... დაწვრილი, პაილომ რომ ტრაგიკულად  
დამთავრა სიცოცხლე. მისი სიკვდილი ტიციანს  
მეუღლე დაეცა თავზე და თან გაიტანა, სული-  
ერად დაშალა. ამის შემდეგ მის სახეზე არავის  
უნახავს წიხახლედი ბავშვური, წმინდა ღიმილი.  
საკეთარ თავში ჩაიკეტა. ოხრადა, ბორბავდა,  
გრძნობდა, რომ უფსკრულის წინ იდგა. გარეთ  
იწვიათად თუ გამოვიდოდა.

1937 წლის 12 სექტემბერს დანიშნული იყო  
ილიას ობელისკის გასწვრივ წიწვებში, თბილი-  
სიდან მრავალი მწერალი წაეიდა. წევნთან იყო  
ტიციანიც. ცხელოდა. ცა გამკვირვალე იყო.  
ბუნქების ჩრდილქვეშ დაეიცავით თავი მცხენ-  
ვარე მზისაგან. ტიციანი იჯდა. ვერ ისეუ-  
ნებდა — თათქოს აღარ იყო ამქვეყნად.  
მუღამ მგზნებარე და აღტაცებული, სრულიად  
მოდუნდა. მოეშვა. შორ მთებს გასცქეროდა, რა  
დარდი დედდა მის გულში სიტყვაქნენი გახდა.  
მალე მოატოვა იჭაბურობა და ნაღვლიანი და-  
რუნდა თბილისში.

შეაღწე და შემდეგ ტიციანი სრულიად ჩი-  
კტა თავის ოჯახში. მასსოვს უკანასკნელი  
შეტყუარა ტიციანთან. ღამე იყო, მივედით მე  
და სანდრო შანშიაშვილი. ტიციანი წამოწოლი-  
ლი იყო ლოგინზე. თავს ადგა განუყრელი მე-  
გობარი ნინო, მისი ნუგეშისმცემელი და მფარ-

ველი. კარგა ზანს ვისაუბრეთ. გეინტოდა მისი  
შექცევა, მისი ფიჭრების სხვა სფეროში გადა-  
ტანა. ტიციანი არ იყო საუბრისას. იჯდა. თუ  
თუ სპი დღის შემდეგ ტიციანი აღარ იყო. ის  
ღამე ქვეყად და ზოლმად მაქვს გულში.

ჭარიშხალმა გადაიარა. ტიციანმა თავის კეთ-  
ვნილი ადგილი დაკავა ახალ, საბჭოთა პოეზია-  
ში. მისი სახელი ღირსეულად გახმარდა ქარ-  
თველ და რუს მკითხველთა შორისაც. სისტემა-  
ტურად გამოდის მისი ლექსებისა და წერილების  
წიგნები. მისი შემკვიდრების შეკრებასა და  
დასაბუქდალ გამოსაღებაში მნიშვნელოვანი რო-  
ლი შეასრულა შალვა დემეტრაძემ, მაგრამ  
დიდია ღაწლი ნინო ტაბიძისა, რომელმაც  
წმინდად გამოატარა ტიციანის სახელი და  
ჩვენ ზალს შემოუნახა ყველაფერი, რაც მისმა  
მხერვალე თქნებამ შექმნა<sup>1</sup>.

ტიციანი ამბობდა:

სამჯერ ვარ დაბადებული,  
მონათლულიც ვარ სამჯერაც;  
ერთზელ სიკვდილი რას მიზამს,  
ერთზელ სიკვდილი არ მეჯერას!

არ გვეჯერა ტიციანის სიკვდილი. თავისი პოე-  
ზიით, რომელშიც ყველა სტიქია ბობოქრობს,  
თავისი პოეტური ბუნებით ის მარად იცოც-  
ხლებს მშობლიური ხალხის გულში.

<sup>1</sup> გულითად მადლობას მოვასხენებ ნინო ტა-  
ბიძეს, რომელმაც მომაწოდა ტიციანისადმი ვა-  
მოგზაინილი რუს მწერალთა ბარათები.



პახანან ბერიძე

თურქეთში

1

1961 წლის აპრილში ქართველი ტურისტების ჯგუფმა თურქეთში იმოგზაურა. სულ ოც და ოთხი ვიყავით, უკიდურესად მკაცრი-მუშაკები: თურქოლოგები, ხელოვნების ისტორიკოსები, ეკონომისტები, ორი მსახიობი, ერთი მხატვარი, ერთი პარტიული მუშაკი. ეს იყო ერთი პირველი ტურისტული ჯგუფთაგანი სამპოთა კავშირიდან ამ ქვეყანაში. ზღვით მგზავრობას სოჭიდან სტამბოლამდე ხუთი დღე მოეწოდით, საერთოდაც თურქეთისთვის კი თერთმეტი დღე გვექონდა.

ახალი ქვეყნის სანახაოდ ყოველთვის ინტერესითა და ერთგვარი მღელვარებით მიემგზავრები. მაგრამ თურქეთში მიმავალ ქართველ კაცს მაინც განსაკუთრებული გრძობა აქვს: ეს მიწა — მცირე აზია — კაცობრიობის კულტურის ერთი უძველესი კერათაგანია; აქ შექმნა ხეთების დიდი სახელმწიფო, მას შემდეგ კი, საუკუნეთა მანძილზე, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ან ერთი მეორის გვერდით არსებობდნენ ტომები (მათ შორის ჩვენი შორეული წინაპრებიც), ერები, სახელმწიფოები, დიდი კულტურები: ეანის სამეფო, ლიდია, ლიკია, ფრიგია, კარია, საბერძნეთი, რომლის კულტურაშიაც მცირე აზიამ (იონიამ) არსებითი წვლილი შეიტანა; რომი, ბიზანტია, რომლის ისტორიის შთაგარი ასპარეზი სწორედ აქ იყო; სელჯუკები და, სულ ბოლოს, ამ ქვეყნის ახლანდელი პატრონი — ოსმალთა თურქები. და, სწორედ ეს ქვეყანა იყო ძველთაგანვე ჩვენი მეზობელი. ვინც არ უნდა ყოფილიყო ამ მიწაწეულის ბინადარი, ჩვენ მაინც სასიკაცლო ძარღვებით, მტრობით თუ მეგობრობით, მასთან ვიყავით დაკავშირებული. საუკუნეთა მანძილზე ეს კავშირი ნაყოფიერი იყო: ბერძენ-რომაელებსა და ბიზანტიელებთან ჩვენ არა მარტო იარაღის ერთ-ვლანარაობით, არამედ კულტურის მდიდარი ერთობაც, მაგრამ მას შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლი დაეცა და აქ აგრესიული მამკლავი იმპერია დაშვიდრდა, ჩვენივე სასიკეთო იქედან აღი-

არფერი გამოჩენილა. სტამბოლის გზა ქართველსთვის მუდამ უზედერების გზა იყო: მას ან გაიჭრებოდა აიძულებოდა იქით წასვლას, ან ძალით მიიყვადათ, როგორც ტყვე, მონა, მძევალი... და იშვიათად თუ ვინმე დაბრუნებულა იქიდან ბედნიერად.

ჩვენ ვიყავით ჯგუფად წასული პირველი ქართველები, რომელთაც არაფერი აიძულებოდათ" არ გაეკავშირებოდა ამ ქვეყანასთან. ჩვენ მხოლოდ ცოცხალი, ბუნებრივი, ადამიანური ინტერესი გვიზიდავდა და — რაკი თურქოლოგები და ხელოვნების ისტორიკოსებიც ვიყავით — ჩემთვისაც მუდმივად ინტერესიც. მე და ჩემ კოლეგას ლეო რჩეულიშვილს, უპირველეს ყოვლისა, ბიზანტია გვინდოდა გვეჩაბა, მაგრამ იმედი გვექონდა, რომ „ცალი თვლით“ ანტიკურ სამყაროშიაც შევიჭვრეტდით, რადგანაც მარშრუტში ვფხვით და პერგამონიც იხსენიებოდა.

მოდლონი გადაქარბებით გავვიპართლდა. ჩვენ რეალურად მაინც არ გვექონია გათვალისწინებული თურქეთის მუზეუმებს სიმდიდრე. და თუ პერგამონში მოთლოდნელი არაფერია (მას პებლიკაციებით ვიცნობდით), ეფესი, სადაც მიწის წიაღიდან ამოღებულა მთელი ანტიკური ქალაქი დაგვხვდა, ჩვენთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო, ბიზანტია ჩვენ მხოლოდ რამდენიმე, მაგრამ ძალიან ბევრის შემქმელი, ძველით გავიცანით; სელჯუკები თითქმის სრულიად არ გვინახავს — ამისთვის უმთავრესად კონის ნახვია საჭირო, სამაგიეროდ, ოსმალთა თურქეთა ხელოვნება უკვე ცოცხლად გვაქვს წარმოდგენილი; დასასრულ, ცხადია, როგორც ველებან, აქაც საინტერესო იყო ცოცხალი, დღევანდელი ქვეყნის გაცნობა, თემცა, ბუნებრივი, ჩვენი დავიკრებები ღრმა ვერ იქნებოდა (თერთმეტი დღე საამისოდ მცირე ვადაა).

თი ჩვენი მარშრუტი: სტამბოლიდან იზმირამდის გვით ვიმგზავრეთ. იზმირიდან მოვიჩაბულეთ ეფესი და მამეტაკალე. ძველი პერგამონის: შემდეგ გადავებარდით ბერგამონში (ძველ პერგამონში), აქედან ბერგამონი, ანკარაში და

ბოლოს კვლავ სტამბოლს დაუბრუნდით. მთელი ეს გზა — 2000 კმ. მაინც — ავტობუსით გავიარეთ. ზოგჯერ ეს ცოტა მომქანცველი იყო, მაგრამ ქვეყანა მაინც ენახეთ: მისი ბუნება, სოფლები, გზად მღებარე მცირე და მოზარდი ქალაქები.

ჩვენს ჯგუფში ბევრი ლაპარაკობდა თურქულად, ზოგი საკმაოდ თავისუფლად. ბედად ვიდეც განსაკუთრებული შეგუებულა: დიდად გაათლებული ყმაწვილი კაცი თავ პეშმე (დღეით ფრანკი), ოდესღაც აქტივობიერი გათხრების მონაწილე, უმრეტი ენერჯისა და მონდომების მქონე. ჩვენთან მოგზაურობის დროს დღეზაღებლად გვიამბობდა თავისი მიწაწყლის ამბავს — ძველსა და ახალს. ეს უველიაყერი დიდად გვიადვილებდა საქმეს.

2.

ჯერ ზოგი რამ ზოგადი ხასიათისა, რაც ჩვენთვის პირველსავე დღეებში გახდა ნათელი, რადგანაც ადვილი შესაძინევი იყო: ფესკიანი და ჩაღმაინი თურქეთი დღეს აღარ არსებობს. ევროპული ჩამოდაბურვა უკვე მტკიცედ და საბოლოოდაა დამკვიდრებული. არა მგონია, რომ ყუღღგან მონპობილი იყოს ტრადიციული ტანსაცმელი, მაგრამ სოფლებშიაც კი იხივს სულ ერთი-ორი ფართოშარტლიანი და თითო-ორი „პირაბეული“ დედაკაცი დაინახეთ. მოწაფე გოგონებს ფორმა აცვიათ, ჩვენებურის მსგავსი. ჭუნაში ვერ ნახეთ სასულიერო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცს: ეს კანონით აკრძალულია. მონა იქნება თუ მღვდელი, ეკლესიადან და მსხვილიდან გამოსვლისას საერთო ტანსაცმელი უნდა ჩაიცვას. სამოსელის გავერობულება ერთ-ერთი მუხლი იყო იმ რეფორმებისა, რომლებიც ქეზალმა განახორციელა სულთნის დამხობის შემდეგ. რეფორმები, როგორც ცნობილია, შეეხო დამწერლობასაც: არაბულის ნაცვლად ლათინური შემოიღეს; ახალმა თაობამ არაბული დამწერლობა სულ არ იცის და ადვილად წარმოიდგენთ ჩვენს სიამოვნებას, როცა თურქოლოგი ცისანა აბულაქ ერთი მიზგითის კედელზე თავისუფლად კითხულობდა არაბული შრიფტით ნაწერს, რომელიც ვერ წაიკითხეს ჩვენმა თურქმა მასპინძლებმა; იმავე ხანებში, ოციან-ოცდაათიან წლებში, ეკლესია გამოყოფილ იქნა სახელმწიფოსაგან, გაქმდა სასულიერო სასწავლებლები, ქალებს მიეცათ საარჩევნო ხმის უფლება, აიკრძალა მრავალკოლიანობა, შემოღებულ იქნა გვარები, რომლებიც მანამდის არ არსებობდა, პარასკევის ნაცვლად უქმე დღედ კვრია გამოცხადდა, მიჯრის ნაცვლად შემოღებულ იქნა ქრისტიანული წალოადრატება. ვატარებულ იქნა ზოგი ეკონომიური ხასიათის ლენსიზმი, რომ როგორმე დაეცათ უცხოეთის კაპიტალის მიერ წაღებული პროცენტი ეკონომი-

მაკ. ამ ლიბერალურ სიახლეთ, რომელნიც დრმაღ არ შეხებია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურებას, ცხადია, მაინც დიდ წილს შექმნიდა ქვეყნის ჩამორჩენილი ქვეყნისთვის, რომელშიც ჩვენი საუკუნის ოციან წლებამდის შემაინახა დღახეხუბელი ფეოდალური სისტემა. მაინც საბჭოთა კავშირმა დიდი დამხარება გაუწია თურქეთს ნივთიერად და გარეაღვილა ახალგაზრდა რესპუბლიკას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

დღეს, როგორც ვთქვით, გარეგნულად თურქეთს, ყოველ შემთხვევაში — მის დასავლეთ ნაწილს, რომელიც ჩვენ შოენახულებულ, საესეპებით ევროპული იერი აქვს, მით უფრო, რომ თვით თურქებსაც ბევრი აღარაფერი შერჩენიათ თავისი წინაპრების ტიპისა: დღევანდელი თურქი, რომლის სისხლშიაც ბერძნების, სომხების, ქართველებისა და ბევრი სხვა ტომის სისხლიცაა შერეული, აგრეთვე ევროპული შესახედაობისა: იგი გავს რუმინელსაც, ბერძენსაც, იუგოსლაველსაც, ფრანკსაც, და ძალიან ხშირად — ქართველსაც.

მაგრამ, მიუხედავად უძვეველი პროგრესისა, ძველის გადმონაშთები მაინც ძალიან საგრძნობი ყოფილა, მით უფრო აღმოსავლეთის პროვინციებში, რომლებიც, ბევრობა, თავისი ნივთიერი მდგომარეობითაც და კულტურული დონითაც დიდად ჩამორჩება დასავლეთს. ჩვენმა ვიღმა გულახდილად მიამბო, რომ ერთმორწმენოება ჯერ კიდევ მტკიცედაა ფესვგადგმული. გლეხკაცს ეშინია ავი თვალისა — საქონელს აგნებსო, და ამიტომ უცხოს არ უწევს თვის ბოსელს. ერთხელ რამდენიმე ასოს ცხენი დახოცილა ვრაყიდან შესული ანტიკვისაგან, რადგანაც გლეხებმა არასწოთ არ მისცეს ნება ბეთლებს; რომ ცხენებისათვის აცერათ. ბევრგან, ძველი ჩვეულებებისაშებრ, ქალები უცხო მამაკაცს არ ეჩვენებიან (ეს არა მარტო სოფლად ყოფილა, არამედ ზოგან ქალაქებშიაც კი, ტრადიციულ ოჯახებში); არის სოფლები, სადაც მათჭენს ცალკე დღეა გამოყოფილი კინო-თეატრში და სხვა... სტამბოლში, იზმირში და სხვა ქალაქებში გვხვდებოდნენ უკანასკნელი მოდით ჩაცმული კობტა ქალები, მაგრამ მაინც ერთბაშად გვეცა თვალში, რომ ჭუნაში ქალების რიცხვი შეუდარებლად ნაკლებია, ვიდრე მამაკაცებისა, საღამოს კი ქალი თითქმის სულ არ ჩანს.

შემდეგ გზადავა დაინახეთ, რომ „აღმოსავლეთი“ ზოგ სხვა რამეშიაც იგრძნობა, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებურ ტერისტს საყოფიანობებო თვალსაზრისით უჩვეული და უცხო რამ არაფერი არ ხედება. სისტემარეები და რესტორანები, სადაც კი ჩვენ ვიყავით, ევროპული ტიპისა იყო, ზოგი სასტუმრო საკმაოდ ფრეშენებულრიც. თუ ფრანგული ან ინგლისური იყო, თურქეთში იოლად ვგვაღზნარსა და მღაზიებშიაც ფრანგულ-ინგლისურ-



ვერმანული ნარკვეთ ხერხდება ურთიერთობის დამყარება, ზოგან კი საესეებით რივიანადე ლამარაკობენ ერთ-ერთ უცხო ენას. ვაჭრებისათვის ეს პრაქტიკულიადაა საჭირო: მათი საქონლის შეიდეული, განსაყუარებით ყოველგვარი უჭრომეუღლობისა, კერამიკისა და სუენინარებისა, თითქმის მხოლოდ უცხოელ ტურისტები არიან. რუსულის მცოდნე ცოტა შემგვდა: რუსი ემიგრანტები, რომლებიც სასტუმროებსა და რესტორანებში შემოაბუნ, და ერთი ყირიმელი თათარი, რომლისგანაც ლუღვის ჩირი ვიყიდეთ. ქართულის მცოდნეებზე ქვემოთ მოვახსენებთ.

3

«და მოვიწყინეთ კონსტანტინეპოლედ და განვიციდოდით რა სიდიდესა ქალაქისასა, უცხოდ ჩამაშე აღგვიწინდებოდა შენებულობა და სიუცხოვე დედაქალაქისა. და იხილევბოდა აიასოფო, ვითა მთა მალალი, ეგრეთ იხილევბოდა. და აღგილისა პატიოსნება და მთა-ბარობით შეზავება და ზღვებთა მუნ შეერთება და პირისბირ აზია და ევროპა, და მათ ზედა ქალაქი მათათა ზედა დაშენებულა, უპატიოსნესი ყოველთა დედაქალაქთა ტომოთე ვაბაშვილი. მიმოსვლა. 1755 წელი.

სრულად ბუნებრივია, რომ თურქეთში მოგზაურობა სტამბოლთა იწყება და სტამბოლითვე მთავრდება. სადაც არ უნდა გადაიტანონ ქვეყნის დედაქალაქი, მაინც სტამბოლია მისი თავი და ბოლო.

თუ რომელსავე ქალაქს შეუძლია დაიკეცოს, ლამაზი მდებარეობა მაქვსო — სტამბოლსაც შეუძლია. თუ რომელსავე ქალაქს შეუძლია თქვას, ისტორია მაქვსო — ესეც სწორედ სტამბოლს შეუძლია. შუა საუკუნეებში ხომ არც არსებობდა მეორე ქალაქი, ასეთი დიდი სახელი რომ ჰქონოდა გაეარდნაილ აღმოსავლეთით გნებავთ, თუ დასავლეთით. მაგრამ მაშინ მას კონსტანტინეპოლი ერქვა და დიდი ქრისტიანული იმპერიის დედაქალაქი იყო, მთელი აღმოსავლური ქრისტიანობის ბერჯი. უკვაროსნები თავბრუდამსმული იყვნენ მისი სიდიადითა და სიმდიდრით, რუსები მას ქალაქთა მეფის უწოდებდნენ. და XVIII ს-შიაც, როცა აქ უკვე სულთანი იჯდა, მისი დიდების ხანა კი უკვე წარსულს იყო ჩაბარებული, ზეენს თანამემამულეს იგი მაინც აყოველთა დედაქალაქთა უპატიოსნესად“ მაინდა.

სტამბოლი დღესაც ინარჩუნებს მომხიბველ ძალას. იგი ვასიოტად საინტერესოა, როცა მის ქუჩებში დადიხარ და ასევე მიმოიღველია შორიდან. საიდანაც არ უნდა უყურებდე მას.

როცა ზეენი გეში «ფელოქს ძერეისკი» ბოსფორს მიუბლოვდა, დიდის რვა საათი იყო ყველანი გემბანზე ვიდევით და იქით ვიყურე-  
12. „მნათობი“, № 8.

ბოდით, სადაც კონსტანტინეპოლი ვაველუ-ბოდა.

მარჯვენაც და მარცხნივაც მთავრობის პირები წნდება, და ზეენ წინ, იმ მხარეს, საითაც გეში მიემართება, სწრაფად უახლოვდება ერთმანეთს. ეს ორი სამყაროს მიჯნაა: მარჯვენა ნაპირი ევროპაა, მარცხენა — აზია, ისინი თითქოს კრიკაში უღვანან ერთმანეთს... მათ შუა კი დიდი „ჭიშკარია“ — თვით ბოსფორის სრუტე საგანგებო ბაღებითაა შეკრული, მხოლოდ შუაშია დატოვებული მცირე ვასასეული.

შეწავე მოების ციკაბო კალთები პირდაპირ ეშვება ზღვაში. აქა-იქ თეთრად ჩანს სახლები, სოფლები, ციხეების ნანგრევები, შუქურა... რაც უფრო უახლოვდებით სტამბოლს, მით უფრო მჭიდროა მოსახლეობა. ოთხ-ხუთსაათულიანი სახლები თითქოს პეშვით დაუყრათ ამ ბორცუვებზე. ეს აგარაკებია. თითქოს წყლის უბარმაზარი ქენა უხვევს მარჯვენე და მარცხენე, ხან ერთი ნაპირი ვიპოვებოდა წინ, ხან მეორე. სრუტის ყველაზე ვიწრო ადგილას, მარჯვენე, დიდი ციხის მალავრი კედლები ეშვება ფერღე. ეს რუმელიძისარის ციხეა, რომელიც შემდეგ II ააგო 1452 წელს ბიზანტიელთა განწირული დედაქალაქის ცხვირწინ... ერთი წლის შემდეგ კონსტანტინეპოლი ხომ დაეცა კიდევ. ციხე დგას მარცხენა ნაპირზედაც. ისიც თურქებმა აშენებულთა კიდევ უფრო ადრე. ასე გადაიკეტა ბოსფორი და ასე მოგწვდილთ ზეენ იმ დროიდან დასავლეთ ევროპას...

შორს წნდება სეუტარის ძლივს შესამჩნევი სილუეტო... კიდევ ორიოდე წუთიც და მარჯვენა ნაპირზე ბურჩინს ისახება თვით სტამბოლიც... მის სილუეტს შუქურა იწყებს. (იგი ზედ კონცხზე დგას და იმის მიღმა უყვე მარმარაბის ზედა — მარმარა...). შემდეგ სილუეტის ტალღიანი ხაზი მშვიდად მადღდება, შემოხაზავს სფერულ გუმბათებსა და ყოველ მათგანთან ნემსებოვით დასმულ მინარეთებს. ერთი ამ გუმბათთაგანი აიასოფისია, მეორე, მის გვერდით — წმ. ირინესი, სტვა — სულ მიზგიოთბია.

გეში სწრაფად მიიწყებს წინ და ბუნდოვანი სილუეტო ხორცის ისამას, ცოტაბდება. ზეენ უყვე ქალაქის ფარგლებში შეედევართ. სულ ახლო ჩაუვარეთ ზედ ნაპირზე მდებარე თეთრ სასახლეს „დოღმა-ბახჩეს“, რომელიც წარსული საუკუნის ორმოცდაათთან წლებში აშენა სულთანმა. აქედანაც ჩანს, რომ ეს პრეტენზიული, სტილისტიკურად ჭაოსური, შენობაა — XIX ს. ველეტიზმის თურქული ვარიანტი. მის უკან, მის ორსვე მხარეს, ქალაქის მუიდრო უბნებია, ბოსფორში კი — გემების მთელი ქარავნები.

გეში მარჯვენე უხვევს, „ოქროს რქისაკენ“ მიემართება და მის დასაწყისშივე საზღვაო სადგურთან ანუღებს სვლას. დღეა ხმაურით ეშვება. საზღვაო სადგური გალატას უბანშია. ვერ-

დებით რკინაბეტონისა და მინის დიდი შენობის წინ. ზედ დიდი წარწერაა: „იოჯუე სალონუ“ — სამგზავრო სალონი.

სანამ საბავოს მოხვლევები საბუთებს აფორმებენ, ჩვენ ვემანდინ ვუყურებთ სტამბოლს, ვრთადერთ ქალაქს მსოფლიოში, რომელსაც ცალი ფეხი ერთ კონტინენტზე უღვია, ცალი კი მეორეზე. მისი მდებარეობა მართლაც იშვიათია. რა თქმა უნდა, უპირველესი მნიშვნელობა აქვს წყალს — ჯერ ბოსფორს (მისი სიგანე ქალაქის ფარგლებში დაახლოებით 1200 მეტრიდან 2700 მ-მდე შერყეობს) და შემდეგ — ოქროს რქას, ყურეს, რომელიც თითქმის სწორი კუთხითაა შეკრული ათიოდე კილომეტრის სიღრმეზე ევროპულ ნაპირში. სწორედ აქაა, ოქროს რქის ორ ნაპირზე, ქალაქის ძირითადი ნაწილები: სამხრეთით საკუთრივ სტამბოლი, ე. ი. ძველი ქალაქი, სადაც თამაზიყალია ყველა უმთავრესი ისტორიული ძეგლი. ეს დიდი სამკუთხედი წვერით ბოსფორს ეხვება, მის ფუძეს (დასავლეთისკენ მიქცეულს) შეადგენს გრანდიოზული ბიზანტიური კედელი (სიგრძით ათ კილომეტრზე მეტი), ფერდებს კი — სწორედ ეს ოქროს რქა და მარმარილოს ზღვა. ოქროს რქის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილს შეადგენს შ. წ. გალატა, ბეიოლუ (პერა), მინჯა და სხვა. აქ ოდესღაც გენუელების კოლონია იყო. შემდეგ კი, XIX ს-ში, ჩამოყალიბდა „ევროპული“ რაიონი — ბანკებით, კომერციული დაწესებულებებით, უფრო კეთილმოწყობილი ქუჩებით, ორტალებით და სხვა. ბოსფორის აღმოსავლეთის ნაპირზე, ე. ი. აზიაში, მდებარეობს ქალაქის შესაბამისი ნაწილი — სეტარაი — თურქების მიერ უსაკუდრად წოდებული. ასე რომ, ამ ქალაქს ცალ მხარეს ზღვა აქვს, თავის საკუთარ ფარგლებში კი მთელი სრუტე და ნახევარი კილომეტრის სიგანის მთელი მდინარე; შესახედავად ოქროს რქა ნამდვილი ფართო, უხეყვალანი, მდინარეა. და თანაც, ლურჯი, ზღვასავით და სრუტესავით ლურჯი მდინარე! ქალაქის ნამდვილი ღერძი, მისი ძირღვი, სწორედ ოქროს რქაა და მისი ფერი, მწვანე ბორცვებისა და თვით ქალაქის შენობების ფერთან შეხამებული, საოკრად ლამაზი და „თბილია“! პირველი, რაც სტამბოლში ჩასულ კაცს თვალში ხვდება, სწორედ ესაა: ლურჯი წყალი და მის ნაპირას დახვავებული, ბორცვების კალთებზე აცოცებული, თითქმის ერთმანეთზე შემჯდარი, სახლები, სახლები ძველი და უღრბა-თანამედროვე, დიდი და პატარა.

საბავო ადვილად გაეიარეთ. საღვურის მოედანი სავსე იყო პატარა ტაქსომოტორებით. ჩვენი სასტუმრო ოქროს რქის ვადალმა, ძველ ქალაქში. გალატის ხიდი და — ვიწრო ქუჩების ქაოსური ხლართი: შეასაუბრებლის უცვლელი გვეგა, შავრამ ახალი — XIX-XX საუკუნეთა —

სახლები. სიეწროვე. ჩვენი ავტობუსი ძლივს ტრიალდება. სასტუმროც ძალიან ვიწრო ქუჩების შესაყარზეა. ყოველ კუთხეში, ყოველ სასტუმრო დგას. პოლიდან (სანამ საბუთებს აფორმებდნენ) მოპირდაპირე სახლის სარკმელს ვუყურებთ: ოთახში გახტრებული ნარდის თამაშია.

იმ საღამოსაც, მეორე დღესაც, ანკარიდან დაბრუნების შემდეგაც, ბევრი ეხებრიალეთ სტამბოლის ქუჩებში.

ძველ ქალაქში, საკუთრივ სტამბოლში, აღმოსავლეთი, რა თქმა უნდა, მეტად იგარანობა. ყველაფერი თითქმის ამოცხებულია სახლებით, ხილის, ხორცის, ბოსტნეულის დუქნებით, რომლებიც მლიანად გაღებულია ქუჩის მხარეს, დახლებით, გაღარბრის, ფართელების წერტილი და დიდი ზღაზიებით! უზარმაზარი სატვირთო მანქანებით (პატარა არც ერთი არ მინახავს), ცხენებზეული „დროკებით“, უტრინიანი მუშებით, მოფუსფუსე ხალხით. ზოგან საქონელი — მაგ., მანქანის საბურავები, რაღაც გაუხსნელი და გახსნილი ყუთები და ფუთები, — ზედ ტროტუარზე ყრია, ზოგან სანახევროდაც კი ავსებს ქუჩებს. სახელოსნოებიც აქვია: გაჩაღებულ ვიტრინაში სამი უმაწიელი კაცი ზის — საბუნებს აღიანდაკებენ. იქით ღერგალი მუშაობს, პატარა დარბაზში ლატარის ბილეთებით მოვაჭრე მოკალათებულა: კედელზე ფოტო-სურათები გაუკრავს; ბუნდური ოჯახებისა, რომელთაც ლატარის ბილეთებმა ქონება მოტრუნეს. აღმართები, დაღმართები, გასაძრომები და გასასვლელები, ქუჩა-კიბეები. ზოგი მოთვანი 4-5 მეტრის სიგანისაა და უფრო ვიწროა. ასეთ ქუჩებში, ძველი სახლების გვერდით, ახალი, 7-8 სართულიანი სახლებიც გვხვდება. ერთ-ერთ მთავანზე (სრულიად თანამედროვე იერის სახლი იყო) ვარედან კედელზე მიკრული მინარეთი დაღინახეთ: თურმე სახლის პირველ სართულში მიზგილი ყოფილა. სახლს რომ ვათვალიერებდით, მინარეთის აივანზე ახალგაზრდა მუქიანი გამოვიდა. ჩვეულებრივი ევროპული კოსტუმი ეცვა და მხოლოდ თავზე ეხურა „ფორმის“ ქელი. ტექნიკა მუქიანების საქმიანობაშიაც შეტრიალა: ხელში მიკროფონი ეჭირა, ხმამაღალი ყვილით აღარ იწუხებდა თავს (მინარეთს ძველად ქართული საყვირის უწოდებდნენ). ვიკიარს, რომ ამ ქუჩებში მანქანები ან ერთმანეთს არ ეჯახება, ან სახლებს, ან ქვეთონი როგორ ახერხებენ — ასეთ აღიქოთში მოძრაობას. შექნიშნები არ მინახავს, მოძრაობას პოლისმენები აწესრიგებენ დორიყორბივით.

საქონელს თურქეთში ყველგან ორი ფასი აწერია: რამდენიდა ნაყიდი და რამდენად იყიდება.

გალატის ხიდი — ერთი ორ ხიდაგანი, რომლებიც ოქროს რქაზეა გადებული — მაინც განსაკუთრებული სანახაია. ხალხი, მაქანები, ზომალდების ანძები, იენი-ჯამის საფებრებს მიჩვეული მტრედები ერთმანეთში ირევა; თვით ოქროს რქა საესება ნაგებობა, იახტებით, კარკაპებით, დიდი და მცირე გემებით. და ეს ყველაფერი შობარობს, ფუსფუსებს, ხმაურობს, ციმციმებს. ზღვებზე, პონტონებთან ბაქანზე, მეთევზეების სამფლობელოა: იჭერენ თევზს, იჭევიან აბჯავებენ, ყვირიან, მყიდველს უხმობენ, ყლიან. ქალაქის მაჯის ცემა არსად ისე არ იგრძნობა, როგორც აქ.

ხიდის მახლობელ უბნებში, შედარებით მოწესრიგებულ ქუჩების გვერდით, ბევრია მიუხედავად, ნაგვით საესე და ქუჭუყიანი შუკაც.

ა ი ა ს ო ფ ი ა ს გარშემოც წყაროი ქუჩების ზღაროია. მხოლოდ მის სამხრეთით და აღმოსავლეთითაა ფართო სოფარ. სამხრეთით უზარმაზარი, კონიდრებით და ყვავილნარით შემკული მოედანია. მისი მეორე ბოლო უჭირავს ა ს მ ე დ ი ე ს, XVII საუკუნის მიზგითს, რომელიც საერთო სახით აია-სოფიას ვაეს, ისევე, როგორც ყველა ოსმალური მიზგითი, აშენებული კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ. ეს ორი უზარმაზარი ნაგებობა, რომელთაც ყოველი მხრიდან ცადატყორცნილი, შეზვიით წყაროი, მინარეთები დარაჯობს, მძლავრ ანსამბლს ქმნის. ამავე ანსამბლშია ჩართული ძველი ჰიპოდრომიც — „საეტრო ურმით სამღერელი“, ერთი ძველი საბუთის სიტყვით — ბიზანტიელთა დედა-ქალაქის ცხოვრების ერთი უმთავრესი ცენტრთაგანი. იგი დიდი მოედნის პარალელურ ღერძზეა. ოდესღაც აქ 100000 კაცი იყრიდა თავს. ახლა ეს გაზონით შემკული ლამაზი ბულვარია, რომელშიც გარკვეული ინტერვალებითაა ჩართული ერთ ხაზზე ჩამწყობებული ძველები: თეოდოსი იმპერატორის მიერ აღმართული ეგვიპტიდან ჩამოთრეული ობელისკი, მეორე ობელისკი (არა მონოლითური, არამედ ნაშენი), ე. წ. გველების სვეტი ბრინჯაოსი (ძველი ბერძნული ნახელები). ეს ყველაზე უფრო მთლიანი და დიდი საქალაქო ანსამბლია სტამბოლში, თუმცა იგი დროის დიდ მონაკვეთში იქმნებოდა და ზოგი რამ შემთხვევითი აქაც არის. აია-სოფია და აქმდე ზედ კონცხზეა: აქვეა სულთნების ძველი სასახლე თ ო ფ კ ა პ ი, იმპერატორების ძველი სასახლეების ნანგრევები და აქედანვე იშლება ულამაზესი ზედი სუტარისა და მარმარილოს ზღვისა. ჩანს პრინცის კენძელებიც (ერთერთ მთავარზე იყო თურქეთის ძველ ზელსუფალთა სასამართლო პროცესი).

როგორც კი ჩაივლიდები აშშ-ის მარმარილოს ზღვისკენ, რომლის ნაპირზედაც სერაგოსი და ბაქოს ეკლესია დგას (VI ს. შესანიშნავი ბიზანტიური ძეგლი) — ისევე მიუერთებული, ჩაბ-

ნელებული ქუჩებია, მხოლოდ თვით ის ქუჩა, რომელიც ეკლესიისკენ ეშვება თევძე, უფრო ფართოა და სრულიად თანამედროვე სახლებით განაშენიანებული.

ამ უბნებში ბევრია ძველებური ტიპის საცხოვრებელი სახლიც. უმეტესობა XIX საუკუნისაა, ზოგი მეოთხეულისაც. ეს ხის ორ-სამსართლიანი სახლებია, ერკერების მსგავსი შვერილებით, რომლებიც „შუშარაბითა“ შეშინული. არსად ნახაბიც კი არაა ღია აივნებისა, რომლებიც ასე ამშვენებს ძველი თბილისის უბნებს. თბილისური სახლები გეპატრება, გულს გიზალისებს, თბილისური სახლები ყველასთვის ღიაა, ქუჩას, ბუნებას ერთვის. აქ პირიქით. თითქოს ყველაფერი საგანგებოდ დახმულია, გარეშის მოწყვეტილი. გასაგებობა: ეს სულ პოლიგამიის დროინდელი სახლებია. ყოველი მათგანი ორად იყოფოდა ყრუ კედლით: ერთი ნაწილი მამაკაცებისა იყო, მეორე — ქალთა, ე. ო. პარამხანა.

არაა საჭირო საქვეყნოდ ცნობილი ძეგლების ნახვა, რომ სტამბოლში „ისტორია“ იგრძნოს. „ისტორია“ ყოველ ქვეულშია ჩასაფრებული. ბიზანტიური ეკლესიები, ნასახსაზარები, რაღაც ძველი კედლების ნაგეჯები, რომლებზედაც ახალი სახლებია მიბჯენილი... ქალაქის გრანდიოზული კედელი, რომელიც იმპერატორების დროინდელი აქედელი, უზარმაზარი მიწის-ქვეა წყალსაყვები ისლამი ხომ კიდევ უფრო თელსანინია: მინარეთები, მედრესეები, აკადემები, გუმბათიანი ფანატურები წყაროებისთვის (ქვისა თუ მარმარილოსი) და ზეთასზე მეთი მიზგითი!

იქით, ვალმა — გალათა-ბეიოლდის უბნებში — ძველი ბევრად ნაკლებია. შორიდან მხოლოდ გენერელთა ნაწილი მრგვალი კოშკი ჩანს: მქლავრი და მალაი კოშკია, მთელ ქალაქს დასუფრებს თავს. ახლა სახანრო კოშკად იყენებენ... აქ ბევრი რამ სულ ახალია აშენებული — ჯერმხურეთის (რესპუბლიკის) პროსპექტზე, ულტონ-პალასის რაიონში და სხვ... მაგრამ ეს უმთავრესად მაინც XIX ს. ბოლო ათეული წლებისა და XX ს. პირველი წლების ქალაქია. მთავარი ქუჩაა ისტყალჯადესი — დამოუკიდებლობის პროსპექტი, რომელიც ბორცვის კეხზეა. აქედან ერთსა და მეორე მხარეს ქუჩები თევძე ეშვება გალატისა და ოქროს რქისკენ. უმთავრეს ქუჩებში რომ ხარ, მაგ. ამ ისტყალჯადესიზე და მის მიმდებარე ქუჩებში, თავი შეიძლება პარიზში გეგროსო: აქ სულ წარსული საუკუნის 70-80-იანი წლების დასავლური ტიპის სახლებია: 5-6 სართული, უმეტესად თლილი ქვის მოპირკეთებით, რენესანსულ-ბაროკული სამოსელით და სარკმლების ცალეზით. ყველა საცხოვრებელი სახლი აქაც ვიწროა, კიდევ უფრო ვიწრო, ვიდრე პარიზში, ზოგი სულ 2-3 სარკმლის სიგანისა. აქ იშვიათია პარიზის

დამახსიათებელი მანსარდები, სამაგიეროდ, ყოველ სახლს უკერები აქვს აუცილებლად (ეს, ამჟამად, ძველებური ხის საცხოვრებელი სახლებს ვაგუვანა, ზემოთ რომ მოვიხსენიეთ). რაი სახლები ძალიან ვიწროა, მეზობელი შენობების უკერები თითქმის მიტუბებულია. როცა ქუჩის გახედავ, ორსავე მხარეს ამ დაკიდული უკერების რიტმს მივყავთ; თუ ქუჩა ციკაბო აღმართია, ან უხვევს, თვალი ამ უკერების „საფეხურებით“ აღიქვამს ქუჩის „დინებას“.

თვით ისტორიულ-ჯადისი და სხვა უმთავრესი ქუჩებში საკმაოდ ვიწროა, ამათ პერანგდაკულარულ ქუჩებში კი ზოგან კაცს ღამის ვამოხილი ხელებით გასწვდეს მობრდამბირე კედლებს. ის ქუჩები, რომლებიც გალატასკენ ეშვება, ისეთი ციკაბოა, რომ ძლივს ვიკავებდი თავს, რომ არ დავტორებულყავი. ზოგი ქუჩა აქაც მთლიანია ციკაბო. საკვირველია: ეს უბნები ხომ XIX — XX საუკუნეთა მიჯნაზე ხელახლაა აშენებული, სახლები მაღალი და სოლიდურია; აქ კი ქუჩები არანაყლებ დახარბულია, ვიდრე ძველ სტამბოლში, სივიწროვეზეც რომ აღარაფერი ვთქვათ. ყოველი მტკაველი გამოყენებულია: ქუჩის წითელი ხაზიდან უკან დაწეული დიდი სახლის წინ მეორე სახლი ჩაუდელი. მათ შორის ძლივს ვაძვრები. ცხადია, ეს ჭოსი იმის ბრალია, რომ ძველსძველი კერძო ნაკეთების შეცვლა იყო შეუძლებელი. სახლებს დიდი ნაწილი სრულიად ამორტინებული მეტყენა. ეზოები თუა — მხოლოდ ჭასავით შეიძლება იყოს. საცხოვრებლად მძიმე პირობებია. აქ სალამო დაღებთალომდით. ბაეშვებს ცეცხლი გაეჩაღებინათ ქიაკოკონასავით და ზედ აბეზოდნენ. დიდები — ქუჩაში ისდნენ და მასლათობდნენ, სახლებს შუა ვამბულ თოყებზე სარკები ეკიდა, აქა-იქ წერილი ეპტებდნენ დექნები ბუტბუტდა, ჩუმად დაძვრებოდნენ კაბები (სტამბოლში უამრავი კაბაა).. ყველაფერი ჩამაყებული და ჩანვლებული იყო... დიდი ქალაქის კერძოებლები!

მაგრამ ცოტას ვაივლი თუ არა — ან ოქროს რქას დაინახე, ან ბოსფორს, ან მარმარილოს ზღვას და ვიღას ახსოვს ეს კერძოებლები! თვალს ვეღარ მოწყვეტ ამ სანახაობას!

ისტორიულ-ჯადისზეა ყველაზე უკეთესი მაღაზიები — წიგნებისა, ტანსაცმელისა, სამრეწველო და ხასურსათო საქონლის, კერამიკისა და სხვადასხვანაირი სუვენირებისა (ტრეტესად რიგიანი ხარისხისა — კერამიკა მაინც, მაგრამ ბევრია მდარე და უკეთესი); აქვეა კინო-თეატრები, ღამის ბარები და ვარჯეტები სათანადო ვიტრინებით — დასავლეთის ქალაქების აუცილებელი ატრიბუტი. დღისით მათი რეკლამა სულ არ ჩანს, ღამით ნეთნის ფერადი შუქრეკლამა იწყვებს ციმციმს.

უცხო ქალაქში განსაკუთრებით გრძობა, რამნიშვნელობა აქვს აფიშებს (აფიშების მნიშვნელობით ეცნობი, უპირველეს ყოვლისა ქალაქის აუტორულ ცხოვრებას (მის ხელოვნებას მაინც), აფიშები ასე თუ ისე გამოხატავენ მცხოვრებთა სულიერ ინტერესებს. ცხადია, მარტო აფიშებს ვერ დავყრდნობა, იმიტომ რომ ყველაზე მეტი და ყველაზე მყვიარელი, ჩვეულებრივ, მდარე და უხამსო სპექტაკლების რეკლამაა. მაგრამ თურქეთში მაინც მომხვდა თვალში „სერიოზული“ აფიშების სიმცირე: თითქმის არსად არ შემხვედრია კლასიკური სიმფონიური ან ინსტრუმენტული მუსიკის კონცერტების აფიშა. ოპერისა და დრამის სპექტაკლების განცხადებები სრულიად ეპარგებოდა შიშველ ქალებთან აფიშებს შორის. სტამბოლის საოპერო თეატრი დროებით პავილიონს უფრო გავს, ხისაა (ახლა კი აშენებენ ახალს). თვით სპექტაკლები არ მინახავს და არც მათი დირსებისა ვიცი არაფერი. გეითბრეს, ანკარაში კარგი დამატარული თეატრიაო. ოიღბოს მეფეა დაუდგამს (ტროსი მანჯუგალაქმე ვიღისგან საჩუქრად მიიღო „ოიღბოსის“ თურქული თარგმანი). იზმირშიც არის დრამის თეატრი, ბურსაშიც, იქნებ სხვაგანაც იყოს, არ ვიცი. მაგრამ მაინც ისეთი შთაბეჭდილება დავგერმა, რომ ქვეყნის დღევანდელ აუტორულ ცხოვრებაში თეატრსა და სერიოზულ მუსიკას არ უნდა ჰქონდეს დამკვიდრებული დიდი ადგილი. ერთი თურქული კინო-სურათი ენახეთ (სწორედ ამ ისტორიულ ჯადისზე); გარკვეული რეცეპტით შემზადებული შელოდრამა იყო: მცირე როზა სოციალური მოტივებისა, გარკვეული რაოდენობა მეტო-კრივისა, სათანადო მეტრავი შიშველი ქალის ცეცვისა და სხვ. (ეს ფრიად ეროტიკული „მუცლის ცეცვა“, როგორც რეკლამით ჩანდა, ყოველი თურქული სურათისათვის უნდა იყოს სავალდებულო). ცხადია, ამ ერთი ფილმით ვერ იმსჯელებ მთლიანად თურქული კინემატოგრაფიის პროდუქციაზე, რომელსაც ჩვენ ჯერჯერობით სრულად არ ვიცნობთ.

აი კიდევ რა ხელება კაცს თვალში სტამბოლშიც და სხვა ქალაქებშიაც: ბანკები და მათი რეკლამა. ასე გვონია, ყოველი მეორე თუ მესამე წარწერა ბანკს ეკუთვნის. ღამით, როცა სტამბოლიდან გალატას უფურებ, ბნელ ცაზე ანთებულ რეკლამებზე ყველაზე მეტად ბანკებისა ჩანს. ბანკების კანტორებს ზოგან მთელი ქუჩები უჭირავს. პატარა ქალაქებშიაც კი მათთვის სოლიდური შენობებია აგებული. ბანკი ხომ შესახებდავადაც „სერიოზული“ და რესპექტაბელური უნდა იყოს!

სტამბოლისთანა დიდი, მთლიანად ჩამოყალიბებული, ქალაქის არსებობით რეკონსტრუქცია კიდევ რომ ვინდოდეს, ძალიან ძნელია. არ ვიცი, არსებობს თუ არა სტამბოლის მომავალი განვითარების გენერალური პროექტი. ზემოთც-



ვთქვი, რომ ძველი უზნების დიდი ნაწილი მო-  
უღვლეია, ზოგან ცენტრშიაც ზღვები ნამდვილ  
ჯერღმულესს. მაგრამ იმ ძველ უზნებშიაც აქა-  
იმ ზოგი რამ მოწესრიგებულია — გაკეთებუ-  
ლია ახალი მოედნები, სკვერები. უფრო არსე-  
ებითი რეკონსტრუქცია ჩაუტარებიათ სტამბო-  
ლის დასავლეთ ნაწილში: ძველი განაშენიანება  
აუღლიათ და გაუყვანიათ ორი დიდი მავსტრალი:  
ვატან ჯადესი (სამშობლოს პარსიკეტი) და  
მილეთ ჯადესი (სახალხო პარსიკეტი). ორივე  
ვალდეს მიზგითთან იწყება და ორი რადიალურ-  
ი შტოს სახით მიემართება ძველი ბიზანტიურ-  
ი კედლისაკენ, რომელიც რკალსებერ ფარგ-  
ლავს ქალაქს დასავლეთიდან. ამ კედლის გარე-  
თაც, მის გაყოლებით, თითქმის მთელ სიგრძეზე,  
ფართო კეთილმოწყობილი ქუჩაა გაუყვანილი. ის  
ორი პარსიკეტი ძალიან განიერია, შუაში ბუღ-  
ვარები აქვს და ორსაც მხარეს ღღის შუქის ლამ-  
პიონების სვეტები მისდევს. კარგი, ნამდვილად  
„სადედაქალაქო“, მასშტაბის ქუჩებია, მაგრამ  
მათს განაშენიანებას ჯერ კიდევ ბევრი აქლია:  
ეს უფრო ტრასებია, ვიდრე ჩამოყალიბებული  
ქუჩები.

ოქტოს რქის ვაღაღმა ბეიოღლუ-მარქას ჩრდი-  
ლეთ ნაწილში, სრულიად ახალი უბნებია. აქ,  
ქალაქშივე, ხედავ ამწიანებულ ბორცვებს (ერთ-  
ერთ მათგანზე დგას ახალი პილტონ-ოტელი,  
სასტუმროთა ამერკული კომპანიის მიერ, თუ  
მისი თანამშრომლობით, აგებული), აქვეა დიდი  
პარკებიც. ძალიან სასიამოვნო სანახაყია საზაფ-  
ხულო თეატრი ღია ცის ქვეშ — ანტიკური  
თეატრების მსგავსად აგებული ბუნებრივ ფერ-  
დზე.

იმის მიხედვით, რაც სტამბოლსა და სხვა  
ქალაქებში ვნახე, შეიძლება ითქვას, რომ ახა-  
ლი არქიტექტურის მხრივ თურქები სრულიად  
თანამედროვე ეტაპზე დგანან. ერთხანს —  
ოციან თუ ოცდაათიან წლებში — ერთგვარი  
ეროვნული სტილიზაციით ყოფილი ვიტაცე-  
ბულნი, მაგრამ ახლა ყოველგვარი არქაული და  
სამუზეუმო სტილიზაციის გარეშე აშენებენ:  
მარტივი, ნათელი, ხალისიანი არქიტექტურა:  
რკინა-ბეტონი, შინა, წინასწარ დამზადებული  
ფერადი მოზაიკური პანელები ფასადებისთვის,  
ამ მოზაიკებით ძალიან ზოშიერად ჩართული  
ხალხური ორნამენტული მორტივები. შიგნით ბი-  
ნები არ ბინახავს, მაგრამ გარედან თვით შე-  
ნების ხარისხიც ძალიან კარგი ჩანს. საღ იყო  
იმის დრო (მოგვესვენებათ ტურისტული პროგ-  
რამის პირობებში), თორემ კი ღირდა ქალაქის  
საბჭოს ახალი შენობისა და იმ პილტონ-პალა-  
ტის დათვალიერება. ჩვენ მხოლოდ ახლომასლო  
ჩაუვარეთ ერთსაც და მეორესაც.

სტამბოლში ჩასულმა კაცმა აუცილებლად  
უნდა ნახოს დიდი ბაზარი. ვისაც ძველი თბი-  
ლისის შიითან-ბაზარი ახსოვს, ის დაახლოებით

წარმოიდგენს ამ ბაზრის ხასიათსაც, მაგრამ მისი  
მასშტაბის წარმოდგენა ძნელია. ესაა მთელი  
ერთი ქალაქი, რომლის გვერდით რატიონირება,  
ქუჩები კი თავიდან ბოლომდე კანონიერაა  
გადახურული. ეს ქუჩები, რომელთაც ბოლო არ  
უჩანთ, სულ ერთიანად მაღაზიებითა და დეკ-  
ნებითაა შედგენილი. გადახურულ ქალაქს უშ-  
თავრესი „მავსტრალუმიც“ აქვს: აქ უფრო  
მოზრდილი მაღაზიებია — გალანტეობისა, ფარ-  
თლევლისა, ფეხსაცმელებისა, საიუველირო, ხა-  
ლჩებისა. ამ „მავსტრალუმის“ ორსაც მხარეს  
წერტილი გასასველებლის უსასრულო ხალათთა:  
საბნები, ტყავილეობა, ნახშირი ნივთები, რომ-  
ლებიც დექნების გარეთ ჰქადა. მეცე ოქრო-  
მკვლელობის, კურკლეულის, კერამიკის რიგები  
გაშორნდა. სამაჯურები, ბეჭდები, ათასგვარი  
სამკაული (ორდენებიც კი ყრია ვიტრინებში),  
ნაქედი და მოკაზმული ქაბები, კურკული,  
ქრელ-ქრული კერამიკული ლანგრები, ნარგა-  
ლები ისეა დაზავებული, ისე უზომო, უანჯა-  
როშო და უღვეთა ყველაფერი, რომ, ცხადია,  
არც პატრონებმა იციან, რა აქვთ და რა არა...  
მოპირდაპირე დექნები სულ მეტრნახვერით  
თუა დამორბეული, ზოგ დექანს ორი-სამი კაცი  
ერთიანად აესებს: ძლივს ვახერხებდით გველას  
ისე, რომ რასმე არ მოვლემოდით და არ ჩამოგ-  
ვედო. ეს კურკული და სამკაულები — ზოგი  
მართლა ძვირფასი, ზოგი იაფფასიანი — ერთი-  
ნად ლალაუებს და ციმციმებს — აღიბაბას გე-  
მოქებალში გეგონება თავი. წინათ, როცა  
აქაურ ვაჭრებს ჯერ კიდევ არ ეცუათ ევროპუ-  
ლი პიჯაკები, აქაურობა ხომ კიდევ უფრო  
ფერადოვანი და „აღმოსავლური“ იქნებოდა  
(ევროპელებს სწყინთ, ეს ეგზოტიკა რომ ჭრე-  
ბა. იზმირში ერთი ფრანგი ქალი შეეცხვდა —  
სტამბოლში არ მომეწონა, ევროპას დამსგავსე-  
ბითა)!

გადახურული ბაზრის მიმდებარე ქუჩებში,  
უთვალავი მაღაზიაა. აქ ვაჭრები უფ-  
რო მეტად აქტიურობენ: ხელების ქნე-  
ვით ყვირიან რაც ძალი და ღონე აქვთ, სა-  
ქონელს აქებენ, ავედენებიათ, გიწვივენ, გე-  
კითხებიან: „ფრანგ, ინგლის, ამერკენ?“ (არც  
ერთნი რომ არ აღმოგნდით, ერთმა გეკითხა,  
იფთხილავები ხართო?). შუა ქუჩაში ბიჭებს  
ფეგობლი აქვთ გამწალი და ზედ ნიღოსის  
წინდები ყრია გროვად. ესენი ყველაზე მეტს  
და ყველაზე ხშირად გაკიოდნენ. მე ბინოელი  
მქონდა ჩამოკიდებული. ერთი ვაჭარი დამეძ-  
გვრა, გინდა თუ არა, მომიყიდო. ძლივს დავაღ-  
წიე თავი. თითქმის მთელი ქვეყანა ვაჭრობს და  
ესაა ერთადერთი საქმიანობა! მყიდველი ამო-  
დენა საქონელთან შედარებით ძალიან ცოტა  
ჩანდა. უცხოელი ტურისტები კი დახტიალბ-  
დნენ ჯგუფ-ჯგუფად, ჩვენსაკით.

## 4.

იქიდან რომ გამოვედით, დასასვენებლად ჩამოვსვდით ბაღის სკამზე ენი-ჯამეს წინ. ვალატის ხედით ვტყებოდით. ამ სკამებთან ფეხსაცმელის მწმენდავნი ისხდნენ მწკრივად. სტამბოლში უამრავია ამ ხელობის კაცი. ყუთები ინკრუსტაციებით აქვთ მოკაზმული, საცხის კოლოფებს სპილენძის ლაბლაპა სფერული ხუფები აქვს; მრავალგვამათიანი ეკლესიის მოდელი გვეგონება. ჩვენ გვერდით ერთი ღარიბულად ჩაცმული შეუხედავი ყმაწვილი იწმენდდა საკმოდ გაცეითილ ფეხსაცმელს. მწმენდავი ძალიან გულდასმით მუშაობდა და ლეოჩაჩულის მთელმა თქვა:

— ერთი შეხედე, როგორ ეალერსება ამ ფეხსაცმელს, გვეგონება, მასაც უყუთებდეს.

უცებ ის ყმაწვილი მობრუნდა და ქართულად იკითხა:

— ფეხსაცმელი რაა?

შევკრთით, გავეცხარა:

— ქართველები ხართ, გურჯები ხართ? (იქვე, მეორე, უფრო ხნიერი შევევრემანი კაცი იჯდა).

ბურსის მიდამოებიდან ყოფილან. ისე ბათუმელები ვართო, ჩვენ თითონ კი თურქეთში დავინადეთო. ჩვენი ვინაობა ვგვითხეს, საიდან ხართო. თბილისიდან თქო, რომ ვუთხარიო, ვერ გაიგეს. იმათ თიფლისი იციან. ჩვენ ზეითუნის ზეთს ვაწვადებთ და აქ გასაყიდად გვექონდა ჩამოტანილიო. კარგად ვცხოვრობთო, თქვეს, მაგრამ კარგად ცხოვრებისა არაფერი ეტყობოდათ. ლომ და გოგი თოთბაქმე სურათების ვადალებს დაწვეყნა. ყველანი აღელვებული ვიყავით. მაგრამ ახალგაზრდა ცოტა არ იყოს შეკრთა — რამე არა თქვანო... გუნება ვაგვიფუტდა, შევეყმინა კიდევ, რამე უსიამოვნება არ შევამთხვიოთ თქო და სწრაფად გამოვეშვიდობეთ.

ჩვენი მოგზაურობის დროს თითქმის არსად არ დაგვიღამა ფეხი, ქართველები რომ არ შეგვხვდებოდნენ. და ყველგან ამ შეხვედრის სიხარულს მძიმე ვრძინობაც ახლდა თან. ბერგამიდან ბურსისკენ რომ მივდიოდით, ტყეში მთაზე შეჩერდით სულმოსათქმელად. დაინახე, ჩვენები ორ ყმაწვილს ელაპარაკებოდნენ: ერთი ქართველი ბივი იყო, ხმელ-ხმელი, ქერა, თერამეტო-ცხარამეტო წლისა, მეორე — ლაზი, თმა-ბუჭუჭა, ლყაწითელი, უღვაში. ის ქართველი სიხარულით ანთებული იყო: აესულიყავით ჩვენს სოფელში, იმეორებდა სულ. აქ მე და მამიჩემი „მთაში ესაქმობთო“. იმათი სოფელი ბალაქისი-რთან ყოფილა, წარმოშობით კი ბათუმის მხარეიდან ვართო. შინ „ქართულად ვაზრობთო“, თქვა. რიგინად ლაპარაკობდა ქართულად, თუმცა, რა თქმა უნდა, შეატყობდი რაღაც განსხვავებულ გამოთქმას. ვაჩუქეთ თბილისის ღია ბაზრები, თბილისის 1500 წლის წინანდელი კულტურა, მგონი, ჩვენებური პაპიროსის „მისცა“ გულდასვენებლად გამოვეშვიდობეთ ამ ბიჭს, რომელმაც ოთხასი წლის წინათ დაქარგა თავისი სამშობლო. გვარი ყველა ქართველს უკვე თურქული აქვს, ოფიციალურად ისინი თურქებად ირიცხებიან, მშობლიურ ენადაც თურქულს აცხადებენ, იმისთვის, რომ შევიწროებას დააღწიონ თავი. ცოცხალი, დღევანდელი საქართველო მათთვის მიუწვდომელი შორეული ზღაპარი-ღაა. და მაინც, გერ არ ჩამკვდარა (ოთხი საუკუნის შემდეგაც) ქართველობის შეგნება და არ აღმოცხვრილა ქართული ენა!

მთელი მოგზაურობის დროს საგანგებოდ მოჩენილი ხალხი გვეყავდა. ზოგი თავიზიანი იყო და არაფრით არ გვაწუხებდა. ბურსაში ერთი სქელი კაცი დაგვხვდა, ნამდვილი ბულდოგი. არც გულშია. ერთ საღამოს ჩვენ ორ კვამლად გავიყავით: ზოგნი ქალქში დავრჩით და მუხუჩუნსა და ძველებს ვათავალიერებდით, სხვები ავტობუსით გავმგზავრენ უღელდაღვინ მთაზე. იქ საღდაც ორი ქართველი ახალგაზრდა შეხვედრით. ძალიან გაუხარდით ჩვენების ნახვა, აღელვებული ელაპარაკებოდნენ, მაგრამ იმ ბულდოგმა ვიხიბო ცალკე და დააფრთხო. ასე მოუბრუნებლად, ჩვენების თვალწინ. როცა ავტობუსიდან ვეშთოვებოდით, გერც მოიხედეს შიშით, მხოლოდ ერთმა ძლივს შესამჩნევად ასწია ხელიო.

ბურსას რომ ეტოვებდით, ჩვენმა მძღოლმა შექრამ ეაკაცობა გამოიჩინა: მანქანა გაჩერა და დაუძახა ერთ ყმაწვილს, რომელიც ქართველი ყოფილიყო. ჩვენი ქართველობა რომ გაიგო, სიხარულით აეთხო, მანქანის სარკმელს ჩამოკოცა, მერე შიგნითაც შემოიჭრა. ართვინის მხარეიდან ვართო, ჩემი ძველი გვარი ქუჩე-ვაძე არისო... ბათუმის სურათი თუ ვაქვთ, მომეცითო. არც ბათუმის სურათი გვექონდა, უცებ სხვა ევლარაფერი მოვისახრეთ (უკვე გვარჩებდნენ) და მანქანა დაიძრა კიდევ... წარმოიდგენთ, როგორ შეეწუხდით, ან ის საწყალი-რა გუნებაზე უნდა დამდგარიყო.

მერე რამდენიმე წუთით ბენზინის ჩასასხმელად ერთ ადგილას შეჩერდით. ერთი კაცი იდგა, უბრალოდ (ქალაქურად) ჩაცმული, შესახებდავად ნამდვილი იმერელი ან მეგრელი იყო. ვანგებ ხმაშილდა დაველაპარაკე ქართულად ერთ-ერთ ჩვენგანს. არ მოგვაქცია ყურადღება. მაგრამ ოთარ გიგინეიშვილი გამოუღამარია და ლაზი აღმოჩნდა. იღარც ლაზერი იყო და არც ქართული.

ზოგი ქართველი, ეტყობა, ვაქრობას მისდევს. ზოგი ხელოსანია. ერთ ასეთი კაცი ბურსაში ენახეთ, მაგრამ ქართული ძალიან უქარა და მე ბევრი ვერაფერი გავიგე მისგან. სტამბოლის

დიდ ბაზარში კი ერთი ხანშიშესული კაცი თეთონვე გამოგვეცნაურა ქართულად: პატარა საიუველირო მაღაზია ბქონდა, ლეკი იყო. სტამბოლშივე ყოფილა ერთი დიდად შეძლებული ქართველი, გვარად ჩიჯვავილი — შგონი, რაღაც საფეიქრო ფირმის მფლობელი. მაგრამ ჩვენ არ გვინახავს. ვერც ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ნახვა შევძელით. ბოლოს აღარც კი მინდოდა ქართველების შეხვედრა. რა უნდა გვეთქვა ერთმანეთისათვის არსებითი?

5

როცა საქართველოს მიწა-წყალზე კაცი წარსულში მოგზაურობს, ეს ქართველი ერისა და მის წინაპართა წარსულში მოგზაურობაა. თურქეთში სხვაა. ამ ქვეყნის მიწიდან ფეხის გაღდამვლად სურვილისამებრ შეიძლება „იმოგზაურო“ მხოლოდ ანტიკურ საბერძნეთსა და რომში, მხოლოდ ბიზანტიასი, მხოლოდ სელჯუკებთან ან მხოლოდ ახლანდელი თურქების წარსულში.

სანამ ბურსაში ჩაივლიდით, ჩვენ მარტო ბიზანტიურსა და ანტიკურ ძეგლებს ვეცნობოდით, და ნაწილობრივ — ანტიკურის წინასაყ. წარსულში მოგზაურობა სტამბოლის არქეოლოგიური მუზეუმით დაიწყო. მას ორი განყოფილება აქვს — ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური. ორივე ერთ ეზოშია, ცალ-ცალკე კორპუსებში, სელენების ძველ სასახლესთან. არსებობდა, ეს ანტიკური და აღმოსავლური ხელოვნების მუზეუმი, თუმცა, რა თქმა უნდა, სრულიად სპეციფიკური პროფილის მქონე: ბერძნულ-რომაული ხელოვნების სისტემურ სურათს აქ ვერ დაინახავ, რადგანაც თითქმის მხოლოდ მცირე აზიასა და ხმელთა-შუაზღვის აღმოსავლეთის სანაპიროზე ნაოვნნი ნივთებია გამოფენილი. და მაინც, ანტიკური სამყაროს შესაცნობად ეს უძვირფასესი მასალაა. აქ განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რომ ეს ელენური და აღმოსავლური სამყაროების შეყრის ადგილი იყო. სურათი ძალიან რთული და მრავალფეროვანია, იგი მარტივ ევოლუციურ სქემებში ვერ ჩაებტება. და ჯერ კიდევ ძალიან ბევრი საკითხია გასარკვევი, ბევრი ძეგლის ადგილი და მნიშვნელობა დასადგენი.

მუზეუმში არქეოლო, კლასიკური და ელინისტური ხანებია წარმოდგენილი, შემდეგ — რომაული და, მცირეოდნად — ძველი ქრისტიანულიც. გარდა საკუთრივ ბერძნული (იონიური) და რომაული ძეგლებისა, ბევრია ლიკური, ფინიკური, ელინისტურ-ეგვიპტური და სხვ.

ასეთი სწრაფი დათვალიერების დროს ემოცია — გავფრთხილება, აღტაცება, შეძახილები — მეტი იყო, ვიდრე მოსაზრება. გასაკვირველი კი მართლაც არის, ექსპონატების რაოდენობითაც

და ღირსებითაც, მით უფრო, რომ მათი უდიდესი ნაწილი ფართოდ არაა ცნობილი. ძირითადად, ეს სკულპტურის მუზეუმშია ანტიკური მუზეუმი, ბუნებრივია, სხვახარისხის ვერც იქნება. ქანდაკებულა და რელიეფთა დიდი ნაწილი კარგადაა დაცული.

სკულტო ქანდაკებები, ლმერები, ნიმუხები... ერთბაშად იპყრობს ყურადღებას ლმერთი ბესი კვიპროსიდან, ვილგამეშის თავისებური ვერსია: ერთი ბაუბაუდევი, მთასავით დიდი და უხეში, მძლავრი, ცხოველური, უზარმაზარი კვადრატული თავით. ორივე ზელით ღმის წელჯეს სრულიად ძალდაუბრუნებლად. ძველი ველთაღრიცხვის IV საუკუნეს მიაკუთვნებენ. ეს მეტისმეტად მოულოდნელი სანახაობა იყო ამ „კლასიკურ“ გარემოცვაში და თან მეტისმეტად ექსპრესიული. ამიტომ განსაკუთრებით ჩამჩრა მუხსიერებაში.

შერე — საფლავის სტელები მიცვალებულისა და ჭირისუფალთა გამოსახულებით... სამგლოვიარო სერობათა რელიეფები, კლასიკურად დაბეჭდილი, ლაკონური და მეტყველი... არქაული მოლიმარი სახე — VI ს. იონიური ქანდაკება, რომელიც გაჯადოებს გულბერძენილ უშეღარიბთ და სიწმინდით... რომელიც იმპერატორები: ავგუსტის იდეალიზებული პორტრეტი, კონსტანტინე დიდის თავი... ანტიკური ხანა მოთვრდება და მასთან ერთად — ნამდვილი პლასტიკაც.

ფართო დარბაზის იატაკზე — იერუსალიმიდან ჩამოტანილი მშვენიერი მოზაიკა, მარმარილოს კენჭით ნაკეთები: ორფოსი მხეციბს შორის. ქრისტიანული ხელოვნების სულ მთლად პირველი ხანები... ძველი ქრისტიანული რელიეფები... და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ... დიდი დარბაზები ერთბაშად ამოვსებულია, თვალი ვაცოცხდება, აღარ იცი, რას უყურო...

და მაინც ყველაზე შესანიშნავი და სახელმძღვანელო განძი ე. წ. სიღონის საკოფრავებია, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში აღმოჩენილი თურქი მეცნიერის ოსმან ჰამდიბის მიერ ძველი ფინიკიის ოდესღაც მდებარე და აუვაებული ქალაქის ადგილას. ე. წ. „აღკქსანდრე მკერდონილის საკოფრავი“ (IV საუკუნისა ქ. წ.) უკვე დიდი ხანია სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, მისი სურათიც ბერძენურ გამოქვეყნებულა. და მაინც არ მოველოდი ასეთ შთაბეჭდილებას. ეს მთელი პატარა შენობა, ბერძნული ტაძარივით, კაცის სიზაღვლეზე მეტი მშვენიერად შენახული. ოთხსავე მხარეს მას ისეთი თვისუფალი, აბსოლუტური, ოსტატობით შესრულებული პირელიეფური ფრესკის მდევს, როგორც მხოლოდ ძველ ბერძნულ სკულპტურაში ვხვდებოდა... შინაგანი დინამიზმით განსმკვალული და, იმევე დროს, სავსებით პარმონიული სცენებია, რომლებიც დიდად მოგავგონებს სკოპასის პათეტიკას... ბევრგან ხალე-

ბავიყაა შერჩენილი (მაშინ ხომ მარმარილოს ქანდაკებებსაც ღებავდნენ)... მარტო ეს ერთი სასკოლოა რომ ქეონდეს რომელსავე დიდ მეზუში, ესეც ყოფილა სახელად. აქ კი — ამის გვერდითვე დგას მეორე, უფრო დიდი და არა ნაკლებ ბრწყინვალე: ე. წ. მტარად ქალთა სასკოლოა მარმარილოს (350 წ. ქ. წ.) — იონიური ტაძრის მსგავსი, სვეტებს შორის მოთავსებული მტარალი ქალებით... იქვე კიდევ სხვა, გვიანტური სასკოლოა, ჯირითის რელიეფური სკენებით და რომ დიდი მწილიარე ფიგურათ — სახურავზე. ეს თვითონაა მთელი მეზუში... მერე კიდევ ანტირომობრუნული სასკოლოა და სხვ. და სხვ.

მეორე კორპუსში, სადაც ძველი აღმოსავლეთი, ზელოვნების მოგვარულს არა ნაკლები მღელვარება მოელის: კარხემის ლომები, ღმერთი თემები, ზეჯირის ლომები, მათზე შესმული ღმერთთა, ბოლახქვის სფინქსები, ე. ი. ხეთური ზელოვნების ნამდვილი შედეგები; ბაბილონის იმპერატორის ყარის ფერადი კერამიკული ლომები, რომლებიც ბერლინის მეზუში გადმოიყვანა იმის სანაცვლოდ, რომ ნება მისცეს გაეშორებინათ ხეთური წარწერები...

ესოთი ბიზანტიის იმპერატორთა გვიანტური სასკოლოა დგას, პორფირისა. პორფირის ფერი სრულიად მოულოდნელი და დუჯერებელიც კია: მუქი ლეინის ფერია. როცა ამოღენა ზომის უთუბები დგას ამ ქვისა — ფანტასტიკური ელექტრა...

ამ მეზუშის საოცარი სიმდიდრით თავბრუდამსხმული წავედით აია-სოფიას ტაძრის სანახავად. ტურისტის გაქირება, თორემ ვინა შეიძლება ირი ასეთი „ობიექტის“ ნახვა ირი-სამი საათის განმავლობაში? ამ ნახვისას რიგაზად ვერც მოვახერხებთ მისი აღქმა. და მხოლოდ მეორე დღეს „გეგმენით“ იგი, როცა მე და ლეო რჩეულიშვილი ირიოდ საათი დავევათ მის შიგნით (ზედად ნახევარი დღე თავისუფალი გვიქონდა).

გარედან აია-სოფია — ლეთაბრივი სიბრძნის ტაძარი — გინდ გინახავს და გინდ არა. ზედად დიდ შენობას, ფართო დაბალყვლიანი გუმბათით, და მის ქვემოთ — ერთმანეთზე მიხვედრულ მასებს. ზოგი რამ თავდაპირველია, ზოგი მერვა მიმატებული მეტისმეტად გაბედილი კონსტრუქციის განსამტკიცებლად... შეიძლება ითქვას, რომ ის ოთხი მინარეთი, რომლებიც თერქებმა დაუყენეს მას ოთხსვე მხარეს, მეტ გამომეტყველებასა და „ბიანტრობას“ ანიჭებს ამ საკმაოდ ამორფულ ნაგებობას. მეექვსე საუკუნის ბიზანტიური ზელოვნობა არც ისახავდა ბიზანტიურობის გარეგნობის დამუშავებას, ფასადი — როგორც მხატვრულად ამოსახსნელი ამოცანა — მისთვის არ არსებობდა (თი ერთი უმთავრესი განმასხვავებელი თვისე-

ბათავანი ძველი დროის ქართულ და ბიზანტიურ ზელოვნობებთანაც მესწავლენ... რაც ვენილური „მცხეთის ჯეგანს“ შექმნის, ქართული ზელოვნობა მუდამ ბიზანტიურობის სახედა ტაძრის შიდა აღნაგობისა და გარეგნობის სრული მხატვრული წონასწორობის მიღწევას... ჩვენმა ზელოვნობებმა შეიძლება ჩამოყალიბებული, სისტემა, რაც, არსებითად, უცნობი დარჩა ბიზანტიისათვის). ძველი ქრისტიანული და ბიზანტიური არქიტექტურა, ზნტეკურისაგან განსხვავებით, ინტერიერის არქიტექტურა იყო. ეს შეიძლება არსად ისე ჯრ ჩანდეს, როგორც სწორედ აია-სოფიაში.

მთავარი შესავლელი მოედნიდანაა, ე. ი. სამხრეთიდან. შეხვალ თუ არა დასავლეთის ნართექსში (ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტაძრის ტალანია), ერთბაშად იგრძნობ, რომ აქ სულ სხვა, განსაკუთრებული, ერთადერთი მასშტაბისა და მნიშვნელობის შენობათაგან გაქვს საქმე. გრანდიოზული ნართექსი — აქვლანის მქალაქი, ზეზიდული სიბრტყეებით, მოზაიკით ალვარებული კამარებით — წინასწარ გამოადებს თვით ტაძრის სივრცის აღსაქმელად. ცხრა შესავლელი აყვანიტებს ნართექსს დარბაზთან. დარბაზი მართლაც უზარმაზარია: მთელი მოედანი, გადაბრული ორმოცდასთუმეტ გუმბათზე ატყორცნილი ოქტაგონური გუმბათით. მეორე მხარეს რომ აღაშინებდი დადიან, ბუზებით ჩანან, ნაკვების გამოფი კოლონები, სურათებში რომ წერილი და წერწება მეგონა, ნამდვილად უშველადელი ყოფილა. მაგრამ მიიწი სიდიდე კი არ იოცებს და აღუკვებს აღამიანს (რკინაბეტონისა და ლითონის ეპოქაში ოქტაგონურიანი მალი ელას გააკვირვებს; ჩვენ უკვე თბილისშიაც ვიქვს გუმბათი, რომელიც ორნახევარჯერ სკარბობს აია-სოფიასს). მთავრია ამ უზარმაზარი სივრცის სრულიად განსაკუთრებული, შეუდარებელი პარმონიულობა და მხატვრული მთლიანობა. ეს რთული სივრცე — გუმბათითა და ნახევარგუმბათებით, ნახევარწრიული აბსიდლებით, სარსართულიანი კოლონადებით, რომლებიც სივრცეს ანაწევრებენ, რთული რაქურსებითა და ფარმათა მუდმივი მოძრაობით, სხვადასხვა ფერის მარმარილოთი და მოზაიკით, და მთელი ეს მრავალფეროვნება არანეულებარვად ნათელ სივრცობრივ სისტემის ქვემდებარება, ყველაფერს — დიდსაც და მცირე ნაწილსაც, ყოველ წერილმანსაც კი — თავისი ადგილი აქვს, რაც არის — ყველაფერი აუცილებელია და აბარაერი შემთხვევითი. თვალს ქვემოდაც ზელონი აყოლებთ: პირველი სართულის ოთხ-ოთხი მძლავრი სვეტი, მეორე სართულის გალერიათა სვეტების უფრო „სწრაფი“ რიტმი, კონქები, ზრდილოეთისა და სამხრეთის გუმბათქვეშა არეების სარ-

მელთა ორ-ორი მწყობრი, ატრები და თვით გუმბათი — თავისი ორმოცი მიჯრილი სარკმლით, რომლებიც მის ძირში შუქის საღებებს ქმნიან: ყველაფერი ერთმანეთისგანაა აღმოცენებული და გაზრდილი, როგორც ორგანულ სხეულში, გუმბათი კი — ლოგოკური გვირგვინაა, წინასწარვე შემზადებული მთელი ორგანიზმის მიერ. შემდეგ ზემოდან თვალი უკანვე ბრუნდება და კვლავ დიდი სიამოვნებით შეიგრძნობ ფორმათა თანდათანობით, საფეხურებად „ღინებას“. რა თქმა უნდა, ვერაფერია სურათი უფრ ვაიმოკცემთ იმ მიმსებუქსს, ჰაერისა და შუქის იმ სიუხვეს, რომელსაც ამ ტაძარში გრძნობ. ღვთა რჩეულიშვილმა კარგად თქვა, იქ რომ ვიყავით — გვერთება ნიაჟმა დაუბერა და ეს გუმბათიც, ეს ნახევარგუმბათებიც, იალქნებივითაა დაბერილი.

ბიზანტიური ტაძრის ინტერიერისთვის არსებული მნიშვნელობა ჰქონდა ფერს, კოლორიტს, რომლის შერჩევასაც არა მარტო ესთეტიკური, არამედ გარკვეული იდეოლოგიური მოსაზრებებიც ედო საფუძვლად. აია-სოფიას შიგნით დროთა განმავლობაში ბევრი რამ დაზიანდა და ვადაკეთდა, მაგრამ აქაც ძალიან ნათლად ჩანს ედელე-კამარების მორთვის კოლორისტული სისტემა, შით უფრო მას შემდეგ, რაც ამპროკლეობა მოზაიკების ნაწილი ვაქმინდეს. გარკვევით განიჩნევა ორი ზონა: „მიწიერი“ და „ზეცურის“; მთელი ქვემო ნაწილი თად-კამარების ქუსლამდის — კედლების მოპირკეთება, სვეტები — მარმარილოსა (კედლებზე — შუქი და ღია რუხი, ქარვისფერი, თეთრი, მქვი მოწითალო მარმარილოს პანელეზია, რამდენამდე ჩამქრალი ტონისა, მტკიცე სისტემით განლაგებული, ყოველგვარი სიჭრელს გარეშე. სვეტები — რუხი-მოწითალო ბრეკჩია და წითელი პორფირისფერია). ადლებს არეები და ყველა კამარა (გვერდის ნაებისა, შუა დაარბახისა, ზემო ვალეროებისა) — ე. ი. ზეცის სფერო — ერთიანად ოქროსფერად ელვარება, მოზაიკით იყო დაფარული. ახლა მოზაიკური ზედამირის დიდი ნაწილი საღებავითაა შეცვლილი, მაგრამ ვფიქრობიანც დიდია, განსაკუთრებით მზიან დღეს, როცა ტაძარში ბევრი შუქია.

აია-სოფიაში საესეზით ჩამოყალიბებულა ახალი, ანტიკურისაგან განსხვავებული, სისტემა დეკორატიული დამუშავებისა: მკაფიო პროფილირების ნაცვლად — პოლიქრომია, აყრული ზალბისებრი საკაულები, რომლებიც კედლის სიბრტყის დონეს არ სცილდება. ზოგან ეს ნამდვილად გამოკეთილი აყრია, ზოგან მხოლოდ ნახატი.

ჩვენ დრო აღარ დაგვრჩია, რომ გულდასმით დავკვიტოიერებინა ტაძრის მოზაიკები. აქ ბიზანტიური კედლის მხატვრობის საუკეთესო ნიმუშებია — მონუმენტალური, მკაცრი და,

იმვე დროს, უაღრესად რაფინირებულ ფერადოვნების მხრივ. მაგრამ ყველა ეს მოზაიკური კომპოზიცია — ნაროქსშიაც (ეუბრალოდვე დეკონსტანტინე მარიაშის წინაშე, ქრისტეს ფერხით განრთხმული იმპერატორი ლეონი) და შიგ ტაძარშიაც, მხოლოდ დეკორატიული დერბალეზად ჩანს ამ უზარმაზარ კედლებზე.

ბიზანტიურ ხეროთომოდერებას აღარასოდეს არ შეუქმნია აია-სოფიას შესადაო რამ, ისევე როგორც არც თვით ბიზანტიას აღარ შეუდგენია იმ ძალისა და ბრწყინვალეებისთვის, რომელიც მას VI საუკუნეში, იესტინიანეს დროს, ჰქონდა. ახალმა იმპერიაში მთელი თავისი პოეტრეცია, მთელი თავისი შემოქმედებითი აღმადრენა ამ ტაძარში ჩააქსოვა. მას თავიდანვე აშენებდნენ, როგორც განსაკუთრებულს, მსოფლიოში უნახავსა და შეუდარებულ რამე. დაროცა იგი დამთავრდა, აღტაცებულმა იესტინიანემ, რომელიც სულ თავს იღვა მშენებელი, შესაბამა: „გადიდებთ შენ, ღმერთო, რამეთუ ღიის მყავ ამის საქმისა აღსრულება, ვაჯობე შენ, სოლომონო!“

ათორღე დღის შემდეგ, როცა ანკარიდან სტამბოლს დაებრუნდით, ჩვენ ვეაზვნეს სულეიმანეს სახელგანთქმული პიზგათი, XVI საუკუნეში აგებული დიდი თურქი ხეროთომოდერის სინანის მიერ. ზემოთაც ეთქვი, სტამბოლის აღბის შემდეგ, თურქული მიზგიოების არქიტექტურის შემდგომი განვითარება აია-სოფიას მიერ იყო განსაზღვრული, სულეიმანოვც, თავისი საერთო აღნაგობით, თავისი გუმბათითა და ნახევარგუმბათებით, ძალიან ახლო დგას იესტინიანესეულ ძეგლთან. ესეც შესანიშნავი საინჟინრო ნაგებობაა (ვაშორკვევით, რომ ჰაერის კონდიციონებაც კი იყო გათვალსწინებული), აქაც უზარმაზარი სივრცეა, მაგრამ ეს მანც სულ სხვაა. აქ რომ შევედო, კიდევ უფრო მეტიად დავაფასებ წმ. სოფიის არქიტექტურის მხატვრული მთლიანობა და კანონზომიერება: ეს ისეთი დაბეწილი, სულ ბოლომდის ჩამოყალიბებული, ფორმაა, რომ მასში არც ერთი წერილმანის შეცვლა არ შეიძლება მთელის დაუზიანებლად. სულეიმანეს ინტერიერში ერთი შეხედვით თითქოს აია-სოფიას სახევა განშორებული, მაგრამ სადღა ის სრული თანხმობა და მარმონიაა რაც კია შეცვლილი, უველაფერი მხოლოდ არღვევს მას.

იმ დღეს აია-სოფიაში სულ ცოტა იყო მნახველი. მზის სხივები სვეტებად ეშვებოდა სარკმლებიდან. „მრავალი დროების მოწამე“ ტაძარი, ოდესღაც მთელი იმპერიის სახელი და დიდება, ცარიელი, მიუხრებელი და — შეიძლება სწორედ ამიტომ — განსაკუთრებით დიდებული იყო. მის შესასვლელში ტაძრისა და სტამბოლის ზღვები, სხვადასხვა პროშერები და

წიგნები იყიდებოდა. ორი-სამი ხანშიშესული, სამოსელგაყრცილი, კაცი მსახველებს დარაჯობდა: — Voulez — vous un guide français? არ გნებავთ ფრანგულ ენაზე ამხსნელი?

პირველ დღეს ჩვენ დაეთავლიერეთ აგრეთვე უზარმაზარი მიწისქვეშა წყალსადენი, ე. წ. იერუბატანი, წინანდელი „ციხტერაზა ბაზილიკა“ (სიღიდე 140X70 მ., 336 ქვის სვეტი). ესეც იუსტინიანეს დროინდელია: ძველი ნაგებობა გადაუკეთებიათ, რომ დედაქალაქის წყალმომარაგების საქმე მოეგვარებინათ.

მეორე დღეს თურქული გვიმო, რომელსაც „კარადენიზი“ („შვიდ ზღვა“) ერქვა, იზმირს გავემგზავრეთ: მარმარილოს ზღვა — დარდანელის სრუტე — ეგეოსის ზღვა (კუნძულების გასწვრივ) — იზმირის ყურე და — თვით იზმირი, თურქეთის მეორე თუ მესამე ქალაქი სიდიდითა და მნიშვნელობით. დილით, როცა გემბანზე ავიდო, უკვე ყურეში ვიყავით და ორივე მხრიდან ხმელეთი ჩანდა. თანდათან, ჩვენ წინ, გამოისახა ქალაქი — ჯერ მთების ამფითეატრზე გაბნეულ თეთრ წერტილებად, მერე უბნებად, ვილებად, სანაპიროებად.

ქალაქი ნაღივით ერთმის ვარს ყურეს. მისი ნაწილი ვაკეზეა, ნაწილი სიფურებულად ადის მთაზე, როცა გემი ნავთსადგურში შედის, უკვე ქალაქით „გარემორტყმული“ ხარ.

6

„და ვიხილეთ ქალაქი მჯობი ყოველთა ქალაქთა ესრეთ, ვითა ელემს შინა სამოთხე... ერთ ეერბო — თეთრი ზღვა, აფსელაი შრავილითა ხომალდითა და ნავითა, და ანძანი ამართულნი იყვნეს ვითა ხე შალნარისანი და ერთ ეერბო — შთანი და ძირსა — ევლნი და ქალაქნი, ბაღჩა-ბაღითა და წალკობითა აღესო, და ზეთის ხილითა ტევნარიანობა და ხშირებული და ნარისნჯ-თურანჯეთა, კვიპაროზთა და ალვისა ხისა შალნარნი... შევედით შივან ქალაქსა, ვიხილეთ სრანი და პალატანი უცხოლ ჩინელთაებრ ხურაებულნი ესრეთ, ვითა მაისის ეელთა ასფოდლოებნი“.

ტიმოთე ვაზაშვილი. მიმოსლვა.

ახლა ტიმოთესდროინდელი იზმირისა, ალბათ, აღარაფერია დარჩენილი, მდებარეობის გარდა. მაგრამ ახლანდელი ქალაქიც ძალიან ლამაზია, განსაკუთრებით, როცა მთიდან გადმოსცქერის და ქალაქთან ერთად ეგეოსის ზღვის ღრმა, ლურჯად მოჭოქათე, ყურეს ხედავ (თურქები ეგე-

ოსის ზღვასაც და ხმელთაშუა ზღვასაც თვით-ზღვის უწოდებენ — „აღდენიზი“), ჩამხრეულ ნაწილი და მთის ფერდზე შედგენილი ტუმბურ ქვეყანაა. ძველი ნაწილის შუაშია რომაული აგორას ნანგრევები. უფრო დიდი ნაწილი ვაკის ქალაქსა, ფევი-ფამას ფართო და გრძელი პროსპექტის ჩრდილოეთით, მთლიანად (ან მცირე გამოწილისით) სულ ახალია. იგი მას შემდეგაა აშენებული, რაც ბერძენებმა გადაწყვეს ქალაქი მისი დატოვების წინ. ეს 1920-იანი წლების დასაწყისში იყო, მაგრამ შენობათა უმეტესობა ოცდაათიანი წლებისა და ომისშემდგენდროინდელია. ახალი ქალაქის ბირთვია დიდი პარკი, რომელშიც იზმირის საერთაშორისო ბაზრობა იმართება (მაგილიონები ახლა ცარიელი იყო). გვემარების სქემა (ეს მთიდან კარგად ჩანდა) მარტივი და ნათელია — ამ პარკის მოხაზულობასა და სანაპიროს სწორ ხაზს შევუბნული.

ახალი იზმირი ჩვენი მოგზაურობის ერთი უკეთეს შთაბეჭდილებათაგანია. მისი არქიტექტურა არა მარტო ახალია, არამედ საესკების თანამედროვეც. ქუჩები საყმარისად ფართოა, ბუღარებიანი. სახლები მიჯრით კი არაა აშენებული, არამედ გარკვეული ინტერვალებით, ისე რომ ყოველ მხრივ ჰაერითა და შექვითაა გარემორტყმული. უოველი სახლის წინ პატარა სკვერია. დიდი ადგილი ეთმობა ლოჯიებს, აივნებს. სახურაებზე ბრტყელია, კედლები გლუვი, ნამქრწი სამკლეს ვარეშე, სარკმლები—დიდი. უბაღეს სახლებში გაბედულადაა გამოყენებული ფერი. აქაც და სხვა ქალაქებშიაც ძალიან გავრცელებულია მოზაიკური ფაქტურის პანელები ფასადებისათვის: ლურჯი, მწვანე, მოწითალო. აქა-იქ ხალიჩისებრი გეომეტრიული მოტივები ჩართული. ქვეშა საართლებისათვის ზოგან სხვა ფაქტურას იყენებენ: გაკეთებულია ბეტონი, რომელშიც ღორღის ნაცვლად სხვადასხვა ფერის მსხვილი კენჭებია შერეული; კენჭები ძლიერ ხორკლიანსა და ფერადოვან ზედაპირს ქმნის. სიხალისეს ზრდის ეალუზი და ფერადი მარკებები. ამ ქუჩებში ხედები ორსართულიან უპრეტენზიო კორტაგებსაც და 8-9-10 სართულიან ბლოკებსაც. არტომლიც იმა ქალაქში უამრავი ბენზინის სადგურია: მოედნებზე, ქუჩებში: აქაც „მობილაზია“, „შელი“, რომლებიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გვხვდება, უფრო იშვიათად „თორქვეტროლი“ (ეს სიმრავლე იქნებ იშვიათე აიხსნებოდეს, რომ იზმირშია მოთავსებული „ნატოს“ ახლო-აღმოსავლეთის განყოფილების შტაბი).

(გაგრძელება იქნება)



## ერთი წლის ლექსები

„ერთი წლის ლექსები“ — ასე ეწოდება თეიმურაზ ჯანგულაშვილის ახალ წიგნს, რომელიც „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა. თუ როგორ ნაყოფიერად უშეშავნია ავტორს გასულ წელს, ამასზე პირველყოფლისა, თვითონ წიგნში მოთავსებული ლექსების რაოდენობა შეტყვევებს. ცხადია, ყველა ლექსი თანაბარი მხატვრული ღირსებისა არ არის, მაგრამ ჭეშმარიტი შთაგონებით დაწერილი ათიოდე მცირე ფორმის პოეტური ნაწარმოები, აგრეთვე რამდენიმე ბალადა, უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ავტორის გარკვეულ შემოქმედებითს წინსვლაზე.

ამ ბოლო დროს ჩვენში ხშირად იწერება ისეთი ლექსები, რომლებშიც აზრიც არის, მხატვრული სახეებიც, იგრძნობა ტექნიკური სრულყოფაც, მაგრამ არ არის ერთი რამ, სახელდობრ, არ ჩანს რომ ეს ლექსები ქართული პოეტის მიერ არის დაწერილი, სინამდვილის აღქმა, გარესამყაროს შეგრძნება ერთგულ, ხალხურ საწყისიდან არ გამოძლინარვობს.

თეიმურაზ ჯანგულაშვილის კრებული ძირითადად თავისუფალია ასეთ ნაკლოვანებისაგან. საუკეთესო ლექსებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ვალაქციონ ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც ავტორი წერს:

მიღის ჩვენგან, და ჩვენ არა გეტოვებს.  
ქართული მუხა შრიალს უმატებს,  
სიმღერის ფესვი დაიყრის რტოვებს.  
— მთაწმინდის შთაბრუნე, ვხა გუენათე  
უკვდავებაში მიმავალ პოეტს...

მაგრამ, ქართული პოეტის ხელი მარტო ქართულ თემაზე დაწერილ ლექსებში როდი უნდა იგრძნობოდეს, იგი ასევე უნდა გვხიბლავდეს არაქართულ თემებზე დაწერილ ნაწარმოებებშიც. საუკეთესო პოეტების საუკეთესო ლექსებში ეს მართლაც ასე ხდება. თეიმურაზ ჯანგულაშვილი დაბეჯითებით ცდილობს, უცხო თემებზე დაწერილ ლექსებშიც დარჩეს ნაძლევი ქართული პოეტად. მისი შესანიშნავი ბალადა — „წერობი“ უდავოდ ამასზე შეტყვევებს. ხიროსიმის ძველს, რომელსაც შემოვიღებული აქვს ატომური გამოსხივებისაგან დაავადებულ ბავ-

შვების მიერ გამოპრილი წერობის გირლიანდები, ჯანგულაშვილმა დასახლებული ლექსის სახით კიდევ ერთი ძველი მიუმატა:

დაიბადა და  
იმ წუთშივე სიკვდილს ეშვილა  
სიციცხლისათვის დაბადებულა.  
და ბოლოს, როცა არაფერი აღარ ეშველა,  
მას მოუტანეს ჭალადღები და მაკრატელი,  
უთხრეს:  
— გამოსკვერ ათასი წერო  
და შორჩებოო...  
მაშინ ჩაუდგა სულ პირველად თვალში  
ნათელი,  
იმედის შუქი, ცის ლურჯი ზერო...

ბავშვი ითვლის გამოპრილ წერობებს: ერთი-ორი, სამი-ოთხი... სტკოვა თითები, მაგრამ სიციცხლზე დარწმუნებული კვლავ ვიძუტად სჭრის... ასი... ორასი... შერეასზე ბავშვი საუკუნოდ ხეუკავს თვალებს და განა მარტო იგი, ასობით და ათასობით მისთანა ბავშვი.

შემდეგ ავტორი ამბობს, რომ როდესაც ხიროსიმის მოწამულ ცის ქვეშ ბრმა ბავშვები იბადებიან, მტკიენი თითებით გამოპრილი ის წერობეა, რომლებიც ხიროსიმის რკინის ძველზე სხედან, ველარ უძლებენ აფვილზე ყოფნას და ოთხზე კუთხისკენ მიჰქრიან, მიეშურებიან, რათა ხიროსიმელი ბავშვებისა და დედების შემზარავი ამბავი ამცნონ დიდსა და პატარას. ბოლოს ავტორი მიმართავს შერეასე წერობს გამოპირულ ბავშვს, რომ სხვა წერობეთან ერთად ჩემს მშობლიურ ქართულში შენი წეროც მოიჩქარიას...

ამრიგად პოეტი ხიროსიმის ტრავედისა ქართული ხალხის მწეზარებადუე მოიხსენებს და მის გულისხმიერებას მოწინავე კაცობრიობის გულისხმიერებას უერთებს მომავალი ომების საწინააღმდეგოდ. ჯანგულაშვილის ეს ბალადა უდავოდ ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოებია, მასში ფეოტავს ქართული კაცის ვაშლილი გული, რელიეფურად შეღავნდება ქართული კაცის სულისკეთება. სხვებთან ერთად მასაც სჯერა, რომ ხიროსიმის ძველი, უბრალო ძვე-



ლი კი არა, მისხანე მეშტია აღმართული თვით დედამწის მიერ...

თეიმურაზ ჯანგულაშვილი არ გაურბის ნაც-ნობს, უკვე ბევრის მიერ დამუშავებულ თემებ-საც, რადგან მას ამ შემთხვევაშიც ჰყოფნის საკუთარი სათქმელი, რასაც შესანიშნავად აღას-ტრერებს თუნდაც თეიმურაზ პირველისადმი მიძღვნილი მისი ზალადა:

სამშობლოს ლექსით დაემშვიდობე,  
თქვი: უკვდავებად ესეც შეყოფა.  
შენ ერთში შესიდი: ერთად ინდომე  
ქვეყნის მეფობაც, ლექსის მეფობაც...  
სხვას ვერ ხედავდი, პატივმოყვარე  
ენდუ საკუთარ ხმალსა და კალამს, —  
და შენი მკლავი ისე მიოღა,  
ვერ გკვება ხალხის სითბომ და ძალამ.  
თვით გაეცეცი ხალხსა და თვითვე  
შენს თავს კარები გადურჩაზე,  
ვერ შეერიდებე შენ დროის რითმებს,  
ცალ რითმად დარჩი თეიმურაზი.  
ასე მისდევდი ბილიკს ეკლიანს  
და წინ აღმართიც გადაგვლობა...  
ძნელი ყოფილა, დიდო სეხნავე,  
ქვეყნის მეფობაც, ლექსის მეფობაც.

ბევრი ახსნა-განმარტება არ სჭირდება ამ სტრიქონებს. თეიმურაზ პირველის ტრაგიკულ-ლი სახე ისედაც ნათლად იხატება ჩვენს წინა-შე... და თუ ზალადის პირველ სტრიქონებსაც გავიხსენებთ, თეიმურაზ პირველის ტრაგიკულ-სახესთან ერთად ჩვენთვის ხელშესახები გახდუ-ბა ის უღმობელი ეპოქაც, როცა ქართული ბუნების ბრწყინვალე მაგაპების ჩარჩოში ჩაშს-მელს ბრძოლა უხდებოდა მოსისხლე მტერთან მღვდელმთავრულ სიტყვისათან. აი ეს სტრიქო-ნებიც:

ჩემს ოცნებაში აცურდა გრემი,  
როგორც ქარიშხლით ნაღწევი გემი...  
უმშლავურო, უკაბიტანო...  
რა ტალღამ დაქრა, რა გრიგალ-ქარმა,  
სად შევდეწა კლდეებს პიტალოს...

ტრაგიზმის აბანაკლები ცეცხლი ტრიალებს სულხან-საბა ორბელიანისადმი მიძღვნილ ზალა-დაში. კიბუჯი სულხანი და მოხუცი საბა. სულ-ხანი — შაიხბული სული, საბა — მონასტრის ბერი. ერთსა და იმავე აღაშიანში ორი სამყა-რო. ეგრედმებულე ჰიდელი მათ შორის... ბერის შევ კაბაში შემოსილ საბას მონასტრის გარეთ უსმობს კიბუჯი სულხანი.

შენ გელოდებამ — გზა არის დიდი,  
ზღვათა, ხმელეთთა გადასავალი,  
შენთვის არ თქმულა ცხოვრება მშვიდი,  
დაუღლებულთა მუდღროს სივანე.  
ვით ჩამოღამდეს ცა სინათლისა,  
ქართლის სიკვდილი ვის უთქვამს, აბა?  
შენ გელოდებამ ბედი ქართლისა,  
სამშობლოს ბედი... გამოდი, საბაჯ!

კრებულში მოთავსებულია სხვა კარგი ლექ-სიც, მგალითად: „ღილიარა“, „ნიზამის ზღაში“, „აღმართზე“, „ქალაქი დია ზღვაზე“, „იო დღეს“, „წიწამურში“, ილიას წყაროსთან“ და „გზის პირას ჰუვაის მინდვრის ყვავილი“. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ბოლო ლექსი. მინ-დვრის ყვავილით მოხიზლული პოეტო ოცნე-ბობს, რომ მისი სიტყვაც იმ ყვავილით ცხოე-რების გზის პირას ჰუვაოდეს და გამეღვლს და გამოშვლულს აჯადოებულს თავისი სიღამაზითა და სურნელებით. ამის შემდეგ ჩვენ ისღა დაგ-ვრჩენია, რომ მთელი გულწრფელობით ეცხურ-ვით პოეტს ახალი შემოქმედებითი წინსვლა.

ზალდა ამისულაშვილი

### რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის

რუსეთ-საქართველოს მეგობრობას დიდი და მკეტად სინტერესო ისტორია აქვს. მართალია მათ სამხედრო-პოლიტიკურ და დიპლომატიური ურთიერთობის მრავალსაუღუნოვანი ისტორიის შესწავლისას მკვლევართა ინტერესს მუდამ იყ-რობდა კასპისპირეთში რუსეთის ჯარების 1722 — 1723 წ. წ. ლაშქრობის და რუსეთ-სა-ქართველოს სამხედრო პოლიტიკური შეთანხმე-ბის პირობებისა და მისი შედეგების გარკვევა, მაგრამ ეს უაღრესად საყურადღებო პერიოდი ჩვენი ისტორიოგრაფიისა დღემდე, სათანადო მეცნიერული სიღრმით შესწავლის საგნად, სამ-წუხაროდ არავის ვაუხდია.

ჩვენი ისტორიოგრაფიის სწორედ ამ ხარვე-

ზის შევსებას ისახავს მიზნად გ. პაიჭაიას ნაშ-როში „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“.

დასახელებულ ნარკვევს, რომელიც შესავლისა და დასკვნის გარდა სამი თავისაგან შედგება (გვ. 10 — 156) დართული აქვს საყურადღებო საარტივო ოფიციალური დოკუმენტების პუბლი-კაცია (გვ. 187 — 235). ნარკვევის 1-ლ თავში განხილულია კასპისპირეთში რუსეთის ჯარების 1722 — 1723 წ. წ. ლაშქრობის მიზანი და რუ-სეთ-საქართველოს სამხედრო პოლიტიკური შე-თანხმება. მეორე თავში გამოკვლეულია 1722 — 1723 წლების სამხედრო კამპანია და დასასრულ მესამე თავში სპეციალურადაა განხილული რუ-

სეთ-საქართველოს კავშირი და თურქეთი.

როგორც ვხედავთ ნაშრომი ერთ კონკრეტულ საკითხისადმი მიძღვნილი და აქაც ავტორი არ აცხადებს პრეტენზიას, მისი ყოველმხრივი გამოკვლევისათვის. ავტორის ეს პასუხისმგებლობა და არაპრეტენზიულობა სპეციალისტისათვის სასურველი ცხად და გასაკვიბია, და აიხსნება თვით პრობლემის სირთულით, ამ კონკრეტულ ისტორიული წინააღმდეგობებით, რომელიც დამკვიდრდა ამიერკავკასიაში 1720-ან წლებში რუსეთის, თურქეთისა და ირანის დაპყრობითი ზრახვების მძაფრად დამპირისპირების გამო და ასევე, ჩვენი ისტორიოგრაფიის დონითაც.

ცნობილია, რომ საქართველო და ამიერკავკასია 1720-ან წლებში თურქ და ირანულ აგრესორთა გამანადგურებელ, მორიგეობით დაპყრობის მსხვერპლი გახდა. ამ ხანგრძლივ და ყოვლად უსამართლო ომებში ყველაზე შვედალ საქართველო დაზარალდა, სადაც დამპყრობლებმა გააძაღეს შინა-ფეოდალური მშათა სისხლისმღერელი ბრძოლები; მათ მთლიანად მოსპეს ქართლის სამეფო ხელისუფლება, რომელიც განმანათლებელი მეფის ვახტანგ VI-ს თაოსნობით იმ პენდ დროში საქართველოს და შეიძლება ითქვას მთელ კავკასიაში კი ბევრს ახალ ეთნურულ წმომწყებებს აძლევდა დასაბამს.

ვახტანგ VI და პეტრე I-ის პოლიტიკური მიზანსწრაფვანი საფუძველზე განსხვავებულად ურთიერთისაგან, ოღონდ ეს გვემა თუკი ხორას შეისწამდა თავისი ობიექტური შედეგებით, საერთოდ, პროგრესულ-გამანათლებელურად იყო. იგი ითვალისწინებდა საქართველო-სომხეთისა და რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ერთობლივი მოქმედებით ირანულ და თურქ დამპყრობელთაგან საქართველოს და ამიერკავკასიის გამოხსნას, რუსეთის გავლენის გაძლიერებას ამიერკავკასიაში და რუსეთ-საქართველოს შორის კავშირის განმტკიცებას; მაგრამ ამ ეტაპზე ეს გვემა ჩიიშალა. ამიერკავკასიაში ოსმალდამპყრობლები დამკვიდრდნენ, რომლებმაც ქართლის სამეფო მოსპეს, ხოლო ვახტანგ VI როგორც ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი იძულებული გახდა მის უახლოეს თავკაცთა თანხლებით, რომელშიც მხცოვანი საბა-სულხან ორბელიანიც შედიოდა, რუსეთში გადასახლებულიყო. რუსეთ-საქართველოს ამ საბრძოლო გვეგნის ჩაშლით განსაკუთრებით დაზარალდა საქართველო, დიდი კრახი ვინიცადა მისმა სახელმწიფოებრიობამ. მოხდა ისე, როგორც ეს დავით გურამაშვილმა განსაზღვრა, — „ვინემ რუსნი გვიშველიან მანამ, ჩვენი ვარდავებუდების“-ო.

მაშინდელი კონკრეტულ-ისტორიული ვითარების ყოველგვარი ანალიზის გარეშე დიდ-მპყობელური რუსული შოიანიტური ისტორიოგრაფია მაგ. ვ. რომანოვსკი და სხვა, პეტრე I-ის ლაშქრობის წარუმატებლობის მიზეზად სასურველი უმართებულოდ ქართლის მეფის ვახ-

ტანგ VI-ს მოქმედებას თვლის, სამაგიეროდ ზ. ავალიშვილი და სხვები საესენბის-საწინააღმდეგობრივი პოზიციებიდან მიუღწენ, ამ პბრმ-სწმმმს-სწმს წავლას და ვახტანგ VI რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ველუბრუვილო პოლიტიკოსად წარმოგვიდგინა.

ზ. ავალიშვილმა და მისმა მიმდევრებმა სრულყოფილი ანალიზი არ გავუეთეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილ მაშინდელ რთულ ისტორიულ ვითარებას ირან-ოსმალეთის აგრესიის შედეგად და იმ ფაქტორებს, რომლებშიც განაპირობებს რუსეთისა და საქართველოს საერთო გვეგნის ჩაშლა ამ აგრესორთა ალაგვისათვის. კვლევათების მცდარი მეთოდი და მისი უსუსურობა იქამდე მივიდა რომ ასეთი გამოჩენილი ისტორიკოსი, როგორც ს. მ. სოლოვიოვი იყო თვლიდა, რომ პეტრე პირველ კასპისპირეთის შემოშტკიცებით მიზნად ისახავდა რუსი ხალხის ვაფიდრებას, ხოლო ვ. ეზოვის რწმენით ამ ლაშქრობით პეტრე I-ლს სომეხთა განთავისუფლება საშლეთო საქმედ და რუსი მიზანჩქის მორალურ მოვალეობად შიანდაო.

მარქსისტული ისტორიოგრაფიისათვის აღიარებულია დებულება, რომ კასპისპირეთში 1722 — 1723 წ. წ. ლაშქრობა გამოხატავდა ცარიზმის დაპყრობითი მისწრაფებებს, რომელსაც კოლონიური ჩაგრვისკენ მიყავდა არარუსი ხალხები. ცარიზმი ფ. ენგელსის თქმით განამათებულეულის „პოზს“ იღებდა, აქრობდა კავკასიაში, ქრისტიანთა ურჯულუობისაგან გამოხსნის პროპაგანდით. მიუხედავად ამისა რუსეთის გავლენის ზრდა ამიერკავკასიისა და საერთოდ აღმოსავლეთში, თავისი ობიექტური შედეგებით იყო პროგრესული მოვლენა. ამიტომ ქართული პოლიტიკოსები, ვახტანგ VI და მისი წინამორბედნი, თუ მიმდევარნი, რომლებიც რუსეთთან კავშირის განმტკიცებისათვის იბრძოდნენ უდაოდ პროგრესული მოღვაწეები იყვნენ.

სწორად იქცევა სარეცენზიო ნაშრომის ავტორი, როცა კასპისპირეთში რუსეთის 1722 — 1723 წწ. ლაშქრობის მოწყობის მიზნებსა და შედეგების ვარკვევისას საერთოდ ამ პერიოდში ირან-თურქეთთან რუსეთის ურთიერთობის კვლევა-ათებისას წინა პლანზე წამოსწევს სოციალურ-ეკონომიურ და საეპრო აღმშციეობითი ურთიერთობის საკვანძო საკითხებს. ამდენად ნაშრომში მდლდაც ფაქტობრივ მასალების ანალიზის გზით სასურველი მართებულად და ახსნალი მაშინდელი რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები.

ავტორი სათანადო საარქივო და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით იყვლეს რუსეთის საეპრო-ეკონომიურ ინტერესებს და პერსპექტივებს ირანსა და ამიერკავკასიაში და მიძღს იმ სასურველი მართებულ დასკვნამდე, რომ მაშინ ამ მიმართულებით წარმატებების მოპოვებისათვის მეფის რუსეთი იძულებული იყო

კასპის ზღვის დასავლეთ სანაპიროებზე დამკვიდრებით და მძარცველთა ბრბოების აღაშენებით, უზრუნველყო რუსეთის ვაჭრობის უსაფრთხოება და შემდგომი განვითარება.

ესა პერიოდში, როცა კავკასიის მთიანეთში და მისი პრაქტიკულ ორიენტაციის ფენებში, გაქტივებებით მოქმედებენ თურქი აჯანყებულები სურხაისა და სხვა ადგილობრივი ფეოდალთა ხელშეწყობით, თურქეთი ოსტატურად იყენებს რღვევისა და გახრწნის გზაზე დაქანებულ ირანის გავლენის შესუსტებას და კავკასიაში გაბატონებისაკენ იღვწოდა, რაც ბუნებრივია ამჟომად უწინააღმდეგებოდა გაძლიერებული რუსეთის სასიუცილო ინტერესებს. ამ ეტაპზე გადაწყვეტილ ინტერესთა ასეთი დაპირისპირება ცნობილია, რომ ბევრად მოგვიანებით XIX ს. 1-ლ ნახევარში საესეებით ახალ, რუსეთისათვის ხელსაყრელ ვითარებაში, კავკასიის 30 წლიან ომებში ვადაწყდა, სადაც თურქეთმა და მისმა მხარდებულმა მოძრაობამ საბოლოო კრახი განიცადა.

სარეცენზიო ნაშრომში ავტორს სრული დამაჯერებლობით აქვს დასაბუთებული, რომ პეტრე I-ლი კასპისპირეთში ლაშქრობის მოწყობისათვის, ადრინდანვე ემზადებოდა და ეძებდა ხელსაყრელ საბაზს მისი განზოგადებულიებისათვის.

ლაშქრობის დაწყების საბაზად პეტრე I-ლმა ირანის მორჩილებაში მყოფთ ლეკ აბრავთა მიერ 1721 წლის ავგისტოში შემახაში მომზადარი რუსი ვაჭრების გაძარცვის ფაქტი გამოიყენა.

რუსეთის დიპლომატიის ბევრად ადრე მიღებულმა გადაწყვეტილებამ მასზე, რომ კავკასიაში რუსეთის გავლენის ზრდისათვის გამიზნულ ლაშქრობის საქართველოს და სომხეთის მოსახლეობის ჩაბმა შეიძლება სასურველი შედეგი დამთავრებულყოფი, სავსებით რეალური აღმოჩნდა. ჯერ კიდევ 1719 წლიდან ცნობილია, რომ საქართველოში ამ მიზნით ენერგიულად მოქმედებდნენ პეტრე I-ის დეალებით წარმოგზავნილი ვოლონსკი, ტოლსტოი, თურგისტინიშვილი და სხვანი.

სწორია ავტორის დებულება რომ რუსეთ-თურქეთის ინტერესთა ასეთ დაპირისპირების ვითარებაში ნაძვლილი დამატება ვაუწყებს მხოლოდ ამიერკავკასიის ხალხებში, რომლებშიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თურქების შემოსევის მომენტიდან თავგანწირული ბრძოლა დაიწვეს დამპყრობელთან და სერიოზული მარცხი მიუყენეს (გვ. 165) და ეს მაშინ, როცა რუსეთი პოლომდე მოერიდა თურქეთთან სამხედრო შეტაკებას.

სარეცენზიო ნაშრომის ღირსებაა ის, რომ დიდი უფრადლება ეძლევა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას. ნაშრომი ემყარება მდიდარ საბაზისო დოკუმენტურ მასალას, რომელიც კეთილსინდისიერად მოუძიებია მის ავტორს უმათვარესად მოსკოვის არქივსაცავებში და მათ

უშრავლესობა პირველადა შემოტანილი წვენი სამეცნიერო ლიტერატურაში

მისასაღმეღია ასევე, რომ ნაშრომში თან ერთვის ახლანდელი დოკუმენტები, რომლებსაც ასევე გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის.

აღნიშნული და სხვა ღირსებანი სარეცენზიო ნაშრომისა რომელთა ჩამოთვლას აქ არ გამოვლდებით, იმის დამატებებზეა, რომ ჩვენი საისტორიო მეცნიერების დღემდე ნაკლებ-შესწავილ პირობების გაშუქებას მიეძღვნა საყურადღებო ნაშრომი, სადაც რიგი საკითხებისა ახლად გაარკვეა დასმოლი და გეროვანი სიღრმისათვისა გადაწყვეტილი.

ამასთან გვაქვს რამდენიმე შენიშვნაც ამ კარგი ნაშრომის როგორც გამოკვლევის, ასევე თანდართული დოკუმენტების პუბლიკაციის ზოგი ნაკლებობაზეა გამო.

ჩვენი აზრით ავტორს სათანადო დამატებები დოკუმენტები უნდა მოეტანა მის მიერ წამოყენებული დებულების შესამაგრებლად, იქ, სადაც ნათქვამია: „საქართველოს პროგრესულმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა კასპისპირეთში ლაშქრობისათვის პეტრე I-ის სამხედროის დროს სწორად განჭეროტეს საწვევარი ოცნებისათვის ხელსაყრელი მომენტის დიდგამა“ (გვ. 162) სრულიად გასაგები მიზეზისა გამო, (ეინიდან ავტორმა ვერ შესძლო საამისო საბუთების მოპოვება და მოტანა) ნაშრომში ეს მოსაზრებაც უფრო დეტალურად განცხადების შთანჯვლებას სტოებს.

ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურული წყაროები და მდიდარი საბაზისო მასალა, სამწუხაროდ, ასევე ნაკლებ იძლევა შესაძლებლობას იმ თეზისის დამტკიცებისათვის, რომ თითქმის ავტორის გახრწნის ლაშქრობა ამიერკავკასიაში (1722 — 1723 წწ.) უშუალოდ შეესაბამებოდა ადგილობრივი ხალხების ინტერესებს (იხ. გვ. 9); ისტორიული მასალები უფრო მეტად კი იმაზე დადასტურებენ, რომ რუსეთის ძლევამოსილი არმის ლაშქრობა არსებითად გამოხატავდა ცარიზმის დიქტობით მისწრაფებებს აღმოსავლეთში და იგი ნაკლებ ემსახურებოდა არამც თუ ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ თვით რუსი ხალხის ინტერესებს დაეკის საქმეს. ჩასაყვირეულია, ეს განმარტება ოდნავად არ უგდებებულყოფს საყოველთაოდ აღიარებულ დებულებას რუსეთის გავლენის ზრდის პროგრესულ როლზე საერთოდ აღმოსავლეთისა და კერძოდ ამიერკავკასიაში, შავსა და კასპის ზღვის პირეთში.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი სწორად იქცევა, როცა ცალკე ქვეთავად გამოყოფს და განიხილავს „საქართველოს მდგომარეობას XVIII საუკუნის პირველმოდებში“ (იხ. გვ. 38—58), მართალია ეს ქვეთავი არსებითად მხოლოდ ქართლის სამეფოს მაშინდელი ვითარების მოკლე მიმოხილვაა და არა სპეციალურა კვლევა,

მაგრამ ავტორი მიზანს მაინც აღწევს, — ქვეყნის მდგომარეობის სურათს სწორად წარმოგვიდგენს.

სარეცენზიო ნაშრომის სათაური ზოგადია — „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. 1 მეოთხედში)“, ხოლო თვით ნაშრომი კი არსებითად მიძღვნილია ამ ურთიერთობის ერთ კონკრეტულ საკითხისადმი, (და, როგორც აღვნიშნეთ, ამაშია მისი ღირსებაც). ესაა: კასპისპირეთში რუსეთის 1722—1723 წწ. დაპყრობა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა; სასურველი იყო ნაშრომისა და მის დასათარებლად შორის სრული შესაბამისობის დადგენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე დაწერილ სარეცენზიო წიგნის დამახასიათებელი მაინც ერთი შთავაირი თავისებურება — საქართველოს საკითხი და მისი ურთიერთობაც, რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის პოზიციებიდანაა წარმოდგენილი და ამდენად განხილულია არა როგორც თვითყოფილი, რამდენადაც საერთო საშინაო და საგარეო პოლიტიკის მქონე ქვეყნისა, არამედ იგი რუსეთის იმპერიის გავლენის და ტერიტორიული ვანერცობის ზრდის თვალსაზრისით შეისწავლება. მართალია, ასეთი გეზი კვლევამდებობისა არა მართო სარეცენზიო წიგნის, არამედ ამ პრობლემებზე მომწევე მრავალ რუს და არა რუს მკვლევარ ისტორიკოსთა თითქმის საერთო დამახასიათებელ მხარედ ხდება, განსაკუთრებით, ამ ბოლო ხანებში; მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ ეს გეზი არაა მთლად მართებული, რადგან იგი (ეს გეზი) იქამდე, ისტორიულ პერსპექტივასაც კი დაღატობს. ნაშრომში მოტანილია მეტად საინტერესო დოკუმენტური მასალა არქივებიდან, და სხვადასხვა სახის ამონაწერები; ეს ძალიან კარგია დასაბუთებისათვის, მაგრამ ჩვენი აზრით აქაც უდაოდ საქარო იყო მეტი ზომიერება. წიგნში ბლომადაა რუსული ციტატები. შეზღუდვით ისეთ ადგილებსაც, სა-

დაც რუსული ციტატი 2 გვერდს აღემატება. სასურველი იყო მათი თარგმან და რედაქციულად განტეირთვა ნაკლებ საინტერესო მომენტებშისაგან.

ყოველთვის არაა ნაშენები დედანია თუ პირი ესა თუ ის საბუთი. 199 გვ. მოტანილია უთარლო საბუთი, როცა მისი დათარღლება შეძლებოდა (ჩვენი ვარაუდით 1723 წ. 12 ივნისი); 200 — 203 გვერდზე კი ერთი საბუთი ორჯერაა დათარღებული. ვხვდებით უზუსტოდ გამოთქმულ გეოგრაფიულ და ტოპონიმიკურ სახელებს, მაგ. 188 გვ. „деревне Коташули Сановелеева владения“, 204 გვ-ზე „Урзюмской паша“ და სხვ.

ნაშრომის 206 — 233 გვ-ზე მოტანილია რუსეთში გადასახლებულ მეფე ვახტანგ VI-ის თანმზღბე ამალის 1724 წლის ნუსხა რუსულ და ქართულ ენებზე. სასურველი იყო ავტორს კრიტიკულად შეეღარებია ეს ნუსხა დავით გურამიშვილის იუბილესთან დაკავშირებით ს. უზბანიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ანალოგიურ ნუსხასთან და მოეცა თავისი კომენტარი. ასევე სასურველი იყო ავტორს მიღებულ წესის საფუძველზე მოეცა ამ შესანიშნავი საბუთების ქრონოლოგიური დალაგება და ნუმერაცია რიგზე.

ასეთია ჩვენი მოსაზრებანი გ. პაიჭაძის ამ მეტად საინტერესო წიგნზე და ცალკეული შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება ავტორს დაეხმარება ამ საჭირო წიგნის ხელახალ გამოცემისას.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს იძლევა დაეასკნათ, რომ გ. პაიჭაძის ნარკვევი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“ დიდი პრობლემების მეტად აქტუალური საკითხის მეცნიერულად გამოკვლევისადმი მიძღვნილი და იგი ჩვენი ისტორიოგრაფიის კარგი შენამენია.

პროფ. აბთ. იოსელიანი

## ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბავოთა საქართველო“

- ვაჟა-ფშაველა — ტ. I. ლექსები. რედ. გ. ლეონიძე, გამომც. რედ. ვ. ჯავახიძე, გვ. 548, ფასი 3 მან. 20 კაპ.
- ვაჟა-ფშაველა — ტ. II. პოემები. რედ. გ. ლეონიძე, გამომც. რედ. ვ. ჯავახიძე, გვ. 396, ფასი 2 მან. 90 კაპ.
- ვაჟა-ფშაველა — ტ. III. მოთხრობები. რედ. გ. ლეონიძე, გამომც. რედ. შ. ამისულაშვილი, გვ. 612, ფასი 2 მან. 80 კაპ.
- ვაჟა-ფშაველა — ტ. IV. მოთხრობები. დრამატული ნაწარმოებები, თარგმანები. რედ. გ. ლეონიძე, გამომც. რედ. ე. გოგოლაშვილი, გვ. 694, ფასი 2 მან. 90 კაპ.
- ვაჟა-ფშაველა — ტ. V. პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები. რედ. გ. ლეონიძე, გამომც. რედ. შ. ამისულაშვილი, გვ. 508, ფასი 2 მან. 25 კაპ.
- ლეო ქიჩელი — ტ. II. რედ. შ. ბაყრაძე, გვ. 414, ფასი 88 კაპ.
- ალიო შირცხუღავა — რჩეული. რედ. კ. ბობოხიძე, გვ. 596, ფასი 1 მან. 30 კაპ.
- ბ. კვინიტაძე — ფესტური პარადიგმები. წიგნი პირველი. რედ. გ. ციციშვილი, გვ. 694, ფასი 1 მან. 80 კაპ.
- შალვა გოწალიშვილი — იროდიონ ევლოშვილი. რედ. ელ. გოგოლაშვილი, გვ. 342, ფასი 30 კაპ.
- სოლ. უზუნაიშვილი — ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი. რედ. ე. გოგოლაშვილი, გვ. 334, ფასი 86 კაპ.
- არჩილ ჩაჩაბაია — ერთი სიცოცხლის საიდუმლოება. რედ. არჩილ დავითიანი, გვ. 218, ფასი 43 კაპ.
- გიორგი ვიგუარი — ქუჩის წიგნი და ჩანჩქერები. რედ. შ. ამისულაშვილი, გვ. 104, ფასი 13 კაპ.

### „ნაკადული“

- სუნჯე — ტ. 14. რედ. ს. ჭილაია, გვ. 452, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- მაო ძე-დუნია — თვრამეტი ლექსი. თარგმანი ზურა ბერულავასი, რედ. ირ. აბაშიძე, გვ. 32, ფასი 4 კაპ.
- ოტია იოსელიანი — სიმინდი, ტყე და ყვავილები. რედ. ლილი გეგელია, გვ. 16, ფასი 10 კაპ.
- გ. კალანდიაძე — ბალის სიხარული. რედ. გ. კაჭხიძე, გვ. 16, ფასი 12 კაპ.
- დ. გულიხაშვილი — ნატყვარი მანდილი. რედ. ლ. ცაგარეიშვილი, გვ. 60, ფასი 8 კაპ.

19

ფანო 80 ჰპპ.

6 17 283



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО «САБЧОТА МЦЕРАЛИ»

